- ⁹ Zur Geschichte der Lehre vom *iustum pretium*: Max Kaser, *Römisches Privatrecht*, 16. Aufl. 1992, S. 194; Winfried Trusen, *Äquivalenzprinzip und gerechter Preis im Mittelalter*, in: *Festgabe für Günther Küchenhoff*, 1967, S. 247 ff.; Andreas Wacke, *Circumscribere, Gerechter Preis und die Arten der List*, in: *Savigny-Zeitschrift für Rechtsgeschichte Romanistische Abteilung*, 94 (1977), S. 184 ff.
- ¹⁰ Hans Kelsen gibt eine scharfsinnige Analyse der „inhaltsleeren Formeln der Gerechtigkeit“: *Was ist Gerechtigkeit?*, 1953, S. 23 ff., 32 f., 34 ff.
- ¹¹ John Rawls, *A Theory of Justice*, Cambridge/Massachusetts, 1. Aufl. 1971 (Revised Edition Oxford 1999). Deutsche Übersetzung von Hermann Vetter, *Eine Theorie der Gerechtigkeit*, Frankfurt am Main 1975. Dazu Otfried Höffe (Hg.), *Über John Rawls' Theorie der Gerechtigkeit*, 1977; ders., *Politische Gerechtigkeit*, 1987, S. 46 ff., 322 ff., passim; ders., *Kategorische Rechtsprinzipien*, 1990, S. 306 ff.; Wolfgang Kersting, *John Rawls zur Einführung*, 1993; Hasso Hofmann, *Einführung in die Rechts- und Staatsphilosophie*, 2000, S. 60ff., 206 ff.
- ¹² Kelsen (N 10), S. 40.
- ¹³ Kelsen (N 10), S. 43.
- ¹⁴ So die positive Version in Mt 7, 12.
- ¹⁵ Immanuel Kant, *Die Metaphysik der Sitten*. Erster Teil. *Metaphysische Anfangsgründe der Rechtslehre*, 1797, S. 197.
- ¹⁶ Marcus Tullius Cicero, *De Finibus bonorum et malorum*, V 21, 59; 23, 66; ders., *Tusculanae Disputationes*, 24, 57; 13, 30; 15, 35; III 1, 2.
- ¹⁷ Ein erziehungswissenschaftliches Stufenmodell der moralischen Entwicklung des Kindes in seinem Gerechtigkeitsdenken, in seinen universalen und kulturspezifischen Bedingungen entwirft Lawrence Kohlberg, *Moral Development*, in: *International Encyclopedia of the Social Sciences*, 1968, S. 483 ff. (dt. Ausgabe: *Moralische Entwicklung*, in: Wolfgang Althof (Hg.), *Lawrence Kohlberg, die Psychologie der Moralentwicklung*, 1995, S. 7 ff.).
- ¹⁸ Der autoritäre Grundzug hat nichts zu tun mit dem Totalitarismus des 20. Jahrhunderts, den Karl R. Popper aus Platons „*Politeia*“ herauszulesen meint (*Die offene Gesellschaft und ihre Feinde*, Bd. 1, 6. Aufl. 1980, S. 126 ff., 228 ff.). *Wider die totalitäre Denunziation*: Hartmut Erbse, *Platons „Politeia“ und die modernen Antiplatoniker* (1976), in: ders., *Ausgewählte Schriften zur klassischen Philologie*, 1979, S. 373 2 ff.; Andreas Schubert, *Platon: „Der Staat“*, Ein einführender Kommentar, 1995, S. 47 ff.; Otfried Höffe, *Vier Kapitel einer Wirkungsgeschichte der „Politeia“*, in: ders. (Hg.), *Platon, „Politeia“*, 1997, S. 335 (354 f.).
- ¹⁹ Wilhelm Windelband, *Platon 1900*, S. 185 f.
- ²⁰ „*Est autem ius a iustitia sicut a matre sua, ergo prius fuit iustitia quam ius.*“ - so eine mittelalterliche Glosse zu 1.1. pr. D.
- ²¹ *Platon, Politeia IX*, 580b ff.; *Nomoi II*, 660e ff.; V, 733d ff.
- ²² „*Dilexi iustitiam et odivi iniquitatem, propterea morior in exilio.*“ Diese Worte, obwohl zeitgenössisch belegt, sind nicht gesichert. Auch wenn der Text authentisch sein sollte, kann er nicht als Anklage gegen Gott gedeutet werden, wie es neuere Historiker, im Banne neuzeitlichen Theodizeedenkens zuweilen versuchen. Umfassend Paul Egon Hübinger, *Die letzten Worte Papst Gregors VII.*, 1973.
- ²³ *Platon, Nomoi II*, 663d ff. Vgl. auch *Politeia III*, 389b.
- ²⁴ Freilich bringt bereits Platon in der Form des Mythos den Bericht von Lohn und Strafe im Jenseits (*Politeia*, X, 614a ff.). Es mag dahinstehen, ob dieser im christlichen Sinne gedeutet werden darf oder nicht, vollends, ob und wieweit er Wahrheit repräsentieren oder als Lüge zum Nutzen des Staates dienen soll (zum religiösen Grundzug der platonischen Philosophie, den das Christentum auf seinen Transzendenzglauben bezogen hat: *Windelband [N 19]*, S. 125 ff., 170 ff.). Jedenfalls erkennt der Philosoph, daß seine Theorie der Korrelation von Gerechtigkeit im Diesseits schwer plausibel zu machen ist. Kant, der für die christliche Offenbarungsreligion keinen Sinn hat, möchte den irdischen Hiatus zwischen Verdienst und Glück des Menschen überbrücken und findet keinen anderen Weg, als deshalb die persönliche Unsterblichkeit des Menschen und das Dasein Gottes zu Postulaten der praktischen Vernunft zu erheben (*Kritik der praktischen Vernunft*, 1788, in: Immanuel Kant, *Werke*, hg. von Wilhelm Weischedel, Bd. IV, 1966, S. 103 [252 ff., 254 ff.]). Der Gott der Philosophen, den die „*Kritik der reinen Vernunft*“ verbannt hatte, kehrt im „*moralischen Gottesbeweis*“ wieder zurück und tritt in den Dienst der Moral, um Gerechtigkeit und Glück zu versöhnen.

-
- ²⁵ Dante Alighieri, *Divina Commedia*, Inferno, III, 4-6. Übersetzung von Karl Voßler (Dante, Die göttliche Komödie, 1977, S. 17).
- ²⁶ Dante (N 25), *Paradiso*, XDC, 79-90. Übersetzung Voßler, S. 426.
- ²⁷ S.o. N 3.
- ²⁸ Näher Josef Isensee, Die alte Frage nach der Rechtfertigung des Staates, in: Petra Kolmer / Harald Korten (Hg.), *Recht – Staat – Gesellschaft*, 1999, S. 21 ff.
- ²⁹ „Et erit opus iustitiae pax“, Is 32,17. Vgl. auch Is 54,13-14.
- ³⁰ Das Verhältnis von Ursache und Wirkung wird jedoch im Jakobusbrief umgekehrt. S. u. N 36.
- ³¹ Ps 85,11. Vgl. auch Ps 71,1-4. Die Verbindung von Justitia und Pax gehört zu den großen allegorischen Themen der Malerei von der Gotik bis zum Barock. Beispiele und Nachweise: Hasso Hofmann (N 7), S. 7 ff.
- ³² Thomas Hobbes, *Leviathan*, lateinische Fassung, Amsterdam 1670, c. 26.
- ³³ Thomas Hobbes, *Leviathan*, englische Fassung, London 1651, c. 46 (dt. Ausgabe hg. von Iring Fetscher, 1966, S. 510).
- ³⁴ Dazu Ernst-Wolfgang Böckenförde, *Der Staat als sittlicher Staat*, 1978, S. 12 ff.; Josef Isensee, *Staat und Verfassung*, in: Josef Isensee / Paul Kirchhof (Hg.), *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland (= HStR)*, Bd. I, 2. Aufl. 1995, § 13 Rn. 46 ff., 62 ff. (Nachw.).
- ³⁵ Dazu Josef Isensee, Die Friedenspflicht der Bürger und das Gewaltmonopol des Staates, in: *Festschrift für Kurt Eichenberger*, 1982, S. 23 ff.
- ³⁶ Jak 3,18: „Fructus autem iustitiae, in pace seminatur, facientibus pacem.“
- ³⁷ Dazu Hans Kelsen, *Vom Wesen und Wert der Demokratie*, 2. Aufl. 1929, S. 55 ff.
- ³⁸ Auf diese institutionelle Seite der Gerechtigkeit reduziert sich heute zumeist auch die Debatte über Wirtschafts-, Bio-, Medizinethik. Vgl. Wolfgang Kersting, *Ethischer Kapitalismus?* (1994), in: ders., *Recht, Gerechtigkeit und demokratische Tugend*, 1997, S. 141 (146 f., Anm.6).
- ³⁹ Immanuel Kant, *Zum ewigen Frieden* (1795), in: ders., *Werke* (hg. von Wilhelm Weischedel), Bd. VI, 1964, S. 191 (224).
- ⁴⁰ Dazu Helmut Schelsky, *Der Mensch in der technischen Zivilisation*, 1961, S. 20 ff. Eine Reduktion auf die Idee der Gerechtigkeit wäre dagegen plausibel, wenn man mit Kant den Staat auf das Rechtsprinzip reduzierte, also auf die Aufgabe, die allgemeinen rechtlichen Rahmenbedingungen der Freiheit zu gewährleisten, und ihm darüber hinausgehende soziale und kulturelle Aktivität zur Beförderung der „Glückseligkeit“ der Bürger untersagte. Vgl. Immanuel Kant, *Über den Gemeinspruch: Das mag in der Theorie richtig sein, taugt aber nicht für die Praxis* (1793) in: ders., *Werke*, hg. von Wilhelm Weischedel, Bd. VI, 1964, S. 125 (145 f.).
- ⁴¹ Näher Josef Isensee, *Gemeinwohl und Staatsaufgaben im Verfassungsstaat*, in: *HStR* Bd. III, 2. Aufl. 1996, § 57 Rn. 23, 32 ff., 88 ff.
- ⁴² Grundlegend dazu Gustav Radbruch, *Rechtsphilosophie* (3. Aufl. 1932), zitiert 5. Aufl. 1956, S. 168 ff., 196 ff., passim. Spätere Modifikation: ders., *Gesetzliches Unrecht und übergesetzliches Recht* (1946), ebd., S. 347 (353). Dazu Alexander Hollerbach, *Gerechtigkeit*, in: *Staatslexikon* (hg. von der Görres Gesellschaft) 2. Bd., 7. Aufl. 1986, Sp. 895 (901 f.).
- ⁴³ So aber Radbruch (N 42), S. 168 ff.
- ⁴⁴ BGHSt 39, 1 (8 ff.); 41, 101 (105). Quelle der Formel: Radbruch, *Gesetzliches Unrecht* (N 42), S. 353.
- ⁴⁵ Dazu mit unterschiedlichen Ergebnissen, jeweils mit Nachw.: Günther Jakobs, *Vergangenheitsbewältigung durch Strafrecht?*, in: Josef Isensee (Hg.), *Vergangenheitsbewältigung durch Recht*, 1992, S. 37 ff.; Josef Isensee, *Rechtsstaat – Vorgabe und Aufgabe der Einung Deutschlands*, in: *HStR* Bd. IX, 1. Aufl. 1997, § 202 Rn. 156 ff.; Hans-Jürgen Papier, *Vergangenheitsbewältigung, Abwicklung, Ahndung, Entschädigung*, ebd., § 213 Rn. 56 ff.; Hans Joachim Hirsch, *Rechtsstaatliches Strafrecht und staatlich gesteuertes Unrecht*, 1996; Hofmann (N 7), S. 109 ff.
- ⁴⁶ Paradigmatisch Walter Ulbricht, *Die Staatslehre des Marxismus-Leninismus und ihre Anwendung in Deutschland („Babelsberger Rede“ von 1958)*, in: ders., *Die Entwicklung des deutschen volksdemokratischen Staates*, 3. Aufl. 1961, S. 601 ff.
- ⁴⁷ Niklas Luhmann, *Legitimation durch Verfahren*, 2. Aufl. 1975, S. 21.
- ⁴⁸ Luhmann (N 47), S. 36 f.
- ⁴⁹ Luhmann (N 47), S. 33 ff., 55 ff. Kritik: Josef Esser, *Vorverständnis und Methodenwahl in der Rechtsfindung*, 1970, S. 25 f., 202 ff.
- ⁵⁰ Immanuel Kant, *Über den Gemeinspruch: Das mag in der Theorie richtig sein, taugt aber nicht für die Praxis* (1798), in: ders. (N 40), Bd. VI, 1964, S. 124 (161).
- ⁵¹ Thomas Hobbes, *De cive*, 1647, c. 7, § 14.
- ⁵² Zur Steuergerechtigkeit mit weit. Nachw.: Paul Kirchhof, *Steuergleichheit*, in: *StuW* 1984, S. 297 ff.; ders., *Der verfassungsrechtliche Auftrag zur Besteuerung nach der finanziellen Leistungsfähigkeit*, in: *StuW* 1985, S. 319 ff.; ders., *Staatliche Einnahmen*, in: *HStR* Bd. IV, 2. Aufl. 1999, § 88 Rn. 45 ff.; Klaus Tipke, *Die Steuerrechtsordnung*, 1. Bd., 1993, S. 135 ff.
- ⁵³ Zu Problematik, Voraussetzungen und Folgen des Widerstandsrechts nach Art. 20 Abs. 4 GG: Josef Isensee, *Das legalisierte Widerstandsrecht*, 1969.
- ⁵⁴ Art. 1 Abs. 1 und 2 GG.

⁵⁵ BVerfGE 3, 225 Ls. 2 (232 f.). Vgl. auch 4, 294 (296); 1, 14 (32 f.); 4, 294 (296); 23, 98 (106 f.); 84, 90 (121).

⁵⁶ Art. 64 Abs. 2 i.V.m. Art. 56 S. 1 GG; § 38 Abs. 1 DRiG.

⁵⁷ § 52 Abs. 1 S. 2 BBG, § 35 Abs. 1 S. 2 BRRG.

⁵⁸ Dazu Josef Isensee, Das Dilemma der Freiheit im Grundrechtsstaat, in: Festschrift für Martin Heckel, 1999, S. 739 ff.

⁵⁹ Aurelius Augustinus, De civitate dei, IV/6. Augustinus spricht von „regna“.

⁶⁰ Augustinus entfernt aus Ciceros Definition der res publica ausdrücklich das Merkmal der Gerechtigkeit und schafft einen ethisch indifferenten Staatsbegriff (De civitate dei, XIX/21, 24).

⁶¹ Augustinus, De civitate dei, IV/4.

⁶² Friedrich Nietzsche, der dem Sozialismus, dem „phantastischen jüngeren Bruder des fast abgelebten Despotismus“, vorhält, daß er auf die staatlich organisierte Vernichtung des Individuums ausgehe, das ihm „wie ein unberechtigter Luxus der Natur“ erscheine, konstatiert, daß dieser den halbgebildeten Massen das Wort „Gerechtigkeit“ wie einen Nagel in den Kopf treibe, um ihnen für das böse Spiel, daß sie spielen sollten, das gute Gewissen zu schaffen (Menschliches, Allzumenschliches, I 473 (1886), in: KSA 2, 1999, S. 307 f.

⁶³ Er taucht auf bei Luigi Taparelli (1840) und Antonio Rosmini (1844). Dazu Walter Kerber, Gerechtigkeit, in: Staatslexikon (N 42), Gerechtigkeit, Sp. 895 (904).

⁶⁴ Dazu Josef Isensee, Das Grundrecht auf Sicherheit, 1983, S. 17 ff.

⁶⁵ Johann Wolfgang von Goethe, Faust, Zweiter Teil, 1. Akt.

⁶⁶ In diesem Zusammenhang geht es um den zweiten Grundsatz der Gerechtigkeit bei Rawls (N 11) S. 81, 291 ff.

⁶⁷ Zitat: Kersting (N 11), S. 62.

⁶⁸ Rawls (N 11), S. 83.

⁶⁹ Rawls (N 11), S. 122.

⁷⁰ Nach Wolfgang Kersting gibt es eine „gerechtigkeitsethische Präferenz für den Kapitalismus“ (Methodologische Probleme einer Theorie der sozialen Gerechtigkeit, 1997, in: ders., Recht, Gerechtigkeit und demokratische Tugend, 1997, S. 213 [241]).

⁷¹ Nietzsche (N 62), II 285, in: KSA 2, 1999, S. 679 f.

⁷² So die Darstellung durch Kersting (N 70), S. 232.

⁷³ Friedrich August von Hayek, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Bd. 2: Die Illusion der sozialen Gerechtigkeit, dt. Ausgabe 1981, S. 122.

⁷⁴ Friedrich August von Hayek, Recht, Gesetzgebung und Freiheit, Bd. 1: Regeln und Ordnung, dt. Ausgabe 1980, S. 57 ff.

⁷⁵ Hayek (N 73), S. 60 ff., 102 ff.

⁷⁶ Hayek (N 73), S. 184, 98, 99.

⁷⁷ Friedrich August von Hayek, The fatal conceit: the errors of socialism, zugl.: The collected works of Friedrich August Hayek, hg. von William Warren Bartley III, Bd. 1, London 1988, S. 114 ff.

⁷⁸ Friedrich August von Hayek, Die Illusion der sozialen Gerechtigkeit, in: Odo Marquard u. a. (Hg.), Schicksal? Grenzen der Machbarkeit, 1977, S. 91 (96).

⁷⁹ Hayek (N 78), S. 102 ff.

⁸⁰ Mt 20, 1-16

⁸¹ Aristoteles (N 5) V/14 (1137b).

⁸² Dazu mit Nachw. Reinhard Mußnug, Der Dispens von gesetzlichen Vorschriften, 1964 (Nach.); Josef Isensee, Das Billigkeitskorrektiv des Steuergesetzes, in: Festschrift für Werner Flume, Bd. II, 1978, S. 128 ff., Ingolf Pernice, Billigkeit und Härteklausein im öffentlichen Recht, 1991.

⁸³ Aristoteles (N 5), V, 14 (1137b, 1138a).

⁸⁴ Dazu Volkmar Götze, Allgemeines Polizei- und Ordnungsrecht, 12. Aufl. 1995, S. 129 ff.; Isensee (N 64), S. 53ff.

⁸⁵ Zum Wesen der Gnade: Radbruch (N 42), S. 276 ff.

⁸⁶ S. o. N 15. Vgl. auch Kants Kommentar zur „Fiat iustitia“-Sentenz: (N 39), S. 241 f.

⁸⁷ Franz Grillparzer, Weh dem, der lügt, V. Akt.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები და ეროვნული საკონსტიტუციო სამართალი

ქრისტიან შტარკი

I. საერთაშორისო სამართალი და ინდივიდი II. ინდივიდის პოზიციის გაძლიერება რეგიონალურ საერთაშორისო სამართალში III. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1. ეროვნული სასამართლო ორგანიზაცია. 2. ადამიანის უფლებათა კონვენციის განმარტება. 3. ერთმანეთის პირისპირ მდგომი ადამიანის უფლებების შეფასება 4. ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებში სამართლის განვითარება როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი?

I. საერთაშორისო სამართალი და ინდივიდი

XX საუკუნემდე საერთაშორისო სამართალი წარმოადგენდა სახელმწიფოთაშორის სამართალს, რაც თავს იჩენს ასევე ცნება „საერთაშორისო საჯარო (→ inter nationes) სამართალში“. საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად განიხილებოდა სახელმწიფოები და წმინდა საყდარი, რომლებიც დღესაც საერთაშორისო სამართლის ერთადერთი აბსოლუტური და ნამდვილი სუბიექტები არიან. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მუშაობენ და რომლებსაც ქმედითი ორგანოები გააჩნიათ, საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, შეზღუდული სუბიექტები არიან. ცალკეული ადამიანი თავისი სამშობლო სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო დონეზე ხდება წარმოდგენილი, მასზე არ ვრცელდება საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტობა. დიპლომატიური დაცვის სამართალში დღესაც ასეა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციის სახით ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია მიიღო და არა საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელზეც ყველა წევრი-სახელმწიფო უნდა შეთანხმდეს, ამიტომ ამ დეკლარაციას საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, სავალდებულო ძალა არ გააჩნია. დეკლარაცია პრეამბულაში მოხსენიებულია როგორც იდეალი,¹ „რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში“.

¹ ამ ციტატით მთავრდება პრეამბულა.

მიუხედავად მცდელობისა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისთვის სავალდებულო ძალა მიენიჭებინათ, იგი მაინც რჩება თავდაპირველი მორალური მნიშვნელობის დეკლარაციად. ამასობაში კი, ეროვნულ კონსტიტუციებსა და საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართალში ადამიანის უფლებების დაცვა სამართლებრივად უზრუნველყოფილი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მნიშვნელობა მდგომარეობს მის პირველად ნაპერწკალში, რომელმაც საერთაშორისო სამართალში ადამიანის ახალი ადგილის ინიცირება მოახდინა.

უნივერსალურ საერთაშორისო სამართალზე საუბრისას უნდა ვახსენოთ 1966 წლის 19 დეკემბრის ადამიანის უფლებათა პაქტი, განსაკუთრებით კი 1976 წელს ძალაში შესული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (შემდგომში „პაქტი“).² გარდა ამისა, არსებობს სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც ადამიანთა უფლებების დაცვის სპეციფიკურ პრობლემებს ეძღვნება.³ პაქტის მე-3 ნაწილში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ინდივიდუალურ უფლებებადაა მოცემული, ასე მაგალითად: „თითოეულ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის განუყოფელი უფლება“, „არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში“. მე-2 ნაწილში მოცემულია ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებები პაქტით აღიარებული უფლებების დაცვის მხრივ, ხოლო მე-4 ნაწილში ჩამოყალიბებულია სანქციათა მოხერხებული სისტემა, რომლის ცენტრში დგას ადამიანის უფლებათა კომისია და ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულება. ანგარიშები უნდა დაამტკიცოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ.

გასაჩივრების პროცესუალური უფლებამოსილება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა კომისიაში, მოცემულია 41-ე მუხლში, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, საჩივარი შეიტანოს მეორე წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი არ ასრულებს პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამ წესით, სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად აქვს ვალდებულება აღებული, დაეცემდებაროს საკომისიო

² ამასთან, არსებობს ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (შემდგომში „სოციალურ უფლებათა პაქტი“) უშუალო სამართლებრივი ვალდებულებების გარეშე, რომლებიც დამოკიდებულია არსებულ რესურსებზე.

³ 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ; 1966 წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ; 1966 წლის 19 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ; 1979 წლის 18 დეკემბრის საერთაშორისო კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; 1984 წლის 10 დეკემბრის საერთაშორისო კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ; 1989 წლის 20 ნოემბრის საერთაშორისო კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ; 2006 წლის 13 დეკემბრის საერთაშორისო კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ.

პროცედურებს. იგივე ვრცელდება იმ სახელმწიფოზე, რომლის მიმართ არსებობს ბრალდება, რომ მან პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები დარღვია.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი პაქტები შეიცავს სახელმწიფოთა ზუსტად განვრჩილ ვალდებულებებს. კერძო პირს არ შეუძლია შეიტანოს საჩივარი საკუთარი უფლებების დასაცავად. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება, გააპროტესტოს კერძო პირის მიმართ სახელმწიფოსგან ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევა, რამდენადაც დამრღვევ სახელმწიფოს ამაზე ზოგადი თანხმობა აქვს მიცემული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინდივიდს ანაცვლებს, ჩვენ მაინც უნდა დავინახოთ 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტში საერთაშორისო სამართლის ანთროპოცენტრული გამოყენება,⁴ რომელიც საერთაშორისო რეგიონალურ სამართალში კიდევ უფრო ძლიერდება.

თუ სახელმწიფო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებასაა მიერთებული, იგი, ასევე ემორჩილება იმ დაცვის მექანიზმებს (კომისიას ან სასამართლოს), რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დასაცავად ხელშეკრულების გამოყენებას. ამან შესაძლოა, გამოიწვიოს კონფლიქტი შიდასახელმწიფოებრივ მართლმსაჯულებასა და საერთაშორისო დაცვის ინსტიტუტებს შორის. საერთაშორისო სამართალი შიდასახელმწიფოებრივად ისევე სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც ეროვნული სამართალი. საერთაშორისო სამართლის განმარტება დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შესაძლოა, საერთაშორისო სამართლებრივად იყოს შეთანხმებული. ეს კი ეროვნულ სასამართლოს აიძულებს, აღნიშნული განმარტება საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით და, საბოლოოდ კი, ეროვნულ კონსტიტუციაზე მითითებით აღარ გამოიყენოს. ამგვარმა კონფლიქტმა შესაძლოა, გამოიწვიოს სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დარღვევა.

ადამიანის უფლებათა პაქტები არსებობს არა მხოლოდ გლობალურ, არამედ ასევე რეგიონალურ დონეზე, განსაკუთრებით კი ევროპასა და ამერიკაში, სადაც მოქმედებს ადამიანის უფლებათა რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები და არსებობს სასამართლო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ წესების დაცვას.⁵ ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების თანაქმედებიდან წარმოშობილი პრობლემა სიღრმისეულადაა განხილული მომდევნო თავებში.

⁴ Markus Kotzur, Die anthropozentrische Wende – menschenrechtlicher Individualschutz im Völkerrecht, in: Festschrift für Klaus Stern zum 80. Geburtstag, 2012, S. 811, 822 ff.; Christian Tomuschat, Gewährleistung der Menschenrechte durch die Vereinten Nationen, in: Isensee/Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Band X, 2012, S. 111 ff.

⁵ 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია; 1969 წლის 22 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია.

II. ინდივიდის პოზიციის გაძლიერება რეგიონალურ საერთაშორისო სამართალში

ევროპულ რეგიონალურ საერთაშორისო სამართალში ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობა უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი, ვიდრე უნივერსალურ საერთაშორისო სამართალში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომელიც მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს და 1953 წელს თავდაპირველად 10 წევრი-სახელმწიფოსთვის შევიდა ძალაში, დღეს 49 სახელმწიფოს აერთიანებს და მისი მონაწილეა ყოფილი კომუნისტური წყობის სახელმწიფოები, მათ შორის, მაგალითად, საქართველო.⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულაში ცალსახად კეთდება მითითება გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და იმ ძირითად თავისუფლებებზე, რომლებიც მსოფლიოში სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველია. დღევანდელი რედაქციით, ევროპული კონვენცია პირველ თავში აყალიბებს უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს (მე-2 და მე-18 მუხლები)⁷ და მეორე თავში კი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინსტიტუციურ და ძირითად პროცესუალურ წესებს (19-54-ე მუხლები). ჩვენს თემასთან კავშირშია უმნიშვნელოვანესი დებულებები, რომლებიც მოცემულია 34-45-ე მუხლებში და რომლებიც ადგენენ ინდივიდუალური საჩივრის წესებს და უზრუნველყოფენ ადამიანთა შესაძლებლობას შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურების ამოწურვის შემდეგ, უშუალოდ მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ეს წესი მოქმედებს 1998 წლიდან. ინდივიდუალური საჩივრის უფლება რეალური გარანტიაა კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისთვის, გარანტია, რომელიც გავლენას ახდენს შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაზე. ეს წარმოადგენს დიდ განსხვავებას ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებისგან.

ამ კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ ამერიკის 1969 წლის ადამიანის უფლებათა კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წელს; აღნიშნული კონვენცია პირველ ნაწილში შეიცავს სახელმწიფოთა მოვალეობებს და დაცულ უფლებებს, ხოლო მეორე ნაწილში აწესრიგებს დაცვის საშუალებებს და აფუძნებს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ სასამართლოს, რომელიც მდებარეობს კოსტა რიკაში, ქ. სან ხოსეში. განსხვავებით ევროპული კონვენციისგან, კერძო პირებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ, საჩივრით მიმართონ სასამართლოს კომისიის საშუალებით, რომელიც სასამართლოსთან არსებობს (44-ე მუხლი). მხოლოდ სახელმწიფოებისა და კომისიის უფლებამოსილებაა უშუალოდ მიმართონ სასამართლოს (61-ე მუხლი), რომლის გადანაცვებილებები

⁶ Zur Entstehungsgeschichte vgl. *Jochen Abr. Frowein*, in: Frowein/Peukert, EMRK-Kommentar, 3. Aufl. 2009, S. 1 ff.

⁷ სხვა უფლებები დაცულია კონვენციის 1-ელ, მე-4, მე-6, მე-7 და მე-12 დამატებით ოქმებში.

სავალდებულოა სახელმწიფოებისთვის. კომისიისა და სასამართლოს შერწყმის საკითხზე, როგორც ეს ევროპული კონვენციის შემთხვევაში 1998 წელს მოხდა, მსჯელობა მიმდინარეობს ამერიკულ სისტემაში.

III. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

საერთაშორისო სამართალი და ეროვნული სამართალი ერთმანეთის მიმართ არ არიან ნორმათა მკაცრი იერარქიით განსაზღვრული. ნორმათა იერარქია ან პრიორიტეტულობა მუდმივად გამომდინარეობს უფლებამოსილებების თანმიმდევრული განაწილებიდან. უფლებამოსილებათა გამოიჭვნა ქვეყნის შიგნით კონსტიტუციით არის დადგენილი.

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ურთიერთთანამშრომლობისათვის. როგორც წესი, ამ მიზნით იდება ხელშეკრულებები. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის პრეამბულაში⁸ მითითება კეთდება გაერთიანებული ერების პრინციპებზე (გაეროს წესდების პრეამბულა, 1-ლი და მე-2 მუხლები), რომელშიც შედის სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ძალის გამოყენებაზე უარის თქმისა და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის პრინციპები. უფრო ზუსტად, საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამართალია, რომელიც ეხება ხელშეკრულებებსა და სამართლის რანგში აყვანილ ჩვეულებებს; აქ შედის ცივილიზებული ხალხების მიერ აღიარებული საყოველთაო სამართლის ზოგადი პრინციპებიც.⁹ ამრიგად, სახელმწიფოებს (=inter nationes) შორის მოქმედი სამართალი ეხება სახელმწიფოთა შორის მიღწეულ შეთანხმებებს ხელშეკრულებების, ასევე მოქმედებებისა (ჩვეულებების) და სამართლისადმი საერთო რწმენის გზით. საერთაშორისო სამართალში სამართლის დამცველი ინსტანციებია ზოგადად გაერთიანებული ერების ხსენებული კომისიები და ორგანოები, რომლებიც, ბუნებრივია, იშვიათად ახერხებენ სამართლის აღსრულებას. აღსრულების მეტი ძალა აქვს ევროპის რეგიონალურ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩათვლით.

ეროვნული საკონსტიტუციო სამართალი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყაროა (კონსტიტუციის პრიმატი); ეს მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების განსახორციელებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. გერმანიის საკონსტიტუციო სამართლის მიხედვით, საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები, რომლებიც ფედერაციის პოლიტიკურ ურთიერთობებს არეგულირებს ან ფედერაციული კანონმდებლობით მონესრიგებულ საკითხებს ეხება, საჭიროებს, ყოველ

⁸ Vom 23.5.1969, in Kraft getreten am 27.1.1980 (BGBl. 1985 II, S. 926).

⁹ Art. 38 Abs. 1 Statut des Internationalen Gerichtshofs.

კონკრეტულ შემთხვევაში, ფედერაციული კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენტური ორგანოების თანხმობას ან თანამონაწილეობას, რომელიც ფედერაციული კანონის სახით მიიღწევა (ძირითადი კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საერთაშორისო სამართლის დამდგენი ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და თანასწორობის გამოხატულებას. შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, გერმანიის საკონსტიტუციო სამართალი ადგენს, რომ დემოკრატიულად ლეგიტიმური პარლამენტი კომპეტენტური ორგანოა, მიიღოს სუვერენული აქტი, რომელიც შემდეგ ფედერალური პრეზიდენტის მიერ აღესრულება (ძირითადი კანონის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება). შესაბამისად, იგივე წესი მოქმედებს სხვა სახელმწიფოებში.

საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულება უნდა მოექცეს კონსტიტუციის ჩარჩოებში.¹⁰ საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს, როგორც წესი, აქვთ კანონის რანგი. ეს ნიშნავს, რომ გამოიყენება წესი *lex posterior derogat legi priori* (უკანასკნელი კანონი აუქმებს წინა კანონს), ამრიგად, ახალი კანონი ძველი კანონის მოქმედებას იმავე საგანზე ანაცვლებს. ამ წესის მხედველობაში მიღებით, ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებები ანაცვლებენ ძველ შიდასახელმწიფოებრივ კანონებს, რომლებიც მათთან წინააღმდეგობაშია. ახალი კანონის გამოცემისას კანონმდებელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ისინი გამომდინარეობენ ადრე დადებული საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებებიდან ან მთავრობასთან ურთიერთქმედების გზით ეცადოს, რომ ხელშეკრულება ახალ კანონმდებლობას მოერგოს, რათა შიდასახელმწიფოებრივი სამართალი და საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებები შესაბამისობაში დარჩეს.

გერმანიის ძირითადი კანონის 25-ე მუხლი ადგენს საერთაშორისო სამართლის ფედერაციული სამართლის ნაწილად განხილვის ზოგად წესს.¹¹ საერთაშორისო სამართლის ჩვეულებრივ ფედერალურ სამართალზე იერარქიული ზემდგომობის მხოლოდ ნაწილია ჩვეულებითი სამართალი, როგორც ამას ცალსახად ადგენს კონსტიტუცია, ასევე საერთაშორისო სამართლის როგორც კოდიფიცირებული, ასევე სამართლის ზოგადი პრინციპები, რამდენადაც „საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების“ სამი წყარო მათგან მომდინარეობს; ესაა გერმანიის საკონსტიტუციო-სამართლებრივი ცნება, რომელსაც განმარტავს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (ძირითადი კანონის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტი).

ადამიანის უფლებები, როგორც კატალოგი, ჯერ კიდევ, არაა უნივერსალური საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესები. ადამიანის ელემენტარული უფლებები

¹⁰ Für Deutschland siehe: *Bernd Kempen*, in: v. Mangoldt/Klein/Starck, Kommentar zum Grundgesetz, Bd. II, 6. Aufl. 2010, Art. 59 Rn. 98 ff.; für Spanien Art. 95 Sp.Vf.

¹¹ 25-ე მუხლი ასე უღერს: „საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები წარმოადგენს ფედერალური სამართლის ნაწილს. ისინი კანონზე უპირატესი არიან და ასახევენ ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს“.

მოქმედებს როგორც ადამიანის უფლებათა ჩვეულებითი სამართლით დადგენილი მინიმალური სტანდარტი¹² და ძირითადი კანონის 25-ე მუხლის თანახმად, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები. სადავოდ რჩება საკითხი, შეიცავს თუ არა რეგიონალური საერთაშორისო სამართალი ზოგად წესებს.¹³ რეგიონალური საერთაშორისო სამართალი დიდ როლს თამაშობს ევროპაში, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ძირითადი კანონის 25-ე მუხლი საერთაშორისო სამართლის მიმართ კეთილგანწყობილია, რის მიხედვითაც, გერმანიის ეროვნულ სამართალსა და საერთაშორისო სამართალს შორის რაც შეიძლება სრული ჰარმონიაა, ამდენად, არ არსებობს რაიმე მიზეზი იმისათვის, რომ ასევე რეგიონალური საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესი ძირითადი კანონის 25-ე მუხლით აღიარებულად არ განვიხილოთ, განსაკუთრებით კი ის, რომ „საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები“ არა საერთაშორისო-სამართლებრივი, არამედ გერმანიის საკონსტიტუციო სამართლის ცნებაა. ავტორთა სულ უფრო მზარდი რიცხვი მიიჩნევს ასე.¹⁴ ამ თანამედროვე ხედვას თუ მივყევით, ამგვარ მოთხოვნას აყენებს არა მარტო კონსტიტუციის საერთაშორისო სამართლისადმი კეთილგანწყობა, არამედ ადამიანის უფლებათა ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მოცემულია ძირითადი კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში. ვიდრე ძირითად უფლებათა კატალოგი შედგება, გერმანელი ხალხი აღიარებს ადამიანის განუყოფელსა და განუსხვისებელ უფლებებს, როგორც მსოფლიოში ადამიანთა ყოველი საზოგადოების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს.

ძირითადი კანონის 25-ე მუხლი ადგენს საკონსტიტუციო სამართლის ნორმების სავალდებულო გამოყენების მოთხოვნას, რომელთა გარეშე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები, მსგავსად სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისა, იქნებოდა კანონისმიერ სამართალთან (კანონთან) გათანაბრებული.

ადამიანის უფლებათა დაცვა, გარანტირებული რეგიონალურ ევროპულ საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, იერარქიის პრობლემას წარმოშობს. ეს კონვენცია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, კანონზე მაღლა დგას, მაგრამ უფრო დაბლა დგას, ვიდრე ძირითადი კანონით

¹² Entscheidung des Bundesverfassungsgerichts Band 46, Seite 342, 346 (BVerfGE 46, 342, 346).

¹³ Dagegen sind: *Matthias Herdegen*, in: Maunz/Dürig, Grundgesetz Kommentar, Art. 25 Rn. 32; *Ondolf Rojahn*, in: v. Münch/Künig, Grundgesetz-Kommentar, 5. Aufl. Bd. II, Art. 25 Rn. 9 besonders für in Europa geltende Menschenrechte.

¹⁴ Siehe vor allem jeweils mit weiteren Nachweisen *Christian König*, in: v. Mangoldt/Klein/Starck, Kommentar zum Grundgesetz, 6. Aufl. 2010, Bd. II, Art. 25 Rn. 28; *Rudolf Streinz*, in: Sachs, Grundgesetz Kommentar, 5. Aufl. 2009, Art. 25 Rn. 26; *Ingolf Pernice*, in: Dreier, Grundgesetz Kommentar, 2. Aufl. 2006, Art. 25 Rn. 20; *Hans-Joachim Cremer*, in: Isensee/Kirchhof, Handbuch des Staatsrechts, Bd. XI, 3. Aufl. 2013, § 235 Rn. 17; *Thomas Giegerich*, in: Grote/Marauhn, EMRK/GG Konkordanzkommentar, 2006, S. 86 ff..

აღიარებული ძირითადი უფლებები, რაც ნათლად გამომდინარეობს ძირითადი კანონის 25-ე მუხლიდან, რომელიც საერთაშორისო სამართლის ზოგად ნორმებს მხოლოდ ჩვეულებრივ ფედერალურ სამართალზე მალა აყენებს. გერმანიას აღებული აქვს ვალდებულება, აღიაროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია. კერძო პირებს უფლება აქვთ, მიმართონ ევროპულ სასამართლოს, რათა გერმანული სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკვე შემოწმებულია გერმანიის ძირითადი უფლებების საზომით - ასევე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ - ახლა უკვე ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის თვალთახედვით იქნას შემოწმებული. საქართველოს წინაშე მდგარ ამ პრობლემას ამომწურავად განიხილავს თინათინ ერქვანია.¹⁵

ამ საკითხზე ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ისე, რომ სამართლის უპირატესობის პრობლემა ზედმინვენით არ განუხილავს, ძველ გადაწყვეტილებებზე¹⁶ მითითებით დაადგინა შემდეგი:¹⁷ „კონვენციით დადგენილ გარანტიებს გავლენა აქვთ... ძირითადი უფლებებისა და ძირითად კანონში მოცემული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების განმარტებაზე. კონვენციის ტექსტი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია მოქმედებს საკონსტიტუციო სამართლის დონეზე, როგორც ძირითადი კანონით დადგენილი ძირითადი უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებისა და მოქმედების სფეროს შინაარსის დამდგენი დამხმარე ინტერპრეტაცია, იმ პირობით, რომ ამით არ იზღუდება ან არ კნინდება ძირითადი კანონით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები, რაც ასევე გამორიცხულია კონვენციის 53-ე მუხლით“. ზოგადი თვალსაზრისითა და არსებული სამართალწარმოების პრაქტიკით, შესაძლოა ძირითადი კანონით დადგენილი ძირითადი უფლებები ინტერპრეტაციის სირთულეების გარეშე ისე იყოს მოცემული, რომ ჰარმონიაში მოდიოდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან.¹⁸

ესპანეთისა და პორტუგალიის კონსტიტუციები, რომლებიც მიღებულია შესაბამისად 1978 და 1976 წლებში, ცალსახად აღგენენ, რომ ეროვნულ კონსტიტუციებში მოცემული გარანტიები შეიძლება განმარტებული იყოს მხოლოდ კონვენციის შინაარსიდან გამომდინარე. ესპანეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამბობს: ნორმები, რომლებიც ეხება კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, განმარტებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან და

¹⁵ *Tinatin Erkvania*, *Verfassung und Verfassungsgericht in Georgien*, Baden-Baden 2017, S.147 f.

¹⁶ BVerfGE 74, 358, 370; 83, 119, 128.

¹⁷ BVerfGE 111, 307, 317.

¹⁸ *Jochen Abr. Frowein*, *Übernationale Menschenrechtsgewährleistungen und nationale Staatsgewalt*, in: Isensee/Kirchhof (Hrsg.) *Handbuch des Staatsrechts*, Bd. VII 1992, § 180 Rn. 7, 24 f.; *Christian Starck*, in: v. Mangoldt/Klein/Starck, *Kommentar zum Grundgesetz*, Bd. I, 6. Aufl. 2010, Art. 1 Rn. 215; *Angelika Nußberger*, *Europäische Menschenrechtskonvention*, in: Isensee/Kirchhof (Hrsg.), *Handbuch des Staatsrechts*, 3. Aufl., Bd. X, 2012, § 209, Rn. 11; siehe vor allem *Dieter Dörr/Rainer Grote/Thilo Marauhn* (Hrsg.), *EMRK/GG Konkordanzkommentar*, 2. Aufl. 2013, 2416 Seiten. Zur Leit- und Orientierungsfunktion des EGMR für Georgien vgl. *Erkvania* (Anm. 15), S. 364 ff, 371 ff.

ესპანეთის მიერ რატიფიცირებულ ამ სფეროს მარეგულირებელ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან შესაბამისობაში. იმავეს ამბობს პორტუგალიის კონსტიტუციის მე-16 მუხლი. ავსტრია კი უფრო შორს წავიდა. კონსტიტუციისმდებლის გადანყვეტილებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძირითადი უფლებების შესახებ დებულებები აყვანილ იქნა ფედერალური საკონსტიტუციო სამართლის რანგში. აქ საქმე გვაქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულების ეროვნულ საკონსტიტუციო სამართალში ინკორპორირების განსაკუთრებულ ფორმასთან.¹⁹ 1867 წლის 21 დეკემბერს მიღებული სახელმწიფოს ძირითადი კანონის გვერდით, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოს მოქალაქეთა ზოგად უფლებებს,²⁰ ასევე მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, როგორც საკონსტიტუციო სამართალი. თუმცა, ავსტრიაში, ისევე როგორც ესპანეთსა და პორტუგალიაში, თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიების პრიმატს, რომლებსაც კონკრეტული სახელმწიფოა მიერთებული.

შეაჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის უფლებები ევროპულ რეგიონალურ საერთაშორისო სამართალში, საკონსტიტუციო სამართლის მხრივ, სხვადასხვა ფორმით მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე. ამის შედეგად, ხელშეკრულების მონაწილე უმეტესი სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა იდეის მაღალ დონეზე განხორციელებას და აღიარებს ინდივიდის სტატუსს საერთაშორისო სამართალში.

IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ეროვნული სასამართლოები

1. ეროვნული სასამართლოს ორგანიზაცია

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ხელმოწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან დაემორჩილონ სასამართლოს იმ საბოლოო გადანყვეტილებებს, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ (კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). სამართლებრივი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიძლება გადანყვეტოს, თუ ყველა შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი გასაჩივრების შესაძლებლობა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, ამოწურულია (კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ეს ნიშნავს იმას, რომ, როგორც წესი, ეროვნული სასამართლო წარმოების საკასაციო ინსტანციას, როგორც საბოლოო ინსტანციას, გადანყვეტილება უნდა ჰქონდეს მიღებული. ქვეყნებში, როგორც

¹⁹ Art. II Ziff. 7 des Bundesverfassungsgesetzes vom 4. März 1964 (Österr. BGBl. 1964, S. 59). Siehe dazu *Gerhard Baumgarten*, Das Verhältnis der Grundrechtsgewährleistungen auf europäischer und nationaler Ebene, in: *Zeitschrift für öffentliches Recht* 54 (1999), S. 117, 120 ff.; *Theo Oehlinger*, Verfassungsrecht, 7. Aufl. 2007, Rn. 681 (S. 295); *Heinz Schäffer*, Die Grundrechte im Spannungsverhältnis von nationaler und europäischer Perspektive, in: *Zeitschrift für öffentliches Recht* 62 (2007), S. 1, 4 f.

²⁰ Siehe Art. 149 Abs. 1 Bundes-Verfassungsgesetz.

არის გერმანია, ესპანეთი და საქართველო, სადაც არსებობს საკონსტიტუციო სარჩელის უფლება,²¹ გასაჩივრების შიდა რესურსები უნდა იყოს ამოწურული. როგორც ჩანს, ეს წესი თანმიმდევრულია. საკონსტიტუციო სასამართლო ხსენებულ ქვეყნებში, ცალკეულ ინდივიდუალურ შემთხვევებში, უფლებამოსილია ძირითადი უფლებების განმარტებასა და გამოყენებაზე.²² თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, გადაწყვიტოს სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არსებული საკონსტიტუციო სარჩელი, სამართლებრივი პროცესი ამოიწურება საკასაციო სასამართლოთი.

საკონსტიტუციო სასამართლო არ არსებობს დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში და, ამდენად, აქ ჩვეულებრივი სასამართლოების მოვალეობაა იზრუნონ ძირითადი უფლებების დაცვაზე. დიდ ბრიტანეთში 2000 წელს შევიდა ძალაში 1998 წელს მიღებული კანონი „ადამიანის უფლებათა შესახებ“, რომელსაც ბრიტანულ სამართალში ადამიანის უფლებათა კონვენციის ნორმები გადმოაქვს. თუ მომავალში გამოცემული ბრიტანული კანონი წინააღმდეგობაში იქნება ადამიანის უფლებების შესახებ კანონთან, მოსამართლე უფლებამოსილია, ახალი აქტი კანონმდებლობად გამოაცხადოს. ეს საშუალებას გვაძლევს, კანონში ცვლილებები დაჩქარებული წარმოებით შევიდეს. მთავრობას შეუძლია, პარლამენტის უბრალო უმრავლესობით გამოსცეს ეს კანონი, რომელიც ადამიანის უფლებათა კონვენციასთან იქნება შესაბამისობაში.²³

2. ადამიანის უფლებათა კონვენციის განმარტება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (კონვენციის 34-ე მუხლი) ამოწმებს, აქვს თუ არა ადგილი კონვენციის დარღვევას. ამ მიზნიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა განმარტოს კონვენციის ტექსტი.²⁴ ეროვნულ დონეზე არსებული ძირითადი უფლებებისა და ადამიანის უფლებების განმარტება, როგორც წესი, ერთმანეთთან ახლოს დგას, რადგან განმარტება ეხება ერთი და იმავე ტრადიციას. ბუნებრივია, შესაძლოა იყოს გარკვეული შეუსაბამობანი ტექსტში განსხვავებების მხრივ.

კონვენციის განმარტების ამოსავალი წერტილია სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ობიექტური მნიშვნელობით ტექსტი ქმნის განმარტების ამოსავალ წერტილს; აქ იგულისხმება ხელმეკრულების კონტექსტი, მათ შორის პრეამბულა და ხელმეკრულების მიზანი, რომელიც უმეტესწილად პრეამბულაშია მოცემული. დამატებითი განმარტების საშუალებას წარმოადგენს ხელმეკრულების გაფორმების (32-ე მუხლი) მოსამზადებელი სამუშაოები და გარემოებები, რომლებიც უფრო მეტად საჭიროა მანამდე აღმოჩენილი და არა ახალი შედეგების დასამოწმებლად. მაშასადამე, საქმე გვაქვს განმარტების კლასიკურ ინსტრუმენტებთან.

²¹ Christian Starck, Die Bedeutung der Schumannschen Formel für Rechtssysteme mit Urteilsverfassungsbeschwerde, in: H. Roth (Hrsg.), Symposium „50 Jahre Schumannsche Formel“, 2014, S. 29 ff.

²² Starck (Anm. 21), S. 29, 33 ff.

²³ Julian Rivers, Menschenrechtsschutz im Vereinigten Königreich, in: Juristenzeitung 2001, S. 127, 130.

²⁴ Siehe dazu ausführlich Hans-Joachim Cremer, in: Grote/Marauhn (Anm. 15), S. 155 ff.

ხოლო ცალკეული ნორმის ტელეოლოგიური განმარტება შესაძლოა იყოს შეზღუდვითი ან განვრცობითი. ადამიანის უფლებათა გარანტიის დინამიური განმარტება საჭიროებს სათანადო არგუმენტს თავად ხელშეკრულებიდან. შეუსაბამო იქნებოდა აქ მითითება ადამიანის უფლებათა ეროვნული დაცვის გაფართოებაზე. კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად, ეს უფლება შესაბამისი სახელმწიფოს არსენალშია, მაგრამ იგი არ იჭრება საერთაშორისო სამართალში. ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომელთა გამოყენების საკითხს საერთაშორისო მოსამართლე წყვეტს, წამოჭრის სამოსამართლეო სამართლის განვითარების პრობლემას, როგორც ეს ხდება სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების დროს მათი დინამიურობის ელემენტის გათვალისწინებით; და ამ პრობლემას უფრო ფრთხილი მიდგომა სჭირდება, ვიდრე ეს ეროვნულ სასამართლოებში წარმოებს.

კონვენციით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და ეროვნულ კანონმდებლობაში მოცემულ ძირითად უფლებებს შორის განსხვავება შესაძლოა იმაში მდგომარეობდეს, რომ ადამიანის უფლებათა და ეროვნულ ძირითად უფლებათა შეზღუდვები სხვაგვარადაა ფორმულირებული. ვახსენებ მხოლოდ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც გახდა ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი, საქმე ეხებოდა ადამიანის ან ძირითადი უფლების გამოყენებას ცალკეულ შემთხვევაში, სადაც მნიშვნელოვნად მოხდა ძირითადი და ადამიანის უფლებების შეზღუდვა. ძირითადი და ადამიანის უფლებების დარღვევის დასაშვები ზომის განმარტებისთვის კარგ სამსახურს გვინევს პროპორციულობის პრინციპი, მაგრამ იგი არ გამოორიცხავს დისკრეციული შეფასების თავისუფალ სივრცეს. როდესაც სამოქალაქო პროცესში ერთმანეთს უპირისპირდებიან კერძო პირები, რომელთა ძირითად უფლებებს ეხება საქმე, საჭირო ხდება ერთმანეთის პირისპირ მდგომი ძირითადი უფლებების დაბალანსება.

3. ერთმანეთის პირისპირ მდგომი ადამიანის უფლებების შეფასება

დავიმონმებთ მაგალითს, რომელიც ამ პრობლემას ნათლად წარმოაჩენს. ამ საქმეში, რომელიც გერმანიის სამოქალაქო საქმეთა სასამართლომ და შემდგომ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტეს, განიხილებოდა ერთმანეთის პირისპირ მდგომი საგაზეთო კომპანიის პრესის თავისუფლების ძირითადი უფლებისა და ადამიანის პირადი უფლებების დაცვის საკითხი; აღნიშნული უფლებები ერთმანეთის პირისპირ უნდა შეფასებულიყო. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სხვა გადაწყვეტილება გამოიტანა, ვიდრე ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. საერთაშორისო-სამართლებრივად პირადმა უფლებამ დაჯაბნა პრესის თავისუფლება. კონსტიტუციურ-სამართლებრივად კი, პრესის თავისუფლებას მიენიჭა უპირატესობა.

რთულია ამ წინააღმდეგობის ასე აბსტრაქტულად აღქმა. ამიტომ მომიწევს უფრო დეტალურად აღვწერო ეს საქმე და სასამართლოს არგუმენტაცია. გერმანიის რამდენიმე საგაზეთო ბულვარულ გამოცემაში გამოჩნდა ჰანოვერის პრინცესა კაროლინას (დაბადებით მონაკოს პრინცესა) პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები და ფოტოს ქვემოთ ტექსტი: პრინცესა ჯირითისას, ველოსიპედის ტრეკზე, ბაზარში მცველთან ერთად საყიდლებზე, რესტორანში მსახიობებთან ერთად ტოვებს პარიზთან ახლოს მდებარე სახლს თანმხლებ პირებთან ერთად, ჩოგბურთის თამაშისას და ველოსიპედის პარკთან მეულღესთან, პრინც ერნსტ აუგუსტ ჰანოვერელთან ერთად პრინცესა საცურაო კოსტიუმში მონტე კარლოს სანაპირო კლუბში რაღაც საგანს ფეხს წამოდებს და ძირს ეცემა.

ორივე სასამართლო²⁵ უშვებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ პირად ცხოვრებაზე უფლება კერძო პირებს შორის ურთიერთობებში დაიცვას. ორივე სასამართლო აფასებს პრესისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიული საზოგადოების არსებით საფუძველს. ასევე თანხმობაა იმაზე, რომ ფოტოს გადაღება პრესისა და გამოხატვის თავისუფლებაში შედის.

მაგრამ განსხვავება შემდგომ არგუმენტაციაშია სერიოზული. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღგენს, რომ პრინცესა არის სრული მნიშვნელობით თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელი პირი. ამასთან, პრესას უფლება აქვს, პუბლიცისტური კრიტიკით განსაზღვროს, რა შეესაბამება საჯარო ინტერესს. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ეს არ გამოირიცხავს პირადი უფლებების დაცვის მოთხოვნის განხორციელებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ცნების - „სრული მნიშვნელობით თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელი პირი“ პრინცესას მიმართებით გამოყენება, რომელზეც პრესა აპელირებდა და აქედან გამომდინარე, შედეგები. თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელი პირი ნორმატიული ცნებაა, რომელიც სასამართლოებმა სავალდებულო წესით განმარტეს პრესისთვის და ამით პირის ადეკვატური დაცვის გათვალისწინება დაადგინეს. ეს დაცვა იწყება უფრო ადრე, ვიდრე მოხდება შეფასება. თუ პირი არაა თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელი ან არ მოქმედებს ასეთად, მისი სურათები შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით გასაჯაროვდეს.

ევროპული სასამართლო განასხვავებს პრესის ორგანოებს იმის მიხედვით, გართობას ემსახურებიან ისინი მხოლოდ, თუ პოლიტიკურ აზრსაც აყალიბებენ. და მართლაც, ორივე ასეთი პრესა პრესის თავისუფლების დაცვის ქვეშ იმყოფება. კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებისას, მნიშვნელოვანია ასევე პრესის შინაარსი. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პოპულარული პრინცესას შესახებ რეპორტაჟში ხედავს ყურადღების მიპყრობის მნიშვნელოვან პუბლიცისტურ საშუალებას. სასამართლოს აზრით,

²⁵ BVerfGE 101, 361 ff.; EGMR v. 24.6.2004, in: Neue Juristische Wochenschrift 2004, S. 2647 ff.

პერსონიფიკაცია ალვიძებს ინტერესს პრობლემის მიმართ და თემის გაშუქების სურვილის საფუძველს იძლევა. სხვათა შორის, პოპულარული ადამიანები გამოხატავენ გარკვეული მორალური ფასეულობებისა და შეხედულებების სიმბოლოს და იძლევიან კერძო ცხოვრებისეული გეგმების ორიენტაციის შესაძლებლობას.

თუ ფოტოების გამოქვეყნების თაობაზე ორივე არგუმენტს შევადარებთ, შეგვიძლია წინასწარ გნვჭვრიტოთ შეფასების შედეგი. და მართლაც, არც ერთი სასამართლო პრესის თავისუფლების საყოველთაო დაცვის საზიანოდ არ განიხილავს პრესის ხარისხსა და პუბლიკაციის შინაარსს. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ეს თანასწორობა დაცული იყო და საფუძვლად დაედო პიროვნული უფლებებისა და პრესის თავისუფლების შეფასებას, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება პრესის პუბლიკაციის შინაარსითაა განმსჭვალული. ამის შემდეგ, იდეის გავრცელება სხვაგვარად არის განხილული, ვიდრე პირზე პირადი ინფორმაციის შემცველი სურათის ტირაჟირება, ან როგორც ერთგან არის ნათქვამი: კერძო პირის პირადი ცხოვრების ამსახველი სურათების გავრცელება.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილებით, დასაცავ პირად სფეროს, რომელიც ასევე გააჩნიათ სრული მნიშვნელობით თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელ პირებს, გარდა შინაური სფეროსი, განეკუთვნება იზოლირებული ადგილები, რომელშიც პირი მიდის, რათა ობიექტური აღქმით სურს, განმარტოვდეს ან როგორც სურს, ისე მოიქცეს. ამის საპირისპიროდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იზოლირებული ადგილის კრიტერიუმი პრაქტიკულად ბუნდოვანია და დაინტერესებული მხარისთვის რთულად აღსაქმელი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მან უნდა შეძლოს, იზოლირებული ადგილის პირობა ამტკიცოს, როცა ეს მის კერძო საკუთრებას არ შეადგენს. სასამართლო მიუთითებს შედეგებზე: თუ საქმე არ გვაქვს იზოლირებულ ადგილთან, თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელმა პირმა უნდა აიტანოს, რომ მას ყოველ წუთს შეიძლება გადაუღონ ფოტო და რომ ეს სურათი გავრცელდება. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ასევე ფოტოს გადაღების ფარული ხასიათი.

აქ ჩვენ მივედით მეოთხე პრობლემასთან: კომერციალიზმასთან. აქაც არგუმენტაცია ურთიერთსაწინააღმდეგოა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ მონაკოს სამეფო სახლმა პრინცესას დაბადებისას ბავშვის სურათები პრესას მიანოდა ანაზღაურების სანაცვლოდ. თუმცა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ ფაქტს მაინც არ იყენებს საკუთარი არგუმენტაციისთვის. ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის მართალი, რომ არ განიხილავს ამ მომენტს თავის გადანწყვეტილებაში. ევროპულმა სასამართლომ კომერციალიზაციის არგუმენტი შემოაბრუნა და პრინცესას პიროვნული უფლებების დაცვის შეფასებისას უპირატესობა მიანიჭა პრინცესას გადანწყვეტილებას იმ საჯაროობის ინტერესთან შედარებით, რომელიც

ამბობს, რომ საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული პრინციპსა პირადი ცხოვრების შესახებ და, შესაბამისად, უპირატესობა მიანიჭა პრინციპსა უფლებას საგაზეთო პრესის ეკონომიკურ ინტერესებთან შედარებით, ფოტოები და სტატია გამოეყვანებინათ გაყიდვების გასაზრდელად.

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებით, ასეთი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემაჯამებელი დასკვნა:

- სრული გაგებით თანამედროვე ისტორიის წარმომადგენელ პირად ადამიანი არ იქცევა იმით, რომ პრესასა და საზოგადოებას მის მიმართ ინტერესი გააჩნია მისი მმართველი გვარისადმი კუთვნილების გამო.
- ერთი მხრივ, პრესისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შეფასებისას და მეორე მხრივ, პიროვნული უფლებებისა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პუბლიკაციის შინაარსი და ილუსტრაციასა და კომენტარებს შორის განსხვავება.
- დასაცავი პირადი სფერო არ შეიძლება სივრცობრივად შემოიფარგლოს ბინისა და იზოლირებული ადგილის სფეროთი.

რაც შეეხება ილუსტრაციასა და კომენტარს შორის განსხვავებას და მათ შეფასებას, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოხერხებულ ჟურნალისტებს ყველა შესაძლებლობას სთავაზობს, პიროვნებათა სურათები გამოაქვეყნონ. მოდურად ჩაცმული პრინციპსა ორიენტაციას იძლევა მოდის საკითხებში, ხოლო ცუდად ჩაცმული პრინციპსა გვიჩვენებს, რომ „მდიდრები და ლამაზები“ მოდის დიქტატს არ ემორჩილებიან.²⁶

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის ბოლო გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვნად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კურსს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებები მოიწონა.²⁷ ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნებზე, რომლებსაც მართლმსაჯულების დიდი ისტორია გააჩნიათ და ძირითად უფლებებს მაღალ დონეზე იცავენ. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ერთმანეთის პირისპირ მდგომი ძირითადი უფლებების ბალანსირებისას კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა შეფასდეს ძირითადი უფლების მდგომარეობა: ამ შემთხვევაში პრესის თავისუფლება და პიროვნული უფლებები. საკონსტიტუციო სამართლის ლიტერატურაში კარგა ხანია მრავლად არსებობს კრიტიკული კომენტარი პიროვნული უფლებების არდაფასე-

²⁶ Vgl. *Christian Starck*, Anmerkung zu BVerfGE 120, 180, in: *Juristenzeitung* 2008, S. 634 f.
²⁷ EGMR, Große Kammer, AZ 40660/08 v. 7.2.2012.

ბაზე ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამიტომაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აქ ნაცოფიერ ნიადაგზე აღმოჩნდა.²⁸

4. ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებში სამართლის განვითარება როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი?

Das ist ein Plausibilitätsargument und als solches, verglichen mit empirischen Erhebungen, weniger überzeugend. Aber nicht jedes richterliche Verhalten lässt sich empirisch erfassen, und auch die Rechtsrealisten verfügen nicht über exklusive empirische Einsichten, sondern leiten ihre Erkenntnisse über richterliches Verhalten aus einer vorgefassten Prämisse, der *Rational-choice*-Theorie, ab. Es ist allerdings keineswegs klar, unter welchen Bedingungen, in welchem Umfang und in welchen Bereichen des gesellschaftlichen Lebens der *Rational-choice*-Ansatz eine vollständige und zuverlässige Erklärung menschlichen Verhaltens verspricht. Hinzu kommt, dass Sozialwissenschaftler oft nicht mit der spezifisch rechtlichen Argumentation, also der Art und Weise, wie eine konkret-individuelle Entscheidung aus einer abstrakt-generellen Norm abgeleitet wird, vertraut sind und deswegen dazu neigen, sie zu unterschätzen, wie *Robertson* richtig bemerkt.

Die folgende Diskussion bezieht sich auf den Richter-Typus, den *Robertson* vor Augen hat, also denjenigen Richter, der sich ernsthaft bemüht, verfassungsrechtliche Fragen aufgrund seiner juristisch erlangten Überzeugung von dem Sinn einer Norm zu entscheiden. Dieses Richterbild ist nicht als Idealtypus, sondern als Realitätsbeschreibung gemeint. Es entspricht meiner eigenen Erfahrung als Mitglied eines solchen Gerichts.⁶ Die Karlsruher Richter versuchten stets, die Antwort auf eine verfassungsrechtliche Frage aus der Verfassung zu entwickeln. Ein Richter, der nicht in der Lage gewesen wäre, seine Auffassung mit rechtlichen Argumenten zu begründen, oder der politisch statt juristisch argumentiert hätte, wäre diskreditiert gewesen. Es war gang und gäbe, dass Mitglieder des Gerichts ihre ursprüngliche Vorstellung von der richtigen Lösung aufgrund der in der Beratung vorgebrachten Argumente änderten.

Das bedeutet freilich nicht schon das Ende der Diskussion, denn der Versuch, verfassungsrechtliche Streitfragen juristisch zu entscheiden, könnte vergeblich sein, etwa weil der Richter dem Verfassungstext nicht genügend Anhaltspunkte entnehmen kann, um einen Fall auf rein rechtlicher Grundlage zu entscheiden, so dass Raum für andere Erwägungen bleibt. Daher muss der Fokus noch einmal verengt und die Frage gestellt werden, ob und inwieweit der Prozess der Anwendung einer Verfassungsnorm auf einen Fall in sich selbst ein politischer Akt ist. Damit verlagert sich das

⁵ David Robertson, *The Judge as Political Theorist. Contemporary Constitutional Review*, Princeton: Princeton University Press, 2010, S. 21: “This book is rather different from most work by political scientists on courts, not because I think other work wrongly conceived, but because I am much more concerned with judicial argument, which I take to be the core of judges’ activity, and central to understanding the role courts play in complex societies. ... My method is to take judicial argument seriously as one of the major, if not the sole, determinants of the decisions courts make.” He prefers this approach “because it simply seems beyond credibility that so many thousands of professionally socialized able men and women should be lying or deluding themselves in their arguments”.

⁶ Vgl. „Ich bin ein Freund der Verfassung“. Dieter Grimm im Gespräch mit Oliver Lepsius, Christian Waldhoff und Matthias Roßbach, Tübingen: Mohr Siebeck, 2017.

Problem von der Bereitschaft der Richter, sich von den Normen der Verfassung binden zu lassen, auf die Bindungsfähigkeit der Verfassungsnormen selbst.

Im Gegensatz zu Einzelweisungen, die sich auf eine bestimmte, bereits gegebene Situation beziehen und im Vollzug erschöpfen, gelten Rechtsnormen für eine unvorhersehbare Vielzahl zukünftiger Fälle. Deshalb müssen sie mehr oder weniger generell und abstrakt formuliert sein. Die Fälle, auf welche sie angewandt werden, sind dagegen stets individuell und konkret. Zwischen Norm und Fall tut sich daher eine Kluft auf. Das hat zur Folge, dass die Norm oft nicht umstandslos auf den Fall angewendet werden kann. Die Kluft muss vielmehr durch Auslegung überbrückt werden. Auslegung ist der Versuch festzustellen, was die abstrakte und generelle Norm für den individuellen und konkreten Fall bedeutet. In der Regel verlangt das vom Rechtsanwender, dass er aus der abstrakt-generellen Norm einen konkreteren Rechtssatz ableitet, der dann auf den Fall anwendbar ist.

Das kann je nach Alter und Bestimmtheit der Norm und Neuartigkeit und Komplexität des Falles schwerer oder leichter sein. Keine Rechtsnorm ist aber so klar, dass sie niemals Zweifel an ihrer Bedeutung für den Einzelfall aufkommen lässt. Ob eine Norm vage und unbestimmt formuliert ist, erkennt man beim Lesen des Normtextes. Ob eine Norm klar und eindeutig ist, kann hingegen nicht unabhängig vom Fall, auf den sie angewendet werden soll, festgestellt werden. Ein und dieselbe Norm kann im Hinblick auf einen Sachverhalt klar, auf einen anderen dagegen unklar sein. Zwar ist nicht ausgeschlossen, dass an der Bedeutung einer Norm für einen Fall keine vernünftigen Zweifel bestehen. Derartige Fälle kommen normalerweise aber gar nicht erst vor Gericht. Die meisten verfassungsgerichtlichen Verfahren entstehen gerade aus berechtigten Zweifeln an der Bedeutung von Verfassungsbestimmungen für den konkreten Fall.

Vage Rechtsnormen sind zudem im Verfassungsrecht häufiger als im Gesetzesrecht. Viele Verfassungsnormen sind Prinzipien und keine Regeln im Sinne von *Robert Alexys* Terminologie.⁷ Die Kluft zwischen Norm und Fall ist daher meist größer als beim einfachen Recht. Dem Richter, der die Verfassung auf Streitfälle anwendet, eröffnen sich also Interpretationsspielräume. Sie lassen zwar keine beliebigen Deutungen zu, denn jeder Spielraum hat Grenzen, erlauben aber mehr als nur eine akzeptable Deutung. Die Füllung der Spielräume ist kein rein kognitiver Vorgang. Die Auslegung einer Norm erschöpft sich nicht in der Aufdeckung eines Sinns, der bereits zum Zeitpunkt des Erlasses in ihr deponiert wurde. Der Normkonkretisierung ist auch ein kreatives Element eigen. Der konkretisierte Normsatz wird nicht einfach gefunden, sondern bis zu einem gewissen Grad konstruiert, allerdings so, dass er in einer Argumentationskette auf die Norm zurückgeführt werden kann.

Reicht diese Tatsache aus, um zu beweisen, dass die Anwendung von Verfassungsnormen auf konkrete Fälle von Natur aus politisch ist? Wenn es zuträfe, dass bereits dort, wo die Bestimmtheit der Norm endet, die Rechtsprechung beginnt, politisch zu werden, wäre nicht nur die Verfassungsrechtsprechung, sondern jede Rechtsprechung politisch. Dies ließe jedoch die verschiedenen Einschränkungen außer Acht, denen Rechtsanwender unterliegen. Wie der Bereich der Unbestimmtheit gefüllt und wie eine vage Norm auf den zu entscheidenden Fall anwendbar gemacht wird, ist nicht dem richterlichen Belieben überlassen, sondern wird selbst wieder rechtlich gesteuert. Die Spielräume verengen sich durch die juristische Dogmatik, also in Wissenschaft und

⁷ Robert Alexy, *Theorie der Grundrechte*, Baden-Baden: Nomos, 1985, S. 71 ff.

Praxis herausgebildete und überwiegend geteilte Auffassungen von der „richtigen“ Auslegung, durch Präzedenzfälle und durch die Interpretationsmethode.

Mit der Dogmatik und mit Präzedenzfällen steht dem Rechtsanwender ein Speicher bewährter und anerkannter Interpretationen von Rechtsnormen und -begriffen zur Verfügung, auf den er für die Lösung wiederkehrender Rechtsprobleme zurückgreifen kann, anstatt bei jedem Fall gänzlich neue Lösungen entwickeln zu müssen. Juristische Methoden zeigen Wege auf, wie unbestimmt formulierte Normen rational konkretisiert werden können, ohne dass die Normbindung aufgegeben würde. Es ist eine der Aufgaben von Methodenlehren, rechtliche von nicht-rechtlichen Argumenten zu scheiden. Die juristische Ausbildung besteht zum Großteil darin, Studenten mit Dogmatik und Präzedenzfällen vertraut zu machen und ihnen die Fähigkeit zu einem objektivierten, rationalen Umgang mit Rechtsnormen zu vermitteln, die keiner unmittelbaren Anwendung auf einen konkreten Fall fähig sind.

Das dogmatische und methodologische Arsenal der Juristen ist reichhaltig. Die einschlägige Norm steht nicht für sich, sondern ist Teil eines größeren Normzusammenhangs. Oftmals liefert dieser systematische Zusammenhang weitere Informationen über die Bedeutung einer Vorschrift. Gleiches gilt für die Frage nach dem Zweck einer Norm. Gesetzgebung ist eine zweckgerichtete Tätigkeit. Jede Norm wird mit Blick auf eine bestimmte Wirkung geschaffen, die sie in der Realität entfalten soll. Ein Blick in die Gesetzgebungsgeschichte kann daher aufschlussreich sein. Wollte man alle rechtlichen Instrumente beschreiben, die helfen, den Sinn von Normen zu ermitteln, müsste man hier eine Methodologie der Verfassungsinterpretation einschieben.

Freilich binden weder Dogmatik noch Rechtsmethoden den Richter in der gleichen autoritativen Weise wie der Text der Norm. Dogmatik und Methodik sind das Ergebnis eines fortdauernden Prozesses der Arbeit am Recht, an dem Wissenschaftler und Praktiker beteiligt sind. Dieser Prozess ist selten unumstritten und nie abgeschlossen. Verschiedene Methoden konkurrieren miteinander, und das Ergebnis eines Rechtsstreits kann von der Methode abhängen, die das Gericht bevorzugt. Die Grenze zwischen rechtlichen und nicht-rechtlichen Argumenten kann von verschiedenen Methodenlehren unterschiedlich gezogen werden. So wurden teleologische Argumente etwa lange Zeit als nicht-rechtliche Argumente angesehen. Für die eine methodologische Schule ist die Anpassung alter Normen an moderne Herausforderungen Politik, für eine andere Recht.

Dessen ungeachtet sind sie rechtliche Methoden. Jede von ihnen formuliert Voraussetzungen, unter denen die Interpretation einer Norm Anspruch auf rechtliche Richtigkeit erheben kann. Aber da es keine externe Instanz gibt, die entscheiden könnte, welche Dogmatik und welche Methode die richtige ist, muss man schließen, dass es immer mehrere Interpretationen geben wird, ohne dass gesagt werden könnte, welche davon richtig und welche falsch ist. Fälle, in denen lediglich eine einzige Normauslegung Richtigkeit beanspruchen kann, sind seltene Ausnahmen. Für die überwiegende Mehrheit der Fälle, und sicherlich für diejenigen, die zum Gegenstand verfassungsrechtlicher Streitigkeiten werden, gibt es mehr als eine Lösung, die rechtlich vertretbar ist.

Dies darf jedoch nicht zu der Annahme eines „anything goes“ verleiten. Es gibt Interpretationen, die eindeutig falsch sind, und zwar unabhängig davon welche Dogmatik oder Methode vorherrscht. „Falsch“ bedeutet in diesem Fall, dass die Interpretation außerhalb des Spielraums möglicher Interpretationen liegt. Befindet sich die Interpretation innerhalb dieses Spielraums, dann sind Meinungsverschiedenheiten zwischen Richtern über die richtige Lösung immer noch rechtliche

Meinungsverschiedenheiten. Es bleibt aber dabei, dass die Begrenzung des Normgehalts und das Auffüllen des Raums, den eine Norm für die Interpretation belässt, dem Richter Entscheidungen abfordert, die nicht vollständig durch den Text der Norm determiniert sind.

Dies ermöglicht eine letzte Eingrenzung des Problems. Die Frage ist nun, was die Wahl zwischen verschiedenen rechtlich möglichen Lösungen bestimmt. Schlagen dort endlich politische Überzeugungen, Parteaaffiliationen, Eigeninteressen ungehindert durch? Soziologen, die Licht in die *black box* zu bringen versuchen, indem sie die Sozialdaten von Richtern erheben, scheinen das anzunehmen. Aber die Frage nach dem Elternhaus, der Religionszugehörigkeit, dem Familienstand, den Besitzverhältnissen und was sonst noch interessenbegründend sein mag, wäre ja nur dann aussagekräftig, wenn zwischen diesen Merkmalen und dem Entscheidungsverhalten eine Kausalbeziehung bestünde, wenn also ein katholischer Richter immer zugunsten der Kirche, ein Unternehmersohn gegen die Gewerkschaften, ein Hauseigentümer zugunsten der Vermieter urteilte.

Diesen Vulgärsoziologismus kann man auf sich beruhen lassen. Ernster ist dagegen jene soziologische Theorie zu nehmen, die zur Erklärung richterlichen Verhaltens nicht bei den subjektiven Interessen individueller Richter, sondern den objektiven Interessen ihrer Institution, der Justiz, ansetzt. Richter bestimmen und füllen danach den Interpretationsspielraum, den eine Norm lässt, in der Weise, dass ihre eigene Macht wächst. Das kann vorkommen. Doch unterschätzen diese Theorien die Eigenlogik des Rechtssystems und die relative Autonomie rechtlicher Prozesse. Sie unterscheiden auch nicht genügend zwischen Absicht und Wirkung. Die Absicht einer professionellen Behandlung von Rechtsfragen ist es, den Geltungsanspruch von Rechtsnormen bestmöglich einzulösen. Die Wirkung ist häufig eine Ausdehnung der Kontrollbefugnis des Gerichts.

Die Bestimmung und Füllung des Interpretationsspielraums macht also Entscheidungen nötig, die vom Normtext nicht völlig determiniert sind und deswegen ohne Verstoß gegen die Norm so oder anders ausfallen können. Wie kommen diese zustande? Vor allem sind es Vorverständnisse und Hintergrundannahmen, welche die Normkonkretisierung im Unbestimmtheitsbereich anleiten. Sie sollten nicht vorschnell für rein subjektiv gehalten werden. Viele sind überindividueller Natur. Zeitströmungen wie zum Beispiel veränderte Einstellungen etwa zu Geschlechterrollen oder sexueller Orientierung spielen eine Rolle und beeinflussen die Auslegung des höchst offenen Gleichheitssatzes. Verfassungsgerichte stehen nicht außerhalb der Gesellschaft, für die sie Recht sprechen. Sie sind dem Wandel der Anschauungen ebenso ausgesetzt wie sie auf ihn einwirken.

Hintergrundannahmen können auch bestimmte Grundauffassungen über eine gerechte Gesellschaftsordnung betreffen, etwa die Frage, was dem Markt überlassen werden kann und was der Staat in eigene Regie nehmen muss. Sie können bedeutsam werden, wenn es darum geht, Beschränkungen der wirtschaftlichen Grundrechte verfassungsrechtlich zu beurteilen. Hintergrundannahmen können sich auf die Funktion von Verfassungen beziehen. Bilden sie lediglich eine Rahmenordnung der Politik oder enthalten sie Handlungsvorgaben für die Politik? Zu den Hintergrundannahmen kann ferner die Einstellung von Richtern zu ihrer eigenen Funktion im politischen System gehören und zum Beispiel für die Frage nach „judicial activism“ oder „judicial self-restraint“ bedeutsam werden.

Jeder Richter steht unter dem Imperativ, juristisch richtig zu entscheiden, ohne dass aber die Richtigkeit im Verfassungstext abschließend vorausbestimmt ist. Jeder Richter muss daher anerkennen, dass diejenigen, welche zu einem anderen Ergebnis kommen als er selbst, deswegen

nicht notwendig juristisch falsch oder gar unjuristisch entschieden haben. Aus diesem Grund sind strittige Urteile oder Sondervoten kein Beweis dafür, dass es in Wahrheit gar nicht ums Recht geht. Über die richtige Deutung des geltenden Rechts kann legitimerweise gestritten werden. Die Gesellschaft darf ihre Gewissheitserwartungen an das Recht nicht unrealistisch überziehen. Die Rechtsgewissheit ist in der Regel nicht schon mit der Inkraftsetzung der Norm erreicht, sondern wird erst in der Anwendung auf den Fall vollendet.

Vorverständnisse und Vorstellungen wie die genannten sind unvermeidlich, solange das Urteilen nicht Robotern überlassen werden kann. Obwohl diese Annahmen nicht in einem engeren, textlichen Sinn rechtlich sind, kann man sie doch nicht einfach als außerrechtlich abtun. Sie sind durch die Aufgabe veranlasst, den Sinn einer Verfassungsbestimmung zu ermitteln, und sind in den Prozess der Verfassungsauslegung und Fallentscheidung integriert. Die Vorverständnisse oder Vorstellungen von der gesellschaftlichen Realität, in der die Normen ihre Wirkung entfalten sollen, fließen nicht umstandslos in die Rechtsfindung ein, sondern beeinflussen diese nur in einer normativ vermittelten und kanalisierten Art und Weise. Darüber hinaus werden subjektive Neigungen durch den Umstand abgemildert, dass die Interpretation einer Norm ein kollektives Unterfangen ist. Alle angeführten Argumente müssen von der Gruppe als rechtlich relevant akzeptiert werden.

Freilich lässt sich nie ausschließen, dass auch Verfassungsgerichte, die ihre rechtliche Funktion ernst nehmen, die schwer definierbare Grenze zwischen Verfassungsinterpretation und Verfassungsänderung überschreiten oder außer Tritt mit der Gesellschaft geraten, in deren Namen sie Recht sprechen. Dies macht Korrektive notwendig. Hierzu gehört die kritische Beobachtung durch die Rechtswissenschaft, die die Rechtsprechung auf ihre rechtliche Plausibilität und ihre logische Konsistenz hin prüft. Ein weiteres Korrektiv bildet die öffentliche Debatte, der die Richter durch die Medien ausgesetzt sind. Das heißt nicht, dass die Richter ihre Entscheidungen an der öffentlichen Meinung ausrichten sollten, wohl aber dass sie aufgefordert sind, ihr Verhalten stets kritisch zu reflektieren.

Solche Einflüsse verfehlen keinesfalls ihre Wirkung auf die Verfassungsrichter. Richter wissen um die besondere Verletzlichkeit von Verfassungsgerichten, die daraus folgt, dass die Adressaten ihrer Urteile die obersten Staatsorgane sind. Es gibt folglich kein übergeordnetes Vollstreckungsorgan wie in Angelegenheiten des einfachen Rechts. Letztlich sind jedoch Gegengewichte notwendig, um den Risiken zu begegnen, die Verfassungsgerichte im Hinblick auf demokratische Legitimation kollektiv verbindlicher Entscheidungen darstellen. Die Praxis der Verfassungsgerichte muss daher politisch korrigierbar sein. Das Korrektiv besteht indes nicht darin, dass die Politik Urteile außer Kraft setzen oder ignorieren dürfte. Im Rechtsstaat gibt es keine rückwirkende, sondern nur eine prospektive Korrektur von Verfassungsrechtsprechung. Das Mittel dafür ist die Verfassungsänderung.

ევროპის შედარებითი კონსტიტუციის ისტორიის ცნებები, მოდელები და ტრადიციები

მიხეილ შტოლაისი*

- I. სამართლის ისტორია და კონსტიტუციის ისტორია მეცნიერების ისტორიის თვალთახედვით.
II. ახალი პროექტები და ხედვები. III. შედარებითი კონსტიტუციის ისტორია.

I. სამართლის ისტორია და კონსტიტუციის ისტორია მეცნიერების ისტორიის თვალთახედვით

ისტორიული საკითხები, რომლებიც „Rechts- und Verfassungsgeschichte“-ის სახელითაა ცნობილი, წამოიჭრა XVI და XVII საუკუნეებში იურისპრუდენციისა და ისტორიოგრაფიის გამიჯვნის პროცესში. მეცნიერებათა განვითარების კვალდაკვალ აღბეჭდილი ეს ისტორიული პროცესი შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში ჩაისახა და 1800 წელს უნივერსიტეტთა რეფორმით დასრულდა. სამართლის ისტორია და კონსტიტუციის ისტორია ყოველთვის არ არსებობდა. ისინი წარმოადგენენ საკუთარი ისტორიის, მასში ჩაქსოვილი სამართლის კულტურის თანამედროვე გააზრების პროდუქტს; მაშასადამე, ორივე მათგანი ისტორიული ფენომენია.

მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხები XVIII საუკუნიდან ისწავლება გერმანიაში, განსაკუთრებით კი თანამედროვე რეალობაში – სამართლის სკოლებში. ეს არ ხდება რაიმე იძულებით როგორც იურისპრუდენციის, ასევე ისტორიოგრაფიის მხრიდან.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია: არ არსებობს განსაკუთრებული სამართლის ისტორია და კონსტიტუციის ისტორია, მათ შორის არც მეთოდოლოგიური შეხედულებების კონსენსუსის სახით. სამართლის კულტურის განსხვავებული თანმიმდევრულობა საფუძველს უყრის სამართლისა და მისი ისტორიის ხელახალ გააზრებას.

მაშასადამე, სამართლის ისტორიის ფარგლებში მოქცეული მეცნიერების ისტორია არც უკუსვლის სევდიან ამბავს და არც ცალსახა პროგრესის შესახებ მონათხრობს უნდა ჰგავდეს. მან უნდა ცხადდეს, როგორ იწვევდა სამართლის კულტურის ირგვლივ კონტექსტთა ცვლა ისტორიისა და სამართლის ისტორიის შესახებ განსხვავებული კონცეფციების წარმოშობას. ასევე, მას უნდა შეეძლოს იმის განმარტება, როგორ გამოიყენებოდა სამართლის ისტორიის მხრიდან წამოჭრილი არგუმენტები მიღებული გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად და როგორი ცვლილებები შეიძლება განეცადა

* მაქს-პლანკის ინსტიტუტის ევროპული სამართლის ისტორიის ყოფილი დირექტორი და გოეთეს უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და სამართლის ისტორიის პროფესორი-ემერიტუსი, მაინის ფრანკფურტი.

აკადემიურ დისციპლინას ფორმირებისას მას შემდეგ, რაც მისი საკითხები გარდაიქმნა დინამიურ პროცესად და ისეთი სხვადასხვა გარე ფაქტორის დახმარებით, როგორცაა პოლიტიკური იმედები, ცდუნებები და შემზღვევები. მეცნიერების ისტორია შანსს გვაძლევს, განვიხილოთ მოძველებული და თანამედროვე დებულებები თუ ვარაუდები, მათ შორის საკუთარი დებულებებისა და ვარაუდების ჩათვლით, მეტა საფეხურზე. სამუშაო ჰიპოთეზის თანახმად ითვლება, რომ მეცნიერული აღიარების მიზნები და თეორიათა ჩამოყალიბება დამოკიდებულია ზოგად კომუნიკაციაზე იმის შესახებ, თუ რისი ცოდნა არის მნიშვნელოვანი, რისი კვლევა გვეჩვენება მნიშვნელოვნად და რომელ ინსტიტუციურ ჩარჩოებში უნდა გადაეცეს იგი მომავალ თაობებს. კარლ კროეშელს საფუძვლიანი მიზეზი აქვს, როდესაც ამბობს: „სამართლის ისტორია, როგორც წარსულისკენ მიმართული ქმედება, თანამედროვე სამართლის ძალიან სწორად გააზრების სიმპტომია“.¹

დისციპლინა სახელად „კონსტიტუციის ისტორია“ მოითხოვს „კონსტიტუციის“ ისტორიულ ფენომენთან გაიგივებას. კონსტიტუციონალიზაციის პროცესამდე, რომელშიც ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ, იგი ისტორიულ მიმდინარეობად არ მიიჩნევა და ის დრო, რომელიც მის ისტორიულ ელემენტად წარმოჩენისათვისაა საჭირო, შესაძლებელია გაიზარდოს კიდევაც. ეს საკითხი გერმანიაში XIX საუკუნის შუა პერიოდში იდგა დღის წესრიგში. კონსტიტუციის გარშემო მსჯელობა ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, დაწყებული ამერიკულით და დამთავრებული ფრანგული კონსტიტუციით (1791-1814 წწ.), დაწყებული 1818 წლის შემდეგ მიღებული სამხრეთგერმანული კონსტიტუციებით და 1830 წლის შემდგომი ბელგიის, საქსონიის, კურჰესენისა და ჰანოვერის კონსტიტუციებით და დამთავრებული 1848/49 წლის ეროვნული კონსტიტუციით. მათ შორის უკანასკნელი და შესაბამისად, მისი წარუმატებლობა, ძალიან მძიმე პოლიტიკური შემთხვევა იყო ყველა გერმანელისათვის. მას შემდეგ „კონსტიტუციის ისტორია“ („Verfassungsgeschichte“) ჩამოყალიბდა.

გერმანიაში, თუკი XVIII საუკუნეში საუბრობდნენ „რაიხის ისტორიაზე“ („Reichsgeschichte“), XIX საუკუნის დასაწყისში უკვე საუბარია „სახელმწიფოს ისტორიაზე“ („Staatsgeschichte“). ცნება „კონსტიტუციის ისტორია“ („Verfassungsgeschichte“) მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში გახდა ცნობილი (ჯორჯ უაიტსი), თუმცა ის, ჯერ კიდევ, არ იყო დანერგილი იურისტთა სანვრთნელ პროგრამებში. ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც 1935 წელს ნაციონალ-სოციალისტებმა საუნივერსიტეტო პროგრამის სახით წარადგინეს „თანამედროვე კონსტიტუციის ისტორია“ („Verfassungsgeschichte der Neuzeit“), რომელიც „თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ისტორიის“ („Privatrechtsgeschichte der Neuzeit“) პარალელურად სავალდებულო ლექციათა რიცხვში შედიოდა.²

¹ K. Kroeschell, Deutsche Rechtsgeschichte 1 (until 1250), 10. Aufl. Opladen 1992, 10.

² Regarding one of the most influential protagonists see K. A. Eckhardt, Das Studium der Rechtswissenschaft, Hamburg 1935; concerning the role of the most important figure see E. Grothe, Verfassungsgeschichte als „politische Wissenschaft“. Carl Schmitt „über die neuen Aufgaben“ und die Deutung der deutschen Verfassungsgeschichte im Nationalsozialismus, in: Zeitschrift für Neuere Rechtsgeschichte 29 (2007) 66-87; see R. Frassek, Weltanschaulich begründete Reformbestrebungen für das juristische Studium in den 30er und 40er Jahren, in: Zeitschrift für

1945 წლის შემდეგ ახალი სასწავლო საგანი, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ისევ პროგრამაში რჩებოდა. დღესდღეობით გერმანიაში არსებობს კონსტიტუციის ისტორიის შესახებ მრავალი სახელმძღვანელო, რომელთაც მოკლედ მიმოვიხილავ, ვინაიდან ისინი საკითხის დღევანდელ მდგომარეობაზე მოგვითხრობენ:

შედარებით მოძველებული ნაშრომები კონსტიტუციის ისტორიის შესახებ (Carl Bornhak, Fritz Hartung, Ernst Forsthoff) დღესდღეობით ნაკლებად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საინტერესოდ გადმოსცემენ ამბავს. ფრიც ჰართუნგმა კონსტიტუციის ისტორიის შესახებ 30-იან წლებში მოგვითხრო როგორც ისტორიკოსმა, ოტო ჰინცის სტუდენტმა და, თავის მხრივ, გერჰარდ ოსტრეიხის მასწავლებელმა. კონსტიტუციის ისტორიის ცნების მისეული ინტერპრეტაცია საკმაოდ ფართო აღმოჩნდა – იგი კონცეპტუალურად მოიცავდა აღმინისტრაციულ ისტორიასაც და „ეროვნულ“ დონეზე აღიქმებოდა.³ იგივე ითქმის, რამდენიმე შესწორებით, ერნსტ ფორშოფზე. ომის დროს დანერგილი მისი მცირეტანიანი სახელმძღვანელო რამდენჯერმე გამოქვეყნდა ომის შემდგომ პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ერნსტ რედლოფ ჰუბერმა დაწერა მონუმენტური ნაწარმოები „გერმანიის კონსტიტუციის ისტორია 1789 წლიდან“, რომელიც თითო 1000 გვერდიან, შვიდ თავად გამოქვეყნდა.⁴ პირობები, რომლებშიც იგი იქმნებოდა, საკმაოდ გამორჩეული იყო. როგორც ნაციონალ-სოციალისტური სისტემის ყოფილი თანამშრომელი, დიდი ხნის განმავლობაში ჰუბერი იყო *persona non grata* ფედერალურ რესპუბლიკაში. მან ამ ნაწარმოების შექმნას ოთხი ათეული წელი მიუძღვნა.⁵ ჰუბერს ჰქონდა ყოვლისმომცველი მიდგომა ცნებისადმი „კონსტიტუცია“ და მასში გულისხმობდა გერმანიის პოლიტიკურ (სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ) „სახელმწიფოს“. მის წიგნში შემავალ მასალათა სიმდიდრე მართლაც რომ შთამბეჭდავია. მისი მონათხრობი შეუცვლელი რესურსია ყველა მის შემდგომ მოღვაწე მკვლევართათვის. მისი ინტერპრეტაცია კონსერვატიული და ჰარმონიულია, იგი შეიცავს მინიშნებებს ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიიდან. ის უფრო დადებითად აფასებს XIX საუკუნის კონსტიტუციურ მონარქიას, ვიდრე ზოგადად ჩვენ, დღესდღეობით.⁶

სასწავლო მიზნებისათვის შექმნილი შესავალი კურსები დეტალურ დაკვირვებას არ საჭიროებს.⁷ ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი არ წარმოადგენენ ორიგინალს და ზოგიერთი

Rechtsgeschichte Germanistische Abt. 111 (1994) 578 ff.; id., Juristenausbildung im Nationalsozialismus, in: Kritische Justiz 37 (2004) 85-96.

³ E. Grothe, Zwischen Geschichte und Recht. Deutsche Verfassungsgeschichtsschreibung 1900-1970, Munich 2005, 105 ff.

⁴ E. R. Huber, Deutsche Verfassungsgeschichte seit 1789, 8 vols., Stuttgart 1957-1982.

⁵ Grothe (Anm. 3), 165 ff. (the reforms of legal education 190 ff.); id., Eine ‚lautlose‘ Angelegenheit? Die Rückkehr des Verfassungshistorikers Ernst Rudolf Huber in die universitäre Wissenschaft nach 1945, in: Zeitschrift für Geschichtswissenschaft 47 (1999) 980-1001; id., „Strengste Zurückhaltung und unbedingter Takt“. Der Verfassungshistoriker Ernst Rudolf Huber und die NS-Vergangenheit, in: E. Schumann (Hg.), Kontinuitäten und Zäsuren. Rechtswissenschaft und Justiz im „Dritten Reich“ und in der Nachkriegszeit, Göttingen 2008, 327-348.

⁶ R. Walkenhaus, Konservatives Staatsdenken. Eine wissenssoziologische Studie zu Ernst Rudolf Huber, Berlin 1997.

⁷ E. W. Boeckenfoerde (ed.), Moderne deutsche Verfassungsgeschichte (1815-1914), Cologne 1981; H. Boldt, Deutsche Verfassungsgeschichte, vol. 2: Von 1806 bis zur Gegenwart, 2nd ed. Munich 1993; M. Botzenhart, Deutsche

მათგანი დასრულებულიც კი არ არის. არც ერთი მათგანი არ მიმართავს შედარებით, ევროპულ მიდგომას. მხოლოდ ლიტერ გრიმი ეხება ამერიკულ და ფრანგულ წინვლებს იმგვარად, რომ ეს შედეგები გერმანიაზეც შეიძლებოდა ასახულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მცირეტანიანი წიგნი 1866 წელზე მთავრდება.⁸ ამჟამად გერმანიის კონსტიტუციის ისტორიის საუკეთესო მიმოხილვა ლიტმარ ვილოვაითს⁹ ეკუთვნის (მეექვსე გამოცემა, 2009). იგი დაინერა სამართლისმცოდნე ისტორიკოსის მიერ, რომელმაც საკუთარი კვლევით კარგად შეისწავლა შუა საუკუნეები, განსაკუთრებით კი ადრეული ახალი პერიოდი, თუმცა, ასევე აგრძელებდა თავის კვლევებს ფედერალური რესპუბლიკის სამართლის ისტორიის კვალდაკვალ. მან შეადგინა ძალიან მოკლე აღწერა, რომელიც ცხადყოფს მის სიახლოვეს ლიტერატურასთან და ვინრო ნაციონალიზმისგან თავისუფლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს გერმანიაში კონსტიტუციის ისტორიაზე საკმარისი წიგნები მოგვეპოვება, ვილოვაითის განსაკუთრებულად კარგი ანგარიშის ჩათვლით, მაგრამ, მაგალითისათვის, არ გვაქვს რ. ს. ფონ კანეგემის (გენტი) წიგნის მსგავსი შედარებითი ისტორიული შესავალი დასავლურ საკონსტიტუციურ სამართალში.¹⁰ მიუხედავად ამისა, ლიტერატურის მიმოხილვას დავასრულებ ისტორიკოსების ბოლოდროინდელი ორი საინტერესო პუბლიკაციის აღნიშვნით. ფრაიბურგელმა ისტორიკოსმა ვოლფგანგ რაინჰარდმა დაწერა ევროპის შედარებითი კონსტიტუციის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.¹¹ წიგნს ბრწყინვალე გამოხმაურება მოჰყვა და ავტორიც (ჩემი აზრით, დამსახურებულად) დაჯილდოვდა გერმანელი ისტორიკოსების პრემიით. რაინჰარდი აღწერს ევროპის „სახელმწიფოების“ განვითარების გზას, როგორც მმართველობის სტრუქტურის თანდათანობით ცვლილებას შუა საუკუნეებიდან მოყოლებული. მისი ნაშრომი მოიცავს ფართო პანორამას: გერმანია, იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ინგლისი, დანია, შვედეთი, ბოჰემია, პოლონეთი და უნგრეთი. ის, ფაქტობრივად, სტრუქტურებს შორის პარალელს ავლებს, ვიდრე აპირისპირებს მათ ერთმანეთთან. წიგნი მთავრდება დღევანდელიობაზე მსჯელობით, სადაც ავტორი განიხილავს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორცაა ევროკავშირში გადასვლა გვაუწყებს თუ არა ევროპული სახელმწიფოების დასასრულს. წიგნის ერთ კრიტიკულ შენიშვნაში საუბარია იმაზე, რომ ავტორი საკითხს მეტწილად სახელმწიფოს თვალსაზრისით განიხილავს, ხოლო კოოპერატიულ მოძრაობას მცირე მნიშვნელობას ანიჭებს და უარყოფს ქალა-

Verfassungsgeschichte 1806-1949, Stuttgart 1993; H. Brandt, Der lange Weg in die demokratische Moderne: deutsche Verfassungsgeschichte von 1800 bis 1945, Darmstadt 1998; H. Fenske, Deutsche Verfassungsgeschichte: Vom Norddeutschen Bund bis heute, Berlin 1991; W. Frotscher – B. Pieroth, Verfassungsgeschichte, 5th ed., Munich 2005; D. Grimm, Deutsche Verfassungsgeschichte 1776-1866, Frankfurt 1988; K. G. A. Jeserich – H. Pohl – G. Chr. von Unruh (ed.), Deutsche Verwaltungsgeschichte, 5 vols., Stuttgart 1983 ss.; O. Kimminich, Deutsche Verfassungsgeschichte, 2. ed. 1987; K. Kröger, Einführung in die jüngere deutsche Verfassungsgeschichte (1806-1933), Munich 1988; Chr. F. Menger, Deutsche Verfassungsgeschichte der Neuzeit, 8th ed. Heidelberg 1993; R. Scheyhing, Deutsche Verfassungsgeschichte der Neuzeit, Cologne 1968.

⁸ D. Grimm, Deutsche Verfassungsgeschichte 1776-1866, Frankfurt 1988.

⁹ D. Willoweit, Deutsche Verfassungsgeschichte. Vom Frankenreich bis zur Wiedervereinigung Deutschlands, 6th ed. Munich 2009.

¹⁰ R. C. van Caenegem, An Historical Introduction to Western Constitutional Law, Cambridge University Press, Cambridge 1995.

¹¹ W. Reinhard, Geschichte der Staatsgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart, 1999. See M. Stolleis, in: Ius Commune 27 (2000) 429-433.

ქებისა და საზოგადოების ფართო მასების, მაგ. გლეხების მნიშვნელობას. ეჭვგარეშეა, რომ ეს ასეა, მაგრამ ავტორის განზრახვა იყო არა „სრული“, არამედ უფრო „სახელმწიფო ხელისუფლების“ ისტორიის შექმნა. ერთგვარად, რაინჰარდის წიგნის პარალელურად სხვა ფრაიბურგელმა ისტორიკოსმა ჰანს ფენსკემაც გამოსცა ნაშრომი სათაურით „თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო. შედარებითი ისტორია დასაბამიდან XX საუკუნემდე“.¹² ეს, ჩემი აზრით, ნაკლებად წარმატებული წიგნია, რადგან იგი არამხოლოდ „არაისტორიული“ მიდგომით გამოირჩევა (თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო არის ისტორიის „საბოლოო მიზანი“), არამედ მეტწილად აღწერილობითი ხასიათისაა და ვოლფგანგ რაინჰარდის ნაშრომში ასახულ სიღრმეებს ვერ წვდება.

იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ისტორიკოსებს ჯერ არ შეუქმნიათ შედარებითი კონსტიტუციის ისტორია და დღეს ვერავის დავასახელებ, ვისაც შეუძლია ან სურვილი აქვს, ეს გააკეთოს.¹³ მიუხედავად ამისა, ჩვენ, რასაკვირველია, თავისუფლად შეგვიძლია განვიხილოთ, რას წარმოადგენს ასეთი ნაშრომი, რომელიც შექმნილია გერმანული გადასახედიდან და გერმანული ტრადიციების ფონზე. სანამ ასე მოვიქცევი, მსურს დღევანდელი სიტუაცია აღვწერო, როგორც ვხედავ.

II. ახალი პროექტები და ხედვები

ბოლო 30 წლის განმავლობაში ასეთი სახის ნაშრომის შექმნის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. სულ რამდენიმე წლის წინ მმართველობისა და ადმინისტრაციის ფორმების ფართომასშტაბიანი ანალიზი სცადეს მაქს ვებერმა და უპირველეს ყოვლისა, ოტო ჰინცემ,¹⁴ რომელიც, ფაქტიურად, 1945 წლიდან არც არავის გაუგრძელებია. თუმცა, თუკი ვინმე ბოლო 30 წელს თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ მთელმა ევროპამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა.

ამჟამად უკვე შესაძლებელია, რომ ინსტიტუციური შედარებითი კვლევა შედეგების მყარ საფუძველზე დაშენდეს. აქ მხედველობაში მაქვს პარლამენტისა და სასამართლოს მრავალი კვლევა (პარიზის პარლამენტი, მეჰელენის დიდი საბჭო, იმპერიის კამერალური სასამართლო, შვედეთის უზენაესი სასამართლო), სახელმწიფო საბჭოების (conseils d'Etat), საარჩევნო სამართლის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის სხვა მრავალი ასპექტის კვლევები.¹⁵ ისტორიულმა მიდგომამ, რომელიც დღეს უფრო მეტად ორიენტირდება საზოგადოებრივ ისტორიაზე, ვიდრე უწინ, წარმოშვა ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეთა სფეროში მრავალი შედარებითი კვლევა, განსაკუთ-

¹² H. Fenske, *Der moderne Verfassungsstaat. Eine vergleichende Geschichte von der Entstehung bis zum 20. Jahrhundert*, Paderborn 2001. Also take note of my critical comment in *Ius Commune* 28 (2001) 347-350.

¹³ The most comprehensive document on legal history (not constitutional history) comes from U. Wesel, *Geschichte des Rechts. Von den Frühformen bis zur Gegenwart*, 2. Aufl. München 2001.

¹⁴ Grothe (Anm. 3) 55 ff.

¹⁵ Best survey by B. Diestelkamp (Hg.), *Oberste Gerichtsbarkeit und Zentrale Gewalt im Europa der Frühen Neuzeit*, Köln – Weimar – Wien 1996. See also *Festschrift für Diestelkamp zum 65. Geburtstag*, (ed. F. Battenberg and F. Ranieri), *Geschichte der Zentraljustiz in Mitteleuropa*, Weimar – Köln – Wien 1994.

რებით ისტორიულ „ბილგეფელდის სკოლაში“ (ჰანს-ულრიხ უელერი, იურგენ კოცკა).¹⁶

1992 წლიდან შევავრთვეთ და გამოვაქვეყნებთ დიდი ოდენობის მასალა „politia“-ს (polizia, policey) შესახებ ფრანკფურტის ევროპული სამართლის ისტორიის მაქს-პლანკის ინსტიტუტში. შევძელით, მოგვეცვა და შეგვედარებინა მრავალი ათასი საკანონმდებლო აქტი გერმანიიდან, ავსტრიიდან, შვედეთიდან, დანიიდან და შვეიცარიიდან.¹⁷ ევროპაში პოლიტიკური იდეებისა და სახელმწიფოს თეორიების შედარებითი ისტორიის გამოცოცხლება ხდება. მახსენდება ისეთი ავტორების ნაშრომები, როგორცაა მაგალითად, კვენტინ სკინერი კემბრიჯში, მიშელ სენელარი ლიონში, ენზო ა. ბალდინი ტურინში და ჯანფრანკო ბორელი ნეაპოლში. ეს არიან ადამიანები, რომელთაც თავი შესწირეს მაკიაველის იდეებს ევროპული მაკიაველიზმის პერიოდში.

იდეების ისტორია და ინტელექტუალური ისტორია მყარად ფეხმოკიდებულია.¹⁸ გერმანიაში დაარსებულია „პოლიტიკური აზროვნების ისტორიის“ ასოციაცია.¹⁹ მძაფრი ინტერესია მენტალიტეტების, კოლექტიური დამოკიდებულებების, სიმბოლოთა და სიმბოლიკური ქმედებების ისტორიის, რიტუალებისა და ცერემონიების მიმართ (მილოშ ვეჩი, ბარბარა შტოლბერგ-რილინგერი).

ადმინისტრირების ისტორიაზე შექმნილი ზოგადი ანგარიშებისა და მონოგრაფიების რაოდენობა იზრდება. გერმანიაში დიდი ხუთტომეული ნაშრომი Deutsche Verwaltungsgeschichte („გერმანული ადმინისტრაციული სამართლის ისტორია“) გამოქვეყნდა 1983 – 1988 წლებში. ფინეთსა (მადლობას ვუხდით ჰეიკი ულიკანგას საქმიანობისათვის) და დანიას (მადლობას ვუხდით დიტლევე ტამს კოპენჰაგენიდან) ასევე აქვთ თავიანთი სრული ადმინისტრაციული სამართლის ისტორია. იტალიაში არსებობს კიდევ ადმინისტრაციული სამართლის ისტორიის იტალიური ფონდი (FISA), ხოლო მილანში – „სახელმწიფო მმართველობის მეცნიერების ინსტიტუტი“. ფლორენციაში მაურიციო ფიორავანტიმ გამოსცა მნიშვნელოვანი ნაშრომი „საჯარო სამართლის მეცნიერება“ 2001 წელს. ბერნარდო სორდიმ ადმინისტრაციული სამართლის ისტორიას სამი წიგნი მიუძღვნა (ვაიმარსა და ვენას შორის. სახელმწიფო მმართველობა და

¹⁶ See for example the broad debate around the last volume of Hans-Ulrich Wehler's last volume: Bundesrepublik und DDR, ed. P. Bahners und A. Cammann, Munich 2009.

¹⁷ M. Stolleis (Hrsg.), *Policey in Europe in the Early Modern Period*, Frankfurt 1996 with contributions to Italy, France, Spain, Bohemia and Moravia, Silesia, Hungary and Siebenbürgen, Poland, Netherlands, Switzerland, Denmark, Sweden and England. From the repertories the volumes concerning below mentioned territories are published: the Reich, Cologne, Mainz and Trier, Brandenburg-Preußen (2 vol.), the Wittelsbach territories (2 vol.), Württemberg and Baden (1 vol.), Hannover, Saxony (1 vol.), smaller territories (2 vol.), Denmark and Switzerland (2 vol.). The volume for Sweden is expected. – For the history of ideas see Thomas Simon, „Gute Policey“. *Ordnungsleitbilder und Zielvorstellungen politischen Handelns in der Frühen Neuzeit*, 2004. – Relating to the imperial free towns now see Karl Härter – Michael Stolleis (Hg.), *Repertorium der Policeyordnungen der Frühen Neuzeit*. The repertories for Frankfurt am Main, Cologne and Ulm are published. Other repertories, around 15, will follow.

¹⁸ See, for example, Lutz Raphael / Heinz Elmar Tenorth (Ed.), *Ideen als gesellschaftliche Gestaltungskräfte im Europa der Neuzeit. Beiträge für eine erneuerte Geistesgeschichte*, München 2006.

¹⁹ Since 1991 a Yearbook „Politisches Denken“ is published in Stuttgart (J. B. Metzler), ed. by V. Gerhardt, H. Ottmann, M. P. Thompson. It is the annual review of the German Society for the Study of Political Thinking.

სამართლის თეორია ომისშემდგომ პერიოდში, 1987; სამართლიანობა და მმართველობა გათავისუფლებულ იტალიაში, 1985; ინტელექტუალური ადმინისტრირება, 1991). ჯულიო ჩანფეროტიმ გამოაქვეყნა თავისი ნაშრომის იტალიის ადმინისტრაციული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი 1998 წელს. პოლონეთში ერუი და დოროთა მალეცებმა (კრაკოვი) რამდენიმე წიგნი გამოქვეყნეს პოლონეთის ადმინისტრაციული სამართლის ისტორიაზე. გერმანიაში ერკ ფოლკმარ ჰაიენი (გრაიფსვალდის უნივერსიტეტი) გვიღო მელისთან, უან-ლუი მესტრსა და სხვებთან ერთად ბოლო ათწლეულის მანძილზე აქვეყნებს ევროპული ადმინისტრაციული სამართლის ისტორიის წელიწადეულს. ესპანეთისა და სამხრეთ ამერიკისათვისაა, მაგალითად, ბართლომე კლავეროს წიგნი ბედნიერი კონსტიტუცია, კონსტიტუციური კულტურა და ენა, 2000. მაშასადამე, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში მდიდარი მასალა და ცოდნაა დაგროვებული. რასაკვირველია, ყველაფერი ერთად თავმოყრილი და მარტივი ხელმისაწვდომი არ არის. უმეტეს შემთხვევაში, ხალხს ენობრივი ბარიერი არ აძლევს იმის საშუალებას, რომ მასალა გამოიყენოს. არც რაიმე ევროპული ფორუმი ან ჟურნალი არსებობს ინფორმაციისა და იდეების გაცვლის უზრუნველსაყოფად. ბევრმა მკვლევარმა არც კი იცის ერთმანეთის არსებობის შესახებ. ამიტომაც, ვფიქრობ, ევროპულ დონეზე შედარებითი პროექტების დაარსების შესაძლებლობის განხილვისთვის სწორედ შესაფერისი დროა.

III. შედარებითი კონსტიტუციის ისტორია

რა ფორმა შეიძლება მიიღოს შედარებითი კონსტიტუციის ისტორიამ? რა მეთოდოლოგიური პრინციპები შეიძლება არსებობდეს ამგვარი დარგისთვის? ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ისტორიიდან ვიცით, რომ ისეთი დარგები, როგორცაა პოლიტიკის ისტორია, ეკონომიკური ისტორია, სოციალური ისტორია, იდეების, მენტალიტეტისა და კულტურის ისტორია ან უფრო კონკრეტულად – „რომის სამართლის ისტორია“, „ეროვნული სამართლის ისტორია“, „სამოქალაქო სამართლის ისტორია“, „საჯარო სამართლის ისტორია“ და, რა თქმა უნდა, „კონსტიტუციის ისტორია“ არ წარმოადგენენ ისეთ ფენომენს, რომელსაც „ბუნებაში“ შევხვდებით, არამედ უფრო მეტად უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის პროდუქტს შეადგენენ. ძირითადად, ისინი არაუმეტეს ასი ან ასორმოცდაათი წლისანი არიან, ქმნიან სალექციო მოდულებს და ამგვარად, წარმოადგენენ ცალკეული პროფესორების კუთვნილ სფეროს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ მათი, როგორც ოქროს საბადოს, თავისთვის შენარჩუნებას.

ამიტომაც, ევროპის ნებისმიერ შედარებით კონსტიტუციურ ისტორიასთან დაკავშირებული პირველი მოლოდინი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ხელოვნური პრეტენზიები გვერდზე გადაიდოს და განხორციელდეს „საერთო ისტორიის“ შექმნის მცდელობა. შედეგად, ცალკეულ ისტორიკოსებს შეეძლებათ, უფრო თავისუფლად გადანყვიტონ, რამდენად სურთ, რომ აღწერონ კონკრეტული მოვლენები პოლიტიკური, ეკონომიკური, ინტელექტუალური და კულტურული მიზნების თვალსაზრისით; სურთ თუ არა მათი

უკეთესად გაგების მიზნით ცალკეული დარგები მოიაზრონ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სისტემებად და დაუშვან მათი ურთიერთქმედება; ან იქნებ ურჩევნიათ ციფრების სვეტის ან „გაჯერებული აღწერის“ წარმოდგენა ან თუნდაც პიროვნებასა თუ სტრუქტურაზე ყურადღების გამახვილება.

რა თქმა უნდა, „საერთო ისტორია“, პრაქტიკული მიზეზებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. ისტორიას ვერ წარმოვადგენთ 1:1-ზე მასშტაბით. ორივე, ავტორი და მკითხველიც უნდა იყოს ფრთხილი არჩევანის გაკეთებაში. წიგნის დასაწყისი ან ბოლო უნდა შეიცავდეს „ჰიპოთეზებსა“ და „თეზისებს“, რათა მოხდეს ცხოვრების დაუსრულებელი მრავალფეროვნების გარკვეულ პერსპექტივაში მოქცევა იმისთვის, რომ წარმოსახვითი „მთლიანობა“ გასაგები გახდეს. სწორედ ამიტომ უნდა ვეძიოთ ნარატიული სტრუქტურები (და სტრუქტურები მრავალფეროვნების შესამცირებლად). საჭიროა ასევე ღროითი და გეოგრაფიული საზღვრების დაწესება. ამისთვის გამოვიყენებ შემდეგი ხუთი თეზისისგან შემდგარ ხერხს:

1. შედარებითმა ევროპულმა კონსტიტუციის ისტორიამ არ უნდა მიიღოს ბევრი ავტორის მიერ ერთობლივად შექმნილი მასიური ნაშრომის სახე. გამომცემლობებს მოსწონთ ისეთი მსხვილი კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკმარისი რაოდენობის ხელმომწერებით, მაგრამ მათ მხოლოდ არაკეთილხმოვანებასთან, მასალის დიდ გროვასთან და ცარიელ სარედაქციო წინასიტყვაობასთან თუ მივყავართ. საბოლოოდ, არავინ ინტერესდება იმ ოცი ილუსტრირებული ტომის წაკითხვით, რომლებიც დასრულებულ შედეგს წარმოადგენენ. მხედველობაში მაქვს ერთი ავტორის ნაშრომი ან ერთობლივი პროდუქტი მცირე ჯგუფისგან შემდგარი ავტორებისა, რომლებიც თავს ერთ გუნდად მოიაზრებენ, ხვდებიან ერთმანეთს და ღიად აკრიტიკებენ ერთმანეთის ტექსტებს. ასეთ გუნდთან მუშაობა შესაძლებელს ხდის, რომ ნაშრომი მტკიცედ მიჰყვებოდეს საერთო დებულებას.

2. ღროითი საზღვრების დაწესება რთულია. ფრანგები უმეტესად 1789 წელს მიიჩნევენ ისტორიაში გამყოფ ეტაპად და მათი აზრით, სწორადაც იქცევიან. თუმცა სხვა ევროპელებს უფრო უჭირთ ამ თარიღის მიღება ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გარდამტეხი მოვლენის აღსანიშნად. რა თქმა უნდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია, თანამედროვე გაგებით, მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლო მესამედიდან არსებობს. თუკი ვინმე კონსტიტუციის ისტორიას კლასიკური გაგებით გაიაზრებს, მაშინ მთავარი აქცენტი მოდის XIX საუკუნეზე, რომლის წინარე ისტორია იწყება თავისუფლებათა დიდი ქართით, ვირჯინიის კონსტიტუციაში შეტანილი პირველი ათი შესწორების სახით. მსგავსად, არსებობს ესპანური და პორტუგალიური კოლონიალური ისტორია და სამხრეთ ამერიკის დაარსების ეპოქა XIX საუკუნეში. სკანდინავიაში XVI და XVIII საუკუნეების მონარქია კონსტიტუციური პერიოდის მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება მოვიაზროთ. ხოლო გერმანიაში კი წმინდა რომაული იმპერიის ისტორია XVI საუკუნიდან მის დასასრულამდე – 1806 წლამდე წარმოადგენს საკუთარი კონსტიტუციური ეპოქის (ძალიან მნიშვნელოვან) წინამორბედს.

კიდევ ერთი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ 1776 ან 1789 წლები მივიჩნიოთ გარდამტეხ მოვლენად, ის ფაქტია, რომ ეს პერიოდი თანამედროვეებისგან მართლაც მიჩნეული იყო, როგორც წარსულთან კავშირის განწყვეტის ეტაპი. სწორედ ამ თარიღით მოინიშნა შუა საუკუნეებით დათარიღებული ფეოდალური ეპოქის დასასრული, მესამე ფენიდან ცალკეული „ერების“ შექმნა და მემკვიდრეობით მიღებული უთანასწორობის თანდათანობითი მოშლა. ამ თარიღს უკავშირდება ბურჟუაზიული საზოგადოების დასაწყისი, მასთან დაკავშირებული უფლებები, ინდუსტრიული რევოლუცია და „სოციალური საკითხი“. დემოკრატიულობა და კანონის უზენაესობა, პარლამენტარიზმი და ადამიანის უფლებები – ყველაფერი ერთად მომდინარეობს ახალი დასაწყისიდან, რომელიც უკავშირდება 1789 წელს.

მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში ვკამათობდი იმის შესახებ, რომ 1789 წლის გარდამტეხ მოვლენად აღიარება არ უნდა მომხდარიყო ნაჩქარევად. როგორც გერმანელები მიიჩნევენ, უწყვეტობა ბევრად უფრო მტკიცეა. გერმანიას არ გამოუცდია რევოლუცია საფრანგეთის მსგავსად. საჯარო მართვის სტრუქტურები ან ვითარდებოდა 1806 წლის შემდეგ, ან იცვლებოდა „ზემოდან მოწოდებული რეფორმებით“. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ანტიკური რეჟიმის სტრუქტურების, შუა საუკუნეების ხელოვნური გასართობებისა და სრულიად ახალი ელემენტების თანაარსებობა. ეს ასევე ეხება სხვა ბევრ ევროპულ სახელმწიფოს, რომლებსაც არ განუცდიათ „თოთხმეტი ივლისი“.

3. ამგვარად, უმჯობესი იქნებოდა არა მხოლოდ ერთმანეთის პარალელურად არსებული და მცირედ დაკავშირებული ეროვნული კონსტიტუციის ისტორიების ქრონოლოგიური აღწერის უზრუნველყოფა, არამედ ყურადღების გამახვილება რამდენიმე საკვანძო საკითხზე და მათი გადაწყვეტა საწყის წყაროებზე დაყრდნობით.

ამგვარი საკვანძო შეკითხვებია: როგორ განვითარდა თანამედროვე სახელმწიფო მთელ ევროპაში გავრცელებული ფეოდალური სისტემისგან? როგორ გაიმარჯვა „თანამედროვე სახელმწიფომ“ ევროპაში არისტოკრატიაზე, ეკლესიასა და ქალაქებზე? რა როლი ითამაშა მთელ ევროპაში მოქმედმა ძირითადმა კანონებმა (leges fundamentales) სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვაში? ითამაშეს თუ არა მათ იგივე როლი ადრეულ თანამედროვე პერიოდში, როგორც ეს მოგვიანებით კონსტიტუციების შემთხვევაში მოხდა? რა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია გვიან – XVIII საუკუნეში ძველი რეჟიმის (ancien régime) დამხობა? იყო თუ არა საფრანგეთი განსაკუთრებული შემთხვევა? 1830 წლამდე რა ჰქონდათ ევროპის კონსტიტუციებს საერთო? რა როლი ითამაშა ინდუსტრიულმა რევოლუციამ და „სოციალურმა საკითხმა“ 1848 წელს ევროპაში? რა ურთიერთობა იყო კონსტიტუციურ მოძრაობასა და ნაციონალიზმს შორის ევროპაში? იყო კონსტიტუციური მონარქია ევროპაში მოდელი, რომელსაც შესაძლოა გააჩნდა მომავალი, ან იყო თუ არა ის მხოლოდ ისტორიული

„შუალედური რგოლი“ ინდუსტრიულ ეპოქაში თანასწორობაზე დაფუძნებული (ეგალიტარული) დემოკრატიის განვითარების გზაზე?

4. კონსტიტუციის ისტორია, მხოლოდ განვითარებასა და კონსტიტუციების ტექსტზე დაფუძნებული, არ იქნებოდა სრულყოფილი ერთი ძირითადი ასპექტის გათვალისწინებით. ის, რომ „ადმინისტრირება არის კონსტიტუციის დაკონკრეტება“, ჭეშმარიტებას წარმოადგენს; შესაბამისად, ყველა კონსტიტუციის ისტორია ადმინისტრირების ისტორიის შეტანასაც მოითხოვდა. მაგალითისთვის, თუ ჩვენ გადავხედავთ XIX საუკუნის ადრეული პერიოდის კონსტიტუციებს, ხშირად აღმოვაჩინოთ, რომ კონსტიტუციით დადგენილი პოსტულატების განხორციელება პირდაპირ რეგულირდებოდა ე.წ. „ორგანული ბრძანებულებების“ სახით, რომელთაც მარტივი კანონების ფორმა მიიღეს. თუ ეს ბრძანებულებები და მათი პრაქტიკული განხორციელება იქნებოდა უგულებელყოფილი, მაშინ ჩვენ დავრჩებოდით მხოლოდ კონსტიტუციის ცარიელი ტექსტის ანაბარა და არც იმის ფუფუნება გვექნებოდა, რომ გვეთქვა, რა მივიღეთ ამ ყველაფრისგან.

ეჭვგარეშეა, რომ თანდათანობით გროვდება აღნიშნული პოსტულატების განხორციელებისას წარმოქმნილი სირთულეები; შეუძლებელი იქნებოდა (თუნდაც რაიმე საფუძვლის არარსებობის გამო), რომ აღგვეწერა კონსტიტუციის პოლიტიკური განვითარება, ყველა ქვეყნისთვის ადმინისტრირების შეფასების მიზოდების პარალელურად და ამავდროულად მოგვეხდინა შედარება სხვა ქვეყნებთანაც. თუმცა, ამის გაკეთება უნდა სცადო მაინც.

5. საკითხის ამგვარი დასმისას განსაკუთრებული პრობლემა გეოგრაფიული ზღვრის დადგენაში მდგომარეობს. რას წარმოადგენს ევროპა და რამდენად შორს ვრცელდება მისი საზღვრები? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბევრი პუბლიკაცია გამოქვეყნებულა.²⁰ ზოგიერთისათვის ევროპა წარმოადგენს ფენტაზიის სფეროს, უძველეს მითსა და წარმოსახვის ნაყოფს, რომელიც ანტიკური ხანის კლასიკური პერიოდიდან მოყოლებული დარქმევია აზიის კონტინენტის დასავლეთ კიდეზე მდებარე ამ უცნაურ გეოგრაფიულ ტერიტორიას. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ამგვარად ფიქრობს, განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „ევროპა“ წარმოადგენს პროექციას, აზროვნების სტილს. „რეალისტებისათვის“ კი ევროპა წარმოადგენს სინამდვილეს თანამედროვე ევროკავშირით (განეწიანებული ქვეყნების ჩათვლით) ბრიუსელში, სტრასბურგსა და ლუქსემბურგში, ასევე წარმოადგენს რეალობას თავისი დაწესებულებებითა და პოლიტიკით. ეს რეალისტები, რა თქმა უნდა, იმის საქმის კურსშიც არიან, რომ სწორედ ამ ევროკავშირს აქვს გრძელი და მრავალფეროვანი ისტორია, რომელიც როგორც ომის, ასევე მშვიდობის პერიოდებს მოიცავს. თუ მაგანი არსებულ განსხვავებებს უფრო კარგად დააკვირდება, მიხვდება, რომ რეალისტებსა და არარეალისტებს შორის განსხვავება, უდაოდ, ძალიან მცირეა.

ორივე ბანაკი თანხმდება, რომ ევროპას სამხრეთითა და ჩრდილოეთით შედარებით მკაფიო

²⁰ J. Kocka, Die Grenzen Europas: Ein Essay aus historischer Perspektive, in: G. F. Schuppert – I. Pernice – U. Haltern (ed.), Europawissenschaft, Baden-Baden 2005, 275 ff.

საზღვრები აქვს. სამხრეთ საზღვარი ხმელთაშუაზღვისპირეთზე გადის. ასევე ეგვიპტე, ლიბია, ტუნისი, ალჟირი და მაროკო შეიძლება არ მდებარეობენ აფრიკაში, მაგრამ ისინი არც ევროპის ნაწილს წარმოადგენენ. ჩრდილოეთ საზღვრის მიჯნას ჩრდილოეთის პოლარული წრე ქმნის. მაგრამ საქმე კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ის ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრების განსაზღვრას ეხება. დასავლეთში შემდეგი კითხვა ისმის, მოიცავს თუ არა იგი სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას. თავის დროზე ორივე კონტინენტი ევროპელებმა დაიპყრეს, თუმცა მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეებში, მათ დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მაშასადამე, ესპანელებისა და პორტუგალიელებისათვის, ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთელი ევროპელებისათვის, თავს იჩენს შემდეგი კითხვა: ეს „ახალი სამყარო“, რომელიც ევროპულია გენეტიკური თვალსაზრისით, უნდა იყოს თუ არა უგულვებელყოფილი ნებისმიერი შედარებითი კვლევის ჩატარებისას. ორივე პასუხისთვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტები.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვრის დადგენა კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს. ვარშავიდან მინსკამდე, ხოლო აქედან მოსკოვამდე და შემდგომ ვლადივოსტოკამდე ან კურილიის კუნძულებამდე საზღვრის გავლება გვაძლევს აღმოსავლეთისგან ევროპის გამოყოფის შესაძლებლობას. რამდენიმე მიზეზის გამო, პირადად მე, რუსეთის ამოღების მომხრე ვარ – იმისდა მიუხედავად, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული რუსეთში ყოფილა პერიოდები, როდესაც ის პოლიტიკურად და ინტელექტუალურადაც დასავლეთ ევროპისკენ იხრებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს ყოფილი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორია (ბალკანეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, საბერძნეთი, თურქეთისა და შავი ზღვისპირეთის მიმდებარე ტერიტორიები). ეს არის „აღმოსავლეთ რომის“, იმავე მეორე რომის ტერიტორია – იმპერია, რომელიც 1453 წელს თურქებმა დაიპყრეს.

მსჯელობისას, თუ რას წარმოადგენს „ევროპა“, ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ისტორიული არგუმენტები, რომელიც თარიღდება კლასიკური ანტიკური პერიოდით (საბერძნეთი, აღმოსავლეთ რომი), შუასაუკუნეებით (ჯვაროსნები, მიგრაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში) და თანამედროვე ეპოქით, ასევე ლინგვისტური, ეთნიკური და კულტურული არგუმენტები და საბოლოოდ, ევროკავშირში განწევრიანებასთან დაკავშირებული პოლიტიკური არგუმენტებიც.

ჩვენ ვერ დაველოდებით შედეგების გარკვევას. არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული „სიმართლე“, რომელიც აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მხარეებისთვის ერთნაირად მისაღები იქნება. თუმცა, კვლევით პროექტს მეტნაკლებად შეუძლია პრაგმატულად გადაწყვიტოს, რამდენად შორს სურს ანკესის გადაგდება. თუ შესწავლის ძირითად პერიოდს XIX და XX საუკუნეები წარმოადგენს, ეჭვგარეშეა, რომ კვლევამ ყველა ზემოხსენებული ქვეყანა უნდა მოიცვას. მსოფლიო პოლიტიკა და შესაბამისად, XIX საუკუნის კონსტიტუციის ისტორია წარმოუდგენელი იქნებოდა ესპანური, რუსული და ოსმალური, ასევე ჰაბსბურგთა

Die Betonung der Fraktionen darf indes nicht übersehen, dass wegen der Heterogenität des Volkes und seiner Interessen nur das Parlament als Ganzes die Volksvertretung bildet, man spricht hier von der „Gesamtrepräsentation“.²³ Die Abgeordneten sind Vertreter des ganzen Volkes und umgekehrt bilden erst alle Abgeordneten die Volksvertretung. Wie sollte auch ein einzelner Abgeordneter die unterschiedlichen Interessen und Überzeugungen im Parlament zur Sprache bringen können? Diese Vielfalt muss sowohl im Parlament widerspiegelt werden als auch um dessen Handlungsfähigkeit willen auf Hauptpositionen reduziert werden. Dies ist die konzentrierende Rolle der Parteien und im Parlament der Fraktionen. Damit auch die vielfältigen Interessen und Überzeugungen und die Vielzahl der relevanten Aspekte eines Problems in den Entscheidungsprozess eingespeist werden können, ist die rechtliche Gleichstellung aller Abgeordneten und damit auch aller Fraktionen

²⁰ Zu einer Unterscheidung unterschiedlicher Formen des Parlamentarismus, *Eberhard Schütt-Wetschky*, Grundtypen parlamentarischer Demokratie, 1984.

²¹ So *Martin Morlok*, Informalisierung und Entparlamentarisierung politischer Entscheidungen als Gefährdungen der Verfassung?, VVDStRL 62 (2003), S. 37 (64 ff.).

²² Besonders wirkmächtig ist das von *Carl Schmitt*, Die geistesgeschichtliche Lage des heutigen Parlamentarismus, 8. Aufl. 1996, Nachdruck der 2. Aufl. von 1926, gezeichnete Bild des Parlamentarismus geworden, das allerdings nicht einmal für die Vergangenheit zutrif.

²³ Siehe etwa BVerfGE 80,188 (218); *Martin Morlok*, Volksvertretung als Grundaufgabe in: M. Morlok/U. Schliesky/D. Wiefelspütz (Hrsg.), Parlamentsrecht, 2016, § 3, S. 143 (158 ff.).

wesentlich. Vor der nach der Mehrheitsregel erfolgenden Abstimmung ist strikte Gleichberechtigung geboten.

Zugleich kennen demokratische Verfassungen auch die Freiheit des Abgeordneten. Das freie Mandat bildet ein gegenstrukturelles Element zur Herrschaft der Fraktionen. Es wirkt insofern förderlich für die Gesamtrationalität einer parlamentarischen Demokratie. Das darf aber nicht dahingehend missverstanden werden, der einzelne Abgeordnete und seine Fähigkeiten ebenso wie seine Rechtschaffenheit seien die Garanten guter parlamentarischer Politikgestaltung.

Die parlamentarische Entscheidungsfindung ist zu verstehen als komplexer Prozess der Informationsverarbeitung. Diese erfolgt vernünftigerweise auf unterschiedlichen Ebenen der Entscheidungsfindung und in stufenweiser Abarbeitung der Informationslasten, also durch spezialisierte Abgeordnete, durch Fraktionsarbeitskreise, durch Ausschüsse, durch Gespräche mit Ministerialbeamten und auch mit Lobbyisten und letztverbindlich im Plenum.

Angesichts dieses komplexen Musters hat das Vertrauen auf eine gemeinwohlproduzierende Politik – Vertrauen ist eine Grundkategorie der repräsentativen Demokratie – sich zu beziehen auf das parlamentarische, wesentlich von den Fraktionen getragene Arrangement der Entscheidungsfindung. Nicht die persönliche Qualität der Abgeordneten ist bei realistischer Betrachtung die wesentliche Vertrauensgrundlage für gute Politik, sondern das geordnete Zusammenwirken der Abgeordneten. Man könnte von „Systemvertrauen“ sprechen. In diesem System sind die Fraktionen durchaus von ihren Mitgliedern abhängig – und zwar als Spezialisten.

Wir haben es mithin mit einer *Dialektik von Freiheit und Bindung* zu tun. Die Einbeziehung in die Fraktionen verschafft dem einzelnen Abgeordneten erst politische Erfolgchancen. Das Ausrichten der parlamentarischen Arbeit auf Fraktionen macht das Parlament entscheidungsfähig und qualifiziert es zu guter Arbeit.

Die „Einbindung“ in eine Fraktion ist auch „Bindung“, bedeutet eine Einbuße an Freiheit des Abgeordneten. Auch das rechtlich freie Mandat unterliegt – wie jede Freiheit – tatsächlichen Einschränkungen, hier in der Form von Pflichten zur Rücksichtnahme auf die Voraussetzungen vertrauensvoller arbeitsteiliger Fraktionsarbeit und die Beachtung der politischen Grundlinie der Partei. Die Fraktionsmitgliedschaft beruht auf einem *Tausch*: Autonomieeinbuße gegen relevante politische Handlungsmöglichkeiten.

Gute parlamentarische Arbeit setzt Fraktionen voraus und diese ihrerseits Parteien. Die alte Erkenntnis, dass Parlamente Parteien voraussetzen, die ihnen durch Wahlen Abgeordnete zuliefern, ist also dahin zu ergänzen, dass auch die Arbeitsweise im Parlament geprägt wird von den parteigetragenen Fraktionen.

სოლიდარობა და თავისუფლება*

ოტო დეპენჰოიერი

A. ურთიერთდაპირისპირება სოლიდარობასა და თავისუფლებას შორის. I. თავისუფლება როგორც კონსტიტუციური პრინციპი. II. სოლიდარობა როგორც დამატებითი პრინციპი. B. სოლიდარობა როგორც პრინციპი. I. სოლიდარობის ცნება. II. გაერთიანება როგორც მიზანი. III. უსაფრთხოება როგორც მიზანი. IV. სოლიდარული ვალდებულება როგორც საშუალება. V. სოლიდარობის მრავალფეროვნება და დონეები. C. სოლიდარობა როგორც ძირითად უფლებაზე დაფუძნებული თავისუფლების წინაპირობა. I. სახელმწიფო როგორც სოლიდარული გაერთიანება. II. თავისუფლება გაერთიანებაში და გაერთიანების მეშვეობით. III. სოლიდარობის ძირითადი პრინციპები. 1. ძირითად ვალდებულებათა სპეციფიური ცნება. 2. მშვიდობის ვალდებულება და კანონისადმი მორჩილება. 3. საგადასახადო ვალდებულება. 4. მომსახურების ზოგადი ვალდებულებები. 5. მომსახურების განსაკუთრებული ვალდებულებები. IV. სოლიდარული ვალდებულებების კონსტიტუციური დოგმატიკა. 1. ნეგატორული თავისუფლება ძირითადი სოლიდარული ვალდებულებების წინააღმდეგ? 2. ძირითად ვალდებულებათა კანონისმიერი გაფორმება. 3. საგადასახადო ტვირთის თანაბარი გადანაწილება და სოლიდარული ვალდებულებები. 4. სოლიდარობის პრინციპის იურიდიული სტრუქტურა. D. თავისუფლება როგორც სოლიდარობის სახელმწიფოებრივი იძულებითი ზღვარი. I. ძირითადი უფლების ნეგატორული დაცვა. II. კონსტიტუციური ლეგიტიმაცია. III. საკონსტიტუციო-თეორიული ამბივალენტობა. E. თავისუფლება როგორც სოლიდარობის შანსი. I. სოლიდარობა თავისუფლებაში. II. სახელმწიფოებრივი სოლიდარული მზრუნველობა.

A. ურთიერთდაპირისპირება სოლიდარობასა და თავისუფლებას შორის

სოლიდარობა გულისხმობს საზოგადოების ფარგლებში ორმხრივ პასუხისმგებლობას მათი სპეციფიური კავშირის გამო. სოლიდარობის პრინციპი „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“ აყალიბებს ადამიანთა ყველა გაერთიანებას და მათ მხოლოდ მიზანზე ორიენტირებული საზოგადოებებისგან განასხვავებს. გაერთიანებები გამოირჩევიან სტაბილურობით და ქმნიან სოციალურ რეალობას, რადგან და ვიდრე მისი წევრები პრინციპულად და ორმხრივად მხარს უჭერენ ერთმანეთს. სოლიდარობის პრინციპი სოციალურ გაერთიანებებს სპეციფიურ იდენტობას ანიჭებს, რომელიც მის წევრებში მრავალფეროვნებას და განსხვავებას წარმოშობს, შესაბამისად, ძლიერდება ერთიანობის იდეა. ის მათ შესაძლებლობას აძლევს, გაუმკლავდნენ გარედან არსებულ უსიამოვნებებს და ხიფათებს, შეიცნონ წარსული, აწმყო და მომავალი, როგორც საკუთარი ისტორიის უწყვეტი პროცესი და გამოიმუშაონ თვითდაჯერებულობა და მოვალეობის გრძნობა.

თუმცა, ლიბერალური-დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს პერსპექტივიდან სოლიდარობის პრინციპს თან ახლავს სპეციფიური პრობლემები და გამოწვევები.

ის ურთიერთგამომრიცხავ დამოკიდებულებაშია თანამედროვე სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი სტრუქტურის პრინციპებთან – ინდივიდუალიზმთან და რაციონალიზმთან: მისი წინაპირობაა ერთიანობა, იგი კატეგორიულად მოითხოვს სოლიდარობის ფარგლებში ვალდებულებების დაცვას, უარს ამბობს მხოლოდ ინდივიდუალური სარგებლის მიღებაზე. აქედან აღმოცენდება მოთხოვნები ძირითადი უფლებების დოგმატიკისადმი, რომელიც სტრუქტურულად მიმართულია ინდივიდის თვითგანვითარების უფრო მეტი შესაძლებლობის გამოვლენისა და შენარჩუნებისაკენ. ამიტომ ის სოლიდარობის აპრიორული ვალდებულებების წინაშე გაუცხოებულია და სათქმელიც არაფერი აქვს. ძირითად უფლებათა თეორიის ფარგლებში ელემენტარულ შეკითხვებს სვამენ: არის სახელმწიფო იმთავითვე სოლიდარული საზოგადოება, თუ იგი ძირითად უფლებებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს და აიხსნას? როგორი მიმართება აქვთ ძირითად უფლებებს სოლიდარულ ვალდებულებებთან? შეუძლია თუ არა სახელმწიფოს სოლიდარული ვალდებულებების დადგენა კანონით და, თუ შეუძლია, რა პირობების გათვალისწინებით? იწვევს თუ არა ძირითადი უფლებები ამავე ძირითადი უფლებების სუბიექტთა ნებაყოფლობით სოლიდარულ კავშირს?

I. თავისუფლება როგორც კონსტიტუციური პრინციპი

ლიბერალური დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფო არსებობს მისი მოქალაქეების ძირითადი და თავისუფალი აპრიორული უფლებებით. ინდივიდის თანდაყოლილი და განუსხვისებელი უფლებების იდეა კულტუროლოგიური მონაპოვარია რენესანსისა და საგანმანათლებლო პერიოდიდან და ის ევროპულ საკონსტიტუციო ისტორიას სპეციფიურ ფორმას აძლევს: ესაა ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისა და საერთო პოლიტიკური დაქვემდებარების გადატანა ინდივიდზე, როგორც ლეგიტიმაციის საბოლოო წყაროზე. იზოლირებული ინდივიდის იდეა ისტორიული განვითარების ერთადერთი უდავოდ უკიდურესი ზღვარია: „*მე ვფიქრობ, ე.ი. მე ვარსებობ*“.¹ სახელმწიფო ყალიბდება თავისუფალი ინდივიდების იმ ნებელობითი აქტით, რომელიც მისკენაა მიმართული: სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების² იდეაში „სახელმწიფო ადამიანებისთვისაა და არა ადამიანები სახელმწიფოსთვის“.³ ტრადიციულად დაფუძნებული და რელიგიურად ლეგიტიმებული ინსტიტუციები ინდივიდუალური გონიერულობის სამჯავროზე განიხილება, ფასდება და, როგორც წესი, მიიჩნევა ელემენტარულ მოცემულობად. საზოგადოებრივი წყობის ფენებად დაყოფის მზარდმა თავისუფალმა პროცესმა, ერთმანეთის გვერდით არსებული სოციალური სისტემების სიმრავლემ საკუთარი რაციონალურობით, როგორცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, კულტურა,⁴ დასავლურ კონსტიტუციურ სახელმწიფოებში ინდივიდუალური თავისუფლების განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა, რასაც ისტორიულად პროტოტიპი არ ჰყავს. პოლიტიკური საზოგადოების მთლიანი სტრუქტურა ვითარდება ინდივიდუალური თავისუფლების იდეის შინაგანი ლოგიკის მიხედვით. დემოკრატიისა და ძირითადი უფლებების კონსტიტუციურ პრინციპთა გამაში

ინდივიდუალური თავისუფლება კონკრეტიზირებულია თავისი ზეგავლენითა და თვითგამორკვევით.⁵

თავისუფლებამ, როგორც კონსტიტუციურმა პრინციპმა, ძირითადი უფლებების ფორმით დაიწყო უმაგალითო ტრიუმფალური შეღწევა მართლწესრიგში და სვლა მის ფარგლებს გარეთ. „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განაწილების პრინციპი“⁶ ინდივიდუალური თავისუფლების ყველანაირ შეზღუდვას საყოველთაო კეთილდღეობასთან დაკავშირებული ლეგიტიმური სურვილებით გამართლების პირობას უყენებს. ძირითადი უფლებები ადამიანის ღირსების დამაგვირგვინებელი გარანტიით აღწევენ ყველგან, სახელმწიფოს მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულში.⁷ ქვეყნად არ არსებობს საგანი, რომელიც არ შეიძლება ძირითადი უფლებების ლეგიტიმური განხორციელების საშუალებად იქცეს. ყველას ემანსიპაცია ყველასთან და ყოველთან მიმართებაში წარმოგვიდგება, როგორც კონსტიტუციის მიზანი. საზოგადოების ფართო ფენების ასეთი თავისუფალი და ლეგიტიმირებული ეგოიზმი და ჰედონიზმი, როგორც ცხოვრების პრინციპი, შესაბამისად ეჭახება კონსტიტუციურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ გულგრილობას, საიდანაც გამომდინარეობს საკუთარი თავის მეტად დამკვიდრების სურვილი, ეს კი იწვევს თვითკრიტიკულ გადააზრებას.⁸

ტოტალური, საკუთარი წინაპირობების უარყოფელი თავისუფლების ფილოსოფია და პრაქტიკა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაემუქრება თავად ლიბერალური კონსტიტუციური სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ არსებობას.⁹ ყველას წინააღმდეგ და ყველასგან უფრო მეტი თავისუფლების უწყვეტი ტენდენცია, ასევე ძირს უთხრის ყველა არსებულ სოლიდარულ გაერთიანებას: დანყებული სახელმწიფოთი, რომელიც თავისუფლების გარანტიას იძლევა, დამთავრებული ქორწინებით, რომელიც წარმოადგენს ყველაზე ელემენტარულს სოლიდარულ გაერთიანებებს შორის. ინდივიდუალურ თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებაზე ორიენტირებული დოგმატიკის სიმბოლური კულმინაცია იყო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საჭაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების შესახებ კანონთან მიმართებით, როდესაც სასამართლოს ამ გადანყვეტილების დედა-აზრი იყო, რომ ადამიანთა ღირსების დასაცავად „კონსტიტუციური სახელმწიფო“ უნდა მოეშვას თვითდამკვიდრებას ტერორისტული თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლაში.¹⁰ ამ გადანყვეტილებაში მაგალითის სახით ჩანს თავისუფლების დაუმორჩილებელი იდეის სხვა შედეგი, რომელიც ტენდენციურად ხიფათს უქმნის პოლიტიკურ საზოგადოებას, პოტენციურად კი თავისუფლებას: თავისუფლების იდეა აღარ არის დარწმუნებული, რომ საზოგადოებას შეუძლია მისი უზრუნველყოფა, ის თავისუფლებას აღარ უკავშირებს საკუთარ სტაბილურობასა და ეფექტურობას და შედეგად უკიდურეს შემთხვევაში მარცხდება. ეს დასკვნა აუცილებლად წამოჭრის საკითხს ლიბერალურ საზოგადოებაში საზოგადოების დაცვისა და მისი გამაერთიანებელი ძალის შესახებ. ეს განსაკუთრებით

აქტუალურია იმ პროცესში, როდესაც აშკარად კლებულობს განვითარების სივრცეები და რესურსები მზარდი სახიფათო სიტუაციების ფონზე, როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატის ცვლილება, მასობრივი მიგრაცია და ტერორიზმი. ამ დროში კი, ინდივიდუალური თავისუფლების განვითარების რეალური პირობების საკითხი წინა პლანზე ინაცვლებს. თავისუფლების პირობები ცენტრალურ ადგილს უთმობს იდეების ისტორიის თვალსაზრისით გამომხატველ ტერმინს „სოლიდარობა“.

II. სოლიდარობა როგორც დამატებითი პრინციპი

სოლიდარობის პრინციპი კონსტიტუციით მკაფიოდ გამოხატული არაა, თუმცა, იმავდროულად იგი თავისუფალი კონსტიტუციური სახელმწიფოს იურიდიულად მოქმედი სტრუქტურული ელემენტია. სოლიდარობის პრინციპი კონსტიტუციური სახელმწიფოს ფუნდამენტურ კანონებთან მიმართებით, წინააღმდეგობრივ სტრუქტურირებულ პრინციპს წარმოადგენს. ის არ მოქმედებს, როგორც მხოლოდ ძირითადი უფლებების დამაბალანსებელი ღირეექტივა. სინამდვილეში, სოლიდარობის პრინციპის სიღრმისეული შრეები ყველა ფესვს ასაზრდოებს, მათ შორის იურისტთა საზოგადოებას. იგი ინდივიდუალური თავისუფლების უფრო თანდაყოლილი პრინციპია, ვიდრე თანამედროვე. ცხოვრებაში განხორციელებული სოლიდარობა აფუძნებს თავისუფალ კონსტიტუციურ სახელმწიფოს, რომელიც სხვა შემთხვევაში, ვერ იარსებებდა. მიუხედავად იმისა, რომ სოლიდარობისა და თავისუფლების პრინციპები ანტინომიურად არიან სტრუქტურირებული, ისინი მაინც ერთად განსაზღვრავენ საკონსტიტუციო ერთიანობას, როგორც რეალობას, თუნდაც პოლარული ჭრილიდან. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ პოლარულობა ქრისტიანულ სოციალურ ეთიკაზე დაყრდნობით ამ კონტექსტში ისე განმარტა, რომ კონსტიტუციაში მოცემული ადამიანის ხატება არ წარმოადგენს იზოლირებულ სუვერენულ ინდივიდს, არამედ კონსტიტუციამ აჩვენა ინდივიდსა და საზოგადოებას შორის არსებული დაძაბულობა საზოგადოებასთან მიმართებისა და საზოგადოებასთან გადაკვანძულობის თვალსაზრისით ადამიანის ჭეშმარიტი ღირებულების შეუბღალავად.¹¹

მაშინ, როცა თავისუფლების პრინციპი უფლებებს „იზოლირებულ სუვერენულ ინდივიდს“ ანიჭებს, სოლიდარობის პრინციპი თავის მარეგულირებელ ეფექტურობას კონკრეტულად არსებული გაერთიანებების კონტექსტში ავითარებს. სოლიდარობის პრინციპი წარმოადგენს აუცილებელ პირობას ურთერთვალდებულების ფორმირებისა და განხორციელებისთვის, ხოლო თავისუფლების პრინციპი აუცილებელია ლიბერალური, ნეგატორული თავისუფლების არსისთვის. არა იზოლირებული ინდივიდი, არამედ არსებული ერთიანობა არის ლოგიკური, როგორც სოლიდარობის პრინციპის სამართლებრივ-პრაქტიკულად კონსტრუქციული ამოსავალი წერტილი. ამ კონტექსტში წამოიჭრება შეკითხვა, თუ როგორ მოიაზრება კონსტიტუციურ-

სამართლებრივი „გაერთიანება“ თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოში და როგორ შეიძლება მისი ჩამოყალიბება ძირითად უფლებათა შესაბამისად.

თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის თანახმად, მმართველობის ყველა ფორმამ უნდა გაამართლოს ინდივიდის კონსტიტუციურად უზრუნველყოფილი თავისუფლების მოთხოვნა. ამის საპირისპიროდ, სოლიდარობის პრინციპს არ აინტერესებს არსებული გაერთიანების რაციონალური დასაბუთება, ის მისი წევრების მხრიდან მოვალეობების აუცილებელ შესრულებას ითხოვს. არსებული გაერთიანების ფარგლებში სოლიდარული ვალდებულებები აუცილებლად უნდა შესრულდეს. ის თავისთავად ლეგიტიმურია, რადგან და ვიდრე გაერთიანება არსებობს. მას აქვს არსებობის უფლება, რადგან არსებობს. წამოიჭრება შეკითხვა, თუ რა დამოკიდებულება გააჩნია სამოქალაქო სოლიდარულ ვალდებულებებს მოქალაქეთა კონსტიტუციურად გარანტირებულ ძირითად უფლებებთან.

სოლიდარული ვალდებულებები ძირითადი უფლებების, კერძოდ კი, ძირითადი ვალდებულებების ანტონიმს წარმოადგენენ. სოლიდარობის არსი ვალდებულებაა და არა თავისუფლება. როგორც ვალდებულებების აუცილებლად შესრულების საფუძველი, სოლიდარობა დიამეტრიულად უპირისპირდება ძირითად უფლებებს: გაერთიანებაში სოლიდარული ძირითადი ვალდებულება ინდივიდუალური თვითრეალიზების კონსტიტუციური თავისუფლების საპირისპირო მოვლენაა. თვითგანვითარება გაერთიანების ხარჯზე წარმოადგენს სოლიდარობის ცნების პირდაპირ უარყოფას.

თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა არ განსაზღვრავს „სოლიდარობის“ ცნებას. ვინაიდან, კონსტიტუცია გულისხმობს სახელმწიფოს სოლიდარულ აგებულებას, იგი არ განიხილავს სოლიდარულ ძირითად უფლებებს და არ განსაზღვრავს სოლიდარული პრინციპის სამართლებრივ სტრუქტურას. პოზიტივიზმზე ორიენტირებული სახელმწიფო სამართალი არ გვთავაზობს კონსტიტუციურ-სამართლებრივ დოგმებს სოლიდარობის პრინციპის ჩართვისთვის; კონსტიტუციის თეორია შემოიფარგლება პრინციპის გარდამავალი რეკონსტრუქციით კონსტიტუციურ-სამართლებრივ მარეგულირებელ დებულებებში.¹² სხვა მხრივ, კონსტიტუციურ-სამართლებრივი დილემიდან არსებობს პოპულარული გამოსავალი, რომელიც გამოიხატება ცნების გაქრობაში და პრობლემის გადატანაში სოციალურ ეთიკაზე. პრობლემა დიფუზირდება კონსტიტუციის წინაპირობებისა და მოლოდინების¹³ კატეგორიებში და სამართლებრივ-პრაქტიკული თვალსაზრისით ცარიელი ხდება. სოლიდარობა იქცევა საკვირაო წირვების საგნად, მორალური მოწოდებების დასაბუთებად, განაწილების პოლიტიკის გზამკვლევადა და სამართლებრივ-პოლიტიკურად ემსახურება თავისუფლების შეზღუდვების გამართლებას. თუმცა, სოლიდარობის პრინციპის კონსტიტუციურ-თეორიული გამონწვევა ამით არ დაიძლევა:

როგორი ურთიერთკავშირი აქვთ ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და მოქალაქის სამართლებრივად ეფექტურ სოლიდარულ მოვალეობებს სახელმწიფოში?

სოლიდარობის ცნების და მისთვის დამახასიათებელი ლოგიკის დეტალური ანალიზის გარეშე ამ შეკითხვებს პასუხს ვერ გავცემთ: თუ სოლიდარობა სპეციფიური კავშირის გამო მოითხოვს მოვალეობების აუცილებელ შესრულებას, ისმება შეკითხვა ამ კავშირის, როგორც გაერთიანების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით (B.). რადგან სახელმწიფო სოლიდარული გაერთიანებაა, ძირითადი უფლებები პრინციპში ვერ იქნებიან თავდაცვის უფლებები ელემენტარული სამოქალაქო სოლიდარული უფლებების შესრულებასთან მიმართებაში C.). კონსტიტუციურ-სამართლებრივი ძირითადი უფლებების გათვალისწინებით სახელმწიფოს შეუძლია პროპორციულობის საზღვრებში შექმნას ახალი ქვესახელმწიფოებრივი სოლიდარული გაერთიანებები და ამით სოლიდარობას ჩაუყაროს საფუძველი (D.). საბოლოოდ, საზოგადოებისადმი ნებაყოფლობითი ვალდებულების ფარგლებში და ამავე საზომით ძირითადი უფლებები ქმნის ეთიკურად გამართლებული, ნებაყოფლობითი სოლიდარობის საფუძვლებს. (E.).

B. სოლიდარობა როგორც პრინციპი

I. სოლიდარობის ცნება

სხვადასხვა იდეების ისტორიის განვითარებები უკავშირდებიან სოლიდარობის ცნებას.¹⁴ იგი როგორც სამართლებრივი ცნება, თავიდან აღნიშნავდა კოლექტიურ თანამშრომლობით პასუხისმგებლობას ცალკეული პირის ბრალეულობაზე.¹⁵ ეს ასიმეტრიული მხარდაჭერის ვალდებულება ფრანგმა სოციალურმა რეფორმატორებმა მე-19 საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობაში მოყვასის სიყვარულზე დაყრდნობით შეცვალეს ყველას მიმართ სიმეტრიული ვალდებულებით. რევოლუციის ლოზუნგი „ძმობა“, სოლიდარობის ცნების მეშვეობით, „სამართლებრივად უნდა გაფორმებულიყო“. პოლიტიკური ინსტრუმენტის სტატუსით ამ ცნებამ თავიდან 48 წლის რევოლუციის ბრძოლებში „ძმობის“ გვერდით ლოზუნგის სახით დაიკავა ადგილი, შემდეგ კი კარლ მარქსის გავლენით მუშათა ასოციაციების პროკლამაციებში შეაფინროვა ცნება „ძმობა“, თანდათანობით იგი გერმანიის მუშათა მოძრაობის ცენტრალურ იდეად იქცა. ამდენად, სოლიდარობის ცნება აღნიშნავს საერთო ინტერესებს ერთდროული ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულებისა და მიზნად ისახავს ერთობლივ მოქმედებებს. იურიდიული წარმოშობის, სოციალურ-ეთიკური ვალდებულებებისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის ეს ნაზავი დღემდე ანიჭებს ამ ცნებას თავის მუდმივ მიზიდველობას და გვევლინება როგორც კრისტალიზაციის ცნება პოლიტიკური იმედების, ოცნებებისა და უტოპიებისთვის.¹⁶ როგორც სამართლის პრინციპი და ეთიკური მოლოდინი, სოლიდარობის კონცეპტი წარმოადგენს ლეგიტიმაციის უზრუნველმყოფ

პრინციპს სოციალური დაზღვევისა და შრომის სამართალში, საერთაშორისო, ევროპულ და სახელმწიფო სამართალში.¹⁷

მიუხედავად სოლიდარობის ცნების ყოვლისმომცველი გამოყენებისა, მისი მნიშვნელობა შედარებით მყარადაა ჩამოყალიბებული: ის აღნიშნავს სპეციფიური კავშირით გამოწვეულ ორმხრივ მხარდაჭერას პიროვნებათა ერთობლიობის ფარგლებში. ამ ძირითადმა მოსაზრებამ დროის განმავლობაში შეიცვალა გამოხატვის ფორმები და ფორმულირებები: „ყველა ერთისთვის და ერთი ყველასათვის“, „ყველა ერთ ნაწილში“, „ძმობის სამართლებრივი ჩამოყალიბება“.¹⁸ სოლიდარობასთან მიმართებით გამოხატვის ყველა ამ ფორმისათვის საერთოა სამი განმსაზღვრელი ელემენტი: კონკრეტული სოლიდარული გაერთიანობის არსებობა (II.) გაერთიანების წევრებს შორის უსაფრთხოების დათქმა (III.), აქედან გამომდინარე მოვალეობები, რომლებიც ყოველმა პირმა უნდა შეასრულოს (IV.).

II. გაერთიანება როგორც მიზანი

სოლიდარობა გაერთიანების გარეშე არ მოიაზრება. მისი ცნება „ერთიანობიდან“ გამომდინარეობს, ისე რომ არ ასახელებს მის სპეციფიურ არსს, ნიშან-თვისებებსა და წინაპირობებს. აბსტრაქტული პასუხი მდგომარეობს სოლიდარული გაერთიანების ცნებაში: გაერთიანება აღნიშნავს სოლიდარული ქმედების მიზნს. მაგრამ რაში მდგომარეობს კონკრეტულად სოლიდარული გაერთიანების არსი? ვინ და რა მიზნით მიეკუთვნება მას? ან ვინ არ მიეკუთვნება მას?

კაცობრიობის კოსმოპოლიტური უნივერსალური სოლიდარობა – „ყველა ადამიანი ერთმანეთის ძმა ხდება“ – შილერმა პოეტურად მშვენივრად ჩამოაყალიბა, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი. მართალია, სტოიციური და ქრისტიანული ფესვები ყოველთვის კაცობრიობის ერთიანობას ქადაგებდნენ, თუმცა სწორედ რომ ადამიანთა უნივერსალური უფლებებისა და გლობალიზაციის ეპოქაში, რომელშიც ეს ერთიანობა მსოფლიო ისტორიაში პირველად რეალურად აღქმადი, ის სულ უფრო მეტად იქცევა პოლიტიკის რიტორიკულ ფრაზებად, რომლებიც, იმავდროულად, პრაქტიკული მოქმედების თვალსაზრისით, უსარგებლოა.¹⁹ თუ სოლიდარობა უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საფიქრალის იაფუასიანი რიტორიკული გამოხატვაა, თუ მას უნდა რომ იყოს პრაქტიკული, მას აუცილებლად სჭირდება განსხვავებები. მოქმედი სოლიდარობა შებლუდულობის პირობებში ყოველთვის მხოლოდ სელექციურად ვითარდება.²⁰ ეს უკვე *აუგუსტინუსმა* იცოდა: „ყველა ადამიანი ერთნაირად უნდა გიყვარდეს. მაგრამ რადგან შეუძლებელია ყველაზე იზრუნო, მაშინ უპირველესად მათზე უნდა იზრუნო, რომელთანაც ადგილის, დროისა ან სხვა გარემოებების გამო ბედისწერით უფრო

ახლოს ხარ დაკავშირებული“.²¹ ამგვარად, სოლიდარული უსაფრთხოების გარანტიები ყოველთვის კონკრეტული გაერთიანებებია.

კონცეპტუალურად გაერთიანება კონტრასტულ დამოკიდებულებაშია საზოგადოებასთან.²² თუ საზოგადოება მიმართულია თავისუფალი ინდივიდების ინტერესთა დაბალანსებაზე, რომლებიც პრინციპის „do ut des“ მიხედვით მოქმედებენ, გაერთიანება გამოხატულია არსებითი თანასწორობით, რომელიც მხარს უჭერს და უზრუნველყოფს სოლიდარულ უსაფრთხოებას. სოლიდარული მოვალეობის შესრულება არ წარმოადგენს ერთმანეთის კოლექტიური მხარდაჭერის მიზეზს, არამედ ის იქიდან გამომდინარეობს. სოლიდარული გაერთიანება გაზიარებას კი არ ეფუძნება, არამედ მასში ჰპოვებს სპეციფიკურ გამოხატულებას. თუმცა, ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც ის შეგვიძლია დავუკავშიროთ, სოლიდარობის სამართლებრივი პრინციპი პასუხს არ იძლევა. მისი წინაპირობა სოლიდარობის ფაქტობრივი გარემოებაა.

„ადგილის, დროისა და სხვა გარემოებების“ კონკრეტული ბედისწერა „უფრო ახლოს აკავშირებს“ მასში მონაწილე პირებს, მათ გაერთიანებად აქცევს. ბედისწერა ქმნის იმ განსაკუთრებულ, არსებით თანასწორობას, რომლის საფუძველზეც გაერთიანება საკუთარ ერთობას აფუძნებს. ეს ჰომოგენობა იწვევს იმას, რომ გაერთიანების წევრები ერთმანეთთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე მესამე პირებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვა საკითხებში განსხვავდებიან. ბედისწერით განპირობებულ, ცალკეული პირისთვის დადგენილ მოცემულ ჰომოგენურ გაერთიანებებს განსაკუთრებით მიეკუთვნებიან ოჯახი და სახელმწიფო,²³ თუმცა, ასევე ურთიერთდახმარების გაერთიანებები, რომლის წევრები ვიდრე გასაჭირი არ გადაივლის, გარდაუვალად და „ძმურად“, ეგზისტენციალურად და არსებითად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. შედეგად, შექმნილი სოლიდარული გაერთიანების ჰომოგენობა ზემოქმედებას ახდენს ფუნდამენტურ, ადამიანებს შორის პრინციპულად გადაულახავ განსხვავებაზე, რაც ასევე ეთიკურად მუდმივია. მართალია, თავისთავად ყველა ადამიანი ერთნაირია, მაგრამ რადგან და რამდენადაც ყოველი ადამიანი მრავალი ბედისწერით განპირობებულ ურთიერთობების სტრუქტურებში იმყოფება, მოქმედებს შემდეგი: კონკრეტულ სოლიდარულ გაერთიანებაში მონაწილე პირები, მათი არსებითი მსგავსების შედეგად, ერთმანეთისთვის უფრო მსგავსები (თანასწორები) არიან.²⁴ ისინი ერთმანეთის ვალში არიან, უფრო მეტი სოლიდარული მხარდაჭერა გამოუცხადონ და ძმური სიყვარული გაუნაწილონ ერთმანეთს, ვიდრე გარეშე მყოფ მესამე პირებს. მეტწილად მაშინ, როცა უფრო მჭიდროა მათი დამაკავშირებელი ძაფი.²⁵ ამდენად, „ძმობა“ უფრო მეტ ვალშია ღვიძლ ძმებთან, ვიდრე საკუთარ ხალხთან, ასევე უფრო მეტ ვალშია საკუთარ ხალხთან, ვიდრე კაცობრიობასთან.²⁶ როცა ადამიანი თავის სოლიდარობას ახლო მდგომს უცხადებს და არა შორს მდგომს, ეს არ არის მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული მოვალეობის დარღვევა; სავალდებულო არ არის ყველა ადამიანს

ერთნაირად გაუნაწილო ყურადღება, ნებადართულია და, ასევე სავალდებულო, რომ ადამიანები განასხვავო.²⁷

სოლიდარობის პრინციპი ღია კოლექტიური ერთობის განსხვავებული შინაარსებისა და ინტენსივობებისთვის:²⁸ უსაფრთხოება, რომლის მიღწევასაც ცალკეული პირი გაერთიანებასა და გაერთიანების მეშვეობით ცდილობს, შეიძლება იყოს მისი სხეულის ფიზიკური ან ქონების, მისი თავისუფლების ან სოციალური უსაფრთხოება ცხოვრების ცვალებადობასთან მიმართებაში, ასევე მეტაფიზიკური უსაფრთხოება, რომელიც გვპირდება ცხოვრების აზრის შესახებ კითხვაზე პასუხს. სოლიდარობის შინაარსა და პერიოდს, მოცულობასა და ინტენსივობას ყოველი სოლიდარული გაერთიანება თავისთვის განსაზღვრავს. სოლიდარობა შეიძლება მიზნად ისახავდეს განუსაზღვრელი დროით შექმნილ უსაფრთხოებას ან ემსახურებოდეს მოკლევადიანი საფრთხის გადალახვას. თუ სოლიდარული საზოგადოება განსაზღვრული რისკის გადალახვის მიზნით იქმნება, მაშინ გაერთიანების ეს მიზანი ამართლებს მის მიზმსა და საზღვარს: სანამ რისკი სახეზეა და ვიდრე გაერთიანება სოლიდარულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, სოლიდარული გაერთიანება ლეგიტიმურია. თუ სოლიდარული საზოგადოება მწვავე და მოკლევადიანი ხიფათის დაძლევის მიზნით ყალიბდება, ის წარმოიქმნება და იშლება პრობლემის დაძლევისთანავე. სოლიდარობა შეიძლება უსაფრთხოების მინიმუმის უზრუნველყოფას ისახავდეს მიზნად ან ყოვლისმომცველი მაქსიმალური უსაფრთხოებისკენ ილტვოდეს. ის ღია ერთმანეთის პირისპირ მდგომი სოლიდარული პასუხისმგებლობის როგორც მიზნის, ასევე ნორმის მიმართ: მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოება უნდა იქნას სოლიდარულად უზრუნველყოფილი, თუ ასევე სოციალური? მხოლოდ უსაფრთხოების მინიმუმი უნდა იყოს მხოლოდ სოციალურად გარანტირებული თუ სოლიდარობის პრინციპი მიზნად ისახავს გაერთიანების წევრების ოპტიმალურ კეთილდღეობას ფართო გაგებით?

სოლიდარობა შეიძლება წარმოდგეს უსაფრთხოების მოთხოვნის რაციონალური გაანგარიშებიდან, მაგრამ ასევე შეიძლება ემყარებოდეს ემოციურ მოვლენებსა და “ჩვენი ერთობის” განცდას. თუმცა, ყველა შემთხვევაში სოლიდარობა ეფუძნება სპეციფიურ და ორმხრივ პასუხისმგებლობას.²⁹ ეს მას მიჯნავს მოყვასის თავდადებული სიყვარულისგან და ემპათიისგან; თუმცა ორივეს შეუძლია სოლიდარული პრაქტიკისა და გაერთიანების შექმნა და გაძლიერება.

III. უსაფრთხოება როგორც მიზანი

სოლიდარობა ნიშნავს უსაფრთხოებას გაერთიანების მეშვეობით. სოლიდარული გაერთიანება არცერთ თავის წევრს მარტო არ ტოვებს. ამაშია თითოეული მათგანის, როგორც გაერთიანების ნაწილის უსაფრთხოება. არავის არ უნევს მარტო თავის თავზე ზრუნვა, მათ შეუძლიათ დარწმუნებულები იყვნენ, რომ სხვები დაეხმარებიან. ასევე,

თავადაც ვალდებულები არიან, გასაჭირში ჩავარდნილ გაერთიანების წევრებს მხარში ამოუდგნენ.

სოლიდარობა, როგორც გაერთიანების ძირითადი პრინციპი, კონცეპტუალურად უპირისპირდება ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს. თავისუფლება ნიშნავს შანსს, ისევე როგორ რისკს ანუ გაურკვეველობას; სოლიდარობა უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. სოლიდარულ გაერთიანებაში თავისუფლება შეიძლება განვითარდეს მხოლოდ სოლიდარობის ფარგლებში და არა მის წინააღმდეგ. სოლიდარული გაერთიანება რისკს, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების განუყოფელს ნაწილს, სოლიდარული თვალსაზრისით, კოლექტიურად აღიქვამს და თავისუფლებას მხოლოდ იმ დოზით აღიარებს და უშვებს, თუ ის საფრთხეს არ უქმნის უსაფრთხოების დათქმას: *in dubio pro securitate*.³⁰

IV. სოლიდარული ვალდებულება როგორც საშუალება

სოლიდარობის პრინციპი უსაფრთხოების შეპირებას იძლევა („ყველა ერთისთვის“), მაგრამ ის მოითხოვს აუცილებელ სოლიდარულ მზადყოფნასაც („ერთი ყველასთვის“). მოვალეობის სოლიდარული შესრულების მყარ პრაქტიკულ შედეგებს საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ობიექტური აუცილებლობები, მოთხოვნილებები და გარემოებები, მეორე მხრივ კი, სუბიექტური შესაძლებლობები და უნარები. აქედან წარმოიშვება კონკრეტულ შემთხვევაში სოლიდარული მოვალეობის მქონე პირთათვის კონკრეტული ამოცანები. სოლიდარული მოქმედება შეიძლება მდგომარეობდეს მორალური თუ მატერიალური ხელშეწყობისთვის მზადყოფნაში, აქტიურ დახმარებასა ან ფულად მხარდაჭერაში. ამის საპირისპიროდ, დამხმარე პირის მხოლოდ სემანტიკური ან სიმბოლური რიტუალები, მართალია, ალამაზებენ ერთმანეთს სოლიდარობის ეტიკეტით, თუმცა მათ არ ჰყოფნით სხვების პირადი დახმარების, ერთგულებისა და თავგანწირვის გადამწყვეტი ელემენტი. რადგან ის ფაქტიურად არათფერი ღირს, ადამიანს შეუძლია სამყაროს ყველა ძმათა შორის ყველაზე შორს მყოფსაც უწილადოს ეს და სხვებისგანაც იგივე მოითხოვოს: ეს ჰიპერმორალი პრაქტიკულად ნიშნავს სოლიდარობის ცნების დაცარიელებას და ღირსების აყრას, რომელიც დეგრადირდება და გადაიქცევა მზრუნველობასთან დაკავშირებულ მეტისმეტად იაფფასიან და უმნიშვნელო რიტორიკად.³¹ ამის საპირისპიროდ, „ნამდვილი“ სოლიდარობა მიმართულია პრაქტიკულ შედეგზე და ქმედით, თავგანწირულ მზრუნველობაზე. სოლიდარული კავშირი გაერთიანების მეშვეობით მოითხოვს ორმხრივი ვალდებულებების აუცილებლობას. სოლიდარობა მოითხოვს ვალდებულების აუცილებელ შესრულებას, თუმცა, მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ კონკრეტულად რა შეუძლია ცალკეულ წევრს ინდივიდუალური უნარების მიხედვით. სოლიდარობის მოვალეობა მიმართულია იქითკენ, თუ როგორ შეუძლია ცალკეულ პირს საკუთარი უნარებით წვლილი შეიტანოს გაერთიანების ეფექტურ ფუნქციონირებაში. ყოველი წევრი არ არის ვალდებული ერთი

და იგივე გააკეთოს გაერთიანებისათვის. თუმცა, მათ შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა შემთხვევაში, საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ. ვალდებულებების სოლიდარული თანასწორობა პრინციპში კონკრეტიზირდება ამოცანებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით: „ვისაც შეუძლია, იმან უნდა გააკეთოს“.

V. სოლიდარობის მრავალფეროვნება და დონეები

სოლიდარობის პრინციპის ლეგიტიმაცია და შინაარსი, ინტენსივობა და საზღვრები, გამონწვევები და პრობლემები შესაძლებელია განხილულ იქნას მხოლოდ კონკრეტული სოლიდარული გაერთიანებების გათვალისწინებით. სოლიდარული ურთიერთობები საზოგადოებრივ რეალობაში მრავალფეროვანი ფორმებით, ნიუანსებითა და გამოყენების სფეროებით არსებობს. მათ შეუძლია მოიცვას მეგობრული ურთიერთობები და ოჯახი; ისევე განსაზღვრავს ისინი რელიგიურ გაერთიანებებს (ორდენებს), ისევე როგორც სპორტულ და პროფესიულ გუნდებს, აძლიერებენ (ეროვნულ) სახელმწიფოებს თუ სახელმწიფოთა ფედერაციულ გაერთიანებებს, გლობალური გაერთიანებების ჩათვლით. საზოგადოებები შეიძლება სპონტანურად შეიქმნას (საერთო ბედისწერით დაკავშირებული ადამიანთა ჯგუფი) ან გეგმაზომიერად დაფუძნდეს, როგორც მოცემულობა (ოჯახი) ან ნებაყოფლობითი (კავშირი) სოლიდარული გაერთიანება, ისინი შეიძლება თავისუფალი თვითორგანიზაციის სახით შეიქმნას, ან სახელმწიფოს მხრიდან იყოს თავსმოხვეული (სპეციალური დაზღვევა).

სოლიდარობის პრინციპი იურიდიულ სტაბილურობას ინსტიტუციების მეშვეობით იძენს, რომლებიც კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს სამართლებრივი მასშტაბებით განსაზღვრავენ, გაერთიანების წევრების მოთხოვნილებას და ქმედუნარიანობას აბალანსებენ. სამართლებრივ სახელმწიფოში სოლიდარობის პრინციპი წარმოშობს ძირითად უფლებაზე დაფუძნებულ დოგმატურ და ფედერალური სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ხასიათის ურღვევ კავშირებს.³² ძირითად უფლებაზე დაფუძნებულ დოგმატურ კონტექსტში გამოიყოფა სოლიდარობის სამი დონე: სახელმწიფო, როგორც სოლიდარული გაერთიანება და ძირითადი უფლებების კავშირი ძირითად სოლიდარულ მოვალეობებთან (C.); ქვესახელმწიფოებრივი იძულებითი სოლიდარული გაერთიანებების, ე.ი. ისეთი გაერთიანებების სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაცია და საზღვრები, რომლებიც არ მოიცავს ყველა მოქალაქეს (D.). და ბოლოს, ის თავისუფალი სოლიდარული გაერთიანებები, რომლებიც მოქალაქეებს საკუთარი ინიციატივით, საკუთარი ეთიკური მრწამსის მიხედვით, მათი ძირითადი უფლებების საფუძველზე, გადასცემენ ცოდნას (E.).

C. სოლიდარობა როგორც ძირითად უფლებებზე დაფუძნებული თავისუფლების წინაპირობა

I. სახელმწიფო როგორც სოლიდარული გაერთიანება

სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ერთობის ფორმა, სოლიდარულ გაერთიანებას წარმოადგენს.³³ ეგზისტენციალურად ის ადამიანებზე რომ არ იყოს დამოკიდებული, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც თავის პოლიტიკურ სამშობლოს აღიქვამენ, სადაც ცხოვრება სურთ და რომლის მეშვეობითაც ერთმანეთთან ხანგრძლივად, სოლიდარულად არიან დაკავშირებულნი, ის ვერ იარსებებდა. ყოველი სახელმწიფო ეფუძნება „მხოლოდ ძმებისგან შემდგარ ხალხს, რომლებიც გასაჭირში და ხიფათში არ დაშორდებიან ერთმანეთს“ (*შილერი*). ამდენად, ის ქმნის გაერთიანებას, რომელიც არავის ტოვებს მარტო, ყოველ ადამიანს მხარს უჭერს, მაგრამ ყოველი ადამიანისგან მოითხოვს მისი შესაძლებლობის ფარგლებში შეიტანოს წვლილი ამ ერთიანობისთვის. იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს რომანტიკულმა თეორიამ ეს თავისთავად ცხადი ფაქტობრივი გარემოებები იმთავითვე გახადა საკუთარი მსჯელობის ურყევ საფუძვლად, სახელმწიფოს შესახებ მექანიკურმა მოძღვრებამ კი ეს ძირითადი ცნებები სახელმწიფოს ხელშეკრულებას დაუკავშირა: ის ითვალისწინებდა სახელმწიფო სოლიდარული გაერთიანების შექმნას, რათა ფიზიკური გადარჩენის მიზნით წინააღმდეგობა გაენიათ არსებული ხიფათებისთვის. იდეური თვალსაზრისით, ერთმანეთის საპირისპირო ორივე მოძღვრება გამოხატავს სახელმწიფოებრივად ორგანიზებული პოლიტიკური ძალაუფლების რეალობას: ისინი ფუძნდებიან ბუნებრივად მიღებულ, თავისთავად „დაბადებიდანვე მოცემულ“ ან რაციონალურად ნებაყოფლობით, მიზანმიმართულად „შერჩეულ“ სოლიდარობაში.³⁴ ჰომოგენობა³⁵ და კავშირი ქმნის ორ საფუძველს მოქალაქეობრივი სოლიდარობისთვის, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც ასეთს, ლეგიტიმაციას ანიჭებენ და რომელიც თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკურ სინამდვილეში არსებობენ სპეციფიური, თუნდაც განსხვავებული და ცვალებადი შერეული ურთიერთობებით.³⁶

ერთი სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობიდან გამომდინარეობს ხალხის საერთო გასაჭირით და ბედისწერით განპირობებული გაერთიანება, რომელიც კონსტიტუციის მიერ სამართლებრივად კონკრეტიზირებული და მოქალაქეთა მეშვეობით სამართლებრივადაა აღიარებული. მოქალაქეობა მოქალაქეს პრინციპულად მთელი ცხოვრების მანძილზე აკავშირებს „თავის“ სახელმწიფოსთან, კერძოდ კი, ყველა გარემოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ადამიანები თანამედროვე სამყაროში თავს აღიქვამენ, როგორც „global player“, რომელთა სამშობლო აეროპორტია და რომელთა მეგობრები ინტერნეტში არიან, ადამიანების მასა ვირტუალიზაციის ყველა განვითარების საპირისპიროდ რჩება სამშობლოს, ე.ი. სახელმწიფოს მიწასთან დაკავშირებული. ბევრი „global player“ მონანიების გრძნობით აღსავსე უბრუნდება

სამშობლოს, როდესაც ვირტუალური ბუშტები სკდება. გლობალიზაცია არ ნიშნავს ორმხრივ ვალდებულებაში რეალური კავშირის დასასრულს, პირიქით: სწორედ რომ გლობალურ სამყაროში კომპენსატორულად იზრდება ადამიანის მოთხოვნილება და სურვილი, ჰქონდეს მცირე, ავთენტური პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც წარმოადგენს კულტუროლოგიურად ნაცნობ სამშობლოს მათთვის: უსაფრთხოება სახელმწიფოებრივ, რეგიონალურ, ოჯახურ, ე.ი. რეალურად აღქმად დაცულობაში.

თუმცა, გლობალიზებულ სამყაროში სოლიდარობის შესაძლებლობა პოლიტიკურად არის დიფერენცირებული. პოლიტიკური სოლიდარობიდან დაშრევება გლობალური გაერთიანების დროში, სახელმწიფოს ტოვებს პოლიტიკური იდენტობის ცენტრში, შემოსაზღვრავს მას მრავალრიცხოვანი სხვა სოლიდარული ურთიერთობებით - ქვევით - ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი, თემი - და ზევით - ევროკავშირი, გაერთიანებული ერები. ზე- და ქვესახელმწიფოებრივი სოლიდარული ურთიერთობები სახელმწიფოს ართმევენ პოლიტიკური სოლიდარობის მონოპოლურ პოზიციას, მას ნაწილობრივ უკანა პლანზე წევნ. მაგრამ სახელმწიფო მაინც რჩება პოლიტიკურად ორგანიზებული სოლიდარობის ცენტრად. მისგან იღებს გამუდმებით ყველა სხვა სოლიდარული გაერთიანება პოლიტიკურად მნიშვნელოვან სოლიდარულ რესურსს.

II. თავისუფლება გაერთიანებაში და გაერთიანების მეშვეობით

სახელმწიფოს როგორც სოლიდარული გაერთიანების დახასიათება, დღესდღეობით არც ჩვეულებრივი მოვლენაა და არც პოპულარული. ფაქტობრივად, კონსტიტუციური სახელმწიფო ახალი დროის იდეების ისტორიის ტრადიციას აგრძელებს, რომლის პრინციპებია თავისუფლება და თვითგამორკვევა, ემანსიპაცია და ინდივიდუალიზმი, რაციონალიზმი და ლიბერალიზმი. თუმცა, ამ კონსტიტუციურ-ისტორიულ მონაპოვრებში არ დევს სახელმწიფოს სოლიდარული ხასიათის კონსტიტუციურ-სამართლებრივი უარყოფა. კონსტიტუციას შეუძლია, რომ წინაპირობად ჰქონდეს ის, როგორც თავისთავად გასაგები ფაქტი, ისე რომ შესაძლებელია კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოებრივი სოლიდარობის კონკრეტული სამართლებრივი ფორმის აღქმა.³⁷ საკონსტიტუციო სამართალი კი, უნდა ქმნიდეს სახელმწიფოს სოლიდარული სტრუქტურის წინაპირობებს, რადგან სახელმწიფო, როგორც სოლიდარული გაერთიანება, მაშინ არსებობს და მის გარეშე მისი გააზრება შეუძლებელია. ძირითადი კანონი არ ამბობს უარს სოლიდარულ პრინციპზე და სახელმწიფო არ არის სოლიდარული გაერთიანების საპირისპირო მოდელი, ის მისი ლიბერალური მოდიფიკაცია და სამართლებრივი აგებულებაა.

სახელმწიფო სოლიდარული გაერთიანებაა, თუმცა როგორც ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფო, ის არ ფლობს სოლიდარულ მონოპოლიას. დემოკრატიული სახელმწიფო მიჰყვება შუალედურ გზას თავისუფლებასა და ვალდებულებას შორის:

იგი უარს ამბობს, გააერთიანოს მოქალაქეობრივი სოლიდარობა, ისევე როგორც³⁸ არ განიხილავს თავისი მოქალაქეების ძირითად უფლებებზე დაფუძნებულ თვითგამორკვევასა და გადაწყვეტილების მიღებაში დემოკრატიულ მონაწილეობას. სახელმწიფო თავისი წევრებისთვის უზრუნველყოფს აუცილებელი, ორმხრივი მხარდაჭერის ვალდებულებას ცხოვრებისეულ რისკებთან მიმართებით. თუმცა, უსათრთხოების ამ უზრუნველყოფას ზღუდავს ძირითად უფლებებში პოზიტივიზებული თავისუფლების პრინციპი. ვინაიდან სახელმწიფო ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ თავისუფლებას უზრუნველყოფს, მაგრამ მხოლოდ თავისი წევრების სოლიდარობის მეშვეობით შეუძლია არსებობა, სოლიდარობა თავისუფლების წინაპირობა ხდება. ძირითადი უფლებები, როგორც სახელმწიფოს მიმართ არსებული მის მიერ ქმედითად გარანტირებული თავისუფლება ვერ იარსებებს მოქალაქეების სახელმწიფოს მიერ წარმართველი სოლიდარობის გარეშე.

ამგვარად, თავისუფალი-დემოკრატიული სახელმწიფო ახდენს თავისუფლებისა და ერთობის მხოლოდ შესაბამისი დონის რეალიზებას. ის უარს ეუბნება პლატონური წარმოშობის ტოტალურ სახელმწიფოს და ასევე იზოლირებული ეგოიზმის ლიბერტალურ ანარქიზმს. ამდენად, ძირითადი კანონის ადამიანის ხატება არის არა იზოლირებული სუვერენული ინდივიდი, არამედ ის უპირატესობას ანიჭებს გაერთიანებასთან დაკავშირებულ პიროვნებას, ისე რომ არ ეხება მის შინაგან ღირებულებას.³⁹ გერმანიის კონსტიტუციური სახელმწიფო მიზნად ისახავს არისტოტელესეული მოსაზრების შედეგს, რომლის მიხედვითაც, „[არსებობს] ერთიანობის ხარისხი, რომლის მოცემულობის შემთხვევაში სახელმწიფო ველარ იარსებებდა“⁴⁰ და ასევე ინდივიდუალიზმის ხარისხი, რომლის არსებობის შემთხვევაში ადამიანი ადამიანი აღარ იქნებოდა.⁴¹

III. სოლიდარობის ძირითადი პრინციპები

1. ძირითად ვალდებულებათა სპეციფიური ცნება

ძირითადი სოლიდარული ვალდებულებები ნიშნავს ვალდებულებათა შესრულებას სახელმწიფო ორგანიზმის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, ასევე ამოცანების შესრულებას სოლიდარული კავშირის წევრების ინდივიდუალური წვლილის გათვალისწინებით. როგორც კონსტიტუციის სტრუქტურული წინაპირობები, ისინი წარმოადგენს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ბუნებრივ მოცემულობას, მათ არ სჭირდება ნორმირება „როგორც ასეთი“ და ამიტომ ისინი იშვიათად თუ ხვდება სპეციალურად კონსტიტუციის ტექსტებში.⁴² პრინციპში ისინი აპრიორი არის ძალაში, თავისთავად ლეგიტიმური, მათ არ სჭირდება დასაბუთება ცალკეული პირის თავისუფლების მოთხოვნის მიმართ.

ძირითადი სოლიდარული ვალდებულებები სპეციფიურია და უნდა განვასხვავოთ სხვა „ზოგადი“ ძირითადი ვალდებულებებისგან. ისინი ან პირდაპირი კონსტიტუციური ვალდებულებების⁴³ ერთიანობაა, რომლებიც გამონაკლისის სახით სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ კონსტიტუციაში დამკვიდრდა, ან ისინი პოლიტიკურ დისკურს ემსახურება, როგორც ეთიკურად დასაბუთებული სამართლებრივ-პოლიტიკური მოთხოვნები.⁴⁴ ამ ფორმით ვალდებულებებმა უნდა დააბალანსოს ძირითად უფლებებსა და კანონისმიერ მოთხოვნებს შორის არსებული ასიმეტრია, რომელიც სახელმწიფოებრივად სასურველი და უზრუნველყოფს თავისუფლებას.

ამის საპირისპიროდ, სპეციფიური ძირითადი ვალდებულებები მხოლოდ ის სოლიდარული ვალდებულებებია, რომელთა შესრულება სახელმწიფოს არსებობისთვის *conditio sine qua non*-ს წარმოადგენს, ანუ მათ გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებდა. ისინი ქმნიან პოლიტიკური გაერთიანების მატერიალურ არსს, მათი წევრების ჰომოგენობას, რომლებიც სოლიდარულ გაერთიანებაში თავს უდავოდ დაცულად გრძობენ. როგორც სოლიდარული გაერთიანება, სახელმწიფო – ძირითად უფლებაზე დაფუძნებული თავისუფლების პერსპექტივიდან ფორმულირებული – წარმოადგენს აპრიორი ლეგიტიმურ გაერთიანებას, რომლის პრინციპი გადანაწილებაა. სახელმწიფოს არსებობაზე გადანაწილების ზემოქმედება შეგვიძლია განვიხილოთ სამი სპეციფიური ძირითადი სოლიდარული ვალდებულების მაგალითზე: მშვიდობის დაცვა, კანონმორჩილება და გაერთიანების გადასახადების სოლიდარული გადახდა.

2. მშვიდობის ვალდებულება და კანონისადმი მორჩილება

მშვიდობის დაცვის ვალდებულება მატერიალურ ძირითად ვალდებულებათა შორის არის ყველაზე მეტად ელემენტარული.⁴⁵ ხოლო კანონმორჩილების ვალდებულების, როგორც ფორმალური ძირითადი ვალდებულების საპირწონე კანონის აღსრულებაა. მშვიდობის დაცვის ვალდებულებისგან განსხვავებით, მას ლოგიკურად ნორმადების უნარი არ გააჩნია: როგორც ყველა სასარჩელო წარმოებას, კანონმორჩილების ვალდებულებას ესაჭიროება მოქმედების საფუძველი, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ მორჩილების ნორმატიულ მოთხოვნაში შეიძლება არსებობდეს.⁴⁶

მშვიდობისა და მორჩილების ვალდებულებები, როგორც მოქალაქის ძირითადი ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე, არ იწვევს დავას. ისინი წარმოადგენენ დასავლურ კულტუროლოგიურ მიღწევას და მიეკუთვნებიან კონსტიტუციური საზოგადოების თვითშეგნებას.⁴⁷ თუ მე-18 საუკუნეში ცნობილი იყო სამშვიდობო ვალდებულების სახელმწიფოებრივ-თეორიული და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მნიშვნელობა,⁴⁸ მე-19 საუკუნეში ის გაქრა იურისპრუდენციის თვალთახედვიდან. მშვიდობისა და მორჩილების ვალდებულებები კვლავ ამოტივტივდა ცნობიერებაში, როდესაც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უფლებების

შეგნებული შელახვა პოლიტიკური დემონსტრაციების საშუალებით აირჩიეს⁴⁹ და ამ საკითხის მოგვარებას ძირითად უფლებებთან მიმართებაში ცდილობდნენ.⁵⁰

3. საგადასახადო ვალდებულება

თავისუფალ სამართლებრივ საზოგადოებაში საგადასახადო ვალდებულებაში კონცენტრირდება მოქალაქის მატერიალური სოლიდარული ვალდებულება. სამხედრო სამსახურის შემდეგ, არცერთი სხვა ინსტრუმენტი არ არის ცალკეული პირის საზოგადოებასთან აპრიორული კავშირის ასეთი ძლიერი გამოხატულება, რომელსაც მან აუცილებლად უნდა მიაგოს პატივი. შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულება დაკავშირებულია მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში ინდივიდის დამორჩილების წინაპირობასთან.⁵¹ როგორც საზოგადოებრივი ერთიანობის გამოხატულება, დაბეგვრა წარმოებს შრომისუნარიანი პირის შესაძლებლობების ფარგლებში⁵², რაც დადგენილია კონკრეტული ნორმებით და ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.⁵³ აღნიშნულ ნორმებში მატერიალურად მთლიანდება ტვირთის გადანაწილების პრინციპი⁵⁴.

4. მომსახურების ზოგადი ვალდებულებები

ძირითად კანონზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ სახელმწიფოში მომსახურების ვალდებულებებს უფრო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ე.წ. ნატურალური გადასახადის ცენტრში ძირითადი კანონის მე - 12ა მუხლის თანახმად, სამხედრო და სამხედრო სამსახურის ნაცვლად,⁵⁵ შრომითი ვალდებულება დგას. ამის საპირისპიროდ, ტრადიციული ხელით შესრულებული და საჭაპნე სატრანსპორტო მომსახურება სახელმწიფოს ეფექტურობასთან დაკავშირებული ღონისძიებების გამო, უფრო და უფრო უკანა პლანზე გადადის, საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულების ვალდებულება⁵⁶ (მაგალითად, ნაფიც მსაჯულად გამოსვლა⁵⁷ ან საარჩევნო კომისიის წევრობა⁵⁸) თითქმის არ მოიცავს მოსახლეობის ფართო მასებს. სამხედრო სამსახურის ნაცვლად, შრომითი ვალდებულების შემთხვევაში, ძირითადი კანონის მე-12ა მუხლის თანახმად, ზუსტადაა გამოხატული მოქალაქის სოლიდარული სიახლოვე საზოგადოებასთან. ის ეგზისტენციალურად ყველა მოქალაქეს⁵⁹ ეხება და მოითხოვს მათგან მათი შრომისუნარიანობის ფარგლებში წვლილი შეიტანონ გაერთიანების ინტერესთა განხორციელებაში გარეთ (თავდაცვა)⁶⁰ და შიგნით (სოციალური სამსახურები).⁶¹

სოლიდარობის ფარგლებში მოქალაქეობრივი ვალდებულება თავის ეგზისტენციალურ ხასიათს ომის შემთხვევაში ავლენს. როდესაც სახელმწიფოებრიობის არსებობას საფრთხე ემუქრება, ყოველი მოქალაქე ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების უსაფრთხოებაში: სახელმწიფოს დაცვა მოითხოვს ყველა მოქალაქისგან დახმარებას, მაგრამ ყველას არ შეუძლია იარაღი აიღოს ხელში, ისიც

კი, ვისაც ყველაზე მცირედი წვლილი შეუძლია შეიტანოს გამარჯვებაში, ვალდებულია სამხედრო სამსახურში იმსახუროს: სხვა შემთხვევაში ამაო იქნებოდა სახელმწიფოს აშენება, რომლის შენარჩუნებისათვის მოქალაქეებს არც სურვილი ექნებოდათ და არც გამბედაობა.⁶² ომის გამონაკლის შემთხვევაში, მოქალაქეობრივი სოლიდარობა შეიძლება ნიშნავდეს საკუთარი ცხოვრების ამოცანას: მსხვერპლი უზრუნველყოფს და ადასტურებს გაერთიანების არსებობას.⁶³

5. მომსახურების განსაკუთრებული ვალდებულებები

ზოგადი მოვალეობებისგან განსხვავებით, სპეციალური სამსახურეობრივი ვალდებულებები აპრიორი არ არის ძალაში. ისინი მოქმედებაში შედის ვალდებულების საფუძველზე და ძალაშია მხოლოდ ცალკეული ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით მოხელეებისთვის. პროფესიონალი მოხელეების აპარატში ვლინდება თანამედროვე სახელმწიფოს *in nuce* სოლიდარობის სტრუქტურა. მოხელე სახელმწიფოსთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთკავშირშია, საიდანაც გამომდინარეობს ორმხრივად დამაკავშირებელი ერთგულება.⁶⁴ ამდენად, მოხელეების უფლებები და ვალდებულებები განსხვავდება კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობისგან, რომელშიც გამოხატულია დამქირავებლისა და დაქირავებულის საპირისპირო ინტერესები. მოხელე ვალდებულია მთლიანად მიეძღვნას თავის დამქირავებელს. ამიტომ, მას არა აქვს სამსახურზე უარის თქმის უფლება.⁶⁵ მოხელის სამუშაოს შესრულების პრინციპულად შეუზღუდავ ვალდებულებას არ შეესაბამება ორმხრივი მოთხოვნა ანაზღაურებაზე. მოხელეს არა აქვს პრეტენზია გადაუხდელ ხელფასზე. უზრუნველყოფა, რაც სახელმწიფომ თავის მოსამსახურეებს უნდა გაუწიოს, უწყების შედეგია და არა მისი მიზანი.⁶⁶ უწყების შესაბამისი ალიმენტაცია დამქირავებლის მხოლოდ ობიექტურ-სამართლებრივი და ასევე მისი მატერიალური დახმარების განწევის ვალდებულებაა.

IV. სოლიდარული ვალდებულებების კონსტიტუციური დოგმატიკა

1. ნეგატორული თავისუფლება ძირითადი სოლიდარული ვალდებულებების წინააღმდეგ?

ა) ძირითადი წესი: არ არსებობს თავდაცვის უფლება სოლიდარული ვალდებულებების წინააღმდეგ

ლიბერალური კონსტიტუციური სახელმწიფო არ იცნობს მოქალაქის კონსტიტუციასთან უშუალოდ დაკავშირებულ ვალდებულებებს. მოქალაქის მიერ ყოველი ვალდებულების შესრულებას ფორმალურად სჭირდება დემოკრატიულად ლეგიტიმირებული კანონი, მატერიალურად კი, ცალკეული პირის თავისუფლების პრეტენზიის დასაბუ-

თება. უფლებებისა და ვალდებულებების ეს ასიმეტრია თავისუფალი კონსტიტუციური წყობის დამახასიათებელი ნიშანია.⁶⁷ სხვა წესი მოქმედებს მოქალაქის ძირითადი სოლიდარული ვალდებულებებისთვის. ისინი აპრიორია ძალაში. მართალია, მათ სჭირდებათ და მათთვის ხელმისაწვდომია კანონისმიერი კონკრეტიზირება, მაგრამ პრინციპულად არ ექვემდებარებიან დასაბუთების ვალდებულებას: ისინი ლეგიტიმაციას პოულობენ სახელმწიფო სოლიდარული საზოგადოების არსებობაში. იმავდროულად ეს ძირითადი ვალდებულებები შესაძლებელს ხდიან კონკრეტული სოლიდარული გაერთიანების „სახელმწიფოს“ არსებობას და ამით ქმნიან ძირითადი უფლებების ეფექტური მოქმედების შესაძლებლობის პირობას. სუბიექტური ძირითადი უფლებების ეს იდეა მიგვიყვანდა აბსურდამდე (ad absurdum), თუკი შესაძლებელი იქნებოდა ისინი მიგვემართა მათი მოქმედების წინაპირობების წინააღმდეგ.

ამიტომ მოქალაქეს არ შეუძლია ძირითადი სოლიდარული ვალდებულებების მიმართ „თავისუფლება, როგორც ასეთი“ განახორციელოს. კონსტიტუციურ სახელმწიფოში არსებობს მხოლოდ ძირითადი უფლებები, ე.ი. თავისუფლება ქვეყანაში და მისი მემკვიდრით, მაგრამ არ არსებობს თავისუფლება სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ; ეს ანარქია იქნებოდა. თუმცა, სახელმწიფოში ყოველი მოქალაქე არა მარტო სოლიდარული უსაფრთხოების შეპირების აღრესატია, არამედ, პირველ რიგში, მისი შრომისუნარიანობის გათვალისწინებით ვალდებულია, გაინაწილოს ამ გაერთიანების ტვირთი. ამ აპრიორული ვალდებულების წინააღმდეგ მას არ შეუძლია დაეყრდნოს ძირითად უფლებებს. სხვა შემთხვევაში მისი საქციელი იქნებოდა ამორალური და სხვის ხარჯზე ცხოვრების ტოლფასი, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოხატული ნება.

ძირითადი სოლიდარული ვალდებულებების აპრიორული, კონსტიტუციამდელი სამართლებრივი მოქმედება პრინციპულად გამოირიცხავს კონსტიტუციურ-სამართლებრივად პოზიტივირებული ძირითადი უფლებების გამოყენებას მოქალაქის ძირითად ვალდებულებებთან მიმართებით. სამართლებრივი სახელმწიფოს ასიმეტრიული მიდგომა კონსტიტუციურად გარანტირებულ თავისუფლებებსა და კანონით დადგენილ ვალდებულებებს შორის – უმაღლეს დონეზე – ანალოგს პოულობს სამართლებრივი სახელმწიფოს ასიმეტრიაში, რომელიც გვაქვს კონსტიტუციით დადგენილ ძირითად სოლიდარულ ვალდებულებებსა და კონსტიტუციურად ნორმადებულ ძირითად უფლებებს შორის⁶⁸ სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არის ლეგიტიმირებული ძირითადი უფლებების მემკვიდრით; უფრო ზუსტად, სახელმწიფოს არსებობა ხდის ადამიანთა უფლებების, როგორც ძირითადი უფლებების სამართლებრივ ეფექტურობას შესაძლებელს. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ძირითადი უფლებების ეფექტური უზრუნველყოფა და დაცვა. ასევე თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეუძლია თავისუფლების მიცემა, როცა მოქალაქეები საზოგადოების წვლილს სოლიდარულად ინაწილებენ. ძირითადი სოლიდარული ვალდებულებები წარმოადგენენ შენატანს სახელმწიფოებრივად გარანტირებულ

თავისუფლებაში. ძირითადი სოლიდარული ვალდებულებების ძირითად უფლებასთან დაკავშირებული დოგმატური პოზიცია, როგორც აპრიორული, რომელსაც პრინციპში გამართლება არ სჭირდება, ფაქტობრივად ყველა სპეციფიურ ძირითად ვალდებულებაში დასტურდება.⁶⁹ თუმცა, ძირითადი უფლებების დოგმატიკა არ ემხრობა აშკარად ძირითადი სოლიდარული ვალდებულებების აპრიორული მოქმედების პრინციპს. უფრო მეტად ის მრავალი რიტორიკული და დოგმატური საშუალებებით ცდილობს გაითვალისწინოს ძირითადი ვალდებულებების აპრიორული მოქმედება.

ბ) მშვიდობისა და კანონისადმი მორჩილების ვალდებულება როგორც „ძირითადი უფლებების იმანენტური ბარიერი“

მშვიდობის დაცვისა და კანონებისადმი მორჩილების ვალდებულება ძირითად კანონში მაშინ შეიმჩნევა, როდესაც მისი მე-2 მუხლი თავისუფლების უფლებათა შორის ყველაზე ზოგადს აკავშირებს იმ წინაპირობასთან, რომ არ უნდა შელახო „სხვების უფლება“, არ უნდა დაარღვიო „კონსტიტუციური წესრიგი“ და „ზნეობის კანონი“. ასევე ძირითადი კანონის მე-8 მუხლი გვახსენებს მშვიდობის ვალდებულებას, როდესაც ის შეკრების თავისუფლებას იმ პირობით უშვებს, თუ ხალხი „მშვიდობიანად და იარაღის გარეშე“ შეიკრიბება. მშვიდობისა და კანონმორჩილების ვალდებულებებს არ სჭირდება კანონისმიერი დასაბუთება, მაგრამ მათ სჭირდება კანონისმიერი შევსება: ისინი მოქმედებენ კატეგორიულად. ამიტომ პირზე, რომელიც მშვიდობისა და მორჩილების ვალდებულების საპირისპიროდ მოქმედებს, ვერ გავრცელდება ძირითადი უფლების დაცვა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებაც არ შეიძლება გამართლდეს ძირითადი უფლებების მოშველიებით. თუ კანონი და მისი გამოყენება ცალკეულ შემთხვევაში კონსტიტუციას შეესაბამება, მაშინ ის აუცილებლად უნდა დაიცვა. კანონმორჩილება თავისუფლების უზრუნველყოფის იმანენტური წინაპირობაა.

ამდენად, პრინციპულად საეჭვოა ის ტენდენცია, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა⁷⁰ დაასაბუთო ძირითადი უფლებების სიმბოლური დარღვევებით.⁷¹ როდესაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იძულების მიმართ ამონმებს პროპორციულობას, თუ რამდენად ამართლებს მაიძულებელი პირის მიზანი იძულებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მშვიდობისა და მორჩილების ვალდებულებას ცალკეულ შემთხვევაში სჭირდება ადექვატურობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის დადასტურება იმ პირის ინტერესთან მიმართებით, რომელიც პროტესტის ნიშნად კანონმორჩილებისა და მშვიდობის ძირითად ვალდებულებას უგულვებელჰყოფს.⁷² შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 211-ე მუხლით დადგენილ მკვლელობის აკრძალვას დასაბუთება სჭირდება პროფესიონალი მკვლელის ძირითადი უფლების წინაშე, ხოლო იძულებისა და მძევლად აყვანის აკრძალვას - „დემონსტრაციის ძირითადი უფლების“ წინაშე. რეალურად სამართალდამრღვევს აპრიორი უნდა ჩამოერთვას ყველა ძირითად უფლებასთან დაკავშირებული ლეგიტიმაცია. ეს მეტია,

ვიდრე სამართლებრივი კონსტრუქციის საკითხი: ყველა, ვინც ცდილობს ძალა გამოიყენოს და დაარღვიოს კანონი ძირითადი უფლებების დაცვის საბაბით, არა მარტო ხელჰყოფს სახელმწიფო მონოპოლიას ძალის გამოყენებაზე, არამედ ასევე იწვევს ძალადობრივ უკურეაქციას და ამდენად ვნებს საზოგადოების თავისუფლებას. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს არღვევს ყველასათვის სავალდებულო მშვიდობის დაცვის სოლიდარულ ძირითად ვალდებულებას, რომლის შენარჩუნებაზეა სახელმწიფო ეგზისტენციალურად დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მსგავს შემთხვევებში, თუ საჭიროა, პრობლემა შეიძლება გადაჭრას ტაქტიანმა ტოლერანტულობამ, მაგრამ არასდროს არამშვიდობიანობისა და სამართლის დარღვევის პრინციპულმა დასაბუთებამ.

ც) საგადასახადო ვალდებულება „შეზღუდვების გარეშე“

გადასახადის გადახდის სოლიდარული მოქალაქეობრივი ძირითადი ვალდებულება დღესდღეობით არსებითად მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებაზე ვრცელდება. დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო აზრი, რომ საგადასახადო ვალდებულება ძირითად უფლებასთან დაკავშირებულ საკუთრების გარანტიას არ ეხება. მაგალითად, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მოკლედ და მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომ „ყველა მოქალაქე ყველანაირი შეზღუდვების გარეშე შრომისუნარიანობის მიხედვით იბეგრება.“⁷³ ე.ი. კანონის მიხედვით, პრინციპში გადასახადები, როგორც აპრიორული სოლიდარული ვალდებულებები, „შეზღუდვების გარეშე“ უნდა იქნას გადახდილი. საერთოდ, დაბეგვრის სამართლებრივად პრინციპულად შეუზღუდავი უფლებამოსილება სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, თავისი ამოცანების მოცულობა დემოკრატიულად განსაზღვროს და შეასრულოს ისინი. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც საგადასახადო სახელმწიფო, ეფუძნება სახელმწიფოს გადასახადების განსაზღვრისა და ამოღების უფლების მკაცრ გამიჯვნას. საკუთრების უფლების ნეიტრალობა დაბეგვრასთან მიმართებით არის სწორედ „სახელმწიფოს მხრიდან სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური პროგრესის ხელშეწყობის უზრუნველყოფის საფასური“.⁷⁴

ეს მოსაზრება საგრძნობლად შეიცვალა. დღეს დაბეგვრა ხშირად აღიქმება, როგორც სუვერენული ჩარევა კერძო ფულად ქონებაში, რომელიც ძირითადი კანონის მე-14 მუხლით განისაზღვრება.⁷⁵ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პრობლემის გადაჭრას იმით ცდილობდა, რომ არა გადასახადის ამოღება, არამედ „გადაჭარბებული, კონფისკაციაზე დაფუძნებული“ დაბეგვრა საკუთრების გარანტიის დახმარებით კონსტიტუციურ-სამართლებრივად დაეძლია,⁷⁶ ამიტომ მან თავის გადანყვეტილებაში სტანდარტული ღირებულების შესახებ – ყოველ შემთხვევაში ქონებაზე მოგების გადასახადთან მიმართებაში – წამოჭრა სანახევროდ გაყოფის პრინციპი, რომლის მიხედვით, მოქალაქის ქონებასთან დაკავშირებული სრული დაბეგვრა

„სანახევროდ უნდა გაიყოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და კერძო პირს შორის“.⁷⁷ სანახევროდ გაყოფის ამ პრინციპს⁷⁸ იდეალური და საყოველთაოდ მიღებული ფორმით უნდა მოენიშნა სოციალური ვალდებულების (ზედა) ზღვარი.⁷⁹

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს⁸⁰ მიერ სანახევროდ გაყოფის პრინციპის შემდეგი ამოცანაა, დასაბუთების მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევაში მიღებულის დაბრუნება. ეს საქმესთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ აპრიორულ სოლიდარულ ვალდებულებას წარმოადგენს ამოღებული სახელმწიფო გადასახადის უკან დაბრუნება და აღიარება. მის წინააღმდეგ პრინციპულად შეუძლებელია ძირითადი უფლების დაცვის ამოქმედება, რადგან მოქალაქის საგადასახადო ვალდებულება, მართალია კონსტიტუციურ-სამართლებრივად არის დადგენილი, მაგრამ პრინციპულად ის არის მოქალაქის აპრიორული ძირითადი ვალდებულება. შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულების „გადასახადის“ პრინციპული შეზღუდვა ნორმალურ შემთხვევაშიც ვერ იქნება დამარწმუნებელი. სოლიდარობის ინტენსივობა არ შეიძლება ძირითადი უფლებით იყოს შეზღუდული, არამედ მან უნდა გაუძლოს ასევე შესაძლო განსაკუთრებულ შემთხვევებსაც.⁸¹ თუმცა გადასახადების ნორმირება და აკრეფა ექვემდებარება კანონისმიერ რეგულირებას⁸² და საგადასახადო ტვირთის სოლიდარული გადანაწილების პრინციპს.⁸³

დ) თავდაცვის ვალდებულება როგორც „თავისთავად გასაგები ფაქტი“

მოქალაქეთა ვალდებულება, დაიცვან თავიანთი სახელმწიფო გარეშე თავდასხმებისგან, აპრიორულ სოლიდარულ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც „უბრალოდ“ უნდა შესრულდეს. ამიტომ ის, როგორც „მოქალაქის თავისთავად ცხადი ვალდებულება“, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ძირითადი კანონის სამართლებრივ და ინტელექტუალურ-პოლიტიკურ პრინციპებთან „სრულ თანხვედრაშია“. ამიტომ „არ შეიძლება კანონსწინააღმდეგო იყოს“, რომ მოქალაქეები გაიწვიონ იმ „საზოგადოების“ დასაცავად, „რომლის პერსონალური მატარებლები თვითონ არიან“.⁸⁴ ეს პრინციპში იმას ნიშნავს, რომ თავდაცვის ვალდებულებას არ სჭირდება კანონისმიერი ლეგიტიმაცია და დასაბუთების ვალდებულება.⁸⁵ სავალდებულო სამხედრო სამსახური „თავის გამართლებას იმაში პოულობს, რომ სახელმწიფო, რომელიც ადამიანის ღირსებას, სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას აღიარებს, როგორც ძირითად უფლებებს და იცავს მათ, შესძლებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის ვალდებულება თავისი მოქალაქეების მიმართ მხოლოდ ამავე მოქალაქეების დახმარებითა და მათი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობისთვის განეული საქმიანობის მეშვეობით განახორციელოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითად უფლებასთან დაკავშირებული დაცვის ინდივიდუალური მოთხოვნა და დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს

მოქალაქეების საზოგადოებასთან დაკავშირებული ვალდებულება, შეიტანონ წვლილი კონსტიტუციური წყობილების დაცვაში, ერთმანეთს შეესაბამებინან.⁸⁶

საზოგადოების დაცვის სოლიდარული ვალდებულების კონკრეტული შინაარსი დამოკიდებულია მოცემულ გარემოებებზე და სახიფათო სიტუაციებზე. დაადგენს თუ არა კანონმდებელი საყოველთაო თავდაცვის ვალდებულებას, შექნის თუ არა პროფესიულ არმიას ან მიიჩნევს თუ არა სხვა გზას მართებულად, დემოკრატიულად ლეგიტიმირებული ორგანოების შეფასების საკითხია. თუმცა, სახელმწიფოს პრინციპულად ყოველთვის შეუძლია ერთობლივი თავდაცვის სოლიდარული ვალდებულების აქტუალიზაცია, აქ შეიძლება მოვიაზროთ ცალკეული მოქალაქის ვალდებულება, დაიცვას სამშობლო საკუთარი სიცოცხლის ფასად.⁸⁷

e) მოვლისა და ზრუნვის გაზრდილი ვალდებულებები

მოხელეებს სახელმწიფოსთან განსაკუთრებული სოლიდარული ურთიერთობა აკავშირებთ. ისინი სახელმწიფოსთან მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ, წარმოადგენენ მას და ამდენად, ვალდებულნი არიან განსაკუთრებული ერთგულება გამოიჩინონ მის მიმართ. ისინი მას ემსახურებიან „პროფესიული უნარების, მუშაობის ეფექტურობისა და კვალიფიკაციის“ მიხედვით და, საჭიროებისამებრ, იღებენ მატერიალურ შემოსავალს. მოხელესა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობის სოლიდარული სტრუქტურა მკაფიო ხდება უკიდურეს შემთხვევებში: საყოველთაო გაჭირვების შედეგად გამომუშავების შემცირებასთან დაკავშირებით ან ბიუჯეტის არასაკმარისი რესურსების შემთხვევაში, მოხელეს არ შეუძლია გამოიყენოს სუბიექტური უფლებები შეუზღუდავ ანაზღაურებაზე. უფრო რომ დავაზუსტოდ, მოხელესა და სახელმწიფო ორგანოს შორის ურთიერთობისთვის ბუნებრივია, რომ მისი პოზიტიურ-სამართლებრივი პრეტენზიები ნორმითაა განსაზღვრული, „გაითვალისწინოს დამსაქმებლის დასაშვები შესაძლებლობები და მისი პასუხისმგებლობა საერთო კეთილდღეობასთან მიმართებაში“.⁸⁸

2. ძირითად ვალდებულებათა კანონისმიერი გაფორმება

ძირითადი უფლებები კანონის მიერ ზუსტადაა ჩამოყალიბებული. ასეთი ტიპის კანონები დასაბუთებული უნდა იყოს მოქალაქის სუბიექტური თავისუფლების უფლებებთან მიმართებაში. საყოველთაო თავდაცვის ვალდებულების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამყარებიდან გამომდინარეობს, რომ ფედერალური კანონი, რომელიც ამ ვალდებულებას ძირითადი კანონის მე-12ა მუხლის პირველ ქვეპუნქტში დასახელებული მოცულობით განსაზღვრავს, არა თუ უპირისპირდება კონსტიტუციას, არამედ ახდენს მასში შესული მხოლოდ ერთი ძირითადი გადაწყვეტილების აქტუალიზებას.⁸⁹ იგივე ეხება საგადასახადო კანონმდებლობას. მაგრამ აქ ძირითადი ვალდებულების დამდგენი კანონი ექვემდებარება ტვირთის გადანაწილების

სამოქალაქო ბარიერს, რომელიც მოიცავს და აყალიბებს ყველა სოლიდარულ ვალდებულებაში არსებულ ინდივიდუალური უნარიანობის საზომს.

3. საგადასახადო ტვირთის თანაბარი გადანაწილება და სოლიდარული ვალდებულებები

სოლიდარული ვალდებულებები კონცეპტუალურად თანასწორობის კომფორმიზმს შეესაბამება: სოლიდარული გაერთიანების ყველა წევრმა თავისი შრომისუნარიანობის ფარგლებში გაერთიანების გადასახადებში წვლილი უნდა შეიტანონ. აქ ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი აბზაცის თანასწორობის პრინციპი ავითარებს თავის მარეგულირებელ ზემოქმედებას ძირითადი ვალდებულებების გათვალისწინებით. დაბეგვრის თანაბარი გადანაწილების შენარჩუნება ძირითად სოლიდარულ ვალდებულებათა ცენტრში დგას. მისი არგათვალისწინება გამოცდის წინაშე დააყენებდა სახელმწიფოს მიმართ მოქალაქეების ლოიალობას და მათ გრძნობას, რომ ისინი სოლიდარული გაერთიანების წევრები არიან. იმდენად, რამდენადაც ცალკეულ შემთხვევაში საქმე მიდის ვალდებულებებისა და ლოიალობის კონფლიქტთან, სოლიდარობის პრინციპის შედეგად მოქმედებს ის, ვინც ცალკეულ შემთხვევაში ფიქრობს, რომ თავის სოლიდარულ ვალდებულებებს ვერ გაუმკლავდება (ფაქტობრივი თუ ფსიქოლოგიური მიზეზით), შეიძლება კონფლიქტის შესახებ კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადანაცვებების თანახმად, გათავისუფლდეს მოვალეობის შესრულებისგან.

a) გადამეტების ზღვარი

სოლიდარობა ნიშნავს არა მარტო უსაფრთხოებას გაერთიანებაში, არამედ გადასახადის გადახდის ვალდებულებას ინდივიდუალური გადახდისუნარიანობის მიხედვით. სოლიდარული ვალდებულება არ მოქმედებს იმ შენატანის მიღმა, რაც ცალკეულ ადამიანს შეუძლია გაილოს: *ultra posse nemo obligatur*. ამდენად, კანონმდებელი ვალდებულია, სხვადასხვა სოლიდარულ ვალდებულებათა შესრულებისას მოახდინოს გადასახადების თანასწორობის დაკონკრეტება და უზრუნველყოს ის. სოლიდარული ვალდებულების კანონის შესაბამისი მოთხოვნა სცილდება გადასახადების თანასწორობის ფარგლებს, როდესაც ცალკეული ადამიანი ვერ ასრულებს სოლიდარულ ვალდებულებას გადახდისუნარიანობის გამო. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ძირითადი მოსაზრება საკუთრების გარანტიის კონტექსტში სამაგალითოდ მოიყვანა. მისი ადრინდელი თემისის მიუხედავად, რომელიც მოიაზრებს გადახდის ვალდებულებების საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ირელევანტურობას, სასამართლო საუბრობს ძირითადი კანონის მე-14 მუხლის დარღვევაზე, როდესაც გადასახადის გადამხდელები გადაჭარბებით დაბეგრეს და მათი ქონებრივი მდგომარეობა პრინციპულად არ გაითვალისწინეს.⁹⁰ დოგმატური თვალსაზრისით ისე

ჩანს, რომ სასამართლო გადაუჭრელ წინააღმდეგობაში ჩავარდა: თუ საკუთრების უფლების გარანტიას ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება არ შეეხება, მაინც არის შესაძლებელი, რომ საგადასახადო ვალდებულებები საკუთრების უფლების თვალსაზრისით აქტუალური გახდეს.⁹¹ თუმცა აქ წინააღმდეგობა დარჩება მხოლოდ იმ მხრივ, თუ პრობლემას მართლოდენ სამოქალაქო თავისუფლებების პრობლემად განვიხილავთ. სინამდვილეში, ის ფაქტი, რომ საკუთრების გარანტია ექსტრემალურ შემთხვევაში უმნიშვნელოდ მასშტაბური ხდება, თავის შინაგან გამართლებას პოულობს საგადასახადო ტვირთის თანაბარი განაწილების პრინციპში: გადასახადის გადახდის მოქალაქეობრივი სოლიდარული ვალდებულება, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევების მიუხედავად, პრინციპულად არ გულისხმობს ქონების კონფისკაციასა და თავისუფლების მოხრჩობას.

ბ) განსაკუთრებული შეღავათი როგორც ზღვარი ცალკეულ შემთხვევაში

გარდა ამისა, კონსტიტუცია ახდენს ვალდებულებათა შესაძლო კონფლიქტების პრევენციას და ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელს ხდის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას. კერძოდ, ძირითადი კანონის მე-4 მუხლის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით, სინდისის თავისუფლებას შეუძლია ცალკეული პირი გადაუჭრელ დილემამდე მიიყვანოს, რომელიც ამ პირის, როგორც სოლიდარული გაერთიანების წევრის ვალდებულებას არღვევს, ან რისკის ქვეშ აყენებს პიროვნების ჩართულობას გაერთიანებაში.⁹² მოვალეობათა ეგზისტენციალური კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმები საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაშია, რომელსაც კონსტიტუციაში შეაქვს ცვლილება. ყველაზე ცნობილ მაგალითს წარმოადგენს სამხედრო სამსახურზე უარის თქმა რელიგიური მოსაზრებებით (ძირითადი კანონი, მე-4 მუხლი, მე-3 ქვეპუნქტი). რა თქმა უნდა, სინდისის⁹³ არამატერიალური ბუნებიდან გამომდინარე საჭიროა, გადამოწმდეს, რამდენად სერიოზულია კონკრეტული სინდისისმიერი მოთხოვნილება, მაგალითად, „შრომის მძიმე ალტერნატივის“ სახით, რათა დაცულ იქნას სამოქალაქო ტვირთის გადანაწილების თანასწორობა.⁹⁴ „შედეგებისთვის მზაობის“ გარეშე არ იქნება სწორი რელიგიისა და სინდისის თავისუფლების მომიზნებებით მოქალაქეობრივი მოვალეობისთვის თავის არიდება. მკაფიოდ, მოკლედ და დამატარებლად ჩამოაყალიბებული ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლის პირველ ქვეპუნქტში მოქალაქის ვალდებულების უპირატესობა რელიგიურ მრწამსთან შედარებით: „სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს რელიგიური თავისუფლების განხორციელება არც განაპირობებს და არც ზღუდავს“.

4. სოლიდარობის პრინციპის იურიდიული სტრუქტურა

თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპი სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი განაწილების პრინციპის შესაბამისად ხორციელდება. ამის საპირისპიროდ, სოლიდარული განაწილების პრინციპი ემსახურება უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. განაწილების სამართლებრივი პრინციპი და განაწილების სოლიდარული პრინციპი ქმნის ორ საპირისპირო, ორმხრივად გამომრიცხავ მარეგულირებელ პრინციპს ძირითადი პოლიტიკური გადაწყვეტილებების სამართლებრივ-პრაქტიკული განხორციელებისათვის. ეს არის ადამიანის ღირსეული არსებობის ორი ძირითადი საფუძველი: თავისუფლება და უსაფრთხოება. ორივე წარმოადგენს საზოგადოების მართლწესრიგში დაპირისპირებულ მომწესრიგებელ პრინციპს თავიანთი განსხვავებული წინაპირობებითა და შედეგებით.

განაწილების სამართლებრივი პრინციპი უზრუნველყოფს ინდივიდუალურ თავისუფლებას. *კარლ შმიტი* შემდეგნაირად აყალიბებს ამ პრინციპის შინაარსს: „ცალკეული პიროვნების თავისუფლების სფერო, როგორც ასეთი, მინდობილია სახელმწიფოზე და მართლაც პიროვნების თავისუფლება პრინციპულად შეუზღუდავია, მაშინ როდესაც ამ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის უფლებამოსილება პრინციპულად შეზღუდულია.“⁹⁵ ეს თავისუფლება ნორმატიულ გამოხატულებას პოულობს ცალკეული მოქალაქის ძირითადი უფლებების სახელმწიფოს წინაშე დაცვის შესაძლებლობათა გარანტიებში. ამდენად, ძირითადი კანონი მიჰყვება თანამედროვე კონსტიტუციური მოძღვრების ტრადიციას, რომელიც სახელმწიფოს ინდივიდის ნებას უკავშირებს: სახელმწიფო თავისთავად არ არსებობს, არამედ იგი მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების შეთანხმების შედეგია. ანალოგიურად, თავისუფლების პრიორიტეტულობაზე უთითებს ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი, მიუხედავად ამ კონსტიტუციური დებულების განსხვავებული განმარტებისა, როდესაც იგი აცხადებს, რომ ძირითადი უფლების არსის ხელყოფა დაუშვებელია: *at libertas, pereat mundus* - დაე შესდგეს თავისუფლება, თუნდაც დაინგრეს მთელი სამყარო. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ჩვეული განაწილების პრინციპი თანმიმდევრულად გამოხატულია თავისუფლების პრინციპულ პრეზუმციაში: *in dubio pro libertate*⁹⁶ - ეჭვი მოქმედებს თავისუფლების სასარგებლოდ.

სამართლებრივი სინამდვილე სოლიდარობის პრინციპს იძენს იურიდიული ფორმის მეშვეობით: სოლიდარული განაწილების პრინციპით. „სოლიდარული განაწილების პრინციპის“ ცნების შექმნა უკავშირდება *კარლ შმიტის* ნააზრევს, რომელიც შეიცავს განაწილების საპირისპირო პრინციპს. თუ „განაწილების სამართლებრივი პრინციპი“, როგორც სამართლებრივ-თეორიული კატეგორია, ემსახურება იმას, რომ კონსტიტუციისმდებელმა პრინციპული უპირატესობა ინდივიდუალურ თავისუფლებას მიანიჭოს

(„in dubio pro libertate“), მაშინ „სოლიდარობის პრინციპი“ მოქმედებს, როგორც ფორმულა პრინციპისთვის „in dubio pro securitate“ - ეჭვი მოქმედებს უსაფრთხოების სასარგებლოდ. სოლიდარული პრინციპის გამოყენების შემთხვევაში ძირითად ვალდებულებას უპირატესობა აქვს ძირითად უფლებასთან მიმართებით, ხოლო უსაფრთხოებას - თავისუფლებასთან მიმართებით.

სოლიდარული განაწილების პრინციპი თვალსაჩინო და სამართლებრივ-პრაქტიკულ ფორმას იძენს სოციალური დაზღვევის სამართალში, როდესაც იქმნება ქვესახელმწიფოებრივი სოლიდარული საზოგადოება. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ძირითადი კანონის მე-14 მუხლით დადგენილი საკუთრების დაცვის გარანტიები უნდა გავრცელდეს ასევე სოციალური დაზღვევის ფარგლებში გაკეთებულ მოთხოვნებზე.⁹⁷ მაგრამ, საკუთრების კონსტიტუციური დაცვის დროს მოქმედებს განაწილების პრინციპი, რომლის მიხედვით, „ნივთის მესაკუთრეს თავისი სურვილისამებრ შეუძლია განკარგოს ნივთი და სხვები გამორიცხოს ნივთზე ყოველგვარი ზემოქმედებისგან [...] (მუხლი 903, ფედერალური სამოქალაქო კოდექსი).⁹⁸ ხოლო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აბსოლუტურად საპირისპირო კვალიფიკაციას აძლევს საკუთრებას სოციალური დაზღვევის სამართლის თვალსაზრისით, კერძოდ კი, სოლიდარული განაწილების პრინციპის მიხედვით. ძირითადი კანონის მე-14 მუხლით, სოციალური დაზღვევის საკუთრებად სადავო კვალიფიცირებით სასამართლო შეკრული აღმოჩნდა სოციალური დაზღვევის სოლიდარული სტრუქტურით: ეს მოთხოვნები „ვერ იქნება განხილული სხვა ადამიანების უფლებებისა და მოვალეობებისგან დამოუკიდებლად, არამედ ეს მოთხოვნები ჩართულია საერთო კონტექსტში“.⁹⁹ ამრიგად, ეს „საერთო კონტექსტი“ იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული საკუთრების უფლება. და მართლაც, ინდივიდის ქონებრივი მოთხოვნა სოლიდარული საზოგადოების მიმართ ამ საერთო კონტექსტის გარეშე ვერც სამართლებრივად იქნება შედგენილი და ვერც ანაზღაურებული. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, „საერთო კონტექსტში ჩართვა“ მიგვანიშნებს, რომ იცვლება საბაზისო განაწილების პრინციპი: განაწილების სამართლებრივ პრინციპს ენაცვლება სოლიდარული განაწილების პრინციპი, ისევე როგორც იცვლება პრინციპული სამართლებრივი ღირებულება: ინდივიდუალური თავისუფლების ადგილს იკავებს სოციალური დაზღვევა. სოლიდარულად სავალდებულო საკუთრებისთვის ძირითადი კანონის მე-14 მუხლს არ შესწევს უნარი უზრუნველჰყოს უფლების დაცვა იმაზე მეტად, ვიდრე პენსიის მიღებით უსაფრთხოების აბსტრაქტული მოთხოვნა იქნებოდა. აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ ინდივიდს ეკუთვნის პროპორციული წილი სოციალური დაზღვევის საერთო მოგებიდან ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს „საპენსიო დაზღვევის ფინანსური სტაბილურობა და გადახდისუნარიანობა“.¹⁰⁰

დ. თავისუფლება როგორც სოლიდარობის სახელმწიფოებრივი იძულებითი ზღვარი

I. ძირითადი უფლების ნეგატორული დაცვა

სოლიდარული ძირითადი ვალდებულებების მიღმა, რომლებიც ყველა მოქალაქემ ინდივიდუალური შრომისუნარიანობის მიხედვით უნდა შეასრულოს, ძირითადი უფლებები შეუზღუდავად ავითარებს საკუთარ ნეგატორულ დამცავ ეფექტს. კანონმდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სოლიდარობის ფუნდამენტურ უფლებასა და საზოგადო სიკეთის საჭიროებას შორის აუცილებელი ბალანსი. განაწილების სამართლებრივი პრინციპი განსაზღვრავს ინდივიდუალური ინტერესისა და საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობის პროცესის სტრუქტურას. ძირითადი უფლებები მოიცავს ინდივიდუალური თავისუფლების სასარგებლოდ დაძლეულ პრემუმციას: *in dubio pro libertate*. პროპორციულობის პრინციპი უშვებს ძირითადი უფლებებით დაცულ სივრცეში ჩარევას მოქმედების, თმენისა ან მოქმედებისგან თავის შეკავების ვალდებულების დაკისრებით ისე, რომ ამგვარი შეზღუდვა ადექვატური და საჭიროა საზოგადო ინტერესისთვის და არ არის დისპროპორციული ამ ინტერესის დაკმაყოფილების მიზნებისთვის.

ძირითადი უფლებები ასევე უზრუნველყოფს თავისუფლებას კანონით სავალდებულო, იძულებითი სოლიდარობის მიმართ ქვესახელმწიფოებრივი სოლიდარული გაერთიანებების სახით.¹⁰¹ ქვესახელმწიფოებრივი სოლიდარული გაერთიანებები ისეთი გაერთიანებებია, რომელთა პერსონალური შემადგენლობა არ არის მოქალაქეების ჯამის ტოლი, არამედ მოიცავს მხოლოდ მათ ნაწილს – სამართლებრივი ფორმისა და სოციალური უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე მოიცავს უცხოელებს. ამ ქვესახელმწიფოებრივ სოლიდარულ გაერთიანებებს მიეკუთვნება სოციალური დაზღვევის სხვადასხვა მიმართულება. მათი საერთო მახასიათებელი - მიუხედავად მრავალფეროვანი დიფერენციაციისა - მდგომარეობს ტვირთის სოლიდარულ გადანაწილებაში განსაზღვრულ რისკებთან მიმართებით (სოციალური უზრუნველყოფა ხანდაზმულობისას, ავადმყოფობა, შრომისუნარობა). ასეთ ქვესახელმწიფოებრივ სოლიდარულ გაერთიანებებში არ მოქმედებს განეული შრომისთვის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპი, არამედ როგორც საჭიროებაზე დაფუძნებული სამართლიანი ანაზღაურების სოლიდარული პრინციპი.

კანონის მოთხოვნას სოციალური დაზღვევის ფარგლებში სავალდებულო ჯგუფური სოლიდარობის შესახებ შეუძლია გამოიწვიოს სამოქალაქო თავისუფლებების შეზღუდვა იძულებითი სოლიდარობის დანესებით და ამდენად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის სოლიდარობის პრინციპით შეცვლა. სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხდება ძირითადი უფლების დასაცავად

მოქალაქის სარჩელი იძულებითი ვალდებულების მიმართ ქვესახელმწიფოებრივ სოლიდარულ გაერთიანებაში, თუ პირთა ახალი ჯგუფები უნდა განეწიანდნენ სოლიდარულ გაერთიანებაში. მაგრამ, პრაქტიკაში ძირითადი უფლების დაცვა სახელმწიფოსგან ხელშეწყობილი სავალდებულო სოლიდარობის წინააღმდეგ სოციალური დაზღვევის მიმართ მოიკოჭლებს, რადგან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ნაკლებადაა ორიენტირებული მონაწილე პირის დაცვაზე, არამედ იგი უფრო მეტად არის დაინტერესებული სოციალური დაზღვევის ფინანსური ეფექტურობით.¹⁰²

II. კონსტიტუციური ლეგიტიმაცია

კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, ქვესახელმწიფოებრივი სოლიდარული გაერთიანებების პრობლემა წარმოადგენს თანასწორობისა და საფინანსო დებულებებთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ პრობლემას. როდესაც კანონმდებელი საყოველთაო საგადასახადო ვალდებულების მიღმა მოქალაქეს დამატებით აკისრებს გადასახდელს, ირღვევა სამოქალაქო ტვირთის თანაბარი გადანაწილების ელემენტარული პრინციპი.¹⁰³ ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია, სპეციალური გადასახადების აკრეფისას სამოქალაქო ტვირთის თანაბარი გადანაწილების პრინციპი ზედმინევით იყოს დაცული: „არასაგადასახადო გადასახდელით დაბეგვრა უნდა ითვალისწინებდეს ტვირთის გადანაწილებაში გადასახდელის გადამხდელის თანაბარ პასუხისმგებლობას. არასაგადასახადო გადასახდელის გადამხდელი ჩვეულებრივ იმავდროულად გადასახადის გადამხდელია და იგი უკვე ჩართულია საზოგადოებრივი ტვირთის გადანაწილების პროცესში. ძირითადი საგადასახადო მოთხოვნის გარდა, სხვა არასაგადასახადო გადასახდლები, რომლებიც ცალკეულ პირს დამატებით მოუწოდებს ფინანსური დახმარებისკენ, მოითხოვს განსაკუთრებულ დასაბუთებას“.¹⁰⁴

განსაკუთრებული გადასახადები ეკისრება არა საზოგადოებას, არამედ მხოლოდ განსაზღვრულ „ჯგუფს“.¹⁰⁵ მაშინ, როცა საგადასახადო ვალდებულება უკავშირდება ინდივიდუალურ გარემოებებს და, ამდენად, გარკვეული „წინაპირობის გარეშე“ არ ხდება გადასახადის დასაბუთება, არამედ იგი „საპირისპირო შესრულებაზეა დამოკიდებული“, განსაკუთრებული გადასახდლები უკავშირდება განსაზღვრული ჯგუფის გარემოებებს, ორიენტირებულია ჯგუფზე და ჯგუფის მიერ სარგებლის მიღებაზე. ასეთი განსაკუთრებული გადასახადი, რომელიც ხელახლა გადანაწილების შემდეგ მოქმედებს, როგორც ჯგუფური გადასახადი, მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა არსებობს ჯგუფის ჰომოგენობა, რომელიც ასაბუთებს გადასახადის გადამხდელი ჯგუფის დაფინანსების სპეციფიურ პასუხისმგებლობას და გარანტირებულია, რომ გადასახადების რესურსების გამოყენება ჯგუფის სასარგებლოდ განხორციელდება. ჯგუფის ჰომოგენურობა ხასიათდება საერთო ინტერესებით, რომელიც თავს იჩენს როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ასევე საზოგადოებრივ სინამდვილეში და განსხვავდება ზოგადი საზოგადოებრივი თუ სხვა ჯგუფებისგან:¹⁰⁶ „ჯგუფი, რომელსაც

დაკისრებული აქვს გადასახადი [უნდა] აშკარად უფრო ახლოს დგას გადასახადის ამოღების მიზანთან, ვიდრე ყველა სხვა ჯგუფი ან გადასახადის გადამხდელთა ზოგადი საზოგადოება“.¹⁰⁷ უნდა არსებობდეს „გადასახადის გადამხდელების სპეციფიური ფაქტობრივი სიახლოვე დასაფინანსებელ ამოცანასთან“.¹⁰⁸ გარდა ამისა, გადასახადის ამოღების მიზნიდან ე.წ. „გადასახადის გადამხდელების ფაქტობრივი სიახლოვიდან“ უნდა გამომდინარეობდეს განსაკუთრებული ჯგუფური პასუხისმგებლობა არასაგადასახადო გადასახდელით დასაფინანსებელი ამოცანის შესასრულებლად.¹⁰⁹ ამასთან, უნდა არსებობდეს, ერთი მხრივ, „განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი“ გადასახადის გადამხდელთა წრესა და საზოგადო სიკეთის მიზანს შორის და, მეორე მხრივ კი, გადასახადის გადამხდელთა დაფინანსების პასუხისმგებლობასა და ჯგუფისთვის სასარგებლო გამოყენებას შორის.¹¹⁰ შესაბამისად, გადასახადის დაკისრება არც მხოლოდ და მხოლოდ და არც „უპირატესად“ საზოგადოების ამოცანების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს.¹¹¹ ეს კრიტერიუმები „მკაცრად უნდა იყოს განმარტებული და გამოყენებული“¹¹² და „იშვიათ გამონაკლისს“ უნდა შეადგენდეს.¹¹³

III. საკონსტიტუციო-თეორიული ამბივალენტობა

არსებობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქმნის იძულებით სოლიდარულ ურთიერთობებს, ეს კი, კერძო სოლიდარობის პრაქტიკულ აუცილებლობაზე ნეგატიურად მოქმედებს და მის ეთიკურ საფუძვლებს არღვევს: სამართლებრივი ვალდებულება ფარავს ეთიკას. ვინაიდან, ამის გამო საზოგადოებრივი ურთიერთკავშირის შეგნება იკარგება, სახელმწიფო გაუაზრებლად უთხრის ძირს სწორედ იმ წინაპირობებს, რომელთა დახმარებითაც არსებობს და რომელზეც სასიცოცხლოდაა დამოკიდებული: მისი მოქალაქეების ეთიკა, რომლებიც თავიანთ თავისუფლებას აღიქვამენ, როგორც თავისუფლებას მოყვასთან მიმართებაში და მას სოლიდარული ურთიერთკავშირის თვალსაზრისით ახორციელებენ. ეს ეთოსი ზიანდება სოლიდარობის „გასახელმწიფოებრიობით“. ნებაყოფლობით, ძირითადი უფლებების თანახმად, ლეგიტიმირებულ სოლიდარობას უფრო მეტად სჭირდება თავისუფალი სივრცეები მოქმედებისთვის, მხარდაჭერისთვის და მოვლისთვის. რაც უფრო ფართოდ შეიმცნებს სოციალური სახელმწიფო თავის ამოცანათა მოცულობას, მით უფრო ნაკლებად არსებობს, პირადი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კერძო სოლიდარობის ობიექტური საჭიროება და სუბიექტური მზაობა. კერძო სოლიდარობის არსისა და აქტივობის დაკარგვა ზრდის სახელმწიფოს იძულებით სოლიდარობას.¹¹⁴

ე. თავისუფლება როგორც სოლიდარობის შანსი

I. სოლიდარობა თავისუფლებაში

იდეების ისტორიასთან კავშირში, ლიბერალიზმის სულისკვეთებით ძირითადი უფლებები იცავს ინდივიდუალურ ავტონომიას, შესაძლებელს ხდის პიროვნულ ემანსიპაციას და სამართლებრივი თვალსაზრისით კი, შეუძლებელს ხდის თვითნებობას ყველა საგნისა და პირის მიმართ.¹¹⁵ რასაკვირველია, ეგოისტების საზოგადოებისაგან ვერ შექმნი სახელმწიფოს. ამდენად, საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია, კანონების თანახმად, კომპენსატორულად უზრუნველყოს ეთიკური მინიმუმი და საყოველთაო კეთილდღეობა. თუმცა, ლიბერალური სახელმწიფო არ მიისწავის საყოველთაო კეთილდღეობის მონოპოლიისკენ. უფრო მეტად, ის მოელის და მას სწამს, რომ თავისუფალ საზოგადოებაში საკმარისად მოქმედებს ეთიკური რესურსები, რათა მოქალაქეების ძირითადი უფლებები გონივრულად, მესამე პირების ინტერესების გათვალისწინებით და სხვებთან და საზოგადოებასთან მიმართებაში, სოლიდარულად განხორციელდეს.¹¹⁶ ამის საპირისპიროდ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები პრინციპულად ეწინააღმდეგება მათი მოქმედების სახელმწიფო ინსტრუმენტალიზაციას, ძირითად უფლებასთან დაკავშირებულ თეორიულ და ინსტიტუციონალურ ფუნქციონალიზაციას ან რეგულაციურ-თეორიულ დასასრულს.¹¹⁷ ძირითადი უფლებებისა და კანონისმიერი ვალდებულებების სტრუქტურული ასიმეტრია სამართლებრივი სახელმწიფოს მხრივ მოცემულია ცალკეული პირის თავისუფლებისთვის.¹¹⁸ სოლიდარული მინიმუმის შენარჩუნება, უფრო სწორედ, სოლიდარული საზოგადოების გაძლიერების მიზანი, მართალია, სახელმწიფოს ამოცანაა, მაგრამ მას მისი განხორციელება მხოლოდ ცალკეული პირების ძირითადი უფლებების პატივისცემითა და გათვალისწინებით შეუძლია.

რაც უფრო ნაკლებად გვახალდეულებს ძირითადი უფლებები სოლიდარობას, მით უფრო მეტ სივრცეს გვითვებს ისინი ნებაყოფლობითი სოლიდარობის ყველა ფორმისთვის, ორმხრივი დახმარებისა და მოყვასის სიყვარულისთვის, გაერთიანების შექმნისა და ერთგულების ვალდებულებებისთვის. მათ ცენტრში ოდესღაც ქორწინება და ოჯახი იდგა, რომელსაც ძირითადი კანონის მე-6 მუხლი, „როგორც ყველა ადამიანური გაერთიანების ბირთვის, რომლის მნიშვნელობა ვერ შეედრება ვერანაირ სხვა კავშირს ადამიანებს შორის, სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ“ აყენებს.¹¹⁹ ამჟამად მისი საზოგადოებრივი დასუსტება, რომელიც ეგოისტური ინდივიდუალიზმის შედეგია, დაკმაყოფილებას პოულობს ალტერნატიული პარტნიორობის მოდელების ფორსირებულ გათანაბრებაში, მაგრამ კონკრეტული გამონწვევების გათვალისწინებით, უკვე ძალიან მალე უნდა მოველოდეთ სოლიდარული ურთიერთკავშირის ამ მოდელის აღორძინებას.¹²⁰

გარდა ამისა, ძირითადი უფლებები პოლიტიკური სისტემის რეალურ გარემოებებში არსებულ მთელ რიგ სოლიდარულად ორიენტირებულ და სტრუქტურირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციებს ათავისუფლებს ვალდებულებებისგან.¹²¹ განსხვავებული წარმოშობის სოლიდარული აქტივობების დიდი მოცულობა და მრავალფეროვნება, თავისუფლებისა და ალტრუისტული მოხალისეობის საფუძველზე, ამჟღავნებს სწორედ თავისუფალი საზოგადოების სოლიდარულ ხასიათს. სოლიდარობის მოლოდინების დამონება ხდება ალტრუისტული დონაციითა და სამოხალისეო საქმიანობით.¹²² სოლიდარობის იდეა მყარდება იმ მოსაზრებით, რომ ინდივიდის თვითგანვითარება სწორედ რომ თავისუფლების ალტრუისტულ გამოყენებაში ხორციელდება,¹²³ რაც, როგორც ჩანს, გენეტიკურადაა ჩადებული და ევოლუციურ-ბიოლოგიურად გამოხატული,¹²⁴ ყოველ შემთხვევაში, ისტორიის განვითარების მანძილზე იგი ხელს უწყობს და მხოლოდ ის ხდის შესაძლებელს ჯგუფების წარმატებასა და გადარჩენას.¹²⁵

კერძო სოლიდარობა სარგებლობს ძირითადი უფლებების დაცვით. ამასთან, ძირითად უფლებებთან დაკავშირებული თავისუფლების განხორციელება კონსტიტუციურად ლეგიტიმური წესია, რომელსაც აბალანსებს სახელმწიფოებრივი ვალდებულება, უზრუნველჰყოს საყოველთაო კეთილდღეობა. იგი ასევე აღრევს კონსტიტუციურად საჭირო სახელმწიფოსა და მოქალაქის პოლარულ ინტერესთა კონსტალაციას. თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს უფლებების შეკვეცა ან თუნდაც თავისუფლების კერძო მიზნებისთვის გამოყენების ვალდებულება.¹²⁶ პირიქით, სოლიდარული ურთიერთვალდებულებები, ქმედითი სოლიდარობა და დახმარება გარეშე პირებისთვის, დასულია ძირითადი უფლებებით.¹²⁷

ამასთან, ძირითად უფლებებზე დამყარებული და კერძოდ ორგანიზებული სოლიდარობა ჰპოვებს განსაკუთრებულ დაცვას ძირითადი უფლების კერძოდ განხორციელების მხრივ.¹²⁸ საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებული მოქალაქეები და ორგანიზაციები უშუალოდ მონაწილეობენ საყოველთაო კეთილდღეობის განხორციელებაში, რომელიც სოლიდარულად იქმნება და ამით თავის საქმიანობას ძირითადი უფლების საფუძველზე ახორციელებენ. ერთი მხრივ, ისინი ათავისუფლებენ სახელმწიფოს, თუმცა, მეორე მხრივ, თავიდან იცილებენ სოციალური თვითდახმარების მრავალფეროვანი ფორმების სახელმწიფოს მიერ შეფუთვის საჭიროებას. ამით ისინი შესაძლოა კონკურენციაში მოვიდნენ საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ სახელმწიფოს დემოკრატიულად ლეგიტიმირებულ წარმოდგენებთან. აქედან გამომდინარე, საყოველთაო კეთილდღეობის კონცეფციების მრავალფეროვნების და განსხვავებული და ერთმანეთის კონკურენტი სოლიდარული საზოგადოებების პლურალიზმის მიმართ სახელმწიფომ არა მარტო პრინციპულად უნდა გამოხატოს პატივისცემა, არამედ ხელი უნდა შეუწყოს მათ.¹²⁹ ძირითადი უფლებები სთავაზობენ კერძო საზოგადოებრივ ქველმოქმედებას გაძლიერებულ დაცვას. სახელმწიფოებ-

რევად ორგანიზებული სოლიდარობა, ცოცხალი სოლიდარობის ყველა ფორმის საპირისპიროდ, თავისუფლებაში სუბსიდიარულ როლს ასრულებს.

II. სახელმწიფოებრივი სოლიდარული მზრუნველობა

ძირითადი უფლებით განხორციელებული სოლიდარობა ამართლებს ლიბერალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ მოლოდინს. საყოველთაო კეთილდღეობის რეალიზებისას ის არ მოითხოვს მონოპოლიას. სახელმწიფოს „სოლიდარობის ტოტალური მანდატი“ ნიშნავს თავისუფლების დასასრულს. ის შესაძლებელს ხდის მისი წევრების თავისუფალ სოლიდარულ აქტიურობას, მხარს უჭერს მათ იდეურად და მატერიალურად.

დემოკრატიული კანონმდებლის კომპეტენციაა, იზრუნოს საზოგადოების ეთიკური საფუძვლების შენარჩუნებისთვის.¹³⁰ კანონმდებელი მონოდებული უნდა იყოს სოლიდარული მზრუნველობისკენ, ე.ი. „კერძო სოლიდარობაზე“ ზრუნვის, მისთვის იმპულსების მიცემის, აღზრდის, მხარდაჭერისა და პატივისცემისკენ. კერძო სოლიდარობას სჭირდება სახელმწიფოებრივი ზრუნვა და მოვლა. ინდივიდუალური თვითგანვითარების კულტს ტენდენციურად შედეგად მოსდევს ჯანსაღი, თავისუფალი საზოგადოების გაქრობა. მოსახლეობის ფენებად დაყოფის ტენდენცია ინვესს ინდივიდის მხარდ მარტობას ანონიმური მასების საზოგადოებაში და სოლიდარობის გაცნობისა და შესწავლის შესაძლებლობების დაკარგვას. ბევრგანაა სოლიდარობის მზადყოფნის, ასევე დახმარების არსებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობათა დეფიციტი.

ძირითადი თავისუფლებების საზოგადო სიკეთისთვის თავსებადად განხორციელება და, შესაბამისად, სოლიდარობის გააზრება კანონის ნორმების მიღმა, წარმოადგენს აღზრდის ამოცანას. აქ მშობლების გარდა (ძირითადი კანონის მე-6 მუხლის მე-2 ქვეპუნქტი), უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსაც განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება.¹³¹ აღზრდის სახელმწიფოებრივი ვალდებულების¹³² ლეგიტიმური ამოცანა და მოვალეობაა სახელმწიფოებრივი და კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობის იდეური საფუძვლები შემდეგ თაობებს გადასცეს და აგიტაცია გაუწიოს მათ. მას არ შეუძლია შემოიფარგლოს ცოდნის მხოლოდ გადაცემით და თავი აარიდოს სამართლებრივი და ეთიკური ღირებულებების იდენტიფიცირებას. უფრო სწორედ, მან ნათლად უნდა გააცნობიეროს საკუთარი სახელმწიფოებრიობა და სახელმწიფოს სოლიდარული წინაპირობები, მისი კონსტიტუციური ფორმა და ინსტიტუციები აღზრდის ავტორიტეტად აქციოს. შესაბამისად, კონსტიტუციური პრინციპები, როგორებიცაა ადამიანის ღირსება, დემოკრატია, რესპუბლიკა, თავისუფლება და თანასწორობა, პიროვნების განვითარება, ასევე სოციალურ-ეთიკური პრინციპები, როგორიცაა სოლიდარობა¹³³ და ა.შ. წარმოადგენს აღზრდის ლეგიტიმურ მიზნებს.¹³⁴

აღზრდაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულებების მოქმედება არამონო-პოლური და არადოქტრინულია, რაც განსხვავებულ აზრს გამოიწვევს, ის არ არის სტატიკური, რომელიც იგნორირებას უკეთებს ღირებულებების შესახებ საზოგადოებრივი წარმოდგენების ცვლილებას.¹³⁵

კერძო სოლიდარობას სჭირდება სახელმწიფოს მატერიალური მხარდაჭერა. სოციალური დახმარებების პერსონალურ და მატერიალურ სამართალს თანამედროვე საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოში ვერც სოლიდარულად ორგანიზებული თვითდახმარება აუვლის გვერდს. ნაწილობრივ უზარმაზარი ხარჯების დაფარვა მეტწილად მხოლოდ სახელმწიფოს სუბსიდიებითაა შესაძლებელი. თავისუფალ საქველმოქმედო გაერთიანებებს პრინციპულად შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო დახმარება და ხელშეწყობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებშია: ნებაყოფლობითი სოლიდარობის ხელშეწყობით სახელმწიფო იძლევა პრაქტიკული სოლიდარობის მართვის შესაძლებლობას; სოლიდარობა არის რესურსი, რომელიც სახელმწიფოს ელემენტარულად სჭირდება.

* იგივე სათაურით პირველად გამოქვეყნებული ნამუშევრის შემონახული და გადამუშავებული ვერსია შემდეგ წიგნში: Josef Isensee/Paul Kirchhof (Hg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. IX, 3. Aufl., 2011, § 194, S. 665 – 697.

¹ ზოგადისტორიული წარმოდგენა: *Jakob Burckhard*, Kultur der Renaissance in Italien [1859], in: ders. Gesamtausgabe, Bd. V, 1930, S. 95 ff.; *Richard van Dülmen*, Die Entdeckung des Individuums 1500-1800, 1997.

² სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების იდეების ისტორიის მიმოხილვა: *Otto Depenheuer*, Solidarität im Verfassungsstaat [1991], 2. Aufl., 2016, S. 242 ff. m.w.N.

³ „კოპერნიკისეული გარდამტეხი მომენტის“ როგორც ეგზეგეტარული, ისე სიმპტომატური ფორმულირება (*Werner Maihofer*) in Art. 1 Abs. 1 des Verfassungsentwurfs des Konvents von Herrenchiemsee von 1948.

⁴ ამ საზოგადოებრივი განვითარების პროცესთან დაკავშირებით დასკვნის სახით, როგორც მისი შემოქმედების შეჯამება – შეადარე: *Niklas Luhmann*, Die Gesellschaft der Gesellschaft, 1997.

⁵ *Josef Isensee*, Die polare Legitimation im grundgesetzlichen Gemeinwesen, in: *Der Staat 20* (1981), S. 161 ff.

⁶ საქმის არსთან და ტერმინთან დაკავშირებით შეადარე *Carl Schmitt*, Verfassungslehre [1928], 1970, S. 126 ff.

⁷ BVerfGE 6, 32 (Elfen); 7, 198 (Lüth); 80, 137 (Reiten im Walde); 54, 143 (Taubenfüttern); 90, 27 (Parabolantenne); 90, 145 (Canabis). – Exemplarisch: *Jan-Philipp Schaefer*, Das Individuum als Grund und Grenze deutscher Staatlichkeit, in: AöR 135 (2010), S. 404 ff.

⁸ ფედერაციული გერმანიის თანამედროვე საზოგადოების შესაბამისი სოციოლოგიური ანალიზები: *Gerhard Schulze*, Die Erlebnisgesellschaft: Kultursoziologie der Gegenwart, 2. Aufl. 2005; frühzeitige, auf die westlichen Gesellschaften insgesamt bezogene Diagnose: *Neil Postman*, Wir amüsieren uns zu Tode, 1985.

⁹ *Udo Di Fabio*, Die Kultur der Freiheit, 2005.

¹⁰ BVerfGE 115, 118 ff. (Luftsicherheitsgesetz). Dazu: *Otto Depenheuer*, Selbstbehauptung des Rechtsstaates, 2. Aufl., 2007.

¹¹ BVerfGE 4, 7 (15 f.).

- ¹² ასე, უპირველეს ყოვლისა, *Uwe Volkmann*, *Solidarität – Programm und Prinzip der Verfassung*, 1998, S. 217 ff.
- ¹³ ამასთან დაკავშირებით შეადარე *Josef Isensee*, *Grundrechtsvoraussetzungen und Verfassungserwartungen* in: *Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland (HStR)*, Bd. IX, 3. Aufl., 2011, § 190 Rn. 124 ff.
- ¹⁴ Zum folgenden: *Josef Isensee* (Hg.), *Solidarität in Knappheit*, 1998, Nachwort, S. 97 ff.; *Hasso Hofmann*, *Vielfalt, Sicherheit und Solidarität statt Freiheit, Gleichheit, Brüderlichkeit*, in: *Festschrift E. Denninger*, 1998, S. 112 ff.; *Depenheuer* (N 2), S. 12 ff.; *Volkmann* (N 12), S. 136 ff.; *Ansgar Hense*, *Mehrperspektivische Annäherungen an das Phänomen Solidarität und das Solidarprinzip*, in: *Festschrift Werner Krawietz*, 2003, S. 525 ff.; *Jürgen Brand*, *Solidarität und Identität*, in: *FAZ* v. 18. April 2007, S. 8.
- ¹⁵ მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობა („obligatio in solidum“) შემდეგნაირადაა აღწერილი მე-3 ნიგნის მე-16 პარაგრაფში: „ასეთი ვალდებულებითი ურთიერთობის შემთხვევაში, ერთი მხრივ, ყოველ ცალკეულ კრედიტორს ეკისრება მთელი ვალდებულება, მეორე მხრივ კი, ყოველი ცალკეული კრედიტორი პასუხისმგებელია მთელ ვალდებულებაზე“.
- ¹⁶ *Steinar Stjernø*, *Solidarity in Europe*, 2004 über die ideengeschichtliche Entwicklung und aktuelle politische Vision in Europa; *Clemens Sedmak* (Hg.), *Solidarität. Vom Wert der Gemeinschaft*, 2010; *Kurt Bayertz*, *Solidarität*, 1998.
- ¹⁷ Jeweils m.w.N. *Depenheuer* (N 2), S. 21 ff.; *Hense* (N 14), S. 525 ff.; *Uwe Volkmann*, *Solidarität in einem vereinten Europa*, in: *Staatswissenschaften und Staatspraxis*, 9 (1998), S. 17 ff.; *Sedmak* (N 16), 9 ff., 59 ff.
- ¹⁸ *Werner Maihofer*, *Prinzipien freiheitlicher Demokratie*, in: *Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland (HdbVerfR)*, 2.Aufl., 1994, § 12 Rn. 161.
- ¹⁹ *Isensee* (N 14), S. 109 ff.; *Otto Depenheuer*, „Nicht alle Menschen werden Brüder“. Unterscheidung als praktische Bedingung von Solidarität. Eine rechtsphilosophische Erwägung in praktischer Absicht, in: *Isensee* (N 14), S. 44 ff.
- ²⁰ შეადარე. *Depenheuer* (N 19), S. 41 ff.
- ²¹ In: *De doctrina Christiana I c. 28.* - Vgl. dazu den Kommentar von *Thomas von Aquin*, *Summa Theologica* 2-2, q. 26 a. 6.
- ²² განმსაზღვრელია: *Ferdinand Tönnies*, *Gesellschaft und Gemeinschaft*, 8. Aufl., 1935.
- ²³ პარტიკულარული სახელმწიფოებრიობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ადამიანების უნივერსალური-პოსტულირებული უფლებების შესაძლებლობის პირობას, შეადარე *Depenheuer* (N 19), S. 64 f.; *Hasso Hofmann*, *Die versprochene Menschenwürde*, in: *AöR* 118 (1993), S. 366 ff. – Kritisch: *Ulrich K. Preuß*, *თანამედროვე საზოგადოებაში მოქალაქის საკონსტიტუციო-თეორიულ ცნებასთან დაკავშირებით* in: *Festschrift Ernst Gottfried Mahrenholz*, 1995, S. 619ff.
- ²⁴ შეადარე: *Hofmann* (N 23), S. 365 ff.; gleichsinnig: *Michael Walzer*, *Sphären der Gerechtigkeit*, [1983], dt. 1992, S. 67: „Sie sind wie wir, aber sie sind keiner oder keine von uns.“
- ²⁵ მსგავსად: *Winfried Brugger*, *Menschenrechte von Flüchtlingen in universalistischer und kommunitaristischer Sicht*, in: *ARSP* 80 (1994), S. 325: „spezifische geht vor allgemeine Verantwortung“.
- ²⁶ შეადარე *Otto Depenheuer*, *Das soziale Staatsziel und die Angleichung der Lebensverhältnisse in Ost und West*, in: *HStR*, Bd. IX, 1997, § 204 Rn. 56 ff.
- ²⁷ შეადარე მსგავსად: *Walzer* (N 24), S. 88ff.
- ²⁸ *Isensee* (N 14), S. 106 f.
- ²⁹ *Isensee* (N 14), S. 101 ff.
- ³⁰ განაწილების სოლიდარულ პრინციპთან დაკავშირებით შეადარე: *Depenheuer* (N 2), S. 148 ff.
- ³¹ Kritik: *Isensee* (N 14), S. 99 f.; *Brand* (N 14), S. 8.
- ³² Letztere bleiben hier außer Betracht, vgl. aber dazu nur: *BVerfGE* 72, 330 (386 f.); *Hartmut Bauer*, *Die Bundestreue*, 1992, S. 226, 305, 343; *Josef Isensee*, *Idee und Gestalt des Föderalismus im Grundgesetz*, in: *HStR*, Bd. VI, 3. Aufl., 2008, § 126 Rn. 154 ff. Zur Solidarität im Rahmen der Europäischen Union vgl.: *Volkmann* (N 12), S. 22 ff.
- ³³ *Depenheuer* (N 2) S. 161 ff.; *ders.*, (N 19), S. 62 f.; *Isensee* (N 14), S. 120; *Solidarischen Implikationen im Grundgesetz nachspürend* *Volkmann* (N 12), S. 217 ff.

³⁴ Näher: *Depenheuer* (N 2), S. 287 ff.; 308 ff.

³⁵ სოციალურ ჰომოგენობასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის ერთიანობის საფუძველს: *Hermann Heller*, Politische Demokratie und soziale Homogenität [1928], in: ders., Gesammelte Schriften, Bd. 2, 1971, S. 421 ff; *Carl Schmitt*, Verfassungslehre [1928], 1970, S. 228 ff. – ჰომოგენობის წარმოდგენის პარალელურობასთან დაკავშირებით Heller-თან და Schmitt-თან: *Pasquale Pasquino*, Politische Einheit, Demokratie und Pluralismus, in: Christoph Müller/Ilse Staff (Hg.), Staatslehre in der Weimarer Republik, 1985, S. 118 ff.

³⁶ სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივი სოლიდარობის ორივე საწყისი ამჟამად თვალსაჩინო ხდება, როცა ხალხთა საერთო, ისტორიული გამოცდილებებითა და ბედისწერით გაზრდილი ჰომოგენობის გვერდით მიგრაციული და ინტეგრაციული მოძრაობების გამო თავს იჩენენ გამაერთიანებელი ელემენტები. შეადარე *Depenheuer* (N 2), S. 305 ff.

³⁷ *Volkman* (N 12), S. 217 ff.

³⁸ Staatstheoretische Vorbild der klassische Universalismus *Platon*, Politeia, II, 369 ff.

³⁹ BVerfGE 4, 7 (15 f.).

⁴⁰ *Aristoteles*, Politik, II, 5 [1263 b], *Eugen Rolfes-ის თარგმანი და შენიშვნები*, 4. Aufl. 1990, S. 41 f.: „არსებობს ერთიანობის ისეთი ხარისხი, რომლის დროსაც სახელმწიფო ველარ იარსებებდა. და არსებობს ისეთი ხარისხი, რომლის დროსაც მართალია სახელმწიფო სახელმწიფოდ დარჩებოდა, მაგრამ უფრო იქითკენ განვითარდებოდა მოვლენები, რომ აღარ იქნებოდა სახელმწიფო, ცუდი სახელმწიფო იქნებოდა, რაც იმას შეგვიძლია შევადაროთ, რომ სიმფონია მონოტონიად, ხოლო რიტმი ცალკეულ ტაქტად გადაიქცეს.“

⁴¹ *Aristoteles*, Politik, I, 2 [1253 a], S. 4 f.: „ამგვარად აქედან იკვეთება, რომ სახელმწიფო ბუნებისგანაა შექმნილი და ადამიანი ბუნებით სახელმწიფოებრივი ქმნილებაა. [ζῷον πολιτικόν] ხოლო ადამიანი, რომელიც ბუნებიდან გამომდინარე და არა შემთხვევით სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, ან ცუდია, ან ადამიანზე უკეთესია. [...] ვისაც არ შეუძლია საზოგადოებაში ცხოვრება, ან საერთოდ არ სჭირდება ის, ვინაიდან საკუთარი თავი აკმაყოფილებს, ის არ არის სახელმწიფოს წევრი და აქედან გამომდინარე, ან ცხოველია და ან ღმერთი.

⁴² მნიშვნელოვანი გამოწვევის, საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 1795 წლის 23 სექტემბრის წერილობითი ვალდებულება (ე.წ. დირექტორიის კონსტიტუცია), გერმანული გამოცემა: Die europäischen Verfassungen seit dem Jahre 1789, 2. Band, 1833, S. 33. – თუმცა, სხვა შემთხვევებში კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმირება სპეციფიური აზრით საკმაოდ არასაიმედო ინდიკატორია ძირითადი უფლებებისთვის. სხვანაირად: *Otto Luchterhandt*, Grundpflichten als Verfassungsproblem in Deutschland, 1988, S. 580 f.), der freilich von einem weiten, unspezifischen Grundpflichtenbegriff aus argumentiert.

⁴³ Überblick: *Hasso Hofmann*, Grundpflichten und Grundrechte, in: HStR, Bd. IX, 3. Aufl., 2011, § 195 Rn. 101 ff.

⁴⁴ ამდენად მნიშვნელოვანია InterAction Council-ის 1997 წლის ზოგადი განცხადება ადამიანების ვალდებულებების შესახებ.

⁴⁵ სამართლის კერძო აღსრულების ინსტიტუციონალური უარყოფა ძირითად კანონში მეორეხარისხოვნადაა მოხსენიებული მხოლოდ მის მე-8 პარაგრაფში, რომლის მიხედვითაც ყველა გერმანელს აქვს უფლება, შეტყობინების გარეშე „მშვიდობიანად და იარაღის გარეშე“ შეიკრიბოს. შეადარე სიმშვიდის დაცვის პირობა. *Josef Isensee*, Staat und Verfassung, in: HStR, Bd. II, 3. Auflage. 2004, § 15 Rn. 83 ff.

⁴⁶ პოზიტიური სამართლის თვალსაზრისით ერთმანეთზე დაშენებული მითითებების შესრულების ვალდებულების ეს ჯაჭვი მხოლოდ იმით შეიძლება დასრულდეს, რომ მითითების შესრულების ვალდებულება ჰანს კელზენის მიხედვით, მიღებულ იქნას ლოგიკურ ძირითად ნორმაზე დაყრდნობით, ე.ი. აპრიორი. შეადარე *Hans Kelsen*, Reine Rechtslehre, 2. Aufl., 1960, S. 204 f.

⁴⁷ შეადარე. *Josef Isensee*, Das Grundrecht auf Sicherheit, 1982, S. 15 ff.

⁴⁸ მტკიცებულებები: *Luchterhandt* (N 42), S. 478.

⁴⁹ ე.წ. „მცირე წინააღმდეგობის უფლების“ პრობლემასთან დაკავშირებით შეადარე *Josef Isensee*, Widerstand gegen den technischen Fortschritt, DÖV 83, 565 ff.

- ⁵⁰ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შედეგების მიხედვით, დაუფიქრებლად ამ მიმართულებით შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული მაგ.. BVerfGE 73, 206 (247 ff.); 104, 92 (103 ff.); BVerfG – 1 BvR 388/05 – v. 07. 03. 2011, Rn. 30 ff.
- ⁵¹ შეადარე *Paul Kirchhof*, Die Steuern, in: HStR, Bd. V, 3. Aufl., 2007, § 118 Rn. 52.
- ⁵² შეადარე. *Paul Kirchhof*, Die Steuern, in: HStR, Bd. V, 3. Aufl., 2007, § 118 Rn. 168 ff.
- ⁵³ შეადარე. ამასთან უფრო დეტალურად, ასევე საგადასახადო სამართალში საპირისპირო პოზიციასთან დაკავშირებით (Assekuranztheorie und Steuer als Gegenleistung für Marktteilnahme) *Depenheuer* (N 2), S. 178, 210 f.; *Paul Kirchhof*, Die Steuern, in: HStR, Bd. V, 3. Aufl., 2007, § 118 Rn. 1 ff.
- ⁵⁴ ვალდებულებების თანასწორობის ძირითად პრინციპთან დაკავშირებით შეადარე: BVerfGE 23,12; 55,303; *Michael Sachs*, Auswirkungen des allgemeinen Gleichheitssatzes auf die Teilrechtsordnung, in: HStR, Bd. VIII, 3. Aufl., 2010, § 183 Rn. 9 ff. m.w.N.
- ⁵⁵ Zu ihnen: *Rüdiger Breuer*, Freiheit des Berufs, in: HStR, Bd. VIII, 3. Aufl., 2010, § 170 Rn. 123 m.w.N.
- ⁵⁶ ზოგადად ამ საკითხებთან დაკავშირებით: *Georg Jellinek*, System der subjektiven öffentlichen Rechte, 2. Aufl., 1919, S. 138f, 184f; *Luchterhandt* (N 42), S. 524 ff. – საზოგადოებრივი სამუშაოების მრავალფეროვანი ფორმების მიმოხილვა: *Rolf Stober*, Der Ehrenbeamte in Verfassung und Verwaltung, 1981.
- ⁵⁷ §§ 31 ff., 84 GVG; §§ 19 ff. VwGO.
- ⁵⁸ § 11 B WahlG; § 9 BWahlO.
- ⁵⁹ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მხოლოდ “მამაკაცებზე” გავრცელება ისტორიულად მიღებული მოვლენაა, და ეს ასახავს ომის ვითარებაში ქალთა და კაცთა განსხვავებული შესაძლებლობების შეფასებას, მაგრამ ეს დებულება დღეს არც ობიექტურად არის გამართლებული და არც სამართლებრივად არის მოძველებული. თუმცა, იხილეთ გერმანიის ძირითადი კანონის 12ა მუხლის მე-4 პუნქტი (ქალთა ვალდებულთა თავდაცვისათვის პირველადი დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში). ხოლო შეიარაღებული ძალების ქალებისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ იხილეთ EuGH, NJW 2000, 497 ff. (Kreil).
- ⁶⁰ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადანაწილების ზემოქმედებების შესახებ. შეადარე *Konrad Beiwinkel*, Wehrgerechtigkeit als finanzpolitisches Verteilungsproblem, 1980.
- ⁶¹ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადადება (შეჩერება) სამხედრო სამსახურის შესახებ ნორმების ცვლილების თაობაზე 2011 წლის კანონის თანახმად პრინციპში არაფერს ცვლის: (Wehrrechtsänderungsgesetz 2011 – WehrRÄndG 2011; Gesetzentwurf der Bundesregierung BT.-Dr. 17/4821) არ არის საჭირო ყოველთვის სოლიდარული ვალდებულებების პოზიტიურ-სამართლებრივი აქტუალიზაცია და ფაქტობრივი აღქმა, თუმცა მათი აქტუალიზაცია საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის უნდა განხორციელდეს.
- ⁶² *Hobbes*, Leviathan [1651], 1970, II. 21. (S. 195).
- ⁶³ *Depenheuer* (N 10), S. 75 ff.
- ⁶⁴ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის შინაარსთან დაკავშირებით: BVerfGE 39, 334 (346 f.); *Helmut Lecheler*, Der öffentliche Dienst, in: HStR, 3. Aufl., 2007, § 110, Rn. 42, 67 ff.
- ⁶⁵ მოხელეებისათვის გაფიცვის აკრძალვასთან დაკავშირებით: BVerfGE 8, 1 (17); 44, 249 (264). *Josef Isensee*, Beamtenstreik, 1971.
- ⁶⁶ შეადარე BVerfGE 83, 89 (98 f.); *Isensee*, in: HdbVerfR, 2. Aufl., 1994, § 32 Rn. 16 ff.
- ⁶⁷ შეადარე BVerfGE 83, 89 (98 f.); *Isensee*, in: HdbVerfR, 2. Aufl., 1994, § 32 Rn. 16 ff.
- ⁶⁸ „სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი“, მოიაზრება, როგორც რაღაც, რაც ეხება სახელმწიფოს სამართლებრივ საფუძვლებს.
- ⁶⁹ უფრო დანვრისა და *Depenheuer* (N 2), S. 213 ff.
- ⁷⁰ სამოქალაქო დამოუკიდებლობის იდეების ისტორიასთან დაკავშირებით ეფექტური გამართლება: *Henry David Thoreau*, Über die Pflicht zum Ungehorsam gegen den Staat [1849].
- ⁷¹ ამგვარად, კამათი ე.წ. „სამოქალაქო დამოუკიდებლობასთან“ მიმართებაში, შეადარე vgl. *Herbert Bethge*, Gewissensfreiheit, in: HStR, Bd. VII, 3. Aufl., 2009, § 158 Rn. 61 ff.
- ⁷² შეადარე, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში შესაბამის ტენდენციებთან დაკავშირებით – მტკიცებულებები o. N 50.

- ⁷³ BVerfGE 4, 7 (17); 75, 108 (158); 75, 108 (158); 78, 249 (277); 89 48 (61); 95, 267 (300): Art. 14 არ იცავს სახელმწიფოს მხრიდან გადახდის ვალდებულების დაკისრებისგან. – კონსტიტუციურ-თეორიული დასაბუთება: Depenheuer, Solidarität im Verfassungsstaat [1991], 2009, S. 213 ff.; ders., Bürgerverantwortung im demokratischen Verfassungsstaat, in: VVDStRL 55 (1996), S. 90, 109 ff.
- ⁷⁴ *Ernst-Wolfgang Böckenförde*, Entstehung und Wandel des Rechtsstaatsbegriffs, in: FS-Adolf Arndt, 1969, S. 53/71.
- ⁷⁵ Statt aller mwN. *Paul Kirchhof*, Die Steuern, in: HStR, Bd. V, 3. Aufl.; 2007, § 118 Rn. 117 ff.; *Ferdinand Kirchhof*, Abgabenerhebung als Grundrechtsbeeinträchtigung, in: HGrR Bd. III, 2009, § 59 Rn. 41 ff.
- ⁷⁶ ამ დოგმატურად ნაკლებად დამაჯერებელ არგუმენტაციასთან დაკავშირებით შეადარე Depenheuer, in: v. Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, 6. Aufl., 2010, Art. 14 Rn. 163. Vgl. auch unten Rn. 53.
- ⁷⁷ BVerfGE 93, 121 (138).
- ⁷⁸ Vgl. Kritik: *E. W. Böckenförde*, Sondervotum BVerfGE 93, 121 (157).
- ⁷⁹ შეადარე Walter Leisner, Eigentum, in: HStR, Bd. VIII, 3. Aufl., 210, § 173 Rn. 171, 204 ff.
- ⁸⁰ BVerfGE 115, 97 ff.
- ⁸¹ *E. W. Böckenförde*, Sondervotum BVerfGE 93, 121 (156 f., 162 ff.).
- ⁸² შეადარე ქვემოთ Rn. 52.
- ⁸³ იხილე ქვემოთ Rn. 53 ff.
- ⁸⁴ ყველა ციტატა BVerfGE 12, 45 (51).
- ⁸⁵ BVerfGE 12, 45 (50 f.); 28, 243 (261); 38, 154 (167); 48, 127 (161); 2 BVL 5/99 v. 20. 02. 2002, Ziff. 42: „ეს განსაკუთრებით ეხება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ შეხედულებას, რომ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვალდებულება კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამყარებული და ამდენად ეს ვალდებულება არ უნდა შევადაროთ პროპორციულობის პრინციპს“.
- ⁸⁶ უფრო დეტალურად *Depenheuer* (N 10), S. 87 ff.
- ⁸⁷ შეადარე *Depenheuer* (N 10), S. 93 ff.
- ⁸⁸ საზგასმით BVerfGE 81, 363 (384). – პრობლემასთან დაკავშირებით: Carl Schmitt, Wohlerworbene Beamtenrechte und Gehaltskürzungen, in: Verfassungsrechtliche Aufsätze, S. 174 ff.; ders., in: Gerhard Anschütz/Richard Thoma, Handbuch des Deutschen Staatsrechts, Bd. II, 1932, S. 596.
- ⁸⁹ BVerfGE 48, 127 (161).
- ⁹⁰ BVerfGE 14, 221 (241); st. Rspr., zuletzt BVerfGE 105, 17 (32). – მსგავსი გადაჭარბებული ფულადი ვალდებულება შეიძლება დასაშვები იყოს კონფისკატორული (BVerfGE 23, 288 [314]) ან „დამხრჩობი“ (BVerfGE 30, 250 [272 f.]) ფულადი ვალდებულებების დროს.
- ⁹¹ *Depenheuer* (N 76), Rn. 163.
- ⁹² პრობლემასთან დაკავშირებით: *Herbert Bethge*, Gewissensfreiheit, in: HStR, Bd. VII, 3. Aufl., 2009, § 158 Rn. 51 ff.
- ⁹³ პრობლემის ანალიზი: *Niklas Luhmann*, Die Gewissensfreiheit und das Gewissen, in: AöR 90 (1965), S. 257 ff.; auch in: Ausdifferenzierung des Rechts, 1981, S. 326 ff.
- ⁹⁴ BVerfGE 33, 23 (24); 48, 127 (164 ff., 169): მზადყოფნა შედეგებისთვის ე.წ. „დამამძიმებელ ალტერნატივასთან“ დაკავშირებით შეადარე *Ernst-Wolfgang Böckenförde*, Das Grundrecht der Gewissensfreiheit, in: VVDStRL 28 (1970), S. 62 f.; *Herbert Bethge*, Gewissensfreiheit, in: HStR, Bd. VII, 3. Aufl., 2009, § 158 Rn. 54 ff.
- ⁹⁵ *Carl Schmitt*, Verfassungslehre [1928], 1970, S. 126.
- ⁹⁶ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საუბრობს „თავისუფლების პრინციპულ ვარაუდზე მოქალაქის სასარგებლოდ“, vgl. BVerfGE 1, 98 (105); 6, 32 (42); 7, 377 (404 f.); 13, 97 (105); 42, 263 (295); 63, 32 (42).
- ⁹⁷ დეტალებთან დაკავშირებით შეადარე *Depenheuer* (N 76), Art. 14 Rn. 69 ff.
- ⁹⁸ სამოქალაქო სამართლებრივი საკუთრების, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკუთრების დაცვის არსის შესახებ იხილეთ vgl. BVerfGE 24, 367 (389); 42, 263 (295); *Depenheuer* (N 76), Art. 14 Rn. 33.
- ⁹⁹ BVerfGE 53, 257 (292); 76, 256 (301).

¹⁰⁰ *Depenheuer* (N 76), Rn. 82 f.

¹⁰¹ უფრო დანვრილებით: *Depenheuer* (N 2), S. 317 ff.

¹⁰² ასეთ კვალიფიკაციას აძლევს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მუდმივ სასამართლო პრაქტიკაში ფინანსური სტაბილურობის გარანტირებას და ამდენად, ჯანმრთელობის დაზღვევის ფუნქციონირებას, რაც წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკითხს საზოგადოების კეთილდღეობისთვის. შეადარე BVerfGE 103, 172 (184 f.) unter Bezugnahme auf BVerfGE 70, 1 (30); 82, 209 (230).

¹⁰³ გარდა ამისა, სპეციალურ გადასახადებს შეცდომაში შეჰყავთ კონსტიტუციური კანონმდებლობა დაფინანსების შესახებ [BVerfGE 55, 274 (300); 91, 186 (202); 93, 319 (342)] ასევე კონსტიტუციის პრინციპი ბიუჯეტის გეგმის სრულყოფილების შესახებ [შეადარე. BVerfGE 113, 128 (147)].

¹⁰⁴ BVerfGE 113, 128 (147).

¹⁰⁵ მოქალაქეების საგადასახადო ვალდებულება ორიენტირებულია მათი ერთგულების „ერთიანობაზე“. ის არ გაუქმდება იმის გამო, თუ კანონმდებელი სუსტი ან არარსებული გადახდისუნარიანობის შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ უარს იტყვის საგადასახადო მოთხოვნაზე (შეადარე. oben Rn. 54).

¹⁰⁶ ამ კონტექსტში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო საუბრობს „ჰომოგენურ ჯგუფებზე“. შეადარე BVerfGE 55, 274 (305 ff.); 82, 159 (180); 108, 186 (222).

¹⁰⁷ BVerfGE 55, 274(306).

¹⁰⁸ BVerfGE 82, 159 (180).

¹⁰⁹ BVerfGE 82, 159 (180).

¹¹⁰ BVerfGE 113, 128 (150 f.).

¹¹¹ BVerfGE 113, 128, 153.

¹¹² BVerfGE 55, 274, 308.

- Pennock, J. Roland. 1979. *Democratic Political Theory*. Princeton: Princeton University Press.
- Przeworski, Adam and Fernando Limongi. 1997. "Modernization: Theory and Facts," *World Politics*, v. 49. No. 2, pp. 155-183.
- Putnam, Robert. *Making Democracy Work*. 1993. Princeton: Princeton University Press.
- Quality of Government Institute. 2019. Located at

<https://qog.pol.gu.se/data/datadownloads/qogstandarddata> (Site last visited on May 13, 2019).

- Rawls, John. 1971. *A Theory of Justice*. Cambridge: Harvard University Press.
- Rawls, John. 1993. *Political Liberalism*. New York: Columbia University Press.
- Rawls, John. 2007. *Lectures on the History of Political Philosophy*. Cambridge, MA: Belknap Press.
- Reporters Without Borders. "World Press Freedom Rankings 2018." Located at <https://rsf.org/en/ranking/2018> (Site last visited on May 13, 2019).
- Rostow, W.W. 1971. *The Stages of Economic Growth*. Cambridge: Cambridge University Press.
- Rousseau, Dominique. 2015. "Constitutionalism and Democracy." John Zvespeter, Trans. Located at <https://booksandideas.net/Constitutionalism-and-Democracy.html> (Site last visited May 12 2019).
- Rousseau, Jean-Jacques. 1977. *The Social Contract*. New York: Penguin.
- Rustow, Dankwart A. 1968. "Modernization and Comparative Politics: Prospects in Research and Theory." *Comparative Politics*. 1: pp. 37-51.
- Sartori, Giovanni Sartori. 1987. *The Theory of Democracy Revisited*, 2 volumes. Chatham, NJ: Chatham House Publishers.
- Schochet, Gordon J. 1979. "Introduction: Constitutionalism, Liberalism, and the Study of Politics." In *Constitutionalism*. Pennock, J. Roland and John W. Chapman eds. NY: NYU Press, pp. 1-18.
- Schultz, David. 1990. "Hegel's Constitutionalism," *4 COMMONWEALTH*, pp. 26-38.
- Schumpeter, Joseph. 2015. *Capitalism, Socialism and Democracy*. New York: Routledge.
- Skinner, Quentin. 1978. *The Foundations of Modern Political Thought*, v. II. New York: Cambridge University Press.
- Schultz, David A. 2002. "The Phenomenology of Democracy: Putnam, Pluralism, and Voluntary Associations." In Scott L. McLean, David A. Schultz, and Manfred B. Steger, eds., *Bowling Alone: Critical Perspectives on Community and "Bowling Alone"*. New York: NYU Press pp. 74-98.
- Shapiro, Martin. 2005. "Law, Courts, and Politics." In *Institutions & Public Law: Comparative Approaches*, eds. Tom Ginsburg and Robert A. Kagan. New York: Peter Lang: 275-298.
- Transparency International. 2018. *Corruption Perceptions Index 2018*. Located at <https://www.transparency.org/cpi2018> (Site last visited on May 13, 2019).
- Tushnet, Mark. 2014. *Advanced Introduction to Comparative Constitutional Law*. Northampton, MA: Edward Elgar.
- United Nations Development Program. 2018 "Gender Inequality Index." Located at <http://hdr.undp.org/en/content/gender-inequality-index-gii> (Site last visited on May 19, 2019).

მმართველობის სისტემა და ძალაუფლებათა გამიჯვნა - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპარლამენტო მმართველობის სისტემა

მიხაელ ბრენერი

I. დემოკრატია, წარმომადგენლობითობა, პარლამენტარიზმი. 1. სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი. 2. დემოკრატიული ლეგიტიმაცია და წარმომადგენლობითობა. 3. საპარლამენტო პრინციპი. 4. შესაძლებელია მრავალფეროვანი კომბინაციები. II. საპარლამენტო მმართველობის სისტემა ძირითადი კანონის მიხედვით. 1. ფედერალური მთავრობის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. 2. ფედერალური მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. 3. საპარლამენტო კონტროლის სხვა ფორმები. ა. ბიუჯეტის დამტკიცების საპარლამენტო უფლებამოსილება. ბ. მთავრობის მეთაურის/მინისტრის მონვევისა და ინტერპელაციის უფლებამოსილება. გ. ბუნდესტაგის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლებამოსილება. დ. ბუნდესტაგის კომისიების კონტროლის ფუნქციები. ე. საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანო. ვ. ბუნდესტაგის სამხედრო ომბუდსმენი. ზ. აღმასრულებელი ორგანოს სამართალშემოქმედების კონტროლი. III. პარტიების გავლენა საპარლამენტო დემოკრატიაზე. IV. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. V. რეზიუმე.

I. დემოკრატია, წარმომადგენლობითობა, პარლამენტარიზმი

დემოკრატია, პარლამენტარიზმი და წარმომადგენლობითობა მთლიანობაში თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს მთავარი ფუნდამენტია. თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოებრიობის იდეალურ ფორმას წარმოადგენს, გარკვეულწილად, სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, რომელიც მოიაზრებს მოსახლეობის აქტიურ ჩართვას მმართველობაში და ამასთან ერთად იმის წარმოჩენას, რომ წარმომადგენლობითი ორგანო უნდა იყოს პარლამენტი, რომელიც პოლიტიკური მმართველობის განხორციელებაში ცენტრალურ როლს შეასრულებს. წარმომადგენლობით-საპარლამენტო სისტემაში დემოკრატიული პრინციპის განხორციელება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გზას უკვალავს მოსაზრებას, რომ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობა, ყველა თავისი ასპექტით, წარმოადგენს თვითონ ხალხს და პირიქით, ხალხი გრძნობს, რომ წარმოდგენილია არჩეულ ინსტანციაში. ამიტომ, დემოკრატიული, საპარლამენტო და წარმომადგენლობითი პრინციპი სახელმწიფო-სამართლებრივი პერსპექტივიდან აღიქმება, როგორც ურღვევი ერთიანობა. რასაკვირველია, ესაა ერთიანობა, რომელიც დამფუძნებელ საკონსტიტუციო საკანონმდებლო ორგანოს მრავალფეროვან და ფართო სივრცეს უტოვებს და მოიცავს საპარლამენტო სისტემის გამდიდრებას საბაზისო დემოკრატიული ელემენტებით - ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუციონალიზაციას, ყოვლისმომცველი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შექმნას, რომელიც მოიაზრებს კონსტიტუციის საბოლოო სავალდებულო განმარტებას.

1. სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი

ამ ერთიანობის ფუნდამენტს წარმოადგენს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი. ძირითადი კანონისაგან მემკვიდრეობით მიღებული ფორმულა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ძალაუფლება ხალხისგან მომდინარეობს (ძირითადი კანონი, მე-20 მუხლი, მე-2 ქვეპუნქტი, 1-ლი წინადადება), წარმოგვიდგება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ფორმის იდეალი და პოლიტიკური ლეგიტიმაცია, რომლის მიზანია ის, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ყველა ორგანო თუ მოქმედება თავის საფუძველს ხალხის გადაწყვეტილებაში უნდა პოულობდეს და, საბოლოოდ, ხალხთან იყოს დაკავშირებული.¹ ხალხის ეს პოლიტიკური ლეგიტიმაციის უზრუნველყოფი ფორმა გამოხატულია სახალხო წარმომადგენლობის პერიოდულ არჩევნებში, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას პარლამენტარიზმისა და საპარლამენტო დემოკრატიის შესაბამისი ფორმის, კანონმდებლობის, მმართველობისა და მართლმსაჯულების წესების მიხედვით.²

2. დემოკრატიული ლეგიტიმაცია და წარმომადგენლობითობა

სახალხო წარმომადგენლობა, არჩეული წესით „ერთი კაცი – ერთი ხმა“, რომლის შემადგენლობა საერთო კეთილდღეობის უპირველესი მიზნების გამო, საჭიროების შემთხვევაში კი, შეიძლება შეიზღუდოს პროცენტული ზღვართ, უზრუნველყოფს კონსტიტუციურ სახელმწიფოში აუცილებელ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. არჩევნებში გამოხატულ ხალხის „ნებასთან“ დაკავშირებული მისი როლი შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც წარმომადგენლობითობის³ სახელმწიფო-თეორიული და სახელმწიფო-სამართლებრივი ცნება, რადგან, მართალია, სახელმწიფო ძალაუფლება ხალხისგან მომდინარეობს და მას ხალხი ახორციელებს, მაგრამ ეს მხოლოდ არჩევნებში; არჩევნების მიღმა სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება არჩეული სახალხო წარმომადგენლობის ამოცანა ხდება, რომელიც ამას ხალხის სახელით, შესაბამისად, წარმომადგენლობითი პრინციპით ახორციელებს.

ამ მნიშვნელობით წარმომადგენლობითობა არ ნიშნავს და არ მოითხოვს სახელმწიფოში ხალხის ცალკეული წევრების ბუნებრივი ნების რეალურად არსებულ თანხვედრას სახალხო წარმომადგენლობის გადაწყვეტილებებთან და ქმედებებთან. საბოლოოდ, ამას მივყავართ იმპერატიულ მანდატთან. წარმომადგენლობითობის ცნებაში უფრო მეტად ისაა ნაგულისხმევი, რომ ამგვარი თანხვედრა მხოლოდ აბსტრაქტულადაა შესაძლებელი.

¹ Grundlegend hierzu E.-W. Böckenförde, Demokratische Willensbildung und Repräsentation, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 34.

² Vgl. nur P. Badura, Staatsrecht, 6. Aufl., 2015, Rdnr. D 6.

³ S. insoweit G. Leibholz, Das Wesen der Repräsentation und der Gestaltwandel der Demokratie im 20. Jahrhundert, 3. Aufl., 1973; U. Matz (Hrsg.), Aktuelle Herausforderungen der repräsentativen Demokratie, 1985.

3. საპარლამენტო პრინციპი

წარმომადგენლობითობის სახელმწიფო-თეორიული და სახელმწიფო-პრაქტიკული მოდელი თავის განხორციელებას საპარლამენტო პრინციპში⁴ პოულობს. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან, ცენტრალურ ადგილს იკავებს და მისი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების ცენტრს წარმოადგენს.⁵ საპარლამენტო პრინციპის განხორციელებით პარლამენტი ხდება დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის⁶ განსახიერება, რადგან ის დემოკრატიული არჩევნების გზით წარმოიშვება და, ამდენად, მყისიერად დემოკრატიულადაა ლეგიტიმირებული. გარდა ამისა, საპარლამენტო პრინციპის მოქმედება, მისი ფორმისგან დამოუკიდებლად, კონკრეტულად, უოლტერ ბაგეჰოტის მიერ იდენტიფიცირებული ხუთი ცენტრალური ფუნქციის განხორციელების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ესაა მთავრობის არჩევა, ერის ნების გამოხატულება, სასწავლო, საინფორმაციო და საკანონმდებლო ფუნქცია.⁷

4. შესაძლებელია მრავალფეროვანი კომბინაციები

თუ როგორ იძენენ ფორმას ცალ-ცალკე დემოკრატიული, წარმომადგენლობითი და საპარლამენტო პრინციპები და როგორ უკავშირდებიან ეს პრინციპები ერთმანეთს და საბოლოოდ როგორ ნაწილდება ძალაუფლება სახელმწიფოში სახელმწიფო ორგანოებს შორის, წარმოადგენს შესაბამისი საკონსტიტუციო საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ სახელმწიფო პრაქტიკაში მრავალფეროვანი ფორმის ვარიანტები გვხვდება. ამგვარად, დემოკრატიული, წარმომადგენლობითი და საპარლამენტო პრინციპების კომბინაცია შესაძლებლობას იძლევა, რომ არსებობდნენ საპრეზიდენტო მმართველობითი სისტემები, რომლებშიც პარლამენტის გარდა, უმეტესწილად პარლამენტისგან დამოუკიდებელი ადგილი ენიჭება პრეზიდენტს, რომელიც ფლობს პირდაპირ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. გარდა ამისა, არსებობენ მმართველობის სისტემები, რომლებშიც მთავრობა და პარლამენტი სხვადასხვა ინტენსივობით სახალხო საკანონმდებლო ორგანოს ვოტუმზე არიან დამოკიდებულნი;⁸ და, ასევე საპარლამენტო მმართველობის ისეთი სისტემებიც, რომლებშიც მთავრობა არა მარტო პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი, არამედ, მთლიანად მის ნდობაზეა დამოკიდებული. ამდენად, საპარლამენტო მმართველობის სისტემა წარმოადგენს მოდელს, რომელიც განსაკუთრებით ნაყოფიერად ახორციელებს საპარლამენტო პრინციპს, რადგან ის სახალხო წარმომადგენლობას გადაწყვეტილების მიღებისას უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს

⁴ Ausführlich M. Brenner, Das Prinzip Parlamentarismus, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 44.

⁵ Hierzu P. Kirchhof, Das Parlament als Mitte der Demokratie, in: Festschrift für P. Badura, 2004, S. 237.

⁶ H. Hoffmann, Verfassungsrechtliche Sicherungen der parlamentarischen Demokratie, in: Verfassungsrechtliche Perspektiven, S. 129/145.

⁷ W. Bagehot, Die englische Verfassung, hrsg. von K. Streifthau, 1971, S. 156 (Ersterscheinung 1867).

⁸ Diese Variante ist in einigen Bundesländern anzutreffen, z. B. im Freistaat Thüringen.

ამის საპირისპიროდ, პარლამენტის პოლიტიკური წონა საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაში, უმეტესწილად, უფრო სუსტადაა გამოხატული. პარლამენტს ხალხი ირჩევს და ის ასრულებს მემკვიდრეობით მიღებულ ფუნქციებს, რომლებიც საპარლამენტო პრინციპის მიხედვითაა განსაზღვრული. შესაბამისად, იგი საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაშიც ცენტრალური წარმომადგენლობითი ორგანოა, ის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის გამოხატულება და, როგორც ბიუჯეტის დამტკიცების უფლების მქონე ორგანო – იმავდროულად, სახელმწიფო ბიუჯეტის ბატონ-პატრონია. მაგრამ მისი მნიშვნელობა შემცირებულია იმ თვალსაზრისით, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი არაა დამოკიდებული პარლამენტის ნდობაზე, მას ვერ გადააყენებს იგი და გარკვეულ პირობებში პარლამენტის ნების წინააღმდეგაც შეუძლია მოქმედება. ამან შესაძლებელია, პოლიტიკური ცხოვრების პარალიზება გამოიწვიოს, რაც წარსულში გვიჩვენა ე.წ. კოჰაბიტაციამ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც პრეზიდენტს ხშირად უპირისპირდებოდა რესპუბლიკური გზით დომინირებული კონგრესი და – პირიქით.

II. საპარლამენტო მმართველობის სისტემა ძირითადი კანონის მიხედვით

აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად გამართლებული იქნება, უფრო დეტალურად გადავხედოთ გერმანიის ძირითად კანონში ფორმულირებულ საპარლამენტო მმართველობის სისტემას, რომელშიც საპარლამენტო დემოკრატია, როგორც საპრეზიდენტო დემოკრატიის საპირისპირო მოდელმა, ჭეშმარიტად გერმანული განვითარება ჰქოვა. სახელმწიფო მმართველობის ამ ფორმამ უკვე 70 წელია გაამართლა და ამდენად, როგორც ჩანს, გამოსაცდელი ვადა ჩაბარებული აქვს.

1. ფედერალური მთავრობის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

საპარლამენტო მმართველობის სისტემას, პირველყოვლისა, ინსტიტუციური წინაპირობა განსაზღვრავს, რომლის მიხედვით, ფედერალური მთავრობა, როგორც სახელმწიფოს მმართველი კონსტიტუციური ორგანო, აღჭურვილია პარლამენტისგან დამოუკიდებელი პოზიციით და, მიუხედავად იმისა, რომ ძირითად კანონში მისი ამოცანები კონკრეტიზირებული არაა, ის პასუხისმგებელია საკუთარ, კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოქმედებებზე.⁹ ზოგადად რომ აღვწეროთ, ამოცანათა სფერო უნდა მოიცავდეს პოლიტიკის მიზნების განსაზღვრას, პოლიტიკური ფუნქციების შესრულებასა და პოლიტიკური მმართველობის განხორციელებას, ანუ მთლიანობაში სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვას. თუ მთავრობა იმ კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს,

⁹ Ausführlich hierzu M. Schröder, Aufgaben der Bundesregierung, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 64, Rdnr. 6 ff..

რომელსაც შესაძლებელია ვუწოდოთ სახელმწიფოს მართვა,¹⁰ მაშინ იგი დამოკიდებული არ იქნება პარლამენტის დადგენილებებზე და მისი გადაწყვეტილებები ვერ იქნება ჩანაცვლებული ბუნდესტაგის გადაწყვეტილებებით.

ის ფაქტი, რომ საპარლამენტო მმართველობის სისტემამ შექმნა მთავრობა, როგორც პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი ორგანო, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი პარლამენტის მარიონეტი ან მხოლოდ მისი აღმასრულებელი ორგანოა. პირიქით, საკუთარი პასუხისმგებლობით სახელმწიფოს მართვის განხორციელებაში ჩანს მთავრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივად განმტკიცებული დამოუკიდებლობა, რომელიც არ ეფუძნება პარლამენტის თანხმობას და მოქმედებს ძალაუფლებათა გამიჯვნის პრინციპის თანახმად. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მუდმივად ხაზგასმული, რომ მთავრობის დამოუკიდებლობა მდგომარეობს საკუთარი აღმასრულებელი პასუხისმგებლობის ხელშეუხლებლობის არსში და ამით ის საპარლამენტო აბსოლუტუზმს მტკიცე უარს ეუბნება.

2. ფედერალური მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა

პოლიტიკური მოქმედების დამოუკიდებელი უფლებამოსილება, რაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღნიშნულია, როგორც „მმართველობის ავტონომია“,¹¹ ფედერალურ მთავრობას მნიშვნელოვნად არიდებს საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლს. როგორც წესი, მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავს კონტროლს, ვინაიდან სამართლებრივი შემოწმების ეს კრიტერიუმები არ არის სახეზე. თუმცა, საპარლამენტო დემოკრატიაში ფედერალური მთავრობა არც პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობისგანაა განთავისუფლებული და არც ფართო საპარლამენტო კონტროლისგან, რადგან საპარლამენტო მმართველობის სისტემა გამოირჩევა იმით, რომ მთავრობა ნებისმიერ დროს დამოკიდებულია პარლამენტსა და მის მუდმივ ნდობაზე. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს და პოლიტიკური კონტროლის მასშტაბები ტოლფასი არაა. საკონსტიტუციო კონტროლი და პოლიტიკური კონტროლი პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

განსაკუთრებით თვალშისაცემია მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე იმ თვალსაზრისით, რომ პარლამენტი ნიშნავს ფედერალურ მთავრობას და არა – ხალხი.¹² ამდენად, ძირითადი კანონის 63-ე მუხლის თანახმად, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ფედერალური კანცლერის არჩევის შესახებ, იღებს გერმანიის პარლამენტი (ბუნდესტაგი). ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ გამოირიცხება ე.წ. „საპრეზიდენტო კაბინეტების“ მოწვევა, რაც

¹⁰ BVerfGE 11, 77/85; 26, 338/395 f.; 105, 252/270; 105, 279/301.

¹¹ BVerfGE 9, 268/281; 67, 100/139.

¹² S. insoweit nur M. Schröder, *Bildung, Bestand und parlamentarische Verantwortung der Regierung*, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), *Handbuch des Staatsrechts*, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 65, Rdnr. 3 ff.

არსებობდა ვაიმარის რესპუბლიკის ბოლო წლებში და, შესაბამისად, კაბინეტები დამოკიდებულნი იყვნენ მხოლოდ რაიხის პრეზიდენტის ნდობაზე. გარდა ამისა, პარლამენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გადააყენოს მთავრობა იმ მოტივით, რომ მას ნდობას აღარ უცხადებს, რაც ძირითადი კანონით ე.წ. კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმითაა შესაძლებელი.¹³ პარლამენტის ეს უფლება განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის იმას, რომ საპარლამენტო მმართველობის სისტემის ბირთვი, ფართო გაგებით, პარლამენტის წინაშე „პასუხისმგებელი მთავრობაა“. ნდობის დაკარგვა, ფედერალური კანცლერის გადარჩევა და ახალი ფედერალური კანცლერის არჩევა წარმოადგენს უმძიმეს იარაღს და უმკაცრეს სანქციას, რისი განხორციელების უფლებაც საპარლამენტო მმართველობის სისტემაში პარლამენტის პრეროგატივაა.

ამ კონტექსტში მოკლე დამატების სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმით განხორციელებული მთავრობის შეცვლა ხალხის მონაწილეობის გარეშე ხორციელდება, მაგრამ კონსტიტუციურ-თეორიულად მას ეხება წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპი. წარმომადგენლობითი ორგანო – ბუნდესტაგი ხალხის სახელით ნიშნავს ახალ მთავრობას, რომელსაც პარლამენტი უცხადებს ნდობას. წარმომადგენლობითი დემოკრატიის სახელმწიფოებრივ-თეორიული სტრუქტურა ზრუნავს იმაზე, რომ ახალ მთავრობას იგივე დემოკრატიული ლეგიტიმაცია ჰქონდეს, როგორც მის წინამორბედს.

3. საპარლამენტო კონტროლის სხვა ფორმები

საპარლამენტო მმართველობის სისტემაში მთავრობა პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, რაც მის ნდობაზეა დამოკიდებული და დანიშვნის შემდეგაც პარლამენტს პერიოდულად უნდა წარუდგინოს ყოვლისმომცველი ანგარიში. ეს წესი სხვადასხვანაირადაა ფორმულირებული ძირითად კანონში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი კანონი ფედერალური კანცლერის არჩევისა თუ გადარჩევის მიუხედავად, ითვალისწინებს სხვადასხვა მექანიზმს ფედერალური მთავრობის საპარლამენტო კონტროლისთვის და ამდენად, უზრუნველყოფს მთავრობის ზედმინევენით პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე.

ა. ბიუჯეტის დამტკიცების საპარლამენტო უფლებამოსილება

ბუნდესტაგის კომპეტენციაში, უპირველეს ყოვლისა, ბიუჯეტის დამტკიცების უფლებამოსილება შედის. ეს დაკავშირებულია გადასახადების დადგენის დამოუკიდებელ ნებასთან, რომელიც პარლამენტარიზმის ადრინდელი პერიოდიდან მომდინარეობს. ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, ბიუჯეტის მიღების უფლებამოსილება ბუნდესტაგს შესაძლებლობას აძლევს მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს აღმასრულებლების მიერ

¹³ Näher M. Schröder, Bildung, Bestand und parlamentarische Verantwortung der Regierung, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 65, Rdnr. 35 ff.

სახელმწიფოს მართვასა და ადმინისტრაციული ამოცანების შესრულებაზე. იმავდროულად, ბიუჯეტის დამტკიცების საპარლამენტო უფლებამოსილება წარმოადგენს მთავრობაზე კონტროლის მექანიზმს საპარლამენტო მმართველობის სისტემის ფარგლებში.¹⁴ ის არა მარტო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენია საპარლამენტო სისტემის კონტექსტში, არამედ დემოკრატიული თვითფორმირების უნარის არსებითი შემადგენელი ნაწილია კონსტიტუციურ სახელმწიფოში, რაზეც ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა თავის გადაწყვეტილებაში ევროპის სტაბილურობის შესახებ. ამიტომ, ბუნდესტაგს არ შეუძლია თავი აარიდოს პასუხისმგებლობას ბიუჯეტთან დაკავშირებით იმ თვალსაზრისით, რომ მას და მომავალ ბუნდესტაგებს აღარ შეეძლოთ საკუთარი პასუხისმგებლობით ბიუჯეტის დამტკიცება. აღნიშნული უფლებამოსილება წარმოადგენს დემოკრატიის ცენტრალურ ელემენტს, რომელიც მთავრობათაშორისი მმართველობის სისტემაში - ევროკავშირის ფარგლებში - მოითხოვს ყურადღებას.¹⁵

ბ. მთავრობის მეთაურის/მინისტრის მონვევისა და ინტერპელაციის უფლებამოსილება

ბუნდესტაგის მიერ ფედერალური მთავრობის კონტროლის კიდევ ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს მთავრობის მეთაურის/მინისტრის მონვევის უფლებამოსილება, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს (ძირითადი კანონის 43-ე მუხლი). ამ უფლებამოსილების მიხედვით, მას შეუძლია, მოითხოვოს სხდომაზე ფედერალური მთავრობის ნებისმიერი წევრის დასწრება. ამავე უფლებამოსილებაში ნაგულისხმევია ინტერპელაციის უფლება, ანუ ესაა ბუნდესტაგის კომპეტენცია, მთავრობას დაუსვას მცირე თუ დიდი მასშტაბის შეკითხვები, რომელზეც მან პასუხი უნდა გასცეს.

გ. ბუნდესტაგის მიერ საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლებამოსილება

გარდა ამისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბუნდესტაგის მიერ ე.წ. საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლებამოსილებას; შესაბამისად, ეს ძირითადი კანონის 44-ე მუხლის მიხედვით, საპარლამენტო გამოძიების წარმოების უფლებაა. პარლამენტს შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც საქმის საჯარო განხილვის პროცესში განსაზღვრულ საკითხს საგამოძიებო საკითხად აქცევს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თავდაცვის საკითხთა კომისია, რადგან ის, იმავდროულად, საგამოძიებო კომისიის კომპეტენციებითაა აღჭურვილი.¹⁶ მისი წევრების მეოთხედის მოთხოვნით, თავდაცვის საკითხთა კომისიის ვალდებულებაა, გარკვეული საკითხი გამოძიების საგნად აქციოს (ძირითადი კანონის 45-ე „ა“ მუხლი, მე-2 ქვეპუნქტი, მე-2 წინადადება).

¹⁴ Vgl. z. B. BVerfGE 119, 96/118 f., mit Anm. C. Waldhoff, JZ 2008, S. 200.

¹⁵ BVerfGE 135, 317/399 f.

¹⁶ Vgl. insoweit M.-E. Geis, Parlamentsausschüsse, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 54, Rdnr. 10 ff.

დ. ბუნდესტაგის კომისიების კონტროლის ფუნქციები

გარდა ამისა, ბუნდესტაგის კონტროლის ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს ბუნდესტაგის კომისიები ასრულებენ.¹⁷ მართალია, ისინი კანონის მომზადებაშიც მონაწილეობენ, მაგრამ ფედერალური მთავრობის მიერ მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმასრულებლების დროულსა და ეფექტურ კონტროლზე. კონტროლის ამ კომპეტენციას ემატება ბუნდესტაგის რეგლამენტის 62-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის მე-3 წინადადებით, საკუთარი ინიციატივით მოქმედების უფლებამოსილება, რომლის მიხედვითაც, კომისიებს მიწოდებული დოკუმენტის გარეშეც შეუძლიათ დაკავდნენ მათ კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხით. ბუნდესტაგის მრავალრიცხოვანი კომისიებიდან ძირითადი კანონის 45-ე მუხლის მიხედვით, განსაკუთრებითაა აღნიშნული პეტიციის კომისია, რომლის ფუნქციაა, განიხილოს ბუნდესტაგში წარდგენილი თხოვნები და საჩივრები.

ე. საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანო

საპარლამენტო მაკონტროლებელი სისტემიდან ძირითადი კანონის 45-ე მუხლის მიხედვით, უნდა გამოვეყოთ საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც 1999 წლამდე საპარლამენტო მაკონტროლებელი კომისია ერქვა. უფლებამოსილების პერიოდის დასაწყისში მის წევრებს ბუნდესტაგი ირჩევს საკუთარი შემადგენლობიდან. მაკონტროლებელი ორგანოს ამოცანაა, გააკონტროლოს ფედერაციის დაზვერვითი საქმიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნდესტაგი ყოველმომცველად აკონტროლებს ფედერალურ მთავრობას ფედერაციის საიდუმლო სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, კონტროლის საგანია კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების, სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურისა და დაზვერვის ფედერალური სამსახურის საქმიანობა. კონტროლის ფარგლებში ფედერალური მთავრობა ვალდებულია სრულად ჩააყენოს საქმის კურსში მაკონტროლებელი ორგანო სამსახურების ზოგადი საქმიანობისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცესების თაობაზე. გარდა ამისა, ფედერალურმა მთავრობამ, მოთხოვნის შემთხვევაში, უწყებას უნდა მისცეს საშუალება, გაეცნოს სამსახურებრივ აქტებსა და მონაცემებს, მოუსმინოს მათ თანამშრომლებს და შევიდეს აღნიშნულ სამსახურებში.¹⁸ საპარლამენტო მაკონტროლებელი ორგანო ბუნდესტაგს უფლებამოსილების პერიოდის შუალედში და ბოლოს წარუდგენს ანგარიშს მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობის შესახებ.

¹⁷ BVerfGE 80, 188/222.

¹⁸ Vgl. das Gesetz zur Fortentwicklung der parlamentarischen Kontrolle der Nachrichtendienste des Bundes vom 29. Juli 2009 (BGBl. I S. 2346). Vgl. hierzu auch den interfraktionellen Gesetzentwurf, BT-Drucks. 16/12411. S. aus der Literatur z. B. M. Baier, Die parlamentarische Kontrolle der Nachrichtendienste, 2009; B. Huber, Die Reform der parlamentarischen Kontrolle der Nachrichtendienste und des Gesetzes nach Art. 10 GG, NVwZ 2009, S. 1321; H. A. Wolff, Der nachrichtendienstliche Geheimnisschutz und die parlamentarische Kontrolle, JZ 2010, S. 173; ders., in: Bonner Kommentar, Art. 45d, 2012.

ვ. ბუნდესტაგის სამხედრო ომბუდსმენი

გარდა ამისა, ბუნდესტაგის უფლებამოსილებაა, სამხედრო ომბუდსმენის დახმარებით გააკონტროლოს მთავრობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ძირითადი კანონის 45-ე მუხლის ფორმულირებაში, რომლის მიხედვით, ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით, საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად ინიშნება ბუნდესტაგის სამხედრო ომბუდსმენი.

ზ. აღმასრულებელი ორგანოს სამართალშემოქმედების კონტროლი

ბუნდესტაგს, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიულ აქტებზე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებაზე, ვინაიდან ძირითადი კანონი არ იცნობს აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სამართალშემოქმედებას. ყოველი კანონქვემდებარე აქტი ითხოვს ლეგიტიმაციას კანონში, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ამ აქტის შინაარსს, მიზანს, პროპორციულობას და მისი მოქმედების სფეროს. საკანონმდებლო უფლებამოსილებათა გარეშე, ვერც ფედერალური მთავრობა და ვერც ფედერალური მინისტრები შეძლებდნენ დაედგინათ ნორმები.

ამასთან, კანონის უზენაესობის პრინციპზე დაყრდნობით, ბუნდესტაგს უფლება აქვს, გააუქმოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი კანონის დებულებით. და ბოლოს, საპარლამენტო კონტროლის ყოველისმომცველ ფორმას გამოხატავს ისიც, რომ ბუნდესტაგს შეუძლია მოითხოვოს სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა დამოუკიდებელი იყოს მის ან მისი კომიტეტის თანხმობაზე და ასევე მოითხოვოს, რომ სამართლებრივი აქტი ითვალისწინებდეს თვითგაუქმებას, თუკი ამას ბუნდესტაგი მოითხოვს.

III. პარტიების გავლენა საპარლამენტო დემოკრატიაზე

საპარლამენტო მმართველობის სისტემის მიმოხილვა არასრულყოფილი იქნებოდა, თუ არ ვისაუბრებდით პარტიების გავლენაზე, ანუ სახელმწიფოს პარტიულ სტრუქტურაზე. ძირითადი კანონი არა მარტო ქმნის წინაპირობებს იმისთვის, რომ პარტიები იყვნენ „თავისუფლად კონკურირებადი, საკუთარი უფლებამოსილებით მოქმედი და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ჯგუფები“,¹⁹ არამედ ძირითადი კანონის 21-ე მუხლი პარტიებს ანიჭებს საპარლამენტო სისტემაში მტკიცე პოზიციას, განსხვავებით ვაიმარის რაიხის კონსტიტუციისგან, რომელიც პრაქტიკულად არ იცნობდა მათ.

პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვა მნიშვნელოვნად სცდება მხოლოდ შეკრების თავისუფლებით განსაზღვრულ გარანტიებს. აღნიშნული ნორმა,

¹⁹ BVerfGE 20, 56/101.

ერთი მხრივ, პარტიებს აძლევს გარანტიას, დაიკავონ განსაკუთრებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოზიცია საპარლამენტო დემოკრატიის ინსტიტუციურ წყობაში, ხოლო, მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფს პოლიტიკური პროცესის პლურალიზმს,²⁰ როგორც ეს გვიჩვენა ბუნდესტაგის 2017 წლის 24 სექტემბრის არჩევნებმა, როდესაც პარლამენტში შვიდი პარტია შევიდა. საპარლამენტო დემოკრატიის პოლიტიკურ პროცესში პარტიებს ენიჭებათ ისეთი ადგილი, რომელიც საგრძნობლად სცილდება უბრალოდ არჩევნებისათვის მოსამზადებელ ორგანიზაციულ საქმიანობას. ამასთანავე, ამით დგინდება „ერთპარტიული სახელმწიფოს“ აკრძალვა, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში ნაცისტების დიქტატურის და ასევე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის (SED) მმართველობის დროს.

გარდა ამისა, რომ პარტიების შესახებ კანონი ადგენს პარტიის შექმნის თავისუფლების პრინციპს და ასევე აწესებს მოთხოვნას, რომ პარტიის შიდა სისტემა დემოკრატიულ პრინციპებს შეესაბამებოდეს, ეს, უპირველეს ყოვლისა, აგრეთვე გამორიცხავს შესაძლებლობას, - რომელიც მხოლოდ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშია, - არაკონსტიტუციურად გამოვაცხადოთ ის პარტია, რომელიც კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებს ემსახურება და ამდენად, იმ პარტიებსაც, რომლებიც არ დგანან დემოკრატიის საწყისებზე, საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ახლახანს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სპექტრი კონსტიტუციის საწინააღმდეგო პარტიებთან მიმართებაში, შესამჩნევად გაფართოვდა. იმ შემთხვევაში, თუ პარტიის აკრძალვისთვის არ იქნება საკმარისი მიზეზები და პარტიას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ენიჭება, შესაძლებელია მას მოეხსნას სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება.²¹ ამით ძირითადი კანონი მთელი სიცხადით ნათელყოფს, რომ თავის მტრებს არ სთავაზობს თავშესაფარს, განსაკუთრებით კი, მათ არ შეუწყობს ხელს ფინანსური საშუალებებით, რომლებსაც ისინი შემდეგ თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ გამოიყენებენ. ამგვარად, ძირითადი კანონით არსებული თავდაცვისუნარიანობა იმავდროულად საპარლამენტო დემოკრატიას უზრუნველყოფს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და აქედან გამომდინარე თანამშრომლობისა და ზეგავლენის მრავალფეროვანი შესაძლებლობები საპარლამენტო დემოკრატიაში, ხშირად კრიტიკის საბაბს იძლევა. ამასთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვებია პოლიტიკითა და პარტიებით უკმაყოფილება. ამ კონტექსტში, ეს სიტყვა ეკუთვნის ყოფილ ფედერალურ პრეზიდენტს რიხარდ ფონ ვაიცზეკერს, რომლის მიხედვითაც, *პარტიებმა სახელმწიფო ნადავლად გადააქციეს*. პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების მთლიანი პოლიტიკური

²⁰ P. Badura, Staatsrecht, 6. Aufl., 2015, Rdnr. D 13.

²¹ ამასთან დაკავშირებით, შეადარე ექსპერტების საჯარო მოსმენის ოქმი, გერმანიის ბუნდესტაგის 119-ე სხდომა, 2019 წლის 29 მაისი, ოქმი Nr. 18/119.

პროცესი, რომელშიც შედის ბუნდესტაგის არჩევნები, მთავრობის შექმნა თუ პარლამენტის ყოველდღიური მუშაობა, საბოლოოდ დამოკიდებულია ეფექტურ, კარგად ორგანიზებულ და კონსტიტუციის ნიადაგზე მდგომ პოლიტიკურ პარტიებზე. პარტიების გარდა ვის შეეძლება პოლიტიკური პროცესის ორგანიზება და ცხოვრებაში გატარება? ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო ინიციატივები ნაკლებად გამოსადეგი იქნებოდა, რადგან მათი მოქმედების რადიუსი მხოლოდ რეგიონალურ და შემზღვეულ თემატიკაზე ვრცელდება.

პოლიტიკურ პარტიებს, ძირითადი კანონის მიხედვით, ჩამოყალიბებული საპარლამენტო მმართველობის პირობებში, სწორედ ამ აშკარა მიზნის გამო მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ, რადგან ისინი დემოკრატიასა და საპარლამენტო მმართველობის სისტემას რეალობად აქცევენ. *პეტერ ბადურამ* მართებულად მიუთითა იმაზე, რომ კონსტიტუცია მხოლოდ მისი პრინციპებისა და ინსტიტუციების მეშვეობით ვერ უზრუნველყოფს საპარლამენტო დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობას,²² ამისთვის აუცილებელი და შეუცვლელიც კია პოლიტიკური პარტიები. და ვინაიდან ეს ასეა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დახასიათება პარტიულ სახელმწიფოდ იქნებოდა ძალზედ ფართო და ამდენად არაზუსტი. თუმცა, მართებულია იმის თქმა, რომ კონსტიტუციური სახელმწიფო პარტიული დემოკრატიაა, რადგან პოლიტიკური დანყვეტილებების მიღებაზე პარტიებს გადამწყვეტი გავლენა გააჩნია.

IV. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს როლი

საპარლამენტო მმართველობის სპეციფიური ფორმა და მოდელი ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილი საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოოდ აღიჭურვა კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილებით. ძალაუფლებათა გამიჯვნის თვალსაზრისით, განმარტებას ყოველთვის არა აქვს ერთმნიშვნელოვანი შედეგი; შეიძლება დაძაბულობასაც ჰქონდეს ადგილი. ამიტომ, კონსტიტუციის კონკრეტიზაციაზე პასუხისმგებელი კანონმდებლისა და დამოუკიდებელი უფლებამოსილებით აღჭურვილი მთავრობის გარდა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას იღებს სხვა ინსტანცია, კერძოდ, სასამართლო, რომლის გადამწყვეტილებებს ბევრად მეტი პოლიტიკური წონა აქვს.

ის გარემოება, რომ ყოველდღიური პოლიტიკური პროცესებისგან შორს მდგარ კონსტიტუციის მცველთ ეკისრებათ საკონსტიტუციო დავების სამართლის შესაბამისად გადამწყვეტა, მიუთითებს იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის შინაარსის დადგენის სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია განმარტოს კონსტიტუცია და იმავდროულად, საპარლამენტო დემოკრატიის ჩამოყალიბების მხრივ, ინგლისური სამართლიდან მომდინარე ანდაზის: „Parliament can do no wrong“ – „პარლამენტს არ შეუძლია ჩაიდინოს

²² P. Badura, Staatsrecht, 6. Aufl., 2015, Rdnr. D 13.

უკანონობა” – მნიშვნელოვანი მოდიფიცირება. ამგვარად, დემოკრატიულად ლეგიტიმი-
რებულმა კანონმდებელმა უნდა დაუშვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო
უფლებამოსილია მისი გადაწყვეტილებები კონსტიტუციის შეუსაბამოდ და ბათილად²³
გამოაცხადოს – ეს არის სწორედ დემოკრატიულ-თეორიული თვალსაზრისით, ნამდვი-
ლად უნიკალური ძალაუფლება.

თუმცა, იმ კითხვის მიუხედავად, არის თუ არა საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლოს
საქმიანობა პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება და, ასევე იმის მიუხედავად,
რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო არ ფლობს რეალურად მაკონტრო-
ლებელ ძალაუფლებას და, საბოლოოდ, სავალდებულო ძალა ისევ სახელმწიფოს
ხელშია, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ სასამართლო ძირითად კანონში განსაზღვრულია
არა როგორც პოლიტიკური ორგანო,²⁴ არამედ როგორც სასამართლო²⁵ და მან
სამართლანარმოების დროს უნდა გამოიყენოს ის ნორმები და იხელმძღვანელოს იმ
პრინციპებით,²⁶ რომლებსაც მას საკონსტიტუციო სამართალი უწესებს. სხვა სიტყვებით
რომ ვთქვათ, სასამართლო პასუხისმგებელია სამართლის პრინციპების წინაშე და არ
უნდა მოექცეს პოლიტიკური პრინციპების გავლენის ქვეშ. ის სასამართლო ძალაუფლებას
ახორციელებს მაშინაც კი, როდესაც მის გადაწყვეტილებებს პოლიტიკური შედეგები აქვთ,
რაც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, საბოლოო ჯამში, გარდაუვალია.

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრინციპებზე აგებული სასამართლო პრაქტიკის
პოლიტიკური ზემოქმედება არ უნდა გავაიგივოთ სასამართლოს ნებისმიერ პირველად
პოლიტიკურ ძალაუფლებასთან. ამიტომ სასამართლო არ მოქმედებს პოლიტიკურად,
ისაა კონსტიტუციის ქომაგი და, ამასთანავე, მისი შემსრულებელი. კონსტიტუციური
განმარტებისა და კონკრეტიზაციის პრეროგატივა სასამართლოს ანიჭებს არა მარტო
განსაკუთრებულ ძალას, საბოლოო სიტყვა თქვას ხელისუფლების შტოებს შორის
ძალაუფლების გამიჯვნის თაობაზე²⁷, არამედ სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას,
საპარლამენტო დემოკრატიისა და საპარლამენტო მმართველობის სისტემა სულ უფრო

²³ Hierzu auch J. Isensee, Die Verfassungsgerichtsbarkeit zwischen Recht und Politik, in: M. Piazzolo (Hrsg.), Das Bundesverfassungsgericht, 1995, S. 49/52 ff.: „Rechtswahrung durch Verfassungsgerichtsbarkeit“; M. Brenner, Das Prinzip Parlamentarismus, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 44, Rdnr. 32.

²⁴ Näher hierzu C. Gusy, Parlamentarischer Gesetzgeber und Bundesverfassungsgericht, 1985, S. 119 ff.

²⁵ C. Hillgruber/C. Goos, Verfassungsprozessrecht, 2004, Rdnr. 1 ff. Hierzu auch K. Korinek, Die Verfassungsgerichtsbarkeit im Gefüge der Staatsfunktionen, VVDStRL 39 (1981), S. 7/14 ff.

²⁶ Vgl. P. Badura, Staatsrecht, 6. Aufl., 2015, Rdnr. H 68.

²⁷ C. Starck, Vorrang der Verfassung und Verfassungsgerichtsbarkeit, in: C. Starck/A. Weber (Hrsg.), Verfassungsgerichtsbarkeit in Westeuropa, Teilband I: Berichte, 1986, S. 11/38. კრიტიკულად უყურებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საბოლოო ჯამში, ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება ინტერპრეტაციის უფლებამოსილება, რომელიც მეთოდურად თითქმის არ არის შეზღუდული და მისი შეზღუდვა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, ის ფაქტიურად ფლობს უფლებამოსილებათა უფლებამოსილებას. K. Stern, Der Einfluss der Verfassungsgerichte auf die Gesetzgebung in Bund und Ländern, in: H. H. Klein/H. Sendler/K. Stern, Justiz und Politik im demokratischen Rechtsstaat, Interne Studien der Konrad-Adenauer-Stiftung Nr. 119/1996, S. 9/16 f.

ახლებურად მოაწყოს. დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება, მნიშვნელოვანწილად, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ხელში იყო და იქნება. საპარლამენტო მმართველობის ამგვარი საკონსტიტუციო მოდელის მიხედვით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სამოცდაათწლიანი არსებობის მანძილზე ძალიან კარგად ვითარდება.

V. რეზიუმე

თუ შევეცდებით შევაჯამოთ საპარლამენტო-კონსტიტუციური მმართველობის სისტემა, იგი ძირითადად დადებითად უნდა დავახასიათოთ. სისტემაში ინტეგრირებული სამთავრობო ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმები დემოკრატიულ და საპარლამენტო პრინციპებს იმდაგვარად ახორციელებენ, რომ ხელს უშლიან ავტორიტარული მთავრობის წარმოქმნას ისე, რომ მას არ წაართვან ის დამოუკიდებლობა, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განხორციელებისათვის. მნიშვნელობა, რომელიც ბუნდესტაგს ამ კონსტრუქციაში ენიჭება, იმავდროულად ხელს უწყობს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს სრული ავტორიტეტის მოპოვებაში, მთავრობის ბედის გადანყვეტა კი, მაინც წარმომადგენლის ანუ ბუნდესტაგის ხელში რჩება.

პარლამენტის ამ ძლიერი პოზიციის შედეგი ისაა, რომ „პარლამენტარიზაცია“ უფრო და უფრო იღვამს ფესვებს. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი გადანყვეტილებების მიღებაში, რომელიც ადრე ფედერალური მმართველობის კომპეტენციაში შედიოდა, ახლა საჭიროა პარლამენტის თანამონაწილეობაც. მაგალითად, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა საგარეო თუ ევროპული პოლიტიკა, უსაფრთხოების პოლიტიკა, ფინანსური თუ პოლიტიკური დაგეგმვა. პარლამენტის როლის ზრდა გამომდინარეობს, უმეტესწილად, მთავრობასა და პარლამენტს შორის შრომის განაწილებაზე დაფუძნებული კოოპერაციული სტრატეგიიდან, რასაც პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ მცირე უთანხმოება მოსდევს, რადგან მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობას ეყრდნობა და ამდენად საპარლამენტო უმრავლესობასა და მასზე დაფუძნებულ ფედერალურ მთავრობას შორის ფართო შინაარსობრივი თანხმობა არსებობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საპარლამენტო მმართველობის სისტემა არსებითად გამოირჩევა იმით, რომ მთავრობასა და მის მხარდამჭერ საპარლამენტო უმრავლესობას შორის არსებობს სერიოზული შინაარსობრივი თანხმობა, რომელიც პრაქტიკულად ხორციელდება და სრულყოფილებას იძენს კოალიციის შეხვედრებში, პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეების დებატებში ან კოალიციის კომისიებში.

ამ განვითარების თანმიმდევრულობა გვიჩვენებს, რომ ნელ-ნელა ხდება მთავრობის საპარლამენტო კონტროლიდან ისეთ მდგომარეობაში გადასვლა, როდესაც ბუნდესტაგს აქვს სახელმწიფოს მმართველობის გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღებისა და თანამმართველობის უფლებაც კი, რომელიც ლიტერატურაში განისაზღვრება

როგორც „თანამშრომლობითი პარლამენტარიზმი“.²⁸ შეიძლება ეს განვითარება, რომელიც არც თუ უმნიშვნელოდ ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დააჩქარა, აღვიქვათ, როგორც საპარლამენტო მმართველობის სისტემის შემდგომი სრულყოფა, თუმცა შეიძლება ასევე საკმაოდ კრიტიკულად მივუდგეთ, რადგან ის მთავრობისა და პარლამენტის პასუხისმგებლობის სფეროებს აბუნდოვანებს და მათი მკაფიო აღქმა ძნელდება. მიუხედავად ამისა, ამ განვითარებაში დადებითი ისაა, რომ „სახელმწიფოს ერთობლივი მმართველობა“²⁹ უზრუნველყოფს პარლამენტის საკმარის მონაწილეობას და ამ გზით ხელს უშლის მთავრობის მეტისმეტ ავტორიტარიზმს, რომელიც უფრო და უფრო შორდება ხალხს.

²⁸ Vgl. etwa P. Badura, Die parlamentarische Demokratie, in: J. Isensee/P. Kirchhof, Handbuch des Staatsrechts, Bd. II, 3. Aufl., 2004, § 25, Rdnr. 62 ff.

²⁹ Vgl. insoweit auch W. Mößle, Regierungsfunktionen des Parlaments, 1986.

Regierungssystem und Machtverteilung

- Das parlamentarische Regierungssystem der Bundesrepublik Deutschland

Michael Brenner

I. Demokratie, Repräsentation, Parlamentarismus. 1. Der Grundsatz der Volkssouveränität. 2. Demokratische Legitimation und Repräsentation. 3. Das parlamentarische Prinzip. 4. Vielfältige Kombinationen möglich. II. Das parlamentarische Regierungssystem des Grundgesetzes. 1. Die institutionelle Selbständigkeit der Bundesregierung. 2. Politische Verantwortlichkeit der Bundesregierung. 3. Weitere Ausformungen parlamentarischer Kontrolle. a) Das parlamentarische Budgetrecht. b) Zitierungs- und Interpellationsrecht. c) Das Enqueterecht des Bundestages. d) Die Kontrollfunktion der Bundestagsausschüsse. e) Das Parlamentarische Kontrollgremium. f) Der Wehrbeauftragte des Bundestages. g) Kontrolle bei exekutiver Rechtsetzung. III. Die Überlagerung der parlamentarische Demokratie durch die Parteien. IV. Die Rolle des Bundesverfassungsgerichts. V. Fazit.

I. Demokratie, Repräsentation, Parlamentarismus

Demokratie, Parlamentarismus und Repräsentation bilden die tragenden Fundamente des modernen Verfassungsstaates. Die Verwirklichung des Grundsatzes der Volkssouveränität, in dem sich die Herrschaft des Volkes Bahn bricht, gepaart mit der Vorstellung, dass es das Repräsentativorgan Parlament sein soll, dem bei der Ausübung politischer Herrschaft eine zentrale Rolle zukommt, stellt gewissermaßen die idealtypische Ausformung moderner Verfassungsstaatlichkeit dar. In der Umsetzung des demokratischen Prinzips in einem repräsentativ-parlamentarischen System bricht sich mit anderen Worten die Vorstellung Bahn, dass die vom Volk gewählte Vertretung dieses in all seinen Facetten vertritt, mithin repräsentiert, und sich umgekehrt das Volk von dieser gewählten Instanz auch vertreten fühlt. Demokratisches, parlamentarisches und repräsentatives Prinzip lassen sich daher aus staatsrechtlicher Perspektive als unauflösliches Kondominium begreifen – als Kondominium freilich, das einem Verfassungsgeber durchaus vielfältigen und weitreichenden Gestaltungsspielraum lässt, der von einer Anreicherung des parlamentarischen Systems mit basisdemokratischen Elementen über die Institutionalisierung eines volksgewählten Präsidenten bis hin zur Errichtung einer umfassenden Verfassungsgerichtsbarkeit mit dem Mandat zur letztverbindlichen Auslegung der Verfassung reicht.

1. Der Grundsatz der Volkssouveränität

Das Fundament dieses Kondominiums bildet der Grundsatz der Volkssouveränität. In der überkommenen Formel des Grundgesetzes, wonach alle Staatsgewalt vom Volke ausgeht (Art. 20 Abs. 2 S. 1 GG), tritt die ideelle und politische Legitimation der demokratischen Staatsform zutage, die darauf zielt, dass jedes Organ staatlicher Gewalt wie auch jede Ausübung der Staatsgewalt ihre Grundlage in einer Entscheidung des Volkes finden und letztlich auch auf dieses rückführbar sein muss.¹ Diese, demokratische Legitimation vermittelnde Entscheidung des Volkes manifestiert sich in periodisch wiederkehrenden Wahlen zur Volksvertretung, die ihrerseits, nach den Regeln des Parlamentarismus und der jeweiligen Ausformung der parlamentarischen Demokratie, der Gesetzgebung, der Verwaltung und der Rechtsprechung die demokratische Legitimation vermitteln.²

¹ Grundlegend hierzu E.-W. Böckenförde, Demokratische Willensbildung und Repräsentation, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 34.

² Vgl. nur P. Badura, Staatsrecht, 6. Aufl., 2015, Rdnr. D 6.

2. Demokratische Legitimation und Repräsentation

Die nach der Regel „one man, one vote“ gewählte Volksvertretung, deren Zusammensetzung aus übergeordneten Gründen des Gemeinwohls ggf. durch eine Prozentklausel beschränkt werden kann, vermittelt dann die im Verfassungsstaat notwendige demokratische Legitimation. Ihre Rolle im Zusammenhang mit der Umsetzung des sich in Wahlen manifestierenden „Willens“ des Volkes lässt sich mit dem staatsrechtlichen und staatsrechtlichen Begriff der Repräsentation³ umschreiben. Denn die Staatsgewalt geht zwar vom Volke aus und wird von diesem ausgeübt, aber eben nur in Wahlen; jenseits der Wahlen kommt die Aufgabe der Ausübung der Staatsgewalt der gewählten Volksvertretung zu, die diese stellvertretend für das Volk – und dieses insoweit repräsentierend – ausübt.

Indes bedeutet und erfordert Repräsentation in diesem Sinn keinesfalls eine tatsächlich bestehende Übereinstimmung des natürlichen Willens der einzelnen Mitglieder des Staatsvolkes mit den Entscheidungen und Handlungen der Volksvertretung; dies liefe letztlich auf ein imperatives Mandat hinaus. Vorausgesetzt wird vom Begriff der Repräsentation vielmehr – wenn man so will: lediglich –, dass eine solche Übereinstimmung abstrakt möglich ist.

3. Das parlamentarische Prinzip

Das demokratische Prinzip im modernen Verfassungsstaat umsetzende staatsrechtliche wie staatspraktische Modell der Repräsentation findet seine Ergänzung im parlamentarischen Prinzip.⁴ Dieses ist dadurch gekennzeichnet, dass das Parlament eine wichtige, abhängig von der konkreten verfassungsrechtlichen Ausgestaltung sogar die zentrale Stellung im politischen System einnimmt und dessen Handlungs- und Entscheidungsmittel darstellt⁵. Mit der Verwirklichung des parlamentarischen Prinzips wird das Parlament zugleich zum Inbegriff demokratischer Staatlichkeit,⁶ weil es aus demokratischen Wahlen hervorgegangen und somit unmittelbar demokratisch legitimiert ist. Darüber hinaus ermöglicht die Umsetzung des parlamentarischen Prinzips unabhängig von seiner Ausgestaltung im Einzelnen die Verwirklichung der fünf zentralen, von Walter Bagehot identifizierten Funktionen, nämlich die Funktionen der Regierungsbestellung, der Artikulation des Willens der Nation, die Lehrfunktion, die Informationsfunktion und die Gesetzgebungsfunktion.⁷

4. Vielfältige Kombinationen möglich

Wie das demokratische, das repräsentative und das parlamentarische Prinzip im einzelnen ausgeformt und wie die Prinzipien einander zugeordnet werden, wie letztlich die Macht im Staat und zwischen den Staatsorganen verteilt wird, obliegt der Entscheidung des jeweiligen Verfassungsgebers. Nicht verwunderlich ist es daher, dass in der Staatspraxis überaus vielfältige Gestaltungsvarianten anzutreffen sind. So ermöglicht die Kombination von demokratischem,

³ S. insoweit G. Leibholz, *Das Wesen der Repräsentation und der Gestaltwandel der Demokratie im 20. Jahrhundert*, 3. Aufl., 1973; U. Matz (Hrsg.), *Aktuelle Herausforderungen der repräsentativen Demokratie*, 1985.

⁴ Ausführlich M. Brenner, *Das Prinzip Parlamentarismus*, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), *Handbuch des Staatsrechts*, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 44.

⁵ Hierzu P. Kirchhof, *Das Parlament als Mitte der Demokratie*, in: *Festschrift für P. Badura*, 2004, S. 237.

⁶ H. Hoffmann, *Verfassungsrechtliche Sicherungen der parlamentarischen Demokratie*, in: *Verfassungsrechtliche Perspektiven*, S. 129/145.

⁷ W. Bagehot, *Die englische Verfassung*, hrsg. von K. Streifhau, 1971, S. 156 (Ersterscheinung 1867).

repräsentativem und parlamentarischem Prinzip präsidentielle Regierungssysteme, in denen neben dem Parlament einem ebenfalls über unmittelbare demokratische Legitimation verfügenden Präsidenten eine starke, zumeist vom Parlament unabhängige Stellung zukommt, darüber hinaus Regierungssysteme, in denen Regierung und Parlament in verschiedener Intensität dem Votum des Volksgesetzgebers unterworfen sind,⁸ sowie parlamentarische Regierungssysteme, in denen die Regierung nicht nur dem Parlament verantwortlich, sondern darüber hinaus in vollem Umfang von dessen Vertrauen abhängig ist. Das parlamentarische Regierungssystem stellt damit eine das parlamentarische Prinzip besonders weitreichend umsetzende Variante dar, da es ungeachtet verfassungsrechtlich begründeter selbständiger Rechte der Regierung die vorrangige Entscheidungsgewalt der Volksvertretung sichert, einschließlich der Möglichkeit, die Regierung aus dem Amt zu entfernen.

Demgegenüber ist das politische Gewicht des Parlaments in präsidentiellen Regierungssystemen zumeist schwächer ausgeprägt. Zwar ist auch in einem präsidentiellen Regierungssystem das Parlament vom Volk gewählt und nimmt die überkommenen Funktionen wahr, die durch das parlamentarische Prinzip vorgegeben sind. Das Parlament ist mithin auch in einem präsidentiellen Regierungssystem das zentrale Repräsentativorgan, es ist Inbegriff demokratischer Staatlichkeit und als Inhaber des Budgetrechts zugleich Herr über den Staatshaushalt. Doch ist seine Bedeutung insofern geringer, als der volksgewählte Präsident nicht vom Vertrauen des Parlaments abhängig ist, von diesem nicht abgesetzt werden und unter Umständen sogar gegen das Parlament regieren kann. Dass dies zu einer Lähmung des politischen Betriebs führen kann, konnte man in der Vergangenheit mit der sog. Cohabitation nicht nur in Frankreich sehen, sondern auch in den Vereinigten Staaten von Amerika, wo einem demokratischen Präsidenten immer wieder ein republikanisch dominierter Kongress gegenüberstand – und umgekehrt.

II. Das parlamentarische Regierungssystem des Grundgesetzes

Vor diesem Hintergrund stellt es ein durchaus lohnenswertes Unterfangen dar, einen genaueren Blick auf das im deutschen Grundgesetz ausgeformte parlamentarische Regierungssystem zu werfen, in dem die parlamentarische Demokratie – gewissermaßen als deutsches Gegenmodell zur ebenfalls die parlamentarische Demokratie verwirklichenden präsidentiellen Demokratie – ihre originär deutsche Umsetzung gefunden hat. Und dass diese staatsrechtliche Ausformung nicht die schlechteste ist, dürfte daran deutlich werden, dass sie sich in mittlerweile fast 70 Jahren bewährt – und ihre Bewährungsprobe damit wohl bestanden hat.

1. Die institutionelle Selbständigkeit der Bundesregierung

Das parlamentarische Regierungssystem des Grundgesetzes ist zunächst und zum einen von der institutionellen Voraussetzung getragen, dass die Bundesregierung als staatsleitendes Verfassungsorgan mit einer gegenüber dem Parlament selbständigen Stellung ausgestattet und ihr ein eigener, verfassungsrechtlich umrissener Wirkungskreis zugewiesen ist, auch wenn eine Beschreibung ihres Aufgabenbereichs im Grundgesetz fehlt⁹. In einer allgemeinen Umschreibung dürfte dieser Aufgabenbereich jedoch die Festlegung der Ziele der Politik umfassen, die Wahrnehmung politischer Führungsaufgaben und die Ausübung der politischen Leitungsgewalt, in

⁸ Diese Variante ist in einigen Bundesländern anzutreffen, z. B. im Freistaat Thüringen.

⁹ Ausführlich hierzu M. Schröder, Aufgaben der Bundesregierung, in: J. Isensee/P. Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, Bd. III, 3. Aufl., 2005, § 64, Rdnr. 6 ff.

einer Zusammenschau mithin die politische Leitung des Staates. Wird die Regierung innerhalb dieses Wirkungskreises tätig, den man in einer allgemeinen Beschreibung als den der Staatsleitung beschreiben kann,¹⁰ so ist sie durch Entscheidungen des Parlaments nicht gebunden und können ihre Entscheidungen auch durch Entscheidungen des Bundestages nicht ersetzt werden.

Die Tatsache, dass das parlamentarische Regierungssystem die Regierung als eine dem Parlament verantwortliche Regierung ausgestaltet hat, bedeutet daher keinesfalls, dass die Regierung gewissermaßen eine Marionette oder ein bloßes Vollzugsorgan des Parlaments wäre, im Gegenteil: In der eigenverantwortlichen Wahrnehmung der Aufgabe der Staatsleitung manifestiert sich die verfassungsrechtlich abgesicherte Eigenständigkeit der Regierung, die nicht auf parlamentarischer Gewährung beruht, sondern durch den Grundsatz der Gewaltenteilung vorgegeben ist. Es ist diese, auch vom Bundesverfassungsgericht immer wieder hervorgehobene Eigenständigkeit der Regierung, die einen unantastbaren Kern exekutiver Eigenverantwortung einschließt – und damit zugleich einem Parlamentsabsolutismus eine klare Absage erteilt.

2. Politische Verantwortlichkeit der Bundesregierung

Diese selbständige politische Handlungsvollmacht, die vom Bundesverfassungsgericht mit dem Begriff der „Eigenständigkeit der Regierungsgewalt“¹¹ gekennzeichnet wurde, entbindet die Bundesregierung zwar weitgehend von einer verfassungsgerichtlichen Kontrolle, da originär politische Regierungsentscheidungen im Regelfall einer solchen gerichtlichen Kontrolle nicht zugänglich sind, weil rechtliche Überprüfungsmaßstäbe fehlen; indes ist die Bundesregierung im Koordinatensystem der parlamentarischen Demokratie weder von ihrer Verantwortlichkeit gegenüber dem Parlament befreit und noch von einer umfassenden parlamentarischen Kontrolle. Denn das parlamentarische Regierungssystem des Grundgesetzes ist dadurch gekennzeichnet, dass die Regierung zu jeder Zeit vom Parlament und dessen fortbestehendem Vertrauen abhängig ist – woran deutlich wird, dass die Maßstäbe der verfassungsgerichtlichen und der politischen Kontrolle nicht deckungsgleich sind; verfassungsgerichtliche und parlamentarische Kontrolle unterscheiden sich in grundsätzlicher Weise voneinander.

კითხვა იმის თაობაზე, უნდა არსებობდეს თუ არა კონსტიტუციის დამცველი, კელზენისთვის წმინდანყლის სამართლებრივ-პოლიტიკური გადანყვეტილების საკითხია, რადგან მხოლოდ საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას ძალუძს, უზრუნველყყოს კონსტიტუციის, როგორც უმაღლესი ნორმის სავალდებულო ხასიათი და კონსტიტუციის უპირატესი ძალა სხვა ნორმებთან მიმართებით.²⁵ კელზენს შმიტისაგან განსხვავებით არ

²⁰ შმიტის საგანგებო სიტუაციის კონცეფციასთან დაკავშირებით უფრო დანყვილებით: Oliver W. Lembcke (2007a): Exception Rules? Freedom and Order in a State of Exception. In: Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, Beiheft 107 (Political Philosophy), 119-128.

²¹ Schmitt 1931 (Fn. 19), 100-108, 115, 135 f.

²² დეტალურად ამის შესახებ Oliver W. Lembcke (2007b): Hüter der Verfassung. Eine institutionentheoretische Studie zur Autorität des Bundesverfassungsgerichts. Tübingen, 15-27.

²³ Schmitt 1931 (Fn. 19), 35.

²⁴ Carl Schmitt [1922]: Politische Theologie. Vier Kapitel zur Lehre von der Souveränität. 7. Aufl. Berlin 1996, 13.

²⁵ Hans Kelsen (1929): Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit In: Veröffentlichungen der Vereinigung der Deutschen Staatsrechtslehrer. Bd. 5, 30-84, hier 43 ff.

ეშინია ძლიერი საკონსტიტუციო სასამართლოსი: ამის წინაპირობა უნდა იყოს ის, რომ კონსტიტუცია არ იქნება გაჟღერებული „ბუნდოვანი ტერმინებით“ (მაგალითად, სამართლიანობა, თავისუფლება, მართლზომიერება, ზნეობრიობა).²⁶ საკონსტიტუციო სასამართლოების „ძალაუფლების სრულყოფილების“ მისაღწევი ყველაზე გარანტირებული გზა არის ის, რომ საკონსტიტუციო კანონმდებელმა ორგანომ „ყველა ასეთი ტერმინის“ გამოყენებისგან თავი შეიკავოს.²⁷ კელზენის აზრით, კონსტიტუცია სხვა არაფერია, თუ არა შინაარსობრივად განსაზღვრულ ნორმათა სისტემა; დამცველის ფუნქცია კი შემოიფარგლება იმით, რომ შეამოწმოს თუ რამდენად შეესაბამებიან ხელისუფლების აქტები კონსტიტუციას და, საჭიროების შემთხვევაში, გააუქმოს ისინი. ამდენად, საქმე ეხება არა კრეატიულ, არამედ ნეგატიურ ფუნქციას, რაც კონსტიტუციის დამცველს ევალება. ამიტომ კელზენი მას უწოდებს „ნეგატიურ კანონმდებელს“.²⁸ გარდა ამისა, ამით გამოიხატება ის, რომ განსხვავებები სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობას შორის მხოლოდ შედარებითი ხასიათისაა: კანონმდებლობა წარმოშობს ზოგად ნორმებს, სასამართლო პრაქტიკა კი - ინდივიდუალურ ნორმებს. ორივე შემთხვევაში საუბარია „სამართლის შექმნაზე“, რომელიც მუდამ შეიცავს „გადაწყვეტილებისა“ და „ძალაუფლების განხორციელების ელემენტებს“.²⁹ ამაშია სამართლის ყველანაირი პრაქტიკის, მათ შორის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პოლიტიკური ხასიათი. ის იზრდება მოსამართლის თავისუფალი შეხედულების მიხედვით.

ყველანაირი ანტაგონიზმის მიუხედავად, ამ საკითხის შეფასებაში კელზენსა და შმიტს შორის გარკვეული ნათესაური კავშირია: ორივე მერყეობს საკონსტიტუციო იურისდიქციის საკითხში და მას ხან ძლიერად და ხან უმოქმედოდ მიიჩნევენ. ამის მიზეზია ის, რომ შმიტისთვისაც და კელზენისთვისაც პრაქტიკული მოქმედება საბოლოოდ ეფუძნება იმ პირის ნებას, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს და რომლებსაც აღარ სჭირდება შემდგომი რაციონალიზაცია. შმიტის აზრით, ეს ძალაუფლების გამოხატულება და, იმავდროულად, მოცემულ სიტუაციაში პოლიტიკური ასპექტის ნიშანია. ვიდრე სახელმწიფო „ნორმალურ სიტუაციაში“ იმყოფება, მისთვის სამართლისა და პოლიტიკის გამიჯვნა სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია. თუმცა, პოლიტიკას აღარ შეუძლია სამართლის ფარგლებს გარეთ დარჩეს, როცა ეგზისტენციალური საშიშროებები მას გამონვევის წინაშე აყენებენ. სწორი გადაწყვეტილება, შმიტის აზრით, სამართლის პრეროგატივა კი არაა, არამედ პოლიტიკური (გადარჩენის) ნების საკითხია, რომელსაც შედეგად მოჰყვება ის, რომ ამ სიტუაციაში სამართალი აღმოჩნდება გარეთ.

²⁶ ამ მიზეზის გამო კელზენი დასაწყისში სკეპტიკურად უყურებდა და თითქმის უარყოფდა კიდევ თავისუფლების ძირითადი უფლებების კონცეფციას, თუმცა ეს პოზიცია დროთა განმავლობაში გადალახა. Zur diesem Positionswechsel vgl. Horst Dreier (1990): Rechtslehre, Staatssoziologie und Demokratietheorie bei Hans Kelsen. 2. Aufl. Baden-Baden, 119.

²⁷ Kelsen 1929 (Fn. 25), 24, 69 f.

²⁸ Hans Kelsen (1931): Wer soll Hüter der Verfassung sein? Berlin, 28.

²⁹ Kelsen 1931 (Fn. 28), 15, 21 f.

კელზენის კონცეფციის მიხედვით, ამ არგუმენტაციის შემთხვევაში საქმე ეხება გაუგებრობების მთელ ჯაჭვს, რაც უპირველესად და მნიშვნელოვანწილად, სამართლისა და პოლიტიკის გამიჯვნაში მდგომარეობს.³⁰ კელზენის მიხედვით, სასამართლო პრაქტიკა მუდამ სამართლის შექმნასაც მოიაზრებს, რადგან სასამართლოს გადანყვეტილება ყოველთვის დეცისიონისტურ ელემენტს შეიცავს. ამდენად, სასამართლოს პოლიტიკური დამცველის ფუნქცია მის „საქმიანობასთან“ წინააღმდეგობაში კი არ მოდის, არამედ უბრალოდ მიჰყვება მას. ყველა სახელმწიფოებრივი ორგანო სამართალს „ქმნის“, განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ (როგორც უკვე აღინიშნა) სამართალშემოქმედების ერთიანობის ხარისხში. ამით უქმდება სახელმწიფოში ფუნქციების ტრადიციული მისადაგება. ამის სანაცვლოდ, მართლწესრიგის კელზენისეული „საფეხურებრივი თეორიის“ მიხედვით, ორგანოთა იერარქიული წყობა, კონსტიტუციასთან სიახლოვის გამო, გვევლინება სახელმწიფოს უმაღლეს ნორმად და ამ დროს მალა მდგომი ნორმები ქვედა დონის ნორმების განმარტებისა და აღსრულების სტანდარტია.³¹

მაშინ, როცა შმიტი სამართლისა და პოლიტიკის გამიჯვნას სასამართლოს მოქმედებასა და დამცველის ფუნქციას უკავშირებს, კელზენთანაც ეს განსხვავებები სუსტდება. თუ სამართალშემოქმედების პროცედურები ფორმალურად სწორი იყო,³² მაშინ შედეგად მივიღებთ სამართალს: „ამდენად ნებისმიერი შინაარსი შეიძლება სამართალი იყოს“.³³ მაგრამ ამ თვალსაზრისით, მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მოქმედების (როგორც სამართალშემოქმედების) სტანდარტიზება არ ხდება. ინტერპრეტაციასაც უბრალოდ ნების აქტთან მივყავართ.³⁴ სამართალმზომელობის პროცესები, რომლებიც გადანყვეტილებას

³⁰ კელზენის მიხედვით, მოცემულ თემასთან დაკავშირებული განსხვავება მოძველებულია. უფრო მეტად მნიშვნელოვანია სამუშაოს მეთოდებით წარმართული განაწილება სამართლის მეცნიერებას (რომელიც ფლობს ცოდნას საკუთარი დისციპლინარული საზღვრების შესახებ) და მეცნიერების სხვა დისციპლინებს, მაგალითად, როგორც პოლიტიკურ მეცნიერებას შორის. Ehs-ის თანახმად, „კელზენის მეთოდების სიზუსტე აღნიშნავს თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების დასაწყისს.“ (Tamara Ehs (2009): Vorwort. In: Dies. (Hrsg.): Hans Kelsen. Eine politikwissenschaftliche Einführung. Wien, 5-14, hier 7); in diesem Sinne sind auch Kelsens eigene Beiträge zur Politikwissenschaft, insbesondere zur Demokratietheorie zu lesen: siehe dazu Oliver Lepsius (2009): Kelsens Demokratietheorie. In: Ehs (Hrsg.): Hans Kelsen, 67-89.

³¹ Vgl. Hans Kelsen [1960]: Reine Rechtslehre. Einleitung in die rechtswissenschaftliche Problematik. Nachdruck der 2. Aufl. Wien 1992, 228-282.

³² ის, რომ მხოლოდ ფორმალურად უნაკლო პროცედურაზე დაყრდნობა ზედაპირულია, ასევე გვიჩვენებს „soft law“-ს ფენომენი. სამართლის მოქმედებასა და „soft law“ - რბილი სამართლის ურთიერთობის შესახებ დისკუსიისთვის იხილეთ vgl. Bart van Klink und Oliver W. Lembcke (2018): A Fuller Understanding of Legal Validity and Soft Law. In: Pauline Westerman et al. (Hrsg.): Legal Validity and Soft Law. Cham, 145-164.

³³ Kelsen 1960 (Fn. 31), 201.

³⁴ მოძღვრება ინტერპრეტაციის შესახებ მიეკუთვნება სამართლის წმინდა თეორიის ყველაზე პრობლემატურ ასპექტებს; vgl. dazu auch Dreier 1990 (Fn. 26), 145-155. კელზენის მიზანს წარმოადგენდა, სამართლის მეცნიერება თანამედროვე მეცნიერების დონეზე აეყვანა. თუმცა ობიექტურობის ფასი მაღალი იყო, რადგან ის საკუთარ დისციპლინას, სუბიექტურ ირაციონალიზმში გადავარდნის შიშის გამო, ნორმების ექსპლიკაციაში დამცავ ძალას ვერ ანიჭებდა. სამართლის მეცნიერების „სიზუსტე“ „დისციპლინას“ მხოლოდ საკუთარ დისციპლინებს „აჩვენებს“. ის ვეღარ ამყარებს დისციპლინას სამართალშემოქმედების აქტის ინტერესებით მართული და ხშირად კომპრომისული პროდუქტებისთვის.

უსწრებენ წინ, კარგავენ თავის მნიშვნელობას და - როგორც დეცესიონიზმის შემთხვევაში - თვითნებური ხდებიან.

3.3 კონსტიტუციონალიზმი

კელზენთან და შმიტთან დაპირისპირებისას, უპირველეს ყოვლისა, ჰერმან ჰელერმა დაიცვა საკონსტიტუციო მოთხოვნები დეცესიონიზმისა და პოზიტივიზმის პრეტენზიებთან დაკავშირებით. მისი არგუმენტაცია, პირველ რიგში, იმითომ ითვლება საკონსტიტუციო აზროვნების ნიმუშად, რომ ჰელერი ანვითარებს დემოკრატიულ თვალსაზრის სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და განსაკუთრებულად განმარტავს სამართალსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობას.³⁵

ჰელერს კონსტიტუციონალიზმში ორი რამ არწმუნებს:³⁶ პოლიტიკური თვითგამორკვევის პრინციპი და რწმენა ყველა პიროვნებისა ან ჯგუფის უნარში, დამოუკიდებლად შეიყნონ და განახორციელონ თავიანთი ინტერესები. ავტონომიის პრინციპთან ერთად პოლიტიკური თანასწორობა ქმნის აუცილებელ ელემენტს, რომელიც კანონში პოულობს გამოხატულებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კონსტიტუციური“ კანონები მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევენ, მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომლებიც, როგორც სუვერენი და სამართალზე დამოკიდებული პირები, დემოკრატიული ნების ჩამოყალიბების პროცესში ორმაგ როლს ასრულებენ.³⁷

თუ განვიხილავთ სამართლებრივი სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიას (ქვეთავი 2), უდაოდ უნდა ვაღიაროთ თუ რა მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციონალიზმისთვის ხალხის მმართველობის იდეას. ჰელერიც განსაკუთრებულად ეხება დემოკრატისა და ლიბერალიზმს შორის არსებულ კავშირს. სამართლებრივი სახელმწიფოს შეზღუდული ფუნქციის გარდა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს მმართველობის საზღვრებს, სახელმწიფოს ძალაუფლებათა ორგანიზაციასა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოქმედების პროგნოზირებადობას, არსებობს ლეგიტიმაციის ფუნქციაც, რომელიც XIX საუკუნის შუახანებამდე მთელს ევროპაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკური მონაწილეობის დემოკრატიულ იდეალთან.

³⁵ სახელმწიფოს შესახებ ჰელერის სწავლების პოლიტიკურ-მეცნიერული მიდგომის რეკონსტრუქცია მ.შ. გვხვდება Michael Henkel und Oliver W. Lembcke-თან (2003): Politikwissenschaft als Theorie der Politik. Hermann Hellers theoretische Grundlegung der Politikwissenschaft. In: Politisches Denken. Jahrbuch 2003, 30-54. Siehe außerdem umfassend Michael Henkel (2011): Hermann Hellers Theorie der Politik und des Staates. Die Geburt der Politikwissenschaft aus dem Geiste der Soziologie. Tübingen.

³⁶ Hermann Heller [1928a]: Der Begriff des Gesetzes in der Reichsverfassung. In: Ders.: Gesammelte Schriften. Hrsg. von Martin Drath et al. Bd. 2. Leiden 1971, 203-242, hier 210.

³⁷ ამასთან დაკავშირებით დანვრილებით Oliver W. Lembcke (2010): Konstitutionelles Gesetz im sozialen Rechtsstaat. Zu einem Grundbegriff der Staatslehre Hellers. In: Marcus Llanque (Hrsg.): Souveräne Demokratie und soziale Homogenität. Das politische Denken Hermann Hellers, Baden-Baden, 239-260. Vgl. zur demokratischen Partizipation Hermann Heller [1924]: Politische Ideenkreise der Gegenwart. In: Ders. 1971, Bd. 1, 257-374, 309, 331-333.

სამართლებრივ სახელმწიფოში ორმხრივი ურთიერთობა, პასუხისმგებლობების განაწილება და უკუკავშირები უზრუნველყოფს კანონმდებელსა და ნორმის ადრესატს შორის სიმეტრიულ ურთიერთობებს. მაშინ, როცა ფორმალურ-სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალთან კავშირში მოლოდინის გარანტია წინა პლანზე დგას, მატერიალური სამართლებრივი სახელმწიფო ინარჩუნებს სამართლებრივ ურთიერთობებს - თვითონ საკონსტიტუციო კანონი არის ინსტრუმენტი, რომელიც ამ აზრს განსაკუთრებულად ასხამს ხორცს. მსგავსი კანონი უდავოდ წარმოადგენს ბრძანებას კანონზე დაქვემდებარებულის მისამართით. მაგრამ სამართლის ფარგლებში ხდება ამ ბრძანების ინდივიდუალიზაცია, რათა თავისი კონკრეტული ფორმით, როგორც ნორმა, აღიარების ღირსი იყოს და შესაბამისად - დამკვიდრდეს. სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პირობებში ეს იმას ნიშნავს, რომ ლეგიტიმაციის რწმენა ორიენტირებულია რაციონალურ გამართლებასთან. დასაბუთების ფართო შესაძლებლობის სტანდარტის საკითხი არა მხოლოდ ხელს უწყობს პოლიტიკის „საჯაროობას“,³⁸ როგორც ამას კანტი უწოდებს, არამედ, ასევე ასაზრდოებს დემოკრატიას ლეგიტიმურობის საერთო მოთხოვნის არსებობის გამო.³⁹ და როგორც სამართალი არეგულირებს კანონის მოთხოვნის ინდივიდუალიზაციის პროცესს ვერტიკალურად, ისევე არეგულირებს ის ნების წარმოქმნის პროცესს ქვემოდან ზემოთ, რომლითაც აირჩევა წარმომადგენლები. ჰელერი იზიარებს კელზენის მოსაზრებას ნორმების იერარქიის შესახებ: თუმცა, მასთან ეს იერარქია არ არის საყოველთაოს ლოგიკური უპირატესობის გამოხატულება ინდივიდუალურზე, არამედ კანონმდებლის პოლიტიკური უპირატესობის გამოვლინებაა. მისთვის პოლიტიკური ძალაუფლების სამართლებრივი განსაზღვრა - ორმაგ პერსპექტივაში „bottom up“ და „top down“ - წარმოადგენს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი დემოკრატის გადამწყვეტ დამახასიათებელ ნიშანს. ის მოიცავს წარმომადგენლების არჩევას და ასევე მათ სამართლებრივ ვალდებულებებს თანამდებობებზე. გარდა ამისა, ის განსაზღვრავს თანამდებობის პირთა დამოუკიდებლობას და უზრუნველყოფს სანქციების მექანიზმებს, რათა გარანტირებული იყოს დემოკრატიული უკუკავშირი.⁴⁰ წარმომადგენლებსა და წარმოდგენილებს შორის ეს სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის მიზნები ხალხის პოლიტიკურ თვითგამორკვევაშია, ჰელერისათვის განაპირობებს განსხვავებას დემოკრატისა და ავტოკრატის შორის. მსგავსი ორმაგი პერსპექტივა, მისი აზრით, იმ სამართლებრივი პრინციპების თვალსაზრისითაც შესაფერისია, რომლებიც არ წარმოადგენს დადებითი სამართლის ნაწილს,⁴¹ თუმცა ისინი დადებით სამართალთან დაკავშირებულია შესაბამისი (სამართლებრივი) კულტურის მეშვეობით.⁴² ეთიკური სამართლებრივი პრინციპები მიუთითებს გარემოებაზე, რომ ლეგიტიმაციის ერთადერთი წყარო

³⁸ ცნებასთან დაკავშირებით, შეადარე მშვიდობის შესახებ ნაშრომის მეორე დამატება: Kant, Immanuel [1795]: Zum ewigen Frieden. In: Werke in zehn Bänden. Hrsg. von Wilhelm Weischedel. Bd. 9. Darmstadt 1983, 193-251, hier 244 ff.

³⁹ ამასთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით Dyzenhaus 1997 (Fn. 15), 196 f.

⁴⁰ Hermann Heller [1928b]: Politische Demokratie und soziale Homogenität. In: Ders. 1971, 421-433, hier 425-427.

⁴¹ ამისათვის მათ უკვე აკლიათ საკმარისი (ინდივიდუალიზებული) განსაზღვრულობა, რათა მოითხოვონ ნორმის შესაბამისი მოქმედება.

⁴² Heller 1928a (Fn. 36), 228 f.

კანონმდებლის ნება არ არის. ამიტომ ისინი ჰელერისთვის კანონებთან ერთად წარმოადგენს ნორმატიულ სტრუქტურას, რომლის ამოწურვა სახელმწიფოს მიერ შეუძლებელია (დადებით-სამართლებრივი) კანონმდებლობის მეშვეობით.⁴³ უნინდელივით, სამართლებრივი ნორმების თანახმად, სამართლებრივი პრინციპები ორი თვალთახედვით მოიაზრება: ქვემოდან ზემოთ ისინი სახელმწიფოსა და განსაკუთრებით კანონმდებელს ავალდებულებს „სწორ“ მოქმედებას; ხოლო ზემოდან ქვემოთ ისინი მოქმედებენ კანონშემოქმედთა ქმედების გამართლებად. ესაა ორმაგი პერსპექტივა, რომელმაც განსაზღვრა კონსტიტუციური აზროვნება არა მარტო თეორიაში, არამედ ასევე პრაქტიკაში.

3.4 თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი

ლიბერალიზმსა (ცალკეული პირის თავისუფლების უფლებები) და დემოკრატიას (ხალხის თვითგამორკვევა) შორის კავშირი წარმოადგენს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის შინაარსობრივ მახასიათებელს. მართვის ძველი ფორმები, მაგალითად, კონსტიტუციური მონარქია, აღარ აკმაყოფილებენ პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოთხოვნებს.⁴⁴ მსგავს ქვეყნებში გაბატონებულიც რომ იყოს სამართალი და კანონი, თავისუფალი კანონმდებლობის (განსხვავებული ხარისხით) შესაძლებლობები მაინც შეზღუდულია. პოლიტიკური თავისუფლებისა და თანასწორობისგან ხშირად მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ფერმკრთალი ანარეკლი რჩება და ასევე ცალკეული პირების სხვადასხვა ძირითადი უფლებები, რომლებიც მას ემსახურებიან, როგორც სახელმწიფოსგან დამცავი უფლებები: პოლიტიკურის ნაცვლად სამართლებრივი თავისუფლებები. ამის საპირისპიროდ, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში ხალხის პოლიტიკური ავტონომია თავის გამოხატულებას დემოკრატიული ნების ჩამოყალიბებისა და გადანყვეტილების მიღების სამართლებრივად დადგენილ პროცედურაში პოულობს. თუმცა მისი ინსტიტუციონალიზირებული ფორმირება წარმოადგენს კომპლექსური თეორიული განსჯის საგანს. მ.შ. ეს ვლინდება დემოკრატიის თეორიის ფარგლებში მსჯელობისას, რომელიც შემდეგი შეკითხვის გარშემო ტრიალებს: რამდენ განხილვას მოითხოვს დემოკრატიული მონაწილეობისა და პროცედურების *volonté generale*-ის იდეალი? და რამდენ (უმრავლესობის) გადანყვეტილებას აიტანს ის?⁴⁵ კონსტიტუციონალიზმის გადმოსახედიდან მსგავს შეკითხვას მივყავართ პრობლემასთან, განსაზღვროს შესაბამისად, ერთი მხრივ, სახალხო სუვერენიტეტის, როგორც დამფუძნებელი

⁴³ Vgl. Dyzenhaus 1997 (Fn. 15), 197.

⁴⁴ ამას ზუსტად შეესაბამება Analyse von Seyla Benhabib (1994): Deliberative Rationality and Models of Democratic Legitimacy. In: Constellations 1(1), 25-53.

⁴⁵ პარადოქსული ურთიერთობების შესახებ, რომლებიც ამოტივტივდება პოლიტიკურ-თეორიული ანალიზის ფარგლებში, იხილეთ Bonnie Honig (2007): Between Decision and Deliberation: Political Paradox in Democratic Theory. In: American Political Science Review 101 (1), 1-17.

ძალაუფლების და, მეორე მხრივ, პოლიტიკის სამართლებრივი ყოფის მნიშვნელობა ძირითად ურთიერთობაში. თანამედროვე დისკუსიაში განასხვავებენ ხუთ მიდგომას.⁴⁶

(1) კონსტიტუციონალიზმის ლიბერალურ ვარიანტში ცალკეული პირის ძირითადი უფლებები - ჯონ ლოკის ტრადიციაში *life, liberty, and estate* - წარმოადგენენ ფუნდამენტს ყოველი თავისუფალი პოლიტიკური წყობისთვის.⁴⁷ ამ თვალსაზრისით, ისინი ფლობენ უნივერსალურ ძალას. ლიბერალური კონსტიტუციის თეორიების უმეტესი ნაწილი ცდილობს, მოგვანოდოს დამატერებელი დასაბუთება უნივერსალობის ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით. ყველაზე ცნობილ და ხარისხიან მონახაზებს მიეკუთვნება ჯონ როულზის *Theorie of Justice* (1971), რომელიც ინტენსიური და კრიტიკული განხილვის ფონზე სამი ათწლეულის შემდეგ ხელახლა გამოიცა სათაურით *Justice as Fairness* (2001). მისი თეორია გვაძლევს შესაძლებლობას, შევისწავლოთ სამართლის უპირატესი ძალა პოლიტიკასთან მიმართებით, რაც, ლიბერალური თვალსაზრისით, აუცილებელია კონსტიტუციის შექმნის პროცესში: არა სუვერენული ხალხი, არამედ სამართლის მორალური პრინციპები და კონსტიტუციის განვითარების პროცესში მათი გათვალისწინება უზრუნველყოფენ პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციას. საზოგადოდ მიღებული ამ პრინციპების დასაბუთებისთვის როულზის იყენებს გონებრივ ექსპერიმენტს:⁴⁸ კონსტიტუციის რომელ პრინციპებს მიანიჭებდნენ თავისუფალი და გონიერი ადამიანები უპირატესობას „საწყის მდგომარეობაში“ (*original position*), რომელშიც ისინი, მართალია, საკმარის ინფორმაციას ფლობენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ძირითად ურთიერთკავშირზე, მაგრამ „უცოდინრობის პირბადის ქვეშ“ არაფერი იციან მისი კონკრეტული მდგომარეობის შესახებ (ე.ი. მისი სოციალური სტატუსის, რასის, სქესისა და ა.შ.)? როულზის მიხედვით, ასეთ სიტუაციაში ყველა მონაწილე შეძლებდა სამართლიანობის ორ ძირითად პრინციპზე შეთანხმებას:

(i) ყველა ადამიანს ექნებოდა თანასწორი ძირითადი თავისუფლებები, თუ ისინი სხვა ადამიანების ძირითად თავისუფლებებთან თანხვედრაშია.

(ii) სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა მხოლოდ მაშინაა ყოველთვის დასაშვები, თუ ისინი ან უწყებებთან ან პოზიციებთანაა კავშირში, ან თუ ისინი ყველაზე მეტად მათ მოუტანენ სარგებელს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არიან უზრუნველყოფილნი ხელშეწყობით (დიფერენციაციის პრინციპი).⁴⁹

(2) სამართლიანობის კონცეფციის ამ უნივერსალიზირებული პრეტენზიის წინააღმდეგ კომუნიტარიზმმა დაიცვა კონკრეტული საზოგადოებების ჩვეული სამართალი. როულზის ადრინდელ კრიტიკაში მ.შ. მაიკლ ი. სანდელმა უკვე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ

⁴⁶ Martin Loughlin und Neil Walker (2007): Introduction. In: Dies. (Hrsg.): *The Paradox of Constitutionalism. Constituent Power and Constitutional Form*. Oxford, 1-8, hier 6 f.

⁴⁷ John Locke [1689]: *Second Treatise of Government*. Hrsg. von C.B. Macpherson. Indianapolis und Cambridge 1980, Kap. II/6, XIX/222 [Formel]/9 und 111.

⁴⁸ John Rawls (1971): *A Theory of Justice*. Cambridge (Mass.), 17-21, 118 ff.; ders. (2001): *Justice as Fairness. A Restatement*. Hrsg. von Erin Kelly. Cambridge (Mass.)/London, 14-18, 80-134.

⁴⁹ Rawls 1971 (Fn. 48), 54-117; ders. 2001 (Fn. 48), 39-79.

მხოლოდ ამგვარი საზოგადოებებისადმი მიკუთვნება და ღირებულებებისა და მორალის ერთობლივ წარმოდგენებში მონაწილეობა, შესაძლებლობას აძლევს ცალკეულ პირს შეიქმნას აზრი სამართლიანობის პრინციპის შესახებ.⁵⁰ პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით, აქედან გამომდინარეობს საყოველთაოს (და პოლიტიკური) უპირატესობა კერძოსთან მიმართებაში: ასე მაგალითად, ინდივიდუალური უფლებები განაპირობებენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას. თვითონ კონსტიტუცია კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური ტრადიციების გამოხატულება, როგორც ორგანული ზრდის შედეგი, რომლის უკანაც კონსტიტუციის მომზადების ერთჯერადი აქტი, მნიშვნელობის მიხედვით, უკანა პლანზე ინაცვლებს.

(3) ლიბერალიზმსა და კომუნიტარიზმს შორის მესამე გზას ადგება იურგენ ჰაბერმასი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მისეული დისკურსიულ-თეორიული რეკონსტრუქციით.⁵¹ მისი აზრით, ლიბერალური პოლიტიკური საზოგადოების უფლებებზე ორიენტირებულმა შეზღუდვამ შეიძლება უარყოფითი გავლენები იქონიოს მოქალაქეთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე და, საბოლოოდ, გამოიწვიოს სახელმწიფოსა და საზოგადოების გაყოფა. მაგრამ საზოგადოების კომუნიტარისტულ, დემოკრატიაზე ორიენტირებულ პრივილეგირებულ პოზიციასაც აქვს ნეგატიური მხარე, რადგან ის მხოლოდ მსუბუქად ახდენს ინდივიდუალური უფლებების რელატივირებას და, საბოლოოდ, მოქალაქე სამართლებრივად დაუცველი რჩება. ამიტომ, ჰაბერმასი ემხრობა კერძო უფლებებისა და საზოგადოების თვითგამორკვევის სიმბიოზის, ანუ სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის მთლიანობის იდეას, როდესაც სახეგა პროდუქტიული დაძაბულობა, ერთი მხრივ, სტრუქტურულ ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, ხალხს შორის. ამ მიდგომის თანახმად, ხალხს, როგორც უკანა ფონზე მდგარ დემოკრატიულ სუვერენს, ლეგიტიმაციის მნიშვნელოვანი როლი აქვს, იმ პირობით, რომ კონსულტაციების გზით მოქალაქეთა ინტერესები აისახება პოლიტიკაში.

(4) მიხაელ ჰარდტისა და ანტონიო ნეგრის თვალსაზრისით, დემოკრატიული სუვერენის როლის მსგავსი წარმოდგენა არ აკმაყოფილებს კანონისმიერ მოთხოვნებს. აქ საქმე გვაქვს არა სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ხალხთან, არამედ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ერთმანეთთან დაკავშირებულ ბევრ (*multitude*) ადამიანთან სახელმწიფოში (*empire*), რომლებიც, ფაქტობრივად, მოქმედების ინიციატივას თავის თავზე იღებენ.⁵² სახელმწიფომ (იმპერიამ) აღარ იცის საგარეო საზღვრები, ის მოიცავს მთლიანობაში მსოფლიო საზოგადოებას. თუმცა ეს ჰარდტისა და ნეგრისთვის თითქმის აღარაა ცარიელი ფორმა. ცვალებად, მოქნილ ორგანიზაციებში დიდძალი მასის ბევრ წარმომადგენელს შეუძლია თავისი სტრატეგიული ინტერესების გატანა, რომლებთან მიმართებაში სახელმწიფო თავისი ტრადიციული იერარქიული სტრუქტურებითა და

⁵⁰ Sandel, Michael J. (1982): *Liberalism and the Limits of Justice*. Cambridge (Mass.).

⁵¹ Habermas, Jürgen (1994): *Faktizität und Geltung. Beiträge zur Diskurstheorie des Rechts und des demokratischen Rechtsstaats*. 4. Aufl. Frankfurt a.M., Kap. III.

⁵² Michael Hardt und Antonio Negri (2000): *Empire*. Cambridge (Mass.).

პრეტენზიებით, საშუალო ვადიან პერსპექტივაში, უსუსურად გვევლინება. ჰარდტისა და ნეგრის მიხედვით, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის რადიკალური პოტენციალი ვლინდება მრავალმხრივ მმართველობაში, როდესაც მასები ლოკალურ, რეგიონალურ, ნაციონალურ და საერთაშორისო სამართლებრივ სფეროებში ფრაგმენტირებულ სამართალს თავის სასარგებლოდ იყენებენ და ამით უფრო მეტად ითავისუფლებენ თავს სახელმწიფოს იძულებისგან.

(5) მსგავსი, „სუბვერსიული“ მიმართულებით⁵³ მიდის ასევე ჯიორჯიო აგამბენი, რომელიც შთაგონებულია ვალტერ ბენუამინის მესიანიზმით, პოლიტიკური მოძღვრებით, რომელიც საუბრობს ყოველი სამართლებრივი სისტემის არათორმალურ „სიკვდილზე“.⁵⁴ შესაბამისად, სამართალში ცხოვრებას აგამბენი მხოლოდ წარმოსახვით უსაფრთხოებას ანიჭებს. მას მოიპოვებენ პოლიტიკის უფლებით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტისას. ეს ძალაუფლება გამოხატავს პოლიტიკურ სუვერენობას, რომლის წინაშეც ადამიანს ვერავითარი სამართალი ვერ დაიცავს.⁵⁵ რადგან სუვერენიტეტის ლოგიკის მიხედვით, ის ადგენს სამართლის წესებს, მაგრამ თვითონ არაა ვალდებული, რომ დაემორჩილოს მათ. წესთან დაკავშირებით ყოველთვის შესაძლო გამონაკლისი თავად სამართლის სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს. შესაბამისად, აგამბენის მიხედვით, სამართლისა და უსამართლობის განსხვავება შეუძლებელია. თანამედროვე სახელმწიფოების დამახასიათებელი ნიშანი უფრო მეტად განუსხვავებლობაა, ნორმისა და ფაქტის რუხი ზონა [*twilight zone*]; და ამ საფრთხეში ცხოვრება ადამიანს აქცევს „homo sacer“-ად, რომელიც სუვერენიტეტის გავლენის ქვეშ ექცევა და მის წინაშე დაუცველია. ამ თვალსაზრისით, ნაციონალ-სოციალისტების საკონცენტრაციო ბანაკებსა და გუანტანამოს პატიმართა ბანაკს შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს.⁵⁶

საგანგებო მდგომარეობა, რომელიც სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებული „მანკიერი“ კავშირისგან წარმოიშვება, და რომლის ხელშიც homo sacer-ი (უფლებააყრილი ადამიანი) ექცევა, როგორც აგამბენი იმედოვნებს, პრინციპში ყოველთვის შეიძლება გადაიქცეს ნამდვილ (განმანთავისუფლებელ) საგანგებო მდგომარეობად, რომელშიც ცალკეულ ადამიანს შეუძლია დაეხსნას სახელმწიფოს ბატონობას. ამასთან, თავად ცალკეული ადამიანი წარმოადგენს ნიუანსს, რომელსაც შეუძლია, გვიჩვენოს ძირეული განსხვავება იმ გზით, თუ როგორ მოიქცევა სამართალშემოქმედებით ძალაუფლებასთან მიმართებაში და შეინარჩუნებს თუ არა თავის აზროვნებაში უნიკალურობის ნიშნებს. აგამბენისთვის განსხვავების ეს უნარია მნიშვნელოვანი. თუ გამონაკლისი მხოლოდ საგანგებო მდგომარეობაშიცაა შესაძლებელი, ცალკეული

⁵³ რის გამოც თეორიის ეს მიმართულებები ტიპურად არ მიეკუთვნებიან კონსტიტუციონალიზმს.

⁵⁴ აგამბენის პოლიტიკური თეორიის შესახებ, განსაკუთრებით სამართლის ამ დაუნერვლი ნაწილის შედეგების მაგალითზე Zu Agambens politischer Theorie, insbesondere anhand der Konsequenzen dieses unverfassten Rest des Rechts, vgl. Lembcke 2018.

⁵⁵ Giorgio Agamben (2002): Homo sacer. Die souveräne Macht und das nackte Leben. Übers. von Hubert Thüring. Frankfurt a.M., 25 ff., 81 ff.

⁵⁶ Giorgio Agamben (2004): Ausnahmezustand (Homo sacer II.1). Übers. von Ulrich Müller-Schöll. Frankfurt a.M.

ადამიანი ნამდვილ საგანგებო მდგომარეობაში ცხოვრობს. ის წარმოადგენს „დარჩენილ ნაწილს“, რომელიც არასდროს მთავრდება და როგორც დარჩენილი ნაწილი - როგორც მთლიანობაში ხალხი - ის ნამდვილი პოლიტიკური სუბიექტია.⁵⁷

4. საქმიანობის სფერო

განსხვავებების მიუხედავად, კონსტიტუციონალიზმთან ყველა მიდგომა უნდა გავიგოთ, როგორც რეაქცია ძირითად პრობლემაზე, რაც ხაზგასმულია დე მესტრის მცირეფორმატიან ნაშრომში *De la souveraineté du peuple* (1794), რომლის თანახმად, მართალია, ხალხი სუვერენულია, მაგრამ თავისი ძალაუფლების განხორციელება, როგორც სუვერენს არ შეუძლია.⁵⁸ თუ მაინც მოხერხდა თავისუფალი თვითგამორკვევა, არ შეიძლება პოლიტიკური ძალაუფლების თვითნებურად განხორციელება. ის სამართალთან უნდა იყოს დაკავშირებული და (*authority*) ლეგიტიმირებული. ესაა თომას ჰობსის მთავარი მოსაზრება. სამართალში ტრანსფორმაციის ამ პროცესთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი საკითხები და პრობლემები წარმოდგენილია სამ დონედ: კონსტიტუციის დონე (4.1), კანონმდებლობა (4.2) და სამართლის გამოყენება (4.3). ამ სამ დონეზე პოლიტიკის ისტორია ვალდებულია, დააკვირდეს სამართლისა და პოლიტიკის სფეროებს შორის კავშირის ემპირიულ პრობლემებს და თეორიულად გაარკვიოს მათი ნორმატიული მნიშვნელობა.

4.1 პოლიტიკური ნორმატიული წესრიგი

პოლიტიკური (ხალხის) სუვერენიტეტის საწყისი სტრუქტურის დემოკრატიულად (რომელიც კანონების წესებს იცავს) გარდაქმნის ამოცანა, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს კონსტიტუციონალიზმის საფუძველს. გარდა ამისა, უკვე ნათელი გახდა, რომ არსებითი განსხვავებები სხვადასხვა თანამედროვე ვარიანტებს შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი სისტემის სათავეებთან. კიდევ ერთხელ შევეხოთ მაგალითს (ქვეთავი 3.4): უნდა იყოს კი კონსტიტუცია დადგენილი იმგვარად, რომ “თითქოსდა” ხალხი სხვაგვარად ვერ შეთანხმდებოდა? თუ რეალურად უნდა არსებობდეს რაღაც ტიპის კონსენსუსი, რომლის საფუძველზე კონსტიტუციამ ჯერ ლეგიტიმურობა უნდა შეიძინოს? პირველი საკითხი წარმოშობს შეკითხვას, როგორ უნდა გაამართლო კეთილგონიერების ის ტიპი, რომელსაც ეყრდნობიან. თუმცა ამ ურთიერთობის უფრო მეტად პოლიტიკური ვერსია

⁵⁷ „ნაწილის“ კონცეფციის შესახებ Mechthild Hetzel (2007): *Jenseits von Mehrheit und Minderheit. Zur politischen Konzeption des Restes*. In: Janine Böckelmann und Frank Meier (Hrsg.): *Die gouvernementale Maschine. Zur politischen Theorie Giorgio Agambens*. Münster, 107-113. Zum Kontext der politischen Philosophie Agambens Oliver W. Lembcke (2009b): *Politische Theorie des nackten Lebens: Giorgio Agamben*. In: André Brodocz und Gary S. Schaal (Hrsg.): *Politische Theorien der Gegenwart*. Bd. 2. 3. Aufl. Opladen und Farmington Hills, 560-598.

⁵⁸ Joseph Marie de Maistre [1794]: *Étude sur la souveraineté. Livre Premier: Des Origines de la souveraineté*, chp. 1: *De la souveraineté du peuple* (Von der Souveränität. Ein Anti-Gesellschaftsvertrag. Übers. von Claudia Oestmann. Berlin 2000, 3).

პრობლემებს ეჭახება: თუ სტრუქტურა სამართალთან არაა დაკავშირებული, ე.ი. კეთილგონიერი პრინციპებით მოწესრიგებულ სამართლის წარმოდგენასთან, მაშინ რომელი წყაროებიდან მომდინარეობს ის? პარადიგმატულად ორი განსხვავებული პასუხი გვაქვს: ერთი შეეხება კულტურულ ერს, მეორე კი - ნებაყოფლობით ჩამოყალიბებულ ერს. კულტურული ერი ეფუძნება საერთო ენას, ისტორიის განსხვავებულ გაგებას, ან განათლების საერთო იდეალებს, როგორც, მაგალითად, „პოეტებისა და მოაზროვნეების“ გერმანია. მაშინ, როცა ასეთ კონცეფციებში ერი ესმით, როგორც პრეპოლიტიკური სტრუქტურა, ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული ერი წარმოადგენს განსაზღვრულად პოლიტიკური აქტის პროდუქტს, რომელიც თავის გამოხატულებას ჰპოვებს, მაგალითად, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, კონსტიტუციის მომზადების რევილუციურ აქტში.⁵⁹ ამ პარადიგმული ურთიერთდაპირისპირების ფონზე წარმოიშობა კონსტიტუციის თეორიის სამი პრობლემური საკითხი, რომლებშიც თანაბრად მონაწილეობენ სამართლის ფილოსოფია და პოლიტიკის თეორია:

- (i) არის კი ხალხის მმართველობა (სახალხო სუვერენიტეტი), საზოგადოებრივი ხელშეკრულების მოძღვრების მიხედვით, ნორმატიულად აღქმული ერთიანობის გამოხატულება, რომელსაც პოლიტიკური (რეგულაციური) ქმედება ყოველთვის უკავშირდება ან უნდა უკავშირდებოდეს? ან კიდევ, თუ აღნიშნავს სახალხო სუვერენიტეტი, ელიტათა თეორიის თვალსაზრისით, ისტორიულ სუბიექტს, რომელმაც განსაზღვრა გარკვეული ინტერესები, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო?
- (ii) ამ საკითხებთან მჭიდროდაა დაკავშირებული კითხვები ხალხის სტატუსთან დაკავშირებით: არის ხალხი სუვერენული პოლიტიკური ქმედების ფიქტიური თუ რეალური მატარებელი? არის ხალხი ნამდვილი თუ პოტენციური აქტორი? ან კიდევ, ხომ არ გვაქვს საქმე პოლიტიკური ქმედების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასასრულთან?
- (iii) და ბოლოს: უსწრებს კი წინ პოლიტიკური ერთობა კონსტიტუციის მომზადებას (მაგალითად, როგორც საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოება), თუ იგი წარმოიშვება პოლიტიკურ საზოგადოებად მხოლოდ კონსტიტუციური აქტის მიღების გზით?

ბოლო ასპექტთან დაკავშირებით თეორიული რეფლექსიის მნიშვნელობა უფრო მეტად რომ გავარკვიოთ: თუ თვალს შევავლებთ პოლიტიკური საზოგადოებების შესახებ (ერები, რეგიონები და ა.შ.) კვლევებს, ხელშესახებია ტენდენცია, რომლითაც, უპირველეს ყოვლისა, თვალსაჩინო ხდება ამ საზოგადოებების წარმოქმნისა და არსებობის შემთხვევითობა (პირობითობა). ერთობლივი ღირებულებები და პოზიციები „ბუნებრივად“ კი არ არის წარმოდგენილი, არამედ აღმოცენდება პოლიტიკურ პროცესში, როგორც

⁵⁹ Friedrich Meinecke (1922): *Weltbürgertum und Nationalstaat. Studien zur Genesis des deutschen Nationalstaates*. 6. Aufl. München.

საერთო წარმოდგენები,⁶⁰ რომლებიც სამართალთან ურთიერთობაში იღებს თავის საყოველთაოდ აუცილებელ სტატუსს. ეს თავის მხრივ ასაზრდოებს კონსტიტუციურ შეგნებას. კონსტიტუციები არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეყრდნობოდეს წინამორბედ პოლიტიკურ იდენტობებს. მოცემულ შემთხვევაში მათ შეუძლია თვითონ შექმნან პოლიტიკური იდენტობები. ამდენად, ისინი არა მარტო აღგენს საზღვრებს და იწვევს სტაბილიზაციას, არამედ მათ გააჩნია ასევე საზღვრების გადალახვისა და დინამიურობის ეფექტი. კონსტიტუციის შემთხვევითობა (პირობითობა) თავად ხვდება თვალთახედვის არეალში და ამასთან, ასევე პოლიტიკური საზოგადოების ამოცანაა, კონსტიტუციის ფარგლებში ახლიდან დაუსვას საკუთარ თავს შეკითხვები საკუთარი იდენტობის შესახებ.⁶¹ ამის მაგალითია ევროპული ინტეგრაციის პროექტი, როცა, ამასობაში, აშკარა ხდება მისი სირთულეები, იპოვოს მტკიცე პასუხი შეკითხვაზე, საერთოდ სად გადის ევროპის საზღვრები.

როცა საქმე პოლიტიკური სისტემის ამ ძირითად საკითხებს ეხება, სამართლის ეფექტურობა ისევე მალე იშრითება, როგორც სამართლის მეცნიერების ინფორმატიული შესაძლებლობა. ორივე ძალიან მოქნილია, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკური სისტემების ფარგლებში ცვლილებებთან მისადაგებას. თუმცა, რაც უფრო მეტადაა ცვლილებები პოლიტიკურ სისტემასთან (polity) დაკავშირებული, მით უფრო აშკარად იკვეთება სამართლის პოლიტიკური ხასიათი და სოციო-კულტურული ჩარჩო-პირობები, რომლებშიც ხორციელდება გადანყვეტილებები. ამ შემთხვევებში სამართლის მეცნიერებისათვის კარგი რჩევა იქნება, აწარმოოს დიალოგი პოლიტიკის თეორიასთან.

4.2 სამართალშემოქმედება სამართლისა და პოლიტიკის მეშვეობით

ეს დიალოგი უნდა გაგრძელდეს სამართალშემოქმედების დონეზეც. აქ შესწავლის საგანი ნაკლებადაა თავისუფლებასა და წესრიგს შორის ურთიერთკავშირის ლეგიტიმაციურ-თეორიულად პრინციპული საკითხები, არამედ სამართლის სოციალური ფუნქცია, რომელიც უმთავრესად საზოგადოებრივი მშვიდობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. როგორც თვითონ ფუნქციას, ისე სამართლის რეალურ შემოქმედებებს სამართლის მეცნიერების შიდა (კონფიდენციალური) პოზიციიდან ძნელად დავაკვირდებით და აღვწერთ, მაგრამ პოლიტიკის თეორიის გარე პოზიციიდან კი, ემპირიულ სოციალურ მეცნიერებებთან კავშირში, ეს შესაძლებელია. ამ გარე პოზიციიდან ხდება აშკარა, რომ სამართალი მნიშვნელოვნად აადვილებს პოლიტიკურ კომუნიკაციას, რომელშიც, ხშირად გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს ეხება საქმე: სამართლებრივი ფორმა ლეგიტიმურს ხდის და ზღუდავს პოლიტიკურ გადანყვეტილებებს და ამ გზით ხელს

⁶⁰ Benedict Anderson (1991): *Imagined Communities. Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. Überarb. und erw. Auflage. London.

⁶¹ Hans Lindahl (2007): *Constituent Power and Reflexive Identity: Towards an Ontology of Collective Selfhood*. In: Loughlin und Walker (Hrsg.): *Paradox of Constitutionalism*, 9-24.

უნყოფს მის აღიარებას. ეს პრინციპული ურთიერთკავშირი სამართლის გადმოსახედიდან იდეალურად ვლინდება პოლიტიკასთან მისი ურთიერთობის ოთხ ასპექტში.⁶²

(1) *სამართალი როგორც პოლიტიკის მიზანი*: დემოკრატიულ თვითშეგნებას მიეკუთვნება ის, რომ საზოგადოდ სავალდებულო გადანყვეტილებები წარმოიქმნება პლურალური პოლიტიკური ბრძოლის შედეგად. ამ ასპექტს, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს პოლიტიკის მაქს ვებერისეული განსაზღვრება, როგორც ლტოლვა ძალაუფლებისა და მისი შენარჩუნებისკენ. ვებერის თანახმად, სწორედ პოლიტიკაში მოქმედებს ის, რომ ძალაუფლება ნიშნავს შესაძლებლობას, განახორციელო საკუთარი ნება სხვა არაკეთილგანწყობილი ადამიანების საწინააღმდეგოდ.⁶³ მაგრამ საკუთარი ინტერესების ამგვარ განხორციელებას ყოველთვის თან სდევს საერთო ინტერესის შესრულების აუცილებლობა. კანონმორჩილების მოტივების საკითხი იდეათა ისტორიის ძველი თემიდან მომდინარეობს (მაგ. მაკიაველი, ჰობსი), დღეს იგი სოციალურ მეცნიერებაში ე.წ. *compliance studies* - შესაბამისობის კვლევის სახელით არის ცნობილი.⁶⁴ ეს კვლევები, როგორც წესი, ადასტურებს ძველი იდეის აქტუალობას, რომ მართლწესრიგის მუდმივობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად იზიარებს კონკრეტული სამართლის სისტემის მოქალაქე სამართლიანობის მოლოდინებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: როგორც ჩანს, წარმოდგენები სამართლიანობის შესახებ ისევეა პოლიტიკის ნაწილი, როგორც ბრძოლა ძალაუფლებისათვის. იმპლემენტაციის ფაზის გადალახვის შემდეგ, სწორედ ამ კუთხით ხდება დემოკრატიული სისტემა კრიზისებისკენ ნაკლებად მიდრეკილი ავტორიტარულ რეჟიმებთან შედარებით.⁶⁵

(2) *სამართალი როგორც პოლიტიკის პროდუქტი*: პოლიტიკის როლი სამართალთან მიმართებაში მომსახურე ფუნქციით შემოიფარგლება. ამასთან, სამართალმა უნდა უზრუნველჰყოს ადაპტაციური სერვისები, რომლებიც სამართლიანად აღქმულ წყობას დაიცავს სოციალური შედეგებისგან. თანამედროვე პოლიტიკური სისტემის მოთხოვნა არსებული ურთიერთობების შენარჩუნებაზე წინ მიდის. პოლიტიკა თავად ცდილობს მოახდინოს მათი რეფორმა სამართლიზირების ფორმით. მაშინ სამართალი

⁶² კატეგორიებისა და ურთიერთკავშირის დებულებებთან დაკავშირებით ფუნდამენტურია Dieter Grimm-ის სტატია (1969): Recht und Politik. In: Juristische Schulung 9 (11), 501-510, hier 501-505.

⁶³ Zum Politikbegriff Max Weber [1919]: Politik als Beruf. In: Ders.: Gesammelte politische Schriften. Hrsg. von Johannes Winckelmann. 5. Aufl. Tübingen 1988, 505-560, hier 506 f.; zur Machtdefinition ders. [1956]: Wirtschaft und Gesellschaft. Grundriß der verstehenden Soziologie. Hrsg. von Johannes Winckelmann. 5. Aufl. Tübingen 1980, 28.

⁶⁴ ეს მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ურთიერთობებში და ევროკავშირთან დაკავშირებულ კვლევებში თამაშობს განსაკუთრებულ როლს; siehe Dinah Shelton (Hrsg.) 2000: Commitment and Compliance. The Role of Non-Binding Norms in the International Legal System. Oxford; für eine Analyse von Fällen der non-compliance innerhalb der Europäischen Union sh. Tanja A. Börzel, Tobias Hofmann und Diana Panke (2012): Caving in or sitting it out? Longitudinal patterns of non-compliance in the European Union. In: Journal of European Public Policy 19(4), 454-471.

⁶⁵ Vgl. eine differenzierte Analyse bei Axel Hadenius und Jan Teorell (2007): Pathways from Authoritarianism. In: Journal of Democracy 18(1), 143-157.

წარმოადგენს პოლიტიკური ფორმირების ნების გამოხატულებას. ამით ის ხდება კამათის საგანი და პროდუქტი, რომელიც წარმოიშვება „უფლებისათვის ბრძოლაში“.⁶⁶

მითითება პოლიტიკურ დაპირისპირებაზე, რომელიც წინ უსწრებს კანონმდებლობას და თან ახლავს მას სხვადასხვა ინსტიტუციურ სტადიაში, მართებულია იმისათვის, რომ ორმაგად გავამძაფროთ ყურადღება პოლიტიკური პროცესის კომპლექსურობაზე: პირველ რიგში, მონაწილე მხარეებისთვის, მათი ინტერესების სფეროებისა და განსხვავებული პოლიტიკური სტილებისთვის (*arguing vs. Bargaining - პროტესტი ვაჭრობის წინააღმდეგ*);⁶⁷ ხოლო მეორე რიგში, სამართლის კომპრომისული ბუნებისთვის, რომელიც მონაწილე აქტორებს შორის (შესაძლოა, ასევე კოალიციურ პარტიებს შორის და მათ შიგნით) არსებულ (ზოგჯერ ძალზედ) საპირისპირო მოსაზრებათა გამო შეიძლება მხოლოდ ზედაპირულად დაიფაროს რიტორიკული ფორმულირებებით.⁶⁸

(3) *სამართალი როგორც პოლიტიკის ჩარჩო*: პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ლოგიკა იმაშიც ჩანს, რომ მოლაპარაკებების პროცესები მხოლოდ ნაწილობრივ ტარდება უკვე არსებულ პოლიტიკურ არენებზე. ზოგჯერ პოლიტიკური სივრცეები, მონაწილე მხარეების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, ახლიდან იქმნება, მაშინ, როცა არსებული ინსტიტუციები მნიშვნელობას კარგავენ. მაგალითად, თანამედროვე პარტიული დემოკრატიის პირობებში პარლამენტმა უკვე დიდი ხანია დაკარგა თავისი, როგორც გადაწყვეტილების მიღების ადგილის (*outsourcing*) მნიშვნელობა. თუმცა ეს დინამიკა პოლიტიკას არ უქმნის სამართლისგან თავისუფალ სივრცეს. უფრო მეტიც, სამართალი მოქნილად მოქმედებს პოლიტიკის გვერდით, კანონებით არეგულირებს რა წევრობასა და შიდა პროცედურებს. ვერც ერთი პოლიტიკა, რომელიც საზოგადოდ სავალდებულოდ უნდა განხორციელდეს, ვერ იტყვის უარს სამართლის ამ ფორმაზე. პოლიტიკური ორგანიზაციების სამართლებრივი ხასიათი ხელს უწყობს ნების ფორმირების შიდა სტრუქტურას, რომელიც ჰანა არენდტმა (მანამდე კი ჰეგელმა) შეიცნო, როგორც სივრცე, სადაც შესაძლებელია პოლიტიკური ქმედება.⁶⁹ თვითონ სამართლებრივი ორგანიზაცია განსხვავებულია, რადგან მასში შესაძლებელია საკუთარი გამოცდილებებისა და შედეგების არსებობა. მხოლოდ იმ სივრცეებში, რომლებიც მოითხოვენ საკუთარ *logic of appropriateness*⁷⁰-ს, პოლიტიკოსები წარმოადგენენ მეტს, ვიდრე „წმინდანყლის“ ინტერესების გამტარებლებს და ისინი უნდა ფლობდნენ

⁶⁶ Rudolf von Jhering [1872]: Der Kampf ums Recht. 8. Aufl. Frankfurt a.M. 2003.

⁶⁷ Zum Konzept und seinem Analysepotential siehe Jon Elster (1995): Consenting Adults or the Sorcerer's Apprentice? In: East European Constitutional Review 4(1), 36-41.

⁶⁸ პოლიტიკის ანალიზის კატეგორიებთან დაკავშირებით, რომელიც ცდილობს შეესაბამებოდეს პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებებს, იხილე Deborah Stone (2002): Policy Paradox. The Art of Political Decision Making. Revised edition. New York und London.

⁶⁹ Hannah Arendt ([1963]: On Revolution. London et al. 1991, 150-152) wendet sich damit gegen das herkömmliche Verständnis der Gewaltenteilung als Gewaltenkontrolle.

⁷⁰ James G. March und Johan P. Olson (2004): Logic of Appropriateness. Working Paper No. 9. Oslo. Online verfügbar unter: https://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-working-papers/2001-2010/2004/wp04_9.pdf, zuletzt abgerufen am 30.04.2019.

პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების უნარს. ინტელექტი და ექსპერტიზა გვეხმარება, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებენ პოლიტიკურ დაპირისპირებაში გამოცდილებასა და სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს.

(4) *სამართალი როგორც პოლიტიკის მასშტაბი*: საკონსტიტუციო სამართლისა და ჩვეულებრივი სამართლის (ქვეთავი: 2.2) განსხვავებიდან ვითარდება სამართალსა და პოლიტიკას შორის ფუნქციების გამიჯვნა, რომელსაც ორივე მხარისთვის აქვს დადებითი მომენტები: სამართლის მოქმედებისა და აღიარებისთვის გარდაუვალია განვითარების პროცესში გარკვეული სტაბილურობა. სამართალი, რომელიც ვერ ეგუება ცხოვრებისეულ პირობებს, „მკვდარ სამართლად“ იქცევა. თუ მას არა აქვს სტაბილურობა, მაშინ მოქალაქეებს ვერ შესთავაზებს იმ გარანტიას, რომელიც სამართლის არსებით ფუნქციებს მიეკუთვნება. გარდა ამისა, პოლიტიკასაც უმარტივდება საქმე, რადგან კომპლექსური პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესები არ ეფუძნება (უშუალოდ) პოლიტიკურ ჩარჩო-პირობებს.⁷¹ თითქმის სხვა არაფერი არ ხორციელდება პოლიტიკაში უფრო რთულად, ვიდრე ინსტიტუციური რეფორმები.⁷² ასე სჯობს, რადგან თამაშის წესების გამოგონება ყოველთვის ახლიდან არაა საჭირო. გარდა ამისა, პროცედურების ცნობილი და აღიარებული წესები პოლიტიკაში წაგებულებს უადვილებენ დამარცხების აღიარებას. ამის გარდა, კონსტიტუციის მიერ უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებების მეშვეობით დამარცხებული უმცირესობა დასჯულია ყოველთვის შესაძლო „უმრავლესობის ტირანიისგან“, რაზეც ერთ-ერთი პირველი დამაჯერებლად გვაფრთხილებდა ალექსის დე ტოკვილი.⁷³

4.3 წარმატებული სამართლებრივი პრაქტიკის წინაპირობები

სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებს მიეკუთვნება სამართალსა და პოლიტიკას შორის ბალანსი, რაც, ასევე ვლინდება როგორც კანონშემოქმედებაში, ისე სამართლის გამოყენებაში. ქვემოთ ეს მოთხოვნა კონკრეტიზირდება ორი თემატური სფეროს მაგალითზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული: პირველი ეყრდნობა სამართლის განმარტებაზე პოლიტიკური გავლენის საკითხს; ესაა პრობლემა, რომელიც თავის მნიშვნელობას ძალაუფლების გამიჯვნისა და, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლის საქმიანობის ფარგლებში სასამართლოების დამოუკიდებლობის მეშვეობით იძენს.

⁷¹ Ellen Immergut und Karen M. Anderson (2008): Historical Institutionalism and West European Politics. In: West European Politics 31(1-2), 345-369.

⁷² James G. March und Johan P. Olson (1996): Institutional Perspectives on Political Institutions. In: Governance 9(3), 247-264.

⁷³ Alexis de Tocqueville [1835]: De la démocratie en Amérique I, deuxième partie, chp. VII. (Über die Demokratie in Amerika. Beide Teile in einem Band. München 1987, 284-301).

მეორე თემის ირგვლივ კი, ყურადღება მახვილდება სამართლის პრაქტიკოსებზე. დაუბრუნდეთ კელზენ-შმიტის დებატებს: როგორც უკვე აღვნიშნეთ (ქვეთავი 3.2), ორივე პოზიციის არსებითი მსგავსება იმაშია, რომ ურთიერთობა ქმედებას, ძალაუფლებასა და პოლიტიკას შორის უნდა გავიგოთ, როგორც წარმოშობასთან დაკავშირებული ურთიერთობა: დეცისიონისტური გადანწყვეტილებები შმიტისთვისაც და კელზენისთვისაც ძალაუფლების გამოხატულებაა, რომელიც სტრუქტურულად პოლიტიკურ ასპექტს უკავშირდება. შმიტის მსგავსად, კელზენიც ხედავს სასამართლო პრაქტიკის პოლიტიკურ მომენტს. შმიტისგან განსხვავებით, კელზენისათვის ეს სტრუქტურა აღწერს სამართლებრივი სახელმწიფოს ყოველდღიურობას და არა საგანგებო მდგომარეობას; ყოველდღიური ცხოვრება, რომელსაც იცავს მოსამართლის „პროფესიული ეთიკა, რომელიც მას ნეიტრალობას ავალდებულებს“.⁷⁴ პროფესიული ეთიკის აღნიშვნასთან ერთად ჩნდება ცნება, რომელიც თვალსაჩინოს ხდის მოქმედების კელზენისეული განსაზღვრების სივნიროვეს: თუკი უმაღლესი თანამდებობის პირის მოქმედებას, მისი კომპეტენციებიდან გამომდინარე, რეალურად შეზღუდავდნენ, მაშინ საფრთხე დაემუქრებოდა კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივ წინაპირობებს, რადგან გადანწყვეტილებები დაკარგავდა ყველანაირ კავშირს ლიბერალურ წყობასთან. თვითონ მოსამართლის ნეიტრალური გარეგანი სახის მაგალითი თვალსაჩინოს ხდის, რომ პრაქტიკული მოქმედებისას სწრაფი დეცისიონისტური ცვლილებების გარდა, სხვა მომენტებიც თამაშობს როლს, რომლებსაც რაციონალურობის საკუთარი პოტენციალი გააჩნია.

(1) პრაქტიკული რაციონალურობის ხელმისაწვდომობის მისაღწევად აუცილებელია განსხვავება დეცისიონიზმის სხვადასხვა ფორმებს შორის. ეს პრინციპში გამომდინარეობს დეცისიონიზმის პრობლემის ძირითადი ფორმისაგან „Applikationsaporie“⁷⁵ (ზოგადი ნორმების კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების პარადოქსიდან). მოკლედ რომ ვთქვათ, ის აუცილებლად წარმოიქმნება, რადგან სამართალი თვითონ თავის თავს ვერ გამოიყენებს. მას სჭირდება გამომყენებელი. კელზენთან და შმიტთან ამ გარემოებიდან ვითარდება „გადანწყვეტილების მიმღების“ ძალაუფლება. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ნორმათა ამგვარი გამოყენების პარადოქსის შედეგები სამართლის რუხ ველში ძალაუფლების პრობლემად ვაქციოთ, ეს პარადოქსი შესაძლებლობას იძლევა, ნორმატიული განზრახვის თვალსაზრისით ინსტიტუცია ამოვიდეს პრაქტიკული კეთილგონიერების ვალდებულებიდან და ამგვარად განმარტოს და გამოიყენოს ნორმა (ქვეთავი 4.1).

უკვე ინსტიტუციების შექმნის ამ დასაბუთებაში მდგომარეობს რაციონალურობის გაზრდა, რომელიც მაშინ მარცხდება, როდესაც ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ დაუძლეველ წინააღმდეგობას, გააზრების გარეშე, შედეგად მოჰყვება სამართალსა და პოლიტიკას შორის განსხვავების მოშლა, რადგან პოლიტიკური დეცისიონიზმის ეს ფორმა

⁷⁴ Kelsen 1931 (Fn. 28), 45.

⁷⁵ Wolfgang Wieland (1989): Aporien der praktischen Vernunft. Frankfurt a.M., 13.

ნაკლებად თუ დააკმაყოფილებს სამართლებრივი სახელმწიფოს და მისი ინსტიტუციების შინაარსიან აღწერას. პოლიტიკური ინსტიტუციები სამართლებრივ სახელმწიფოში წარმოადგენს კონსტიტუციასთან დაკავშირებულ ინსტიტუციებს, რომელთა პოლიტიკური რაციონალურობა არ შემოიფარგლება მათი კონსტიტუციასთან სამართლებრივი კავშირით. ინსტიტუციების ფაქტობრივი ძალაუფლება რეგულირების არარსებობაში კი არ მდგომარეობს, არამედ კრეატიულობაშია, რომელიც მათ უნდა გამოიყენონ, რათა ხორცი შეასხან სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნას, რომელსაც სახელმწიფო უყენებს საკუთარ თავს. მ.შ. ამას მოჰყვება შედეგები იურიდიული მეთოდების მოძღვრებისთვის, რასაც აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით:

(i) ცნებებიდან, როგორებიცაა „გამოყენება“ და „სუბსუმცია“ ხშირად გამომდინარეობს სამართლის შესახებ არაპოლიტიკური წარმოდგენა. ამ შემთხვევაში სამართალი ესმით, როგორც ლოგიკური კონცეპტუალური განვითარება. მაგრამ ეს თვალსაზრისი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სამართალს და ის უფრო მეტად იდეოლოგიას წარმოადგენს, ვიდრე რეალობას. დემოკრატიული ნების ჩამოყალიბების პროცესს მიეკუთვნება არა მარტო მონაწილეების პლურალობა და მათი ინტერესების მრავალფეროვნება, არამედ, ასევე მრავალრიცხოვანი კომპრომისული მიდგომები, რომლებიც ბოჭკერ არა ფაქტობრივად, არამედ მხოლოდ რიტორიკულ ფორმულირებაში მოიძებნება (ქვეთავი: 4.2). ასეთი კანონების ნორმები იმდენად არა წმინდანწყლის ლოგიკის გამოხატულებაა, რომლებსაც უპრობლემოდ „გამოიყენებ“, არამედ საჭიროა მათი კონკრეტიზირება.⁷⁶

(ii) კონკრეტიზირების პროცესში ნორმათა მოტივებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ. საკანონმდებლო ჩანაფიქრების კონკრეტიზირების წინაპირობა „გამომყენებლის“, სწორედაც რომ მოსამართლის მხრიდან არა მარტო კრეატიულობას, არამედ, ასევე პოლიტიკის შესაბამისი სექტორის (Policy-Sektor) გაგებასაც მოითხოვს - ამ სფეროს განსაზღვრული კომპლექსურობის ზევით კი - ჩართული პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესის გაგებასაც.

(iii) სამართლის სოციალური ფუნქციის საფუძველზე, ასევე ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამართლის გამოყენების ზემოქმედებაზე, უპირველეს ყოვლისა, უკუზემოქმედებაზე მონაწილე (და დაინტერესებულ) პირებზე. პოლიტიკური აზროვნების ეს ტიპი განსაკუთრებით შეიმჩნევა მაღალი ინსტანციის სასამართლოებში, რომლებიც, როგორც წესი, მათი გადაწყვეტილებების მიღებამდე ინფორმაციას იძიებენ შესაძლო შედეგებზე და მათ კონსულტაციებისას ითვალისწინებენ.

(2) მოკლე მითითებები სამართლის გამოყენების მეთოდებთან დაკავშირებით თვალსაჩინოს ხდის, რომ სამართალსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა არა მხოლოდ თეორიულ გამოწვევას წარმოადგენს, არამედ ძალიან დიდი პრაქტიკული

⁷⁶ კონკრეტიზირების ეფექტურობა პრინციპების შემთხვევაში (მაგ. თანასწორობა), როგორც წესი მაღალია, მარტივი წესებისას („... არჩევნები ყოველ ოთხ წელში ტარდება), უმეტესწილად დაბალი. მაგრამ პირველმა მთაბეჭდილებამ შეიძლება შეგვაცდინოს: ომშიც ირჩევენ?

მნიშვნელობა გააჩნია. ინსტიტუციები და უწყებები განასახიერებენ სახელმწიფოს სინამდვილეს. იქ მაშინვე ირკვევა, რამდენადაა თავისუფალი სისტემა, რომელშიც ცხოვრობ და როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფო მართლწესრიგთან კავშირში. მისი თავისუფალი წყობა საჯარო ძალაუფლების ორგანიზაციაში მოითხოვს მოხელეებისა და დასაქმებულების სპეციფიურ „პოზიციას“, სამსახურეობრივ ეთიკას, რომელიც სამართლებრივად რთულად განსასაზღვრად და უფრო რთულად რეგულირებადი. აქ საქმე ეხება ინტელექტუალური და თვისებრივი უნარის კომბინაციას. როგორც მოქალაქეს ესაჭიროება სოლიდარობის გრძნობა, რომ იყოს მოქალაქე, ისე პოლიტიკური ლიდერის მიერ სამსახურეობრივი პოზიციის გაგება მნიშვნელოვანნილადაა დამოკიდებული კონსტიტუციის მისეულ გააზრებაზე, ე.ი. მის უნარზე, რომ თავისი სპეციფიური დავალებები კონსტიტუციის თვალსაზრისით გაიგოს, როგორც თავისუფალი წყობის გამოხატულება.

იმ ფაქტს, რომ ასეთი სამსახურეობრივი ეთიკის სამართლებრივად განსაზღვრა შეუძლებელია, თავისი საფუძვლები აქვს, თუ საიდან წარმოიშვება ეს ეთიკა. საქმე ეხება განათლებასა და იუმორს. ამ კონტექსტში განათლება, უპირველეს ყოვლისა, უბრალოდ ნიშნავს, რომ ცალკეული მაღალი თანამდებობის პირი სამსახურის მოთხოვნებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას „იქმნის“. აქ რომ სამართლებრივი კრიტერიუმებია გასათვალისწინებელი, მაგალითად, სამოხელეო სამართლის, ეჭვგარეშეა. ასევე უდავოა, რომ უმაღლესი თანამდებობის პირი სწორედ რომ სამსახურში რჩება როგორც თავისუფლად მოაზროვნე პიროვნება და ამის მეშვეობით შეუძლია ცალკეულ პირს სამსახურში შეიყნოს და განახორციელოს თავისი განსაკუთრებულობა საზოგადოებისათვის და ამით „განსაკუთრებული“ გზით ემსახუროს საყოველთაო კეთილდღეობას. ამდენად, განათლება ორმაგი პროცესია, რომელშიც ცალკეული ადამიანი სამსახურეობრივი ეთიკის მონაწილეა ისე, რომ თვითონ არ შეუძლია მასზე გავლენა მოახდინოს.

ასეთ სამსახურეობრივ ეთიკას ვერც ასწავლი და ვერც ისწავლი, თუმცა საკუთარი ცხოვრებით სხვას შეგიძლია მისცე მაგალითი. აქედან გამომდინარე, იგი განათლებაზე უფრო მნიშვნელოვანი მასწავლებელია. მას შეუძლია უზრუნველყოს სამსახურის წარმატებული ხელმძღვანელობისა და სამსახურის გონივრულ აღქმაზე შეხედულების მისაბაძი მაგალითები, შედეგად კი გადასცეს გამოცდილება სამსახურეობრივ ეთიკაზე წარმოდგენის შესახებ და წვლილი შეიტანოს სამსახურეობრივი ეთიკის „განათლებაში“. ეს გარემოება მნიშვნელოვანია უწყებებში ხალხის დასანიშნად, რაც საჯარო ძალაუფლების შემადგენელი ნაწილია. როგორც უწყება მოითხოვს მაღალი თანამდებობის პირისაგან პასუხისმგებლობას თავის გადანყვეტილებებზე, ის ისე მოითხოვს სამსახურში პერსონალის აყვანისას შესაბამისი კანდიდატების პასუხისმგებლობით შერჩევას. მანდატების შემთხვევაში სისწორე უნდა გამოვლინდეს დემოკრატიული არჩევნების აქტში. სხვა შემთხვევებში გადამწყვეტი უნდა იყოს ფაქტობრივი კრიტერიუმები. ამას მიეკუთვნება უნარიანობა და დარგობრივი მიღწევები, განათლებისა და სწავლების

შედგვი. სხვაგვარადაა საქმე პიროვნულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ის ეყრდნობა საქმის არსს, რომელიც სცილდება კომპეტენციის საზღვრებს და მიზნად ისახავს მასთან წარმატებულ ურთიერთობას. პრინციპში, ეს იუმორია, რომელიც გონებას, საქმის აზრიან აღქმას სიბრძნედ გადააქცევს.⁷⁷ კაცს უნდა ჰქონდეს იუმორი, მის გარეშე ყველაზე განათლებული ადამიანიც კი დარჩება თავისი პროფესიის გამოუსწორებელი ფანატიკოსი, საბოლოო ჯამში კი სულელი.

5. დაბალანსების გამონვევები

სამართალსა და პოლიტიკას შორის სტრუქტურული კავშირი არ უნდა გავიგოთ, როგორც კონსტიტუციის მომზადების ერთჯერადი აქტის შედეგი. უფრო მეტად, საქმე ეხება თავად ყოველდღიური დაბალანსების პროცესს პოლიტიკური ინსტიტუციების არენაზე, რომელსაც ესაჭიროება მონაწილე პირების პრაქტიკული სიბრძნე პოლიტიკისა და სამართლის დამახასიათებელ ლოგიკებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამდენად, დაბალანსების პროცესი ყველა რუტინულ საქმეში, რომელიც მას სტაბილიზაციას აძლევს, ძალიან ხშირად არასტაბილურია. დასასრულს, მივუთითებთ სამ ყველაზე დიდ ხელისშემშლელ გარემოებაზე:

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღიდან 21-ე მუხლით აღიარებული იყო საკუთრების ძირითადი უფლება, განსაზღვრული იყო მისი შეზღუდვისა და საკუთრების ჩამორთმევის წესი, ხოლო 46-ე მუხლი განსაზღვრავდა იმ ძირითად უფლებებს (მათ შორის საკუთრების უფლებას), რომელთა შეზღუდვა შესაძლებელი იყო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

კიდევ უფრო დიდი პრობლემა, რასაც კონსტიტუციის მოცემული დებულება (მ. 71, პ. 4, ნ. 2) შეიცავს, არის დაშვება იმისა, რომ თავად ძირითად უფლებათა მოქმედება შეიძლება „შეჩერდეს.“ ეს ტერმინი, როგორც გრამატიკულად, ისე სამართლებრივად, მოქმედი ნორმისათვის იურიდიული ძალის გაუქმებას გულისხმობს (თუნდაც ეს შეჩერება დროებითი იყოს), რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ძირითად უფლებათა არსს, რომლის მიხედვით ადამიანის ძირითადი უფლებები ბუნებითი უფლებებია, ისინი უშუალოდ მოქმედი, ობიექტური სამართალია და ეს უფლებები ადამიანს აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია. ზოგიერთ უფლებას (ღირსება, სიცოცხლის უფლება) ჯერ კიდევ დედის წიაღში გაჩენილი ნაყოფი ფლობს, სხვები კი დაბადებისთანავე წარმოიშობიან. შესაბამისად, ამ ე.წ. „წინარე სახელმწიფოებრივ“ უფლებებს ვერც სახელმწიფო და ვერც რაიმე სხვა სოციალური, ტერიტორიული წარმონაქმნი ვერ მიანიჭებს და, მითუმეტეს, ვერ ჩამოართმევს ადამიანს. პირიქით, თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს არსი სწორედ ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვაში მდგომარეობს. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუცია „წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებად“ აღიარებს ძირითად უფლებებს და აცხადებს, რომ ხელისუფლების განხორციელებისას არათუ სახელმწიფო, არამედ ხალხიც შეზღუდულია (შეზღუდულია) ამ უფლებებით (მ. 4, პ. 2).¹² დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოთა კონსტიტუციური წესრიგის საფუძველი სწორედ ძირითადი უფლებებია, განსახილველი დებულებით დადგენილი „შეჩერება“ კი ფაქტობრივად სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების ჩამოართმევას უტოლდება, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და, აქედან გამომდინარე, მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგს.

აღნიშნულთან ერთად, უნდა მივუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: საკონსტიტუციო სამართალში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძირითადი უფლებები შეიძლება მხოლოდ „შეიზღუდოს“. ამას ადასტურებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების უდიდესი უმრავლესობა. გამონაკლისია სულ რამდენიმე სახელმწიფო (მათ შორის პორტუგალია, ესპანეთი, უნგრეთი), რომელთა კონსტიტუციები შეიცავენ ტერმინს – „შეჩერება“, მაგრამ კონსტიტუციური სამართლის თეორიაში იქაც გაზიარებულია ძირითად უფლებათა შეზღუდვის კონცეფციის არსი – *დემოკრატიულმა და სამართლებრივმა სახელმწიფომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის პირობებშიც უნდა იმოქმედოს იმ კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში, რომლის საფუძველი ძირითადი უფლებებია.* დაუშვებელია სახელმწიფო გავიდეს აღნიშნული ფარგლებიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად მიიჩნიოს ძირითადი უფლებები და იმოქმედოს თვითნებურად, ყოველგვარი ბოჭვის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ. შესაბამისად, ამ კონცეფციიდან გამომდინარე, *ძირითადი უფლებები საგანგებო ან საომარ პირობებშიც მოქმე-*

¹² „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი“ – მ. 4, პ. 2, ნ. 1, 2.

დებენ და ბოჭავენ სახელმწიფოს, ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, ადამიანის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა განახორციელოს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლის მიღწევასაც იგი (ჩარევა) ემსახურება. მშვიდობიან პირობებში უფლებათა შეზღუდვის მოდელთან მიმართებით განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საგანგებო ან საომარი პირობების გამო სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა უფრო ინტენსიურად და ფართოდ ჩაერიოს ერთდროულად რამდენიმე (ასი, ათასი ან უფრო მეტი) ადამიანის კონკრეტული ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში.¹³ ამასთანავე, ჩარევის ინტენსიურობა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ადამიანთა რაოდენობით, არამედ რადიკალურობითაც, როცა, მაგალითად, კომენდანტის საათის დარღვევის გამო პოლიცია დააკავებს ადამიანს 72 საათის განმავლობაში, სასამართლოს ნებართვის გარეშე.¹⁴ დაახლოებით მსგავს დებულებას შეიცავს გერმანიის ძირითადი კანონი, რომელიც ადგენს, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პირის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 დღეს¹⁵ (მაშინ, როცა მშვიდობიან პირობებში პირი დაკავების დღიდან არაუგვიანეს მეორე დღისა უნდა წარედგინოს მოსამართლეს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების ან გათავისუფლების შესახებ).¹⁶

ზემოთ მოცემული ანალიზის შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო ან საომარ პირობებში ძირითად უფლებათა შეზღუდვის კონცეფცია, ერთი მხრივ, თავისი შინაარსით სამართლებრივად სრულად შეესაბამება ძირითადი უფლებების არსს, მეორე მხრივ კი ამ კონცეფციის ფარგლებში რეალურად სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ეფექტიანად იმოქმედოს და უზრუნველყოს კონსტიტუციური წესრიგი და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებით შემოტანილი სიახლე – ძირითად უფლებათა „შეჩერების“ მოდელი – საქართველოს კონსტიტუციური წესრიგისათვის მიუღებელია.

¹³ იხ. „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ: აუკრძალონ პირებს თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილსამყოფელის დატოვება სათანადო ნებართვის გარეშე (ქვპ. „დ“), აკრძალონ კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე სანახაობრივი, სპორტული და სხვა მასობრივი ღონისძიების მოწყობა (ქვპ. „ვ“), აკრძალონ გაფიცვები (ქვპ. „გ“), შემოიღონ კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობის განსაკუთრებული წესები (ქვპ. „პ“), შეზღუდონ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა და გასინჯონ ისინი (ქვპ. „ჟ“).

¹⁴ იხ. „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 7, პ. 2.

¹⁵ იხ. გერმანიის ძირითადი კანონი, მ. 115გ, პ. 2, ქვპ. 2, „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, ნაწილი III, გვ. 123, 2006; იხ. ასევე საფრანგეთის კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ (Loi^o2015-1501, www.senat.fr), რომელიც დასაშვებად მიიჩნევს სასამართლოს ნებართვის გარეშე შინაპატიმრობას და საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკას იმ პირთა მიმართ, რომელთა ქმედება საფრთხეს წარმოადგენს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ (მ. 4).

¹⁶ იხ. გერმანიის ძირითადი კანონი, მ. 104, პ. 3, „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, ნაწილი III, გვ. 113, 2006;

2. 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით შეიცვალა იმ მუხლის სტრუქტურა და ნაწილობრივ შინაარსი, რომლითაც აღიარებული იყო რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ეს ძირითადი უფლებები მე-16 მუხლშია მოცემული და შედგება სამი პუნქტისაგან. პირველი პუნქტი ამ თავისუფლებათა აღიარებას ახდენს, მე-2 პუნქტში რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შემზღვევის კონსტრუქციაა მოცემული, მე-3 პუნქტით კი აკრძალულია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე ადამიანის იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებებზე (შემდეგში: რწმენის თავისუფლება), მათ მნიშვნელობასა და მე-16 მუხლის იმ ხარვეზზე, რაც არსებით კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა სამართალში რწმენის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ძირითად უფლებად არის მიჩნეული. იგი აღიარებულია ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო დოკუმენტით და ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციით. რწმენის თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის ჩამოყალიბებისათვის, რადგან თითოეული პირის ღრმა შინაგან გრძნობებთან და განცდებთან დაკავშირებულ სფეროს იცავს, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველია. სწორედ ამ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც აღნიშნა, რომ „... რწმენის თავისუფლება, წარმოადგენს რა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს“.¹⁷ რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა, მისი არსის განსაკუთრებულობა იმაშიც გამოიხატება, რომ, განსხვავებით სხვა რამდენიმე ძირითადი უფლებებისაგან, დაუშვებელია მისი შემზღვევა საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, რასაც ითვალისწინებენ დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები და საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ განხილული 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

რწმენის თავისუფლება მოიცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ რწმენას. საკონსტიტუციო სასამართლოს *განმარტებით* „... რწმენა და შეხედულებები, რომელიც წარმოადგენს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველს, არ არის აუცილებელი იყოს რელიგიური ხასიათის“.¹⁸ რწმენის თავისუფლებით დაცულია ადამიანის შინაგანი თავისუფლება (*forum internum*) თავად ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს თავისი რელიგიური თუ არარელიგიური (ათეისტური) რწმენა სამყაროში ადამიანების არსებობის, უზენაეს ძალებთან (ღმერთთან) თავისი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე ადამიანის *გარეგანი თავისუფლება* (*forum externum*) აღასრულოს, საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს თავისი

¹⁷ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 22 დეკემბერი, 2011.

¹⁸ იხ. იქვე.

რწმენა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებანი.¹⁹ ამ განმარტებიდან გამომდინარე, რწმენის თავისუფლება იცავს ადამიანის უფლებას, იცხოვროს, იმოქმედოს და მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს თავისი რელიგიის (ან არარელიგიური, მსოფლმხედველობრივი შეხედულებების) წეს-ჩვეულებათა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. ამასთან ერთად, დაცულია ადამიანის რწმენის განხორციელების, გამოხატვის ისეთი საშუალებები, როგორცაა წირვა, ლოცვა, პროცესიები, ეკლესიური შეკრებები, რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები, სხვადასხვა საკულტო მოქმედებები, არარელიგიური, ათეისტური ზემოქმედებები და ა.შ.

რწმენის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეიზღუდოს კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი კონკრეტული საჯარო მნიშვნელობის სიკეთეთა დაცვის/უზრუნველყოფის მიზნით. სწორედ აქ იკვეთება ამ ძირითადი უფლების გამორჩეულობის კიდევ ერთი ნიშანი, კერძოდ ის, რომ დაუშვებელია რწმენის თავისუფლების პირველი ნაწილის – შინაგანი თავისუფლების შეზღუდვა. ადამიანის უფლებათა სამართალში რწმენის თავისუფლების ეს სპეციფიკურობა საყოველთაო სტანდარტია, იგი აღიარებულია მსოფლიოს სამეცნიერო წრეებისა და უზენაეს თუ საკონსტიტუციო სასამართლოთა მუდმივი პრაქტიკით. თუ კარგად დავეკვირდებით, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს – თითოეული ადამიანი პირადად აყალიბებს თავის შინაგან განწყობას და რწმენას, მხოლოდ მან იცის რატომ სწამს ასე და არა სხვაგვარად. ეს იმდენად ღრმა, ინტიმური, უზენაესი ძალებისა თუ ღმერთის მიმართ მისი შინაგანი დამოკიდებულებიდან გამომდინარე სფეროა, რომ შეუძლებელია არსებობდეს რაიმე საჯარო, ლეგიტიმური მიზანი, რომლის უზრუნველყოფისათვის დასაშვებია და გამართლებული იქნება სახელმწიფოს ჩარევა. ამდენად, *რწმენის შინაგანი თავისუფლება აბსოლუტურად დაცულია* და ნებისმიერი ჩარევა ამ სფეროში გაუმართლებელ შეზღუდვას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ რწმენის გარეგანი თავისუფლება, ანუ შინაგანი რწმენიდან გამომდინარე გადაწყვეტილებათა საჯარო აღსრულება, მათი გამოხატვა, განხორციელება (აღმსარებლობის თავისუფლება). რწმენის თავისუფლების ეს თავისებურება გარკვევით არის ასახული დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში (მაგალითად, ესტონეთის, პოლონეთის, ფინეთის, ნიდერლანდების, სერბეთის, სლოვაკეთის, ჩეხეთის კონსტიტუციებში), აგრეთვე ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორებიცაა გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ²⁰ (ტექსტში შემდგომ – საერთაშორისო პაქტი) და ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ²¹ (ტექსტში შემდგომ – ევროპული კონვენცია). საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის პირველი და ევროპული

¹⁹ იხ. აგრეთვე რწმენის თავისუფლების შინაარსის განმარტება საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში.

²⁰ მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს.

²¹ მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, ამოქმედდა 1953 წლის 3 სექტემბერს.

კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტებით აღიარებულია რელიგიის (რწმენის) თავისუფლება, ხოლო იმავე მუხლების მე-3 (საერთაშორისო პაქტი) და მე-2 პუნქტი (ევროპული კონვენცია) კი დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ რწმენის გარეგანი თავისუფლების შეზღუდვას: „რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება ...“.²² საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქცია იზიარებდა რწმენის თავისუფლების ამ შინაარსს და რწმენის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ მისი „გამოვლინების“ შემთხვევაში: „დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“ (მ. 19, პ. 3).²³

გემოთ მოცემული ანალიზის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-16 მუხლის შეფასებისას უნდა დავაკვირდეთ პირველი და მე-2 პუნქტების დებულებათა ურთიერთმიმართებას: პირველი პუნქტის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება“, მე-2 პუნქტით კი „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.²⁴ თავისთავად ეს დებულებები სამართლებრივად სრულიად გამართული და აზრობრივად ადვილად გასაგებია. დაახლოებით ასეთია ყველა სხვა ძირითადი უფლების შეზღუდვის მოდელი. შესაბამისად, რწმენის თავისუფლების შეზღუდვისას სახელმწიფო ვალდებულია, იმოქმედოს დემოკრატიული საზოგადოების აუცილებლობიდან გამომდინარე, მხოლოდ კანონით განსაზღვრული წესით და მხოლოდ მითითებული ლეგიტიმური მიზნებიდან თუნდაც ერთის დასაცავად/ უზრუნველსაყოფად. მაგრამ, მიუხედავად ამ დებულებათა ასეთი მწყობრი ურთიერთმიმართებისა,

²² “Freedom to manifest one’s religion or beliefs shall be subject only to such limitations ...”, საერთაშორისო პაქტი, მ. 18, პ. 3, ევროპული კონვენცია, მ. 9, პ. 2 (საყურადღებოა, რომ ამ დოკუმენტებში ნორმები განსახილველ უფლებათა შეზღუდვის შესახებ სიტყვასიტყვით ერთმანეთის მსგავსია).

²³ რწმენის თავისუფლების მსგავსი თავისებურება ახასიათებს ასევე შემოქმედების თავისუფლებას (იგივე ხელოვნების თავისუფლება), რომელიც აღიარებულია კონსტიტუციის მე-20 მუხლით (კონსტიტუციის ძველი რედაქციის 23-ე მუხლი). პირველი პუნქტით კონსტიტუცია აცხადებს, რომ შემოქმედებითი თავისუფლება უზრუნველყოფილია, ხოლო მე-2 პუნქტით იმპერატიულად კრძალავს შემოქმედებით პროცესში ჩარევას, ასევე დაუშვებლად მიიჩნევს შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურას. ამ დებულებებიდან გამომდინარე ცხადია, რომ შემოქმედებითი თავისუფლების არსებითი ნაწილი, რომელიც ავტორის შემოქმედებით იდევს, ფანტაზიებსა და წარმოდგენებს, ასევე მათი განხორციელების პროცესს ეხება, აბსოლუტურად დაცულია ჩარევისაგან. კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს შემოქმედებითი თავისუფლების მხოლოდ იმ ნაწილის შეზღუდვას, რასაც ჰქვია „შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება“, თანაც მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და მხოლოდ მაშინ, თუ „ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს“ (მ. 20, პ. 3).

²⁴ საინტერესოა, რომ კონსტიტუციის ძველი რედაქციით შეზღუდვა დასაშვებია იყო მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის მიზნით (მ. 19, პ. 3). მართალია დღეს მოქმედი რედაქცია აფართოებს რწმენის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს, თუმცა იგი არ ცდება ევროპული კონვენციის მიერ დადგენილ ფარგლებს – კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით შეზღუდვის მიზანი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

აშკარაა არსებითი ხარვეზი: მე-2 პუნქტიდან გამომდინარე სახელმწიფოს უფლება აქვს, შეზღუდოს აბსოლუტურად დაცული რწმენის შინაგანი თავისუფლება (forum internum). მოცემული დებულება შეზღუდვის ფარგლებში აქცევს მთლიანად რწმენის თავისუფლებას და არა მხოლოდ რწმენის გარეგან თავისუფლებას, რის შედეგადაც ამ თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს ადამიანზე „*იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური გემოქმედებით, დაშინებით, იძულებით*“ იმ მიზნით, რომ მან „*უარი თქვას კონკრეტულ რწმენაზე, შეიცვალოს ის (და გაიზიაროს რომელიმე სხვა რწმენა)*“.²⁵ ასეთი რამ ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია თუნდაც იმის გამო, რომ შეუძლებელია არსებობდეს მდგომარეობა, როცა, მაგალითად, „საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ ან „ჯანმრთელობის დაცვის“ მიზნით სახელმწიფო ვალდებული (ან მითუმეტეს უფლებამოსილი) იქნება, აიძულოს ადამიანი შეიცვალოს საკუთარი რწმენა. სახელმწიფოს ეს მოქმედება ვერასოდეს იქნება გამართლებული და ვერ ჩაითვლება რწმენის შინაგანი თავისუფლების არსის თანაზომიერ შეზღუდვად. ასეთი დაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება რწმენის თავისუფლების არსს, საერთაშორისო პაქტს (მ. 18, პ. 3) და ევროპულ კონვენციას (მ. 9, პ. 2), აგრეთვე ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. როგორც უკვე აღინიშნა, ეს საერთაშორისო დოკუმენტები და სასამართლოთა გადაწყვეტილებები რწმენის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ მისი „*გამოვლინების*“, „*გაცხადების*“ დროს, ე.ი. რწმენის შინაგანი თავისუფლებიდან გამომდინარე მოქმედებებისას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „*უხეში, გადამეტებული მოპყრობა, რომელიც იწვევს ადამიანის აზროვნების წესის შეცვლას, იწვევს ადამიანის სულიერ ტანჯვას.*“ აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა ასეთი ჩარევების აბსოლუტურ დაუშვებლობაზე და განაცხადა, რომ „*კონსტიტუციის მე-19 მუხლი*²⁶ „*ითვალისწინებს ადამიანის შინაგანი სფეროს, მისი შინაგანი სამყაროს აბსოლუტურ დაცვას...*“.²⁷ რაც შეეხება ევროპულ სასამართლოს, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება საქმეზე „*დარბი შვედეთის წინააღმდეგ*“, სადაც სასამართლომ რწმენის თავისუფლების forum internum-ში დაუშვებელ ჩარევად მიიჩნია შვედეთის კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც აიძულებდნენ მოსარჩელეს, გადაეხადა სპეციალური გადასახადი შვედეთის სახელმწიფო ეკლესიისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ მიეკუთვნებოდა ამ ეკლესიას.²⁸

ამდენად, კონსტიტუციის მე-16 მუხლის დებულებათა განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მუხლის მოქმედი რედაქცია კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით მიუღებელია, ეწინააღმდეგება რწმენის თავისუფლების არსს, რაც საკანონ-

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 22 დეკემბერი, 2011.

²⁶ კონსტიტუციის ძველი რედაქციით რწმენის თავისუფლება მე-19 მუხლით იყო აღიარებული.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 22 დეკემბერი, 2011.

²⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დარბი შვედეთის წინააღმდეგ“ (Darby v. Sweden), 24 სექტემბერი, 1990.

მდებლო ხელისუფლებისაგან დაუყოვნებელ მოქმედებას და კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას მოითხოვს.

3. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-15 მუხლით აღიარებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის, კომუნიკაციისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები. მუხლის პირველი პუნქტით პირადი და ოჯახური ცხოვრების, ხოლო მე-2 პუნქტით პირადი სივრცის, კომუნიკაციისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა არის გარანტირებული. ამ უფლებებსარსებითი მნიშვნელობა აქვთ თითოეული ადამიანის განვითარებისა და თვითრეალიზაციის თვალსაზრისით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „*პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ყველა სხვა უფლების მსგავსად, ადამიანის ღირსების გამოხატულებაა...*“, იგი „*სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის*“.²⁹ გარდა ამისა, პირველი პუნქტით აღიარებული პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება პირდაპირ კავშირშია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან (მ. 12), რომელიც გაცილებით ფართოა და მოიცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი ურთიერთობებისა და საქმიანობის სხვადასხვა, ერთმანეთისგან გარკვეული ნიშნებით გამოყოფილ სფეროებს. შინაარსობრივად ასეთი ყოვლისმომცველი ურთიერთკავშირის გამო საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლი (ძველი რედაქციის მე-20 მუხლი) „*არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს*“.³⁰ სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, რომ შეუძლებელია ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროს ზუსტი და ყოველმხრივი დეფინირება: „*სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია*“.³¹

მიუხედავად იმისა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანის სრულფასოვანი განვითარებისათვის („*პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების*

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 24 ოქტომბერი, 2012.

³⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, 10 ივნისი, 2009.

³¹ იხ. „ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ“ (Niemitz v. Germany), 16 დეკემბერი, 1992, „კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Costello-Roberts v. the United Kingdom), 25 მარტი, 1993; იხ ასევე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26 დეკემბერი, 2007.

კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს³²), იგი არ არის აბსოლუტური უფლება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და დასაშვებად მიიჩნევს მის შეზღუდვას, თუმცა იმავდროულად ადგენს შეზღუდვის მკაცრ წინაპირობებს: „ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“ (მ. 15, პ. 1, წ. 2). ამ პირობების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა (ძირითადი უფლების შეზღუდვა) შეიძლება განხორციელდეს (ა) მხოლოდ კანონის შესაბამისად და (ბ) მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. სამართლებრივად ეს დებულება გამართულად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული, თუმცა აშკარაა სერიოზული ხარვეზიც: იგი არ ითვალისწინებს დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევისათვის უკიდურესად აუცილებელ კიდევ ერთ წინაპირობას – სასამართლოს ნებართვას, ეს კი სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, მხოლოდ პოლიციისა თუ სხვა შესაბამისი უწყების გადაწყვეტილებით, სასამართლო კონტროლის გარეშე ჩაერიოს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრებით დაცულ სფეროში. ამ უფლების შეზღუდვის მოცემული კონსტრუქცია ქმნის ძალიან დიდ საფრთხეს იმისა, რომ სახელმწიფო გაცდეს ძირითადი უფლებით ბოჭვის ფარგლებს და იმოქმედოს თვითნებურად, რასაც ვეღარ შეათვასებს სასამართლო და შედეგად შეიძლება მივიღოთ სახელმწიფოს გაუმართლებელი მოქმედებები და შესაძლოა ძალადობაც კი ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროში. თუ რა მნიშვნელობა აქვს დაცულ სფეროში ჩარევისას სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც სახელმწიფოს მოქმედებების გამაკონტროლებელ კონსტიტუციურ მექანიზმს, გარკვევით და გასაგებად შეათვასა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც განაცხადა: „...უფლების შეზღუდვა მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა როგორც თავად უფლების დაცვის, ისე კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისათვის“.³³

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა. ამ პუნქტით აღიარებულია ადამიანის პირადი სივრცის, კომუნიკაციისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები, მათი შეზღუდვა კი დასაშვებად არის მიჩნეული იმ შემთხვევაში, როცა იგი ხორციელდება (ა) მხოლოდ კანონის შესაბამისად, (ბ) მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით და (გ) მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტი-

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე მაჭარაშვილი და დავით სართანია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, 10 ივნისი, 2009.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 26 დეკემბერი, 2007.

ლებით. მართალია აქვე მითითებულია, რომ შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც, „კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“, მაგრამ ამის შესახებ შეზღუდვიდან არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებაზე მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.³⁴ როგორც ვხედავთ, მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით აღიარებული ძირითადი უფლებების შეზღუდვის სტანდარტი სიტყვასიტყვით ერთმანეთის მსგავსია, ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვისას გათვალისწინებული არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება. რამ გამოიწვია ამ დებულებათა ასეთი წინააღმდეგობრიობა, გაუგებარია, რადგან შეუძლებელია გარკვევა იმისა, თუ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ეს ძირითადი უფლებები იმდენად ღრმად და პრინციპულად, რომ ერთ-ერთი მათგანის შეზღუდვისას არ არის აუცილებელი სახელმწიფოს მოქმედებებზე სასამართლო კონტროლი.

განსახილველ საკითხთან მიმართებით საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ეხება კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-20 მუხლს. კონსტიტუციის მიღების დღიდან პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები ამ მუხლით იყო აღიარებული. იგი ორი პუნქტისაგან შედგებოდა (დღეს მოქმედი მე-15 მუხლის მსგავსად) და პირველი მათგანი პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობისა და კომუნიკაციის უფლებებს მოიცავდა, მეორე კი საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებას. ორივე პუნქტში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.³⁵ შესაბამისად, მოცემულუფლებათა შეზღუდვისას სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიის აუცილებლობა, თავიდანვე იყო დადგენილი კონსტიტუციით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-15 მუხლის პრობლემატურობას.

³⁴ თავისთავად ეს დებულებაც ხარვეზიანია, რადგან წინადადება ამგვარად არის ჩამოყალიბებული: „გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.“ გამოდის, რომ სასამართლო ავტომატურად „ადასტურებს“ შეზღუდვის კანონიერებას. ჩანანერი იმდენად იმპერატიულია, რომ თეორიულადაც კი არ უშვებს შეზღუდვის არაკანონიერად განხორციელების შესაძლებლობას, უფრომეტყ, სასამართლო განხილვაც კი არ არის საჭირო, იგი მხოლოდ ფორმალურად უნდა დაეთანხმოს პოლიციას თუ სხვა უწყებას, რაც ამჟამად სამართლებრივი ლაფსუსია. ეს წინადადება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და აღინიშნოს, რომ სასამართლო იხილავს შეზღუდვის კანონიერებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

³⁵ „1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანანერი, მიმონერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.
2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთანების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“ – მ. 20 (კონსტიტუციის ძველი რედაქცია).

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს შეტანილი ცვლილებების ამოქმედებიდან სულ რამდენიმე თვე გავიდა, მათ შესწავლასა და გაანალიზებას კი მეტი დრო ჭირდება. საზოგადოება კარგად დაინახავს ამ ცვლილებათა შედეგებს დროთა განმავლობაში, კონსტიტუციის ახალი რედაქციის პრაქტიკული მოქმედების პარალელურად. თუმცა მანამდე, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება ქართველმა კონსტიტუციონალისტებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ცვლილებათა დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ. ამ სტატიაში წარმოდგენილი ანალიზი ცვლილებათა ერთ კონკრეტულ ნაწილს – ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დებულებების ახალ რედაქციას ეხება. კონსტიტუციის თითოეულ პრინციპს, ნორმასა თუ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისათვის, მაგრამ მათ შორის უმთავრესი მაინც ადამიანის უფლებებია. კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს კონსტიტუციის ამ ნაწილის როგორც შინაარსობრივად, ისე გრამატიკულად და რედაქციულად არაორაზროვნად და ნათლად ჩამოყალიბებას. ნებისმიერმა შეცდომამ ამ სფეროში შეიძლება დიდი პრობლემები შექმნას სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სტატიაში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა შესახებ კონკრეტული დებულებების ის ხარვეზები, რომლებიც ამჟამად და მათი აღმოფხვრა აუცილებელია, რადგან კონსტიტუციის თითოეული ხარვეზი კონსტიტუციონალიზმის პრობლემას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის ადამიანების თავისუფალ განვითარებას, კონსტიტუციური ორგანოების დემოკრატიულ ფუნქციონირებასა და მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგს.

Defects in the Constitution – Problems of Constitutionalism

Konstantin Kublashvili

Resume

The article below discusses a certain part of the adjustments to the Constitution of Georgia, amended in 2017, concerning the Fundamental Human Rights and Freedoms. The amendments became effective on December 16th, 2018 and affected almost all sections regulating human rights. Those sections that have been substantially changed are discussed with particular attention. After those alterations, certain wordings of articles regulating fundamental human rights have been established that create problems from the point of view of constitutional law.

The new edition of Article 16 of the Constitution of Georgia is considered to be a particularly problematic wording. With this wording the freedom of religion, conscience and belief is admitted though the text is formulated in a way that opens the door for restriction to not only so-called “external” freedom of religion (forum externum) but also to the invincible part of freedom of religion – “internal” freedom (forum internum). The author points out the threat read in this edition,

underlines the advantage of the previous edition (meanwhile, compares it with the section 8th of European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms) according to which the restrictions on these freedoms were possible only if their “manifestation” violates the rights of other humans.

The particular shortcoming is read in the new edition of Article 71 of the Constitution. Based on this article, during an emergency or martial situation, it is possible not only to limit, but also to “suspend” the action of specific articles of fundamental rights. Consequently, the state is granted the constitutional right to suspend, for example, effectiveness of sections regulating inviolability of personal space and communication (article 15, sub-section 2) and informative self-determination (article 18, sub-section 2). The aforementioned directly contradicts the essence of human rights, since natural rights and the last mentioned in itself are the basis for the annulment/invalidation of the constitutional and legal force of these norms.

Another drawback is connected with the subsection 1 of Article 15, which guarantees the rights of privacy and family life of people. As a result of the amendments, the standard for protecting these rights is significantly weakened, while their restriction without a court decision is possible. The restriction of these rights only on the basis of a judge’s decision is an essential guarantee of the protection of these rights. Therefore, the current edition of the subsection 1 of Article 15 poses a threat to arbitrary actions by the state and that cannot be verified and legally evaluated by court, which eventually, resulted in violating the privacy of humans by the state.

In conclusion, this article refers to the need to eliminate the aforementioned shortcomings by introducing appropriate amendments to the relevant provisions of the Constitution.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს კონსტიტუცია, იურისტის ბიბლიოთეკა, გამომცემელი: „ბონა კაუზა“, თბილისი, 2018;
- საქართველოს კონსტიტუცია, იურისტის ბიბლიოთეკა, გამომცემელი: „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ვებ-გვერდი: www.constcourt.ge, გადანაცვები და განჩინებათა საძიებო პროგრამა;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადანაცვები (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე), 1996-2016, თბილისი – ბათუმი;
- საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I-V, რედ. ვასილ გონაშვილი, თბილისი, 2004-2008;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მეთერთმეტე და მეოთხმეტე ოქმების დამატებებით, Council of Europe, Strasbourg, 2018;
- European Convention on Human Rights, as amended by Protocol No. 11; Council of Europe Treaty Series, No. 5, Strasbourg, 2016;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, ვებ-გვერდი: www.supremecourt.ge, „საერთაშორისო აქტების კატალოგი“;
- სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ელ. მისამართი: www.matsne.gov.ge;
- Sachs, Michael, GG, Grundgesetz Kommentar, 7. Auflage, G.H.Beck, 2014.

სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით

ბესიკ ლოლაძე

შესავალი. 1. სასამართლოს შეზღუდვა კანონით. 2. სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციით. 3. სასამართლოს შეზღუდვა ძირითადი უფლებებით. 4. სასამართლოს კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით შეზღუდვის უზრუნველყოფის მოქმედი მექანიზმი. 4.1. სასამართლო შემონგების უფლებამოსილება. 4.2. საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. 4.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილებების გავლენა საერთო სასამართლოების გადანწყვეტილებებზე. 5. საერთო სასამართლოების გადანწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივა. 5.1. საერთო სასამართლოების გადანწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის აუცილებლობა. 5.6. საერთო სასამართლოების გადანწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლო მოდელი. დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

საერთო სასამართლოებთან დაკავშირებით ბევრი მწვავე პრობლემა არსებობს. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა შემლახველი სასამართლო პრაქტიკის გამო სრული პასუხისმგებლობის კანონმდებელზე გადატანის მცდელობა. აშკარაა, რომ მოსამართლეთა საკმაოდ დიდი და გავლენიანი ჯგუფი სამართლებრივ სახელმწიფოს აღიქვამს არა თავისუფლების, არამედ კანონების სახელმწიფოდ და ირიბად მიგვანიშნებს, რომ მომავალშიც დაირღვევა ადამიანის უფლებები, თუ კანონი ამას „უბრძანებს“ მათ.

გემოაღნიშნული პოზიციის გავლენა ეტყობა მოსამართლეთა კორპუსს, რომელიც იშვიათად ინტერესდება კონკრეტულ საქმეებზე გამოსაყენებელი ნორმების კონსტიტუციურობით, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკით დასტურდება.¹ 1996-2017 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოში ჯამში 78 კონსტიტუციური წარდგინება შევიდა. 2000-2001 და 2005-2013 წლებში საერთო სასამართლოებს ერთი კონსტიტუციური წარდგინებაც არ შეუტანია. შედარებისათვის, გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში 2000-2001 წლებში შევიდა 53, ხოლო 2005-2013 წლებში კი – 307 წარდგინება.² აქედან გამომდინარე, ან ქართველმა სამართალშემოქმედმა მიაღწია სრულყოფილებას, ან სახეზეა კომპეტენციის ან/და კეთილსინდისიერების დეფიციტი საერთო სასამართლოებში. პირველი დაშვების აბსურდულობა გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მეორე შემთხვევაა სახეზე.

საერთო სასამართლოების სისტემა, რომელიც წლების განმავლობაში „ვერ აღმოაჩინს“

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996-2017 წლების სტატისტიკა, 1; იხ. <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/statistics>> [22.02.19].

² Jahresstatistik 2013, A. Statistik für das Geschäftsjahr 2013, I. Gesamtübersichten seit 1951, 4. Eingänge nach Verfahrensarten; იხ. <https://www.bundesverfassungsgericht.de/DE/Verfahren/Jahresstatistiken/2013/gb2013_pdf/A-I-4.pdf?__blob=publicationFile&v=2> [22.02.19].

არაკონსტიტუციურ ნორმას ინდივიდუალური თავისუფლებისათვის, საფრთხე უფროა, ვიდრე გარანტი. ამაზე მეტყველებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, საიდანაც ჩანს ქართული მართლმსაჯულების მონაწილეობა ძირითადი უფლებების დარღვევებში.

ქვემოთ შევეცდებით, მცირე წვლილი შევიტანოთ მოსამართლეებისათვის სწორი ორიენტაციების მიწოდებაში იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მათი პასიურობა ფორმალისტური მიდგომებითა და მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების არასწორი გაგებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებზე, როგორცაა მოსამართლის შემლუღვა კანონით, კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით, ასევე მათი განხორციელების არსებულსა და პერსპექტიულ მექანიზმებზე.

1. სასამართლოს შემლუღვა კანონით

სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის სასამართლოს კანონით შემლუღვის ზოგად საფუძველს ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელსაც მართებულად აქვს მიჩენილი ადგილი სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიძღვნილ მუხლში. კანონით შემლუღვის პრინციპი სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოს ცენტრალური ნომოკრატიული ელემენტია.³ გარდა ზოგადისა, კონსტიტუცია სასამართლოს კანონით შემლუღვის სპეციალურ დანაწესსაც შეიცავს.⁴ სასამართლოს კანონით ბოჭვას ითვალისწინებდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაც. 78-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, „სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“. 1995 წლის კონსტიტუციამ, ამ თვალსაზრისით, გააგრძელა ტრადიცია.

სასამართლოს კანონით შემლუღვას აქვს ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. ერთი მხრივ, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს კანონსაწინააღმდეგო აქტებისა და მოქმედებებისაგან, მეორე მხრივ კი – შეასრულოს კანონით დაკისრებული მოვალეობები.⁵ კანონით შემლუღვის პრინციპი ხელს უშლის სასამართლოს თვითნებურ მოქმედებას და მის შეჭრას საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენციაში.⁶

სასამართლო ერთდროულადაა კანონით შემლუღვის ადრესატი და მისი განხორციელების მთავარი ინსტიტუციური გარანტი. ის აკონტროლებს, რომ სამართლებრივი ურთიერ-

³ Sobota K., Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen, 1997, 490.

⁴ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁵ შეად. Detterbeck S., Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, Juristische Ausbildung, 4 (2002), 235 (235); Grzeszick B. (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz Th., Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, Rn. 145; Hofmann H. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, S. 646 ff., Rn. 70; Ossenbühl F., Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee J., Kirchhof P. (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2007, § 101, 183 (185 ff.); Sobota, 105.

⁶ Kunig Ph., Der Rechtsstaat, in: Badura P., Dreier H. (Hrsg.), Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen, 2001, 421 (437).

თობები, განსაკუთრებით კერძო პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, არ გასცდნენ კანონიერების ფარგლებს. ამასთანავე, კანონის დაცვა არა თვითმიზანი, არამედ საშუალებაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის დასაცავად.

კანონით შეზღუდვის პრინციპი მოსამართლისაგან მოითხოვს გადაწყვეტილებების დაფუძნებას კანონზე.⁷ იგულისხმება სამართლებრივი საფუძვლის არა მხოლოდ ფორმალური მითითება, არამედ მისი გამოყენების დასაბუთება. სწორედ აქ ჩანს ყველაზე ნათლად მოსამართლის პროფესიული შესაძლებლობები. შემოქმედებითად და გაბედულად მოაზროვნე მოსამართლე ხელს უწყობს სამართლის განვითარებას, მაგრამ ამავედროულად, ნორმის ინტერპრეტაცია არ უნდა გადაიზარდოს თვითნებობასა და კანონის იგნორირებაში. კანონით შეზღუდვის პრინციპი ფარგლებს უწესებს სამოსამართლო სამართალს.⁸ მსგავსი მიდგომა ასახულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. ის თვლის, რომ კანონის განმარტება, მისი შინაარსის დაზუსტება და განვითარება საერთო სასამართლოების პრეროგატივაა. ამავედროულად, ამ პროცესში მოსამართლეები უნდა დარჩნენ კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში, განსაკუთრებით ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.⁹

კანონით შეზღუდვა არ ნიშნავს მოსამართლის მიერ მის ბრმა გაზიარებას. ის ვალდებულია, რომ კარგად შეამოწმოს საქმეზე გამოსაყენებელი ნორმა. მოსამართლემ კანონი უნდა განმარტოს კონსტიტუციის შესაბამისად, გამოიყენოს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების სფეროში. თუ ნორმა აღნიშნული ნაბიჯების გადადგმის საშუალებას ობიექტურად არ იძლევა, მოსამართლემ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით.

2. სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციით

ქართული სამართლებრივი სისტემა იერარქიულ პრინციპს ეფუძნება და მის სათავეში კონსტიტუციაა მოქცეული, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი.¹⁰ კონსტიტუცია საჭიროებს უპირატეს იურიდიულ ძალას სხვა სამართლებრივ აქტებთან მიმართებით,¹¹ რაც

⁷ Heyde W., Rechtsprechung, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin, New York, 1995, 1579 (1627); Sachs M. (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2011, S. 787 ff., Rn. 119.

⁸ Badura P., Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München, 2010, 386; Grzeszick, Rn. 148; Hermes G., Bericht, in: Alexy R., Kunig, P., Heun W., Hermes G., Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, Berlin, New York, 2002, 119 (152); BVerfGE 69, 315 (371 f.).

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნცებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹¹ Hesse K., Verfassung und Verfassungsrecht, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin, New York, 1995, 3 (8).

მისი მოთხოვნების შესრულების საშუალებაა. ამავდროულად, კონსტიტუციას მხოლოდ უმაღლესი იურიდიული ძალა არ გამოარჩევს, არამედ მისი შინაარსობრივი მხარე და ღირებულებათა სისტემა. კონსტიტუციით შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, ამ ღირებულებებით ბოჭვას გულისხმობს.

კანონით შეზღუდვის მსგავსად, სასამართლოს კონსტიტუციით ბოჭვის ზოგადი საფუძველი კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტია, ხოლო სპეციალური კი – 63-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.“ ერთი მხრივ, მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპისა და მეორე მხრივ, კონსტიტუციითა და კანონით შეზღუდვის პრინციპების ერთ ნორმაში მოქცევა შემთხვევითი არ არის. კონსტიტუცია ადგენს სამოსამართლო საქმიანობის საფუძველსა და ფარგლებს. ის არა მხოლოდ ლეგალურ ჩარჩოებშია მოქცეული, არამედ დაცულია ამ ფარგლების გარედან მომდინარე ჩარევებისაგან.¹²

კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპები ასახული იყო 1921 წლის კონსტიტუციაში. მე-8 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, კონსტიტუცია გამოცხადდა სახელმწიფოს უზენაეს კანონად. იკრძალებოდა არაკონსტიტუციური კანონის, დეკრეტის, ბრძანების ან განკარგულების გამოქვეყნება. არაკონსტიტუციურობის ქვეშ მოიაზრებოდა არა მხოლოდ კონსტიტუციის დებულებებთან ანუ ნორმებთან, არამედ კონსტიტუციის დედააზრთან ანუ პრინციპებთან შეუსაბამობა. მე-8 მუხლის მე-2 აბზაცი პირდაპირ მიუთითებდა კონსტიტუციის შესრულებისა და მისი პრინციპების განხორციელების ვალდებულებაზე. ერთი შეხედვით, კონსტიტუციით ბოჭვის ადრესატები საკანონმდებლო („კანონმდებლობა“) და აღმასრულებელი („მართვა-გამგეობა“) ხელისუფლებები იყო. თუ ნორმას განვმარტავთ არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინში „სახელმწიფოს ყოველი ხელსუფლება“ სასამართლო ხელისუფლებაც იგულისხმებოდა. 1921 წლის კონსტიტუციას, იმ პერიოდის კონსტიტუციების უმრავლესობის მსგავსად, ჰქონდა კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპების ინსტიტუციური უზრუნველყოფის პრობლემა – არ არსებობდა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი.

კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებით ელემენტად ითვლება.¹³ ის მოითხოვს არა მხოლოდ კონსტიტუციის კონკრეტული ნორმების, არამედ მისი ფუნდამენტური პრინციპების დაცვასა და პატივისცემას.¹⁴ კონსტიტუციის ნორმებსა და პრინციპებს ერთიან კონტექსტში განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

¹² შეად. Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Postdam, 2014, 388.

¹³ Sobota, 476.

¹⁴ შეად. Badura, 374.

თლოც.¹⁵ ეს გარემოება მოსამართლისაგან მოითხოვს მაღალ სამართლებრივ კულტურასა და კვალიფიკაციას კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპის მოთხოვნების შესრულებისათვის.

3. სასამართლოს შეზღუდვა ძირითადი უფლებებით

სასამართლოს შეზღუდვა ძირითადი უფლებებით ორგანულადაა დაკავშირებული კონსტიტუციით შეზღუდვის პრინციპთან, რადგანაც ადამიანი დემოკრატიული და თავისუფალი კონსტიტუციური წესრიგის ცენტრალური ფიგურაა, ხოლო მისი უფლებები კი – კონსტიტუციის განუყოფელი და უმთავრესი ნაწილი. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში. ის გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის სასამართლოს, შეზღუდვას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუციების მსგავსი ჩანაწერები ძირითად უფლებებს ანიჭებს ნორმატიულ, სავალდებულო ძალას.¹⁶ ისინი სახელმწიფოზე შემოქმედებს უშუალოდ და არა კანონმდებლის მიერ შექმნილი სამართლის მეშვეობით.¹⁷

ძირითადი უფლებები სახელმწიფოს ზღუდავს არა მხოლოდ როგორც სუბიექტური უფლებები, არამედ როგორც ობიექტური კონსტიტუციური ღირებულებები და თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივსახელმწიფოებრივი კონსტიტუციური წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტები.¹⁸ ძირითადი უფლებების ამ ორმაგ ფუნქციაზე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც.¹⁹

სასამართლო ხელისუფლების ძირითადი უფლებებით შეზღუდვას თავისებურებები

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-3.

¹⁶ Höfling W. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Sachs M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2011, 75ff., Rn. 80; Starck Ch., Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt H. v., Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München, 2010, 25 ff., Rn. 167.

¹⁷ Herdegen M. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz Th., Dürig G., (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958, Rn. 1; Kunig Ph. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Münch I. v. (Begr.), Kunig Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, 56 ff., Rn. 50; Stern K., Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band III – Allgemeine Lehren der Grundrechte, Halbband 1 – Grundlagen und Geschichte, nationaler und internationaler Grundrechtskonstitutionalismus, juristische Bedeutung der Grundrechte, Grundrechtsberechtigte, Grundrechtsverpflichtete, München, 1988, 1195.

¹⁸ Hesse K., Bedeutung der Grundrechte, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin, New York, 1995, 127 (134); Stern K., Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern K., Siekmann H. (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln, Berlin, Bonn, München, 1992, 1036 (1057); Stern K., Grundgesetz in Gefahr? – Verfassungsprobleme nach 25 Jahren Bundesrepublik Deutschland, in: Stern K., Siekmann H. (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln, Berlin, Bonn, München, 1992, 38 (42).

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონფელტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.

ახასიათებს.²⁰ სასამართლო აკონტროლებს ხელისუფლების სხვა შტოებს, თუ რამდენად იცავენ ისინი ძირითად უფლებებს. ამის გარეშე ძირითადი უფლებებით შეზღუდვა მხოლოდ პროგრამული დანაწესი იქნებოდა.²¹ ამასთანავე, სასამართლო თავადაც იზღუდება.²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ საერთო სასამართლო არ უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ნორმების ისეთი ინტერპრეტაცია, რითაც დავის ერთ მხარეს უპირატესობა მიენიჭება მეორე მხარის კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვისა და მისი კანონიერი ინტერესების სრული იგნორირების ხარჯზე.²³ სასამართლოს არა მხოლოდ აწონ-დანონვა და ბალანსის დაცვა ევალება, არამედ მან უნდა გათვალისწინოს ის პოტენციური ზიანი, რომელიც გადაწყვეტილებით შეიძლება მიადგეს რომელიმე ძირითადი უფლების რეალიზებას.²⁴ როგორც ვხედავთ, საერთო სასამართლოების ვალდებულებაა ნორმათა კონსტიტუციური უფლებების შესაბამისი განმარტება. ამ დროს ხდება კანონმდებლობის ერთგვარი გაჯერება ძირითადი უფლებების შინაარსით.²⁵

საერთო სასამართლოებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, როდესაც ძირითადი უფლებების შეზღუდვა ხორციელდება უშუალოდ მათ მიერ, კონსტიტუციით გათვალისწინებული ე.წ. სასამართლო დათქმების საფუძველზე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარ დათქმებში მართლმსაჯულების ორმაგ ფუნქციას ხედავს. საერთო სასამართლო ამ დროს გვევლინება ძირითადი უფლების არა მხოლოდ შემზღუდველად, არამედ იმის გარანტადაც, რომ შეზღუდვა არ იყოს თვითნებური და არაკონსტიტუციური.²⁶ ძირითად უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასება და მათი შეზღუდვა ნეიტრალური ორგანოს მიერ ხორციელდება, რაც ამცირებს თვითნებობის რისკს სახელმწიფო ხელისუფლების ან სხვა სუბიექტების მხრიდან²⁷ და კანონის სწორი გამოყენების გარანტიაა.²⁸ სამწუხაროდ,

²⁰ დაწვრილებით იხ.: Loladze, 306 ff.

²¹ Stern, Staatsrecht III/1, 1208.

²² Höfling W., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, in: Juristische Arbeitsblätter, 1995, 431 (436); Höfling, in: Sachs, GG, Art. 1, Rn. 105; Kunig, in: von Münch/Kunig, GG, Art. 1, Rn. 62; Schnapp F. E., Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, Juristische Schulung, 1 (1989), 1 (6).

²³ №1/5/675,681, II-46,82.

²⁴ იქვე, II-61.

²⁵ მაგალითად იხ. Dreier H. (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG (Grundrechtsbindung), in: Dreier H. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, Band 1, 2. Auflage, Tübingen, 2004, 246 ff., Rn. 85.

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-205.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მექანიზმი იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად ართმევს თავს საერთო სასამართლო ამ ძალიან მნიშვნელოვან ამოცანას.

4. სასამართლოს კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით შეზღუდვის უზრუნველყოფის მოქმედი მექანიზმი

4.1. სასამართლო შემოწმების უფლებამოსილება

პროცესში კოლეგიალური ორგანოს მონაწილეობის შესაძლებლობა და იდეა თითქმის იმავე ეპოქაში გაჩნდა, როცა აღნიშნული იდეა პარლამენტარიზმის სამშობლოდ მიჩნეულ ინგლისში ყალიბდებოდა (ფაქტების ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით კი რამდენიმე წლით უსწრებდა კიდევ). საკითხი შეეხება მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მეფობის ხანაში ყუთლუ-არსლანის დასის ცნობილ გამოსვლას. აღნიშნული ჯგუფის მიზანს არა მეფის ხელისუფლების ცვლილება ან რაიმე ფორმით მისი დამხობა, არამედ იმგვარი ორგანოს ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად მეფესთან ერთად კოლეგიალური ორგანოს (ე.წ. „კარვის“) ფორმირებას გულისხმობდა და რომლის მიხედვით, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მეფეს მხოლოდ დარბაზის „თანადგომითა და ერთიანობით“ უნდა გადაეწყვიტა, ხოლო კარავში დასხდომილნი ყოველნი თავიანთ „განგებულს“ – მეფეს „ჰკადრებდნენ“. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „ამგვარად, ცხადია, რომ საქართველოში თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და მის მაგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო, რომელშიაც „დიდებულები“ იქმნებოდნენ „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“.¹⁷

თუმცა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა წარუმატებლად დასრულდა და აღნიშნულმა იდეამ იმ პერიოდის საქართველოში რეალური განხორციელება ვერ ჰპოვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც ჩანს, მსგავს გამოსვლას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია და აღნიშნული პროცესის შემდეგ თამარ მეფის მიერ განხორციელებულ მაღალი თანამდებობის პირთა დანიშვნის დოკუმენტებს ისეთი გამონათქვამები ახლავს, რაც მანამდე არ ფიქსირდებოდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „ყუთლუ-არსლანი დამარცხდა, მაგრამ რომ მის ცდას მაინც სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ეს იქითგანაც ცხადადა ჩანს, თუ როგორ უმოქმედია თამარ მეფეს ახალი ვაზირების დანიშვნის დროს. ყუთლუ-არსლანის დასის დაშოშმინების შემდეგ თამარი გადაყენებული ვაზირების მოადგილეთა არჩევას შეუდგა და ისტორიკოსის სიტყვით „გამოჩენასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა თანადგომითა და ერთ-ნებობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა ბრძანა დამტკიცებად... მამასადამე, ახალი ვაზირები და სპასპეტნი, მეფის მიერ დამტკიცებულნი, არჩეული ყოფილან ყველა დიდებულთა დახმარებით, სურვილისა და ნებისამებრ, ხოლო მეფემ „ბრძანა დამტკიცებად“ ამ ერთ-ნებაობისა“.¹⁸ ქართველი მეცნიერის ჯ. სამუშიას შეფასებით კი „ერთი რამ ფაქტია, – მოგვიანებით, სამეფო კარზე მეფის ვიწრო სათათბირო საბჭოს გარდა, არაერთხელ შეკრებილა ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად წარმომადგენლობითი სახით მინისტრები, პროვინციებიდან წარჩინებულები, ეპისკოპოსები, მონასტერთა წარმომადგენლები. ასეთ წარმომადგენლობით შეკრებებს ქართული წყაროები დარბაზობად იხსენიებს“.¹⁹

¹⁷ იხ. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, მე-2 ტომი, თბ. 2012 წ., გვ. 240.

¹⁸ იქვ. გვ. 241-242.

¹⁹ იხ. ჯაბა სამუშია, ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყუთლუ-არსლანი), კრებულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X, თბ. 2016 წ., გვ. 221;

პარლამენტარიზმის, როგორც ხელისუფლების ორგანიზაციის სისტემის, რეალური დამკვიდრება საქართველოში 1918-1921 წლებში არსებული პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფორმირებას უკავშირდება. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, როგორც რესპუბლიკანიზმზე დაფუძნებული ქვეყნის, ფორმირების პროცესში ქართული პოლიტიკური და სამეცნიერო აზრი სწორედ პარლამენტარიზმის დოქტრინის დამკვიდრებას უწყობდა ხელს, რომელმაც ფაქტობრივად უზრუნველყო კიდევ დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ორგანიზაცია და საფუძველი დაუდო პირველი ქართული კონსტიტუციის კონცეპტუალურ ასპექტებს. აღნიშნული მსოფლმხედველობის შემდგომი რეალიზაცია კი ქვეყანაში საბჭოური მმართველობის დასასრულსა და 1991 წლიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს უკავშირდება.

ისტორიის სწორედ ზემოაღნიშნულ პერიოდებში იქნა მიღებული ის კონსტიტუციური აქტები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება, თვალის მივადევნოთ საქართველოში პარლამენტარიზმის ჩამოყალიბება-განვითარების ტენდენციებს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია და საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (კონსტიტუციის როგორც თავდაპირველი რედაქცია, ისე მასში მომდევნო პერიოდში შეტანილი ცვლილებები). ასევე აღსანიშნავია 1992 წლის 6 ნოემბრის „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელსაც ხშირად „მცირე კონსტიტუციასაც“ უწოდებენ²⁰ და რომელიც იმ პერიოდისათვის კონსტიტუციის გარეშე დარჩენილი ქვეყნისათვის კონსტიტუციის ფუნქციას ასრულებდა (როგორც ქართველი მეცნიერი – პ. ცნობილაძე შენიშნავს, „კანონის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ იგი წარმოადგენდა კონსტიტუციური ხასიათის აქტს“²¹). კონსტიტუციური რეგულირების თვალსაზრისით, აღნიშნული აქტის არასრულყოფილებისა (იგი არ შეიცავდა კონსტიტუციის მიხედვით დასარეგულირებელ ბევრ საკითხს) და მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულმა აქტმა მნიშვნელოვანი, თავისებური და სპეციფიკური როლი შეასრულა საქართველოში პარლამენტარიზმის იდეის განვითარების საქმეში, შემოგვთავაზა საპარლამენტო სისტემაზე დაფუძნებული მართვისა და ხელისუფლების მოწყობის საკმაოდ ორიგინალური მოდელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული კანონის საფუძველზე მომუშავე პარლამენტმა, მიუხედავად მისი ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობისა,²² შეძლო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა და საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღება, რითაც საფუძველი ჩაუყარა კონსტიტუციონალიზმის განვითარების ახალ ეტაპს საქართველოში.

²⁰ იხ. მაგ., პაატა ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2004 წ. გვ. 128.

²¹ იქვე. გვ. 129.

²² იხ. ზაურ ჯინჯოლავა, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბ. 1993 წ., გვ. 9.

4. მონოპოლია დემოკრატიაზე თუ შეზღუდული წარმომადგენლობა

პარლამენტარიზმის ერთ-ერთი მახასიათებელი, რამაც ხელისუფლების ორგანიზაციის აღნიშნული იდეის განვითარებასა და მის ინსტიტუციონალიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, წარმომადგენლობა და ხალხის ძალაუფლების წარმომადგენლების მიერ განხორციელების პრინციპი იყო. მართალია, პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა მხოლოდ მსგავსი რეჟიმისათვის არ არის დამახასიათებელი და როგორც, ფილიპ ლოვო შენიშნავს, „ყველა წარმომადგენლობითი რეჟიმი ამ ინსტიტუტიდან განვითარდა“, თუმცა იმ სისტემაში, რომელიც საზოგადოების (მათ შორის, პოლიტიკური სპექტრის) მრავალმხრივი ინტერესების დაბალანსებას, კოლექტიური წესით მმართველობის განხორციელებას, მთავრობის ანგარიშვალდებული სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა, წარმომადგენლობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ელექტორატის წინაშე მთავრობის არაპირდაპირი ანგარიშვალდებულების განსახიერებად იქცა.²³ როგორც ი. ჰაჩევი აღნიშნავს, „ყოველი დემოკრატია ბუნებრივად ისწრაფვის თავისი უმაღლესი ორგანოები ხალხის წინაშე პასუხისმგებელი გახადოს. გასაგებია, რომ აღმასრულებელ ორგანოებს არ შეუძლია ამ ტენდენციას გაეცინენ“.²⁴ მკვლევართა მოსაზრებით, სწორედ ხალხის წარმომადგენლობის (ხალხის ძალაუფლების განსახიერების) ფუნქცია იყო ის უპირატესობა, რამაც პარლამენტს წამყვანი როლი მოაპოვებინა მთავრობის დაკომპლექტებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების საქმეში. როგორც რ. კენტ ვივერი შენიშნავს, „საპარლამენტო სისტემის მხარდამჭერნი მის ღირსებად თვლიან სისტემის წარმომადგენლობითობას და ანგარიშვალდებულებას ამომრჩევლის წინაშე“.²⁵

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის წარმომადგენლობის უფლების პარლამენტისათვის გადაცემა და შესაბამისად, მსგავსი წარმომადგენლობითი ინსტიტუტი, აზრთა სხვადასხვაობას ინვევდა, იგი ხალხის ძალაუფლების პირდაპირი წესით (პირდაპირი დემოკრატის) განხორციელებისა და სახალხო სუვერენიტეტის იდეის მეტოქედ მოიაზრებოდა. დისკუსიას ინვევდა ხალხის ძალაუფლების დელეგირების როგორც მართებულობა, ისე წარმომადგენლების მიერ ხალხის რეალური ნების გამოხატვის შესაძლებლობის საკითხი. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს ჰანს კელზენი, რომლის მიხედვით „იმ არგუმენტებს შორის, რომელიც პარლამენტარიზმის მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ, უპირველესია ის, რომ პარლამენტის ნება სრულიადაც არ წარმოადგენს

²³ იხ. დუგლას ვ. ვერნი, საპარლამენტო მმართველობა და საპრეზიდენტო მმართველობა, კრებულში: რესპუბლიკა : საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ., გვ. 123.

²⁴ იხ. ი. ჰაჩევი, თანამედროვე დემოკრატის უფლება, ზ. კორძაძის გამომცემლობა, თბ. 2016 წ., გვ. 87.

²⁵ იხ. რ. კენტ ვივერი, ჯობია თუ არა საპარლამენტო სისტემები მმართველობის სხვა სისტემებს, კრებულში რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ. გვ. 19.

ხალხის ნებას და პარლამენტს არ შეუძლია მისი ნების გამოხატვა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საპარლამენტო სახელმწიფოების კონსტიტუციების თანახმად ხალხს არ შეუძლია თავისი ნების გამოხატვა პარლამენტის არჩევნების მიღმა“.²⁶ წარმომადგენლობის ინსტიტუტთან დაკავშირებული მსგავსი დისკუსია უცხო არ ყოფილა არც პირველი ქართული კონსტიტუციის შემუშავების პროცესში ქართველ მეცნიერებსა და სამართალმცოდნეებს შორის. ამასთან, წარმომადგენლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად ქართველი მეცნიერები ხალხის ნება-სურვილის სათანადო განხორციელების შეუძლებლობაზე მიუთითებდნენ. როგორც 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი – რაჟდენ არსენიძე აღნიშნავდა, „არჩეული ხალხი, როგორი საარჩევნო წესიც უნდა შემოვიღოთ, მაინც ვერ იქნება უნაკლებად გამოხატველი ხალხის ნამდვილი ნება-სურვილის“.²⁷

ამასთან, ქართველი კანონმდებლები აცნობიერებდნენ იმ გარემოებას, რომ ძალაუფლების პირდაპირ ხალხის მიერ პრაქტიკულად განხორციელების შეუძლებლობის გამო სწორედ წარმომადგენლობა იყო ის რაციონალური არჩევანი, რომელსაც ხალხის სახელით ძალაუფლების განხორციელება უნდა უზრუნველყოს. როგორც საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი აღნიშნავდა, „მაგრამ, თუ ხალხის პირდაპირი უფლება შემოქმედება საქმელოა თანამედროვე პირობებში, დემოკრატია პოულობს გამოსავალს იმაში, რომ ახორციელებს ხალხის თავისუფალ და დამოუკიდებელ ნებას დემოკრატიულ წარმომადგენლობის საშუალებით“.²⁸ იგივე შეხედულებას ანვითარებდა პირველი ქართული კონსტიტუციის კიდევ ერთი ავტორი გიორგი გვაზავა, რომლის აზრით, „ვინაიდან ფიზიკურად შეუძლებელია ყოველთვის თავის მოყრა მთელი ერისა და მისი დაკითხვა, აუცილებელი გახდა ხელოვნური ორგანიზაცია ეროვნული ნებისყოფისა. ხალხი ირჩევს წარმომადგენლებს ან დეპუტატებს, ამ წარმომადგენლების კრებული არის პარლამენტი“.²⁹ იმავე პერიოდში მოღვაწე ქართველი მეცნიერის – ი. ცინცაძის მოსაზრებით კი „ისეთს სახელმწიფოებში, სადაც მიწა-წყალიც ფართოა და ხალხიც ათასი ჯურისა და მილეთისა სცხოვრობს, ასეთ ქვეყნებში აუცილებელი ხდება შემოღება რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის ისეთის ნაკვეთისა და ფორმისა, რომელსაც ეწოდება წარმომადგენლობითი რესპუბლიკა. მართალია ასეთს სახელმწიფოებში სუვერენობა, უზენაესი ძალაუფლება თვით ხალხს ეკუთვნის, მაგრამ მის მართვა-გამგეობას აწარმოებენ ხალხის წარმომადგენლები. ხალხი თავის შორის ირჩევს სანდო კაცებს და მათ აბარებს ქვეყნის პატრონობას“.³⁰

²⁶ ციტირებულია, ფილიპ ლოვო. თანამედროვე დიდი დემოკრატიები, 1990. ფრანგულიდან თარგმნეს: ბალავაძე მ., ცქიტიშვილი ნ., სამეცნიერო რედაქტორი - კეშელავა ვ., სპეციალური რედაქტორი - ხუბუა გ., თბ., 2002 წ., გვ. 79.

²⁷ იხ. რაჟდენ არსენიძე, დემოკრატიული რესპუბლიკა, გვ. 20.

²⁸ იხ. კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბ. 2016 წ., გვ. 86.

²⁹ იხ. გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2014 წ., გვ. 32.

³⁰ იხ. იაკობ ცინცაძე, სამართლის მეცნიერება, ქუთაისი, 1918 წ., გვ. 50.

აღსანიშნავია, რომ ქართველ კანონმდებელთა შეხედულებით პარლამენტისათვის წარმომადგენლობის გადაცემა სულაც არ ნიშნავდა მისთვის ხალხის ძალაუფლების სრულად გადაცემას. როგორც გიორგი გვაზავა აღნიშნავდა, „სავსებით რომ ყოფილიყო ეროვნული ნებისყოფა გადაცემული, მაშინ გადაცემული იქნებოდა ეროვნული სუვერენობაც და ხალხი დარჩებოდა ისევ უფლებაახილი, როგორც ეს იყო მონარქის ბატონობის დროს. პარლამენტზე გადადის მხოლოდ ერთი ელემენტი სუვერენობის – კანონმდებელი ხელისუფლება. ეს უფლება დიდია და ამიტომ საშიშარიც. კანონმდებელ ხელისუფლებამ შეიძლება შექმნას ისეთი კანონი, რომელიც სულ გააქარწყლებს ერის ხელმწიფობას. ამიტომ ყოველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში პარლამენტი უმთავრეს და უდიდეს საკითხებში შეზღუდულია. ერი თვითონ ინარჩუნებს ამ საკითხების შესახებ უზენაეს ხელისუფლებას“.³¹

პარლამენტარიზმთან დაკავშირებული ეს კონცეპტუალური მიდგომა ნათლად გამოჩნდა 1921 წლის 21 თებერვლის პირველ ქართულ კონსტიტუციაში, რომლის მიხედვით, მართალია, აღიარებული იქნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“ (მუხლი 46-ე), თუმცა კონსტიტუციის 52-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ „პარლამენტი კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“. ამავე მუხლის იმპერატიული ჩანაწერით კი „ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს“. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციით პარლამენტისათვის „დადგენილი ფარგლები“ საკმაოდ ფართო იყო და პარლამენტის უფლებამოსილება კანონმდებლობის შემუშავებასთან ერთად, ასევე მთავრობის მეთაურის შერჩევასა და აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო კონტროლსაც მოიცავდა (54-ე, 67-ე მუხლები).

პირველი ქართული კონსტიტუციის ავტორებისათვის არც პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის „შერევის“ თაობაზე შეხედულება ყოფილა უცხო და სწორედ მსგავს მოდელს მიიჩნევდნენ ხელისუფლების ორგანიზაციის რაციონალური და პრაქტიკულად განხორციელებადი სისტემის ფორმირების წინაპირობად. როგორც კონსტანტინე მიქელაძე აღნიშნავდა, „ჩვენ გვაქვს ისეთი სახელმწიფოებრივი ნიმუშები, სადაც წარმომადგენლობითი პრინციპი შერეულია ხალხის დამოუკიდებელ ნების პირდაპირ გამომჟღავნების პრინციპებთან, – რეფერენდუმთან და სახალხო ინიციატივასთან“.³²

დემოკრატიის „შერევის“ აღნიშნული ფორმა ყველაზე ნათლად სწორედ საკანონმდებლო ფუნქციის რეალიზაციის პროცესში გამოვლინდა. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში განმტკიცებული იქნა როგორც სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ასევე რეფერენდუმის უფლება. როგორც ქართველი მეცნიერი – ბ. ქანთარია აღნიშნავს, „შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის მიხედვით, დამკვიდრდა „ნახევრად

³¹ იხ. გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2014 წ., გვ. 33.

³² იხ. კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბ. 2016 წ., გვ. 86.

პირდაპირი დემოკრატია“ (რეფერენდუმი და ინიციატივა), რომელიც შერწყმული იყო „წარმომადგენლობითი მმართველობის“ ელემენტთან (არჩევნებთან).³³

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით, ხალხს (ამომრჩეველს) მინიჭებული ჰქონდა როგორც ჩვეულებრივი საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (მუხლი 63-ე), ასევე კონსტიტუციის გადასინჯვის უფლება (მუხლი 145-ე). უფრო მეტიც, კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ნორმა, რომლის მიხედვით ხალხის ნებას და, შესაბამისად, ხალხის ძალაუფლებას წარმომადგენლობით ორგანოსთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა მიენიჭა, ხოლო საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი „შეზღუდული კანონმდებლის“ როლში წარმოგვიდგა. კერძოდ, კონსტიტუციის 64-ე მუხლი ითვალისწინებდა ნორმას, რომლის მიხედვით, თუ ოცდაათი ათასი ამომრჩეველი წერილობით მოითხოვდა, პარლამენტი ვალდებული იყო, ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხისთვის წარედგინა (მუხლი 64-ე). აღნიშნული ნორმით იქმნებოდა რეალური საკანონმდებლო გარანტია, ხალხს არ გაეთვალისწინებინა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონი და პირდაპირი დემოკრატიის წესით გადაეწყვიტა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ბედი და თავისი, როგორც „უმაღლესი“ კანონმდებლის, ნება დაეთქვიანებინა.

წარმომადგენლობითი ორგანოს პარალელურად პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტების არსებობა კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით, რომელმაც განსაზღვრა, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მე-5 მუხლი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციამ კანონშემოქმედებით სფეროში პრიმატი წარმომადგენლობით ორგანოს – პარლამენტს მიენიჭა და პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლა პარლამენტისა და პრეზიდენტის თანამშრომლობას დაუკავშირა (იხ. კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 66-ე – 68-ე მუხლები). ხოლო რეფერენდუმთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმებით შეუძლებლად იქნა მიჩნეული „რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად“ (იხ. კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიხედვით დამკვიდრდა საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი საქართველოში, შესაძლებელი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება და კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივით მისი ან მისი ცალკეული ნორმის გაუქმება.

³³ იხ. ბექა ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბ. 2013 წ., გვ. 117.

5. პარლამენტის „სრულხელისუფლებიანობა“ ანუ „უზენაესი ბატონი ქვეყნისა“

ხალხის წარმომადგენლობის პარლამენტისათვის გადაცემამ სახელისუფლო სისტემაში პარლამენტის როლი მკვეთრად გააძლიერა და იგი რიგი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებებით აღჭურვა. ტრადიციულ საკანონმდებლო უფლებამოსილებებთან ერთად იგი არსებით როლს ასრულებდა მთავრობის ფორმირებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების პროცესში, ახორციელებდა სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს.

პარლამენტის „სრულხელისუფლებიანობის“ ტენდენცია ნათლად იყო გამოხატული პირველ ქართულ კონსტიტუციაში. ეყრდნობოდა რა პარლამენტარიზმის იმ პერიოდში არსებულ დოქტრინალურ შეხედულებებს, პარლამენტი ხელისუფლების სისტემის მთავარ საფუძვლად და წარმმართველად მიიჩნეოდა, იგი რეალურად გამოხატული უპირატესობით სარგებლობდა ხელისუფლების სისტემაში და ხელისუფლების სხვა შტოთა მხრიდან მისი ძალაუფლების შემზღვეველი რაიმე არსებითი ბერკეტი თითქმის არ იყო გათვალისწინებული. სახელისუფლებო სისტემაში არ არსებობდა სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, არც პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობა. პარლამენტის მსგავსი მდგომარეობა ნათლად იყო გამოხატული საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრებაში, რომლის მიხედვით – „არ არის ისეთი დრო, როდესაც პარლამენტი არ არსებობდეს... იცვლება პარლამენტის შემადგენლობა ახალი არჩევნების საშუალებით, მაგრამ მისი მოქმედება მუდმივია, იგი როგორც უზენაესი ბატონი ქვეყნისა, განუწყვეტელია“.³⁴

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობით, საკანონმდებლო და მთავრობის კონტროლის უფლებამოსილებებთან ერთად 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტს გააჩნდა ისეთი უფლებამოსილებები, რაც თანამედროვე კონსტიტუციურ-სამართლებრივი ტენდენციების გათვალისწინებით ხელისუფლების სხვა ორგანოს კომპეტენციას (მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციას) განეკუთვნება. მაგალითად, კონსტიტუციის 54-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტის უფლება იყო: უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა, ომის გამოცხადება და სხვა. პარლამენტის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა ასევე უმაღლესი სასამართლო ორგანოს – სენატის წევრების არჩევა (მუხლი 76-ე).

პარლამენტის ნიშანდობლივ უფლებამოსილებად უნდა განვიხილოთ კონსტიტუციის 56-ე მუხლის ნორმა, რომლის მიხედვით „პარლამენტი თვითონ გაარჩევდა თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტდა ყოველსავე დავას ამ საგანზე“. რაც

³⁴ ციტ.: მალხაზ მაცაბერიძე, უზენაესი ბატონი ქვეყნისა (როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით), თბ. 2008 წ., გვ. 57.

პარლამენტის ავტონომიურობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენდა. ამავე თვალსაზრით აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ შეიცავდა პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე ნორმებს, რაც კონსტიტუციის ავტორთა იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომლის მიხედვით პარლამენტი „არც თვითონ ითხოვს თავისთავს, არც სხვა რომელიმე ძალას აქვს უფლება მისი დათხოვნისა“.³⁵

კიდევ უფრო მრავალმნიშვნელოვნად ჩანს პარლამენტის უფლებამოსილება 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რომელიც არსებით როლს ასრულებდა იმ პერიოდის საქართველოს სახელისუფლებო ინსტიტუტების ფუნქციათა განსაზღვრულობის პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული სამართლებრივი აქტი, ერთი მხრივ, შეიცავდა პარლამენტის ფუნქციათა დეტალურ ჩამონათვალს, მეორე მხრივ შეიცავდა ზოგად მითითებას, რომლის მიხედვით „საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, განსახილველად მიიღოს და გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება“ (მუხლი მე-7).

ნიშანდობლივი იყო თვით აღნიშნული კანონის საფუძველზე ფორმირებული პარლამენტის შემადგენლობა. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგებოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული, პროპორციული და მათორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან. ამავე კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მეთაურად პარლამენტის მიერ, მისი სიითი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით აირჩეოდა პარლამენტის თავმჯდომარე. შესაბამისად, აღნიშნული კანონის მიხედვით, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის ხელმძღვანელი პირი იმავდროულად მოიაზრებოდა, როგორც სახელმწიფოს მეთაური. თუ 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტი შერწყმული იყო საკანონმდებლო ორგანოსთან.

საკონსტიტუციო რეგულირების არსებული გამოცდილების მიხედვით, როგორც წესი, დასაშვებად არის მიჩნეული აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მიერ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციის შეთავსება, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციის შეთავსება აღნიშნული სამართლებრივი აქტის ნოვაციას წარმოადგენდა, რაც, შეიძლება ითქვას, სახელისუფლებო სისტემაში პარლამენტის ფუნქციურ უპირატესობას უსვამდა ხაზს. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ იმავე სამარ-

³⁵ იქვ. გვ. 57.

თლებრივი აქტის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაური, რომელიც პარლამენტის შემადგენლობაში მოიაზრებოდა, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირებაში. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით პარლამენტი ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს (მუხლი მე-8), პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური – ნიშნავდა და ათავისუფლებდა პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, მინისტრთა კაბინეტის წევრებს და პარლამენტს წარუდგენდა დასამტკიცებლად; პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური – უფლებამოსილი იყო, შეეტანა წინადადება პარლამენტში პრემიერ-მინისტრის ან მინისტრთა კაბინეტის რომელიმე წევრისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ (მუხლი მე-17). თავის მხრივ, მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელი იყო პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის წინაშე (მუხლი 23-ე).

6. ძალთა ასიმეტრია – პარლამენტის „გაუნონასწორებელი“ ძალაუფლებით

პარლამენტარიზმის სისტემაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხი პარლამენტის (როგორც საკანონმდებლო ორგანოს) და აღმასრულებელი ხელისუფლების ანუ მთავრობის ურთიერთმიმართების საკითხია. საპარლამენტო სისტემები, როგორც წესი, გამოყოფენ აღნიშნული ურთიერთობის რამდენიმე არსებით მახასიათებელს, რომელიც ნათლად აჩვენებს პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთმიმართების პრობლემას. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მთავრობის ფორმირებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხს. როგორც ფილიპ ლოვო შენიშნავს, „პარლამენტარიზმის მთავარი ორგანოა პასუხისმგებელი მთავრობა“.³⁶

პარლამენტარიზმის არსებითი მახასიათებლების მიხედვით, სწორედ პარლამენტი ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს მთავრობის ფორმირებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის საქმეში. ამასთან, ამავე მახასიათებლებისა და ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მათი ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით, განარჩევენ პარლამენტარიზმის სხვადასხვა ნაირსახეობას.³⁷

ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ არც ქართული კონსტიტუციის ნორმები, რომელმაც პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობის რამდენიმე ფუნდამენტური და, რიგ შემთხვევაში, თვითმყოფადი ნორმა შემოგვთავაზა. კონსტიტუციურ რეგულაციათა ნაწილის მიხედვით, პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მთავრობის ფორმირებისა და მისი ანგარიშვალდებულების პროცესში, რიგი რეგულაციების მიხედვით კი, პარლამენტის როლი მინიმალისტური იყო.

³⁶ იხ. ფილიპ ლოვო „პარლამენტარიზმი“, 1997 წ., ქართული თარგმანი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი, ქართული გამოცემა, 2005 წ., გვ. 87.

³⁷ იხ. მაგ., ფილიპ ლოვო „პარლამენტარიზმი“, გვ. 34- 42.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით, საკმაოდ მაღალი იყო პარლამენტის როლი, როგორც მთავრობის ფორმირების, ისე მისი ანგარიშვალდებულების პროცესში. აღნიშნული კონსტიტუციის მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება პირობითად ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი გახლდათ მთავრობის ხელმძღვანელის – თავმჯდომარის არჩევა და მეორე – მინისტრების თანამდებობაზე განწესება. მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა პარლამენტის უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, ხოლო მინისტრების თანამდებობაზე მოწვევის უფლებამოსილება მთავრობის თავმჯდომარეს გააჩნდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 73-ე მუხლი ითვალისწინებდა პარლამენტის წინაშე, მინისტრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველზე, მათ მიერ შესაბამისი სამინისტროების მართვას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, „თვითოეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას“.

პარლამენტარიზმის თაობაზე არსებულ კიდევ ერთ მახასიათებელს შეიცავდა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 69-ე მუხლი, რომლის მიხედვით დასაშვები იყო პარლამენტის წევრის თანამდებობის მთავრობის წევრის თანამდებობასთან შეთავსების საკითხი. როგორც ფილიპ ლოვო შენიშნავს, „დიდ ბრიტანეთში, პარლამენტში, კერძოდ, კი თემთა პალატაში მინისტრების არჩევამ ხელი შეუწყო პარლამენტარიზმის განვითარებას და ბევრ ქვეყანაში პარლამენტართა რიგებიდან მინისტრების არჩევა ჩვეულებითი თუ დაწერილი კონსტიტუციის წესი გახდა.“³⁸ დუგლას ვ. ვერნის მოსაზრებით კი „მთავრობის წევრები საპარლამენტო სისტემაში ორგვარ როლს ასრულებენ, ისინი არიან არა მხოლოდ მინისტრები, არამედ იმავდროულად პარლამენტის წევრებიც და აირჩევიან ისე, როგორც ასამბლეის დანარჩენი წევრები და მათ მსგავსად არიან დამოუკიდებულნი ამომრჩეველთა ნებაზე.“³⁹

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ნორმები არ შეიცავდა პარლამენტში მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევისა და თანამდებობაზე არჩევის მკაფიო კრიტერიუმებს (მაგალითად, ვინ იყო უფლებამოსილი წარედგინა მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა, ხმათა რა რაოდენობა იყო საჭირო მის ასარჩევად და სხვა), არც ის ნორმები იყო გათვალისწინებული, წარდგენილი კანდიდატის მიერ ხმათა საჭირო რაოდენობის ვერ მიღების შემთხვევაში რა პროცედურით უნდა ეხელმძღვანელათ – დასაშვები იყო იმავე კანდიდატის წარდგენა, თუ ახალი კანდიდატურა უნდა ყოფილიყო წარდგენილი. მართალია, კონსტიტუციის 57-ე და მე-60 მუხლების მიხედვით, პარლამენტი ფართო სარეგლამენტო უფლებამოსილებითა

³⁸ იხ. ფილიპ ლოვო „პარლამენტარიზმი“, გვ. 67.

³⁹ იხ. დუგლას ვ. ვერნი, საპარლამენტო მმართველობა და საპრეზიდენტო მმართველობა, კრებულში რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ. გვ. 119.

და დამოუკიდებლობით სარგებლობდა, თუმცა მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების კონსტიტუციურ დონეზე დაზუსტებასა და დეტალურ განსაზღვრას, როგორც წმინდა სამართლებრივი, ისე მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა, ვინაიდან იქმნებოდა შესაძლებლობა, რომ პარლამენტს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, მათ შორის პოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებით, გადაეწყვიტა მსგავსი საკითხები, რაც ინსტიტუციურ სიმყარესა და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი პოლიტიკური წესების დამკვიდრების შესაძლებლობას კარგავდა.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 73-ე მუხლი, ერთი მხრივ, ითვალისწინებდა პარლამენტის წინაშე ცალკეულ მინისტრთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, მეორე მხრივ, მთავრობის თავმჯდომარის მიმართ აღგენდა ნორმას, რომლის მიხედვით „მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის, ვალდებულია, დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა, გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გადაქმნას მთელი კაბინეტი“. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულებისათვის კი კონსტიტუცია ითვალისწინებდა პარლამენტის წევრის უფლებას „მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა“ (მუხლი 59-ე). ამავე მუხლის თანახმად პარლამენტს უფლება ჰქონდა, ასევე დაენიშნა საგამომძიებლო საანკეტო კომისია. კონსტიტუციის 75-ე მუხლის მიხედვით კი კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარისა და მთავრობის წევრების პასუხისმგებაში მიცემა მხოლოდ პარლამენტს შეეძლო.

მთავრობის ფორმირებისა და პასუხისმგებლობის თავისებური წესი იყო გათვალისწინებული „მცირე კონსტიტუციად“ წოდებულ „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული აქტი მთავრობის კაბინეტურ – კოლეგიალურ სისტემას ითვალისწინებდა, ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრის, ისე ცალკეული მინისტრების თანამდებობაზე განწესების პროცესში პარლამენტი აქტიურად მონაწილეობდა, თუმცა მინისტრების შერჩევისა და თანამდებობაზე განწესების პროცესში ნომინალური იყო პრემიერ-მინისტრის როლი; პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების კანდიდატების შერჩევა წარმოადგენდა პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივას, რომელიც იმავდროულად სახელმწიფოს მეთაური იყო. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, პარლამენტი ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებდა პრემიერ-მინისტრის მოადგილეებსა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს.

ასევე სინთეზური წესი იყო გათვალისწინებული მთავრობის პასუხისმგებლობასთან მიმართებით; კანონის მიხედვით, მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელი იყო პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის წინაშე (მუხლი 23-ე), ამასთან, გათვალისწინებული იყო როგორც ინდივიდუალური, ისე კოლეგიალური პასუხისმგებლობა. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფო მეთაური –

უფლებამოსილი იყო, შეეტანა წინადადება პარლამენტში პრემიერ-მინისტრის ან მინისტრთა კაბინეტის რომელიმე წევრისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ (მე-17 მუხლის მე-8 პუნქტი, 29-ე მუხლი), ამასთან, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის წევრისადმი ნდობის საკითხის დაყენების უფლება ჰქონდა დეპუტატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთ მეხუთედს. თავის მხრივ პრემიერ-მინისტრს უფლება ჰქონდა, პარლამენტის წინაშე დაეყენებინა მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის საკითხი, ხოლო პრემიერ-მინისტრის გადადგომა გამოიწვევდა მინისტრთა კაბინეტის გადადგომას (მუხლი 29-ე).

პარლამენტისა და მთავრობის ზემოაღნიშნული ურთიერთობის კონტექსტში გამოსაყოფია ის გარემოება, რომ არც 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია და არც „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პარლამენტზე ზემოქმედების რაიმე ქმედით მექანიზმს არ შეიცავდა, არ იყო გათვალისწინებული არც საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის შესაძლებლობა,⁴⁰ შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტს არ გააჩნდა „კონკურენტი“ სახელისუფლებო სისტემაში და იგი გაუნონასწორებელი და დაუბალანსებელი ძალაუფლებით სარგებლობდა.

7. მთავრობის „მომლოდინე“ პარლამენტიდან „რაციონალიზებულ“ პარლამენტამდე

პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობის, უფლებამოსილებათა ფუნქციონალური გადანაწილების, მთავრობის ფორმირებისა და აღნიშნულ პროცესში პარლამენტის მონაწილეობის თვისებრივად განსხვავებული წესები იყო შემოთავაზებული საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საწყის რედაქციასა და მასში მომდევნო პერიოდში შეტანილი ცვლილებებით. აღნიშნული ცვლილებები ნათლად ასახავდა პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთმიმართების ახალ კონცეპტუალურ ასპექტებს, ასევე ქვეყნის მმართველობის სისტემის პერიოდულ მოდიფიცირებას. როგორც ო. მელქაძე შენიშნავდა, „ახალმა კონსტიტიციამ „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით ფუნქციონირებადი საპარლამენტო რესპუბლიკა საპრეზიდენტო რესპუბლიკით შეცვალა, შეიზღუდა პარლამენტის საკონტროლო საქმიანობის მასშტაბები და საშუალებათა არსენალი. გამოირიცხა ინტერპელაციის მექანიზმი, დარჩა კითხვა-პასუხის ფორმით ურთიერთობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რასაც მხოლოდ ინფორმაციული დატვირთვა შეიძლება გააჩნდეს“.⁴¹

საქართველოს კონსტიტუციის 1995-2004 წლების რედაქციის მიხედვით მთავრობის წევრთა შერჩევასა და მთავრობის წევრთა თანამდებობაზე განწესების პროცესში პარლამენტის

⁴⁰ „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შესაძლებელი იყო პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მხოლოდ პარლამენტის გადანყვეტილებით (მუხლი 5).

⁴¹ იხ. ოთარ მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბ. 1996 წ., გვ. 87.

როლი საკმაოდ მოკრძალებული იყო. ამასთან, არ იყო გათვალისწინებული პარლამენტის წინაშე მთავრობის წევრთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის მექანიზმი. მთავრობის დაკომპლექტების პროცესში არსებითი როლი გააჩნდა პრეზიდენტს – სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც იმავდროულად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო და რომელიც ფიცის დადებიდან ორი კვირის განმავლობაში ვალდებული იყო, ჩამოეყალიბებინა მთავრობის შემადგენლობა და წარედგინა პარლამენტისათვის. ასევე მინისტრის გათავისუფლების შემთხვევაში მინისტრის კანდიდატურას პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენდა ორი კვირის ვადაში.⁴² მართალია, კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტს შეეძლო, აცილებოდა მიეცა მთავრობის ცალკეული წევრისათვის, მაგრამ მთავრობის იმ წევრის საკითხს, რომლის მიმართ პარლამენტმა მიიღო აცილება, ან რომელიც ვერ დამტკიცდებოდა, წყვეტდა პრეზიდენტი, ის უფლებამოსილი იყო, ხელახლა წარედგინა იგივე ან ახალი კანდიდატურა.⁴³ კონსტიტუციის აღნიშნული რედაქციის მიხედვით, მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე იყვნენ მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი და მის წინაშევე იხსნიდნენ უფლებამოსილებას.⁴⁴

2004 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, რომელსაც მოჰყვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება და მთავრობის, როგორც კოლექტიური ორგანოს ჩამოყალიბება, მთავრობის ფორმირების პროცესში წამყვანი როლი კვლავ პრეზიდენტს დარჩა. კერძოდ, პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეერჩია პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა. ამასთან, მინისტრების კანდიდატურების შერჩევის პრეროგატივა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს მიეკუთვნა. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენდა მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.⁴⁵

თუ მთავრობის შემადგენლობა ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღებდა პარლამენტის ნდობას, საქართველოს პრეზიდენტს შეეძლო, 5 დღის ვადაში წამოეყენებინა პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა ან პარლამენტის თანხმობის გარეშე დაენიშნა პრემიერ-მინისტრი, ხოლო პრემიერ-მინისტრს – ასევე 5 დღის ვადაში – დაენიშნა მინისტრები საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო, დაეთხოვა პარლამენტი და დაენიშნა რიგგარეშე არჩევნებს.

ამასთან, მხოლოდ პრეზიდენტის თანხმობით შეეძლო პრემიერ-მინისტრს მინისტრების თანამდებობაზე დანიშვნა; უფრო მეტიც, პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო, საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადაეყენებინა მთავრობა, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა მთავრობის რამდენიმე წევრი (თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი).⁴⁶

⁴² იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 77-ე მუხლი.

⁴³ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 77-ე მუხლი.

⁴⁴ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 79-ე მუხლი.

⁴⁵ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2004 წლის რედაქციის მე-80 მუხლი.

⁴⁶ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2004 წლის რედაქციის 73-ე მუხლი.

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული რედაქციის მიხედვით, როგორც ქართველი მკვლევარები შენიშნავენ, „მნიშვნელოვნად შეიცვალა პარლამენტის სტატუსი და შემცირდა მისი, როგორც ნორმათშემოქმედებითი, ასევე პოლიტიკური წონა“.⁴⁷ შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც „შესუსტებული პარლამენტარიზმით“ ხასიათდებოდა.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციის 1995 – 2010 წლების რედაქციის მიხედვით, მთავრობის წევრებს პარლამენტის მხრიდან დამტკიცების ან ნდობის გამოცხადების შემდეგ შეეძლოთ უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებების მიხედვით, მთავრობა ორმაგ პასუხისმგებლობას დაექვემდებარა (პარლამენტისა და პრეზიდენტის წინაშე), მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, მთავრობის ფორმირებისა და ანგარიშვალდებულების პროცესში ნამყვანი როლი პრეზიდენტს გააჩნდა. მთავრობის ფორმირების პროცესში პარლამენტი მთლიანად დამოკიდებული იყო პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის არჩევანზე, რითაც პარლამენტი მთავრობის „მომლოდინე პარლამენტის“ ინსტიტუციად გადაიქცა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული ცვლილებების მიხედვით „პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტობრივად ერთადერთ წყაროდ იქცა“,⁴⁸ რომელიც ხალხის მხრიდან ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა, აირჩეოდა უშუალოდ ხალხის მიერ და არჩევნებში გამარჯვებისათვის საჭირო იყო არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების ხმების ნახევარზე მეტის მხარდაჭერა.

საქართველოში 2004 წელს განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებით შემოღებული იქნა პარლამენტის მხრიდან მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი,⁴⁹ მაგრამ გადამწყვეტი როლი აღნიშნულ პროცესში კვლავ პრეზიდენტს დარჩა. საკმაოდ რთული პროცედურით მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება არც გაემიარებინა საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის მიერ უნდობლობაგამოცხადებულ მთავრობას განეგრძო მუშაობა. ამასთან, შესაძლებელი იყო პარლამენტს განმეორებით მიეღო გადაწყვეტილება მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების თაობაზე, რომლის საფუძველზე პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო, ან გადაეყენებინა მთავრობა, ან დაეთხოვა პარლამენტი. როგორც ქართველი მკვლევარები მიუთითებენ, კონსტიტუცია პარლამენტის მხრიდან „უნდობლობის გამოცხადებას პრაქტიკულად მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს

⁴⁷ იხ. კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995 – 2009 წ.წ.), მისი განვითარების პერსპექტივა, კონსტანტინე კანდელაკი, დავით ლოსაბერიძე, ზაზა რუხაძე, იური ტაბუცაძე, ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ჭიბლაშვილი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პუბლიკაცია, თბ. 2009 წ., გვ. 40.

⁴⁸ იხ. კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995 – 2009 წ.წ.), მისი განვითარების პერსპექტივა, კონსტანტინე კანდელაკი, დავით ლოსაბერიძე, ზაზა რუხაძე, იური ტაბუცაძე, ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ჭიბლაშვილი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პუბლიკაცია, თბ. 2009 წ., გვ. 38.

⁴⁹ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2004 წლის რედაქციის 81-ე მუხლი.

აძლევდა. ამასთან, პარლამენტი ნებისმიერ დროს შეიძლება ემსხვერპლოს ამგვარ „რეკომენდაციას. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი შანტაჟის ქვეშ პარლამენტის მოქცევა და, ცხადია, ოპოზიციური საპარლამენტო უმრავლესობის შემთხვევაში იგი განწირულია ან დათხოვნისთვის, ან უპრინციპობისა და კონფორმიზმისთვის“.⁵⁰

მითითებული ცვლილებების მიხედვით, მთავრობის „მომლოდინე პარლამენტის“ სტატუსი შეინიშნებოდა პარლამენტის კანონმემოქმედებით პროცესშიც. კონსტიტუციური ცვლილებებით, საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით დაზუსტდა პარლამენტისა და მთავრობის თანამშრომლობის მექანიზმი კანონმემოქმედებითი თვალსაზრისით და განისაზღვრა, რომ „თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენდა შენიშვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლებოდა“. მითითებული ნორმის ანალიზისას ქართველი მკვლევარები შენიშნავენ, რომ ცვლილებების მიხედვით „აშკარაა, რომ პარლამენტი კენჭს ვერ უყრის კანონპროექტს მანამ, სანამ მთავრობა კანონით დადგენილ ვადაში არ გამოხატავს თავის პოზიციას. ეს ნიშნავს იმასაც, რომ მთავრობამ შეიძლება კონსტიტუციაზე დაყრდნობით ამგვარი უფლება მოითხოვოს ყველა კანონპროექტთან დაკავშირებით. ამდენად, ეს თითქოსდა პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის გასაიოლებლად (დასკვნის წარუდგენლობა მოწონების ტოლფასია) შემოღებული ნორმა, სინამდვილეში, ამ საქმიანობაში მთავრობის როლის ზრდას იწვევს“.⁵¹

აღნიშნულ კონტექსტში საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება გილიერმო ო'დონელის შეფასება, რომლის მიხედვით „პარლამენტების ფაქტობრივ გამორიცხვას რამდენიმე ავბედითი შედეგი მოაქვს. ჯერ ერთი, როცა ერთ მშვენიერ დღეს აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონმდებელთა მხარდაჭერა დასჭირდება (ეს დღე კი გარდაუვლად მოვა), მას დახვდება განაწყენებული პარლამენტი, რომელიც არ გრძნობს პასუხისმგებლობას პოლიტიკაზე, რომლის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია. მეორეც, პარლამენტს კიდევ უფრო ასუსტებს მისივე მტრული და ამრეზილი განწყობა, რასაც თან ახლავს აღმასრულებლის ბრალდებები მისი ზოზინისა და „უპასუხისმგებლობის“ გამო.“⁵²

2010 წელს საქართველოში განხორციელებული კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად (რომელიც 2013 წლის შემდეგ ამოქმედდა) არსებითად შემცირდა პრეზიდენტის როლი აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პროცესში, ახლებუ-

⁵⁰ იქვ. გვ. 41.

⁵¹ იხ. კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995 – 2009 წ.წ.), მისი განვითარების პერსპექტივა, კონსტანტინე კანდელაკი, დავით ლოსაბერიძე, ზაზა რუხაძე, იური ტაბუკაძე, ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ჭიბლაშვილი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პუბლიკაცია, თბ. 2009 წ., გვ. 41.

⁵² გილიერმო ო'დონელი, დელეგაციური დემოკრატია, კრებულში „პოლიტიკა და დემოკრატია“, თბ. 2017 წ., გვ. 97.

რად განისაზღვრა პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობის საკითხები, მთავრობის პასუხისმგებლობის მექანიზმები, დამკვიდრდა კონსტიტუციური ინოვაცია – უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის სახით, ოპტიმიზირებული იქნა პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობები. შეიძლება ითქვას, რომ მითითებული ცვლილებებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ერთი მხრივ, მთავრობის სტაბილურობის, პარლამენტისა და მთავრობის ძალაუფლების განწინასწორებისა და მეორე მხრივ, მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და მის საქმიანობაზე საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, „რაციონალიზებული პარლამენტარიზმი“ („კლასიკური პარლამენტარიზმის შერბილებული ვარიანტი“.⁵³) პრინციპების დასამკვიდრებლად. მიიჩნევა, რომ სწორედ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი „რაციონალიზებული პარლამენტის უმძლავრესი იარაღია“.⁵⁴

2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, მთავრობის ფორმირებისა და მთავრობის ანგარიშგების პროცესში პარლამენტის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთავრობის ფორმირებას არსებითად საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი უზრუნველყოფდა, რომლის მიერ წარდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს პარლამენტს წარუდგენდა პრეზიდენტი. თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევდა მინისტრთა კანდიდატურებს და წარუდგენდა საქართველოს პარლამენტს ნდობის მისაღებად. ნდობის მიუღებლობის შემთხვევაში დასაშვები იყო მთავრობის შემადგენლობის რამდენჯერმე წარდგენა პარლამენტში. აღნიშნულის შედეგად, თუ პარლამენტი ნდობას ვერ გამოუცხადებდა მთავრობის შემადგენლობას, საქართველოს პრეზიდენტი 3 დღის ვადაში დაითხოვდა პარლამენტს და დანიშნავდა რიგგარეშე არჩევნებს.⁵⁵

მითითებული კონსტიტუციური ცვლილებებით გაუქმდა მთავრობის ორმაგი (პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე) პასუხისმგებლობის მექანიზმი და მთავრობა ანგარიშვალდებული მხოლოდ პარლამენტის წინაშე გახდა.⁵⁶ უნდობლობის „კონსტრუქციული“ ვოტუმის შემოღებით კი მთავრობის სტაბილურობისა და შესაძლო სამთავრობო კრიზისების დაძლევის პირობები შეიქმნა. როგორც ფილიპ ლოვო შენიშნავს, მსგავსი ცვლილებებით „იგულისხმება დუალიზმიდან (ორმხრივი ნდობის სისტემა) მონიზმზე გადასვლა ანუ ისეთ სისტემაზე გადასვლა, სადაც მთავრობა მხოლოდ პარლამენტის ნდობით სარგებლობს, სახელმწიფოს მეთაური აღარ ითხოვს პოლიტიკური ორიენტაციის უფლებას და მხოლოდ ნეიტრალურ საარბიტრაჟო ძალაუფლებას ინარჩუნებს“.⁵⁷

⁵³ იხ. ბეჟა ქანთარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

⁵⁴ იხ. ე. ტანჩვი, რაციონალიზებული პარლამენტარიზმი, კრებულში: რესპუბლიკა : საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ., გვ. 41.

⁵⁵ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2010 წლის რედაქციის მე-80 მუხლი.

⁵⁶ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2010 წლის რედაქციის მე-80 მუხლი.

⁵⁷ იხ. ფილიპ ლოვო „პარლამენტარიზმი“, გვ. 39- 40.

8. „სანდო კაცებიდან“ პარტიულ დემოკრატიაში

საკონსტიტუციო ცვლილებების კიდევ ერთი ეტაპი საქართველოში 2017-2018 წლებში განხორციელდა, რომელიც ქვეყანაში მოქმედი საპარლამენტო სისტემის არსებული ინსტრუმენტების სრულყოფაზე იყო ორიენტირებული და რომლის მიზანს წარმოადგენდა „ძალზე დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარებისათვის“.⁵⁸

მითითებული ცვლილებებით მნიშვნელოვნად განმტკიცდა პარლამენტის როლი მთავრობის ფორმირებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულების პროცესში; ახალი პროცედურით განისაზღვრა პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის (უნდობლობის „კონსტრუქციული ვოტუმი“) გამოცხადების მექანიზმი (მუხლი 57-ე), განისაზღვრა პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტის წინაშე მთავრობის ნდობის დასმის საკითხი (მუხლი 58-ე), კონსტიტუციური ნორმებით განმტკიცდა ინტერპელაციის წესი (მუხლი 43-ე). ამასთან, აღნიშნული ცვლილებებით თვალშისაცემი გახდა საკონსტიტუციო ნორმათა დონეზე პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციისა და პოლიტიკურ პროცესებში მათი როლის განმტკიცების მცდელობა, რაც როგორც საარჩევნო პროცესში, ისე პარლამენტისა და მთავრობის ფორმირების პროცესში პოლიტიკური პარტიების როლის გაზრდას დაუკავშირდა.

ცვლილებებით საკონსტიტუციო დონეზე განმტკიცდა პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის პრინციპები და მათი, როგორც ხალხის პოლიტიკური ნების ჩამომყალიბებელი და განმახორციელებელი სუბიექტის, სტატუსი (კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-3 მუხლი). პრიორიტეტი მიენიჭა პროპორციულ საარჩევნო სისტემას, რომლის მიხედვით, პარლამენტის ფორმირება (საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის ფორმირებამდე) განხორციელდება ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრებისაგან, ხოლო პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას. კონსტიტუციური ცვლილებებით (რომლის ამოქმედების ვადა 2024 წლისთვის განისაზღვრა) უარყოფილ იქნა კონსტიტუციის წინა რედაქციაში არსებული წესი, რომლის მიხედვით, პარლამენტის შემადგენლობის თითქმის ნახევარს მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრები შეადგენდნენ. გაუქმდა საარჩევნოდ პარტიათა გაერთიანების – ბლოკების ფორმირების შესაძლებლობა. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის უფლებამოსილებად განისაზღვრა⁵⁹ (ნაცვლად, კონსტიტუციის წინა რედაქციაში არსებული – არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტისა).

⁵⁸ იხ. კონსტიტუციის ცვლილების პროექტის განმარტებითი ბარათი [<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149115>].

⁵⁹ იხ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2018 წლის რედაქციის 56-ე მუხლი.

შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებებით ჩამოყალიბდა წარმომადგენლობის იმგვარი კონცეფცია, რომლის მიხედვით „დემოკრატიული პოლიტიკა წარმოგვიდგება, როგორც შეჯიბრი პოლიტიკურ პარტიებს შორის“.⁶⁰ ამასთან, „არჩევნებში ერთმანეთს ეჯიბრებიან არა პიროვნებები, არამედ პარტიული პროგრამები,⁶¹ ხოლო „მოქალაქეები ხმას აძლევენ არა იმათ, ვისაც პირადად იცნობენ, არამედ მათ, რომლებიც ატარებენ კონკრეტული პარტიის ფერს“.⁶²

წარმომადგენლობით დემოკრატია და საპარლამენტო სისტემაში პარტიათა ამგვარი როლი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეცნიერთა შორის. ანდრამ შაიოს შეფასებით „პარლამენტურმა სისტემამ მის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული ცხადი და „ბუნებრივი“ კონსტიტუციონალიზმი დაკარგა. პარლამენტართა ჯგუფებსა და პარტიულ ფრაქციებს შორის მიმდინარე გარიგებანი არ შეესაბამებოდა სადებატო ფორუმის პრინციპსა თუ საპარლამენტო პროცედურის ტრადიციულ ქმედუნარიანობის მოთხოვნას. რა აზრი აქვს სახალხო წარმომადგენლობაზე ლაპარაკს იქ, სადაც წარმომადგენელი პარტიული ჩარჩოებითაა შეზღუდული და ვერ იმოქმედებს საკუთარი სინდისის კარნახით. სადღეისოდ საპარლამენტო სახალხო სუვერენიტეტის მითმა – თითქოს პარლამენტის წევრები ხალხსა და ერს წარმოადგენენ – პარტიული სისტემისა და პროპორციული წარმომადგენლობის გამო ძალა დაკარგა. ერის წარმომადგენლის მითი აღარ მოქმედებს, რადგან წარმომადგენელი, რომელიც მისთვის ამომრჩეველთა მიერ მინიჭებულ მანდატზე მალლა იდგა, ახლა პარტიის ნება-სურვილს უნდა დაემორჩილოს, თუკი მას მეორედ არჩევა უნდა“.⁶³ ქართველი მეცნიერის – გ. გოგიაშვილის შეფასებით კი „მეორე პრინციპი, რაც მნიშვნელოვნად აკნინებს პარლამენტარიზმისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპს, ესაა პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის ხასიათი. ხშირად დემოკრატიის ნაცვლად გაბატონდება პარტიული ოლიგარქია. პარტიები საპარლამენტო საქმიანობისას ისახევენ თავის დროებით მიზნებს, ჩვეულებრივი მოვლენაა პოლიტიკური ვაჭრობა და სხვადასხვა გარიგებებში შესვლა მთავრობასთან, რათა მიიღონ გარკვეული დათმობები, ამით ისინი უბიძგებენ მთავრობას, დაადგინონ მოჩვენებითი კომპრომისების არაჯანსაღ პოლიტიკას, რომელიც ემსახურება კერძო პარტიულ ინტერესებს. საბოლოოდ კი იზრდება მოსახლეობის უსულგულობა წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის მიმართ“.⁶⁴

პარტიული დემოკრატიის პირობებში „ელექტორალურ სტაბილურობას“ უსვამს ხაზს ბერნანდ მანინი, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „ელექტორალური სტაბილურობა ართუ-

⁶⁰ იხ. მარტინ მორლოკი, პარტიების სამართალი, როგორც კონკურენციის სამართალი, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“, #2, 2009 წ. გვ. 240.

⁶¹ იხ. მალხაზ მაცაბერიძე არჩევნები და საზოგადოება, თბ. 2003 წ., გვ. 35.

⁶² იხ. Bernard Manin, The principles of representative government, Cambridge University Press, 1997, გვ. 206.

⁶³ იხ. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, სამეცნიერო რედაქტორი თევდორე ნინიძე, თბ., 200 წ., გვ. 148.

⁶⁴ იხ. გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019 წ., გვ. 167.

ლებს პარლამენტარიზმის ერთ ძირითად საფუძველს. არჩევნები არ არის ხმის მიცემა ადამიანისათვის, რომელიც ამომრჩეველმა იცის პირადად და რომელსაც ისინი ენდობიან. ცალკეულ წრეებში პირადი კავშირების განწყვეტა მიჩნეული იქნა როგორც ნიშანი პოლიტიკური წარმომადგენლობის კრიზისისა“.⁶⁵ ამასთან, როგორც ბ. მანინი შენიშნავს, „წარმომადგენლებს, დეპუტატებს ან/და პარლამენტის წევრებს უკვე აღარ შეუძლიათ ხმა მისცენ შინაგანი რწმენის საფუძველზე და აცნობიერებენ: რომ ისინი შეზღუდულები არიან იმ პარტიის ნებით, რომელთა მიერაც ისინი არიან არჩეულები“.⁶⁶

წარმომადგენლობით სისტემაში, პარტიული დემოკრატიის რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად, მეცნიერთა უმეტესობა, პარტიათა შიდა დემოკრატიულობის გაზრდასა⁶⁷ და პარტიათა კონკურენციისათვის პირობების შექმნას მიიჩნევენ. მიუთითებენ, რომ „შიდაპარტიული დემოკრატიის გარეშე სახელმწიფოში დემოკრატია არ არსებობს.“⁶⁸ ამასთან, პარტიათა კონკურენციისათვის რეალური პირობების შესაქმნელად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სახელმწიფოს მხრიდან სათანადო სამართლებრივი რეგულაციების შემოღებას. როგორც მარტინ მორლოკი შენიშნავს, „ქმედითი კონკურენცია ბუნებრივი გზით ვერ ყალიბდება, იგი, სამართლებრივი რეგულირების გარეშე, როგორც წესი, ხანგრძლივი დროით სტაბილურობას ვერ ინარჩუნებს და უფრო მეტიც, ამჟღავნებს საპირისპირო ტენდენციას, გარდაიქმნას მონოპოლიად. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ამოცანაა, ფუნქციური თვალსაზრისით პროდუქტიული და საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით შედეგიანი კონკურენცია პარტიებს შორის წაახალისოს და სამართლებრივი მექანიზმებით – საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო დაფინანსების საშუალებითაც – განამტკიცოს. ამგვარად, კონკურენციის დამკვიდრება და მისი განმტკიცება განეკუთვნება იმ საფუძველთა რიგს, რომლებიც პარტიული პოლიტიკის სამართლებრივ რეგულირებას დემოკრატიულ კონსტიტუციურ სახელმწიფოში აუცილებლობად აქცევს“.⁶⁹

9. საჯარო სადისკუსიო და ფართო კონსენსუსის უზრუნველყოფი ორგანო

პარლამენტარიზმის ერთ-ერთ მახასიათებლად ის გარემოება მიიჩნევა, რომ აღნიშნული სისტემის დროს საკითხთა განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ეფუძნება საჯარო დისკუსიის წარმოებას, რომლის დროს შესაძლებელი ხდება საზოგადოებაში არსებული მრავალგვარი ინტერესების დაბალანსება და კონსენსუსზე დაფუძნებული გადაწყვეტილე-

⁶⁵ იხ. Bernard Manin, The principles of representative government, Cambridge University Press, 1997, გვ. 209.

⁶⁶ იქვე, გვ. 211.

⁶⁷ იხ. მაგ., ირაკლი კობახიძის „პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი“, თბ. 2008 წ., გვ. 90-103.

⁶⁸ ციტ.: რატი ბრეგვაძე, პოლიტიკური პარტია და მისი ფუნქციები, კრებული: კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, რედაქტორი დ. გეგენავა, თბ. 2018 წ., გვ. 284.

⁶⁹ იხ. მარტინ მორლოკი, პარტიების სამართალი, როგორც კონკურენციის სამართალი, უურნალი „სამართლის უურნალი“, #2, 2009 წ. გვ. 249.

ბის მიღება. პარლამენტი, თავისი სტრუქტურებით, წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა თუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელთა კრებულს (ერთობას), რომელიც ასახავს და გამოხატავს ქვეყანაში არსებულ ძირითად ტენდენციებს; სწორედ აღნიშნული ტენდენციებისა და შეხედულებების საკანონმდებლო დონეზე რაციონალურ გაფორმებას უნდა უზრუნველყოფდეს პარლამენტი თავისი საქმიანობით.

პარლამენტის საქმიანობის საჯარო ხასიათს გამოყოფს გერმანელი მეცნიერი კარლ შმიტი, რომლის მიხედვით „პარლამენტის არსი ეს არის საჯარო განხილვა არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების, საჯარო დებატები და საჯარო დისკუსია“.⁷⁰ ანდრამ შაიოს შეფასებით კი „პარლამენტი დისკუსიის მეშვეობით შემეცნების ადგილია, ზოგჯერ – „სამოქალაქო ვაჭრობათა“ ადგილიც, რაც ასევე რაციონალურ აზროვნებას მოითხოვს. აზრთა მრავალფეროვნება სასიკეთო გავლენას ახდენს საპარლამენტო გადაწყვეტილებებზე. ამრიგად, პარლამენტის განსაკუთრებული როლი ისაა, რომ იგი თავისუფალი დებატების ფორუმს წარმოადგენს“.⁷¹ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე საპარლამენტო დებატების გავლენას უსვამს ხაზს ამერიკელი მკვლევარი ა. ჯენინგი, რომლის მოსაზრებით „პარლამენტის ფუნქციას წარმოადგენს არა მმართველობა, არამედ კრიტიკა. მისი კრიტიკა მიმართულია არა იმდენად მთავრობის პოლიტიკის არსებით შეცვლაზე, არამედ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე“.⁷²

შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტარიზმი მხოლოდ ინსტიტუციურ ფაქტორებს არ ემყარება; იგი თავის არსს პარლამენტის რეალურ ქმედებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ავლენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თვით პარლამენტის ნება, განწყობა და ქმედუნარიანობა პარლამენტარიზმის პრინციპების ქმედითი რეალიზაციისათვის. აღნიშნული კი, უპირველეს ყოვლისა, იმ პრინციპების დამკვიდრებით მიიღწევა, რომლის მიხედვით პარლამენტი გადაწყვეტილების მიღებას საჯარო დისკუსიის, არგუმენტების გაცვლისა და ფართო კონსენსუსის საფუძველზე ახორციელებს.

მართალია, მსგავსი წესით გადაწყვეტილების მიღება გაჭიანურებით ხასიათდება, თუმცა იგი ხელს უწყობს მდგრადი და საზოგადოების უმრავლესობისათვის მისაღები გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებას. როგორც ცნობილი პოლიტოლოგი გილიერმო ო'დონელი შენიშნავს, „გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმომადგენლობით დემოკრატიებში, როგორც წესი, ნელი და მრავალეტაპიანია, ხანდახან კი შეიძლება ჩიხშიც შევიდეს, მაგრამ ამავე მიზეზით პოლიტიკური გადაწყვეტილებები დაზღვეულია უხეში შეცდომებისგან და პრაქტიკული განხორციელების უფრო კარგი შანსი აქვს; გარდა

⁷⁰ იხ. Карл Шмитт, Понятие политического, Перевод с немецкого, Санкт-Петербург, 2016, გვ. 127-128.

⁷¹ ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, სამეცნიერო რედაქტორი თევდორე ნინიძე, თბ., 2003 წ., გვ. 144.

⁷² იხ. Jennings I. Cabinet Government, Cambridge, 1959, გვ. 472.

ამისა, პასუხისმგებლობა შეცდომისათვის ბევრზე ნაწილდება“.⁷³ ფრანგი მეცნიერის – ბერნანდ მანინის მოსაზრებით კი „რამდენადაც წარმომადგენლები არ არიან დაკავშირებულნი მათ მოთხოვნებთან, ვინც ისინი აირჩიეს, პარლამენტი შეიძლება მოვიაზროთ სრული არსით სათათბირო ორგანოდ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადვილად, სადაც ინდივიდი თავისი აზრის ფორმირებას ახდენს დისკუსიის წარმოებისას და სადაც უმრავლესობის თანხმობა მიიღწევა არგუმენტების გაცვლის საფუძველზე“.⁷⁴

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დისკუსიის ხანგრძლივობის შემცირებისა და გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, პარლამენტებში, როგორც წესი, შემუშავებულია დისკუსიის წარმოების სარეგლამენტო ნორმები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ საკანონმდებლო ორგანოში საკითხთა განხილვის, გამოსვლებისა და კამათის წარმოების წესსა და დროის პერიოდულობას. ამასთან, როგორც წესი, პარლამენტები ამ მხრივ, ფართო სარეგლამენტო ავტონომიებით სარგებლობენ და თვითონვე ადგენენ მსგავს ნორმებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვით პარლამენტის სხდომები საჯარო იყო (მუხლი 55-ე), ხოლო პარლამენტი თვითონ განსაზღვრავდა რეგლამენტს და თავის მოქმედების წესს (მუხლი 60-ე). ამასთან, პარლამენტი ყოველ საკითხს „სწყვეტდა ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ იქნებოდა მიღებული“ (მუხლი 57-ე).

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიხედვით, ასევე განმტკიცებული იქნა პარლამენტის საქმიანობის საჯარო ხასიათი,⁷⁵ ხოლო საქართველოს პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი, ასევე განისაზღვრა პარლამენტის რეგლამენტით. ამასთან, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით იურიდიული ძალა და ფორმა შეიცვალა პარლამენტის რეგლამენტმა. 1995-2004 წლებში მოქმედი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი პარლამენტის შიდა დოკუმენტად განიხილებოდა და იგი პარლამენტის დადგენილებით მტკიცდებოდა. 2004 წელს კონსტიტუციასა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, გაიზარდა პარლამენტის რეგლამენტის იურიდიული ძალა და მას კანონის ძალის მქონე აქტი ეწოდა;⁷⁶ 2017-2018 წლების საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, პარლამენტის რეგლამენტის ამგვარმა იურიდიულმა სტატუსმა ასახვა ჰპოვა კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მიხედვით განმტკიცდა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს აქვს კანონის ძალა, ასევე კონსტიტუციური ცვლილებების მიხედვით გაიზარდა მის

⁷³ გილიერმო ო'დონელი, დელეგაციური დემოკრატია, „კრებულში პოლიტიკა და დემოკრატია“, თბ. 2017 წ., გვ. 91.

⁷⁴ იხ. Bernard Manin, *The principles of representative government*, Cambridge University Press, 1997, გვ. 205-206.

⁷⁵ პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით, მათ შორის, დაშვებული იყო პარლამენტის სხდომების სრული რადიო და ტელეტრანსლაცია.

⁷⁶ იხ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის მე-9 მუხლის 51 პუნქტი.

მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობა და იგი ხმათა იმავე რაოდენობით მიიღება, რაც ორგანული კანონის მისაღებადაა საჭირო, კერძოდ, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით (36-ე მუხლი).

აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტში, განსაზღვრულია გადანაცვლებათა ფართო კონსენსუსით მიღება და შესაბამისად, დადგენილია მაღალი ქვორუმი. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია კვალიფიციური უმრავლესობით (პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის ან ორი მესამედის მხარდაჭერით), (მუხლი 77-ე) საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერაა საჭირო საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადასაყენებლად (მუხლი 48-ე), პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ხდება სახალხო დამცველის არჩევა (მუხლი 35-ე) და სხვა.

10. დასკვნა

პარლამენტარიზმის იდეას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ კონსტიტუციონალიზმსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ოპტიმალური მოდელის ფორმირების ისტორიულ პროცესში. მან ინსტიტუციური გავლენა მოახდინა დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ფორმირებაზე, განსაზღვრა ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი ორიენტირები, შექმნა პირობები ხალხის წარმომადგენლობის რეალური რეალიზაციისათვის. ისტორიული განვითარების გათვალისწინებით, იგი მნიშვნელოვან საფუძვლებს ქმნიდა სამთავრობო სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მთავრობის პასუხისმგებლობის ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბებისათვის, ფართო და საჯარო დისკუსიების წარმოებასა და კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებისათვის.

ქართული პარლამენტარიზმის ისტორია იცნობს აღნიშნული მოვლენის „მაქსიმალიზაციისა“ და მისი „შესუსტების“ პერიოდებს. ამასთან, თვალშისაცემია ის გარემოებაც, რომ პარლამენტარიზმის იდეის დამკვიდრებისა და მისი „გაძლიერების“ პერიოდები ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისა (გამოვეყნებით 1918-1921 წლებსა და 1991-1995 წლებს) და დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის უკეთესი მოდელის შერჩევის პერიოდს უკავშირდებოდა და მიზნად პოლიტიკურ ძალთა მაქსიმალური კონსოლიდაციის უზრუნველყოფი პოლიტიკური სისტემისა და ანგარიშვალდებული მთავრობის ფორმირებას ისახავდა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოში პარლამენტარიზმის იდეის სრულფასოვანი რეალიზაციისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე „ანგარი-

შვალდებული“ სახელისუფლებო სისტემის ფორმირებას, სტაბილური და გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, კოლევური მართვის პოლიტიკური კულტურის დანერგვას, საკითხების ფართო დისკუსიისა და პოლიტიკური კონსენსუსის წესით გადაწყვეტის სისტემის დამკვიდრებას, სამთავრობო კრიზისების ოპტიმალური დაძლევის შესაძლებლობის შექმნას.

Georgian Reflections of Parliamentarism (Constitutional-legal tour)

Gia Gogiberidze

Resume

The article is devoted to one of the most important ideas of the organization of government and implementation of governance – Parliamentarism and the issues of realization of the mentioned phenomenon in the constitutional and legal space of Georgia. Parliamentarism is a multilateral phenomenon, the features of which differ in many political and legal aspects. From a constitutional and legal point of view, its main feature is associated with the representation of the people and therefore, with the features of the organization of governance, as well as the place and role of parliament in the system of governance.

This phenomenon, with its centuries-old historical experience, has a substantial impact on the organization of governments of many countries and the organization of management process even today. In this regard, Georgia is no exception, parliamentarism has significantly reflected in its constitutional and legal system, and in addition, the system of government structure established by the first Constitution of Georgia was essentially based on the aforementioned model.

This article deals precisely with the issue of the implementation of parliamentarism in the constitutional space of Georgia, where the main features and trends are presented on the basis of the basic legal acts adopted in Georgia and the considerations of Georgian scholars and researchers working in the mentioned field, which are characteristic for the establishment and development of parliamentarism in Georgia and have largely defined the model of governance in the country. It's worth mentioning that the article focuses on the issues such as the interaction of parliamentarism and the people, the constitutional and legal aspects of the parliament and the government, as well as the features of decision-making under parliamentarism, etc.

გამოყენებული ლიტერატურა

- რაუდენ არსენიძე, დემოკრატიული რესპუბლიკა, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2014 წ.;
- გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2014 წ.;
- გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019 წ.;

- გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014 წ.;
- ვოლფგანგ ბაბეკი, სტივენ ფიში, ცენო რაიჰენბეჰერი, კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, ქართული გამოცემა, თბ. 2012 წ.;
- ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, თბილისი, 2002 წ.;
- ლევან დარბაიძე, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა?, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1 (40), 2014 წ.;
- ავთანდილ დემეტრაშვილი, გიორგი გოგიაშვილი `კონსტიტუციური სამართალი~, თბილისი, 2016 წ.;
- ლევან იზორია `თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია~, გამომცემლობა `სიესტე~, თბ. 2009 წ.;
- ირაკლი კობახიძე „პოლიტიკურ გაერთიანებათა სამართალი“, თბ. 2008 წ.;
- კონსტიტუციონალიზმი, ზოგადი შესავალი, წიგნი I, ავტ. კოლექტივი, რედაქტორი დ. გვეგენავა, თბ. 2018 წ.;
- ფილიპ ლოვო, „პარლამენტარიზმი“, 1997 წ., ქართული თარგმანი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი, ქართული გამოცემა, თბ. 2005 წ.;
- ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, 1990. ფრანგულიდან თარგმნეს: ბალავაძე მ., ცქიტიშვილი ნ., სამეცნიერო რედაქტორი: ვ. კეშელავა., თბ. 2002 წ.;
- მალხაზ მაცაბერიძე, უზენაესი ბატონი ქვეყნისა (როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით), თბ. 2008 წ.;
- მალხაზ მაცაბერიძე არჩევნები და საზოგადოება, თბ. 2003 წ.;
- ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008 წ.;
- ოთარ მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, თბ. 1996 წ.;
- რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ.;
- ო. მელქაძე, ო. მახარაძე, პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით), მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, ბათუმი, 2001 წ.;
- პაკტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., `კონსტიტუციური სამართალი~, ქართული გამოცემა, სამეცნიერო რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, თბ. 2012 წ.;
- მარტინ მორლოკი, პარტიების სამართალი, როგორც კონკურენციის სამართალი, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“, #2, 2009 წ.;
- კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995 _ 2009 წ.წ.), მისი განვითარების პერსპექტივა, კონსტანტინე კანდელაკი, დავით ლოსაბერიძე, ზაზა რუხაძე, იური ტაბუცაძე, ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ ჭიბლაშვილი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პუბლიკაცია, თბ. 2009 წ.;
- მანანა კოპალიანი „ივანე ჯავახიშვილი ქართული პარლამენტარიზმის („დარბაზისა და დარბაზობის“) შესახებ, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ (ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი), #6, 2017 წ.;
- „პოლიტიკა და დემოკრატია“, წიგნი II, ისაია ბერლინი, რობერტ კავანი, გილიერმო ო'დონელი, ფრენსის ფუკუიამა, ქეროლ პეიტმანი, ტიმოთი გარტონ ეში, იურგენ ჰაბერმასი, თბ. 2017 წ.

- ზაზა რუხაძე „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, ბათუმი, 1999 წ.;
- ჯაბა სამუშია, ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყუთლუ-არსლანი), კრებულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X, თბ. 2016 წ.;
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, შემდგ. ე. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვ. შარაშენიძე, გამომ. „ივერთა მხარე“, თბ. 1990 წ.;
- საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ავტ. კოლექტივი (ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე), თბ., 2017 წ.;
- საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ავტ. კოლექტივი (დ. გეგენავა, ბ. ქანთარია, ლ. ცანავა, თ. თევზაძე, ზ. მაჭარაძე, პ. ჯავახიშვილი, თ. ერქვანია, თ. პაპაშვილი) რედაქტორი დ. გეგენავა, თბ. 2016 წ.;
- იაკობ ცინცაძე, სამართლის მეცნიერება, ქუთაისი, 1918 წ.
- პაატა ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2004 წ.;
- ბექა ქანთარია, კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბ. 2013 წ.
- ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, ზ. კორძაძის გამომცემლობა, თბ. 2016 წ.;
- გერონტი ქიქოძე, პოლიტიკური წერილები, თბ. 1920 წ.;
- შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, ავტორთა კოლექტივი: ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, გ. კვერენჩილაძე, ნ. ჭილაძე, თბ., 2016 წ.;
- ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითმზღლედვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, სამეცნიერო რედაქტორი თევდორე ნინიძე, თბ., 2003 წ.;
- ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, მე-2 ტომი, თბ. 2012 წ.;
- ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. თბ. 1928 წ.;
- ზაურ ჭინჭოლავა, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბ. 1993 წ.;
- იულიუს შაჩევი, თანამედროვე დემოკრატიის უფლება, ზ. კორძაძის გამომცემლობა, თბ. 2016 წ.;
- ჰეიველი ე., პოლიტიკა, ქართული გამოცემა, მთარგმნელები გ. ჭუმბურიძე, ზ. ჭელიძე, გამომცემლობა „საქართველოს უნივერსიტეტი“ და „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007 წ.;
- Bernard Manin, The principles of representative government, Cambridge University Press, 1997;
- Beyme, Klaus von, Die parlamentarische Demokratie. Entstehung und Funktionsweise 1789-1999, 3. Aufl., Opladen (Westdeutscher Verlag), 1999.;
- Bureteau G. Traite de science politique. Paris, 1977;
- Bevir, Mark, Democratic governance , Princeton University Press, 2010.
- Carl Schmitt, Constitutional theory, Translated and edited by Jeffrey Seitzer Foreword by Ellen Kennedy, Duke University Press, 2008.
- Jennings I. Cabinet Government, Cambridge, 1959;
- Айзенштат М.П. Западноевропейский парламентаризм XVIII-XIX вв.: этапы становления и развития, М.: 2001.
- Левина М. И. Парламентское право Великобритании XVII — начала XIX в., М.: 2000.
- Н. Майм, Парламентаризм и суверенное государство, Тарту 1927,
- Карл Шмитт, Понятие политического, Перевод с немецкого, Санкт-Петербург, 2016.;
- Жакке Ж. П., Конституционное право и политические институты, пер. франц., м. 2002;
- Филип Петтит, Республиканизм, Теория свободы и государственного правления, Перевод с английского, М.: 2016.

ნორმატიული მასალა

- საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია;
- საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (ცვლილებებითა და დამატებებით);
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (1997, 2004, 2012, 2018 წლების რედაქცია);
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი.

პრეზიდენტის პოსტსოციალისტური ინსტიტუციური მოდელები და მათი განვითარების ძირითადი ტენდენციები

ზურაბ ჯიბლაშვილი

შესავლის სახით: პოსტსოციალისტური კონსტიტუციონალიზმი. 1. მიდგომების გენეზისი. 2. საკითხის გადაწყვეტის ვარიაციები. საპრეზიდენტო ინსტიტუტის მოდელოური სხვადასხვაობები. 3. დასკვნები. რეზიუმე. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

შესავლის სახით: პოსტსოციალისტური კონსტიტუციონალიზმი

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტოტალიტარული სოციალიზმის ლიკვიდაციით მივიღეთ არა უბრალოდ ქრონოლოგიურად სოციალიზმის შემდგომი გეოგრაფიული სივრცე, არამედ პოლიტიკური პოსტსოციალისტური ფენომენი. ამ ქვეყნებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმების განხორციელება პირველი პოსტსოციალისტური ღონისძიებები იყო, რაც ბევრი საერთო და ინდივიდუალური თავისებურებითაც ხასიათდებოდა. ამ ღონისძიებათა, როგორც პოსტსოციალისტური რეაქციების მიზანი, ტოტალიტარიზმის იმგვარი უარყოფა იყო, რომ ახალი – დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ფორმირება შეუქცევადი, ხოლო თავად შექმნილი სისტემა კი მყარი ყოფილიყო. უნდა შექმნილიყო სისტემა, სადაც „ადამიანი არის უმაღლესი ფასეულობა“.¹ ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან არსებითად სხვაზე გადასვლის გათვალისწინებით, პოსტსოციალისტური სახელმწიფო განიხილება საზოგადოებრივ-პოლიტიკურად გარდამავალ ფენომენად.² ამ მდგომარეობაში სახელმწიფო „სიღრმისეული ცვლილებების პროცესშია. ამიტომ სახელმწიფო ორგანოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება არ დამთავრებულა“.³ ინსტიტუციური არჩევანი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხშირად ჭიანურდებოდა. ამ საზოგადოებებში, „გარდასული პოლიტიკური რეჟიმის უარყოფასთან დაკავშირებული საერთო თანხმობის მიუხედავად, სამომავლო სისტემასთან დაკავშირებით, სახელისუფლებო ინსტიტუტებში არ შეიმჩნევა სტაბილური და მყარი თანხმობა“.⁴ ამიტომ გარდამა-

¹ В. Чиркин. Постсоциалистическое государство XXI века. Стр. 10. იხ. ინტერნეტყარო: <https://cyberleninka.ru/article/v/postsotsialisticheskoe-gosudarstvo-xxi-veka> შემოწმებულია 27.07. 2018.

² დანვრილებით იხილეთ იქვე. გვ. 9.

³ д. Моисеенко. понятие и признаки формы постсоциалистического государства. Стр. 61. იხ. ინტერნეტყარო: https://ibn.idsi.md/sites/default/files/imag_file/59-63.%20Ponjatie%20i%20priznaki%20formy%20postsocialisticheskogo%20gosudarstva.pdf შემოწმებულია 27.07.2018.

⁴ И. Тарасов. Выбор формы правления как институциональная проблема посткоммунизма: опыт стран Центрально-Восточной Европы. Журн. ПОЛИТЭКС. იხ. ინტერნეტყარო: <http://www.politex.info/content/view/665/30/> შემოწმებულია 27.07. 2018.

ვალი პერიოდი სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულია. თუ „პოსტ“ ხანა შედარებით ადრეულად დაასრულეს უნგრეთმა, ბალტიის სახელმწიფოებმა და პოლონეთმა, უფრო მოგვიანებით ბულგარეთმა, რუმინეთმა, სლოვაკეთმა, ხორვატიამ და ჩეხეთმა, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში, ჯერ კიდევ, მიმდინარეობს. თუმცა, დღეისათვის არა მკვეთრად გამოხატულ დემოკრატიულ რეჟიმებს ეს გზა კიდევ წინ აქვთ.

სოციალისტური ქვეყნების დემოკრატიისაკენ გარდამავალი ეტაპის სათავედანვე (როგორც მმართველობის ამა თუ იმ სისტემის არჩევანის გაკეთებისას, ასევე მისი ფუნქციონირების საწყის ეტაპებზე) ჩანდა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ევროპული დემოკრატიებისათვის უკვე ტრადიციული კოლეგიური (საპარლამენტო) და ერთპიროვნული მმართველობის ფენომენები. თუმცა, ეს უკანასკნელი იყო არა რაციონური დანაწილებით ერთპიროვნულ აღმასრულებელ ხელისუფლებებზე ორიენტირებული, არამედ აღმოსავლური ტიპის მმართველობა. ეს ჭიდილი განსხვავებულ გადანყვეტილებებს წარმოშობდა. თუმცა, აღმოცენების ბევრი საერთო პირობის, ასევე ერთ ეპოქაში განვითარების გათვალისწინებით, პოსტსოციალისტურ კონსტიტუციონალიზმს საერთო მახასიათებლებიც აქვს. ეს მახასიათებლები, ჩვენი დაკვირვებით, საერთო ტენდენციების სახით, ნათლად გამოიკვეთა როგორც საკონსტიტუციო-შემოქმედებით პროცესში, ასევე თავად კონსტიტუციათა ტექსტებში:

1. სახელმწიფოს არსის ფილოსოფიური ხედვის გადასინჯვა თავისუფალი ადამიანების ორგანიზაციულ მართლწესრიგზე საზოგადო თანხმობად აღქმის მიმართულებით;
2. შესაბამისად, საზოგადოების ორგანიზაციის, სახელმწიფოსა და კონსტიტუციის დეიდეოლოგიზაცია, რაც ორი ფუნდამენტური მიმართულებით გამოიხატა:
 - 2.1. სახელმწიფოს სახელწოდების ტოტალიტარული სოციალიზმის იდეოლოგიის ამსახველი ტერმინოლოგიისგან გათავისუფლება;
 - 2.2. კონსტიტუციისა და სახელმწიფოს მმართველობის გაგების არსებითი ცვლილება – პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნისტური პარტიის წარმმართველი როლის უარყოფა პოლიტიკურ ჯგუფთა თანასწორობით. შესაბამისად, სხვა იდეოლოგიებისა და პოლიტიკური გაერთიანებების აკრძალვის გაუქმება და მრავალპარტიულობის დაშვება;
3. ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობათა ფასეულობრივი გადასინჯვა და სახელმწიფო ხელისუფლების ადამიანის უფლებებით ბოჭვის კონსტიტუციონალიზაცია;
5. განსაკუთრებული აქცენტი კონსტიტუციის დაცვასა და მისი მექანიზმის დანერგვაზე;
6. სახელმწიფო სუვერენიტეტისა და საზღვრების ხელშეუხებლობისა და ურღვევობის პრინციპის კონსტიტუციური განმტკიცება;
7. სახელმწიფო ხელისუფლების არსის პრინციპული ცვლილება⁵ და კონცენტრაციის უარყოფა ხელისუფლების დანაწილების პრინციპით, რამაც გამოიწვია მისი ფუნქციონ-

⁵ დანვრილებით იხ: ვ. ჩირკინი. დასახ. ნაშ. გვ. 3.

ნინებისათვის აუცილებელი და შესატყვისი სხვადასხვა საჯარო (პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლო, ომბუდსმენი, სხვა საკონტროლო და საზედამხედველო) ინსტიტუტების შემოღება;

8. ცენტრალიზებული ადგილობრივი სახელმწიფო მმართველობის ჩანაცვლება კომპეტენციათა გაშიჯვნის, დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დამყარებული თვითმმართველობით;
9. კონსტიტუციათა შედარებით აქტიური სოციალიზაცია.⁶

ამ მახასიათებლების ერთობლიობა გვაძლევს საფუძველს, ვითქვით, რომ აღმოცენდა კონსტიტუციონალიზმის მეოთხე ისტორიული ჯგუფი პოსტსოციალისტურ კონსტიტუციათა სახით. ეს ჯგუფი გამოირჩევა როგორც კონსტიტუციონალიზმის დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მათ მიერვე სათავედადებული, უკვე თანამედროვე ტენდენციებად ჩამოყალიბებული ინდივიდუალური გადანყვეტილებითაც.⁷ თუმცა, ამ სივრცის ბევრი ქვეყნისათვის კონსტიტუცია ვერ იქცა პრაქტიკული ეფექტის მქონედ და ის მხოლოდ ფორმალური დატვირთვის მატარებელია.⁸ ეს საზოგადოებები, მათ შორის საქართველო,⁹ დიდ კონსტიტუციათა შობამდე, ჯერ კიდევ, შორს არიან. ტოტალიტარული სოციალიზმით დამძიმებულ ცნობიერებაში დემოკრატის გაუჭირდა შეღწევადობა, ამიტომ ამ სივრცის ქვეყნების დიდი ნაწილი დაადგა პოსტტოტალიტარულ კვაზიდემოკრატიულ, ავტორიტარულ რეჟიმებად ფორმირების გზას. ამასთან, ეს რეჟიმები დროდადრო, „სხვადასხვა მოცულობით იყენებდნენ დემოკრატიულ მეთოდებს“.¹⁰ მაგრამ პოსტსოციალიზმი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის საჭირო ღონისძიებათა სისტემა, უნდა დასრულდეს, რომლის შემდგომ სამართლებრივი სახელმწიფო, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, გააგრძელებს ზრდას.

1. მიდგომების გენეზისი

როგორც აღვნიშნეთ, პოსტსოციალისტური ინსტიტუციური არჩევანი კოლევგიური (საპარლამენტო) და ერთპიროვნული მმართველობის მოთხოვნილებათა ბრძოლით მიმდინარეობდა. ამ არჩევანისას და მმართველობის სისტემის სახის მიღებისას არსებითი მახასიათებელი იყო „გარდამავალი პერიოდის ორი საბაზისო ფასეულობის – დემოკრა-

⁶ საერთო მახასიათებლების შესახებ შეგიძლიათ ასევე იხილოთ: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები. წიგნი I. თბ. 2005. გვ. 13-14.

⁸ ჯიბლაშვილი. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული (ყოფილი სოციალისტური ქვეყნების) მმართველობის ერთი არატიპური სისტემის შესახებ. ავთანდილ დემეტრაშვილი 75. საიუბილეო გამოცემა. თბ. 2017. გვ. 143-144.

⁷ გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბ. 2016. გვ. 26.

⁸ იხ. Dupré C. Importing the Law in Post-Communist Transitions, Hart Publishing, 2003, 20-23.

⁹ იხ. საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ. დ. უსუფაშვილი. შესავალი სიტყვა. თბ. 2016. გვ. 9-11.

¹⁰ Е. Мачкув. Конституционный процесс и демократия при посттоталитаризме.; Конституционное Право: Восточноевропейское Обозрение. Журн. №4(25) 1998/№1(26) 1999; Стр.15.

ტიისა და სტაბილურობის შენარჩუნების კონფლიქტი¹¹. ამ უკანასკნელთან ორგანულად უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი პოსტსოციალისტური ფენომენი – რეფორმების ოპერატიულობა, თანმიმდევრულობა და უწყვეტობა. შესაბამისად, პოსტსოციალისტურ აზროვნებაში „საპრეზიდენტო-საპარლამენტო“¹² და ზოგიერთ „პრემიერ-პრეზიდენტის“¹³ სისტემებს, მათთვის მახასიათებელი „ძლიერი“ პრეზიდენტის ინსტიტუტის თანხლებით, ბევრ შემთხვევაში გარკვეული უპირატეობა ენიჭებოდა. ეს თავს იჩენდა „განსაკუთრებით გარდამავალი მდგომარეობის პირობებში, საზოგადოების მობილიზაციის აუცილებლობისას პირველადი ამოცანების გადასაწყვეტად“¹⁴. პოსტსოციალისტური კონსტიტუციონალიზმის ციკლების მონაცვლეობაში „სტაბილურობა დროდადრო იცვლებოდა კრიზისით, შემდეგ რეფორმითა და სტაბილურობისაკენ შემობრუნებით“¹⁵.

ამ სახელმწიფოებში, დემოკრატიულ ტრანზაქციასა და შემდგომი განვითარების პროცესში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხვედრითი წილის ურთიერთმიმართების განსაზღვრისადმი მიდგომები ორი განსხვავებული მიმართულებით განვითარდა.¹⁶ ორივე მათგანს ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური გენეზისი. ლიბერალური დემოკრატიული რეჟიმის სიმყარის დაცვის გარანტად სტივენ ჰოლმის სწორედ მარეგულირებელი ღონისძიებებით სახელმწიფოს აქტიურ ინტერვენციულ როლს მიიჩნევს.¹⁷ ანდრამ შაიო კი საპირისპიროდ თვლის, რომ „ლიბერალური შეხედულების თანახმად, სახელმწიფო მთლიანობაში ნეიტრალურია [...] არ უნდა ჩაერიოს ყოველდღიურ ურთიერთობაში ან ეკონომიკის ფორმირებაში და არ უნდა განუსაზღვროს მიზნები ერს“¹⁸. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ინტერვენციონიზმი, თუნდაც თავად ლიბერალური გარდასახვების კეთილშობილური მიზნით, საფრთხის შემცველია თავად ამ ცვლილებებისათვის, რადგანაც სახელმწიფო ხელისუფლება ბუნებრივად და ობიექტურად, ყოველთვის თავისი როლის ზრდისაკენ ისწრაფვის. იგი ამგვარ მიდგომებს ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ფასეულობებთან შეუთავსებლად თვლის.

ამგვარ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებს საზოგადოებისა და სახელმწიფო მექანიზმის უფლებრივი ურთიერთმიმართების იდეოლოგიურად სხვადასხვაგვარი ხედვა

¹¹ Медушевский А. Президент и правительство: как стабилизировать дуалистическую систему. Русский Журнал. Май, 2008. Стр. 73. თუმცა ავტორი პუბლიკაციის საგნიდან გამომდინარე ეხება მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეს, მაგრამ ვთვლით, თემის ვრცელდება სრულ პოსტსოციალისტურ სივრცეზეც.

¹² იხ: Shugart M.S., Carey J.M. Presidents and Assemblies. Constitutional Design and Electoral Dynamics. – Cambridge: Cambridge University Press, 1992. – P. 23.

¹³ იხ: Steven D. Roper. Are All Semipresidential Regimes the Same? A Comparison of Premier-Presidential Regimes// Comparative Politics. – 2002. – Vol. 34. – № 3. – P.253-272. იხ. ინტერნეტყარო: <http://www.stevendroper.com/regimes.pdf>

¹⁴ ვ. ჩირკინი. დას. ნაშ. გვ. 15.

¹⁵ R. sharlet. Legal Transplants and Political Mutations: The Reception of Constitutional Law in Russia and the Newly Independent States. EECR. Vol.7. No. 4, 1998. P. 60.

¹⁶ დაწვრილებით იხ: А. Медушевский. Теория Конституционных циклов. М. 2005. Стр. 265.

¹⁷ დაწვრილებით იხ: St. Holmes The Evolving Presidency in Eastern Europe: The Postcommunist Presidency// East European Constitutional Review. 1993-1994. Vol. 1-4.

¹⁸ ა. შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ. 2003. გვ. 36-48.

განაპირობებდა. ეს განსხვავება თვალსაჩინო იყო როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა ინსტიტუციურ არჩევანში, ასევე სამეცნიერო წრეებში. რუსეთის ფედერაციამ და სსრკ-ს პრაქტიკულად ყველა ყოფილმა რესპუბლიკამ, გარდა ბალტიისპირულისა, და ხორვატიამაც 2000 წლის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ ცვლილებებამდე, გამოიარა (უმეტესობა ამჟამადაც განიცდის) საპრეზიდენტო სისტემის სხვადასხვა ხარისხის დეფორმირების ტვირთი. ეს ქვეყნები შესაბამის ეპოქებში დაადგინეს პოსტტოტალიტარულ კვაზიდემოკრატიულ ავტორიტარულ (ზოგიერთი ეტაპობრივად უკვე შეუქცევადად მიექანება ტოტალიტარულ) რეჟიმებად ფორმირების გზას და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი დემოკრატიცაზიის ელემენტებს ფრაგმენტულად იყენებდნენ.¹⁹ ინსტიტუციური არჩევანის კრიტერიუმი ბევრია – უნივერსალური და ასევე ფაკულტატურიც. ამ კრიტერიუმთა სივრცეში ფუნდამენტურია, რომ თითოეული კონსტიტუციური გადანწყვეტილება (მათ შორის ინსტიტუციურ არჩევანისაც) მძლავრი აქსიოლოგიური გავლენის ქვეშ მოექცა. თითოეული ასეთი გადანწყვეტილება ფასეულობრივი (მათ შორის ეთნო – გენეტიკური და სოციალური) წარმოდგენა-იდენტიფიკაციის საგანი იყო. შესაბამისად, სამართლებრივ ფასეულობათა ჭიდილია მმართველობის ერთპიროვნული და კოლექციური ფენომენების დაპირისპირება, რაც სწორედ საჯარო პასუხისმგებლობის განცდის ეთნო-კულტურული წარმოდგენიდან იღებს სათავეს.

ინსტიტუციურ არჩევანზე დიდი იყო ეთნო-ფასეულობრივი საფუძვლების გავლენა. პოსტსოციალისტური კონსტიტუციები, საერთო ტენდენციებთან ერთად, ინდივიდუალიზმითაც გამოირჩევა, რაც ძირითადად კონკრეტული სახელმწიფოს ისტორიითა და სოციალ-კულტურული, პოლიტიკური ფაქტორებით არის განპირობებული.²⁰ ნაშრომის ეს მცირე ნაწილი ვერ განვდება ფასეულობრივი ფაქტორების სიღრმისეულ კვლევას, თუმცა შევეცდებით, მივაგნოთ ფუნდამენტური მიდგომების საფუძვლებს. კონსტიტუციურ-ფასეულობრივი სისტემის გენეზისი სათავეს ბუნებითი სამართლიდან იღებს და ფასეულობათა დაცვის საგანი არის პიროვნება – როგორც თავისუფალი ინდივიდუმი. კონსტიტუციონალიზმის უარყოფა კი სწორედ არადემოკრატიული სისტემებით (ავტორიტარიზმითა და ტოტალიტარიზმით) ინდივიდუმის თავისუფლების სივრცეში შესვლაა. უმაღლესი ფასეულობა „არის ადამიანი, რომლის გარეშეც, უფლებათა და თავისუფლებათა არსებობა ან არ არსებობა ხდება არაფრის მომცემი“.²¹ ამგვარად, ადამიანი შესაბამისი საზოგადოების ცხოვრების წესის, ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობის შინაარსისა და ფასეულობრივი სისტემის განმსაზღვრელია. „სამართლებრივ-კონსტიტუციური რეფორმის გატარება განუყოფლად უკავშირდება სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ იდეალებს, რომლებიც არსებობს შესაბამის საზოგადოებაში – სახელმწიფოში“.²²

¹⁹ დანვრილებით იხ: ე. მაჩუვი. დასახ. ნაშ.

²⁰ დანვრილებით იხილეთ: კონსტიტუციონალიზმი. ზოგადი შესავალი. წიგნი I. დ. გვეგნავას რედაქტორობით. თბ. 2018. გვ. 41. კ. დიუპრე. დასახ. ნაშ. გვ. 23.

²¹ Г. Комкова Категория „ценность“ в конституционном праве России // Известия Саратовского университета. 2012. Т. 12. Сер. Экономика. Управление. Право, вып. 2. С. 97-98.

²² В. Киреев. о проблеме определения ценностных ориентиров конституционно-правовой реформы.

ინტერნეტწყარო:

ამიტომ, კონსტიტუციის გენეზისი ეთნო-ფსიქოლოგიიდან იღებს სათავეს. „ლეგიტიმურია დასკვნა, რომ თანამედროვე კონსტიტუციებს [...] არ შეუძლიათ არ გაამყარონ მთელი საზოგადოებისათვის თანდაყოლილი ფასეულობები და ინტერესები“.²³ და რადგანაც, საზოგადოება ცოცხალი და მუდამ მზარდი ორგანიზმია, კონსტიტუციური რეფორმა, როგორც ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის უზრუნველყოფი ღონისძიება, განცდილი პოლიტიკური რეჟიმის უარყოფით, საკუთარ თავში ფასეულობათა გადასინჯვაა. სწორედ ამიტომ, ხელისუფლების დანაწილების განსხვავებულ ვარიანტითა შესწავლა მოითხოვს იმ საფუძვლების გარკვევას, რომელთაც განაპირობებს თითოეული ქვეყნის არჩევანი. ფასეულობათა მიმართ განსხვავებული მიდგომები განსხვავებულ გადანყვეტილებებსაც განაპირობებდა. ინსტიტუციური არჩევანის პრობლემამაც წარმოშვა ის მრავალფეროვნება, რითიც ხასიათდება ხელისუფლების ორგანიზაცია პოსტკოტალიტარულ ევროპაში.

ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი სწორედ ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური ფორმაა. ამ ფორმის არჩევანი კი მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. უპირველეს ყოვლისა, არსებითია საზოგადოების კონსერვატიულობის ხარისხი შესაბამისი ტრადიციებითურთ. პრაქტიკულად არც ერთი აღმოსავლური (კონსერვატიული) საზოგადოების არჩევანი არ ყოფილა დაფუძნებული ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ფასეულობებზე. ამ შემთხვევებში, კოლექტიური პოლიტიკური უპასუხისმგებლობის კულტურაზე გაიმარჯვა ინდივიდუალური უპასუხისმგებლობის მოთხოვნილებამ – აზერბაიჯანი, ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია, ცენტრალური აზიის ხუთივე²⁴ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. ინდივიდუალურად უპასუხისმგებლო მმართველობით სისტემებში ვგულისმობთ ხელისუფლების კონცენტრაციის ცენტრად ფიქტიურობამდე სუსტ საპარლამენტო კონტროლს დაქვემდებარებულ პრეზიდენტის წარმოსახვას. ფიქტიურობამდე სისუსტე ვლინდება ლეგიტიმაციის მარტივ – პირდაპირი წესით არჩევაში და მასთან მიმართებით არაპროპორციულად იმპიჩმენტის რთული პროცედურისადმი დაქვემდებარებაში. პრეზიდენტის ხელთ უფლებამოსილებათა კონცენტრაციის ამგვარი ხარისხი ხელისუფლების დანაწილების უარყოფის ფორმაა. აღნიშნული ქვეყნების ინსტიტუციური არჩევანი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრება-განვითარებაზე არსებით გავლენას ჰქონდა ასევე რელიგიური დოგმატიზმის მიმართებაც.²⁵ შესაბამისად, არსებითი იყო საზოგადოებაში მისი განვითარების შესატყვისად დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცედურების არსებობის შინაგანი მოთხოვნილება; ანუ, საზოგადოების სწრაფვა დემოკრატიული სტანდარტების დამკვიდრებისაკენ;

<https://cyberleninka.ru/article/v/o-probleme-opredeleniya-tsennostnyh-orientirov-konstitutsionno-pravovoy-reformy> შემოწმებულია 27.07. 2018.

²³ Б. Эбзеев. Конституция. Демократия. Права человека. Москва – Черкасск. 1992. Стр. 17.

²⁴ მოგვიანებით მოხდა ყირგიზეთის საპარლამენტო მმართველობის მიმართულებით ტრანსფორმაცია.

²⁵ დაწვრილებით იხ: Robley E. George. Socioeconomic Democracy An Advanced Socioeconomic System. Praeger/Greenwood, USA, 2002.

Viktoria Spaiser, Shyam Ranganathan, Richard P. Mann, David J. T. Sumpter. The Dynamics of Democracy, Development and Cultural Values. Published: June 6, 2014. იხ. ინტერნეტყარო:

<https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371%2Fjournal.pone.0097856> [შემოწმებულია: 07.09. 2018].

მეორე – ეს იყო სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე. შედარებით მაღალი სოციალ-ეკონომიკური ინდექსის ქვეყნებში უფრო ჯანსაღ ამბიციად წარმოჩინდა დემოკრატიული ინსტიტუტების ეკონომიკური უზრუნველყოფის ვალდებულების გააზრება.²⁶

ასეთი რადიკალიზებული მიდგომების პირობებში, ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური განხორციელების სისტემაში პრეზიდენტის როლის განსაზღვრისათვის, არსებითი იყო ზღვარის დასვა. თუმცა, რადიკალიზაციის ზომიერებით ბოჭვა შეუძლებელი აღმოჩნდა იმ შემთხვევებში, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია დაეფუძნა სახელმწიფოს განსაკუთრებული როლის იდეას. ეს დადასტურდა პრაქტიკაში ძლიერამოსილი საპრეზიდენტო ვარიაციებით. პოსტსოციალიზმში პრეზიდენტურის დამკვიდრების დღიდან, ხშირად იყო აქტიური არგუმენტები: რეფორმების გატარება, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა.შ. დამკვიდრდა „ძლიერი“ პრეზიდენტის ძლიერ, ანუ ეფექტიან და სტაბილურ ხელისუფლებასთან ასოცირების განცდა. ძირითადი პოლიტიკური ძალების უმრავლესობა თვლიდა, რომ „ძლიერი სახელმწიფო ბაზრის წარმატებული განვითარებისა და მართვის განუყოფელი პირობაა“.²⁷ თუმცა, ამ ფონზე ხშირად ყურადღების მიღმა რჩებოდა ის, რომ „ძლიერი“ სახელმწიფო არის არა „ძლიერი“ ხელისუფლება და მისი პროდუქტი, არამედ თავისუფლებადაცული საზოგადოების შემოქმედება. მაგრამ ამ მიდგომებმა სახელმწიფო ზომამე მეტად აქტიური გახადა; ის გასცდა თავისუფლების უზრუნველყოფის ამოცანას და იკისრა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ამბიცია. კონსტიტუციონალიზმის ნაყოფი – კონსტიტუცია კი არც თონეა, სადაც კარგი „დედას პური“ გამოცხვება და არც – ქვევრი, საიდანაც ცივ ღვინოს ამოიღებ. მხოლოდ კარგი კონსტიტუცია ვერ მოიტანს კარგ მომავალს, მაგრამ ცუდი კონსტიტუციონალიზმის ფასეულობებთან შეუსატყვისი კონსტიტუცია არასამართლებრივი სახელმწიფოს გარანტიაა; მას ყოველთვის თან სდევს პიროვნების თავისუფლების უარყოფა. სამართლიანობაზე დაფუძნებული – კონსტიტუციონალიზმით ნასაზღვროები კონსტიტუცია კი ეფექტიანი მმართველობისათვის არა საკმარისი, მაგრამ ფუნდამენტურად აუცილებელი წინაპირობაა. ანუ ის უფრო იმ მინას ნააგავს, რომელმაც მოვლის ადეკვატური მოსავალი შეიძლება მოგვცეს. რიგმა სახელმწიფოებმა, აღწერილ მიზეზთა გამო, ხელისუფლების პრეზიდენტის ხელთ თავმოყრა მიიჩნიეს წარმატების ვერტიკალურ მექანიზმად. პრეზიდენტის ხელთ ძალაუფლების კონცენტრაციის ხარისხი გვაძლევს მმართველობის დეფორმირებულ ნახევრადსაპრეზიდენტო, იგივე სუპერსაპრეზიდენტო სისტემას.²⁸ ხელისუფლების დანაწილების ასეთი ტოტალური კონცენტრაციით უარყოფა კი ლიბერალური და დემოკრატიული კონსტიტუციონა-

²⁶ დაწვრილებით იხ: რობლი ე ჯორჯი. დასახ. ნამ.

Viktoria Spaiser, Shyam Ranganathan, Richard P. Mann, David J. T. Sumpter. The Dynamics of Democracy, Development and Cultural Values. Published: June 6, 2014. იხ. ინტერნეტყარო:

<https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0097856> [შემოწმებულია: 07.09. 2018].

²⁷ რ. შარლე. დასახ. ნამ. გვ. 60.

²⁸ იხ. კონსტიტუციური სამართალი. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ დემეტრაშვილი. თბ. 2005.

ლიზმის ცალსახა ანტითეზაა. რეფორმების ოპერატიულობასა და უწყვეტობაზე აპელირებული სუპერსაპრეზიდენტო სისტემა, პროფესორ სტივენ ფიშის აზრით, აყოვნებს დემოკრატიზაციის პროცესს მაშინ, როცა დაბალანსებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემები ხელს უწყობს დემოკრატიის კონსოლიდაციას.²⁹ ანდრამ შაიოს მოსაზრებითაც, უშუალოდ ხალხისგან ლეგიტიმირებული „ხალხის მხსნელი... ანგრევს საპარლამენტო კონსტიტუციონალიზმს... ერთპიროვნულ ხელისუფლებასთან გაიგივებული კონსტიტუციონალიზმი ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენს“.³⁰ 1999 წლიდან, ტუჯმანისეული მკვეთარი სუპერსაპრეზიდენტო კონსტიტუციური სისტემის შესაბამისი ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიზაციის გზას დაადგა ხორვატია. ეს ორიენტირი 2000 წელს შესაბამისი კონსტიტუციური ცვლილებებითაც გააფორმა, როდესაც პოსტტუჯმანისეული კონსტიტუციური რეფორმით ხელისუფლების დანაწილების სისტემაში პრეზიდენტის მანამდე დომინირებადი როლი იმგვარად დაკორექტირდა, „რომ პრეზიდენტის შეკავება და კონტროლი განხორციელებულიყო საპარლამენტო მმართველობისთვის დამახასიათებელი მოდელით“.³¹

საქართველოში 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური ცვლილებების შემოქმედთა აზრითაც, პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო რეფორმების უმთავრესი სუბიექტი, ხოლო პარლამენტი კი – მისი პოლიტიკის მყარი მხარდამჭერი.³² ამ ცვლილებებით, რაც მდგომარეობდა უფლებამოსილებათა პრეზიდენტის ხელთ ჭარბ კონცენტრაციაში ხელისუფლების ნიშნულის (არა მხოლოდ აღმასრულებლის) მკვეთრად პრეზიდენტისაკენ გადახრით, მოხდა მისი განსაკუთრებული დამძიმება. მან ზოგად კონსტიტუციურ-ფილოსოფიურ დონეზე საფუძველშივე უარყო ხელისუფლების დანაწილება, რეფორმების ოპერატიულობასა და ეფექტზე ორიენტირებით, ზომაზე მეტად დომინირებადი გახდა კონსტიტუციური ინსტიტუტების „კოორდინირებული“ მოქმედება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. ხელისუფლების სამართლიანი ორგანიზაციის დეფორმაციისა და დისბალანსის გამოსწორების მიმართულებით მოდიოდა ყოველთვის შესაბამისი რეკომენდაციები. 2010 წლის 4-5 თებერვალს, საქართველოში სტუმრობისას, ვენეციის კომისიის თავმჯდომარემ – ჯანი ბუკიკომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს განუცხადა: „მე მახსოვს, როდესაც ჩვენ შევხვდით 2005 წელს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, თქვენ მითხარით, რომ ახლა არის დრო, როდესაც ყველაფერი საკუთარ ხელში უნდა ავიღო. იმ დროს აუცილებელი იყო ქვეყნის გაკონტროლება და ა.შ., მაგრამ მაშინ თქვენ ასევე მითხარით, რომ რამდენიმე

²⁹ Fish, “Postcommunist Subversion: Social Science and Democratization in East Europe and Eurasia, იხილეთ ნაშრომში: Taghiyev, E. A. Measuring Presidential Power in Post-Soviet Countries, Central European University, Budapest, 2005, გვ 16. იხილეთ ინტერნეტწყარო: http://epa.oszk.hu/02300/02341/00003/pdf/EPA02341_ceu_2006_03_11-22.pdf

³⁰ ა. შაიო. დასახ. ნაშ. გვ. 216.

³¹ Veljko Mratović, Branko Smerdel, Arsen Bačić, Jadranko Crnić, Nikola Filipović and Zvonimir Lauc: *Expert Grounds for a Proposal to Amend the Constitution*, *Zbornik Pravnog fakulteta u Zagrebu (Collected Papers of the Zagreb Faculty of Law)*, 50 (5) 393-450 (2000) იხილეთ ნაშრომში UNEXPECTED DEGRADATION: CROATIAN CONSTITUTIONALISM SINCE THE FULL EU MEMBERSHIP, Smelder B. <https://goo.gl/rivvw3> შემოწმებულია: [10.09.18]

³² ვაგეტი „24 საათი“; 22 იანვარი, 2004 წ. #17(566). ეკა კვესიტაძე. „პრეზიდენტის განუსაზღვრელი ძალაუფლება თუ დაბალანსებული ხელისუფლება?“

წელში გადავხედავდით ამ კონსტიტუციას და ახლა ამის დროა“.³³ მისივე თქმით, საქართველო განიცდის დემოკრატიის დეფიციტს, საჭიროა პოლიტიკური კომპრომისის წახალისება და ბალანსის დამყარება სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის. „ვალთარებ, რომ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მკაცრი კონტროლი იყო საჭირო, თუმცა ახლა ამ პოლიტიკის შერბილება და ძალთა გადანაწილება აუცილებელია. ბალანსი დაცული უნდა იყოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. პრეზიდენტის უფლებები უნდა შეიზღუდოს, რის ხარჯზეც პარლამენტის უფლებამოსილება უნდა გაიზარდოს [...]. საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნაკლებობა აქვს, ვგულისხმობ პასუხისმგებლობას. განსხვავებული მოსაზრებები ყოველთვის იქნება, მაგრამ საბოლოოდ ეს კონსტრუქციულობამდე უნდა მივიდეს“.³⁴ ეს ყველაფერი ხდებოდა უკვე ქვეყნის დამძიმებული სამართლებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება მთლიანად საპრეზიდენტო ვერტიკალზეა აგებული (აზერბაიჯანი, ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია, გარკვეულ ეტაპებზე საქართველო და ხორვატია), იქ ხელისუფლების უზურპაციისკენ მიმართული პირველადი ფრაგმენტული ტენდენციები უკვე მყარად განსაზღვრული პოლიტიკური ცხოვრების წესად ჩამოყალიბდა. თუმცა, ამ შემთხვევებში ვერ იქნა დეკლარირებული მიზნები მიღწეული, რითაც აიხსნებოდა საპრეზიდენტო ძლევამოსილებათა მოდელის დამკვიდრება: არ არის ადამიანის უფლებები უმაღლეს რანგში არც აზერბაიჯანში, ბელორუსსა და არც რუსეთის ფედერაციაში, არც მათი ეკონომიკური მდგომარეობა არ არის პროგრესირებული, ხელყოფილია საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და ა.შ. ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემاتيკა პრაქტიკულად არსად „ძლიერ“ საპრეზიდენტო ძალაუფლებას არ აღმოუფხვრია. სადაც თუნდაც ფრაგმენტული გარკვეული ეკონომიკური წინსვლა მოხდა, ის მმართველობები (აზერბაიჯანი, რუსეთი, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიც) ხასიათდება მკვეთრი ავტორიტარიზმით (ან ტოტალიტარიზმით) და შესაბამისად, ცენტრალიზებულად მართული ეკონომიკით. დროის სხვადასხვა მონაკვეთში, სუპერპრეზიდენტალიზმის ხარჯზე, დემოკრატიზაციის მკვეთრი დეფიციტი ტვირთად დააწვა ხორვატიისა და საქართველოს განვითარებას და, ასევე, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

გარდამავალი პოსტსოციალისტური რეფორმების შინაარსი არსებითად განსაზღვრა მისი განხორციელების წინაპირობებმა და ფორმებმა. სხვადასხვა გადაწყვეტილებას კარნახობდა ცვლილების განსხვავებული ფორმებიც – ხელისუფლების განხორციელებაში ლეგიტიმაციის წყვეტილობის გამომწვევი სხვადასხვა ძალადობრივი მეთოდი (ალბანეთი, რუმინეთი, საქართველო), ან მისი მცდელობები (რუსეთის ფედერაცია), თუ „მრგვალი მაგიდის“ ფორმატი, რაც უზრუნველყოფდა ცვლილებების განხორციელებას ლეგიტიმური წყვეტილობების გარეშე (ბალტიის სახელმწიფოები, უნგრეთი, პოლონეთი).

³³ იხ. ინტერნეტწყარო: http://www.myvideo.ge/?video_id=754052 [ბოლო განახლება: 29.07.11. 2018].

³⁴ იხ. ინტერნეტწყარო: <http://itv.ge/?m=16&CID=8270> [ბოლო განახლება: 29.07.11. 2018].

ეს ფაქტორები არა მარტო ასახვას პოულობდა გადანწყვეტილებათა შინაარსზე, არამედ ხელისუფლებას უფრო მყარ საფუძველს უქმნიდა სათანადო ცვლილებათა განხორციელების მიზანდასახულობისა და თანმიმდევრულობისათვის. სპეციფიური იყო ასევე პოსტკონფლიქტური გავლენებიც (კვლავ საქართველო, ხორვატია, სერბეთი).

2. საკითხის გადანწყვეტის ვარიაციები. საპრეზიდენტო ინსტიტუტის მოდელური სხვადასხვაობები

პარლამენტ-პრეზიდენტ-მთავრობის ტრიადაში სახელმწიფოს მეთაურის როლი არსებითია. ტრადიციულად, სწორედ სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის, ასევე სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის „ურთიერთობის თავისებურებები განსაზღვრავს რეალურად სახელმწიფოს მმართველობის ფორმას“.³⁵ ამ ურთიერთობათა სისტემამ „ასევე უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა სისტემაში განონასწორებელი და დაბალანსებული ხელისუფლება“.³⁶ თუმცა, ურთიერთობათა ეს სისტემები სულაც არ არის ერთგვაროვანი. პოსტსოციალისტური კონსტიტუციონალიზმი არ დაემორჩილა საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობებს შორის მწირ არჩევანს. პირიქით, მათი ჭიდილით ჰიბრიდულ მმართველობათა მრავალფეროვანი მოზაიკა მოგვცა სახეზე. პოსტსოციალისტურ ინსტიტუციური არჩევანის განსხვავებულ ვარიაციებში „იკვეთება მმართველობის ფორმის სპეციფიკა, რაც მეტნაკლებად მკაფიოდ ფიქსირებულია სახელმწიფოს მეთაურთან მიმართებით სახელისუფლებო ინსტიტუტების ურთიერთობათა შესწავლისას“.³⁷ მეთიუ შუგარტიც მიიჩნევს, რომ მმართველობის მოდელებს შორის არჩევანი ახალი დემოკრატიების ცენტრალური საკონსტიტუციო საკითხი იყო.³⁸ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მმართველობის სისტემის არჩევანი რთული იყო და ფასეულობათა ჭიდილით ხასიათდებოდა. ამიტომ, მსოფლმხედველობრივი განსხვავებების შესაბამისადაც, პოსტსოციალისტური ევროპის ქვეყნებში პრეზიდენტის ინსტიტუტის დიამეტრალურად განსხვავებული მოდელები აღმოცენდა – „დანყვებული „ხელმძღვანელებიდან“, უბრალო შუამავლებამდე [...] სრულძალაუფლებიანი ხელმძღვანელებიდან, თითქმის დეკორატიულ ფიგურებამდე, რომელთაც სახელმწიფოს მეთაურის ყველა უფლებამოსილებიდან დატოვებული აქვს მხოლოდ „ხელის ჩამორთმევის უფლებამოსილება“.³⁹ ამ ქვეყნების კონსტიტუციები გამოირჩევა მნიშვნელოვანი ინდივიდუალური მახასიათებლებით. პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ შეიტანა არსებითი თუ დეტალურ-

³⁵ გ. კვერენჩილაძე. ქართული კონსტიტუციონალიზმის ნოვაციები: პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური კონსტრუქცია და მიმართების თავისებურებები 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჭრილში. უურნ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა. აპრილი 2012. #5. გვ. 186.

³⁶ ლ. იზორია. „საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ნახევრადსაპრეზიდენტო? გზა დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ“; თბ. 2010. გვ. 38.

³⁷ ი. ტარასოვი. დას. ნაშ.

³⁸ Shugart, Matthew, S., 1993: “Of President and Parliaments”, East European Constitutional Review (2) 1:30-32 იხ. ნაშრომში Kasapovic, M. Parliamentarism and Presidentialism in Eastern Europe, Democratic Transition in Eastern Europe, N5, 1996, გვ. 120.

³⁹ St. Holmes დას. ნაშ. გვ. 55.

პროცედურული⁴⁰ კორექტივები გარკვეული საკითხების გადანყვეტაში. ასე მაგალითად, გერმანულ მოდელზე ორიენტირების მიუხედავად, უნიტარული უნგრეთი ერთპალატიან პარლამენტზე შეჩერდა. ზოგიერთი ინდივიდუალური ცვლილება შემდგომ ამავე სივრცეში ტენდენციად გავრცელდა. მაგ: პარლამენტის დათხოვნის საფუძვლებისა თუ კაბინეტის უნდობლობის ინიცირების რეგლამენტაციები, რაც მმართველობის ამ საპარლამენტო თუ შერეულ მოდელს განასხვავებს მათ პირვანდელ ევროპულ წინამორბედთაგან.⁴¹

ხელისუფლების ორგანიზაციისადმი აღნიშნული ფასეულობრივად ფუნდამენტური განსხვავებების მიუხედავად, კონსტიტუციურ-შემოქმედებითმა პროცესებმა ცხადყო, რომ ინსტიტუციური არჩევანისას ორი ფუნდამენტური განმსაზღვრელი ფაქტორი გამოიკვეთა:

1. ევროპაში უკვე ტრადიციული დემოკრატიის შესაბამისად, ყველა ქვეყანაში განიხილებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის კაბინეტური ფორმა. თუმცა, არსებითი განმასხვავებელი იყო მის გვერდით პრეზიდენტის როლი;
2. საკონსტიტუციო პროცესები ცხადყოფდა, რომ პრეზიდენტის როლისადმი განსხვავებული ხედვის მიუხედავად, საერთო იყო აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის უზრუნველყოფის მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი ნათლად არის გამოკვეთილი კონსტიტუციათა ტექსტებში – იმ დებულებებში, რომლებიც მთავრობის სტაბილურობის დაცვას ეხება.

ეს საერთო ტენდენციები გვაძლევდა პრეზიდენტის სხვადასხვა მოდელურ ვარიაციას და მმართველობის შესაბამის სისტემებს. ამ ტენდენციათა ფარგლებში კი გამოიკვეთა აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის უზრუნველსაყოფი ოთხი ფორმა:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმით კაბინეტ-პრეზიდენტს შორის, რამაც მოგვცა მმართველობის (ნაკლებ გავრცელებული) ტიპური ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემები: რუმინეთი, პოლონეთი, უკრაინა;
2. საპრეზიდენტო არბიტრაჟით აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის დაცვა: ლიეტუვა, მოლდოვა, საქართველო (2013-2018 წწ.) და ხორვატია. ეს ჩამოყალიბდა შერეული მმართველობის შედარებით ახალ – ნახევრადსაპარლამენტო სისტემად;
3. ყველაზე მრავალრიცხოვანი, საპარლამენტო მმართველობათა რაციონალიზებული პარლამენტარიზმით გამყარებული მთავრობის სტაბილურობის გარანტიების დამკვიდრება: ბულგარეთი, საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი;

⁴⁰ პოსტსოციალისტური კონსტიტუციების უმრავლესობა, ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხში სწორედამ რომ პროცედურული კონსტიტუციები არიან.

⁴¹ დაწვრილებით იხ: ფ. ლოვო. პარლამენტარიზმი. თბ. 2005. გვ. 55-58.

4. ფორმალურად დამოუკიდებელი, თუმცა, ფაქტობრივად პრეზიდენტის ნებით ფორმირებული და არსებითად მასზე დამოკიდებული, პრეზიდენტისავე უფლებამოსილების ვადით დაცული და პარლამენტის სუსტ კონტროლს (პასუხისმგებლობას) დაქვემდებარებული კაბინეტი. ამ უკანასკნელმა, ხელისუფლების პრეზიდენტის ხელთ კონცენტრაციით, უარყო მისი დანაწილება. ამ ფორმით, სახეზე მოგვცა კონსტიტუციონალიზმთან ზურგმეჭყეული, საპრეზიდენტო ძლევამოსილებაზე აგებული დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო (სუპერსაპრეზიდენტო) რესპუბლიკა: აზერბაიჯანი, ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია; საქართველო (2004-2013 წწ.), ხორვატია (1991-2000 წწ.), ცენტრალური აზიის სახელმწიფოები (ყირგიზეთი 2010 წლის 27 ივნისის კონსტიტუციის⁴² მიღებამდე). ამ სისტემაში, პრეზიდენტი გვევლინება არა მხოლოდ მთავრობის „უფროსად“, არამედ ის ფლობს მძლავრ საკანონმდებლო უფლებამოსილებებსაც – როგორც ფართო სამართალშემოქმედებითი, ასევე საკანონმდებლო ორგანოზე გადამწყვეტი გეგავლენის შესაძლებლობების ჩათვლით.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხვედრითი ურთიერთმიმართების მსოფლმხედველობრივმა დაპირისპირებულობამ, როგორც აღვნიშნეთ, პოსტსოციალისტურ დემოკრატიებში პრეზიდენტის განსხვავებული მოდელის აღმოცენება და შემდგომი გავრცელება განაპირობა. მსოფლმხედველობრივი სხვადასხვაობითა და წინააღმდეგობებით გაჯერებულ პოსტსოციალისტურ კონსტიტუციონალიზმში ზოგი „ძლიერ“ საპრეზიდენტო რესპუბლიკას პოტენციურად წარმატებული სახელმწიფოსათვის აუცილებელ წინაპირობად, საპარლამენტო სისტემას კი სუსტი სახელმწიფოს სინონიმად მიიჩნევდა. ამიტომ, ახალგაზრდა პოსტკოტალიტარულ დემოკრატიებში საზოგადო-პოლიტიკურ პროცესებში სახელმწიფოსა და ხელისუფლების როლის ხედვის შესაბამისად, „ყველა გარდამავალ სიტუაციაში, ცენტრალური საკითხი სწორედ საპრეზიდენტო სისტემისა და პარლამენტარიზმის დამცველთა ბრძოლა იყო“.⁴³ როგორც აღვნიშნეთ, რეფორმების ოპერატიულობა შესაბამისი ინსტიტუციური სტაბილურობით ახსნილ „მტკიცე“ საპრეზიდენტო ხელისუფლებას მოითხოვდა. ეს ჭიდილი ზოგჯერ შუალედური კონსენსუსით მთავრდებოდა ხოლმე და ვიღებდით სხვადასხვა ვარიაციის შერეულ მმართველობებს. „მტკიცე ძალაუფლების“ ფენომენტთან ნაზიარებ პოსტსაბჭოთა მენტალობაში მაინც ძლიერი იყო ხელისუფლების ცენტრალიზმისაკენ მიდრეკილება. სწორედ ამან განაპირობა, რომ პოსტკომუნიზმში ბევრგან „დომინირებადი იყო საპრეზიდენტო ხელისუფლების აბსოლუტური პრიორიტეტის ტენდენცია“.⁴⁴ ცხადია, სხვადასხვა კულტურაში, ფასეულობრივი საფუძვლებიც გამოირიცხავდა ინსტიტუციური არჩევანის ერთგვაროვნებას. არჩევანის გაკეთებისას სწორედ ფასეულობრივად ფუნდამენტური იყო, რომ საზოგადოების სრულიად ახალი – არა კოტალიტარული, ლიბერალიზებული დემოკრატიული

⁴² იხ. ინტერნეტყარო: http://www.gov.kg/?page_id=30199&lang=ru

⁴³ Медушевский А. Теория Конституционных циклов. М. 2005. Стр. 267.

⁴⁴ Медушевский А. Президент и правительство: как стабилизировать дуалистическую систему. Русский Журнал. Май, 2008. Стр. 72.

ორგანიზაციის სიცოცხლის უზრუნველყოფა (ხელისუფლების დანაწილების სახით) მომხდარიყო შესაბამისი სახელმწიფო ინსტრუმენტების სისტემის ცვლილებით.

pouvoir constituant დამფუძნებელი ძალაუფლება.²⁵ სიეისის ამ სამწევროვან სისტემას კონსტანტიმ მეოთხე ძალა – pouvoir neutre დაუმატა.

სიეისმა 1795 წლის 5 აგვისტოს ვრცელი მოხსენება წარმოადგინა. იგი ამბობდა: „როდესაც საჯარო მოხელე მისთვის მინდობილ უფლებამოსილებას გადაამეტებს, ან წესდებას უგულვებელყოფს, არღვევს კონსტიტუციას“.²⁶ ეს საკითხები კი საკონსტიტუციო უიურიმ უნდა განიხილოს. სიეისი jury constitutionnaire-ის იზოლირებულ (isolierter Institution) ინსტიტუტს უწოდებს.²⁷

მან მოხსენებას 17 მუხლიანი საკონსტიტუციო კანონის პროექტი დაურთო,²⁸ რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის სისტემას და მის უფლებამოსილებას განსაზღვრავდა. პროექტის პირველი მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო უიური წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც კონსტიტუციის დამცველი²⁹ ორგანო. სიეისი პროექტში განსაზღვრავს მისი არჩევის წესს. მე-6 მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო უიურის უფლებამოსილება უნდა ყოფილიყო საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. უიურის ბათილად უნდა გამოეცხადებინა ის აქტები, რომლებიც მიღებული იყო სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების მიერ: ძველი საბჭო, ხუთასთა საბჭო, საარჩევნო ყრილობები, ან საკასაციო სასამართლო. გარდა ამისა, საკონსტიტუციო უიურის უნდა ემსჯელა უმცირესობის მიერ წარდგენილ საჩივრებზე უმრავლესობის მიმართ, რომლებიც აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოებში მოღვაწეობდნენ და ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო. პროექტის მე-7 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო უიურის გადაწყვეტილებები წარმოდგენდნენ როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებებს (Urteil). პროექტში ყურადღებას იპყრობს მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, უიურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, მიღებისთანავე ძალაშია და იმთავითვე იწვევს აქტის ბათილად გამოცხადებას. საკონსტიტუციო უიურის უფლებამოსილებაში, ასევე კონსტიტუციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე წინადადებების წარდგენაც შედიოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უიურის საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო.

სიეისის დოქტრინის მცირედი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინა ფრანგებისაა. ამერიკელებმა ამ მოდელის როგორც იდეის მატერიალიზებას შეუწყვეს ხელი. სიეისმა არამხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის კონცეპტს ჩაუყარა საფუძველი, არამედ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი ჩამოაყალიბა. სიეისთან იდეის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობასთან გვაქვს საქმე, რომლის მხოლოდ ხორცშესხმა იყო საჭირო.

²⁵ იულიუს ჰაჩეკი. თანამედროვე დემოკრატიის უფლება. თბილისი. 2016.

²⁶ Emmanuel Joseph Sieyès. S. 334.

²⁷ იქვე. S. 333.

²⁸ Über die Verfassungsjury.

²⁹ გერმანულად: Hüter der Verfassung. ფრანგულად: gardien constitutionnaire.

3. მონარქი როგორც *pouvoir neutre* (1815 წელი)

ა) კონსტანტის ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა

ბენჟამინ კონსტანტი დაიბადა 1767 წელს დასავლეთ შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში. ის აქტიურ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მისმა პრომეხმა წარუშლელი კვალი დატოვეს ევროპული პოლიტიკური კულტურის ისტორიაში. ისინი თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების პრობლემებს ეხება. წარმოუდგენელია მოდერნისტული ევროპული პოლიტიკური აზროვნება კონსტანტის გარეშე. მისი პოლიტიკური თეორიის ცენტრალური თემა ინდივიდის თავისუფლებაა. 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ კონსტანტი მხარს უჭერდა საფრანგეთის მეფეს ლუი ფილიპეს (Louis-Philippe). კონსტანტი 1830 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია პარიზში.³⁰

მისი მრავალრიცხოვანი პრომეხებიდან ყველაზე მეტად ცნობილია „Principes de politique“³¹, რომელიც 1806 წელს დაწერა და 1815 წელს გამოსცა ფრანგულ ენაზე. იგი დღემდე წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერებისა და ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ უმთავრეს იდეურ წყაროს. იგი *pouvoir neutre* - ის მოდერნისტულ საკითხს ეხება მე-II თავში: „სამეფო ხელისუფლების ბუნება კონსტიტუციურ მონარქიაში“.³² აღსანიშნავია, რომ წიგნის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი ქართულ ენაზე დედნიდან პირველად ითარგმნა და ქვეყნდება ამ კრებულში. მნიშვნელოვანია კონსტანტის კონცეფცია, როგორც მეოთხე ხელისუფალის, ისე ზოგადად ძალაუფლებათა გამიჯვნის პრინციპის რეალიზაციის თაობაზე.

კონსტიტუციური მონარქია, რომლის მთავარ იდეოლოგიად სწორედ ბენჟამინ კონსტანტი მიიჩნევა, წარმოიშვა მე-19 საუკუნეში.³³ ტერმინი „კონსტიტუციური მონარქია“ - „monarchie constitutionnelle“ - პირველად სწორედ მან გამოიყენა თავის შრომაში „Principes de politiques“ - ში³⁴. მისთვის სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან საუკეთესოა კონსტიტუციური მონარქია, ვინაიდან, მხოლოდ კონსტიტუციური მონარქიის პირობებშია სამართლიანობა შენარჩუნებული.³⁵

ამ ნაშრომში იგი პოლიტიკური სისტემის საკვანძო საკითხებს ეხება. კონსტანტი სახალხო სუვერენიტეტის იდეის მომხრეა. მისი აზრით, წარმომადგენლების ლეგიტიმაცია საარჩევნო სისტემას უნდა ეფუძნებოდეს და ყველა მოქალაქის ინტერესებს წარმოადგენდეს.

³⁰ Handbuch der Politischen Philosophie und Sozialphilosophie. Herausgegeben Stefan Gosepath, Wilfried Hinsch und Beate Rössel. Band 1. A-M. 2008. S. 195.

³¹ წიგნის სრული სათაურია: „Principes de politique applicables à tous les gouvernements représentatifs“.

³² „De la nature du pouvoir royal dans une monarchie constitutionnelle“.

³³ Tobias Friske, Staatsform Monarchie. Was unterscheidet eine Monarchie heute noch von einer Republik? 2007. S. 46.

³⁴ Monarchie: in: Geschichtliche Grundbegriffe. Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland. Herausgegeben von Otto Brunner, Werner Conze und Reinhard Koselleck. Band 4. 1978. S. 192.

³⁵ Benjamin Constant. Principes de politique. Paris. 1815. გვ. 41.

კონსტანტისთან მეფე ნეიტრალური ხელისუფალია (pouvoir neutre), რომელიც სხვა ძალაუფლებაზე მაღლა დგას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ძალაუფლებათა ბალანსს. თუმცა „პოლიტიკის პრინციპების“ გამოცემამდე, მას 1795-1810 წლებში დანერგილი ჰქონდა წიგნი – „Fragments”,³⁶ რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა. კონსტანტი სწორედ ამ ხელნაწერში ავითარებს პირველად ნეიტრალიტეტის შესახებ კონცეპტს. კონსტანტი „პოლიტიკის პრინციპებში“ ახდენს pouvoir neutre-ის განვითარებული თვალსაზრისის მიხედვით კონსტიტუციური მონარქების როლის ინტერპრეტაციას. „Fragments“-ში კონსტანტი ნეიტრალურ ხელისუფალს ძლიერ კომპეტენციებს მიაკუთვნებს, ხოლო „Principes de politique“ – ში კი საუბრობს ძალაუფლების შებოჭვის აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, რომ ის სათუქველს უყრის სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს.³⁷

ბ) კონსტანტის კონცეპტის მნიშვნელობა

ბენჟამინ კონსტანტის იდეებს შორის ერთერთი გამორჩეული ადგილი pouvoir neutre – ის კონცეპტს უჭირავს. კონსტანტის იდეა კლასიკური იდეაა. pouvoir neutre – ის მოძღვრებამ სამეცნიერო და პუბლიცისტურ დისკუსიებში საოცარად უწყვეტი როლი და გავლენა შეასრულა³⁸. თამამად შეიძლება ითქვას, რომ pouvoir neutre – ის თემა ამონურული არაა, ვინაიდან მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან, ანუ ამ იდეის დაბადებიდან დღემდე ეს მოძღვრება ახალ-ახალი შტრიხებით ივსება, მდიდრდება და თავის ეპოქალურ აქტუალობას არ კარგავს. კონსტანტის თეორიას ისტორიულად როგორც მონინაალმდეგეები, ისე მომხრეები ჰყავდა. მონინაალმდეგეების აზრით, ადრეული კონსტიტუციონალიზმის ეპოქაში, კონსტანტის თვალსაზრისი მონარქის ძალაუფლების შებოჭვის თაობაზე, არ იყო მტკიცე. თუმცა ამ იდეას საპირისპირო თემა გამოუჩნდა, რომლის მიხედვით pouvoir neutre – იმ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულა ტრანსფორმაციის პროცესში – აბსოლუტუზმიდან დემოკრატიაზე გადასვლის დროს³⁹.

გ) კონსტანტის კონცეპტის იდეური წყაროები

ყველა ავტორი, რომელიც კონსტანტის მოძღვრებას შეისწავლის, ეხება ამ მოძღვრების იდეურ წყაროებსაც. აღსანიშნავია, რომ, ისტორიული თვალსაზრისით, ყოველი განმანათლებლის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება კონსტიტუციონალიზმში ორ ფაქტორს ემყარება: საკონსტიტუციო პრაქტიკას და მანამდე გავრცელებულ იდეებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტის pouvoir neutre – ის მოძღვრებას საფუძვლად დაედო, ერთი მხრივ, ანტიკური პერიოდისა და ინგლისის სახელმწიფო მმართველობის

³⁶ წიგნის სრული სათაურია: „Fragments d'un ouvrage abandonné sur la possibilité d'une constitution républicaine dans un grand pays“.

³⁷ Florian Weber. S. 280.

³⁸ Werner Link. S. 3.

³⁹ Florian Weber. S. 286.

გამოცდილება, მეორე მხრივ, კი განმანათლებელთა შეხედულებები. თავად კონსტანტს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ ისაა ამ მოძღვრების სულიერი მამა. ის იმონუმებს ხშირად საფრანგეთის ეროვნული ყრილობის ორგზის ხელმძღვანელის სტანისლავ კლერმონტ-ტონნერეს სიტყვებს – მონარქი pouvoir regulateur-ია.⁴⁰

რამ აიძულა კონსტანტი pouvoir neutre – ის იდეამდე მისულიყო? ვინაიდან, ინგლისში დაწერილი კონსტიტუციის სახით არ გააჩნიათ პარლამენტის შემაკავებელი მექანიზმი, კონსტანტი ცდილობს ნეიტრალური, შემაკავებელი ფუნქცია მონარქის პერსონაში ეძიოს.⁴¹ აქედან გამომდინარე, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონსტანტისთვის იდეური წყარო ინგლისის მონარქია იყო. ისტორიული თვალსაზრისით, კონსტანტის აზრი არ უნდა იყოს ახალი,⁴² ვინაიდან მე-19 საუკუნის ინგლისის პრაქტიკაში მონარქი, როგორც pouvoir mitoyen, მედიატორის როლს ასრულებდა ლორდებსა და კომუნებს შორის.⁴³

გეორგ ელინევი კონსტანტის მოძღვრებას ეხება და ამბობს, რომ ეს კონცეპტი ინგლისის მეფის უფლებამოსილებების მაგალითზე ჩამოყალიბდა.⁴⁴ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ინგლისურმა სამართალმა.⁴⁵ ეს თავისთავად ჩანს მის შრომაში, სადაც ის არგუმენტაციის ნაწილში იმონუმებს როგორც ინგლისის, ასევე ანტიკური პერიოდის სახელმწიფოთა მმართველობის მაგალითებს. ინგლისის მონარქია აყალიბებს ნეიტრალურ და შუალედურ ხელისუფლებას: იგი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან გამიჯნული სამეფო ხელისუფლებაა.⁴⁶ სწორედ აქედან გამომდინარე, კონსტანტისათვის pouvoir neutre – ის ნიმუში იყო კონსტიტუციური მონარქია, ხოლო „მეოთხე ხელისუფალი“ კი მონარქი.⁴⁷

ინგლისური მოდელი განმანათლებელთა მთელი თაობის შთაგონების უმთავრეს წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ. ინგლისში მრავალი ათწლეულის განმავლობაში მნიფდებოდა ის იდეები, რომლებიც ასულდგმულებდა ფრანგ განმანათლებლებს, ამერიკის დამფუძნებელ მამებს.⁴⁸ მაგალითად, მონტესკიე ინგლისური სისტემის თაყვანისმცემელია. ის აღნიშნავდა, რომ იმუამინდელ ინგლისში არსებული სისტემა ყველაზე სრულყოფილი იყო და იგი ყველაზე ახლოს იდგა მის შეხედულებებთან.⁴⁹

კონსტანტი უფრო შორს მიდის და pouvoir neutre – ის ფესვებს ანტიკურ ეპოქაში ეძებს: აეროპაგი, ეფორთა საბჭო და სენატი pouvoir neutre – ის ნიმუშებს წარმოადგენენ.

⁴⁰ Lothar Gall. S. 248-249.

⁴¹ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. in: Der Staat 3. 1964. S. 214.

⁴² Andreas Timmermann. S. 179.

⁴³ იქვე. S. 179. ტიმერმანის ციტირება ჰოლმეს წიგნიდან: Benjamin Constant and the Making of Modern Liberalism. New Haven 1984. S. 144.

⁴⁴ Georg Jellinek. Allgemeine Staatslehre. 1922. S. 605.

⁴⁵ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. S. 214.

⁴⁶ Benjamin Constant. გვ. 43.

⁴⁷ Karl Doehring. “Pouvoir neutre” und das Grundgesetz. S. 202.

⁴⁸ ზურაბ უვანია. ჩვენი თაობის პრივილეგია. გვ. 32.

⁴⁹ ზურაბუვანია. გვ. 39.

ანტიკური პერიოდის ყრილობები, როგორც ბრძენთა ან მრჩეველთა საბჭოები უზრუნველყოფდნენ დავის მოწესრიგებას სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ ჯგუფებს შორის და თავიანთი ავტორიტეტის ლეგიტიმაციის წყალობით გამოქონდათ პოლიტიკურად სავალდებულო გადაწყვეტილებები.⁵⁰ კონსტანტი, აგრეთვე ეხება კართაგენელების სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებას.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ კონსტანტის სტიმულირება მონტესკიეს მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრებით იყო გამოწვეული. მისი აზრით, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ძალა, რომელიც ხელისუფლების შტოებს შორის შუამავლის როლს შეასრულებს და იზრუნებს ბალანსისათვის. მაგრამ მონტესკიე ამ ფუნქციას არა თუ მონარქს, არამედ ქვედა პალატას აკისრებს – მას უნდა უზრუნველყო მთავრობასა და პარლამენტს შორის ბალანსი.⁵¹

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნეიტრალურ ძალაზე საუბრობდა ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი ჰენრი საინტ-სიმონი (1760-1825) თავის შრომებში, რომლის მიხედვით ნეიტრალური ძალაუფლების მქონე სუბიექტი მონარქი უნდა ყოფილიყო. კონსტანტისა და სიმონის თეორიებს შორის ორმხრივი გავლენები მეცნიერთა მიერ ჯერ არაა შესწავლილი.⁵²

დ) კონსტანტის კონცეპტის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

მეფე დამოუკიდებელი პერსონაა, სხვადასხვა თვალსაზრისზე მალლა მდგომი, რომლის მიზანი მხოლოდ წესრიგისა და თავისუფლების შენარჩუნებაა.⁵³ მონარქი მიუმხრომლობის სიმბოლოა. ამავე დროს, სახელმწიფოს მეთაური შტოებს შორის ყველაზე მეტად შემწყნარებელია. კონსტანტის აზრით, მონარქი, რომელიც ნეიტრალური არაა, საშიშია.⁵⁴ რატომ დასჭირდა მას მონარქისგან ნეიტრალური ფიგურა გამოეძერწა? კონსტანტი ფიქრობს, რომ მონარქმაც შესაძლებელია ბოროტად გამოიყენოს თავისი ძალაუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ის დარწმუნებულია მონარქის სრულყოფილებაში. თუმცა კონსტანტი არაფერს ამბობს, კონკრეტულად თუ როგორ უნდა იქნეს შებოჭილი თვით მონარქი როგორც *pouvoir neutre* და როგორც ხელისუფლების „მეთხე“ შტო. მისი შებოჭვა სწორედ მის „ნეიტრალიზებაშია“. მონარქი, კონსტანტის მიხედვით, არ უნდა განსაზღვრავდეს პოლიტიკური საქმიანობის დღის წესრიგს.⁵⁵ *pouvoir neutre* – ის კონსტანტისეული იდეა „მომრიგებლის როგორც პრინციპის“ გამოხატულებაა.⁵⁶

⁵⁰ Florian Weber. S. 269.

⁵¹ Lothar Gall. S. 251.

⁵² იქვე. S. 253.

⁵³ Benjamin Constant. გვ. 40.

⁵⁴ იქვე. გვ. 57.

⁵⁵ Jürgen Hartmann. Streiter oder Integrator? Zur aktuellen Rollenbestimmung des Bundespräsidenten im Vergleich mit anderen Staatsoberhäuptern. in: Gegenwart Kunde. Zeitschrift für Gesellschaft, Wirtschaft, Politik und Bildung. 43. Jhargang 1994. S. 9.

⁵⁶ Florian Weber. S. 268.

პრესაში და სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებში, მათ შორის პარლამენტებში, ხშირად იყო დასმული კითხვა: რა როლი უნდა შეასრულოს მომავალში მონარქმა?⁵⁷ ეს იყო ის, რაზეც პასუხის გაცემა თეორიულ დასაბუთებას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ მონარქის მიმართ არსებობდა „სკეპტიკური“ დამოკიდებულება, ის მაინც რჩებოდა, როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქციის შემსრულებელი. კონსტანტის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ მან მონარქის არსებობის აუცილებლობისათვის ყველაზე მტკიცე და არგუმენტირებული თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბა. *pouvoir neutre* – ის კატალიზატორის როლი მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოს უწყვეტობა და ამ დროს მონარქის როლი განსაკუთრებულია.⁵⁸

კონსტანტის აზრით, *pouvoir neutre* – ის უნდა იყოს „უბრძნესი“ ინსტანცია.⁵⁹ *pouvoir neutre* გონიერი და მიუკერძოებელი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი პოლიტიკურად აქტიურ საქმიანობას არ ეწევა.⁶⁰ კონსტანტის იდეის მთავარი არსი შემდეგშია: ერთი მხრივ, შებოჭოს მონარქის მოჭარბებული ძალაუფლება და, მეორე მხრივ, მონარქისგან გამოიყვანოს ხელისუფლების დამოუკიდებელი, დამაბალანსებელი შტო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თუ აღრე იდეები მონარქის შეზღუდვაში მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული, კონსტანტიდან მოყოლებული მონარქი, პირიქით, წარმოდგენილია, როგორც ძალაუფლებათა შუამავალი, რომლის მთავარი ფუნქციაა აღკვეთოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. მონარქი საკუთარ სამართლებრივ ტიტულატურას იღებს არა ღვთის წყალობით, არამედ კონსტიტუციის ძალით.⁶¹ შესაბამისად, ის კონსტიტუციითაა შებოჭილი. სწორედ, ამიტომ ამ სისტემას „კონსტიტუციურ მონარქიას“ უწოდებენ.

კონსტანტის მიერ *pouvoir neutre* – ის მოძღვრება, პირველ რიგში, მიზნად ისახავდა ეს ინსტიტუტი წარმოეჩინა როგორც „ძალის“ „შემაკავებელი და გამაწონასწორებელი“. კონსტანტი აღნიშნავდა, რომ ყველა კონსტიტუცია თითქმის უარყოფს *pouvoir neutre* – ის და მთელ ძალაუფლებას პოლიტიკურად აქტიურ ხელისუფლებას მიაკუთვნებს. ამით „შესაძლებელია მივიღოთ როგორც პარლამენტის ტირანია, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების დესპოტია“.⁶² *pouvoir neutre* – ის მოძღვრების არსი იმაში კი არაა, რომ მან სხვა ხელისუფლებები შეცვალოს ან მათ ფუნქციებს დაეუფლოს, არამედ უნდა შეეძლოს მათ ძალაუფლება ჩამოართვას, თუ ისინი მას ბოროტად გამოიყენებენ.⁶³

⁵⁷ Lothar Gall. S. 250.

⁵⁸ Florian Weber. S. 286.

⁵⁹ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. S. 204.

⁶⁰ Juliane Kokott, Der *pouvoir neutre* im Recht der Europäischen Union. in: ZaöRV 69. 2009.S. 276.

⁶¹ Lothar Gall. S. 247.

⁶² Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. S. 203.

⁶³ იქვე. S. 203.

კონსტანტის აზრით, სამეფო ხელისუფლება (pouvoir royal) ნეიტრალური ხელისუფლებაა (pouvoir neutre)⁶⁴ და კონსტიტუციურ მონარქიაშია მხოლოდ მისი არსებობა შესაძლებელი. მონარქის მიზანია ხელისუფლებათა კოორდინაცია და ურთიერთშეთანხმება.⁶⁵ კონსტანტი ვრცლად ეხება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ძალაუფლებათა ბოროტად გამოყენების საკითხს. მისი აზრით, სწორედ მონარქს შეუძლია მხოლოდ შეაკავოს ხელისუფლება და არ მისცეს მას თვითნებურად მოქმედების საშუალება. ნეიტრალური ხელისუფლების არსებობა აუცილებელია თავისუფლებისათვის. მეფე ყველაფერზე მაღლა დგას. მისი მიზანია წერსიგისა და თავისუფლების შენარჩუნება. მეფის ყოველგვარი უპირატესობა მაშინ იკარგება, როცა მონარქი დაჰყავთ აღმასრულებელი ხელისუფლების დონემდე, ან როცა აღმასრულებელი ხელისუფლება აჰყავთ მონარქის დონემდე.

კონსტანტი ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას შეუძლია ძალაუფლება ბოროტად გამოიყენოს, ასეთ შემთხვევაში ორივე ხელისუფლება უნდა შეიბოჭოს. ამავდროულად კონსტანტი ირწმუნება, რომ ძალაუფლებათა შებოჭისთვის მხოლოდ ძალაუფლებათა ფრთხილი გამიჯვნა და ორმხრივი კონტროლი არაა საკმარისი, შებოჭვა არც სასამართლოს ჩართვით მიიღწევა. კონსტანტის მიხედვით, როდესაც საზოგადოებაა დასაცავი სამოქალაქო ომისგან, როდესაც პარლამენტსა და მთავრობას შორის კონფლიქტი მწვავედება, როდესაც მოქალაქეთა ბუნებითი უფლებები ირღვევა, უნდა არსებობდეს შუამავალი, მათგან განსხვავებული ინსტანცია, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციურ წერსიგს და დაიცავს თავისუფლებას. ასეთი შტო ხელისუფლებისა, წარმოდგენილია როგორც შუამავალი, ნეიტრალური ძალა ან „დამცავი ძალა“. ამ თვალსაზრისით იგი წერსიგის, კონსტიტუციური უფლებების დამცველია. საფრანგეთის ეროვნული ყრილობის ორგზის პრეზიდენტი სტანისლავ კლერმონტ-ტონნერე (1747-1792) აღნიშნავდა, რომ მონარქი არის “pouvoir regulateur” და ის აღნიშნულ ფუნქციებს ვეტოსა და შეწყალების უფლების გამოყენებით ახორციელებს.⁶⁶ ეს დოქტრინა მისაბაძი აღმოჩნდა რესპუბლიკისთვისაც. 1799 წლის საფრანგეთის კონსტიტუცია აღიარებდა ყრილობას – „Senat conservateur“, რომლის თანახმად, ერთი მხრივ, იგი ხელისუფლებათა მაღლა იდგა, მეორე მხრივ, მას უნდა უზრუნველყო ძალაუფლებათა ბალანსი.⁶⁷

კონსტანტმა შეძლო მონარქის პოზიციისათვის სისტემური ფორმა მიეცა. ბენუამინ კონსტანტიმ ბიძგი მისცა pouvoir neutre – ის ინსტიტუციურ გარდაქმნას, რომელიც კონსტიტუციური არასტაბილურობის შედეგი უფრო იყო.⁶⁸ ამ თვალსაზრისით ის არ იცავს

⁶⁴ Benjamin Constant. გვ. 34.

⁶⁵ Benjamin Constant. გვ. 35.

⁶⁶ Andreas Timmermann. S. 179.

⁶⁷ Lothar Gall. Benjamin Constant. Seine politische Ideenwelt und der deutsche Vormärz. 1963. S. 168.

⁶⁸ Florian Weber. S. 269.

მტკიცედ, ერთი მხრივ, არც „მონარქიულ პრინციპს“ და, მეორე მხრივ, არც მონარქს განიხილავს როგორც დეგრადირებულს უმაღლესი სახელმწიფო მოხელის დონემდე.⁶⁹

კონსტანტისთან *pouvoir neutre* არ მიეკუთვნება პასუხისმგებელ ხელისუფლებას (*responsible government*).⁷⁰ მონარქის ხელშეუხლებლობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტია. იმისათვის, რომ მონარქი იყოს ნეიტრალური, ის არავის წინაშე არ უნდა აგებდეს პასუხს და მისი ფიზიკური ხელშეუხლებლობის უფლების დარღვევა არავის არ უნდა შეეძლოს.

კონსტანტი ახდენს *pouvoir neutre* – ის უფლებამოსილებათა იდენტიფიცირებას. აქ საქმე არ ეხება ახალი კომპეტენციების შემოღებას. თავისთავად, კონსტანტის მიერ დაჯგუფებული უფლებამოსილებები ისტორიულად მონარქის დისკრეციულ უფლებამოსილებათა მნიშვნელოვან კატალოგს ქმნიდნენ. ის მონარქის ახალ კომპეტენციებზე არ საუბრობს. ამ თვალსაზრისით კონსტანტის კონცეპტი არაა სიახლე.

კონსტანტის აზრით, ის, რაც *pouvoir neutre* – ის იდეისთვისაა მთავარი და არსებითი, შემდეგია:

- მეფის ხელშეუხლებლობა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება;
- მინისტრების დანიშვნა და გადაყენება;
- აბსოლუტური ვეტოს უფლების გამოყენება;
- პარლამენტის პალატების მოწვევა და დათხოვნა;
- მოსამართლეების დანიშვნა;
- შეწყალების უფლების გამოყენება;
- გადანყვეტილების მიღება ომისა და მშვიდობის საკითხებზე.⁷¹

რაც შეეხება *pouvoir neutre* – ის თვისებებს. კონსტანტის იდეების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მისთვის ნამდვილი *pouvoir neutre* ღირსეული მონარქია, რომელიც მაღალი მორალური თვისებებითა და ავტორიტეტით უნდა იყოს შემკული.

4. პრეზიდენტი როგორც *pouvoir neutre* (1928 წელი)

კონსტიტუციონალიზმის ერთერთი კლასიკოსი კარლ შმიტი კონსტანტის მოძღვრებას აფასებს და ამბობს, რომ მე-19 საუკუნის კონსტიტუციის ისტორიაში ბენჟამინ კონსტანტის მიერ დამკვიდრებული „განსაკუთრებული მოძღვრება“⁷² არსებითად ბურჟუაზიული

⁶⁹ Lothar Gall. S. 256.

⁷⁰ Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden *pouvoir neutre*. in: ZaöRV 69. 2009.S. 312.

⁷¹ Karlheinz Rode. Die Ausfertigung der Bundesgesetz. Berlin. 1968. S. 71.

⁷² Carl Schmitt. Der Hüter der Verfassung. Fünfte Auflage. Berlin. 2016. S. 132.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციის თეორიას მიეკუთვნება, რომელიც სიტყვასიტყვით იყო ცალკეულ სახელმწიფოთა კონსტიტუციაში რეცეფცირებული.⁷³

კარლს შმიტთან ნეიტრალიტეტის ცნება ერთ-ერთი ცენტრალური თემაა.⁷⁴ *pouvoir neutre* – ის განიხილავს, ჯერ კიდევ, 1928 წელს გამოცემულ წიგნში „*Verfassungslehre*“, რომელიც საკონსტიტუციო სამართლის კლასიკაა. იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პარტიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის შემდეგ, სახელმწიფო ორგანიზაციის სისტემაში მონარქმა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საპირისპიროდ, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ის გახდა *pouvoir neutre*.⁷⁵ მისი აზრით, სამართლებრივი და ლიბერალური კონსტიტუციური მონარქიისათვის ტიპურია, როდესაც მონარქი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებ შორის კონფლიქტის დროს მედიატორის, მომრიგებლის, დამბალანსებლის ფუნქციას ასრულებს (*invisible modérateur*). მისთვის მონარქი გეპარტიული, *pouvoir neutre* -ია, რომელიც სახელმწიფოს უწყვეტობას უზრუნველყოფს კრიზისის დროს. ლიბერალური სახელმწიფოს ეს კონსტრუქცია ეკუთვნის კონსტანტს. თუმცა ეს კონცეპტი, როგორც იგი პირველად ამ წიგნში მიუთითებს, უშუალოდ, ასევე საინტერესოა პრეზიდენტისათვის რესპუბლიკურ სახელმწიფოში. შმიტთან ნეიტრალიტეტი პრეზიდენტის ბუნებისათვის დამახასიათებელია. მან მოძღვრება პრეზიდენტის, როგორც *pouvoir neutre* – ის თაობაზე, კიდევ უფრო განავრცო და განავითარა წიგნში: „*Der Hüter der Verfassung*“, რომელიც 1929 გამოაქვეყნა. ამ წიგნში შმიტი ცდილობს გამოკვეთოს პრეზიდენტი როგორც *pouvoir neutre* და კონსტიტუციის ქომაგი.

კარლ შმიტი მონარქისა და პრეზიდენტის სამართლებრივი კონსტრუქციების შედარებით ანალიზს ახდენს. იგი ცდილობს *pouvoir neutre* – ის კონცეპტი პრეზიდენტის სამართლებრივ სამოსელს მოარგოს და დასძენს, რომ საპარლამენტო მონარქიებში – მონარქი, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკებში კი პრეზიდენტი *pouvoir neutre* – ის მატარებელია. ამ მხრივ შმიტის აზრი სიახლეა. თუმცა, საკითხის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის არ იზიარებს კონსტანტისეულ თეორიას. სახელდობრ, შმიტისთვის მიუღებელია, მონარქი, როგორც ხელისუფლების სისტემაში ზემდგომი ორგანო და მიიჩნევს, რომ რესპუბლიკებში *pouvoir neutre* – ის არსი სხვაა. პრეზიდენტი ხელისუფლების დანარჩენ შტოებთან ერთად თანასწორ მდგომარეობას უნდა იკავებდეს და ის არ უნდა იდგეს მაღლა.⁷⁶ იგი უნდა იყოს განსაკუთრებული უფლებამოსილებითა და ზემოქმედების შესაძლებლობებით აღჭურვილი. პრეზიდენტი უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის ფუნქციურ

⁷³ იქვე. S. 133.

⁷⁴ Florian Weber. S. 273.

⁷⁵ Carl Schmitt. *Verfassungslehre*. Zehnte Auflage. Berlin. 2010. S. 287.

⁷⁶ Carl Schmitt. *Der Hüter der Verfassung*. Fünfte Auflage. S. 132. ამის შესახებ ასევე იხ. ჰანს კელზენის მოსაზრება, რომელიც საუბრობს შმიტის თვალსაზრისზე, რომ პრეზიდენტი არ უნდა იდგეს სხვა სახელისუფლებო შტოზე მაღლა (Hans Kelsen. *Wer soll der Hüter der Verfassung sein?* Berlin-Grünwald. Dr. Walther Rothschild. 1931.).

უნარიანობას და კონსტიტუციის დაცვას. პრეზიდენტმა ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლების შტოთა თანამშრომლობას და მათ შორის ბალანს.⁷⁷ ძალაუფლებათა გამიჯვნის „ახალი“ მოდელის მიხედვით, პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო მთავრობასა და ოპოზიციას შორის შუამავალი. ყოველ შემთხვევაში ამ იდეას ავითარებდა პეტერ პერნტჰალერი.⁷⁸

კარლ შმიტის თვალსაზრისით, ვაიმარის კონსტიტუციით, პრეზიდენტია სწორედ ნეიტრალური, შუამავალი და დამცველი ხელისუფალი.⁷⁹ მისი აზრით, შესაბამისი კონსტიტუციური უფლებამოსილებები, რომლითაც ზოგადად აღჭურვილია სახელმწიფოს მეთაური მონარქიაში (თანამდებობებზე დანიშვნა, შეწყალების უფლება, კანონების დამტკიცება და სხვა) და რომლებზეც ამხვილებს ყურადღებას კონსტანტი, დღევანდელი პრეზიდენტის უფლებამოსილებების ტიპური კატალოგია. შმიტის აზრით, ვაიმარის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტმა მის მიერ დაკავებული პოზიციას, სწორედ *pouvoir neutre* – ის მოძღვრების მიხედვით მიიღო.⁸⁰

შმიტისთვის პრეზიდენტი, როგორც *pouvoir neutre*, კონსტიტუციის ქომაგია. ამ საკითხზე მსჯელობისას, რასაკვირველია, იგი კონსტანტის კონცეპტის არსიდან ამოდის, რომლის მიხედვით, მონარქი სამართლისა და კანონის დამცველია. ეს თვალსაზრისი დღეს ინტერესმოკლებულია იმდენად, რამდენადაც კონსტიტუციის დაცვა და მისი ნორმების ცხოვრებაში განხორციელება თითოეული სუბიექტის ვალდებულებაა. გარდა ამისა, კონსტიტუციას და მის უზენაესობას იცავს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის გადანყვეტილება თვით პრეზიდენტისთვისაც სავალდებულოა.

პრეზიდენტის ნეიტრალურ ბუნებას არაერთხელ შეეხო გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობის დროს საკონსტიტუციო კონტროლის უმაღლესი ორგანო ფრთხილია. ფედერალურ პრეზიდენტს ის პირდაპირ არ უწოდებს *pouvoir neutre* – ის, რამდენადაც პრეზიდენტი ორიენტირებულია მეტადრე „ნეიტრალური ფედერალური პრეზიდენტისკენ“.⁸¹ როგორც ჩანს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გერმანიის საკონსტიტუციო დოგმატიკის სულისკვეთებას მისდევს, რომლის მიხედვით, გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი, უმეტესწილად, არაა აღიარებული როგორც *pouvoir neutre*. გერმანიაში ამ საკითხს არაერთი დისერტაცია თუ მონოგრაფია მიეძღვნა – ფედერალური პრეზიდენტის ფუნქციები მრავალმხრივად შესწავლილი და უმეტესად უარყოფილია იგი როგორც *pouvoir neutre*.⁸²

⁷⁷ Carl Schmitt. Der Hüter der Verfassung. S. 132.

⁷⁸ Peter Perenthaler. Das Staatsoberhaupt in der parlamentarischen Demokratie. 1967. S. 140.

⁷⁹ Carl Schmitt. Der Hüter der Verfassung. S. 137.

⁸⁰ იქვე. S. 141.

⁸¹ BverfGE – 2 BVE 4/13.

⁸² Christoph Degenhart. Staatsrecht I. 2007. S. 271.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით დღემდე არავის არ შემოუთავაზებია დასაბუთებული მოსაზრება საპარლამენტო დემოკრატიების პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე. სამწუხაროდ, რთული ამოცანაა ამ საკითხის გადაჭრა. საკონსტიტუციო თეორია და დოგმატიკა დღემდე უძლურია ამ პრობლემის წინაშე.

5. საკონსტიტუციო სასამართლო როგორც *pouvoir neutre* (1962 წელი)

ა) კონსტიტუციის დაცვა როგორც კლასიკური კონსტიტუციონალიზმის არსის გამომხატველი

კონსტიტუციის დაცვის საკითხის კვლევა მე-19 საუკუნის საკონსტიტუციო სამართლის დოქტრინაში ისეთივე აქტუალური იყო, როგორც მონარქიის ან სუვერენიტეტის პრინციპი. მომდევნო საუკუნეში ამ თემის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს კარლ შმიტმა და ჰანს კელზენმა. შმიტმა საკუთარი შეხედულებები წარმოადგინა 1929 წელს გამოცემულ წიგნში: „კონსტიტუციის ქომაგი“, ⁸³ ხოლო კელზენმა ამ თემას 1931 წელს მონოგრაფია მიუძღვნა: „ვინ უნდა იყოს კონსტიტუციის ქომაგი?“. ⁸⁴ კელზენის განმარტებით, კონსტიტუციის დაცვა ნიშნავს მის დაცვას ხელყოფისაგან. ⁸⁵ მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში „მონარქიული პრინციპისკენ“ ორიენტირებული საკონსტიტუციო თეორია კონსტიტუციის დამცველად მონარქს მიიჩნევდა. ამ თეზას ავითარებდა კარლ შმიტი და აღნიშნავდა, რომ რესპუბლიკურ სახელმწიფოში კონსტიტუციის უპირველესი ქომაგი სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტია. კელზენი გარკვეულწილად უპირისპირდება ამ დოქტრინას და აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის გარანტი დამოუკიდებელი – საკონსტიტუციო სასამართლო უნდა იყოს. ⁸⁶ ეს მოსაზრება ახლოსაა სიეისის იდეასთან „საკონსტიტუციო უიურის“ შესახებ. დღეს კელზენისულ თეორიას ალტერნატივა არ გააჩნია: პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ვერცერთი სახელისუფლებო ორგანო ვერ იცავს კონსტიტუციის უზენაესობას ისე, როგორც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოები.

მე-18 და მე-19 საუკუნეების საკონსტიტუციო იდეების ისტორიის კარგად დაკვირვება დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც *pouvoir neutre* – ის კონცეპტი არ უნდა იყოს ახალი და მისი ფესვები სიეისის დოქტრინაში უნდა ვეძიოთ. ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენ შეგვიძლია, ასევე დავიმომხმოთ კონსტანტის თანამედროვის ალექსანდრ ჰამილტონის (1755-1804) „ფედერალისტური წერილებიდან“ მისი კონცეპტი სასამართლოს მეშვეობით (“judicial review”) სამართლებრივი აქტების კონსტიტუციური კონტროლის თაობაზე, რომელიც სამეცნიერო

⁸³ Der Hüter der Verfassung.

⁸⁴ Wer soll der Hüter der Verfassung sein?

⁸⁵ Hans Kelsen. S. 5.

⁸⁶ იქვე. S. 12.

ლიტერატურაში ცნობილია, როგორც *pouvoir neutre* – ის ამერიკული ვერსია.⁸⁷ ჰამილტონის აზრით, ძალაუფლებათა შეკავება და კოორდინაცია უმჯობესია იმ ძალამ განახორციელოს, რომელიც უფრო სუსტი და ნაკლებად საშიშია, ვიდრე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება.⁸⁸ კონსტანტის შემთხვევაში ესაა სამეფო გვირგვინის (*pouvoir royal*), ხოლო ჰამილტონთან სასამართლო ხელისუფლება.⁸⁹ სიეისისა და ჰამილტონის კონცეპტის განვითარება სცადა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გერმანელმა კარლ დოეჰრინგმა.

pouvoir neutre – ის პოლიტიკურიდან სამოსამართლო სივრცეში გადასვლის მცდელობის საკითხი თეორიული მსჯელობის საგანია და მას მრავალი მეცნიერი შეეხო. კონსტანტიდან მოყოლებული თეორეტიკოსები ასაბუთებენ, რომ *pouvoir neutre* შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ პოლიტიკური ხელისუფლების სისტემაში. კონსტანტი *pouvoir neutre* – ის სასამართლო ხელისუფლებას არ მიაკუთვნებს.⁹⁰ თავიდანვე არც ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს განიხილავდნენ როგორც *pouvoir neutre* – ის.⁹¹ სასამართლოს როგორც *pouvoir neutre* – ის წინააღმდეგ მთავარი არგუმენტი მაინც ისაა, რომ სასამართლოს უფლებამოსილება არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით იმოქმედოს.⁹²

სამოსამართლო საქმიანობა მოითხოვს ნეიტრალიტეტს.⁹³ მოსამართლე შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, განსაკუთრებით სამართლის კონკრეტიზაციისა და ჩამოყალიბების პროცესში.⁹⁴ ხშირად მართლმსაჯულების ორგანოები თვითონ აღიარებენ საკუთარ თავს როგორც ნეიტრალურ ორგანოდ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და ნეიტრალური სასამართლო ხელისუფლება კონსტიტუციის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს.⁹⁵

ბ) კარლ დოეჰრინგი და ძალაუფლების „მეოთხე“ შტო

pouvoir neutre – ის კონსტანტისეული დოქტრინა განავითარა სამართლის პროფესორმა კარლ დოეჰრინგმა (1919-2011), რომელიც საყოველთაოდ აღიარებული გერმანელი მეცნიერის ერნსტ ფორშტოფის (Ernst Forsthoff (1902-1974) სტუდენტი იყო. დოეჰრინგი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. მისი ავტორობით 1964 წელს გამოქვეყნდა სტატია: „*pouvoir neutre* და ძირითადი კანონი“.⁹⁶ დოეჰრინგს ეს საკითხი მოხსენების სახით

⁸⁷ Mattias Herdegen. Verfassungsgerichtbarkeit als *pouvoir neutre*. in: ZaöRV 69. 2009.S. 265.

⁸⁸ იქვე. S. 265.

⁸⁹ Mattias Herdegen. S. 265.

⁹⁰ Juliane Kokott, S. 282.

⁹¹ H. Lehne. Der Bundespräsident als neutrale Gewalt nach dem Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland. 1960. S. 200.

⁹² Juliane Kokott. S. 283.

⁹³ BverfGE – 2 BVE 780/16.

⁹⁴ BverfGE – 2 BVE 780/16.

⁹⁵ BverfGE – 2 BVE 780/16.

⁹⁶ Karl Doehring. Der “*Pouvoir Neutre*” und das Grundgesetz. S. 201-2018.

წარდგენილი ჰქონდა 1962 წლის 10 დეკემბერს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში.⁹⁷ იგი ვრცლად შეეხო კონსტანტის იდეას. მის შეხედულებას „საინტერესო აზრს“ უწოდებს და დასძენს, რომ კონსტანტის მიერ დამკვიდრებული ცნება – “pouvoir neutre“ – ყოველი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში თეორიული განსჯის საგანი იყო.⁹⁸ დოეჰრინგმა თავისი ნაშრომით ამ საკითხის ირგვლივ დისკუსია კვლავ გამოაცოცხლა.⁹⁹ სწორედ მისი დამსახურებაა, რომ უკვე დიდი ხანია სამეცნიერო ლიტერატურაში საკონსტიტუციო სასამართლოს „მეოთხე ძალას“ უწოდებენ.¹⁰⁰ დოეჰრინგთან pouvoir neutre სწორედ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოა.¹⁰¹ მის თემას და არგუმენტაციას უშუალოდ კონსტიტუციურად ფუნქციონალური წესრიგისკენ მივყავართ.¹⁰²

2009 წლის 20 მარტს სამეცნიერო კოლოქვიუმი – „Pouvoir neutre ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“ – მიეძღვნა კარლ დოეჰრინგის დაბადებიდან 90 – ე წლისთავს ჰაიდელბერგის საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაქს-პლანკის ინსტიტუტში. დისკუსიის ფარგლებში, კიდევ ერთხელ, ხაზი გაესვა pouvoir neutre – ის მნიშვნელობას ეროვნული და საერთაშორისო სამართლისათვის. წარმოდგენილმა სამეცნიერო მოხსენებებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა ამ ინსტიტუტის როლი და ფუნქციები სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. კოლოქვიუმის შედეგები ასახულია მაქს-პლანკის ინსტიტუტის გამოცემაში.¹⁰³ საინტერესოა ის ფაქტი, რომ დოეჰრინგი ამ კოლოქვიუმში თვითონაც მონაწილეობდა და კვლავ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული.¹⁰⁴ საიუბილეო სამეცნიერო შეხვედრამ ახალი იმპულსი მისცა დისკუსიას pouvoir neutre – ის თაობაზე. საინტერესო იყო: ტორსტენ შტაინის¹⁰⁵ („ფედერალური პრეზიდენტი როგორც pouvoir neutre“?), მათიას ჰერდგენის¹⁰⁶ („საკონსტიტუციო სასამართლო როგორც pouvoir neutre“), კეი ჰაილბრონნერის¹⁰⁷ („საჯარო სამსახური როგორც pouvoir neutre“), ჯულიანე კოკოტის¹⁰⁸ („pouvoir neutre ევროპული კავშირის სამართალში“) და გეორგ რესის¹⁰⁹ („ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო როგორც pouvoir neutre“) მოხსენებები, რომლებიც წინამდებარე სტატიის ბიბლიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია.

⁹⁷ Torsten Stein. Der Bundespräsident als “pouvoir neutre”?. in: ZaöRV 69. 2009.S. 249.

⁹⁸ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. in: S. 201.

⁹⁹ Mattias Herdegen. S. 257.

¹⁰⁰ მაგ. ამის შესახებ იხ. Peter Häberle. Verfassungsgerichtbarkeit zwischen Politik und Rechtswissenschaft. Recht aus Rezensionen Verfassungsgerichtbarkeit als politische Kraft. Zwei Studien. 1980. S. 61. Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden pouvoir neutre. in: ZaöRV 69. 2009.S. 312.

¹⁰¹ Mattias Herdegen. S. 259.

¹⁰² იქვე. S. 258.

¹⁰³ ZaöRV 69 (Zeitschrift für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht). 2009.

¹⁰⁴ Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden pouvoir neutre.S. 311-315.

¹⁰⁵ ზაარლანდიის უნივერსიტეტის ევროპა-ინსტიტუტის დირექტორი.

¹⁰⁶ ბონის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საჯარო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი.

¹⁰⁷ კონსტანცის უნივერსიტეტის პროფესორი.

¹⁰⁸ EuGH – ს გენერალური ადვოკატი.

¹⁰⁹ ზაარლანდიის უნივერსიტეტის ემერიტუსი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე.

გ) საკონსტიტუციო სასამართლო როგორც პოლიტიკური საპირწონე

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული თეორეტიკოსთა ნაწილი კონსტიტუციებში *pouvoir neutre* – ის ძიებაშია. დოეჰრინგის აზრით კი, მხედველობაში მიიღება ორი ძალა: ფედერალური პრეზიდენტი და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.¹¹⁰ ფედერალური პრეზიდენტი აღჭურვილია უმნიშვნელო უფლებამოსილებებით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო, პირიქით, წარმოდგენილია ძლიერი კომპეტენციებით, როგორც მართლმსაჯულების ორგანო.¹¹¹

დოეჰრინგი ანალიზებს კონსტანტის კონცეპტს დავების მონესრიგების სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე. ის ახდენს კონსტანტის იდეის კონსტატაციას: „ყოველი *pouvoir neutre*, რომელიც მოქალაქეთა დავებს განიხილავს და იცავს მათ, არის სასამართლო. მსგავს ფუნქციას ახორციელებს მეფე, როგორც *pouvoir neutre* საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის კონფლიქტისას“. ამ გამიჯვნას იზიარებს დოეჰრინგი, მაგრამ შეაქვს სერიოზული კორექტივი. სამეფო ხელისუფლების ნაცვლად მისთვის *pouvoir neutre* საკონსტიტუციო სასამართლოა. ფაქტია, რომ იგი მკვეთრად მიჯნავს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოთა იურისდიქციას. დოეჰრინგს საკონსტიტუციო სასამართლო გამოყავს ძალაუფლებათა „მესამე“ სისტემიდან და მას ხელისუფლების ორგანიზაციაში „მეოთხე“ ადგილს მიაკუთვნებს. აქ ის წარმოადგენს *pouvoir neutre* – ის.

საკონსტიტუციო სასამართლო ჩვეულებრივი „სასამართლო“ კი არაა, არამედ „პოლიტიკური არბიტრაჟი“. ¹¹² დოეჰრინგის პოზიციები კიდევ უფრო მეტადაა განმტკიცებული შემდეგი პერიოდის სამეცნიერო პუბლიკაციებში. ჰერდენის აზრით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალის შებოჭვა და შეკავება, აგრეთვე ძალაუფლებათა ბალანსირების უზრუნველყოფა საკონსტიტუციო სასამართლოს ხდის *pouvoir neutre* – ის. ¹¹³ დოეჰრინგთან ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც *pouvoir neutre*, უფრო მეტია, ვიდრე სასამართლო ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია „აქტიურ პოლიტიკურ ძალებ შორის დაძაბულობის მართვა და, ან ამ დაძაბულობის განმუხტვა“. ¹¹⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს სტატუსი კვალიფიცირებულია, როგორც „პოლიტიკური მოსამართლე“. ¹¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულების ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანოა. ¹¹⁶ მას შეუძლია პოლიტიკური კონფლიქტები

¹¹⁰ Oliver W. Lembcke. Institutionalisation eines *pouvoir neutre*? Oder: Wie Hegel aus dem Klumpen einen Knoten machte. in: Recht, Staat und Politik beim frühere Hegel. Michael Henkel (Hrsg). Berlin. 2002. შ. 115.

¹¹¹ Karl Doehring. Der „*Pouvoir Neutre*“ und das Grundgesetz. S. 201.

¹¹² იქვე. S. 218.

¹¹³ Matthias Herdegen. S. 264.

¹¹⁴ Georg Ress. Der Europäische Gerichtshof für Menschenrecht als *pouvoir neutre*. in: ZaöRV 69. 2009. S. 290.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ Bernd Wieser. Vergleichendes Verfassungsrecht. 2005. S. 118.

სამართლებრივ კონფლიქტებად აქციოს, რაც მისი საკონსტიტუციო და პოლიტიკური უპირატესობაა.¹¹⁷

დოეჰრინგი *pouvoir neutre* – ის პოლიტიკურ და სამართლებრივ კომპეტენციებს განსაზღვრავს.¹¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც *pouvoir neutre* – ის როლი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება შემდეგ ფუნქციებში: საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მოაწესრიგოს კონფლიქტები ბუნდესტაგს შიგნით. კერძოდ, კონფლიქტები ფრაქციებს, უმცირესობასა და უმრავლესობას, ფედერაციასა და მიწებს, ინდივიდებსა და კანონმდებელს შორის.¹¹⁹ დოეჰრინგთან საკონსტიტუციო სასამართლოს საარბიტრაჟო (საშუამავლო) ფუნქცია უკვე ეჭვს არ იწვევს.¹²⁰ იგი ითვალისწინებს სამართლებრივთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ნაწილობრივ, როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური ბუნებისაა.¹²¹ საკონსტიტუციო სასამართლოს „დუალისტური“ ხასიათი ხშირად მეცნიერებს უბიძგებს უარყონ იგი, როგორც *pouvoir neutre*. საფრთხე მაშინ დგება, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება სხვაა, ვიდრე სამართლებრივი.¹²² თანამედროვე თეორიაში მიჯნავენ *pouvoir neutre* – ის და კონსტიტუციის დაცვის ფუნქციას (კონსტიტუციის დამცველს). *pouvoir neutre* დაკავშირებულია მხოლოდ ფუნქციონალური წესრიგის უზრუნველყოფასთან, მაშინ როდესაც კონსტიტუციის დამცველი (საკონსტიტუციო სასამართლო) მოიცავს მთლიანად პოლიტიკურ ცხოვრებას. საკონსტიტუციო სასამართლოს, მისი „შემოქმედებითი“ ბუნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ “*pouvoir createur*”-საც უწოდებენ.¹²³ საკონსტიტუციო სასამართლოს არსის გათვალისწინებით, შეუძლებელია მისი აბსოლუტური გამიჯვნა პოლიტიკური პროცესებისგან. ის საქმიანობს კონსტიტუციის მიხედვით და, ამავე დროს, პოლიტიკური პროცესების მონაწილეა,¹²⁴ ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს საგანი პოლიტიკური საზოგადოების კონსტიტუციაა.¹²⁵ იგი მოქმედებს როგორც იურიდიული და როგორც პოლიტიკური ძალა.¹²⁶ თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლო უფრო მეტია, ვიდრე პოლიტიკური კულტურის ანარეკლი.¹²⁷ ბევრი საუბრობს იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, პოლიტიკური თვალსაზრისით, ცდება გარკვეულ ზღვარს, თუმცა დღემდე არავინ არ გვთავაზობს სამართლისა და პოლიტიკის გამიჯვნის მკაფიო კრიტერიუმებს.¹²⁸ წარმოუდგენელია მსოფლიოში აღიარებული საკონსტიტუციო

¹¹⁷ იქვე. S. 118.

¹¹⁸ Juliane Kokott. S. 277.

¹¹⁹ Karl Doehring. S. 213.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ Karl Doehring. S. 212.

¹²² Oliver W. Lembcke. S. 116.

¹²³ იქვე. S. 117.

¹²⁴ Peter Häberle. S. 59.

¹²⁵ იქვე.

¹²⁶ იქვე. S. 63.

¹²⁷ Theo Stammen. წიტირებულია: Peter Häberle. S. 64.

¹²⁸ იქვე.

სასამართლო, როგორც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (BverfGE), ჩვეულებრივ სასამართლოთა სისტემაში მოიაზრებოდა. ის „ზესასამართლო“ ინსტანციაა. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი საკონსტიტუციო სტატუსით, უფლება-მოსილებებით, უაღრესად მაღალი ავტორიტეტით ბევრად აღემატება ჩვეულებრივ სასამართლოებს.

თუმცა, *pouvoir neutre* – ის საკითხი გადაუჭრელი რჩება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციას საერთო სასამართლოებს აკისრებს. ეს ის სისტემებია, სადაც საკონსტიტუციო კონტროლი კვლავ ე. წ. „მესამე“ ხელისუფლების სისტემაში არსებობენ.

პრაქტიკული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განწესების საკითხს.¹²⁹ პოლიტიკური ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განწესება, ხშირად, საფრთხეს უქმნის სასამართლოს მიუმხრომლობის პრინციპს. ამის მაგალითი უამრავია. მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან საპარლამენტო დემოკრატიები, სადაც ხშირია პრეზიდენტის არჩევა საპარლამენტო ან სხვა არაპირდაპირი წესით. ამ სისტემებში „პოლიტიზირებული“ პრეზიდენტის არჩევის რისკი დიდია, რაც, თავისთავად, *pouvoir neutre* – ის იდეას ეწინააღმდეგება.

6. *Pouvoir neutre* საერთაშორისო სამართალში

ა) *Pouvoir neutre* როგორც საერთაშორისო სამართლებრივი კონცეპტი

საერთაშორისო სამართალი, ევროპული სამართლის ჩათვლით, ეროვნული სამართალით, მისი მიღწევებით იკვებება. ამის გამოხატულებაა, თუნდაც ევროკავშირის კონსტიტუციური მმართველობის სისტემა,¹³⁰ რომლისთვისაც ძალაუფლებათა გამიჯნის ის პრინციპია დამახასიათებელი, რომელსაც სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია ეფუძნება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის კავშირის მიერ რამდენიმე წლის წინ „ევროპული კონსტიტუციის“ მიღების მცდელობა. სხვა მაგალითებიც უამრავია.

pouvoir neutre – ის ცნება თანდათანობით მკვიდრდება ევროპულ სამართალში. იგი უკვე საერთაშორისო სამართლებრივი ცნება გახდა. წლების წინ *pouvoir neutre* – ის საკითხი ევროპულ სამართალში არ ყოფილა თეორიული განსჯის საგანი. ამიტომ ეს თემა ევროპის კავშირისთვის ახალია.¹³¹ *pouvoir neutre* სახელმწიფო-თეორიული კონცეპტია,¹³²

¹²⁹ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. S. 218.

¹³⁰ გიორგი ალასანია. ევროკავშირის მმართველობის კონსტიტუციური პრინციპები. 2013.

¹³¹ Juliane Kokott. S. 276.

¹³² იქვე. S. 276.

ხოლო ევროპის კავშირი არაა სახელმწიფო, შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა იგი არსებობდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემაში? ევროკავშირის სამართალი *pouvoir neutre* – ის პოლიტიკური ფუნქციების იდენტიფიცირების თვალსაზრისით, სირთულეებს წააწყდა.¹³³ ამა თუ იმ სისტემაში ნეიტრალური ძალის არსებობის დასადგენად აუცილებელია მისი ფუნქციების განსაზღვრა.

ბ) EuGH როგორც *pouvoir neutre*

საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო *pouvoir neutre*, სადავოა. ამ თემის ირგვლივ მიდგომაც დუალისტურია. პრობლემა, თავისთავად, აქტუალურია. დასამოწმებლად საკმარისია ემანუელ იონესკუს წიგნიდან ერთ-ერთი ქვესათაური: „ევროპული სასამართლო როგორც *pouvoir neutre*“.¹³⁴

საკონსტიტუციო სამართლის თეორიაში ამ საკითხს პირველად კოკოტი შეეხო. მან სასამართლოს ის ფუნქციები დააჯგუფა, რომლებიც ნეიტრალური ძალისთვისაა დამახასიათებელი: ინსტიტუციური, ინდივიდუალური, წევრ-სახელმწიფოებს შორის, წევრ-სახელმწიფოებსა და გაერთიანებას შორის დავები. EuGH შეუძლია პირდაპირ და არაპირდაპირ მოაწესრიგოს გაერთიანების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა შორის კონფლიქტები და ამით შეასრულოს *pouvoir neutre* – ის როლი.¹³⁵ საბოლოოდ, იგი ასკვნის, რომ EuGH შეიძლება იყოს *pouvoir neutre*.¹³⁶ კოკოტი ევროპულ სივრცეში სხვა *pouvoir neutre* – ის, გარდა EuGH – სა, არ იცნობს.¹³⁷

დოჰერინგი კოკოტის ამ პოზიციას ბოლომდე არ იზიარებს და დასძენს, რომ ორგანოებს შორის დავის შემთხვევაში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (EuGH) შეიძლება დაიკავოს *pouvoir neutre* – ის პოზიცია, მაგრამ კავშირსა და წევრ-სახელმწიფოებს შორის დავებისას, ძნელი წარმოსადგენია სასამართლომ ნამდვილად შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი. სახელმწიფოები ხელშეკრულებით არიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. სასამართლო ვერ გაეცევა ვალდებულებას, გაითვალისწინოს ხელშეკრულების მიზნები. ასეთ დროს სასამართლო ნამდვილად შეიძლება იყოს მიუკერძოებელი?¹³⁸

გ) EGMR როგორც *pouvoir neutre*

თუ EuGH შემთხვევაში შეიძლება ეჭვს იწვევდეს მისი, როგორც *pouvoir neutre* – ის როლი და ფუნქცია, განსხვავებულია სიტუაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

¹³³ იქვე. S. 277.

¹³⁴ Emanuel G. Ionescu. Innerstaatliche Wirkungen des Vertragsverletzungsverfahrens. Tübingen. 2016. S. 85.

¹³⁵ Juliane Kokott. S. 285.

¹³⁶ იქვე. S. 288.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden *pouvoir neutre*. S. 314.

(EGMR) მიმართ. მისი ვალდებულებაა ინდივიდის მიუკერძოებლად დაცვა. სასამართლო ინდივიდსა და წევრ-სახელმწიფოს შორის დავისას უნდა გამოიყენოს კონვენციის დებულებები, პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად.¹³⁹ ამ მხრივ ყოველთვის წარმატების მიღწევა რთულია, მაგრამ მიზანი კი რჩება უცვლელი. ნეიტრალიტეტს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოების შემთხვევაში, საფრთხეები აქვს ემუქრება.¹⁴⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ნეიტრალური ბუნების შესანარჩუნებლად საჭიროა როგორც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ასევე მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება.¹⁴¹

თუ სახელმწიფოში კონსტანტის მოძღვრებისთვის გადამწყვეტი კრიტერიუმია მოაწესრიგოს ფუნდამენტური კონფლიქტები სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის, საერთაშორისო ურთიერთობებში კი სახელმწიფოებსა და, ასევე სახელმწიფოებსა და ინდივიდებს შორის კონფლიქტებისას სასამართლო როგორც *pouvoir neutre* უნდა ფლობდეს მსგავს ფუნქციას,¹⁴² როგორც არბიტრი.¹⁴³ ამ შედარებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოიაზრება, როგორც „ევროპული საკონსტიტუციო სასამართლო“ სახეობა¹⁴⁴ და დემოკრატიული წყობილების ბენაცონალური გარანტი.¹⁴⁵

II. *Pouvoir neutre* და კონსტიტუციონალიზმი

ერთ-ერთი მოტივი, რამაც კონსტანტს საკუთარი მოძღვრების ჩამოყალიბებისაკენ უბიძგა, კონსტიტუციებში ნეიტრალური ძალის არარსებობა იყო.¹⁴⁶ თანამედროვე პოლიტიკურ სისტემებში, სადაც საკონსტიტუციო მოდელეები წარმოიშობა, შემოთავაზებულია *pouvoir neutre* – ის საკითხი.¹⁴⁷

კონსტიტუციონალიზმში ყველა ინსტიტუციას თავისი ისტორია აქვს. ამ მხრივ არც კონსტანტის მოძღვრებაა გამონაკლისი. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ *pouvoir neutre* არ დარჩა როგორც მხოლოდ იდეა, ის გასცდა კონსტანტის შრომების ფარგლებს და მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ცალკეული კონსტიტუციის შთავგონების წყაროდ იქცა. კონსტანტისეულმა იდეამ კონსტიტუციურ ნორმებში შეისხა ხორცი. *pouvoir neutre* – ის მოძღვრება განსაკუთრებით მიმზიდველობით სარგებლობდა გერმანიაში.¹⁴⁸

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ Georg Ress. S. 308.

¹⁴² Georg Ress. S. 300.

¹⁴³ იქვე. S. 297.

¹⁴⁴ იქვე. S. 291.

¹⁴⁵ იქვე. S. 301.

¹⁴⁶ Benjamin Constant. გვ. 37.

¹⁴⁷ Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden *pouvoir neutre*. S. 314.

¹⁴⁸ Mattias Herdegen. S. 257.

მმართველობის შერეული სისტემების ძიებითაა გამორჩეული მე-19 საუკუნის ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც მეტადრე მმართველობის ევროპული ტიპისკენ იხრებოდნენ. მე-19 საუკუნეში *pouvoir neutre* – ის კონცეპტმა ძლიერი გავლენა იქონია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაზე.¹⁴⁹ ლათინური ამერიკის ქვეყნებში კონსტანტის იდეის რეცეფციას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ამ იდეას იქ მაშინ კარგად იცნობდნენ.¹⁵⁰

მე-19 საუკუნის ლათინური ამერიკა კონსტანტის იდეების საკონსტიტუციო-სამართლებრივ სივრცეში იმპლემენტაციის კლასიკური მაგალითია. ეს ეხება როგორც მონარქიებს, ასევე რესპუბლიკებს. ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან უმეტესობამ რესპუბლიკური მმართველობის ფორმის კონსტიტუციონალიზაცია მოახდინა ძლიერი მონარქიული მისწრაფებებით.¹⁵¹ კონსტანტის იდეას დიდი გამოძახილი ჰქონდა ბრაზილიაშიც.¹⁵² აქ პირველი კონსტიტუცია 1824 წლის 24 მარტს მიიღეს, რომელზეც საფრანგეთის 1814 წლის კონსტიტუციურმა ქარტიამ იქონია გავლენა. ბრაზილიის კონსტიტუციის 98-ე მუხლის იდეური წყარო უშუალოდ კონსტანტის „პოლიტიკის პრინციპები“ იყო.¹⁵³ კონსტიტუციის 98-ე მუხლის თანახმად, დამაბალანსებელი ძალა (*do poder moderador*) ყოველი პოლიტიკური ორგანიზაციის გასაღებია, რომელიც ენიჭება კაიზერს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს. სწორედ კაიზერია პასუხისმგებელი პოლიტიკურ ძალთა მქონე სუბიექტების დამოუკიდებლობის, ბალანსისა და ჰარმონიული თანამშრომლობისათვის.

პირველად, სწორედ ბრაზილიის კონსტიტუციამ მოაქცია კონსტანტის კონცეპტი კონსტიტუციურ საზღვრებში და ამით გარდაქმნა ეს იდეა როგორც ხელისუფლების შტო და საკონსტიტუციო ფუნქცია.

pouvoir neutre – ის დოქტრინას თითქმის ამ შინაარსით ითვალისწინებს პორტუგალიის 1826 წლის 29 აპრილის კონსტიტუცია. 71-ე მუხლი სიტყვასიტყვით იმეორებს ბრაზილიის 1824 წლის კონსტიტუციის 98-ე მუხლის შინაარს ნეიტრალური ხელისუფლების შესახებ. პორტუგალიის კონსტიტუცია ადგენს, ასევე მეფის როგორც *pouvoir neutre* – ის უფლებამოსილებებს.

კონსტანტის იდეები გადამწყვეტი აღმოჩნდა სიმონ ბოლივარის (1783-1830) კონსტიტუციებისთვისაც. ბოლივარის კონსტიტუცია (*Constitucion Bolivariana*), რომელიც 1826 წლის 19 ნოემბერს მიიღეს, რამდენიმე თვის შემდეგ, ასევე პერუში იქნა ოქტორობებული. ბოლივარის სახელთანაა დაკავშირებული ბოლივარის საკონსტიტუციო სისტემაში ხელისუფლების ოთხი შტოს ჩამოყალიბება, რომელიც ბოლივარის 1826 წლის კონსტიტუციის მე-9

¹⁴⁹ Andreas Timmermann. Das Konzept der “neutralen Gewalt” – eine verfassungshistorische Überlegung zur Debate um Presidentialismus und Parlamentarismus. in: *Verfassung und Recht Übersee (VRÜ)*. 40. 2007. S. 177.

¹⁵⁰ იქვე. S. 178.

¹⁵¹ Andreas Timmermann. S. 186.

¹⁵² იქვე. S. 188.

¹⁵³ იქვე. S. 189.

მუხლში აისახა, რომლის მიხედვით, *pouvoir neutre* – ის შესაბამის ორგანოს წარმოადგენდა „ამომრჩეველთა ძალაუფლება“ (*Poder Electora*) და „მორალური ძალაუფლება“ (*Poder Moral*).¹⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ ბოლივარის კონცეპტმა *Poder Electora* – ს თაობაზე მარცხი განიცადა, ის მაინც კოლუმბიის 1886 წლის კონსტიტუციაში იქნა რეცეფიცირებული. კონსტანტის იდეა გაიზიარა მექსიკის 1836 წლის კონსტიტუციამაც, რომლის მიხედვით, შუამავალი, ნეიტრალური ხელისუფლება “*supremo poder conservador*” სახით იყო წარმოდგენილი.¹⁵⁵ ამ მხრივ თავისებურებით გამოირჩეოდა ურუგვაის საკონსტიტუციო სისტემა, სადაც მე-20 საუკუნის დასაწყისში *pouvoir neutre* – ის როლს ასრულებდა არა მონარქი, არამედ პარლამენტი (კონგრესი), რომელიც პრეზიდენტსა და მთავრობას შორის კონფლიქტების მომწესრიგებელ შუამავალ ორგანოს წარმოადგენდა.¹⁵⁶ მოგვიანებით კი, კონსტანტის კონცეპტის გავლენის ქვეშ მოექცა კუბის 1940 წლის კონსტიტუცია.

კონსტანტის აზრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ესპანეთის საკონსტიტუციო პრაქტიკაზეც. 1820 წელს ესპანურ ენაზე ითარგმნა კონსტანტის „პოლიტიკის პრინციპები“, რომელმაც ხელი შეუწყო ესპანეთში მისი პოლიტიკური ლიბერალური თეორიების გავრცელებას.¹⁵⁷ კონსტანტის შრომა ძლიერი იარაღი აღმოჩნდა ბურბონთა აბსოლუტუზმისა და კონსერვატიული იდეების წინააღმდეგ.¹⁵⁸ 1845 წლის და, ასევე 1875 წლის რესტავრაციის შემდეგ ესპანეთში გვირგვინის ხელისუფლებას შუამავლის – მომრიგებლის ფუნქცია მიენიჭა, განსაკუთრებით აღმასრულებელ ხელისუფლებასა (მინისტრთა საბჭოსა) და პარლამენტს (კორტესებს) შორის. ამ ფუნქციას ესპანურად *poder moderador* – ს უწოდებენ,¹⁵⁹ რომლის საკონსტიტუციო-სამართლებრივი ბაზისი მონარქის ხელშეუხლებლობა და მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება იყო.¹⁶⁰

დღეს თითქმის არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, რომელთა კონსტიტუციები *pouvoir neutre* – ის ელემენტებს არ შეიცავდნენ. მე-19 საუკუნის დასაწყისის კლასიკური კონცეფცია სიცოცხლისუნარიანობას თანამედროვე კონსტიტუციებშიც ინარჩუნებს. ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის მიხედვით, მეფე სახელმწიფო ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირების არბიტრი და გარანტია.

III. *Pouvoir neutre* – ფუნქციები და მიზნები

pouvoir neutre-ს ქართული შესატყვისია „ნეიტრალური ძალა“ ან „ნეიტრალური ხელისუფლება“. ზოგადია „ნეიტრალიტეტი“-ს ცნება. შესაბამისად, განსხვავებაა „ნეიტრალურ

¹⁵⁴ იქვე. S. 190.

¹⁵⁵ იქვე. S. 193.

¹⁵⁶ იქვე. S. 196.

¹⁵⁷ Andreas Timmermann.S. 180.

¹⁵⁸ Maria Luisa Sanchez-Mejla. Benjamin Constant y la construccion del liberalism postrevolucionario. Madrid. 1992. S. 21. ციტირებულია ტიმერმანის წიგნიდან.

¹⁵⁹ Andreas Timmermann.S. 183.

¹⁶⁰ იქვე. S. 183.

სახელმწიფოსა“ და „ნეიტრალურ ხელისუფლებას“ შორის. pouvoir neutre - ის, როგორც არბიტრის როლისა და ფუნქციების დასადგენად, საჭიროა ზუსტად განისაზღვროს „ნეიტრალიტეტის“ შინაარსი. „ნეიტრალიტეტის“ ქვეშ, უწინარესად, მოიაზრება კონფლიქტების მოწესრიგება და ძალაუფლებათა შორის ბალანსი.¹⁶¹ ნეიტრალიტეტის შესაბამის განმარტებას ვხვდებით სხვა შრომებშიც. ყველა მათგანი მიჰყვება კონსტანტისეულ დეფინიციას, რომლის თანახმად, არსებითი სწორედ მედიატორის როლი და კონფლიქტების მოწესრიგებაა. pouvoir neutre წარმოდგენილია როგორც „პოლიტიკური მოსამართლე პოლიტიკური ინტერესების გარეშე“.

იმისათვის, რომ გამოიკვეთოს pouvoir neutre – ის როგორც კონსტიტუციური ორგანო, აუცილებელია მისი ფუნქციების იდენტიფიცირება. pouvoir neutre ფუნქციონალურად ინსტიტუციონალიზებული მოვლენაა. სწორედ კონკრეტული ფუნქციები სძენს მას სიცოცხლისუნარიანობას. კონსტანტი pouvoir neutre – ის უმთავრეს ფუნქციად განიხილავს შეკავებისა და განონასწორების ფუნქციას.¹⁶² კონსტიტუციონალიზმის ძირითადი ორიენტირია არა იმდენად ის, თუ როგორ წარმატებით მართავენ, არამედ თუ როგორ უნდა ავიცილოთ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება.¹⁶³ სწორედ ესაა კონსტანტის იდეის მთავარი არსი.¹⁶⁴ მისი აზრით, ამ ფუნქციას ყველაზე კარგად მხოლოდ მონარქი ასრულებს. იგი ერთდროულად უმაღლესი და შუალედური ძალაუფლებათა, რომლის მიზანი წონასწორობის დარღვევა კი არაა, არამედ, პირიქით, იგი ამ წონასწორობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული.¹⁶⁵ pouvoir neutre უზრუნველყოფს სტაბილურობასა და ფუნქციურ უნარიანობას,¹⁶⁶ კონსტიტუციურ წესრიგს.¹⁶⁷ ეს ღირებულებები უნდა იქნეს დაცული მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო ორგანოებ შორის კონფლიქტი ხანგრძლივია.¹⁶⁸ თუმცა კონსტანტი, ამავე დროს, აცნობიერებს, რომ კონსტიტუციონალიზმში ყველაფერი სრულყოფილი არაა. შესაბამისად, მას არ აქვს პრეტენზია, რომ pouvoir neutre – ის შეუძლია ყველა საკონსტიტუციო-სამართლებრივი კონფლიქტი გადაჭრას.¹⁶⁹ კონსტანტი მიიჩნევს, რომ pouvoir neutre – ზე საუბარი შესაძლებელია მაშინ, როდესაც მიღწეულია მონარქის ფუნქციები.¹⁷⁰ ამისთვის კი, მას უნდა ჰქონდეს ღირსება და ავტორიტეტი.¹⁷¹

განონასწორების პრინციპი და ინტეგრაციის ფუნქცია მეფის ნეიტრალური ძალაუფლების ბუნებიდანაა ნაწარმოები.¹⁷² თუმცა, ისტორიულად ძალაუფლებათა განონასწორების ფუნქციას ყოველთვის მეფეს როდი მიაწერდნენ. მაგალითად, მონტესკიეს აზრით, ეს

¹⁶¹ Dietmar Seidel. Der Bundespräsident als Träger der auswärtigen Gewalt. Berlin. 1972. S. 106.

¹⁶² Matthias Herdegen. Verfassungsgerichtbarkeit als pouvoir neutre. in: ZaöRV 69. 2009.S. 260.

¹⁶³ Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden pouvoir neutre.S. 311.

¹⁶⁴ იქვე. S. 311.

¹⁶⁵ Benjamin Constant. გვ. 36.

¹⁶⁶ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. S. 202.

¹⁶⁷ Oliver W. Lembcke. S. 113.

¹⁶⁸ იქვე. S. 114.

¹⁶⁹ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz.S. 202.

¹⁷⁰ Lothar Gall. S. 253.

¹⁷¹ იქვე. S. 273.

¹⁷² Werner Link. S. 13.

ფუნქცია ეკისრება არისტროკრატის (Der Adel).¹⁷³ გარდა ბალანსისა, pouvoir neutre – ის ინდივიდების კონსტიტუციური უფლებებიც უნდა დაეცვა,¹⁷⁴ ვინაიდან ამით მიიღწეოდა მეფესა და მოქალაქე შორის კავშირი, რაც კონსტანტის უმთავრესი სურვილი იყო.¹⁷⁵

იურიდიულ ლიტერატურაში კონსტანტის დოქტრინას პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მისი კონცეპტის სისტემური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს pouvoir neutre – ის მოძღვრება სამ ფუნდამენტურ კითხვაზე პასუხის გაცემაა: უპირველეს ყოვლისა, აქ დგება ინსტიტუციური და თეორიული საკითხი პოლიტიკური სტაბილურობის თაობაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მორალიტეტი, მეორეა, სახელმწიფოებრივი ინტეგრაციის სოციო-მეტაფიზიკური საკითხი და მესამე კი, უშუალოდ სახალხო სუვერენიტეტის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის განვითარებისთვის ხელისშეწყობაა.¹⁷⁶ პირველ შემთხვევაში, როგორც ვებერი აღნიშნავს, კონსტანტი ცდილობს შექმნას ინსტიტუცია პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მისი მცდელობა შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც მცდელობა, მორალურ საფუძვლებზე ინსტიტუციური ბალანსირებისა კონსტიტუციური საშუალებებით. ეს ეხება, პირველ ყოვლისა, მონარქს, როგორც pouvoir neutre – ის, რომელის გამორჩეულად მაღალი პოზიცია ყალიბდება არა მხოლოდ საკუთარი პერსონალური კვალიფიკაციის საშუალებით, არამედ მისი მორალიტეტის სტრუქტურული დისპოზიციით. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ pouvoir neutre – მ შეძლოს თავისი ფუნქციების სწორად აღქმა, ის აუცილებელია აღჭურვილი იყოს მორალური ატრიბუტებით.¹⁷⁷ მეორე და მესამე შემთხვევაში, pouvoir neutre უზრუნველყოფს საერთო და ინდივიდუალური სურვილების ინტეგრაციას, ინდივიდუალური თავისუფლების დაცვას.

პარტიულ სახელმწიფოში სახელმწიფოს მეთაური უნდა ყოფილიყო პარტიებისა და სახელისუფლებო ძალების ინტერესებს შორის შუამავალი, რომელიც ამ პარტიული ინტერესებისგან დამოუკიდებელი და ნეიტრალური იქნებოდა.¹⁷⁸ სავარაუდოა, რომ კონსტანტის კონცეპტი ყველაზე მეტად პარტიულ სახელმწიფოში პარტიული ძალებისთვის იქნებოდა ხელსაყრელი, რამეთუ ძალაუფლების აღების პროცესში მონარქის პოლიტიკური ავანსცენიდან გასვლა მათი პოლიტიკური ლოზუნგის განუყოფელი ნაწილი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მეთაურის ნეიტრალიზაციის პროცესი სწორედ სახელმწიფოს პარტიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესმა დააჩქარა და იგი ამ პროცესის თანამდევნი იყო. პარტიული სახელმწიფო ნიშნავს პარტიათა მმართველობას, კიდევ უფრო მეტი: საპარლამენტო დემოკრატია, არსებითად პარტიული მმართველობაა. ამ სისტემაში სახელმწიფოს მეთაური ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და პოლიტიკურ ავანსცენაზე ადგილს პოლიტიკურ პარტიებს უთმობს.

¹⁷³ Kurt Kluxen. Das Problem der politischen Opposition. 1956. S. 224.

¹⁷⁴ Lothar Gall. S. 255.

¹⁷⁵ იქვე. S. 277.

¹⁷⁶ Florian Weber. S. 288.

¹⁷⁷ იქვე. S. 287.

¹⁷⁸ Werner Link. S. 8.

მიუხედავად იმისა, რომ *pouvoir neutre* – ის საკითხი მთელი მე-19 საუკუნის პოლიტიკური ფილოსოფიისა და სახელმწიფოს ზოგადი თეორიის აქტუალური პრობლემა იყო,¹⁷⁹ ამ იდეას თეორია და პრაქტიკა ერთგვაროვანი სულისკვეთებით არ შეხვედრია. იყო საკმაო კრიტიკაც, ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში მონარქი, უპირატესად, აღიქმებოდა არა როგორც დამაბალანსებელი ძალა, არამედ, უფრო მეტად, როგორც ინტეგრატორი, რაც იმდროინდელი პოლიტიკური პრაქტიკის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი.¹⁸⁰

უკვე მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გამოცემულ ყველა წიგნში პრეზიდენტის ორ მნიშვნელოვან ფუნქციაზე კეთდებოდა აქცენტი: ბალანსისა და ინტეგრაციის ფუნქციაზე. თუ კონსტანტის გავლენის მიხედვით, მე-19 საუკუნეში სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებიდან, უწინარესად, ბალანსის ფუნქციას გამოყოფდნენ, მე-20 საუკუნიდან აქტუალური გახდა ინტეგრაციის ფუნქცია. სახელმწიფოები მიისწრაფვოდნენ ქვეყნის შიგნით ინტეგრაციისკენ. ამ ფუნქციის შესრულება, პირველ ყოვლისა, პრეზიდენტს ეკისრებოდა.

IV. *Pouvoir neutre* და ძალაუფლებათა გამიჯვნის დოქტრინა

ძალაუფლების გამიჯვნის დოქტრინამ ეპოქალურად ახალი ავტორები შეიძინა, რომლებმაც თავიანთი მოდელები შემოგვთავაზეს. ხელისუფლებათა შორის დაძაბულობათა გაფართოებასთან ერთად, ბუნებრივია, შეკავებისა და განონასწორების მექანიზმები იზრდება.¹⁸¹ კონსტიტუციონალიზმის ამოუწურავი და მარადიული თემა ძალაუფლების შებოჭვის ახალი – კონსტიტუციური მექანიზმების შექმნაა. *pouvoir neutre* – ის საკითხი ყველა საპარლამენტო დემოკრატიისთვის აქტუალური აღმოჩნდა, ვინაიდან კარგი მმართველობის მისაღწევად საჭირო მექანიზმები ყველგან თითქმის ერთგვაროვანია. ამიტომ, კონსტიტუციონალიზმის პრინციპებსა და ინსტიტუციებს საზღვარი არ გააჩნია.

კონსტანტისთვის ჩვეულებრივ ცნობილია ძალაუფლებათა „ტირანია“, „დესპოტია“, „უზურპაცია“, „დიქტატურა“, ის, რაც ძალაუფლებათა გამიჯვნის იდეას ეწინააღმდეგება. *pouvoir neutre* – ის მოძღვრების წარმოშობა უკავშირდება ძალაუფლებათა გამიჯვნის შესახებ ადრე არსებული კლასიკური დოქტრინის რევიზიას.¹⁸² კონსტანტის მოძღვრება სტრუქტურულად ძალაუფლებათა შებოჭვის კონცეფციასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.¹⁸³ ის ფაქტი, რომ კონსტანტი ერთმანეთისგან მიჯნავს სამეფო და აღმასრულებელ ხელისუფლებას,¹⁸⁴ პირველ რიგში, მიუთითებს, ავტორის მცდელობაზე, შეიტანოს სიახლე

¹⁷⁹ იქვე, S. 6.

¹⁸⁰ იქვე.

¹⁸¹ Karl Doehring. “Pouvoir neutre” und das Grundgesetz. S. 206

¹⁸² Werner Link. S. 4.

¹⁸³ იქვე, 8.

¹⁸⁴ Marc Andre Wiegand. Zum Begriff des Staatsoberhauptes. in: Archiv des öffentlichen Rechts. 133. Band. 2008. S. 499.

ძალაუფლებათა ადრინდელ დოქტრინაში. შესაბამისად, pouvoir neutre – ის კონსტანტის პროექტში გამორჩეული ადგილი უჭირავს.¹⁸⁵ კონსტანტის იდეა უნდა განვიხილოთ, როგორც ძალაუფლებათა გამიჯვნის მოდერნიზება.¹⁸⁶ მისი pouvoir neutre არ წარმოადგენს „გამოგონებას“. ის ძალაუფლების გამიჯვნის აუცილებელი ელემენტია.¹⁸⁷ თანამედროვე დემოკრატიულ კონსტიტუციურ სახელმწიფოში pouvoir neutre არსებითი მოთხოვნილებაა,¹⁸⁸ ვინაიდან იგი გავლენას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ხელისუფლების შეკავებისა და კოორდინაციის საშუალებით.¹⁸⁹ კონსტანტი არ შეუშინდა, ძალაუფლებათა გამიჯვნის ჩვეულებრივი სქემის დამსხვრევასა და პოლიტიკურ თეორიაში pouvoir neutre – ის სახით ხელისუფლების მეოთხე შტოს დამკვიდრებას.¹⁹⁰ კონსტანტი დანარჩენ შტოებს მონარქის ხელისუფლების ქვეშ მოიაზრებს.¹⁹¹

კონსტანტის მიხედვით მონარქი, ერთი მხრივ, არ უნდა ფლობდეს შესაძლებლობას, ჩაიდინოს უსამართლობა,¹⁹² არ უნდა მმართველობდეს უშუალოდ¹⁹³ და, შესაბამისად, არ უნდა ახდენდეს გავლენას პოლიტიკურ ცხოვრებაზე,¹⁹⁴ მეორე მხრივ, მეფე უნდა ფლობდეს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას წინ აღუდგეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას¹⁹⁵. კონსტანტის კონცეპტის განსაკუთრებულობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან მონარქი ამისთვის ახალი უფლებამოსილებებით აღჭურვა, არამედ, მან ზოგიერთი მისი ისტორიულად დისკრეციული უფლებამოსილებები გამოყო და, ამ უფლებამოსილებათა თავისებურებების გათვალისწინებით, საფუძვლად დაუდო pouvoir neutre – ის იდეას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საპრეზიდენტო დემოკრატიებში პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი ხელისუფლების გამიჯვნის კლასიკურ იდეას ეყრდნობა, როდესაც საპარლამენტო დემოკრატიებში პრეზიდენტის ინსტიტუტი, ნაწილობრივ, კონსტანტისეული იდეის უშუალო გამოძახილია. დღეს საპარლამენტო სისტემებში არ დაობენ, რომ სახელმწიფოს მეთაური ნეიტრალური ხელისუფლებაა. მეორე საკითხია, თუ როგორ ითავსებს იგი არბიტრის ფუნქციას.

მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი სახელმწიფოს მეთაურის სახით განიცდის pouvoir neutre – ის ნაკლებობას. ვინ უნდა უზრუნველყოს ამ სისტემაში ძალაუფლებათა

¹⁸⁵ Jürgen Hartmann. Westliche Regierungssysteme. Parlamentarismus, präsidientielles und semi-präsidentielles Regierungssystem. 3. Auflage. 2011. S. 36.

¹⁸⁶ Lothar Gall. S. 258.

¹⁸⁷ Karl Doehring. “Pouvoir neutre” und das Grundgesetz. S. 202.

¹⁸⁸ Mattias Herdegen. Verfassungsgerichtbarkeit als pouvoir neutre. S. 258.

¹⁸⁹ Mattias Herdegen. S. 260.

¹⁹⁰ Lothar Gall. S. 258.

¹⁹¹ Wolfgang Reinhard. Geschichte der Staatsgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart. 2000. S. 428.

¹⁹² Lothar Gall. S. 268.

¹⁹³ იქვე. S. 269.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ იქვე.

ბალანსი? საპრეზიდენტო რესპუბლიკებში კონსტიტუციები განწესდნენ მექანიზმებს ნაწილობრივ ხელისუფლების ცალკეულ შტოებს აკისრებენ და ამით, გარკვეულწილად, ეს პრობლემა მოწესრიგებულია.

V. კონსტანტის იდეის კრიტიკა: pouvoir neutre თუ „ოქტროირებული“ პრეზიდენტი?

ა) Pouvoir neutre მონარქიისთვის თუ რესპუბლიკისთვის

კონსტანტი pouvoir neutre – ის ადგილს მხოლოდ კონსტიტუციურ მონარქიაში ხედავს. ამ მოძღვრებამ მე-20 საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო კრიტიკაც დაიმსახურა.¹⁹⁶ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, pouvoir neutre კონსტიტუციური მონარქიის სტრუქტურული ელემენტია და ის საპარლამენტო პარტიული სახელმწიფოს სისტემას არ შეესაბამება.¹⁹⁷ pouvoir neutre – ის ფიგურა შეიქმნა კონსტიტუციური მონარქიისთვის და არ შეიძლება მისი იმპლემენტაცია ფედერალურ საპარლამენტო რესპუბლიკაში.¹⁹⁸ კონსტანტის იდეის დახმარებით მოახდინა შმიტმა პრეზიდენტის, როგორც კონსტიტუციის ქომაგის ინტერპრეტაცია.¹⁹⁹ დოეჰრინგი მსგავს პოზიციას ავითარებს და დასძენს, რომ ძირითადი კანონის მიხედვით, ფედერალური პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ნეიტრალური მეოთხე ძალა.²⁰⁰ ეს კრიტიკა დღემდე გრძელდება. გერმანელ პროფესორს ტორსტენ შტაინს ამის თაობაზე გამოქვეყნებული აქვს სტატია: ფედერალური პრეზიდენტი pouvoir neutre?²⁰¹

მე-19 საუკუნიდან ცდილობენ, რომ პრეზიდენტის პოზიციები და ფუნქციები pouvoir neutre – ის კონცეპტის მიხედვით განსაზღვრონ²⁰². ამ პროცესებს, როგორც უკვე აღინიშნა, ხელი შეუწყო პარტიული სახელმწიფოს იდეის რეალიზაციამ.

ბ) ნეიტრალური თუ პარტიული?

საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი აქტიური პოლიტიკური პროცესების მონაწილე არაა. ამ სისტემაში pouvoir neutre – ის იდეა ხელს უწყობს პრეზიდენტის ემანსიპაციას პოლიტიკური სივრციდან. თითქმის ყველა საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუცია ადგენს პრეზიდენტის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს. საქართველოს პრეზიდენტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობისა და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება არ აქვს, რაც გამოწვეულია პრეზიდენტის პოლიტიკური

¹⁹⁶ Werner Link. S. 3.

¹⁹⁷ იქვე. S. 13.

¹⁹⁸ ციტირებულია: Dietmar Seidel. Der Bundespräsident als Träger der auswärtigen Gewalt. Berlin. 1972.

¹⁹⁹ Werner Link. S. 8.

²⁰⁰ Mattias Herdegen. S. 257.

²⁰¹ Torsten Stein. S. 249.

²⁰² Werner Link. S. 8.

ნეიტრალურობის აუცილებლობით.²⁰³ რამდენადაა საკმარისი ეს დეკლარაციული ჩანაწერი ნამდვილი ნეიტრალიტეტისათვის?

ვინაიდან, პრეზიდენტი არჩეულია პარტიის ან პარტიათა გაერთიანების მიერ და ის წარმოადგენს ამ პარტიების „დანამატს“,²⁰⁴ შესაბამისად, პრობლემატურია *pouvoir neutre* – ის საკითხი საპარლამენტო რესპუბლიკებში.²⁰⁵ გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი არაა *pouvoir neutre*. ის პარტიულ მთავრობასთან და პარტიულ უმრავლესობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.²⁰⁶

რესპუბლიკის პრეზიდენტი (მონარქებისგან განსხვავებით), სწორედ, არჩევნების გამო, პარტიების ან პარტიათა გაერთიანებების ექსპონანტია და არა ზეპარტიული.²⁰⁷ მონარქი უფრო მეტად უახლოვდება *pouvoir neutre* – ის ბუნებას, ვიდრე პრეზიდენტი, რომელიც, მართალია, ლეგიტიმაციას ხშირად პირდაპირი ან არაპირდაპირი არჩევნების საფუძველზე იღებს, თუმცა ორივე შემთხვევაში პარტიული ძალები (განსაკუთრებით უმრავლესობა) ცდილობენ პრეზიდენტი წარმოადგენდეს მათ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი დაკავშირებულია სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების ნებასთან.²⁰⁸ ამ თვალსაზრისით, პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ნეიტრალური.²⁰⁹ *pouvoir neutre* – ის არსი საპარლამენტო დემოკრატიებში შემდეგია: სახელმწიფოს მეთაური ემიჯნება პარტიულ ინტერესებს.

სხვაგვარადაა საკითხი საპარლამენტო მონარქიებში. მონარქი ვინრო პარტიული ინტერესებისგან დინსტანცირებულია. საპარლამენტო რესპუბლიკებში კი, პირიქით, საკითხი მწვავედ დგას: რამდენადაა პრეზიდენტი ზეპარტიული.

პრეზიდენტის ნეიტრალურ ბუნებას თვით პიროვნების პერსონა განსაზღვრავს. ასეთი პიროვნებები ძირითადად ყალიბდებიან და არსებობენ მაღალი პოლიტიკური კულტურისა და სამართლებრივი ცნობიერების მქონე საზოგადოებებში. აქედან გამომდინარე, *pouvoir neutre* – ის ვერ შექმნის კონსტიტუცია, ეს თვითონ პერსონის შინაგანი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. კონსტიტუცია ჩვეულებრივ განსაზღვრავს *pouvoir neutre* – ის საფუძვლებს და ამბობს თუ როგორი უნდა იყოს იგი. ევროპის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ასეთ პერსონებს პრეზიდენტობისთვის საგანგებოდ ეძებენ და არჩევენ.

²⁰³ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობითი კონცეფცია. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია. 2010. გვ. 45.

²⁰⁴ Theodor Maunz. Die innere Neutralität des Staates. in: Festschrift für Karl Lowenstein. Tübingen. 1971. S. 353.

²⁰⁵ იქვე.

²⁰⁶ Werner Link. S. 13.

²⁰⁷ იქვე. S. 10.

²⁰⁸ იქვე.

²⁰⁹ იქვე. S. 11.

ერთია, კონსტიტუციური დებულება, ხოლო მეორეა, სინამდვილე. საერთოდ შეიძლება ასე დაისვას საკითხი: არსებობს პრეზიდენტი როგორც *pouvoir neutre* კონსტიტუციაში?

პრეზიდენტის ნეიტრალიტეტი, დიდწილად, მისი ლეგიტიმაციის ფორმაზეა დამოკიდებული. რაც უფრო ნაკლებად ექნება ჩარევის საშუალება სახელისუფლებო გუნდს კანდიდატების შერჩევისა და ზოგადად საარჩევნო პროცესებზე, მით უფრო გარანტირებულია ნეიტრალურად მოტივირებული პრეზიდენტის არჩევა. მისი ნეიტრალიტეტი, დიდწილად დამოკიდებულია ლეგიტიმაციის ფორმებზე. უმთავრესი ასპექტი, რომელიც მას საარჩევნო პროცესის დროს თან ახლავს, გარკვეული „პოლიტიკური ინტერესია“, რომელსაც პოლიტიკური ფიგურები თუ პარტიები მის მიმართ იჩენენ. სწორედ ეს „ინტერესი“ უკარგავს პრეზიდენტს ნეიტრალიტეტის ბუნებას (ფუნქციას) და მისგან ქმნის სწორედ „პოლიტიკურ სუბიექტს“. იმისათვის, რომ ეს „ინტერესი“ გაქრეს, აუცილებელია პრეზიდენტის სხვაგვარი ლეგიტიმაცია – იგი არჩეულ იქნას ხალხის მიერ.

ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველო პარტიული სახელმწიფოა,²¹⁰ პრეზიდენტის არჩევნები მთლიანად პარტიულ სულისკვეთებას ემყარება. პირველი, 300 წევრიან საარჩევნო კოლეგიაში წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ყველა წევრი. როგორც ცენტრალურ, ისე ავტონომიების დონეზე (გარდა აფხაზეთისა) უმრავლესობა შესაბამისი არჩევნების შედეგად არჩეული „საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიისგან“ იქნება ჩამოყალიბებული. მეორე, საარჩევნო კოლეგიის „სხვა წევრებს“, კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ „შესაბამისი პოლიტიკური პარტიები“. ასევე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება კოლეგიის წევრებს ექნებათ, არჩეული იქნება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს პოლიტიკური უმრავლესობა. ლეგიტიმაციის ამგვარი წესი ნიშნავს პრეზიდენტის არა დემოკრატიული წესით არჩევას, არამედ მის პოლიტიკურ „ოქტროირებას“. ახალი საარჩევნო მოდელით, წარმომადგენლობითი დემოკრატია უშუალო დემოკრატია, პარლამენტის უზენაესობის პრინციპი კი სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს დაუპირისპირდა.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ძალაუფლების წყაროა უშუალოდ კონსტიტუცია და ის ძალაუფლებას საკონსტიტუციო კანონმდებლიდან იღებს, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საფრთხეებს აქვს განიცდის, ვინაიდან, მათი განწესება პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ხდება,²¹¹ რაც ხშირად ამ სასამართლოს

²¹⁰ პარტიული სახელმწიფოს პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლით იკვეთება. მაგალითად, მე-3 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში.

²¹¹ Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden *pouvoir neutre*. S. 312.

პოლიტიზირებას იწვევს. ეს ბალებს კითხვას, არის თუ არა სასამართლო სინამდვილეში ნეიტრალური?²¹² რთულია სასამართლოს დეპოლიტიზებაზე საუბარი.

ბოლო საკონსტიტუციო რეალობა შემდეგია: პოლიტიკურ ხელისუფლებას ორი ძალის – პრეზიდენტის და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ აქვს ერთგვარი „შიში“. საქართველოს ბოლო საკონსტიტუციო რეფორმების მიხედვით, კონსტიტუციამ დამატებით შებოჭა ორივე ძალა, რაც გამოიხატა პრეზიდენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ შემდეგ ფორმულირებაში: „ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს“ (52-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, მე-60 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი). მსგავსი ჩანაწერი ხელისუფლების არცერთი სხვა შტოს მიმართ არ არსებობს.

გ) არბიტრი თუ ინტეგრატორი?

რა შემთხვევებშია პრეზიდენტი არბიტრი? რას ამბობს კონსტიტუცია? კონსტიტუცია არაფერს ამბობს პრეზიდენტის ამ კონპეტენციაზე, „პოლიტიკურ არბიტრაჟზე“. თეორიულად დასაშვებია, რომ პრეზიდენტისთვის პოლიტიკური ინტერესი არ იყოს გადამწყვეტი, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელია მას არ ჰქონდეს არბიტრის მკვეთრად გამოხატული უფლებამოსილებები. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვმიჯნავთ ნეიტრალიტეტის ფუნქციას არბიტრის ფუნქციისგან. იმის ახსნა, არის თუ არა პრეზიდენტი *pouvoir neutre*, დიდ დროს და ძალისხმევას არ საჭიროებს.²¹³

ადრინდელი წარმოდგენების მიხედვით, სასამართლო, როგორც *pouvoir neutre* განიხილავს მოქალაქეთა დავებს და ის იცავს ორივე მხარეს, მაშინ როდესაც ხელისუფლების ორგანოებს შორის კონფლიქტების მოწესრიგება მონარქის პრეროგატივა იყო და ამით იგი „ირგებდა“ მოსამართლის მანტიას. დღეს კი ორგანოებს შორის დავის მოწესრიგება საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრეციაა. თეორიულად, ეს, ჯერ კიდევ, კელზენმა დაასაბუთა.

როდესაც მთავრობა პარლამენტის ნდობით სარგებლობს და მთავრობის თავმჯდომარე ძლიერი პოლიტიკური პარტიის „ექსპონანტი“²¹⁴ პარლამენტსა და მთავრობას შორის კონფლიქტი იშვიათობაა. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელი გადანწყვეტილებებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ორგანოთა დავა უფრო მეტად ეხებოდა ფედერაციასა და მიწებს, ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის დავებს და არა იმდენად საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალაუფლებათა შორის წარმოშობილ კონფლიქტებს.²¹⁵

²¹² იქვე. S. 313.

²¹³ Torsten Stein. Der Bundespräsident als “pouvoir neutre”?. in: ZaöRV 69. 2009.S. 250.

²¹⁴ Karl Doehring. Der “Pouvoir Neutre” und das Grundgesetz. S. 205.

²¹⁵ იქვე.

მოსალოდნელია თუ არა პოლიტიკური კონფლიქტი მთავრობასა და პარლამენტს შორის საპარლამენტო დემოკრატიებში? თუ კონფლიქტი პოლიტიკური კრიზისებითაა გამოწვეული (ზოგჯერ პირიქითაა, კონფლიქტი პოლიტიკურ კრიზისებს განაპირობებს), მაშინ მისი მოწესრიგების მექანიზმებს თვითონ საკანონმდებლო ორგანო შეიცავს და ესაა პოლიტიკური პასუხისმგებლობა – უნდობლობა გამოუცხადოს მის მიერვე არჩეულ მთავრობას ისე, რომ მას დამატებითი ძალა არ სჭირდება კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუ კონფლიქტი გამოწვეულია კომპეტენციების გამო, მაშინ ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. აი, ამ კონფიგურაციიდან გამომდინარე, პრეზიდენტი, როგორც *pouvoir neutre* არავითარ როლს არ ასრულებს კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. მას შეუძლია მხოლოდ „დიპლომატიური ენით“ მოუწოდოს ორივე ძალას, ურთიერთშეთანხმებით მიაღწიონ კომპრომისს. სახელმწიფოს მეთაურს სხვა ბერკეტი არ გააჩნია.

დღეს კონსტანტის კონცეპტი თითქმის არაა კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებული. მის მიერ დასახელებული სპეციფიკური კომპეტენციები, როგორცაა შეწყობის უფლება, ვეტოს უფლება, მოსამართლეთა დანიშვნა და სხვა, პირდაპირ არაა მიმართული ძალაუფლებათა შორის რაიმე კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ. დასახელებული უფლებამოსილებებიდან მხოლოდ ვეტოა გამონაკლისი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც შეკავების მექანიზმი სახელმწიფოს მეთაურის ხელში პარლამენტის წინააღმდეგ. თუნდაც ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მეთაური კონტრასიგნაციითაა შებოჭილი, მიანიშნებს იმაზე, რომ იგი არც აღმასრულებელი ხელისუფლებისგანაა დამოუკიდებელი და, მითუმეტეს, არც მასზე მალა დგას, როგორც ეს კონსტანტს წარმოედგინა. უნდა ითქვას, რომ კონსტიტუციონალიზმის შემდგომმა თეორიულმა განვითარებამ და საკონსტიტუციო პრაქტიკის სრულყოფამ გამოიწვია *pouvoir neutre* – ის იდეის მოდერნიზება.

pouvoir neutre – ის სამართლებრივ სტატუსს, ერთი მხრივ, განსაზღვრავს შეკავებისა და განონასწორების, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ორგანოებს შორის კონფლიქტების მოწესრიგების ფუნქცია. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს, მკვეთრად და ცალსახად, არც ერთი აქვს და არც – მეორე. მისი კომპეტენციებიდან მხოლოდ ორი ფუნქციაა შეიძლება დასახელდეს, რომელიც, კონსტანტის მიხედვით, *pouvoir neutre* – ის ბუნებას, მეტნაკლებად, შეესაბამება: ვეტო და პარლამენტის დათხოვნა. ვეტოს გამოყენებით მას შეუძლია, დროებით მაინც შეაკავოს საკანონმდებლო ძალაუფლება, ხოლო პარლამენტის დათხოვნით უზრუნველყოს კრიზისების თავიდან აცილება. კონფლიქტების მოწესრიგებასთან არც ერთი და არც მეორე დაკავშირებული არაა. ვეტო დღეს უკვე არ არის მხოლოდ სამეფო უფლებამოსილება და მხოლოდ საპარლამენტო დემოკრატიებისთვის დამახასიათებელი. იგი სხვადასხვა ფორმით გამოიყენება საპრეზიდენტო რესპუბლიკებშიც.

საქართველოს კონსტიტუცია, ერთი მხრივ, ადგენს პრეზიდენტის „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“ საფუძვლებს (51-ე მუხლი, მე-4 ქვეპუნქტის ბოლო წინადადება), მეორე მხრივ კი, არ განსაზღვრავს *pouvoir neutre* – ისთვის დამახასიათებელ სხვა არსებით ნიშანთვისებას: ძალაუფლებათა შორის კონფლიქტის მომწესრიგებლის, მედიატორის ფუნქციას. პრეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი და მისი პოლიტიკურად ნეიტრალური ბუნება ინტეგრაციულ ფუნქციას უკავშირდება, ვიდრე „სახელისუფლებო ძალებს შორის მომრიგებლის“ უფლებამოსილებას. ამ თვალსაზრისით, პრეზიდენტი მეტადრე „ინტეგრატორია“, ვიდრე „მომრიგებელი შუამავალი“. პრეზიდენტი საპარლამენტო დემოკრატიებში ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოა. შესაძლებელია, თვითონ სახელმწიფოს მეთაური აღმოჩნდეს კონფლიქტურ მდგომარეობაში ხელისუფლების დანარჩენ შტოებთან. მაშინ, საბოლოო სიტყვა საკონსტიტუციო სასამართლოს ეკუთვნის.

საქართველოს კონსტიტუციის შინაარსიდან გამომდინარეობს პრეზიდენტის ორი მთავარი ფუნქცია: ერთი მხრივ, ის უზრუნველყოფს „ინტერესთა ინტეგრაციას“ („ინტერესთა ჰარმონიზაცია“), მეორე მხრივ კი, სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონალურ უნარიანობას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, შემდეგში ვლინდება: პირველი, დაითხოვს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობით ორგანოს, ან შეაჩერებს მათ საქმიანობას, „თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას“ (52-ე მუხლი, „თ“ ქვეპუნქტი). მეორე, პრეზიდენტი ამ ფუნქციას უზრუნველყოფს პარლამენტის დათხოვნით, როდესაც საკანონმდებლო ორგანო ვერ ახერხებს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას (56-ე მუხლი, მე-3 ქვეპუნქტი, 58-ე მუხლი, მე-2 ქვეპუნქტი). ამით პრეზიდენტი უარს ამბობს ფუნქციონალურად „უენარო“ პარლამენტზე. მესამე, სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელისშეწყობას ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, "როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში" (71-ე მუხლი, მე-2 ქვეპუნქტი).

კონსტანტის მოძღვრების თანახმად, სახელმწიფოს მეთაურმა უნდა დანიშნოს მინისტრები და მოსამართლეები. ეს დებულება თითქმის უარყოფილია უმრავლესი საპარლამენტო რესპუბლიკების, მათ შორის საპარლამენტო მონარქიების მიერ, ვინაიდან მინისტრის ან მოსამართლის განწესება აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი ძალაუფლება და არ შეესაბამება საპარლამენტო დემოკრატიის, მეტადრე პარტიული მმართველობის არსს. იქ, სადაც ეს უფლებამოსილება შენარჩუნებულია, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

კონსტანტის იდეა, რომ შეწყალების უფლების გამოყენებით სახელმწიფოს მეთაური ზომიერებას ანიჭებს სასამართლო ხელისუფლებას, შეიძლება არ იქნეს გაზიარებული.

ვინაიდან, შეწყალების უფლება აღიქმება არა როგორც ძალაუფლების შეკავება, არამედ, უფრო ჰუმანური აქტი. გარდა ამისა, შეწყალების უფლებამოსილება საპრეზიდენტო რესპუბლიკებშიც პრეზიდენტის პრეროგატივაა. ამ სისტემებში პრეზიდენტი უფრო „შემწყნარებელია“, ვიდრე „შემაკავებელი“. პრეზიდენტი შეწყალების აქტის გამოცემისას ყურადღებას იმას კი არ აქცევს, გადაამეტა თუ არა სასამართლომ ძალაუფლებას, ან კანონმდებელმა დაადგინა თუ არა ზედმეტი სასჯელი, არამედ მისთვის განმსაზღვრელია დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე, დანაშაულის ჩამდენი პიროვნების ქცევები (გამოსწორდა თუ არა იგი, ან დაადგა თუ არა გამოსწორების გზას), დანაშაულის მოტივები და ა. შ. მოსამართლე მოქმედებს კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართლიანობის ფარგლებში. შესაბამისად ივარაუდება, რომ მოსამართლე სამართლიანობის კანონმდებლისეულ მასშტაბს არ სცილდება.

ვეტო კონსტანტისთან მონარქის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა. ვეტო pouvoir neutre – ის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია. რამდენად გამოდგება დღეს ვეტო pouvoir neutre – ის იდეის დასასაბუთებლად? მართალია ვეტო, შეკავების ერთერთი მექანიზმია, თუმცა ის კავშირში არაა ხელისუფლებათა შორის კონფლიქტთან. გარდა ამისა, ვეტოს გამოყენების უფლებამოსილება გააჩნიათ პრეზიდენტებს საპრეზიდენტო სისტემებში. ვეტო არ მოითხოვს შუამავალ, ნეიტრალურ ფიგურას, ის შესაძლებელია, როგორც საპარლამენტო მონარქიებში, ისე საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებში. ყველაზე საუკეთესო, კვალიფიციური, უფრო გონივრული და დასაბუთებული „ვეტო“ კანონისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება.

ვერც ხელშეუხლებლობის იმუნიტეტი და პოლიტიკური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება გამოდგება pouvoir neutre – ის არსებობის დასასაბუთებლად, ვინაიდან, ისინი, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია საპრეზიდენტო რესპუბლიკებისთვის. საპრეზიდენტო სისტემაში პრეზიდენტი არაა პოლიტიკურად პასუხისმგებელი. თითქმის ყველა კონსტიტუცია განსაზღვრავს პრეზიდენტებისთვის ხელშეუხლებლობის იმუნიტეტს. თითქმის ყველა პრეზიდენტი თავისუფალია პოლიტიკური პასუხისმგებლობისაგან.

საპარლამენტო რესპუბლიკებში დღემდე ცდილობენ პრეზიდენტის სახით შექმნან pouvoir neutre, მაგრამ ეს მცდელობა მაინც უშედეგოდ სრულდება, ვინაიდან, ბევრ კონსტიტუციურ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სისტემაში, ვერ მოიძებნა გამოკვეთილი და ღირსეული ადგილი პრეზიდენტისთვის. აქედან გამომდინარე, დღითიდღე ღვივდება საზოგადოების მხრიდან პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი უნდობლობა. დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში იხილავთ სტატიებს შემდეგი სახელწოდებით: საჭიროა თუ არა საერთოდ პრეზიდენტი?²¹⁶

²¹⁶ ob. Josef Isensee. Braucht die Republik einen Präsidenten? in: Neue juristische Wochenschrift. 47. Jahrgang. 1994. 1. Halbband. Heft 20. 1329. Rolf-Richard Grauhan. Gibt es in der Bundesrepublik einen "pouvoir neutre"? Heidelberg. 1959.

დ) auctoritas თუ potestas?

pouvoir neutre - იმ თავისი ფუნქცია შეიძლება მაშინ შეასრულოს, როდესაც მას პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან ერთად გააჩნია „ძალაუფლება“. ის მის გარეშე ილუზიაა და კვაზი-მოვლენაა. პრეზიდენტი როგორც „ნეიტრალური“, მაგრამ „ძალაუფლების“ გარეშე?²¹⁷

იმისათვის, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ეს ფუნქციები განახორციელოს, იგი უნდა ფლობდეს არა მხოლოდ ავტორიტეტს – auctoritas, არამედ, ასევე ძალაუფლებას – potestas.²¹⁸ მეფის ავტორიტეტი მომდინარეობს სამეფო ღირსებიდან,²¹⁹ ხოლო ძალაუფლება კი იმ კომპეტენციებიდან, რომლითაც მას შეუძლია არსებითად სხვა ხელისუფლებაზე მოახდინოს ზემოქმედება.²²⁰ ესაა ძალაუფლება პარლამენტის მიმართ, პირველ რიგში პარლამენტის მოწვევა და მისი დათხოვნა, ასევე აბსოლუტური ვეტო, პრემიერისა და მინისტრების დანიშვნა და განთავისუფლება, მოსამართლეების დანიშვნა და შეწყალების უფლებამოსილება.²²¹

ლექციებზე ხშირია რეპლიკები სტუდენტების მხრიდან: მაშ რისთვისაა საჭირო უფლებო პრეზიდენტი? რა როლს ასრულებს პრეზიდენტი, თუ მას რეალური ძალაუფლება არ გააჩნია? ეს კითხვები რომ არ გაჩნდეს, საჭიროა პრეზიდენტი ავტორიტეტთან ერთად ძალაუფლებასაც ფლობდეს.

დასკვნა

- pouvoir neutre, ერთი მხრივ, ისტორიული ევოლუციისა და, მეორე მხრივ, კონკრეტული იდეის რეალიზაციის შედეგია. კონსტანტის pouvoir neutre – ის იდეა დაეფუძნა ინგლისის კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებრივ პრაქტიკას და ამ თემაზე მანამდე გავრცელებულ მოსაზრებებს. კონსტანტის კონცეპტის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ჟან ჟაკ რუსოს, შარლ ლუი მონტესკიეს და აბბე სიეისის მოძღვრებამ. რუსოსთვის ნეიტრალური ორგანო იყო „ტრიბუნატი“, სიეისისთვის „საკონსტიტუციო უიური“, მონტესკიესთვის კი არისტრიატია.
- pouvoir neutre – ის კონცეპტის წარმოშობა, ერთი მხრივ, მონარქის უფლებამოსილების შეზღუდვის აუცილებლობისა და, მეორე მხრივ, ძალაუფლებათა შეკავების მექანიზმების ნაკლებობით იყო გამოწვეული.
- მართალია, pouvoir neutre – ის კონცეპტი სრულყოფილი ფორმით, კონსტიტუციო-ნალიზმში ბენჟამინ კონსტანტიმ დაამკვიდრა, მაგრამ დღეს ეს მოძღვრება საკონსტი-

²¹⁷ Ingolf Pernice. in: Dreyer. Grundgesetz. Kommentar. 2. Aufl. Art. 54. 2004. S. 23.

²¹⁸ Dietmar Seidel. S. 106.

²¹⁹ Kimminich. ციტირებულია: Dietmar Seidel. S. 106.

²²⁰ Dietmar Seidel. S. 106.

²²¹ იქვე.

ტუციო რეალობაში თავდაპირველი სახით არ არსებობს. მისთვის pouvoir neutre მეფეა, რომელიც ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაა სახელმწიფოში. მონარქი ემიჯნება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. კონსტანტისთან pouvoir neutre – ის არსი იმაშია, რომ მონარქი კონსტიტუციურ მონარქიაში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა შორის კონფლიქტების მონესრიგებას, მათ შორის ბალანსის, სამართლიანობისა და მშვიდობის შენარჩუნებას.

- კონსტანტის pouvoir neutre, მისი სტატუსიდან და სპეციფიკური კომპეტენციებიდან გამომდინარე, დიდი ხანია ხელისუფლების „მეოთხე“ შტოდაა მიჩნეული. ორ საუკუნეზე მეტია კონსტანტის მოძღვრება აქტუალური. იგი დღესაც მიმზიდველია. კონსტანტის დოქტრინამ ბიძგი მისცა დისკუსიას კონსტიტუციონალიზმში. განმანათლებელთა და კონსტიტუციონალისტთა მთელი თაობა კონსტიტუციებში pouvoir neutre – ის ძიებაშია. ძიების პროცესში მათთვის ამოსავალი იყო კონსტანტის მოძღვრება. თუმცა, კვლევებმა აჩვენა, რომ კონსტანტამდეც ცდილობდნენ ნეიტრალური ძალის აღმოჩენას კონსტიტუციებში.
- ამ პროცესის დაწყება, თამამად შეიძლება ითქვას, რუსოს სახელს უკავშირდება. უნა უნა რუსოსთან pouvoir neutre „ტრიბუნატია“ („Tribunat“), შარლ ლუი მონტესკიესთან „არისტოკრატია“ („Adel“), აბბე სიეისთან „საკონსტიტუციო ჟიური“ („Jury constitutionnaire“), ბენუამინ კონსტანტისთან „მონარქი“ („Monarch“), სიმონ ბოლივართან „ამომრჩეველთა ძალაუფლება“ („Poder Elecora“) და „მორალური ძალაუფლება“ („Poder Moral“), კარლ შმიტთან „პრეზიდენტი“ („Bundespräsident“), კარლ დოეჰრინგთან „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო“ („Bundesverfassungsgericht“), გეორგ რესთან „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო“ („EGMR“), ჯულიანე კოკოტისთან მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო („EuGH“), კვი ჰაილბრონნერესთან კი „საჯარო სამსახური“ („öffentliche Dienst“).
- საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულების სპეციფიკური და აბსოლუტურად თავისებური ნაირსახეობაა. იგი ზოგიერთ მოდელში, მაგალითად, გერმანიაში, საერთო სასამართლოებზე მაღლა დგას. უამრავი სხვა ფორმალური კრიტერიუმი არსებობს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიჯნავენ საერთო სასამართლოებისგან. ამ გამიჯვნის ერთერთი ფუნდამენტური კრიტერიუმი პოლიტიკურ ძალთა შეკავებაა, რომელიც მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემაშია.
- შეკავებისა და განონასწორების მექანიზმები არსებობენ პოლიტიკური ხელისუფლების მოსათვინიერებლად, თუმცა, ისინი, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს ხელში მძლავრი იარაღია პოლიტიკურ ძალაუფლებათა მიმართ. შეკავების მექანიზმისთვის არსებითია პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. ამ თვალსაზრისით, პარლამენტის მიერ მთავრობის დათხოვნა, ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ ვეტოს გამოყენება შეკავების პოლიტიკური, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონტროლის განხორციელება კი, შეკავების სამართლებრივი ასპექტია. შეკავებას პოლიტიკის სფეროში პოლიტიკური, ხოლო სამართლებრივში კი, სამართლებრივი

მოტივები გააჩნია. შესაბამისად, მთავრობის დათხოვნის შესახებ პარლამენტის აქტი პოლიტიკურია, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება – სამართლებრივი.

- საქართველოს კონსტიტუციაში pouvoir neutre საკონსტიტუციო სასამართლოა, ხოლო პრეზიდენტი ამ სტატუსით მხოლოდ მაშინ სარგებლობს, როდესაც დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.
- საქართველოს პრეზიდენტს კონფლიქტების მოწესრიგების მკვეთრად გამოხატული კომპეტენცია არ გააჩნია. ის კონსტიტუციით, პოლიტიკურად ნეიტრალურია, მაგრამ, „პოლიტიკური მოსამართლის“ როლსაა მოკლებული. pouvoir neutre – ის სიმძიმის ცენტრი მთლიანად გადასულია საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემაში, რომელიც ერთდროულად, როგორც კონფლიქტების მოწესრიგების, ისე განონაწილების ფუნქციას ასრულებს.
- საქართველოს პრეზიდენტი *სემი* ან, უფრო მეტიც, *კვამი* pouvoir neutre – ია. ის ვერ აწესრიგებს წარმოშობილ კონფლიქტებს. საქართველოს პრეზიდენტი, მისი არჩევის წესიდან გამომდინარე, პოლიტიკური ხელისუფლების „დანამატია“. კონსტიტუცია არ ქმნის დეპოლიტიზირებული პრეზიდენტის ინსტიტუტს, პირიქით, საკონსტიტუციო ნორმები „ოქტროირებულ პრეზიდენტს“ გვთავაზობს.
- საქართველოს კონსტიტუციურ სისტემაში მეოთხე ძალა – pouvoir neutre - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოა, ვინაიდან, იგი ფლობს მისთვის დამახასიათებელ ორ ფუნდამენტურ ნიშან-თვისებას: პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და კონფლიქტების მოწესრიგების კონსტიტუციურ მექანიზმებს. საკონსტიტუციო სასამართლო არაა პოლიტიკური ორგანო. ის ემიჯნება პოლიტიკურ ინტერესებს. მისი მთავარი ფუნქცია პოლიტიკურ პროცესებზე სამართლებრივი რეაგირებაა.
- pouvoir neutre როგორც ძალაუფლების „მეოთხე“ შტო, შემდეგ ელემენტებს მოიცავს: ძალაუფლებათა კოორდინაცია, შეკავება და ბალანსი. ესაა ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც ძალაუფლებათა გამიჯვნის არსს განსაზღვრავენ და, უპირველეს ყოვლისა, pouvoir neutre – ის კონცეპტუალურ მახასიათებლებს წარმოადგენენ.
- pouvoir neutre საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ რეალობაა, ხოლო პრეზიდენტის მიმართ კი მხოლოდ ილუზია.
- არსებობს pouvoir neutre – ის ძველი – კონსტანტისეული და ახალი – კლასიკური გაგება. აქიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ მის ფართო და ვიწრო მნიშვნელობაზე. კონსტანტისეული გაგებით, pouvoir neutre მოიცავს მონარქის მთელ რიგ უფლებამოსილებებს (მინისტრების და მოსამართლეების დანიშვნა, ვეტოს უფლება, პარლამენტის დათხოვნა, შეწყალების უფლება), მაშინ როდესაც pouvoir neutre, კლასიკური გაგებით, მოიცავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, ინტეგრაციულ ფუნქციას და არბიტრის ფუნქციას.

- *pouvoir neutre* ძალაუფლებათა სისტემაში ყველაზე ავტორიტეტული და მორალური ინსტიტუტია. ეს განპირობებულია პიროვნებათა მნიშვნელოვანი ავტორიტეტით, რომლებიც ფლობენ ნეიტრალურ ძალაუფლებას. ასეთი ავტორიტეტები მაღალგანვითარებულ დემოკრატიებში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები არიან.

“Pouvoir neutre” in the Doctrine of Constitutionalism: Constitutional Reality or Illusion?

Beka Kantaria

Resume

In 1815, Benjamin Constant published the book “Principles of Politics”, which laid the foundation for the doctrine of “*pouvoir neutre*”, according to which a monarch is a neutral power in the constitutional monarchy. The monarch is separated from certain branches of government, stands above them and can resolve conflicts between them. The head of state as a *pouvoir neutre* mediator, is an arbitrator. This idea of Constant was reflected in the constitutions of the next generation (Brazil, Portugal, and Spain).

Carl Schmitt and Karl Doehring, the older generation of academics, further developed the doctrine of *pouvoir neutre*. Interesting articles were devoted to this idea by Mattias Herdegen, Juliane Kokott, Torsten Stein, Georg Ress. However, the most notable was a 1964 article by Karl Doehring: “The Basic Law and the *Pouvoir Neutre*”. According to Doehring, *pouvoir neutre* is a federal constitutional court. It was in accordance with this doctrine that we tried in this article to prove that in the modern constitutional system of Georgia, the *pouvoir neutre* is the Constitutional Court of Georgia, and the President of Georgia is only a *quasi-pouvoir neutre*, since the President does not possess the powers necessary to regulate conflicts between the authorities, which is considered to be an essential feature of Benjamin Constant’s *pouvoir neutre*.

The doctrine of Constant’s *pouvoir neutre* is outdated. Today it is not represented in any model, as Constant imagined. Over time, the *pouvoir neutre* has undergone a modification. Nevertheless, it still retains its relevance and attractiveness in the modern political system.

გამოყენებული ლიტერატურა

- Benjamin Constant. *Principes de politique*. Paris. 1815.
- Georg Jellinek. *Allgemeine Staatslehre*. Berlin. 1922.
- Hans Kelsen. *Wer soll der Hüter der Verfassung sein?* Berlin-Grunewald. Dr. Walther Rothschild. 1931.
- Kurt Kluxen. *Das Problem der politischen Opposition*. 1956.
- Rolf-Richard Grauhan. *Gibt es in der Bundesrepublik einen "pouvoir neutre"?* Heidelberg. 1959.
- Helmut Lehne. *Der Bundespräsident als neutrale Gewalt nach dem Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland*. Bonn, Univ., Diss., 1960.

- H. Lehne. Der Bundespräsident als neutrale Gewalt nach dem Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland. 1960.
- Karl Doehring. Der "Pouvoir Neutre" und das Grundgesetz. in: Der Staat 3. 1964.
- Nikolaus Notter. Der Präsident der Republik als pouvoir neutre nach der französischen Verfassung vom 4. Oktober 1958. 1964.
- Peter Pernthaler. Das Staatsoberhaupt in der parlamentarischen Demokratie. 1967.
- Karlheinz Rode. Die Ausfertigung der Bundesgesetz. Berlin. 1968.
- Werner Kaltefleiter. Die Funktionen des Staatsoberhauptes in der parlamentarischen Demokratie. Westdeutscher Verlag. Köln und Opladen. 1970.
- Werner Link. Zur Lehre von der "neutralen Gewalt" des Staatsoberhauptes. In: Aus Politik und Zeitgeschichte : APuZ , No. 17. 1971.
- Theodor Maunz. Die innere Neutralität des Staates. in: Festschrift für Karl Lowenstein. Tübingen. 1971.
- Dietmar Seidel. Der Bundespräsident als Träger der auswärtigen Gewalt. Berlin. 1972.
- Monarchie: in: Geschichtliche Grundbegriffe. Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland. Herausgegeben von Otto Brunner, Werner Conze und Reinhart Koselleck. Band 4. 1978.
- Peter Häberle. Verfassungsgerichtbarkeit zwischen Politik und Rechtswissenschaft. Recht aus Rezensionen Verfassungsgerichtbarkeit als politische Kraft. Zwei Studien. 1980.
- Maria Luisa Sanchez-Mejla. Benjamin Constant y la construccion del liberalism postrevolucionario. Madrid. 1992.
- Jürgen Hartmann. Streiter oder Integrator? Zur aktuellen Rollenbestimmung des Bundespräsidenten im Vergleich mit anderen Staatsoberhäuptern. in: Gegenwart Kunde. Zeitschrift für Gesellschaft, Wirtschaft, Politik und Bildung. 43. Jhargang 1994.
- Josef Isensee. Braucht die Republik einen Präsidenten? in: Neue juristische Wochenschrift. 47. Jahrgang. 1994. 1. Halbband. Heft 20. 1329.
- Wolfgang Reinhard. Geschichte der Staatsgewalt. Eine vergleichende Verfassungsgeschichte Europas von den Anfängen bis zur Gegenwart. 2000.
- Oliver W. Lembcke. Institutionalisierung eines pouvoir neutre? Oder: Wie Hegel aus dem Klumpen einen Knoten machte. in: Recht, Staat und Politik beim frühere Hegel. Michael Henkel (Hrsg). Berlin. 2002.
- Ingolf Pernice. in: Dreyer. Grundgesetz. Kommentar. 2. Aufl. Art. 54. 2004.
- Florian Weber. Benjamin Constant und der liberale Verfassungsstaat: politische Theorie nach der Französischen Revolution. 1. Aufl. Wiesbaden. 2004
- Bernd Wieser. Vergleichendes Verfassungsrecht. 2005.
- Christoph Maier. Gewaltenteilung bei Aristoteles und in der Verfassung Athens: Keine freiheitliche Demokratie ohne multipolare Institutionenordnung (Berliner Juristische Universitätschriften: Grundlagen des Rechts). 2006.
- Tobias Friske, Staatsform Monarchie. Was unterscheidet eine Monarchie heute noch von einer Republik? 2007.
- Andreas Timmermann. Das Konzept der "neutralen Gewalt": eine verfassungshistorische Überlegung zur Debatte um Präsidentialismus und Parlamentarismus. In: Verfassung und Recht in Übersee : VRÜ Vol. 40, No. 2. 2007.
- Christoph Degenhart. Staatsrecht I. 2007.
- Marc Andre Wiegand. Zum Begriff des Staatsoberhauptes. in: Archiv des öffentlichen Rechts. 133. Band. 2008.
- Handbuch der Politischen Philosophie und Sozialphilosophie. Herausgegeben Stefan Gosepath, Wilfried Hinsch und Beate Rössel. Band 1. A-M. 2008.
- Torsten Stein. Der Bundespräsident als "pouvoir neutre"? in: ZaöRV 69. 2009.
- Mattias Herdegen. Verfassungsgerichtbarkeit als pouvoir neutre. in: ZaöRV 69. 2009.
- Kaz Hailbronner. Der Öffentliche Diens als "pouvoir neutre". in: ZaöRV 69. 2009.
- Juliane Kokott, Der pouvoir neutre im Recht der Eoropäischen Union. in: ZaöRV 69. 2009.

- Georg Ress. Der Europäische Gerichtshof für Menschenrecht als pouvoir neutre. in: ZaöRV 69. 2009.
- Karl Doehring. Auf der Suche nach einem die politischen Mächte begrenzenden pouvoir neutre. in: ZaöRV 69. 2009.
- საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობითი კონცეფცია. საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია. 2010.
- Emmanuel Joseph Sieyes. Was ist der Dritte Stand? Herausgegeben von. Oliver. W. Lembcke und Florian Weber. Schriften zur europäischen Ideengeschichte. Band 3. Berlin. 2010.
- Carl Schmitt. Verfassungslehre. Zehnte Auflage. Berlin. 2010.
- Jean-Jacques Rousseau, Vom Gesellschaftsvertrag. Stuttgart. 2011.
- Jürgen Hartmann. Westliche Regierungssysteme. Parlamentarismus, präsidentielles und semi-präsidentielles Regierungssystem. 3. Auflage. 2011.
- Lothar Gall. Die Rolle des Monarchen im Verfassungsstaat: Constants Lehre vom „pouvoir neutre“. in: Republikanischer Liberalismus: Benjamin Constants Staatsverständnis. Oliver W. Lembcke/Florian Weber (Hrsg). Baden-Baden. 2013.
- გიორგი ალასანია. ევროკავშირის მმართველობის კონსტიტუციური პრინციპები. 2013.
- იულიუს ჰაჩევი. თანამედროვე დემოკრატიის უფლება. თბილისი. 2016.
- მარკ ტაშნეტი. შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები. თბილისი. 2016.
- Carl Schmitt. Der Hüter der Verfassung. Fünfte Auflage. Berlin. 2016.
- Emanuel G. Ionescu. Innerstaatliche Wirkungen des Vertragsverletzungsverfahrens. Tübingen. 2016.

ბენუამინ კონსტანი. პოლიტიკის პრინციპები. განკუთვნილი ყველა წარმომადგენლობითი მთავრობისთვის და განსაკუთრებით – სათვრანგეთის მოქმედი კონსტიტუციისთვის. პარიზი. მაისი, 1815.

თავი II

სამეფო ხელისუფლების ბუნების შესახებ კონსტიტუციურ მონარქიაში

ჩვენი კონსტიტუცია მინისტრების პასუხისმგებლობის განსაზღვრის გზით მკაფიოდ მიჯნავს მთავრობის უფლებამოსილებას სამეფო ხელისუფლებისაგან. ამ დანაწილებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მონარქი ხელშეუხებელია, მინისტრები კი – პასუხისმგებელი პირები. შეუძლებელია უარვეყოთ, რომ მინისტრებს გააჩნიათ საკუთარი ძალაუფლება, თუმცა – მხოლოდ გარკვეულწილად. ამასთან, თუკი მათ მხოლოდ პასიურ და ბრმა შემსრულებლობად მივიჩნევთ, მათი პასუხისმგებლობა აზრს მოკლებული და უსამართლო იქნებოდა, ან, სულ მცირე, ისინი მხოლოდ მონარქის წინაშე იქნებოდნენ ანგარიშვალდებულნი და – მისი ბრძანებების ზედმინევით შესრულებაზე ორიენტირებულნი. მაგრამ, კონსტიტუციის თანახმად, ისინი ერის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და ზოგიერთ შემთხვევაში მონარქის ბრძანებებს ვერ მოიშველიებენ თავის გასამართლებლად. მაშასადამე, ნათელია, რომ ისინი არ არიან პასიური შემსრულებლები. მთავრობის უფლებამოსილება, მართალია, მომდინარეობს სამეფო ხელისუფლებისაგან, მაგრამ რეალურად მას გააჩნია ამ უკანასკნელისგან განსხვავებული საფუძველი: განსხვავება კი არსებითი და ფუნდამენტურია პასუხისმგებელ ხელისუფლებასა და ხელშეუხებლობით აღჭურვილ ხელისუფლებას შორის.

ეს განსხვავება, რომელსაც ჩვენივე კონსტიტუცია აღიარებს, ვფიქრობ, გარკვეულ განმარტებას საჭიროებს. აღნიშნულის შესახებ ვისაუბრე 1814 წლის ქართის მიღებამდე გამოქვეყნებულ ნაშრომში. ანგარიშგასაწვეი ფიგურების მიერ იგი შეფასდა, როგორც ნათელი და სასარგებლო. ჩემი აზრით, ეს მართლაც წარმომადგენს ნებისმიერი პოლიტიკური მოწყობის გასაღებს.

სამეფო ხელისუფლება (ვგულისხმობ სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლებას, მიუხედავად მისი სახელწოდებისა) არის ნეიტრალური ხელისუფლება. მთავრობა კი წარმომადგენს აქტიურ ხელისუფლებას. ამ განსხვავების ასახსნელად საჭიროა, განვიხილოთ პოლიტიკური ხელისუფლებების დღემდე ცნობილი განმარტებები.

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება წარმომადგენს სამ მამოძრავებელ ძალას, რომელთაგან თითოეულმა, თავის მხრივ, საკუთარი წვლილი

უნდა შეიტანოს ერთიან მოძრაობაში; მაგრამ, როცა ეს უნესრიგო ძალები კვეთენ, ეჭა-ხებიან და აბრკოლებენ ერთმანეთს, საჭიროა სხვა ისეთი ძალა, რომელიც მათ თავიანთ ადგილს მიუჩინს. ეს ძალა არ შეიძლება, წარმოადგენდეს რომელიმე სამ სამთაგან, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი გაანადგურებდა დანარჩენ ორს. დამატებითი ძალა უნდა იყოს გარეშე, ნეიტრალური, გარკვეულწილად, რათა მისი ქმედება გამოყენებულ იქნას ყველგან, სადაც საჭიროა, როგორც – დამცველი, მკურნალი და არამტრული.

კონსტიტუციური მონარქია ქმნის ასეთ ნეიტრალურ ხელისუფლებას სახელმწიფოს მეთაურის სახით. ამ მეთაურის მონოდება სრულიადაც არ არის რომელიმე ხელისუფლების მიერ მეორის ჩამოგდება, არამედ – ხელისუფლების სამივე შტოს მხარდამხარ დგომა, ერთიერთშეთანხმება და ერთობლივი ქმედებაა.

დღემდე პოლიტიკური წყობის მხოლოდ სამ ხელისუფლებას ვასხვავებდით. თუმცა მე ვიკამათებდი კონსტიტუციურ მონარქიაში განსხვავებული ბუნების მქონე ხუთი ხელისუფლების არსებობაზე: 1) სამეფო ხელისუფლება; 2) აღმასრულებელი ხელისუფლება; 3) ხანგრძლივი წარმომადგენლობითი ხელისუფლება (le pouvoir représentatif de la durée); 4) საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლობითი ხელისუფლება (le pouvoir représentatif de l'opinion); 5) სასამართლო ხელისუფლება.

ხანგრძლივი წარმომადგენლობითი ხელისუფლების წყაროა მემკვიდრეობითი კრება; საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლობითი ხელისუფლების წყარო – არჩევითი კრება; აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაბარებული აქვთ მინისტრებს; სასამართლო ხელისუფლება კი – მოსამართლეებს. აქედან პირველი ორი ქმნის კანონებს, მესამე ზედამხედველობს კანონების შესრულებას, მეოთხე კი მათ იყენებს განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. სამეფო ხელისუფლება შუაშია, მაგრამ – დანარჩენ ოთხ ხელისუფლებაზე მაღლა. ესაა ერთდროულად უმაღლესი და შუალედური ძალაუფლება, რომლის მიზანს არ წარმოადგენს წონასწორობის დარღვევა, პირიქით, იგი სწორედ ამ წონასწორობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული.

საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რადგან, ადამიანთა მსგავსად, შესაძლოა, ვერც სახელმწიფოს მეთაურმა მოახერხოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედება. სწორედ ეს განაპირობებს განსხვავებას აბსოლუტურ მონარქიასა და კონსტიტუციურ მონარქიას შორის.

იმისათვის, რომ ზოგად საუბარს თავი დავაღწიოთ ფაქტების მოშველიებით, მაგალითად მოვიყვანო ინგლისის კონსტიტუციას.

ვერცერთი კანონი შეიქმნება მემკვიდრეობითი და არჩევითი პალატების მონაწილეობის გარეშე, ვერცერთი ქმედება განხორციელდება მინისტრის ხელმოწერის გარეშე, ვერცერთი განაჩენი გამოცხადდება დამოუკიდებელი სასამართლოების გარეშე. მაგრამ, როცა

წინდახედულების ზომები მიღებულია, დაუკვირდით, როგორ იყენებს ინგლისური კონსტიტუცია სამეფო ხელისუფლებას ყოველგვარი საშიში ბრძოლის შესანწყვეტად და დანარჩენ ხელისუფლებებს შორის ჰარმონიის აღსადგენად. თუკი აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედება საფრთხის შემცველია, მეფე დაითხოვს მინისტრებს. თუ მემკვიდრეობითი პალატის ქმედება მომაკვდინებელი ხდება, მეფე მას მიმართულებას უცვლის ახალი პერების შემოყვანით. თუ არჩევითი პალატის ქმედება საშიშროების შემცველია, მეფე იყენებს ვეტოს უფლებას, ან შლის არჩევით პალატას. და ბოლოს, თუკი თვით სასამართლო ხელისუფლების ქმედება იმდენად აღმაშფოთებელია, რომ იგი ცალკეულ ქმედებაზე რეაგირებს მეტისმეტად მკაცრი ზოგადი სასჯელით, მეფე ამ ქმედებას ანეიტრალებს შეწყალების უფლების გამოყენებით.

თითქმის ყველა კონსტიტუციის ხარვეზს წარმოადგენდა ნეიტრალური ხელისუფლების არარსებობა და მთლიანი ტვირთის გადაკისრება ერთი რომელიმე აქტიური ხელისუფლებისთვის. როდესაც ეს სიმძიმე საკანონმდებლო ხელისუფლებაში ინაცვლებს, კანონი, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ საკითხებზე უნდა გავრცელდებოდეს, ვრცელდება ყველაფერზე. მკვიდრდება თვითნებობა, უკანონობა და უსაზღვრო ტირანია. ამ შემთხვევაში პარლამენტი უფლებამოსილებას გადაამეტებს, როგორც მაგალითად – სახალხო კრებებმა უფლებამოსილებას გადაამეტა იტალიის რესპუბლიკებში, კონვენტის ექსცესებმა... როცა იგივე გაერთიანებულმა ძალაუფლებამ თავი მოიყარა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ამან გამოიწვია დესპოტიზმი. აქედან წარმოიშვა უზურპაცია, რასაც მოჰყვა რომის დიქტატურა.

რომის ისტორია, საერთოდ, ერთი დიდი მაგალითია ნეიტრალური ხელისუფლების აუცილებლობისა, როგორც შუამავალი ხელისუფლების არსებობისა – დანარჩენ აქტიურ ხელისუფლებებს შორის. ამ რესპუბლიკაში ჩვენ ვხედავთ, ხალხისა და სენატის დაპირისპირებისას თითოეული მხარე როგორ ეძებდა საკუთარი თავის დაზღვევის საშუალებებს, ეს გარანტიები კი დაპირისპირებული მხარის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იქცეოდა ხოლმე. რადგან სახალხო გამოსვლები სახელმწიფოს დანგრევით ემუქრებოდა, შემოიღეს დიქტატორების და პატრიციების რანგის ერთგული მოსამართლეების (magistrat) ინსტიტუტი. მიუხედავად იმისა, რომ პლებეები სასონარკვეთილებამდე მიჰყავდა პატრიციების მხრიდან ჩაგვრას, დიქტატურა არ დამხოვბილა, შეიქმნა ტრიბუნების ინსტიტუტი, როგორც სახალხო ძალაუფლება. ამგვარად მტრები აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ, თუმცა უკვე – მტკიცედ გამაგრებულები. ცენტურიები წარმოადგენდა არისტოკრატებს, ტრიბუნები კი – დემოკრატებს. სახალხო გადანწყვეტილებით (პლებისციტი) მიღებული დადგენილებები, რომლებსაც სენატი მხარს არ უჭერდა, არანაკლებ სავალდებულო იყო პატრიციებისთვისაც. სენატის დადგენილებები (senatus consulti), რომლებსაც მხოლოდ პატრიციები უდებდნენ საფუძველს, არანაკლებ სავალდებულო იყო პლებებისთვისაც. ამგვარად, თითოეული პარტია რიგრიგობით ექცეოდა ხელისუფლების სათავეში და ბოროტად იყენებდა ამ ძალაუფლებას, მაშინ, როდესაც ხელისუფლება

ნეიტრალური ძალის ხელში უნდა ყოფილიყო. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ აქტიური ხელისუფლებები არ ჩამოაგდებდნენ მას ცალკე ხელისუფლების შესაქმნელად.

იგივე შეინიშნება კართაგენელებთანაც: სენატის არისტოკრატის შესაზღუდად მათ ერთიმეორის მიყოლებით შექმნეს სუფეტები (suffètes), ასეულის ტრიბუნალი – სუფეტებთან გასამკლავებლად, ხოლო ხუთეულის ტრიბუნალი – ასეულის შესაზღუდად. როგორც კონდილაკი ამბობს, მათ სურდათ ძალაუფლების შეზღუდვა და ამის მაგივრად ახალი ძალაუფლება შექმნეს, რომელიც ასევე საჭიროებდა შეზღუდვას. ეს უკანასკნელი მაინც ინარჩუნებდა იმ გადამეტებულ უფლებამოსილებას, რომლის შესაზღუდადაც რეალურად თავად იყო მოწოდებული.

კონსტიტუციური მონარქია გვთავაზობს, როგორც უკვე აღვნიშნე, ნეიტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ესოდენ აუცილებელია კანონისმიერი თავისუფლებისათვის. თავისუფალ ქვეყანაში მეფე განცალკევებული არსებაა, სხვადასხვა თვალსაზრისზე მაღლა მდგომი, რომლის მიზანი მხოლოდ წესრიგისა და თავისუფლების შენარჩუნებაა, რომელსაც არ შეუძლია, გაითქვიფოს საერთო მდგომარეობაში და შედეგად ემიჯნება ყველა იმ მისწრაფებას, რასაც ეს საერთო მდგომარეობა ბადებს, ემიჯნება იმ პერსპექტივებს, რაც დროებითი ხელისუფლების წარმომადგენელთათვისაა დამახასიათებელი. სამეფო ხელისუფლების ამ უმაღლესმა პრეროგატივამ უნდა დააფანოს მონარქის გონებაში სიმშვიდე, მის სულში – კი მოსვენების შეგრძნება, რაც ვერ იქნება ზიარი დაბალ საფეხურზე მდგომ პირებთან. ამგვარი ხელისუფლება, ასე ვთქვათ, დალივლივებს ამ ადამიანური მღელვარების მიღმა, სწორედ ეს არის პოლიტიკური ორგანიზაციის შედეგრი. იგი უთანხმოებათა წიაღში (რომლის გარეშეც არავითარი თავისუფლება არ არსებობს) ქმნის უსაფრთხოების, სიდიადისა და მიუკერძოებლობის ხელშეუხებელ სფეროს, რომელიც ზიანის მიყენების გარეშე იძლევა ამ უთანხმოებათა განვითარების საშუალებას, თუმცა – ისე, რომ ეს უთანხმოებანი არ გასცდეს გარკვეულ საზღვრებს, და რომელიც საფრთხის შექმნისთანავე უსვამს წერტილს ამ უწესრიგობას კანონიერი, კონსტიტუციური და არათვითნებური საშუალებებით, მაგრამ ეს უზარმაზარი უპირატესობა იკარგება, როცა მონარქის ხელისუფლება დაჰყავთ აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, ან, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება აჰყავთ მონარქის დონემდე.

თუ არ განასხვავებთ ამ ხელისუფლებებს, მაშინ გადაუჭრელი დარჩება ორი დიდი საკითხი: პირველი – აღმასრულებელი ხელისუფლების დათხოვნისა, მეორე კი – მისი პასუხისმგებლობისა.

ფაქტობრივად, აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს მინისტრები: თუმცა ხელისუფლებას, რომელიც შეიძლება მის დათხოვნას, აქვს შემდეგი ნაკლი: აბსოლუტური მონარქიის დროსაც მისივე (აღმასრულებელი ხელისუფლების) მოკავშირეა,

ხოლო რესპუბლიკის პირობებში – მისი მტერი. მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური მონარქიის პირობებში ხორციელდება სამართლიანობის შენარჩუნება.

ამასთან, როგორც ვხედავთ, აბსოლუტური მონარქიის დროს არ არსებობს აღმასრულებელი ხელისუფლების დათხოვნის საშუალება, გარდა სახალხო გადატრიალებისა, რომელიც თვით ამ დასამარცხებელ ბოროტებაზე უარესია. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკები ცდილობდნენ უფრო რიგიანი საშუალებების პოვნას, ხშირად მაინც არ იყვნენ დაზღვეულნი იგივე ძალადობრივი შედეგებისგან.

კრეტელებმა შემოგვთავაზეს აჯანყების ერთგვარად კანონიერი ფორმა, რათა დევნა გამოეცხადებინათ მოსამართლეებისათვის, და ამით ბევრი კონსტიტუციონალისტის ქებაც დაიმსახურეს¹; ათენში კანონი უფლებას აძლევდა თითოეულ მოქალაქეს, მოეკლა ის, ვინც სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას შეეხებოდა რესპუბლიკის თავისუფლებას². რომში იგივე მიზანი ჰქონდა ვალერიუს პუბლიკოლას (Valerius Publicola) კანონს. ფლორენციელებს ჰქონდათ თავიანთი ”ბალია” (Ballia) ან სპეციალურად შექმნილი საგანგებო საბჭო, აღჭურვილი ყოველგვარი ძალაუფლებით, რომელსაც გააჩნდა გადაყენების უნივერსალური უფლებამოსილება (იმპიჩმენტი)³. მიუხედავად ამისა, ყველა ამ კონსტიტუციაში აღმასრულებელი ხელისუფლების გადაყენების უფლება, ასე ვთქვათ, დამოკიდებული იყო იმის ნებაზე, ვინც მას დაეუფლებოდა, ხოლო ის, ვინც მას დაეუფლებოდა, ამ უფლებას იყენებდა ტირანიის დასამკვიდრებლად და არა – მის აღმოსაფხვრელად. აქედან გამომდინარე, გამარჯვებული პარტია არ სჯერდებოდა ხელისუფლების ჩამორთმევას, პირიქით, იგი შეტევაზე გადადიოდა; იბრძოდა სამართლიანობის გვერდის ავლით, ეს კი გახლდათ არა სამართლიანი, არამედ – მომაკვდინებელი რამ.

ფლორენციის ბალია, შექმნილი დიდი ქართვეილებისას, ხასიათდებოდა უკანონობით. ის სჯიდა სიკვდილით, აპატიმრებდა, ართმევდა ქონებას. ამიტომაც, მას შემდეგ, რაც ანარქიამ მოიკვა ფლორენცია, ბალია გახდა მედიჩების ძალაუფლების ძირითადი იარაღი.

საჭიროა კონსტიტუციური ხელისუფლება, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ფლორენციის ბალიის დადებითი თვისებები და, რომელიც თავისუფალი იქნება მისი ბნელი მხარისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციურ ხელისუფლებას არ უნდა შეეძლოს სიკვდილით დასჯა, დაპატიმრება, არც – ქონების ჩამორთმევა და არც -გადასახლება, არამედ იგი უნდა შემოიფარგლებოდეს იმ ადამიანებისა და დაჯგუფებებისათვის ხელისუფლების ჩამორთმევით, რომელთა მმართველობაც საფრთხის მომტანი იქნებოდა.

¹ ფილანგიერი (Filangieri) I, 10. მონტესკიე (Montesquieu). VIII, 11.

² პეტი დე ლეგი (Petit de Lege).

³ მაკიაველი (Machiaveli).

კონსტიტუციურ მონარქიას შეუძლია ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტა. იდეების უკეთ ჩამოსაყალიბებლად, მკითხველს ვთხოვ, ჩემი მსჯელობა დაუკავშიროს სინამდვილეს. ასეთ სინამდვილეს წარმოადგენს ინგლისის მონარქია. ის ქმნის ნეიტრალურ და შუალედურ ხელისუფლებას: იგი აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან გამიჯნული სამეფო ხელისუფლებაა. აღმასრულებელი ხელისუფლების გადაყენება დევნის გარეშე ხორციელდება. მინისტრების დასათხოვად მეფეს არ სჭირდება მათი დარწმუნება მათ მმართველობაში შეცდომის, დანაშაულის ან დანაშაულებრივი გეგმის არსებობაზე მითითება; ის მათ დაითხოვს დაუსჯელად: ამგვარად, აუცილებელი საქმე წყდება უსამართლობის გარეშე; და, რადგან აღნიშნული საშუალება სამართლებრივია, იგი სასარგებლოცაა.

ნებისმიერი კონსტიტუციის დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იგი ძალაუფლების მქონე ადამიანებს არჩევანს უტოვებს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ძალაუფლებასა და სახრჩობელას შორის.

აღმასრულებელი ხელისუფლების გადაყენებასა და დასჯას შორის იგივე განსხვავებაა, რაც წარმომადგენლობითი კრებების დაშლასა და მისი წევრების პასუხისმგებლობაში მიცემას შორის. პირველ ღონისძიებას თუ მეორეთი შევცვლით, ეჭვგარეშეა, რომ კრება, რომლის პოლიტიკურ და ინდივიდუალურ არსებობას ერთდროულად ემუქრებიან, დალუპვის შიშით გამძვინვარდება, რაც ძალიან დააზარალებს სახელმწიფოს. იგივე ითქმის აღმასრულებელ ხელისუფლებაზეც. თუ თქვენ მას გადაყენების შემდეგ გაასამართლებთ, იმის მაგივრად, რომ ხელშეუხებლობის გარანტია მისცეთ, თქვენ მასში ამით აღძრავთ შიშს და გამოიწვევთ მის რისხვას: ის დაიცავს თავის ხელისუფლებას თავისივე უშიშროებისთვის. კონსტიტუციური მონარქია ანეიტრალებს ამ საფრთხეს. დეპუტატები პარლამენტის დაშლის შემდეგ და მინისტრები – მათი გადაყენების შემდეგ უბრუნდებიან მოქალაქეთა სხვა კლასს და ამგვარად, უფლების გადამეტების საწინააღმდეგო ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები ეფექტური და მშვიდობიანია. პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის დროსაც მსგავსი მიდგომაა საჭირო.

მემკვიდრე მონარქს შეიძლება, არ დაეკისროს და არც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. ეს არის ცალკე, ყველაზე მაღლა მდგომი არსება. მისი უფლებამოსილება, განსაკუთრებული და მარადიულია არამართო მისთვის, არამედ – მთელი მისი გვარისთვის: როგორც მისი წინაპრების, ისე – მისი შთამომავლებისათვის, მას მიჯნავს თავისი იმპერიის ყველა ინდივიდისაგან. სრულებითაც არაა გასაოცარი იმ ადამიანის ხელშეუხებლად გამოცხადება, რომლის ოჯახსაც, სხვა ოჯახებისაგან განსხვავებით, მინიჭებული აქვს მრავალრიცხოვანი ხალხის მართვის უფლება სხვა პრივილეგიებზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მონარქი თვითონ, პროტესტის გარეშე, თმობს პასუხისმგებლობას თავისი მინისტრების სასარგებლოდ. მას უფრო დიდი სიკეთე აქვს დასაცავი, ვიდრე – მმართველობის ესა თუ ის დეტალი, ან კიდევ -ხელისუფლების ესა თუ ის ამოცანა. მისი ღირსება ოჯახის

საკუთრებას წარმოადგენს, რომელსაც ის არიდებს ბრძოლას სამინისტროს საქმეში ჩარევისგან თავის შორს დაჭერის გზით. მაგრამ პასუხისმგებლობისა და ძალაუფლების ერთმანეთისგან გამიჯვნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სამეფო ხელისუფლება ღვთიოთკურთხეულია.

რესპუბლიკური მმართველობისას კი პერმანენტულად განახლებადი ხელისუფლება არ წარმოადგენს განყენებულ ძალაუფლებას, მას არ შეუძლია განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენა და არა აქვს სხვათა წინაშე საკუთარი შეცდომების შენდობის თხოვნის უფლება, რადგან უშუალო ძალისხმევითა და მიზანმიმართული ქმედებით მოიპოვა აღნიშნული თანამდებობა. მას მხოლოდ საკუთარი ხელისუფლების დაცვა აკისრია, რომელიც მაშინ კნინდება, თუკი თავს ესხმიან მის მიერ ჩამოყალიბებულ აღმასრულებელ ხელისუფლებას, და რომელიც შედგება ისეთივე რესპუბლიკელებისაგან, რომლებთან ერთადაც მას ფაქტობრივად სოლიდარული პასუხისმგებლობა გააჩნია.

უმაღლესი ხელისუფლების ხელშეუხებლობა ნიშნავს, მინისტრებს მიანიჭო უფლება, განიხილონ ხელისუფლებისადმი საკუთარი დაქვემდებარების აუცილებლობის საკითხი. სინამდვილეში კი მინისტრებს შეუძლიათ, ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადადგებიან. და მაშინ საზოგადოებრივი აზრი შეაფასებს უმაღლეს ხელისუფლებასა და მინისტრებს. ბუნებრივია, მხარდაჭერა იმათკენ იქნება, ვინც საზოგადოებრივ ინტერესებს შესწირა თავი. მემკვიდრეობითი მონარქიის პირობებში ამას არ მოსდევს წინააღმდეგობები. მონარქი იმდენად თაყვანსაცემი პიროვნებაა, რომ მას ვერ შეადარებენ მინისტრებს, და მონარქის ეს ღირსება განაპირობებს იმას, რომ მთლიანი ზეწოლა ახალ სამინისტროზე მოდის. რესპუბლიკის დროს კი ერთმანეთს ადარებენ უმაღლეს ხელისუფლებასა და ყოფილ მინისტრებს; ეს შედარება კი იწვევს სურვილს, გაძლიერდეს ამ უკანასკნელის ძალაუფლება.

პასუხისმგებლობის არმქონე რესპუბლიკურ ხელისუფლებასა და პასუხისმგებლობის მქონე სამინისტროს შორის, ეს უკანასკნელი იქნება მნიშვნელოვანი, პირველი კი მალე გამოცხადდება უსარგებლოდ. პასუხისმგებლობის არქონა აიძულებს მთავრობას, იმოქმედოს მხოლოდ მინისტრების მეშვეობით. მაგრამ მაშინ რა სარგებელი მოაქვს სამინისტროს უმაღლეს ხელისუფლებას? მონარქიის პირობებში ეს ემსახურება იმას, რომ სხვები არ დაეუფლონ ხელისუფლებას, და შეიქმნას მყარი, მიუწვდომელი წერტილი, რომელსაც ვერ შეეხებიან ვნებები. ამგვარი რამ კი არ ხდება რესპუბლიკის დროს, სადაც ყველა მოქალაქეს შეუძლია უმაღლეს ხელისუფლებაში მოსვლა.

წარმოიდგინეთ 1795 წლის კონსტიტუციის მიხედვით ხელშეუხებელი დირექტორია და აქტიური და ენერგიული სამინისტრო. განა შესაძლებელია, დიდხანს ავითანოთ არაფრის-მაქნისი ხუთი კაცი, იმ ექვსი კაცის ზურგს ამოფარებული, ვინც ყველაფერს აკეთებს? რესპუბლიკურ მმართველობას ესაჭიროება თავის მინისტრებზე სრული ძალაუფლების აღსრულება, ვიდრე – მემკვიდრეობით მონარქს: რადგან რესპუბლიკური მმართველობი-

სას შეიძლება ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ მისივე იარაღებით. მაგრამ ასეთი ძალაუფლების ფლობისთვის აუცილებელია, ხელისუფლებამ თავადვე აილოს პასუხისმგებლობა იმ აქტებზე, რომლებიც თავადვე გამოსცა, რადგან შეუძლებელია ადამიანის დამორჩილება, თუ მას შედეგად შესაბამისი გარანტიები არ ექნება.

ამიტომაც რესპუბლიკები იძულებულნი არიან, უმაღლესი ხელისუფლება გახადონ პასუხისმგებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მოჩვენებითი ხდება.

პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება, ვრცელდებოდეს მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომელთა მარცხი შეათვრებდა საგარეო ურთიერთობებს და უმოქმედოს გახდიდა სახელმწიფოს მართვის შინაგან მექანიზმებს, ვერასოდეს განხორციელდება. სასურველი იქნება თუ არა საზოგადოებრივი ცხოვრების გადატრიალება იმისათვის, რომ ჯავრი იყარონ ერთ, ათ, ას, ათას მოქალაქეზე, რომელიც ოცდაათი ათას კვადრატულ ლიეზე (La lieue, ერთი ლიე უდრის 4,445 კმ-ს) ცხოვრობს? ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რადგან ამგვარი "მკურნალობა" გაცილებით მძიმე იქნება ვიდრე – თვით "ავადმყოფობა". ზოგჯერ დამნაშავე პირები თავის დაღწევას იმით ახერხებენ, რომ თავიანთ ძალაუფლებას კორუფციისთვის იყენებენ, ზოგჯერ კი იმით ახერხებენ თავის დაღწევას, რომ ისინი, ვინც მათ დადანაშაულებას შეეცდებიან, შიშისგან ძრწოლას იწყებენ, რადგან დადანაშაულება გამოიწვევს კონსტიტუციური სისტემის ჩამოშლას. ეს იმიტომ, რომ განსაზღვრული კანონის დარღვევისთვის შურისძიება რისკის ქვეშ აყენებს იმას, რაც ყველა კანონის გარანტიას უზრუნველყოფს. ამდენად, სუსტი და გონიერი ადამიანები, ბოროტმოქმედები და წესიერი ადამიანები ვალდებულნი იქნებიან სხვადასხვა მოტივით, რომ დაიცვან აღმასრულებელი ხელისუფლების მოღალატე წარმომადგენლები. და ბოლოს, რადგან ხელისუფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ხასიათდება უფლებამოსილების გადამეტებით, რაც მას აძლევს საშუალებას, ბოროტად გამოიყენოს ძალაუფლება, უფრო და უფრო მეტად დაარღვიოს კანონი, განახორციელოს აუტანელი ჩაგვრა, პასუხისმგებლობა აღსრულდება, მაგრამ, იქნება რა ამავე მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართული, მას, სავარაუდოდ, მოჰყვება ამავე მთავრობის დაშლა.

აქ მე არ განვიხილავ იმ საკითხს, შესაძლებელია თუ არა, ახლებური მოწყობით მოგვარდეს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული შეუსაბამობა რესპუბლიკურ კონსტიტუციაში. მე მხოლოდ იმის მტკიცება მინდოდა, რომ პასუხისმგებლობის განსახორციელებლად პირველი და აუცილებელი პირობაა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და უმაღლესი ხელისუფლების გამიჯვნა. კონსტიტუციური მონარქია ემსახურება ამ დიდ მიზანს; მაგრამ ეს უპირატესობა მაშინვე დაიკარგება, თუ ერთმანეთში ავურევთ ამ ორ ხელისუფლებას.

თავისუფალი კონსტიტუციის პირობებში მინისტრთა ხელისუფლება იმდენად რეალურად წარმოადგენს აღსრულების ერთადერთ საშუალებას, რომ მონარქი არათერს სთავაზობს

ერს მინისტრების გარეშე, ის არაფერს ბრძანებს ისეთს, რაზე პასუხისმგებლობაც მინისტრებს არ ექნებათ აღებული.

როცა საქმე ეხება მოხელის დანიშვნას, მონარქი ერთპიროვნულად წყვეტს ამ საკითხს; ეს არის მისი უპირობო უფლება. მაგრამ, როცა საქმე ეხება პირდაპირ ქმედებას, ან თუნდაც მხოლოდ შეთავაზებას, აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, წინ გამოვიდეს, რათა დისკუსიისა თუ წინააღმდეგობების გამო ზიანი არ მიაღგეს სახელმწიფოს მეთაურს.

ამტკიცებდნენ, რომ ინგლისში სამეფო ხელისუფლება არ იყო მთლად გამიჯნული აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. ამის ნიმუშია ის გარემოება, რომ მონარქის პირადი ნება მისი მინისტრების ნებაზე აღმატებული იყო, როცა მან უარი განაცხადა, კათოლიკებზე გავრცელებულიყო ის უპირატესობანი, რაც მის სხვა ქვეშევრდომებზე ვრცელდებოდა. აქ ორი რამ არის ერთმანეთში აღრეული: არსებულის შენარჩუნების უფლება, რაც მხოლოდ სამეფო ხელისუფლების პრივილეგიაა, რომელიც ქმნის სწორედ სამეფო ხელისუფლებას, ჩემი აზრით, ნეიტრალურ და დამცავ ხელისუფლებას. მეორე გახლავთ ჯერ კიდევ არარსებულის შექმნის უფლება, რომელიც ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას.

გემოთ მითითებულ ვითარებაში საქმე ეხებოდა მხოლოდ არსებულის შენარჩუნებას, რადგან კანონები კათოლიკეთა წინააღმდეგ ძალაში იყო, თუმცა მათი აღსრულება – შენელებული. მაშასადამე, არც ერთი კანონი არ შეიძლება, გაუქმდეს მეფის ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე. მე არ განვიხილავ იმას, რამდენად კარგი ან ცუდი იყო ეს ქმედება ცალკეულ შემთხვევაში. მე ვწუხვარ იმის გამო, რომ საპატიო ეჭვებმა, რამეთუ საქმე ეხება სინდისს, და იმავდროულად, განხორციელების თვალსაზრისით პრინციპულად მცდარმა და სავალალო ეჭვებმა, აიძულა ინგლისის მეფე, მხარი დაეჭირა მჩაგვრელი და შეუწყნარებელი ზომებისთვის. მაგრამ აქ საკითხი ეხება იმის მტკიცებას, რომ ასეთი ზომების მხარდაჭერით სამეფო ხელისუფლება არ გასცდენია მისი უფლებამოსილების საზღვრებს. ამაში კარგად რომ დავრწმუნდეთ, დავამსხვრიოთ ჰიპოთეზა და დავუშვათ, რომ კათოლიკეთა წინააღმდეგ მიმართული კანონები არ არსებობდა. მაშინ მონარქის პირადი ნება ვერც ერთ მინისტრს ვერ აიძულებდა მათ შეთავაზებას, და ვბედავ იმის მტკიცებას, რომ ჩვენს დროში ინგლისის მეფე ვერ იპოვიდა ერთ მინისტრსაც კი, რომელიც შესთავაზებდა მსგავს კანონებს. ამგვარად, განსხვავება სამეფო ხელისუფლებასა და მინისტრების ხელისუფლებას შორის დადასტურებულია თვით ამ მაგალითით, რომელიც იმისთვისაა მოყვანილი, რათა ჩრდილი მიაყენოს სამეფო ხელისუფლებას, რომელიც დამონმებულია მის უარსაყოფად. პირველის ნეიტრალური და წმინდად დამცავი ხასიათი აშკარაა: ცხადია, ამ ორს შორის მხოლოდ მეორეა აქტიური, რადგან, ამ უკანასკნელს რომ არ უნდოდეს მოქმედება, პირველი ვერავითარ საშუალებას გამოიხატავდა იძულებისთვის და არ ექნებოდა მის გარეშე მოქმედების საშუალება: მივაქციოთ ყურადღება, რომ სამეფო ხელისუფლების ამ

პოზიციას აქვს მხოლოდ უპირატესობანი და არასოდეს არა აქვს შეუსაბამობანი, რადგან, თუ ინგლისის მეფე მისი სამინისტროს მიერ ქმედებაზე უარის თქმის სახით შეხვდებოდა გადაულახავ წინააღმდეგობას საუკუნის სულისკვეთებისა და რელიგიური თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული კანონების შემოთავაზებაში, ამავე დროს სამინისტროც ვერ გასწევდა წინააღმდეგობას იმ შემთხვევაში, იგი მიზნად რომ ისახავდეს, ხელი შეუშალოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ სულისკვეთების შესაბამისი და თავისუფლების ხელშემწყობი კანონების შემოთავაზებას. მეფეს მხოლოდ მინისტრის შეცვლა დასჭირდებოდა და არაფერ დაუპირისპირდებოდა საზოგადოებრივ აზრს, არ იბრძოლებდა განმანათლებლური აზრების წინააღმდეგ; მეფე კი მრავალ ასეთ აზრს შემოიტანდა სახალხო ღონისძიებების სახით, რათა ერს მხარი დაეჭირა მათი დამტკიცებისა და აღიარებისათვის⁴.

სრულიადაც არ მინდა იმის უარყოფა, რომ უფრო ცოცხალი, უფრო აქტიური მონარქის პორტრეტში არ იქნებოდა რაღაც მიმზიდველი, მაგრამ ინსტიტუციები უფრო მეტად დამოკიდებულია დროებაზე, ვიდრე – ადამიანებზე. მონარქის პირდაპირი ზემოქმედება უცილობლად მცირდება ცივილიზაციის პროგრესთან ერთად. ბევრი რამ, რითაც ჩვენ აღფრთოვანებულნი ვიყავით და გვეჩვენებოდა ამაღელვებლად წინა ეპოქებში, ახლა მიუღებელია. წარმოიდგინეთ, საფრანგეთის მეფეები თავიანთ ქვეშევრდომებს რომ ასამართლებენ რომელიმე მუხის ძირას, თქვენ აგაღელვებთ ეს სურათი და დიდი პატივისცემით შეხედავთ მამობრივი ძალაუფლების ამ დიად და გულუბრყვილო აღსრულებას; მაგრამ, როგორ შეათვასებდით დღეს მეფის სამართალს, განხორციელებულს მოსამართლეების გარეშე? ეს იქნებოდა ყველა პრინციპის დარღვევა, ძალაუფლებების აღრევა, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, ე. ი. ყველა იმ პრინციპის დარღვევა, რომელსაც ძალიან ნატრობს საზოგადოების ყველა კლასი. კონსტიტუციური მონარქია ვერ შეიქმნება ხსოვნითა და პოეზიით.

მონარქებს თავისუფალი კონსტიტუციის სახით რჩებათ კეთილშობილური, მშვენიერი, ამაღლებული, უპირატესი უფლებები. მათ უფლებამოსილებას წარმოადგენს შეწყალების უფლება, თითქმის ღვთიური უფლება, რომელიც ასწორებს ადამიანური სამართლის შეცდომებს ან მისი სისასტიკის გამოვლინებებს, რომლებიც ასევე წარმოადგენს შეცდომებს; ამ პრეროგატივებიდან მომდინარეობს იმის უფლება, რომ გამორჩეულ მოქალაქეებს მიანიჭოს უკვდავი სახელი, დააწინაუროს სასამართლო ხელისუფლებაში შეყვანით, რომელიც ბრწყინვალე წარსულს აერთიანებს ყველაზე მაღალი პოლიტიკური ფუნქციების ოფიციალურ ფორმასთან; აქედან მომდინარეობს აგრეთვე საკანონმდებლო ორგანოების დანიშვნის, საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების უზრუნველყოფის

⁴ ის, რაც აქ ვთქვი ერის შეხედულებებისადმი ინგლისელი მინისტრების პატივისცემისა და კეთილგანწყობის შესახებ, სამწუხაროდ, ეხება მხოლოდ მათ შიდა მმართველობას. ომის ხელახლა დაწყება უმიზეზოდ და უბოდიშოდ ყველაზე უფრო ზომიერი შეტევების და აშკარად გულწრფელი სამშვიდობო განზრახვების საპასუხოდ ადასტურებს, რომ ინგლისელი მინისტრები არ ითვალისწინებენ არც ხალხის განწყობას, არც მის აზრს და არც მის ინტერესებს.

უფლება; ამასთან არის დაკავშირებული წარმომადგენლობითი კრებების დაშლა ერის დასაცავად მისი მანდატის მფლობელთა შეცდომებისაგან და ახალი არჩევანისკენ მოწოდება; ეს არის აგრეთვე მინისტრების დანიშვნა, რომელიც მონარქის მიმართ ერის მაღლიერებას იწვევს, როცა მინისტრები ღირსეულად ართმევენ თავს დაკისრებულ მისიას. ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ ამასთან არის დაკავშირებული შეწყალება, მფარველობა, ჯილდოების განაწილება სახელმწიფოსთვის განეული სამსახურისთვის, მზერით ან სიტყვიერად მაღლობის გამოხატვა სახელმწიფოსთვის განეული სამსახურისთვის; პრეროგატივა, რომელიც მონარქიას ანუდის აზრების ამოუწურავ მარაგს, რომელიც ყველა პატივმოყვარე ადამიანისაგან ქმნის მსახურს და ყველა ამბიციისგან – ქვეშევრდომს.

აი, უდავოდ, ასეთია, კონსტიტუციური მონარქია თავისი სარბიელით, მნიშვნელოვანი ფუნქციებით, დიდი და კეთილშობილი მისიით; და ბოროტები და ვერაგები იქნებოდნენ ის მრჩეველები, რომლებიც კონსტიტუციურ მონარქს წარმოაჩენდნენ, როგორც უინისა (ავხორცობის) და სინანულის ობიექტს; როგორც უსაზღვრო და შეუკავებელ დესპოტურ ძალაუფლებას; ორაზროვან ხელისუფლებას, რომელსაც ლიმიტი არ გააჩნია; არამტკიცეს, როგორც ძალადობაზე დამყარებულს, რომელიც თავისი ვერაგი მეთოდით პრინცზე ზენოლას მოახდენს, რომ თითქოს მას მხოლოდ გაფლანგვა შეუძლია, ხალხზე კი – ზენოლას; რომ მხოლოდ წამება და წახდენა შეუძლია.⁵

⁵ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაურკვეველი ინსტიქტი ყოველთვის აფრთხილებდა ადამიანებს იმ ჭეშმარიტების შესახებ, რაც მე ამ თავში განვიხილე, თუმცა ეს აზრები ადრე არ ყოფილა გამოთქმული; და სწორედ ამიტომაც გახლდათ ბუნდოვანი ინსტიქტი საშიში შეცდომების მიზეზი. რასაც ვგრძნობდით, გახლდათ ის, რომ სამეფო ხელისუფლება თავისი ბუნებით იყო ნეიტრალური ძალაუფლება, რომელსაც, გარკვეულ საზღვრებში მოქცეულს, არ გააჩნდა მანვე პრეროგატივები, ამიტომ მივიჩნიეთ, რომ შეუსაბამო არ იქნებოდა მისთვის ამ პრეროგატივების მინიჭება; შედეგად – ნეიტრალიტეტი დაიკარგა.

მინისტრებისთვის რომ შეეთავაზებინათ პირად თავისუფლებაზე და მოქალაქეების უფლებებზე თვითნებური ზემოქმედების უფლება, ყველა უარყოფდა ამ შემოთავაზებას, რადგან მინისტრთა ხელისუფლება, რომელიც მუდმივ კავშირშია ყველა ინტერესთან, ვერ დაფარავდა იმ საშიშროებას, რაც ამ ხელისუფლების თვითნებურ მოქმედებას მოსდევს და პირველი შეხედვითანავე ჩანს. მაგრამ ამ ძალაუფლებას ხშირად უთმობდნენ მეფეებს, რადგან ისინი მიაჩნდათ უანგაროებად და მიუკერძოებლებად; ამგვარი დათმობის შედეგად მოსპეს თვით მიუკერძოებლობა, რომელიც დათმობის საფუძველი იყო.

ყოველგვარი თვითნებური ძალაუფლება ეწინააღმდეგება სამეფო ხელისუფლების ბუნებას. ამიტომ ორი შემთხვევიდან ერთ-ერთი დადგება: ან ეს ძალაუფლება სამინისტროს მიეკუთვნება, ან თვით მეფე, რომელიც აღარ არის ნეიტრალური, ხდება უფრო საშიში მინისტრი, რადგან მას აქვს ხელშეუხებლობა და იმავდროულად ფუნქციები, რომელიც არასოდეს უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში ეს ფუნქციები ამსხვრევს მოსვენების ყოველგვარ შესაძლებლობას და თავისუფლების ყოველგვარ იმედს.

სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები საქართველოში

დავით წერეთელი

1. შესავალი. 2. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების ისტორია საქართველოში
2.1. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის საფუძველზე.
2.2. სასამართლო საბჭოთა საქართველოში. 2.3. სასამართლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენის შემდგომ, გარდამავალი პერიოდის საქართველოში (1991-1995 წ.). 3. სასამართლო
ხელისუფლება საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე. 3.1. სასამართლო
ხელისუფლება 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირველადი რედაქციით. 3.2. სასამართლო
ხელისუფლების კონსტიტუციური რეფორმები საქართველოში. რეზიუმე. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.
გამოყენებული ლიტერატურა.

1. შესავალი

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საყოველთაოდ აღიარებულ სისტემაში ცნობილია, რომ სასამართლო ხელისუფლება, მართლმსაჯულების განხორციელების გზით, განსაკუთრებულ ინსტიტუციურ ფუნქციას ასრულებს ერთი მხრივ, კონსტიტუციური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ხელისუფლების შტოებს შორის კონტროლისა და ბალანსირების უზრუნველყოფისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხში. ხელისუფლების დანაწილებისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ განსაზღვრის იდეის ავტორები, აღიარებული ბერძენი მოაზროვნეებიდან და ფილოსოფოსებიდან – არისტოტელედან მოყოლებული, ასევე აღიარებული ინგლისელი და ფრანგი მოაზროვნეები – ჯონ ლოკითა და შარ ლუი მონტესკიეთი დასრულებული, სახელმწიფო ხელისუფლების შტოების, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების განცალკევების აუცილებლობას სწორედ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთასა და ადამიანის თავისუფლების დაცვას უკავშირებდნენ. „იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, საჭიროა თვით საგანთა ისეთი წყობა, რომ ძალაუფლებას ძალაუფლება აოკებდეს. როდესაც ერთ პიროვნებაში ან ერთ მაგისტრატურაში გაერთიანებულია კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება, თავისუფლებას ადგილი არ აქვს, რადგან გვეშინია, ამ მონარქმა ან სენატორმა არ შექმნას ტირანული კანონები იმისათვის, რომ ისინი ტირანულად გამოიყენოს. თავისუფლება ასევე არ გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო ხელისუფლება განცალკევებული არაა კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. თუ იგი შეერთებული იქნება კანონმდებელ ხელისუფლებასთან, მაშინ მისი ძალაუფლება მოქალაქეთა სიცოცხლისა და თავისუფლების მიმართ თვითნებური იქნება, რადგან მოსამართლე თვითონვე იქნება კანონმდებელი. თუ ეს ხელისუფლება შეერთებული იქ-

ნება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება, მჩაგვრელი გახდეს¹ – აღნიშნავდა შარლ ლუი მონტესკიე ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების აღნიშნული პროგრესული იდეა არა მხოლოდ თეორიული ლოგიკით, არამედ იგი ცხადი, ემპირიული გამოცდილებით იყო დეტერმინებული (მსოფლიო ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როდესაც მონარქი უშუალოდ თვითონ იკავებდა მოსამართლის თანამდებობას, სახელმწიფოს სახელით მისი მოწინააღმდეგეების დასჯისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფემ ლუი XIII მოსამართლის თანამდებობა დაიკავა მისი მოწინააღმდეგე დიდგვაროვანის სასამართლო პროცესის წარმართვის მიზნით), რის გამოც მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და იგი უზენაეს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტში – კონსტიტუციაში იქნა რეალიზებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. შესაბამისად, კონსტიტუციურად განისაზღვრა ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს – სასამართლო ხელისუფლების საფუძვლები.

აღიარებულია, რომ პირველი კონსტიტუცია, რომელმაც სასამართლო ხელისუფლების საფუძვლები გაითვალისწინა, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია იყო. „ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის მიხედვით, კონსტიტუციურმა კონვენციამ შექმნა სასამართლო ხელისუფლების თავი – შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლება“.²

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ, უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტებით – კონსტიტუციებით იქნა აღიარებული სასამართლო ხელისუფლების საფუძვლები, მთავარ გამოწვევად და მიზნად სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა იქცა, რათა მისი კონსტიტუციური დანიშნულება – ხელისუფლების დანაწილების იდეის განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა ქმედითი იყოს.

„სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციური მოქმედებისათვის (სამართლებრივი სახელმწიფოსათვის) აუცილებელია მართლმსაჯულება იყოს მიუკერძოებელი: ამისათვის სამართალს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს ორგანიზაციული პირობები და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა“.³ – აღნიშნავს ცნობილი კონსტიტუციონალისტი ანდრამ შაიო.

სტატიის მიზანია საქართველოში სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების ანალიზი, კონსტიტუციური რეფორმების შედეგად მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების წარმოჩენა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ საკითხს აქტუალობას მატებს ბოლო 10 წლის განმავლობაში

¹ შარლ ლუი მონტესკიე, „კანონთა გონი“ თბ. 1994, გვ. 181-182;

² Alfred H. Kelly, Winfred A. Harbison and Herman Belz, “The American Constitution its Origins and Development”, New York-London, 1991, P. 157;

³ ანდრამ შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“, გვ. 267;

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი სიახლეები დაადგინდა; მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება, ევროკავშირთან თანამშრომლობით განაგრძოს პროგრესი სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის კუთხით, რათა გარანტირებული იქნეს სასამართლოს დამოუკიდებლობა და გაძლიერდეს მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობა. აღნიშნული შეთანხმების მე-13 მუხლის მიხედვით, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობისას, მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებენ კანონის უზენაესობის შემდგომ ხელშეწყობაზე, მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე.⁴

2. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების ისტორია საქართველოში

2.1. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის საფუძველზე

მართლმსაჯულებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი სხვადასხვა ეპოქაში ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ისტორიულ-პოლიტიკური თავისებურებებით ხორციელდებოდა, მონარქის სახელითა და მისი ლეგიტიმაციის საფუძველზე. მაგალითად, ცნობილია, რომ საქართველოს უდიდესი მონარქის – დავით IV აღმაშენებლის მიერ, მე-12 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ყველასათვის ხელმისაწვდომი მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც „სააჯო კარის“ სახელით არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში.⁵

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და სასამართლო ხელისუფლების ცალკე შტოდ განსაზღვრის თაობაზე ზემოთ აღნიშნულ იდეებს, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოს მომწიფდა და სამართლებრივად იქნა აღიარებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მიერ, მყისიერი გამოხმაურება ვერ მოჰყვა საქართველოში, რასაც თავისი ობიექტური ისტორიული საფუძვლები აქვს; კერძოდ, როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველო არ წამოადგენდა დამოუკიდებელსა და სუვერენულ სახელმწიფოს და იგი რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

⁴ ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმება, მე-4 და მე-13 მუხლები;

⁵ დანვრილებით იხ. თუნდაც ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, თბულებანი 12 ტომად;

საქართველოში სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან შემდგარმა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი; საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მიზნად დაისახა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების სამართლებრივად დაფუძნება.

საქართველოს 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულაში განისაზღვრა, რომ „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმენას. მისი საშუალებით გარეშე ძალის დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“.⁶

დამოუკიდებლობის აქტით განსაზღვრული განზრახვა – დაფუძნებულიყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო – საქართველოს პირველი – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღებით აღსრულდა.

„1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებმა, მიზნად ისახავდნენ რა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, მასში შეიტანეს მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კანონის უზენაესობასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას. „სასამართლო ბურჯია სახელმწიფოს არსებობისა და ამიტომ მისი მოწყობა უპირველესი საკითხია“ – მიუთითებდა საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე ი. ბარათაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სასამართლოს დებულების მომზადება“.⁷

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში მე-6 თავი დაეთმო სასამართლოს. კონსტიტუციაში ცალკე თავებით განისაზღვრა ასევე ხელისუფლების სხვა შტოების – საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი საფუძვლებიც; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციაში ტერმინი „ხელისუფლება“ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ იქნა გამოყენებული და საკანონმდებლო ხელისუფლების თავს პარლამენტი (თავი 4), აღმასრულებელი ხელისუფლების თავს – აღმასრულებელი ხელისუფლება (თავის 5), ხოლო სასამართლო ხელისუფლების თავს – სასამართლო (თავი 6) ეწოდა.⁸

⁶ საქართველოს 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი, პრეამბულა;

⁷ მალხაზ მაცაბერიძე, „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია“, თბ. 1996, გვ.90;

⁸ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, თავი მე-4, მე-5 და მე-6;

საქართველოს პირველი კონსტიტუციის შემოქმედთა აღნიშნული მიდგომა, მითითებულ ტერომინოლოგიურ უთანასწორობასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, იმდროინდელი დაძაბული პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული სიჩქარით უნდა აიხსნას, რამდენადაც საქართველო რუსეთის მხრიდან სამხედრო ოკუპაციის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. „რუსეთის არმიის შეტევის დაწყებამ რამდენადმე დააჩქარა კონსტიტუციური პროექტის გარკვეული ცვლილებებით მიღება 1921 წლის 21 თებერვალს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მთელი კონსტიტუციის სწრაფად მიღება და სუვერენული ქვეყნის ამ კონსტიტუციით წარდგენა მსოფლიოსა და განსაკუთრებით მტრის წინაშე“.⁹

ცხადია, რომ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ტექსტის შემდგენლები კარგად იცნობდნენ იმდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული ქვეყნების კონსტიტუციურ გამოცდილებას. „სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში იგრძნობა საერთო მიდგომები შვეიცარიის 1874 წლის, ბელგიის 1831 წლის, ამერიკის 1789 წლის, გერმანიის 1919 წლის, ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის, საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციებთან“.¹⁰ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების შტოებს შორის კონტროლისა და ბალანსირების სისტემაში სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებათა ფარგლები იმ დროისათვის შედარებით მცირე მასშტაბით იყო აღიარებული. „მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეპოქაში გაჩნდა ახალი ტენდენცია, რომელიც ცხადყოფდა, რომ პოლიტიკურ სამყაროს აღარ აკმაყოფილებდა სასამართლოს ტრადიციული, უბრალო კანონის შემთარღებლის როლი. იმის გამო, რომ უარყოფილი იქნა მონტესკიეს მოძღვრება, რომლის მიხედვითაც მოსამართლე მხოლოდ კანონის რუპორია და რომელიც მოსამართლეებს საკანონმდებლო ხელისუფლებაზე დაბალ დონეზე აყენებს, აღმოცენდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სხვადასხვა ფორმა, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენა საკანონმდებლო განუტოების უზენაესობა“.¹¹ – აღნიშნავს პროფესორი ანდრეაშ შაიო.

შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესში ჩართულ პირებს შორის დიდი კამათი გამოიწვია სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციას – სენატს – მინიჭებოდა თუ არა კონსტიტუციის ნორმის განმარტების უფლებამოსილება.¹² „სენატისათვის ასეთი ფუნქციის მინიჭება მიუღებლად იქნა მიჩნეული იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მათი აზრით, ეს იქნებოდა უფრო მაღალი დანესებულება, ვიდრე კანონმდებელი ორგანო, პარლამენტი ეს კი

⁹ გიორგი შაპუაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია“, ბათუმი 2013, გვ. 10.

¹⁰ იქვე, გვ. 9.

¹¹ ანდრეაშ შაიო, „ხელისუფლების თვითმზღლედვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“, გვ. 120.

¹² უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უფლებამოსილება ერთი საუკუნით ადრე განახორციელა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლებამ 1803 წელს განხილულ საქმეში „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“.

დასაშვები არაა. გარდა ამისა, ეს იქნებოდა ხალხისთვის უფლების ჩამორთმევა. ხალხია უზენაესი ძალა სახელმწიფოში“.¹³

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „სასამართლო ხელისუფლება“ არ იქნა გამოყენებული საქართველოს პირველი კონსტიტუციის ტექსტში, იგი განისაზღვრა იმდროინდელ შესაბამის კანონში. „ტერმინი „სასამართლო ხელისუფლება“, როგორც ირკვევა, ქართულ სინამდვილეში პირველად სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში იყო გამოყენებული. კონკრეტულად, მხედველობაში გვაქვს 1919 წლის 29 ივლისის კანონი „საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა“.¹⁴

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ სასამართლო ხელისუფლების ინსტანციურობის სისტემა დაადგინა და ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის საკასაციო სასამართლოდ განისაზღვრა სენატი, რომელთა წევრებსაც ირჩევდა პარლამენტი. კონსტიტუციის 76-ე მუხლის მიხედვით, სენატი მოვალე იყო, თვალყური ედევნებინა კანონის დაცვასა და განეგო სასამართლო ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლოს.¹⁵

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 77-ე მუხლმა სასამართლოს სპეციალიზაცია გაითვალისწინა და განსაზღვრა, რომ მართლმსაჯულება ხორციელდებოდა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით, მუდმივად მოქმედი სასამართლოების მიერ, ხოლო სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია კანონით განისაზღვრებოდა.¹⁶

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა დეკლარირებული იყო საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 78-ე მუხლით; კერძოდ, მოცემული მუხლის შესაბამისად, სასამართლო დამოუკიდებელი იყო და ემორჩილებოდა მხოლოდ კანონს. ამასთან, იქვე იყო განსაზღვრული, რომ მართლმსაჯულება სწარმოებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.¹⁷

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დეკლარირების გარდა საქართველოს პირველი კონსტიტუცია ითვალისწინებდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის იმ ნორმებს, როგორიც არის სასამართლოს გადანწყვტილებათა გაუქმების, შეცვლის ან შეჩერების აკრძალვა ნებისმიერი ორგანოს, თუ თანამდებობის პირის მხრიდან, მოსამართლის თანხმობის გარეშე, მისი სხვაგან გადაყვანის

¹³ მალხაზ მაცაბერიძე, „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია“, თბ. 1996, გვ. 90.

¹⁴ იაკობ ფუტყარაძე, „სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით“, სტატიათა კრებული „ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი“, ბათუმი 2011, გვ. 182.

¹⁵ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხ. 76.

¹⁶ იქვე, მუხ. 77.

¹⁷ იქვე, მუხ. 78.

აკრძალვა, მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენების ან სრულად დათხოვნის დაუშვებლობა გარდა, მისი სამართალში მიცემისა და სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული შემთხვევებისა.¹⁸

საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია სასამართლო სხდომის საჯაროობას ითვალისწინებდა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თვით სასამართლოს დადგენილებით დაიხურებოდა სხდომა ზნეობისა და საზოგადოებრივი მშვიდობის ინტერესის დასაცავად.¹⁹

საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიხედვით მოსამართლის თანამდებობა არჩევითი იყო და მისი უფლებამოსილება ვადით იყო განსაზღვრული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მძიმე სისხლის სამართლის, აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის კონსტიტუცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ითვალისწინებდა, ხოლო მსაჯულის არჩევის პირობების განსაზღვრას კანონით ადგენდა.²⁰

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის უვადოდ არჩევას იმდროინდელი მსოფლიო კონსტიტუციური სამართლის გამოცდილება უკვე იცნობდა. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია მოსამართლის უფლებამოსილებას უვადოდ ითვალისწინებდა, ვიდრე მისი საქციელი უმნიშვნელო იქნებოდა,²¹ თუმცა საქართველოს პირველი კონსტიტუციის ავტორებმა აღნიშნული გამოცდილება, როგორც ჩანს, არ გაითვალისწინეს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ საქართველოს ისტორიაში პირველად განსაზღვრა სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები და საკმარისად მაღალი სტანდარტით დაადგინა მისი დამოუკიდებლობის მთელი რიგი ისეთი პირობები, რომლებიც აღიარებულია თანამედროვე კონსტიტუციურ სამართალში, ხოლო მის სრულყოფილებაზე მსჯელობა და პრაქტიკული შედეგების შეფასება შეუძლებელია, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის პროექტის დაძაბულ ვითარებაში მომზადებისა და საქართველოს სამხედრო ოკუპაციის გამო. როგორც ცნობილია, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა საქართველოს სამხედრო ოკუპაცია განახორციელა და შესაბამისად, საქართველოს პირველი კონსტიტუცია პრაქტიკულად ვერ ამოქმედდა.

¹⁸ იქვე, მუხ. 79, 83.

¹⁹ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხ. 80.

²⁰ იქვე, მუხ. 81, 82.

²¹ აშშ-ს 1789 წლის კონსტიტუცია, მუხ. 3.

2.2. სასამართლო საბჭოთა საქართველოში

1921 წლის 25 თებერვალს, სამხედრო ოკუპაციის შემდეგ, საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და იძულებით იქნა გაერთიანებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა მიღებული არ იყო. საბჭოთა კავშირის პირობებში მთლიანი სახელმწიფო ძალაუფლება ერთი პოლიტიკური ძალის – კომუნისტური პარტიის იდეოლოგიაზე დაფუძნებული დიქტატის საფუძველზე ხორციელდებოდა.

„კომუნისტური რეჟიმის დროს სასამართლოს დამოუკიდებლობა გამოიხატებოდა მისი არარსებობით. ლენინსა და მის მიმდევრებს სძულდათ კანონის უზენაესობა და სასამართლოს დამოუკიდებლობა როგორც კლასობრივი უთანასწორობის შემლამაზებელი ფასადი. სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის კონცეფცია, როელიც ლენინმა შემოიღო, გამორიცხავდა ხელისუფლების დანაწილებას, წამყვანი როლი მინიჭებული ჰქონდა კომუნისტურ პარტიას, რომელიც ახორციელებდა ყველა სახელმწიფო მოქმედებას, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებებსაც კი, რომელიც შეესაბამებოდა პარტიული ელიტის სურვილს“.²² - წერს ცნობილი კონსტიტუციონალისტი ჰერმან შვარცი.

საბჭოთა სოციალისტური საქართველოს პირველი – 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუციით განისაზღვრა ერთიანი სახალხო სასამართლო და მისი, თუნდაც მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის რაიმე სახის დამოუკიდებლობის დამდგენი ნორმა აღნიშნული კონსტიტუციით გათვალისწინებული არ ყოფილა.²³

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1927 წლის 4 აპრილის კონსტიტუციის 72-ე მუხლით ერთიანი სახალხო სასამართლოს შემადგენლობაში საპროკურორო ზედამხედველობა განისაზღვრა და მხოლოდ ამით გამოიხატა სასამართლოს რეფორმა. მითითებულ მუხლში ვკითხულობთ, რომ „მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსი და მშრომელთა სამართლებრივი დაცვისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ წამდვილად უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოსი და მშრომელთა სამეურნეო ინტერესები, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მოქმედებს ერთიანი სახალხო სასამართლო და მასთან არსებული საპროკურორო ზედამხედველობა. სახალხო სასამართლო მონყობილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ დადგენილ საფუძველზე და მოქმედობს იმ საპროცესო წესით, რომლის ძირითად საფუძველს საზღვრავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“.²⁴

²² ჰერმან შვარცი, „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში“, გვ. 87.

²³ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუცია.

²⁴ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1927 წლის 4 აპრილის კონსტიტუცია.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1937 წლის 13 თებერვლისა და 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუციებმა შედარებით დახვეწილი ფორმით განსაზღვრეს სასამართლოს სისტემა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. გათვალისწინებული იქნა მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოებისა და სახალხო სასამართლოების მიერ, სსრ უმაღლეს სასამართლოს 5 წლის ვადით ირჩევდა სსრ უმაღლესი საბჭო, თუმცა სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებლობის და გაძლიერების რაიმე სამართლებრივი საფუძველი არც აღნიშნულ კონსტიტუციებს დაუდგენიათ.

„ლენინის, სტალინისა და მათი მიმდევრების დროს მიღებული კონსტიტუციების პრინციპული შეფასება მდგომარეობს იმაში, რომ მათგან არც ერთი არ იყო ქართველი ხალხის ნების გამოხატვისა და მისი რომელიმე დამოუქმებელი ორგანოს სამართალშემოქმედების შედეგი“²⁵ - აღნიშნავს პროფესორი ავთანდილ დემეტრაშვილი.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სოციალისტურ კავშირში საქართველოს ყოფნის 70 წლის განმავლობაში სასამართლო, როგორც ხელისუფლება, არ არსებობდა; შესაბამისად, ამ პერიოდში, არა თუ შეჩერებული იყო სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური და მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის განვითარების პროცესი, არამედ საბჭოთა სოციალისტური რეჟიმის არსებობის განმავლობაში სასამართლოს მიმართ დამოკიდებულებამ მკვეთრად უარყოფითი გავლენა იქონია სასამართლო ხელისუფლების მიმართ, სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი, პრაქტიკული დამოკიდებულების ხასიათზე.

2.3. სასამართლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, გარდამავალი პერიოდის საქართველოში (1991-1995)

საბჭოთა კავშირში იძულებით ყოფნას საქართველომ მე-20 საუკუნის ბოლოს დააღწია თავი და შეუდგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული იქნა საქართველოს უზენაესი საბჭო, რომელმაც მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის ჯერ კიდევ მოქმედ კონსტიტუციაში.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამასთან, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების

²⁵ ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“, თბ. 2011, გვ. 53.

შესახებ“ აქტი, რომელსაც გარდამავალ პერიოდში უნდა ემოქმედა საქართველოში, თუმცა 1991 წლის ბოლოს არჩეული უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პრეზიდენტის არაკონსტიტუციურად, სამხედრო გზით უფლებამოსილების ვადაზე ადრე ფაქტობრივად შეწყვეტისა და სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, 1992 წლის 21 თებერვალს, სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე და გაუქმებულად გამოაცხადა გარდამავალი კანონმდებლობა, თუმცა აღდგენილ საქართველოს პირველ კონსტიტუციას რეალურად არც ერთი დღე არ უმოქმედია.

საქართველოს პარლამენტმა 1992 წლის 6 ნოემბერს, ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო ხელისუფლების განსაზღვრისა და მისი სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით მიიღო „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონი, რომელიც „მცირე კონსტიტუციის“ სახელით არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ კანონში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დამდგენი რაიმე მნიშვნელოვანი ნორმები გათვალისწინებული არ ყოფილა.

„ამ კანონის მნიშვნელობა, პირველ რიგში, იქიდან გამომდინარეობს, რომ მან ზღვარი დაუდო საბჭოური კონსტიტუციების ეპოქას, საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს თანამედროვე მეთოდებით ორგანიზაციას, გარკვეული სტაბილობა დაამყარა ქვეყანაში. იმავდროულად, ჭეშმარიტი კონსტიტუციის ფუნქცია მას არ შეურულებია, ვინაიდან მასში არსებითად არაფერი იყო ნათქვამი კლასიკური კონსტიტუციის ისეთ ორგანულ ნაწილებზე, როგორცაა ძირითადი უფლებები და სასამართლო ხელისუფლება“²⁶ – აღნიშნავს ქართველი კონსტიტუციონალისტი – ავთანდილ დემეტრაშვილი.

ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საწყის პერიოდში, ალბათ, შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მისი გაძლიერების მიზნით, არსებითი კონსტიტუციური ნორმები არ ამოქმედებულა.

3. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე

3.1. სასამართლო ხელისუფლება 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირველადი რედაქციით

სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების შექმნის პროცესი დაიწყო 1993 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით

²⁶ ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“, თბ.2011, გვ. 59;

შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია და მის თავდაპირველ ამოცანად საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ახალი ტექსტის, ხოლო მოგვიანებით საქართველოს ახალი კონსტიტუციის მომზადება განისაზღვრა.

საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფს სასამართლო ხელისუფლების საკითხთა სამუშაო ჯგუფი წარმოადგენდა და მას პროფესორი მინდია უგრეხელიძე ხელმძღვანელობდა.

საქართველოს პარლამენტმა, გარკვეული რედაქტირების შემდეგ, 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი. შესაბამისად, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრა მათ შორის სასამართლო ხელისუფლების სამართლებრივი საფუძვლები და კონსტიტუციის მე-8 თავი დაეთმო სასამართლო ხელისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლით განისაზღვრა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმები, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ძირითად ფორმებად საკონსტიტუციო კონტროლი და მართლმსაჯულება დადგინდა.²⁷

საქართველოს კონსტიტუციით, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ყოფილი ქვეყნის კონსტიტუციებით, საკონსტიტუციო კონტროლის ე.წ. „კონცენტრირებული“, კონტინენტურ ევროპაში გავრცელებული მოდელი იქნა არჩეული და ამ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადგინდა საკონსტიტუციო სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის პროცესში, საკონსტიტუციო კონტროლის ე.წ. „დიფუზიური“ ანუ გაფანტული კონსტიტუციური კონტროლის ამერიკული მოდელიც განიხილებოდა და მას კომისიაში მომხრეებიც ჰყავდა.²⁸

საქართველოს კონსტიტუციის 88-ე და 89-ე მუხლებით, განისაზღვრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა არჩევის (დანიშვნის) ვადა და წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, მისი გადაწყვეტილების სავალდებულო იურიდიული ძალა და ა.შ.²⁹

მართლმსაჯულების უმაღლეს, საკასაციო ინსტანციად განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსა-

²⁷ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (პირველადი რედაქცია), მუხ. 82-ე.

²⁸ ამ საკითხზე ვრცლად, ვოლფგანგ გაული, „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში“, თბ. 2002.

²⁹ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (პირველადი რედაქცია), მუხ. 88-ე და 89-ე.

ჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში.³⁰ ამასთან, კონსტიტუციით, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება საერთო სასამართლოებს მიენიჭათ, ხოლო მათი სისტემისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა კანონით იქნა გათვალისწინებული.

საქართველოს კონსტიტუციით, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, სასამართლოს აქტების სავალდებულოობის, საქართველოს სახელით გადაწყვეტილებათა მიღების, მოსამართლეთა საქმისაგან ჩამოცილების აკრძალვის და სასამართლო სხდომის, როგორც წესი, საჯაროობის დეკლარაცია განხორციელდა. ამასთან, კონსტიტუციით განისაზღვრა მოსამართლის თანამდებობრივი იმუნიტეტი.³¹

აღსანიშნავია კონსტიტუციით დადგენილი მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნის) წესი და მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, რამდენადაც სწორედ აღნიშნული საკითხები წარმოადგენს როგორც სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური, ისე მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ხარისხის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ წინაპირობებს.

„ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლების“ კონსტიტუციით განმტკიცებული დებულების გაგება არასრული იქნება დამოუკიდებლობის აუცილებელი იმ საკითხების შეფასების გარეშე, რომლითაც ფედერალური სასამართლოები დაცულია კონსტიტუციით. კონსტიტუციით დადგენილი სასამართლო ხელისუფლების დაცვა მოიცავს მოსამართლის სამუდამოდ თანამდებობაზე გამწესებას და მისი თანამდებობიდან მხოლოდ ცუდი ყოფაქცევის, გადაცდომის გამო გათავისუფლებას, ასევე მისი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, მისი ხელფასის შემცირების დაუშვებლობას“ – განმარტავენ ამერიკელი მეცნიერები.³²

მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ არჩევა (დანიშვნა) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა მოსამართლის ინდივიდუალური და სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რამდენადაც მოსამართლე თავისუფალია თანამდებობაზე განმეორებით არჩევის მოტივაციისაგან, რაც იცავს მას კონკრეტული, უფლებამოსილი ინსტიტუტის „მოსაწონი“ გადაწყვეტილების მიღებისაგან და ქმედითად უზრუნველყოფს მოსამართლის დისტანცირებას პოლიტიკური ხელისუფლების სხვა შტოებისაგან.

„უფლებამოსილების ვადა, ვადის შეზღუდვა და უვადო დანიშვნა აშკარად ახდენს გავლენას მოსამართლის დამოუკიდებლობაზე“ – წერს ჰერმან შვარცი.³³

³⁰ იქვე, მუხ. 90-ე.

³¹ იქვე, მუხ. 82-ე, 84-ე, 85-ე, 87-ე.

³² Craig R. Ducat, Harold W. Chase, “Constitutional Interpretation”, New York-Los Angeles-Francisco, P.10.

³³ ჰერმან შვარცი, „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში“, გვ. 92.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირველადი რედაქციის მიხედვით, მოსამართლე თანამდებობაზე არანაკლებ 10 წლის ვადით გამწესდებოდა, ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე შერჩევის, გამწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესის განსაზღვრას კონსტიტუცია კანონით ითვალისწინებდა.³⁴

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეთა ინდივიდუალური და სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად გარანტიას – მოსამართლეთა უვადოდ თანამდებობაზე გამწესებას, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პირველადი რედაქცია არ განსაზღვრავდა, ხოლო სასამართლო ხელისუფლების პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესებაზე უფლებამოსილ ინსტიტუტს და გამწესების წესს კონსტიტუცია უშუალოდ საერთოდ არ ითვალისწინებდა, რაც, ბუნებრივია, ძალიან დიდი სამართლებრივი დანაკლისი იყო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

ევროპის საბჭოს მიერ 1998 წლის 10 ივლისს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული იქნა „მოსამართლეთა სტატუტის შესახებ“ ევროპული ქარტია, რომელმაც მითითებული მიზნების უზრუნველსაყოფად წევრი სახელმწიფოებისათვის სამოქმედო ძირითადი სტანდარტები დაადგინა; მათ შორის, ქარტიის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსამართლეთა შერჩევას, კანდიდატურების მოძიებას, დანიშვნას, სამსახურებრივ წინსვლას ან სამსახურებრივი ვადის შეწყვეტას, სტატუტი ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას, რომლის შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარი შედგება მოსამართლეებისაგან, რომლებიც არჩეულნი არიან კოლეგების მიერვე სასამართლო ხელისუფლების ყველაზე ფართო წარმომადგენლობის უზრუნველყოფი მეთოდების საფუძველზე.³⁵

ქარტიის აღნიშნული ნორმა ლოგიკური და მიზანშეწონილია, რამდენადაც თანამდებობაზე გამწესების და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოს (თანამდებობის პირის) მიმართ ბუნებრივად ჩნდება მნიშვნელოვანი ანგარიშვალდებულება, რაც მოსამართლის შემთხვევაში მნიშვნელოვნად უშლის ხელს როგორც მის ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას, ისე მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.

³⁴ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (პირველადი რედაქცია), მუხ. 86-ე, პუნქტი მე-2.

³⁵ „მოსამართლეთა სტატუტის შესახებ“ ევროპული ქარტია, მიღებული ევროპის საბჭოს მიერ 1998 წლის 10 ივლისს, მუხ. 1, პუნქტი 3.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, ასევე არანაკლებ 10 წლის ვადით, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევდა საქართველოს პარლამენტი.³⁶

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 13 ივნისს მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომლის თანახმად მოსამართლეს (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლისა) თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, ხოლო საქართველოს იუსტიციის საბჭო წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს, რომელიც შედგებოდა 12 წევრისაგან; საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად (ex officio) შედიოდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, ოთხ წევრს ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ოთხ წევრს საქართველოს პარლამენტი, რომელთაგან პარლამენტის წევრი მხოლოდ სამი შეიძლებოდა ყოფილიყო.³⁷

ამრიგად, მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენაცა და დანიშვნაც პოლიტიკური თანამდებობის პირების უფლებამოსილებას წარმოადგენდა, რამდენადაც იუსტიციის საბჭოს სულ მცირე 9 წევრი ან პოლიტიკური თანამდებობის პირი (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი) ან პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ დანიშნული პირი იყო. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუციის იმდროინდელი რედაქციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო და საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენდა. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების ფორმირება მთლიანად პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა და მასში მოსამართლეები მნიშვნელოვან ფუნქციას არ ასრულებდნენ, რაც სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური და მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ძალიან დაბალ ხარისხს განაპირობებდა.

„დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შენარჩუნებისათვის საკვანძო მნიშვნელობისაა, რომ მოსამართლეების დანიშვნა და წახალისება ხდებოდეს დამოუკიდებლად, არა საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ სასურველია, მართლმსაჯულების საბჭოს მიერ. მართლმსაჯულების საბჭო შეიძლება სრულად შედგებოდეს მოსამართლეებისაგან ან იყოს შერეული შემადგენლობის და უმრავლესობას კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეები უნდა წარმოადგენდნენ. CCJE არ უწევს ადვოკატირებას ისეთ სისტემებს, სადაც პოლიტიკური ორგანიზაციები, როგორცაა

³⁶ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (პირველადი რედაქცია), მუხ. 90-ე, პუნქტი მე-2;

³⁷ „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 47-ე, 53-ე და მე-60.

პარლამენტი ან აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიმე ეტაპზე ჩართულია შერჩევის პროცესში. CCJE რეკომენდაციას გაუწევდა სისტემას, რომელიც არამოსამართლე წევრების დანიშვნას აპოლიტიკურ ორგანოებს მიაკუთვნებდა“ – აღნიშნავს ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო თავის ერთ-ერთ დასკვნაში.³⁸

3.2. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური რეფორმები საქართველოში

საქართველოს კონსტიტუციაში 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონით შეტანილი ცვლილებებით გათვალისწინებული იქნა „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ ევროპული ქარტიის მოთხოვნა და კონსტიტუციას დაემატა 86¹-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მათი თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობის ნახევარზე მეტს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული მოსამართლეები შეადგენდნენ, ხოლო საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავმჯდომარეობდა.³⁹

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციამ, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განვითარების მიზნით, აღნიშნული ცვლილება განიცადა, მან არ გაითვალისწინა საბჭოს შემადგენლობის დანარჩენი წევრების თანამდებობაზე განწესების წესი და საბჭოს შემადგენლობის საერთო რაოდენობა. შესაბამისად, არ დაადგინა კონსტიტუციური გარანტია სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში პოლიტიკური ხელისუფლების ჩარევის აღსაკვეთად.

კონსტიტუციაში შეტანილი მითითებული ცვლილების შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, 2007 წლის 19 ივნისს განხორციელდა ცვლილება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრა, რომელთაგან 4 იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და ერთი მათგანი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 2 წევრი საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდა, ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე პირს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავდა, თუ მას მხარს დაუჭერდა საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, მათ შორის თითო წევრი უნდა ყოფილიყო პარლამენტისა და პრეზიდენტის წარმომადგენლობიდან.⁴⁰ შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობაზე პირის დანიშვნისათვის

³⁸ ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა #10, 2007 წელი, მიღებული CCJE-ს მე-8 სხდომაზე, გვ. 8, 9, 11.

³⁹ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, მუხ. 86¹-ე.

⁴⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. მე-60, 66-ე.

აუცილებელი იყო პარლამენტისა და პრეზიდენტის წარმომადგენლთა თითო წევრის მხარდაჭერა მაინც.

ამრიგად, სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობის ფორმირების პროცესში პოლიტიკური თანამდებობის პირთა გავლენა გადამწყვეტი იყო, რაც სასამართლო ხელისუფლებას პირდაპირ დამოკიდებულს ხდიდა პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოზე – პარლამენტზე და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური უფლებამოსილებებით აღჭურვილ საქართველოს პრეზიდენტზე, რის გამოც კონსტიტუციურად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსაზღვრა, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და იგი ვერ უზრუნველყოფდა იმ მიზანს, რაც „მოსამართლეთა სტატუტის შესახებ“ ევროპული ქარტიით იქნა გათვალისწინებული.

საქართველოს კონსტიტუციაში, 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით, მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სასამართლო ხელისუფლების, როგორც ინსტიტუციური, ისე მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, ხოლო ეს ცვლილება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდა. საქართველოს ისტორიაში პირველად კონსტიტუციით დადგინდა მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ განწესება, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის შეცვლილი მე-2 პუნქტის მიხედვით, მოსამართლე თანამდებობაზე განწესდებოდა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, ხოლო უვადოდ განწესებამდე კანონით შესაძლებელი იყო მისი განსაზღვრული ვადით განწესება, მაგრამ არაუმეტეს სამი წლის ვადით.⁴¹

მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ განწესება, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანი პროგრესი იყო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, თუმცა უვადოდ განწესებამდე განსაზღვრული (გამოსაცდელი) ვადით მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კვლავ ვადით თანამდებობაზე გამწესების კონსტიტუციურმა დანაწესმა უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსამართლის დამოუკიდებლობის აღნიშნულ მექანიზმზე.

მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნის კონსტიტუციურ დანაწესში უფრო მეტი სიცხადისა და ხარისხის შეტანას დაუჭირა მხარი ევროპის კომისიამ დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), როდესაც აღნიშნულ კონსტიტუციური კანონის პროექტზე დასკვნაში აღნიშნა, რომ „მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნა მისაღებია, თუმცა ვენეციის კომისია ეთანხმება მოსამართლეების თანამდებობაზე დარჩენას საპენსიო ასაკამდე. ვენეციის კომისიამ ნათლად განაცხადა, რომ გამოსაცდელი ვადების განსაზღვრამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლეების

⁴¹ საქართველოს კონსტიტუცია, 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 86-ე, პუნქტი მე-2.

დამოუკიდებლობას, ვინაიდან ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ წნეხის ქვეშ, მიიღონ გადაწყვეტილებები განსაკუთრებული გზით“.⁴²

მოსამართლის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დანიშვნის სამართლებრივი მექანიზმი კრიტიკის საგანია დიდი სამართლებრივი გამოცდილებისა და მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ასეთი მექანიზმი არსებობს. „გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები არ არიან პერსონალურად დამოუკიდებელი. გერმანიის სისტემა არ არის კრიტიკის გარეშე. მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი ვადით დანიშნული მოსამართლეები არ არიან ჭეშმარიტად დამოუკიდებელი“- აღნიშნავს პროფესორი პატრიკ ტერი თავის სტატიაში.⁴³

საქართველოს კონსტიტუციაში, 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონით განხორციელებული მასშტაბური ცვლილების შედეგად, გათვალისწინებული იქნა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია და ერთი მხრივ, გაუქმებული იქნა მოსამართლის გამოსაცდელი ვადა, ხოლო მეორე მხრივ, უვადოდ თანამდებობაზე განწესების კონსტიტუციური პირობა, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ განხორციელდა.⁴⁴ შესაბამისად, მოსამართლის უვადოდ თანამდებობაზე განწესების შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხარისხი, თუმცა აღნიშნული ცვლილების ამოქმედება კონსტიტუციამ, სამწუხაროდ, 2025 წელს დაუკავშირა.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა კონსტიტუციამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების საკითხში; კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურას, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტს, უვადოდ ასარჩევად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.⁴⁵

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების საკითხში გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების როლი და კანდიდატურების შერჩევის ნაწილი განიტვირთა პოლიტიკური მოტივებისაგან, თუმცა მოსამართლეთა საბოლოოდ არჩევის საკითხში ცენტრალური პოლიტიკური ინსტიტუტის – პარლამენტის გადამწყვეტი როლი, ნოყიერ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური ხელისუფლების გავლენით აღნიშნული

⁴² ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე, სტრასბურგი 2010, გვ. 16-17.

⁴³ Patrick C. R. Terry, “Judicial Independence in Germany”, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, თბ. 2015, გვ. 35.

⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 61-ე, პუნქტი მე-2.

⁴⁵ იქვე, პუნქტი მე-3.

გადაწყვეტილების მისაღებად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა განისაზღვრა.

სწორედ აღნიშნული მოტივაციით ვენეციის კომისიამ, ჯერ კიდევ კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით, თავის რეკომენდაციებში აღნიშნა, რომ „მოსამართლეთა, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გამწესებისას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა ჰქონდეს განმსაზღვრელი გავლენა. მოსამართლეთა დანიშვნა არ უნდა იყოს საპარლამენტო კენჭისყრით გადასაწყვეტი, ვინაიდან არ შეიძლება გამოირიცხოს საფრთხე, რომ პოლიტიკური მოსაზრებები გადაწონის კანდიდატის ობიექტურად ღირებულ მხარეებს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი გავლენა მოსამართლეთა გამწესებასა და დანიშნულებაზე და მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებაზე“.⁴⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ კლასიკურ საპარლამენტო სახელმწიფო მმართველობის ფორმის მქონე ქვეყანაშიც კი, როგორც გერმანია, მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევაში პირდაპირ არ მონაწილეობს ფედერაციის საკანონმდებლო ორგანო (ბუნდესტაგი). გერმანიის ფედერაციულ მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევს სპეციალური კომიტეტი, რომლის 16 წევრს წარმოადგენენ მიწების (ფედერაციის სუბიექტების) მინისტრები და 16 წევრს შეადგენენ ბუნდესტაგის მიერ არჩეული წევრები, ხოლო შერჩევის შემდგომ კანდიდატები დასანიშნად წარედგინება გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც ფორმალურად ნიშნავს მათ თანამდებობაზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანო პირდაპირ არ მონაწილეობს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესებაში, მოსამართლეთა შერჩევის აღნიშნული წესი კრიტიკის საგანს წარმოადგენდა გერმანიაში იმის გამო, რომ იგი შეცავს რისკებს პროცესის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცევის თვალსაზრისით.⁴⁷

2018 წლის 23 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების, საბჭოს მიერ მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების წესი, ასევე მოსამართლეთა თანამდებობაზე შერჩევის კრიტერიუმები, კერძოდ, კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით და მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემადგენლობა განისაზღვრა 15 წევრით, რომელთაგან ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული მოსამართლე წევრები, საქართველოს პრეზიდენტის

⁴⁶ ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე, სტრასბურგი, 2017, გვ. 23.

⁴⁷ იხ. თუნდაც, Paul Bovend'Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“, 2018, P. 2.

მიერ არჩეული წევრი და საქართველოს პარლამენტის მიერ, არანაკლებ სრულის შემადგენლობის სამი მეხუდეთით, არჩეული წევრები.⁴⁸

უდავოდ პოზიტიურია კონსტიტუციით მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების, მოსამართლეთა განწესებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესის დადგენა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, კონსტიტუციამ ვერ უზრუნველყო მყარი სამართლებრივი გარანტიები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური გავლენის გამოსარიცხად, რამდენადაც მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია პარლამენტის ან პრეზიდენტის მიერ არჩეული წევრის მხარდაჭერაც, რომელსაც, როგორც აღინიშნა, პარლამენტი სამი მეხუდედის უმრავლესობით ირჩევს, ხოლო ასეთი უმრავლესობის კონსოლიდაცია, ძირითად შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი პოლიტიკური ძალის – საპარლამენტო უმრავლესობის მიერ. შესაბამისად, არსებობს იმის რეალური რისკი, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საპარლამენტო უმრავლესობის გავლენა განხორციელდეს. ამასთან, კონსტიტუციის აღნიშნულმა დანაწესმა არ გამოორიქხა პარლამენტის მიერ უშუალოდ პარლამენტის წევრთა არჩევის შესაძლებლობა. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის მიზანშეწონილია პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევა, კონსტიტუციის საფუძველზე, უფრო ფართო კონსენსუსით, კონსტიტუციით განსაზღვრული საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციების შემადგენლობიდან ან უმჯობესია იმავე ორგანიზაციების შემადგენლობიდან პარლამენტის ჩარევის გარეშე განხორციელდეს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მიმართ, სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების და საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერებას.⁴⁹

კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით აიკრძალა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება სასამართლოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველით, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რადგან შეუძლებელი გახდა პოლიტიკური და სამართლებრივი მანიპულაციის საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან ჩამოცილება.⁵⁰

⁴⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 63-ე, პუნქტი მე-6 და მუხ.64-ე, პუნქტი მე-2.

⁴⁹ საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც მოსამართლეთა კანდიდატურებს დასანიშნად წარადგენს, პარლამენტის ორივე პალატის მიერ დანიშნულ წევრებთან ერთად შედიან ადვოკატთა ასოციაციის მიერ დანიშნული წევრი და საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნული ერთი წევრი.

⁵⁰ საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 63-ე, პუნქტი მე-5.

მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისთვის, დიციპლინური სამართალწარმოების გზით, უფლებამოსილების შეწყვეტის ძირითადი პრინციპებისა და ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ ფართო კონსენსუსის საფუძველზე მიღების შესახებ დანაწესის კონსტიტუციით დადგენა, რაც საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში გათვალისწინებული საერთოდ არ არის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის კონსტიტუციით მონესრიგება ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციით ასევე არ არის გარანტირებული მოსამართლის ადეკვატური ხელფასის კანონით განსაზღვრისა და განსაზღვრული ხელფასის შემცირების აკრძალვის შესახებ, რაც ასევე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური და მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის განვითარებისათვის.

რეზიუმე

ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა, რაც განპირობებული იყო როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებებით.

ობიექტური გარემოებები, რაც საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მყარი კონსტიტუციური გარანტიების შექმნასა და განვითარებას აბრკოლებდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხანგრძლივად დაკარგვა და საქართველოში კომუნისტური, ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრება იყო, რამაც მნიშვნელოვანი უარყოფითი მენტალური კვალი დატოვა, ასევე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოში კონსტიტუციური ინსტიტუტების მშენებლობის პროცესზე, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრასა და მის ფუნქციონირებაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობისა და საქართველოს პირველი – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ფუნქციონირების პირობებში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გაცილებით ადრე განვითარდებოდა და დღეისათვის მისი ხარისხი ბევრად მაღალ ნიშნულზე იქნებოდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საქართველოში კონსტიტუციური ინსტიტუტების მშენებლობის პროცესზე კომუნისტური ავტორიტარული რეჟიმის უარყოფითი მენტალური კვალი უპირველ ყოვლისა, გამოვლინდა საქართველოში სხვადასხვა სოციალურსა და პოლიტიკურ ჯგუფებში სამართლებრივი კულტურის მნიშვნელოვანი ნაკლებობით – პატივი ეცათ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის და ამ სულისკვეთებით განეხორციელებინათ,

მათ შორის სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის.

„ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემის სამართლებრივი კულტურის განვითარება“ – მიუთითებენ ევროპელი მკვლევარები.⁵¹

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით, თავდაპირველად განსაზღვრული და მოგვიანებით შეცვლილი სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები და მათი თანამედროვე, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფდა სასამართლო ხელისუფლების რეალურ დამოუკიდებლობას, რადგან შესაბამისი ნორმები მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იყო, კონსტიტუციურად არ იყო გარანტირებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი მთელი რიგი ნორმები და რაც მთავარია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემასთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი კულტურის ნაკლებობა ხელს არ უწყობდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაში, 2006 წლიდან, ეტაპობრივად განხორციელდა ცვლილებები, რომლებმაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრეს, კერძოდ 2006 წელს განისაზღვრა სასამართლო ხელისუფლების მოსამართლეთა უმრავლესობით ფორმირებული ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2010 წელს განისაზღვრა მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ განწესების პირობა, 2017 წელს, უვადოდ განწესების პირობა გავრცელდა, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე, დადგინდა მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს მომსამართლეთა კანდიდატურების წარდგენასთან დაკავშირებით და აიკრძალა მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა სასამართლოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გამო, რაც ცალსახად ძალიან დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განვითარების გზაზე.

ამასთან, გამონწვევად რჩება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სრულყოფისათვის კონსტიტუციურად უნდა განისაზღვროს, რათა საქართველოში არსებული სამართლებრივი კულტურის განვითარების კვალდა-

⁵¹ ib. Paul Bovend'Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“, 2018, P. 5.

კვალ კონსტიტუციურმა ნორმებმა სისტემურად უზრუნველყონ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ხოლო ასეთი გამოწვევები შეეხება პარლამენტის როლის შემცირებას ან, უმჯობესია, საერთოდ გაუქმებას სასამართლო ხელისუფლების ნებისმიერი ინსტანციის ფორმირების საკითხში, გამოსაცდელი ვადის გადაუდებლად გაუქმებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში და გადანყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპების გასაზღვრას და მასზე ფართე ჩართულობით გადანყვეტილების მიღების წესს, მოსამართლეთათვის განსაზღვრული ხელფასის შემცირების აკრძალვას.

Constitutional Bases of the Judiciary in Georgia

David Tsereteli

Resume

In the history of Georgian constitutionalism, the constitutional development of the judiciary has faced serious challenges conditioned by both objective and subjective circumstances. The objective circumstances which impeded the establishment and development of sustainable guarantees of independence of the Georgian judiciary were the long-lasting loss of institutional independence of Georgia and the establishment of a communist, authoritarian political regime that left an important negative mental mark, even after the restoration of the institutional independence of Georgia, on the process of creating constitutional institutes, as well as on the determination of constitutional bases of the judiciary and its functionality. Under conditions of existing institutional independence of Georgia and the functioning of the first constitution of 21 February 1921, if the independence of the judiciary would have developed earlier, then its quality today would have been at a much higher level. After the restoration of independence for quite a long period, the negative mental mark of the communist authoritarian regime on the process of creating constitutional institutions in Georgia, first of all, manifested itself in a significant lack of legal culture in various social and political groups in Georgia – to respect the independence of the judiciary and, inter alia, to exercise defining the constitutional bases of the judiciary with this aspiration, which is crucial to ensure the independence of the judiciary. “The most important thing is to develop a legal culture of respect for the independence of the judiciary”, say European researchers⁵². After the restoration of institutional independence, the constitutional and legal bases of the judiciary laid down in the beginning in the Constitution of Georgia of 24 August 1995, which was amended later, and the relevant modern legal norms failed to ensure real independence of the judiciary, since the relevant norms were only declared, the whole range of norms necessary for the independence of the judiciary was not constitutionally guaranteed, and, more importantly, the lack of a proper legal culture to respect the independence of the judiciary did not contribute to the strengthening and development of the independence of the judiciary.

It's worth noting that since 2006 the constitution of Georgia of 24 August 1995 was gradually amended, which enshrined the constitutional norms necessary for the independence of the judiciary.

⁵² Ref. also, Paul Bovend'Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“, 2018, P.5;

In particular, in 2006 an authority – the Supreme Council of Justice was created by the majority of judges of the judiciary, in 2010 the permanent appointment of judges was determined, in 2017, the condition of permanent appointment, as well as the criteria for the selection of judges and the rules for making decisions on the appointment of the judges by the Supreme Council of Justice were also applied to the judges of the Supreme Court. In addition, the Supreme Council of Justice was empowered with respect to the nomination of judges of the Supreme Court, and the termination of the powers of a judge in connection with the reorganization or liquidation of the court was prohibited, which undoubtedly was a huge achievement in the history of Georgian constitutionalism towards the development of the independence of the judiciary. However, there are still a number of complex issues that should be constitutionally determined to improve the independence of the judiciary, so that constitutional norms along with the development of a legal culture in Georgia provide systematic support for the independence of the judiciary, while such problems are associated with a decrease or even the elimination of the role of parliament in the formation of any instance of the judiciary, the immediate abolition of the probationary period, and the expansion of the participation of society in the formation of the Supreme Council of Justice and decision-making, determination of the basic principles of the disciplinary responsibility of judges and the rules for decision-making with wide participation, as well as with a ban on the reduction of wages established for judges.

გამოყენებული ლიტერატურა

- ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“. თბ. 2011.
- გიორგი ჰაპუაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია“.
- მალხაზ მაცაბერიძე, „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია“. თბ. 1996.
- იაკობ ფუტკარაძე, „სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით“, სტატიათა კრებული „ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი“, ბათუმი. 2011.
- შარლ ლუი მონტესკიე, „კანონთა გონი“. თბ. 1994;
- ანდრამ შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“. თბ. 2003.
- ჰერმან შვარცი, „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში“. თბ. 2003.
- ვოლფგანგ გაული, „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში“. თბ. 2002.
- Alfred H. Kelly, Winfred A. Harbison and Herman Belz, “The American Constitution its Origins and Development”. New York-London. 1991.
- Craig R, Ducat, Harold W. Chase, “Constitutional Interpretation”. New York-Los Angeles-Francisco.
- Paul Bovend’Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“. 2018.
- Patrick C. R. Terry, “Judicial Independence in Germany”, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“. თბ. 2015.
- ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმება.

- ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე. სტრასბურგი 2010.
- ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე. სტრასბურგი 2017.
- ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა #10, 2007 წელი, მიღებული CCJE-ს მე-8 სხდომაზე;

ნორმატიული მასალა

- საქართველოს 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.
- საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.
- საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუცია.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1927 წლის 4 აპრილის კონსტიტუცია.
- „მოსამართლეთა სტატუტის შესახებ“ ევროპული ქარტია, მიღებული ევროპის საბჭოს მიერ 1998 წლის 10 ივლისს.
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს ორგანული კანონი.
- აშშ-ს 1787 წლის კონსტიტუცია.

ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში

ზურაბ მაჭარაძე

1. შესავალი. 2. პარლამენტის სტრუქტურა პირველ რესპუბლიკაში. 3. ორპალატიანი პარლამენტის იდეა 1993-95 წლების საკონსტიტუციო კომისიაში. 4. ორპალატიანი პარლამენტის უცვლელი ნება საქართველოს კონსტიტუციაში. 5. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეცვლილი რედაქცია. 6. ორპალატიანი პარლამენტის შექმნის წინაპირობები. 7. პალატების ფორმირების საკონსტიტუციო საფუძვლები. 8. პალატების უფლებამოსილებები. დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული პირობის შექმნამდე საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია და იგი შედგება პარლამენტის 150 წევრისგან.¹ პარლამენტის ორ პალატად ჩამოყალიბების ნება ქვეყნის ძირითადი კანონის თავდაპირველი რედაქციით განისაზღვრა და, მიუხედავად არაერთი საკონსტიტუციო რეფორმისა, დღემდე ქართველი კანონმდებლის უცვლელი არჩევანია.

უმალლესი წარმომადგენლობითი ორგანო ორპალატიან სტრუქტურად გარდაქმნის ნება არც 2017-2018 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეიცვალა. თუმცა კი, შეიცვალა პირობა, რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს ბიკამერალური პარლამენტი.

ორპალატიანი პარლამენტის იდეას ქართულ რეალობაში ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენი და თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი არგუმენტები. ავტორთა კიდევ ერთი ნაწილი იდეას მხარს უჭერს, თუმცა გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში.

ქართულ სამართლებრივსა თუ პოლიტიკურ სივრცეში საკითხის ირგვლივ კამათი არაერთ ათეულ წელს ითვლის. ამ მხრივ არც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა აღმოჩნდა გამონაკლისი. საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში დღის წესრიგში დადგა ბიკამერალურ სისტემაზე გადასვლის საკითხი,² თუმცა, მოცემულ ეტაპზეც წინადადება საკონსტიტუციო კომისიის უმრავლესობის მიერ არ იქნა გაზიარებული.

¹ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

² ანდრას შაიო. ხელისუფლების თვითშემზღუდავ: კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ. 2003.

ინფორმაცია მიწოდება. მაქვინი თავის ნაშრომში კონსტიტუციის მიღების საფუძვლად განიხილავს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. იგი მიუთითებს კონსტიტუციის შექმნისა და მიღების სირთულეზე და ამ კუთხით პოლიტიკური მზაობისა და ნების არსებობის აუცილებლობაზე საუბრობს.³ ამგვარი მოსაზრება გვიჩვენებს კონსტიტუციის მიღებისას პოლიტიკური კონტექსტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კვლევის დროს საინტერესო იყო ელსტერის⁴ ნაშრომი. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ საუბრობს კონსტიტუციონალიზმის ისტორიის შესახებ, არამედ კონსტიტუციის დანიშნულების სხვადასხვა ასპექტებს მიმოიხილავს. ელსტერი კონსტიტუციონალიზმის შვიდ ტალღას გამოყოფს და თითოეული მათგანის პოლიტიკურ საფუძვლებს აანალიზებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ეს ნაშრომი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ჩემი კვლევისთვის.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კონსტიტუციონალიზმის საკითხებს იკვლევდა ჰოვარდი, რომელიც ღრმა კრიზისს, სამოქალაქო ომსა და პოლიტიკურ რყევებს განიხილავდა რეგიონში კონსტიტუციებზე მუშაობის გააქტიურების მიზგად.⁵ მართლაც, რეგიონში იმ პერიოდის თანმდევ პოლიტიკურ მოვლენებად შეგვიძლია განვიხილოთ ომები და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც შესაძლოა ერთგვარი კატალიზატორი იყო ახლადშექმნილ სახელმწიფოებში უზენაესი კანონის მისაღებად. საქართველოში კონსტიტუციონალიზმის განვითარებისა და ქრონიკის შესახებ საინტერესო კვლევას გვთავაზობს ავთანდილ დემეტრაშვილი,⁶ თუმცა აღნიშნულ სტატიაში 1995 წლის კონსტიტუციას მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეთმობა და იგი კონსტიტუციონალიზმის მთლიან კონტექსტთან ერთად არის განხილული. საქართველოში განხორციელებულ კონსტიტუციურ ცვლილებებს, მის პოლიტიკურ და სამართლებრივ ასპექტებს ეხმაურება კარლო გოდოლაძე⁷ თავის ნაშრომში, თუმცა 1995 წლის კონსტიტუცია და მისი პოლიტიკური კონტექსტი არ აქვს ავტორს განხილული სტატიაში. უოლფგანი მიმოიხილავს⁸ იმ ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა 1995 წლის კონსტიტუციაში, საუბრობს მის პოლიტიკურსა და სამართლებრივ საფუძვლებზე, თუმცა არც ამ ნაშრომშია 1995 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონტექსტი განხილული. საინტერესოა, რომ ავტორი 1995 წლის კონსტიტუციას მიიჩნევს პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის ხელშემწყობად. მეტად საინტერესო იყო მელაძისა და გოდოლაძის სტატია,⁹ სადაც წარმოდგენილია საქართველოში კონსტიტუციონალიზმის შემთავრებელი ფაქტორები და მათ შორის სახელდება ვინრო, ელიტის წრეში განხილული საკონსტიტუციო საკითხები. ავტორები 1990-იანი წლებიდან უკანასკნელ პერიოდამდე საზოგადოებრივი

³ Edward McWinney. *Constitution – making. Principles, Process, Practise.* University of Toronto. 1982. p. 12

⁴ Jon Elster. *Deliberation and Democracy.* Cambridge University Press. 1998.

⁵ Dick Howard. *Constitution Making in Eastern Europe.* The Woodrow Wilson Center Press. 1993. P.1

⁶ Avtandil Demetrashvili. *Chronicles of Constitutionalism in Georgia,* Journal „Law and Justice Review” №1. 2010.

⁷ Karlo Godoladze. *Constitutional Changes in Georgia: Political and Legal Aspects,* „Humanities and Social Sciences Review,” 2:3. 2013. pp. 443-460

⁸ Gaul Wolfgang. *Drafting and Adoption of Constitution in Georgia.* Tb. 2002.

⁹ Giorgi Meladze and Karlo Godoladze. *Instrumentalization of the Cinstitution: Story of Post-Revolutionary Constitution-Making.* „Journal of Law and Criminal Justice.” Vol. 2, No. 2. 2014. pp. 265-274.

ინტერესების გაუთვალისწინებლობას მიიჩნევენ კონსტიტუციონალიზმის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად. წარმოდგენილი სტატია უფრო დესკრიპციულ ხასიათს ატარებს და კონსტიტუციის ინსტრუმენტალიზაციის შესახებ მოგვითხრობს. განხილული ლიტერატურიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკის მეცნიერებაში შედარებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი 1995 წლის კონსტიტუციის პოლიტიკურ კონტექსტს, რაც კიდევ უფრო ზრდის საკითხის მიმართ ჩემს ინტერესს.

1. თეორიული საფუძველი

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, შეისწავლოს კონსტიტუციის მნიშვნელობა 1990-იანი წლების საქართველოში და დაადგინოს 1995 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონტექსტი. კვლევის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ხელისუფლების თვითშეზღუდვის თეორია. აღნიშნული თეორია, ჯერ კიდევ, XIX საუკუნეში ჩამოაყალიბა გერმანელმა მეცნიერმა გეორგ ელინეკმა.¹⁰ მოგვიანებით ეს თეორია განავრცო და საკუთარ ნაშრომს დაუდო საფუძვლად ანდრას შაიომ.¹¹ თვითშეზღუდვის თეორია განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი მიუთითებს, რომ ხელისუფლების თვითშეზღუდვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და იგი სცდება მხოლოდ სამართლის მეცნიერებას; უფრო მეტიც, მას ფართო სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია.

თვითშეზღუდვის თეორია საფუძვლად დაედო კონსტიტუციონალიზმის განვითარებას. თვითშეზღუდვის მექანიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიისა და უმრავლესობის მმართველობის პირობებში. ცხადია, ამგვარი მექანიზმი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გარდამავალ რეჟიმებში და ისეთ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ სახელმწიფო იწყებს ფორმირებას და მეორე მხრივ უნდა მოხდეს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ქაოსის ალაგმვა. შაიოს ნაშრომი მეტად საყურადღებო დეტალს ეხმაურება. იგი მიუთითებს, რომ კონსტიტუციაში წინამორბედი რეჟიმის საფრთხეებისა და მისი თანადროული მდგომარეობის ასახვა ხდება, რაც თითოეული კონსტიტუციის განსაკუთრებულობასა და უნიკალურობას განსაზღვრავს. მისი ეს დაშვება მნიშვნელოვანია ჩემი ნაშრომისთვის, რადგან მიუთითებს, რომ 1990-იანი წლების საქართველოში კონსტიტუციის მიღებას მნიშვნელოვანი თვითშეზღუდავი მექანიზმის ფუნქცია ჰქონდა და ამავდროულად აღნიშნული კონსტიტუცია იმდროინდელ პოლიტიკურ კონიუნქტურასაც ასახავდა.

2. კონსტიტუციონალიზმის ისტორია საქართველოში

ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, საქართველოში კონსტიტუციის ისტორია ჯერ კიდევ ადრეულ ფეოდალურ ხანაში იწყება.¹² თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლის

¹⁰ George Jellinek. The Declaration of the Rights of Man and Citizen. New York: Henry Holt and Company. 1985.

¹¹ ანდრას შაიო. ხელისუფლების თვითშეზღუდვა: კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ. 2003.

¹² Vakhtang Abashmadze. The Georgian Intellectual Phenomena. Political and Legal Doctrines in Georgia. Tb. 1992. p. 457.

ჩანასხას წარმოადგენდა ვახტანგ მეექვსის ხელმძღვანელობით შექმნილი „დასტურლამალი“ და „კანონთა წიგნი.“¹³ საქართველოში კონსტიტუციონალიზმის განვითარების კუთხით წყვეტა იყო რუსეთის იმპერიის პირობებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში არაერთი მეცნიერი ზრუნავდა ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარებაზე და საკუთარ ნააზრევს ნაშრომების სახითაც გამოსცემდა. ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი. ქართველი მეცნიერების ნაშრომებში თვალნათლივ ჩანს ლოკის, მონტესკიესა და რუსოს გავლენა. ყოველივე ამან მყარი საფუძველი მოუშადა 1921 წლის საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში.

1921 წლის კონსტიტუციას განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა არაერთი მიზეზის გამო. ეს გახლდათ მსოფლიოში კონსტიტუციონალიზმის კუთხით არსებული გამოცდილებისა და ქართული რეალობის გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტი. აღნიშნული კონსტიტუციის განსაკუთრებულობას განაპირობებდა ხელისუფლების დანაწილებისა და ცვლილების პრინციპი, რაც ძნელად მოიძებნება სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში. თანამედროვე მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეს იყო მაღალ დონეზე შექმნილი კონსტიტუცია, რომელიც არა მხოლოდ ენობრივ სტანდარტებს, არამედ საკონსტიტუციო ლოგიკასაც აკმაყოფილებდა.

საბჭოთა საქართველოში მიღებულ იქნა ოთხო კონსტიტუცია. 1922, 1927, 1937 და 1978 წლის კონსტიტუციებს საერთო არაფერი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციონალიზმის განვითარებასთან, რადგან იგი არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებას და მოსკოვში გაცემული დირექტივის მიხედვით იყო შექმნილი. კერძოდ, თითოეული მათგანი საბჭოთა კონსტიტუციასთან იყო მოყვანილი შესაბამისობაში. გარდა დასახელებული მიზეზებისა, ამ კონსტიტუციებს ვერ განვიხილავთ კონსტიტუციონალიზმის განვითარების ნაწილად, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ იცავდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და იგნორირებას უწევდა ხალხის მიერ არჩეულსა და მისსავე წარმომადგენელ ინსტიტუტებს, რომელსაც „კომუნისტური პარტია“ ანაცვლებდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1978 წლის კონსტიტუცია იქნა აღიარებული, როგორც გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია და შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია. ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების გამო შეჩერდა. ხელისუფლების დამხობის შემდეგ სამხედრო საბჭომ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია. აღნიშნულმა საკონსტიტუციო წყვეტამ არამართო საკონსტიტუციო, არამედ ქვეყნის პოლიტიკური განვითარებაც შეაფერხა. 1992 წელს მიღებულ იქნა „კანონი ხელისუფლების შესახებ“. ამ კანონს კონსტიტუციას ვერ ვუწოდებთ და იგი არაერთი

¹³ ისიდორე დოლიძე. სამართალი ვახტანგ მეექვსისა. 1981.

ხარვეზით გამოირჩეოდა.¹⁴ ამის ნათელი მაგალითი იყო ის ფაქტი, რომ აღნიშნული კანონის თანახმად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლების კონცენტრაცია ხდებოდა ერთი ადამიანის ხელში. ამის ანალოგი მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ძნელად მოიძებნება. თუმცა, 1990-იანი წლების დასაწყისში მის განსაკუთრებულობას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ დასრულდა საკონსტიტუციო გაურკვევლობა და ქვეყანა დაუბრუნდა სამართლებრივ ჩარჩოებს.

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 1993 წლის თებერვალში შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომლის მუშაობის შედეგადაც 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია. აღნიშნული კონსტიტუციის მიღებამდე განიხილებოდა სრულიად სხვადასხვა პროექტი, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობდა არაერთი მეცნიერი და ორგანიზაცია. კონსტიტუციონალისტების შეფასებით ეს იყო კარგად ორგანიზებული და მაღალ დონეზე შექმნილი უზენაესი კანონი, რომელიც ასრულებდა მასზე დაკისრებულ უმთავრეს მოვალეობას, სახელმწიფოში იქმნებოდა საყრდენი ინსტიტუციონალიზაციისა და დემოკრატიული განვითარებისათვის. 1995 წლის კონსტიტუციის მთავარ გამოწვევად ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი რჩებოდა. პრეზიდენტის ინსტიტუტს უთანაბროდ დიდი ძალაუფლება ენიჭებოდა, რაც ხელს უწყობდა მმართველ შტოებს შორის დისბალანსს.

1995 წლის კონსტიტუციამ შეძლო, აღეკვეთა სახელმწიფოში არსებული ქაოსი და სახელმწიფოსთვის დემოკრატიული იმიჯი შეექმნა. საინტერესოა, რომ კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესში არსებობდა საკონსტიტუციო პროექტი, რომელიც ორპალატიან პარლამენტსა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხს განიხილავდა ფედერალიზმის პრინციპზე დაყრდნობით. ბუნებრივია, ეს არ იყო კლასიკური ფედერალიზმი. კონსტიტუციონალისტების ნაწილი ამ მიდგომის მხარდასაჭერად იშველიებდნენ ავტონომიების პრობლემას, რომელიც მეტად მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოსთვის მომდევნო წლებში და დღემდე ასეა. თუკი იმდროინდელ პოლიტიკურ კონტექსტს გავითავალისწინებთ, ორპალატიანი პარლამენტი არ უნდა ყოფილიყო შევარდნაძის ინტერესებში, რადგან იგი ზღუდავს პრეზიდენტის ძალაუფლებას, უფრო მეტად არის ორიენტირებული ადგილობრივ ინტერესებზე და იცავს პოლიტიკურ პლურალიზმს. სახელმწიფოს მეთაურს ასეთ პირობებში გაუჭირდებოდა კანონშემოქმედებით პროცესზე გავლენის მოხდენა. თუმცა, შევარდნაძე საწყის ეტაპზე უჭერდა ორპალატიან პარლამენტს მხარს. სავარაუდოდ, იგი ფიქრობდა აფხაზებისა და ოსების მოწვევას ორპალატიან პარლამენტში. თუმცა, აქვე იყო საფრთხე, თუკი აფხაზები და ოსები გარეშე ძალების გავლენით ბოიკოტს გამოაცხადებდნენ, მაშინ დაუკომპლექტებელი რჩებოდა პარლამენტი, რაც მის ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებდა.

¹⁴ ავთანდილ დემეტრაშვილი. კონსტიტუციური სამართალი. 2005.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებამ საკონსტიტუციო რეფორმა განახორციელა. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მკაფიოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირება, რათა შექმნილიყო სათანადო საფუძველი ძირეული რეფორმებისათვის. აღნიშნული რეფორმის თანახმად, საქართველო საპრეზიდენტოს ნაცვლად ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკად ყალიბდებოდა, თუმცა პრეზიდენტის ძალაუფლება ეტაპობრივად კიდევ უფრო გაიზარდა. ადგილობრივსა და საერთაშორისო დონეზე არსებულ კონსტიტუციას მწვავედ აკრიტიკებდნენ, რის შედეგადაც 2009 წლის ივნისში შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია. აღნიშნული კომისიის მუშაობის შედეგად გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები და კონსტიტუციის თითქმის ნახევარი შეიცვალა. მნიშვნელოვნად გაიზარდა პრემიერის და შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილება. 2010 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ იქნა კონსტიტუციის ახალი მოდელი და საქართველო ჩამოყალიბდა ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკად.

2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლება შეიცვალა და ახალი ხელისუფლების პირობებში კიდევ ერთხელ დადგა საკითხი საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ. „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ ვადაში ვერ მოხერხდა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება. მხოლოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეძლო ხელისუფლებამ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ფარგლებში სამოქმედო დოკუმენტის შემუშავება, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმას ითვალისწინებდა. 2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას და ქვეყანა პროპორციულ საპარლამენტო სისტემაზე გადადის. ახალი კონსტიტუციის თანახმად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მოქალაქეობის, შრომისა და სასამართლო ხელისუფლების კუთხით.

3. 1990-იანი წლების პირველი ნახევარი: პოლიტიკური არასტაბილურობა და კონსტიტუციონალიზმის გამოწვევები საქართველოში

1990-იანი წლების პირველი ნახევარი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რთულ, გარდამტეხ და პოლიტიკურად დაძაბულ პერიოდს წარმოადგენს. ამ დროს დაწყებულმა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა და არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ ქვეყანა გახვია ქაოსში, რომელიც დღესაც გავლენას ახდენს არსებულ რეალობაზე. საქართველოში შეიქმნა უკანონობის, უსამართლობისა და უძრაობის განცდა, რომელმაც დალი დაასვა სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს და ადგილობრივი საზოგადოების სახელმწიფოებრივ აზროვნებას. ქუჩის აქციები და დემონსტრაციები ძალადობასა და ხელჩართულ ჩხუბში, გარკვეულ შემთხვევებში კი სისხლიან გარჩევებში გადაიზარდა. პოლიტიკური რადიკალიზმი და პოლარიზაცია განსაკუთრებულ სახეს იძენდა. უფრო მეტიც, იგი ადამიანების პირად ურთიერთობებშიც კი ვლინდებოდა.

ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხის შესაფასებლად გილი გვთავაზობს დემოკრატიზაციის

სამ ეტაპს: ნგრევის, ტრანზაციისა და კონსოლიდაციის ფაზებს.¹⁵ 1990- იანი წლების დასაწყისი საქართველოში სწორედ ნგრევის ფაზას უკავშირდებოდა. ნგრევის ფაზა, თავის მხრივ, მოიცავს ეკონომიკური კრიზისის, პოლიტიკური მობილიზაციის, საერთაშორისო წნეხისა და პოლიტიკური გათიშულობის კომპონენტებს. თუკი 1980-იანი წლების მიწურულსა და 1990-იანი წლების დასაწყისს თვალს გადავაავლებთ, ჩანს, რომ საქართველოში რეჟიმის ნგრევა სწორედ ამ დროს დაიწყო. ჯერ კიდევ გორბაჩოვის პირობებში დაწყებულმა ეკონომიკურმა გარდაქმნებმა დამანგრეველი შედეგები მოუტანა ქვეყანას. დამოუკიდებლობის პირველ ხუთ წელიწადში ქვეყანაში წარმოება 75%-ით შემცირდა. სახეზე იყო ჰიპერინფლაცია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი უცხოურ, დონორ ორგანიზაციებზე აღმოჩნდა დამოკიდებული. განსაკუთრებით გაიზარდა პოლიტიკური მობილიზაცია; საერთო მიზნების ირგვლივ გაერთიანების გარდა, იგი ხშირად საზოგადოების ფრაგმენტაციასა და კონფრონტაციასაც უწყობდა ხელს. საერთაშორისო წნეხი მიმართული აღმოჩნდა შიდა ინსტიტუტების გაძლიერებაზე. 1991 წლის მარტში საქართველოში ვიზიტით მყოფმა ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიქსონმა იმჟამინდელ ხელისუფლებას შიდა ინსტიტუტების გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითა. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურმა მმართველობამ ძალაუფლება ფაქტობრივად დაკარგა. პოლიტიკური გათიშულობა ჯერ კიდევ 1990 წლის გაზაფხულზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაშიც დაიწყო. ამას შემდეგ უკვე პრეზიდენტ გამსახურდიასთან მისი გუნდის ყოფილი წევრების დაპირისპირება და შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა.

საქართველოში შეიქმნა საბედისწერო პრეცედენტი - ხალხის ხმათა უმრავლესობით არჩეული პირველი პრეზიდენტი ძალისმიერი გზით იქნა განდევნილი ხელისუფლებიდან. ძალაუფლება ხელში აიღო შეიარაღებული ადამიანების ერთობამ, რომელსაც არავითარი ლეგიტიმაცია და სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნდა. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში მონვეულ იქნა საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და დასავლეთში კარგად ცნობილი ელუარდ შევარდნაძე. შევარდნაძის მმართველობას საფუძველი შეუქმნა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა და იმ ხალხმა, ვინც „დემოკრატიის დასაცავად იარაღი აიღო ხელში“.¹⁶ ქვეყანა გაეხვა სამოქალაქო და ტერიტორიული კონფლიქტების ქარცეცხლში. კატასტროფული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ქაოსი სახელმწიფოს განვითარების ყველანაირ პერსპექტივას უსპობდა. ქვეყანაში არ არსებობდა არავითარი შემზღუდავი მექანიზმი, ინსტიტუცია, რომელიც სიტუაციის დარეგულირებას შეძლებდა. საკითხები უმეტესწილად პირადი ავტორიტეტისა და ზეპირი შეთანხმების საფუძველზე წყდებოდა. ქვეყნის პირველი პირი დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ ქვეყნის უზენაესი კანონის გარეშე სახელმწიფო პოლიტიკური კატასტროფისთვის იყო განწირული.

¹⁵ Graeme Gill. The Dynamics of Democratization. Elites, Civil Society and the transition process. London. Macmillan. 2000. p. 8

¹⁶ ელუარდ შევარდნაძის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, 1992 წლის 7 მარტს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ.

4. ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდიას მმართველობა

1990-იანი წლების პოლიტიკური არასტაბილურობის საფუძვლები სათავეს ჯერ კიდევ 80-იან წლებში იღებს. საქართველოში ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებები დასრულდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიით, რასაც განსაკუთრებული პოლიტიკური რადიკალიზაცია მოჰყვა.¹⁷ პოლიტიკური ოპონენტების შეურიგებელი დაპირისპირება რეჟიმის კოლაფსითა და ხანგრძლივი ქაოსით გავრცელდა. თუკი საწყის ეტაპზე დაპირისპირება „კომუნისტურ პარტიას“ და ეროვნულ მოძრაობას შორის იყო, ეტაპობრივად მან თავად ეროვნული მოძრაობის შიგნით გადაინაცვლა. აღნიშნული პროცესი გაღრმავდა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო ეროვნული მოძრაობის ლიდერების - მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ.

ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების ერთ-ერთ მიზეზს კომუნისტური მმართველობის პირობებში, არჩევნებში კენჭისყრის საკითხი წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხი საბედისწერო აღმოჩნდა ქვეყნისთვის, რადგან ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთს დააპირისპირა. გამსახურდია და მისი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ თავდაპირველად არ გეგმავდა არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა მოგვიანებით პოზიცია შეიცვალეს და ამ პოლიტიკურმა ძალამ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებაც მოიპოვა. მასთან რადიკალურად დაპირისპირებული აღმოჩნდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ და „ეროვნული-დამოუკიდებლობის პარტია.“ კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ორგანიზაციამ, არსებობა შეწყვიტა, თუმცა მისი წარმომადგენლები მომდევნო წლებში კვლავ აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.¹⁸ უზენაესმა საბჭომ პირველივე სხდომაზე შეიტანა ცვლილებები მოქმედ კონსტიტუციაში. ქვეყანაში დაიწყო საბჭოთა კონსტიტუციის შეცვლაზე ზრუნვა. ამ მიზნით გაუქმდა „კომუნისტური პარტიის“ წამყვანი როლი, შეიცვალა დროშა, ჰიმნი, გერბი და სახელმწიფოს „საბჭოთა სოციალისტურის“ ნაცვლად „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პროცესი წინ უსწრებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ეს კი ნიშნავდა, რომ გატარებულ კონსტიტუციურ ცვლილებებს სამართლებრივის გარდა, პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. 1991 წლის აპრილში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო ქვეყნის პრეზიდენტად, ხმათა უმრავლესობით, არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე. ამავდროულად ძალაში შევიდა კიდევ ორი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტი: „საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.“

¹⁷ Darell Slider. Democratization in Georgia. in Dawisha, K. and B. Parrot (eds), *Conflict, Cleavage and Change in Central Asia and the Caucasus* New York: Cambridge University Press. 1997.

¹⁸ Jaba Devdariani. Georgia: Rise and Fall of the Façade Democracy. Journal „Demokratizatsiya.“ 12/1. George Washington University. 2004.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი 1990-იანი წლების პოლიტიკურ კატაკლიზმებს გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობის პერიოდს უკავშირებს. უფრო მეტიც, გარკვეული შეხედულებით, ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილებებში აღნაშაულებენ, რაც მას რიგი საკითხების გადაწყვეტაში უშლიდა ხელს.¹⁹ გარდა ამისა, გავრცელებული მოსაზრებით, პრეზიდენტის გარემოცვაში მრავლად იყვნენ არაკომპეტენტურებიცა და ისეთებიც, გამიზნულად რომ უშლიდნენ ხელს პრეზიდენტს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. აღნიშნული მდგომარეობით ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა, რაც ოპოზიციის ნისქვილზე ასხამდა წყალს. გამსახურდიას წინააღმდეგ გაერთიანება დაიწყო ყოფილი „კომუნისტური პარტიის“ ნომენკლატურის წარმომადგენლებმა. ამ პერიოდში პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ ამოქმედდა სამხედრო ფორმირება „მხედრიონიც“.

გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საზოგადოებაში არ არსებობდა კონსენსუსი და მათ შორის კონსტიტუციური საკითხების ირგვლივ იყო არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. განსაკუთრებულ პრობლემას პრორუსული ძალები და ავტონომიების სტატუსის განსაზღვრა წარმოადგენდა. თავად გამსახურდიას ჰქონდა სურვილი, ქვეყანაში ყოფილიყო პრეზიდენტის ძლიერი ინსტიტუტი. ამას ერთგვარი გამართლება შეიძლება მოუძებნოთ, რადგან არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის გარეშე შეუძლებლად ჩანდა მდგომარეობიდან გამოსვლა. ამაზე მიუთითებდა ის ფაქტი, რომ გამსახურდია ჯერ უზენაესმა საბჭომ აირჩია თავმჯდომარედ და შემდეგ საყოველთაო არჩევნების საფუძველზე აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად. ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ პოლიტიკური ოპონენტები ძალისმიერი მეთოდებით უსწორდებოდნენ ერთმანეთს, რაც ქვეყნის ინსტიტუციონალიზაციასა და დემოკრატიზაციას აზარალებდა. 1992 წლის დეკემბრის ბოლოს გამსახურდიამ საკუთარ მომხრეებთან ერთად თბილისი დატოვა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, რომელიც ამომრჩეველმა ხმათა დიდი უმრავლესობით აირჩია, ქვეყნიდან იქნა გაძევებული და საბოლოოდ დევნილობისას, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ეს იყო სახიფათო პრეცედენტი ინსტიტუციებისა და ქვეყნის უზენაესი კანონის უპატივცემულობისა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომით ქვეყნის პოლიტიკურ არასტაბილურობასა და კანონის უზენაესობას საფუძველი გამოეცალა.

5. სამხედრო საბჭო და შევარდნაძის მმართველობა

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყანას მართავდა სამხედრო საბჭო. საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში სწორედ ამ დროს მოხდა კიდევ ერთი საბედისწერო ფაქტი. 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ შეაჩერა გარდამავალი კონსტიტუციის მოქმედება და აღადგინა 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. პოლიტიკური კატაკლიზმებისა და

¹⁹ Gia Nodia. Georgia Identity Crisis. „*Journal of Democracy*.“ 6/1. 1995. pp. 104-116.

ანგარიშსწორების საბაზით ქვეყანაში უზენაესი კანონი იქცა ანგარიშსწორების იარაღად. აღნიშნული კონსტიტუცია 1990-იანი წლების დასაწყისისთვის სრულიად გამოუსადეგარ დოკუმენტს წარმოადგენდა. შევარდნაძე მიიჩნევდა, რომ 1995 წლის კონსტიტუცია იყო 1921 წლის კონსტიტუციის სამართალმემკვიდრე და ამას უსვამდა ხაზს. მართლაც, 1921 წელს ემიგრაციაში წასულ ხელისუფლებას არ შეუჩერებია კონსტიტუციის მოქმედება. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ კი უფლებამოსილების განხორციელება 1978 წლის კონსტიტუციით დაიწყო. ამგვარად, შევარდნაძე და მისი მომხრეები ცდილობდნენ საკუთარი ლეგიტიმაციისთვის გამსახურდიას პერიოდში არსებული კონსტიტუციური წყვეტა გამოეყენებინათ. უფრო მეტიც, ისინი მიუთითებდნენ, რომ სწორედ 1921 წლის კონსტიტუციიდან გადახვევა იყო გამსახურდიას ხელისუფლებიდან განდევნის მიზეზი. სამხედრო საბჭოს წევრები აცნობიერებდნენ, რომ მათი მმართველობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. სრული განუკითხაობისა და ქაოსის პირობებში, 1992 წლის მარტში ქვეყანაში მოწვეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე. შევარდნაძის ფიგურას პატივს სცემდნენ დასავლეთში, საქართველოში კი სტაბილურობის გარანტად განიხილავდნენ. თავდაპირველად მან დაიკავა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარდა არჩევნები და შევარდნაძე არჩეულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარედ. შევარდნაძემ ამ ნაბიჯით სცადა, მოეპოვებინა ლეგიტიმაცია, თუმცა ქვეყანაში ქაოსი მაინც ვერ დასრულდა. კიტოვანის გვარდია და იოსელიანის „მხედრიონი“ კვლავ უკონტროლო ძალებს წარმოადგენდა. არ არსებობდა შემზღუდავი მექანიზმი, რაც სახელმწიფოში წესრიგს აღადგენდა, აღმოჩნდა, რომ შევარდნაძის ავტორიტეტი არ იყო საკმარისი სიტუაციის გასაკონტროლებლად.

1992 წლის 6 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ეს გახლდათ ერთგვარი ზღვარი, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში კონსტიტუციონალიზმის ახალი ეტაპი გახსნა. მიუხედავად ამგვარი მნიშვნელობისა, მას „მცირე კონსტიტუციის“ სახელით იცნობენ, რადგან არ წარმოადგენდა სრულფასოვან კონსტიტუციას. ამ კანონში შევიდა მეტად საკამათო დებულება, კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარედ პირდაპირი წესით არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფოს მეთაურად.

ქვეყანაში არსებულ კონსტიტუციურ გაურკვევლობას მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და პოლიტიკური კრიზისი სდევდა თან. სიტუაცია გამწვავდა აფხაზეთში და შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. ზვიად გამსახურდიას მომხრეები დასავლეთ საქართველოში იყვნენ განლაგებული და თბილისზე იერიშს გეგმავდნენ. შევარდნაძე იძულებული გახდა, რუსეთისთვის მიემართა დასახმარებლად. ქვეყანა სრული პოლიტიკური კატასტროფის წინაშე იდგა. საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად შევარდნაძემ გააძლიერა პოლიცია, თანამდებობებზე დანიშნა კომუნისტური პარტიის ნომენკლატურის ყოფილი წარმომადგენლები. ქვეყნის ლიდერს პოლიტიკური

დასაყრდენი სჭირდებოდა და ჩამოაყალიბა „მოქალაქეთა კავშირი“, ამის საპირისპიროდ კი მისი ყოფილი მოკავშირეები - „მხედრიონი“ და ეროვნული გვარდია კანონგარეშედ გამოაცხადა. ყოველივე ეს მხოლოდ ნიადაგის მომზადება იყო სამომავლოდ ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად. საქართველოში 1995 წელი საარჩევნო იყო, თუმცა არჩევნები უზენაესი კანონის არსებობის პირობებში უნდა ჩატარებულიყო. შევარდნაძემ, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა, იცოდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას გაუჭირდებოდა იმ ქვეყანასთან თანამშრომლობა, სადაც ხელისუფლება იარაღის ძალით მოვიდა და არ გააჩნდა კონსტიტუცია. გარდა ამისა, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური არასტაბილურობის გახანგრძლივება მხოლოდ ართულებდა უკვე მეტად მწვავე პოლიტიკურ კრიზისს. ამგვარად, კონსტიტუციის მიღებას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

6. 1995 წლის აგვისტო: გადამწყვეტი ეტაპი ქვეყნის უახლეს ისტორიაში

1995 წლის 25 აგვისტოს იმჟამინდელმა პარლამენტმა მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია. ოთხი დღის შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძეს ხელი უნდა მოეწერა ახალი კონსტიტუციისთვის. ეს სრულიად ახალ სამართლებრივსა და პოლიტიკურ რეალობას ქმნიდა ქვეყანაში. სწორედ ამ დღეს მოხდა ტერაქტი შევარდნაძეზე. ამ ფაქტმა გაამყარა ეჭვი, რომ კონსტიტუციის მიღებით შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობა ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის არ იყო მისაღები.

ქვეყნის პრეზიდენტი გადაურჩა ტერაქტს და განაცხადა: „მაფიოზები და კრიმინალები საქართველოში ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, რაც არ უნდა გააკეთონ“.²⁰ საინტერესო ფაქტია, რომ შევარდნაძე ჩქარობდა, რაც შეიძლება სწრაფად გავრცელებულიყო მედიით მისი მიმართვა. უფრო მეტიც, იგი საავადმყოფოშიც არ დარჩა. ამგვარად, მან ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად გარკვეული ძალების მცდელობისა, ის არ კარგავდა სადავეებს და პოლიტიკურ სიტუაციას აკონტროლებდა. სახელმწიფოს მეთაურზე ტერაქტის მოწყობაში სხვადასხვა ძალები მოიაზრებოდა. საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ ტერაქტის უკან მხედრიონის ლიდერი - ჯაბა იოსელიანი იდგა. ტერაქტიდან ცოტა ხანში დააკავეს მხედრიონის წევრი გიგა გელაშვილი, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ - ჯაბა იოსელიანი. ერთ-ერთი მოსაზრებით, ტერაქტი უშიშროების იმჟამინდელ მინისტრს - იგორ გიორგაძესაც შეიძლებოდა მოეწყობა. მან საქართველო დატოვა და მოსკოვს შეაფარა თავი.

1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის მოტივი დღემდე განხილვის თემაა. გავრცელებული შეხედულებით, კონსტიტუციაზე ხელისმოწერით შევარდნაძე იძენდა ლეგიტიმური

²⁰ შედურდ შევარდნაძის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, 1995 წლის 29 აგვისტოსმასზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ.

მმართველის სტატუსს, ხოლო საქართველო იღებდა კონსტიტუციას, რაც მთლიანად ცვლიდა მის სამომავლო პერსპექტივას. 24 აგვისტოს ეგრეთწოდებული „იმელის“ პარლამენტში კონსტიტუციის მიღებისას 167 დეპუტატიდან 159 დეპუტატმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციის მიღებას, ხოლო 8 იყო წინააღმდეგი. საინტერესოა, რომ თავდაპირველად პარლამენტს წარუდგინეს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც იყო სახელმწიფოს ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი, შერეული მმართველობის ფორმა. აღნიშნული პროექტი ჩავარდა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნა წარდგენილი კონსტიტუციის საპრეზიდენტო მოდელი. ამგვარად მოხდა ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი ადამიანის ხელში. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ „მხედრიონი“ და „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ ამ კონსტიტუციას გაემიჯნენ.

1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე შევარდნაძის პოზიციების შესუსტება სცადეს. კერძოდ, გავრცელებული მოსაზრებით, ამ პერიოდში მისივე ხელისუფლების ძალოვანი მინისტრები არ იყვნენ შევარდნაძის მიერ დანიშნული. ამის დასტურად იშველიებენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად არჩეული ავთანდილ იოსელიანი დანიშვნისთანავე ჩაანაცვლა იგორ გიორგაძემ, ხოლო თავდაცვის მინისტრი ყარყარაშვილი, რომელსაც შევარდნაძის დასაყრდენად განიხილავდნენ - ნადიბაიძემ.

1990-იანი წლების დასაწყისში მიღებული პოლიტიკური გამოცდილების შედეგად ის ხალხი, ვინც უპირისპირდებოდა და აკრიტიკებდა ზვიად გამსახურდიას, საუბრობდა საპრეზიდენტო მმართველობის ნაკლოვანებებზე. მას შემდეგ, რაც პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და მათ შევარდნაძეს დაუჭირეს მხარი, შეიცვალეს პოზიცია და აღმოჩნდნენ საპრეზიდენტო მმართველობის მხარდამჭერები. ბუნებრივია, რომ ეს პოლიტიკური თამაშისა და სტრატეგიის ნაწილი იყო. გარდა ამისა, საქართველოში ყოველთვის იდგა და მით უფრო იმ პერიოდში ჩანდა პოლიტიკის პერსონიფიკაციის პრობლემა. თანამდებობასა და სტატუსს აიგივებდნენ პერსონებთან, ამგვარად, საპრეზიდენტო მოდელზე უარი მნიშვნელოვანწილად გამსახურდიაზე განაწყენებით იყო განპირობებული და არა საპრეზიდენტო მოდელის სამართლებრივი ხასიათით.

1995 წლის 25 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებისას პარლამენტი იყო ყველაზე მეტად პლურალისტული. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში, როდესაც რადიკალური პოზიციების წარმოდგენა ხდებოდა საპარლამენტო ტრიბუნებიდან. ამ პერიოდის პოლიტიკური პლურალიზმი ასე ხასიათდება - მრავალ-პარტიული პარლამენტი მცირერიცხოვანი პარტიებით. ამგვარად, თუკი შევაფასებთ პოლიტიკურ სიტუაციას, აღმოვაჩინთ, რომ კონსტიტუციის მიღებისას პოლიტიკურ გარიგებებსა და გავლენებზე საუბარი გადაჭარბებულია. აღნიშნულ კონსტიტუციაზე მუშაობისას 14 პროექტი იყო წარდგენილი სხვადასხვა ძალის მიერ. ეს ნიშნავდა, რომ თავად საზოგადოება ემნიდა პროექტს და არ ხდებოდა უკვე შედგენილი პროექტის შეთავაზება. საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ ამ კონსტიტუციით აიწია საარჩევნო

ბარიერი, რამაც გზა მოუჭრა ეგრეთწოდებულ ერთკაციან პარტიებს. პოლიტიკური ფრაგმენტაცია უნდა დასრულებულიყო და ქმედითი ხელისუფლებისთვის საჭირო იყო წონადი პოლიტიკური ძალები თითოკაციანი პარტიების ნაცვლად.

დასკვნა

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში არსებული კონსტიტუციონალიზმის გამოწვევებისა და მისი მნიშვნელობის კვლევის მიმართ ინტერესი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ცნობილი გახდა, რომ მისი პოლიტიკური კონტექსტი ნაკლებად იყო შესწავლილი. საკითხმა კიდევ უფრო მეტად დამაინტერესა, რაც „თვითშეზღუდვის“ თეორიის მიხედვით გაგანალიზებულ საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში არსებული ვითარება. ჩემი მიზანი იყო, დამედგინა, საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში რა დატვირთვა ჰქონდა კონსტიტუციას და რა როლი შეასრულა მან სტაბილიზაციის კუთხით.

კვლევამ აჩვენა, რომ XX საუკუნის ბოლო ათწლეული განსაკუთრებული კატაკლიზმებითა და პოლიტიკური არასტაბილურობით გამოირჩეოდა საქართველოს უახლეს ისტორიაში. პოლარიზებული, დანაწევრებული და ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკოსები და საზოგადოება, სამხედრო დაპირისპირებები, მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში ქაოსისა და დესტაბილიზაციის საფუძველს ქმნიდა. პიროვნულ ავტორიტეტსა და არაფორმალურ კავშირებზე დამყარებული მმართველობა სახელმწიფოში პოლიტიკურ კრიზისს მხოლოდ აღრმავებდა. ამგვარ პირობებში ცხადი გახდა, რომ ქვეყანას სჭირდებოდა საკონსტიტუციო ჩარჩო, შემზღუდავი მექანიზმი, რომელიც მას ჩიხიდან გამოიყვანდა. სწორედ აქ გამოიკვეთა კონსტიტუციის, როგორც ხელისუფლების თვითშეზღუდვის ფუნქცია, რომელსაც შაიო წარმოგვიდგენდა თავის თეორიაში. კონსტიტუციის მიღების შემდგომ ქვეყნის ცხოვრებაში დადგა ახალ ეტაპი, როდესაც სახელმწიფომ დაიწყო კონსტიტუციონალიზმისა და ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში არსებობა.

The Importance of the Constitution in Georgia: In the Context of the Political Situation of the 1990s

Giorgi Melikidze

Resume

The idea of a „rule-of-law state“ leads to the necessity of Constitution. After the World War II, a number of states developed new constitutions or modified the old ones. In recent decades, the work on the constitution has been intensified and has become attractive in post-Soviet countries. The concept of constitutionalism is closely related to the limitation of the state and the protection of individual rights and freedoms. It is commonly agreed that the essence of the constitution is self-restraint of the authorities. With this concept, the constitution creates a certain framework, which is of particular importance at the stages of construction and transition of the state. In Post-Soviet Georgia opportunities appeared to begin work on a constitution based on Western experience. Special interest in academic circles towards the issue was caused by the fact that the work on the constitution was carried out in parallel with the construction of the state. The purpose of this article is to study the importance of the constitution of Georgia of the 1990s. According to the study hypothesis, in conditions of political instability, the importance of the Constitution as a mechanism of self-restriction increases. In 1995, Georgia adopted the Constitution in conditions of political instability and created a new political reality in the country.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დემეტრაშვილი, ა. (2005). *კონსტიტუციური სამართალი*.
- დოლიძე, ი (1981). *სამართალი ვახტანგ მეფესისა*.
- შაიო, ა. (2003). *ხელისუფლების თვითშემღვდვა: კონსტიტუციონალიზმის შესავალი*.
- Abashmadze, V. (1992). *The Georgian Intellectual Phenomena. Political and Legal Doctrines in Georgia*, Tbilisi.
- Banting, K. and Simeon, R. (1985). *The Politics of Constitutional Change in Industrial Nations: Redesigning the State*. London: Macmillan.
- Demetrashvili, A. (2010). „Chronicles of Constitutionalism in Georgia,” In: *Law and Justice Review*, 1:1.
- Devdariani, J. (2004). „Georgia: Rise and Fall of the Façade Democracy,” *Demokratizatsiya*, the Journal of Post-Soviet Democratization. 12/1. George Washington University.
- Elster, J. (1998), *Deliberation and Democracy*. Cambridge University Press.
- Godoladze, K. (2013). „Constitutional Changes in Georgia: Political and Legal Aspects,” *Humanities and Social Sciences Review*, 2:3. pp. 443-460.
- Graeme G. (2000). *The Dynamics of Democratization. Elites, Civil Society and the transition process*. London. Macmillan.
- Jellinek, G. (1895). *The Declaration of the Rights of Man and Citizen*. New York: Henry Holt and Company.
- Howard, D. (1993), *Constitution Making in Eastern Europe*. The Woodrow Wilson Center Press.
- Jellinek, G. (1895). *The Declaration of the Rights of Man and Citizen*. New York: Henry Holt and Company.
- McWinney, Ed. (1981), *Constitution – making. Principles, Process, Practise*. University of Toronto Press.

- Meladze, G. and Godoladze, K. (2014), „Instrumentalization of the Constitution: Story of Post- Revolutionary Constitution-Making,” *Journal of Law and Criminal Justice*, Vol. 2, No. 2. pp. 265-274.
- Nodia, G. (1995), „Georgia Identity Crisis,” *Journal of Democracy*, 6/1, 104-116.
- Sajo, A. (1999), *Limiting Government: An Introduction to Constitutionalism*. Central European University Press.
- Slider, D. (1997), „Democratization in Georgia,” in Dawisha, K. and B. Parrot (eds), *Conflict, Cleavage and Change in Central Asia and the Caucasus* (New York: Cambridge University Press).
- Wolfgang, G. (2002), *Drafting and Adoption of Constitution in Georgia*. Tbilisi.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანა დუმბაძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაისი №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com